საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ბენიამინ სილაგაძე

ერაყი
მამლუქთა გამგებლობის ხანაში
(1749—1831 წწ.)

გამომცემლობა „მეცნიერება"
თ ბ ი ლ ი ს ი
1978

9 (5)
9 (567)
ს 50

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის პირველი მესამედის ჩათვლით ერაყში ბატონობდნენ ქართული წარმოშობის „ქულემენების“ დინასტიის წარმომადგენლები, რომელთაც მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიეს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურსა და კულტურულ ცხოვრებას.

ნაშრომში ქართული, რუსული, აღმოსავლური და ევროპული წყაროების საფუძველზე განხილულია აღებული ხანის ერაყის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის ძირითადი საკითხები. კერძოდ, შესწავლილია ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა, მმართველობის სისტემა, სამხედრო ორგანიზაცია, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმები, სოციალური სტრუქტურა, გადასახადები და საგადასახადო სისტემა, საქალაქო ცხოვრების, ვაჭრობისა და განათლების ზოგიერთი საკითხი; ნაჩვენებია მამლუქთა სამხედრო ორგანიზაციის წარმოქმნის მიზეზები, მათი მოსელა ქვეყნის ხელისუფლების სათავეში; მოცემულია საშინაო და საგარეო პოლიტიკის დახასიათება, გამოკვლეულია ურთიერთობა საქართველოსთან, რუსეთთან, ინგლისსა და საფრანგეთთან; დადგენილია ერაყში მამლუქთა ძალაუფლების დამხობის მიზეზები.

ს $\frac{10604}{М\ 607\ (06) — 78}$ 136—77 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978

წინასიტყვაობა

მამლუქთა მმართველობის ხანა ოსმალეთის იმპერიაში მოქცეული ერაყის ისტორიის ცალკე, თავისებური მონაკვეთია, როცა თითქმის მთელი საუკუნის (ზუსტად 62 წლის) მანძილზე ქვეყანას ადგილობრივი მკვიდრნი — არაბები ან მათი დამპყრობი ოსმალო თურქები კი არ განაგებდნენ, არამედ ქრისტიანული ქვეყნებიდან სხვადასხვა მიზეზის გამო. იქ მოხვედრილი გამუსლიმებული, მონებად დაყიდული და მონობიდან დროთა განმავლობაში თავდაღწეული უცხო ტომის შვილები, რომლებიც თავიანთი პირადი თვისებების წყალობით დაწინაურდნენ სამხედრო სარბიელზე, ხელთ იგდეს ქვეყნის მმართველობა და მას ოსმალთათვის უჩვეულო — მემკვიდრეობითი ხასიათი მისცეს.

მამლუქთა მმართველობის ხანა ერაყის ისტორიის ფრიად მნიშვნელოვანი მონაკვეთია. მათმა ხელისუფლებამ გარკვეული კვალი დატოვა ქვეყნის განვითარებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მამლუქთა დროის ერაყის ისტორიის შესწავლით, გარკვეული ზომით, საქართველოს ისტორიას, კერძოდ საქართველო-ერაყის ურთიერთობის ისტორიასაც ვსწავლობთ, რადგან მამლუქთა უმრავლესობა წარმოშობით ქართველები იყვნენ და თავიანთი მმართველობის მთელ მანძილზე ურთიერთობა ჰქონდათ დაკარგულ სამშობლოსთან და მის მფარველ რუსეთთან. ეს გარემოება, მრავალი დოკუმენტური შასალით დასტურდება და მამლუქთა მმართველობას საინტერესოს ხდის არა მარტო ერაყისა და საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის, არამედ რუსეთის ისტორიის თვალსაზრისითაც.

მამლუქთა დროის ერაყის ისტორიამ კარგა ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. ამ თემას თავიანთი ნაშრომები მიუძღვნეს არაბმა ავტორებმა — აბას ალ-აზავიმ, აჰმად ას-სავფიმ, ანასთას მარი ალ-ქირმალიმ, იაʿკუბ სარქისმა, ʿაბდ ალ-ʿაზიზ სულეიმან ნავარმა, აგრეთვე ევროპელმა მკვლევრებმა კლ. უარმა, ს. ჰ. ლონგრიგმა და რ. მანტრანმა. მამლუქთა ისტორიის შესწავლის საქმეში

თავიანთი წვლილი შეიტანეს ავრეთვე რუსმა და საბჭოთა მკვლევრებმა: ა. ადამოვმ, გ. ბეი-მამიკონიანმა. ამ თემას ცალკე წერილი უძღვნა გ. ლეონიძემ.

დასახელებულ ავტორთა ნაშრომებს უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ხანის ერაყის ისტორიის შესწავლისათვის. მათში პირველწყაროთა ცნობების საფუძველზე მოცემულია ისტორიული ფაქტების ანალიზი და გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებანი, რამაც საგრძნობლად გაგვიადვილა მუშაობა. მაგრამ ამ ნაშრომებში ძირითადად მამლუქთა დროის ერაყის მხოლოდ პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხია შესწავლილი. რაც შეეხება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური და კულტურის ისტორიის საკითხებს, ისინი ყურადღების მიღმაა დარჩენილი და სპეციალური შესწავლის ობიექტად ჯერ არვის გაუხდია. ამ ხარვეზის რამდენადმე შევსების ცდას წარმოადგენს ეს წიგნი. მასში ერაყის პოლიტიკურ ისტორიასთან ერთად ყურადღება ეთმობა სწორედ იმ საკითხების შესწავლას, რომლებმაც ასახვა ვერ ჰპოვეს წინამორბედ ისტორიკოსთა ნაშრომებში. ასეთია — ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა, საგადასახადო სისტემა, სოციალური და აგრარული ურთიერთობანი, სამხედრო ორგანიზაცია და სხვ. მონოგრაფია მთლიანად ემყარება აღმოსავლურ და ევროპულ ენებზე არსებულ პირველწყაროთა ცნობებსა და სპეციალურ გამოკვლევებს. მათდამი კრიტიკულმა დამოკიდებულებამ და მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მომარჯვებამ საშუალება მოგვცა ახლებურად შეგვეხედა რიგი საკითხისათვის და აღგვედგინა მამლუქთა დროის ერაყის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების შედარებით სრული სურათი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პრეტენზია არა გვაქვს წიგნში დასმულ და განხილულ საკითხთა ამომწურავი შესწავლისა, თუნდაც მარტო იმ გარემოების გამო, რომ არაბული და თურქული საარქივო მასალები, რომლებიც უშუალოდ შესასწავლ ხანას ეხება, ჩვენთვის ჯერ ხელმიუწვდომელია.

ნაწილი I

ერაყის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა მაელუქთა მმართველობის წინ და მათი მმართველობის დროს

თავი პირველი

ადმინისტრაციული დაყოფა და მართვა-გამგებლობა

ერაყი მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე არაბული ქვეყანაა. იგი მდებარეობს მდინარეების — ტიგროსისა და ევფრატის აუზში და მოიცავს მესოპოტამიისა[1] და არაბული ერაყის[2] ანუ სე-

---

[1] მესოპოტამია ბერძნული წარმოშობის სახელია, შედგება ორი სიტყვისაგან („მესოს"—შუა და „პოტამოს" მდინარე) და ნიშნავს შუამდინარეთს. გეოგრაფიულ ლიტერატურაში იგი სხვადასხვა შინაარსით იხმარება. ბერძნებისა და რომაელების გაგებით, მესოპოტამია ტიგროსსა და ევფრატს შორის მდებარე მთელ ტერიტორიას ერქვა. ევროპელი მეცნიერები მესოპოტამიად მიიჩნევენ მხოლოდ იმ ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს ტიგროსსა და ევფრატს შორის ბაღდადიდან სამხეთის ზეგანამდე. უფრო ფართო გაგებით კი მესოპოტამიას უწოდებენ ერაყის მთელ ტერიტორიას. მაგრამ თანამედროვე ერაყი უფრო ვრცელ მიწა-წყალს მოიცავს, ვიდრე ისტორიული მესოპოტამია. ჩვენ ამ ტერმინს ვიწრო გაგებით ვხმარობთ და მესოპოტამიას ვუწოდებთ შუამდინარეთს — ტიგროსსა და ევფრატს შორის მოქცეულ ტერიტორიას ბაღდადიდან ჩრდილოეთით სამხეთის ზეგანამდე.

[2] არაბული ერაყი პოლიტიკურ-ეთნოგრაფიული ტერმინი უფროა, ვიდრე გეოგრაფიული. გერმანელი მეცნიერის, კ. რიტერის აზრით, ეს ტერმინი ილხანთა ბატონობის დროს გაჩნდა. იმ მოსაზრებით, რომ თავიდან აეცილებინათ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული არევ-დარევა, ერაყის იმ ნაწილს, რომელიც არაბებით იყო დასახლებული, არაბული ერაყი ეწოდა, ხოლო ირანელებით დასახლებულს — ირანული ერაყი ანუ „ერაყი აჯამი" (K. Ritter, Erdkund von Asien, Berlin, 1844, Bd. VII, ნაწ. II, გვ. 925). დღეს არაბული ერაყის ქვეშ ზოგჯერ გულისხმობენ მთელ თანამედროვე ერაყს. ფაქტიურად თანამედროვე ერაყი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ილხანთა დროინდელი არაბული ერაყი იყო. ეს უკანასკნელი მხოლოდ „სევადის" (შაამიწანიადგანი) ტერიტორიას მოიცავდა. სევადი კი ტიგროსისა და ევფრატის ქვემოწელში იყო.

ვადის ტერიტორიას. იგი სირიასთან (აშ-შამ) ერთად წარმოადგენს ხმელეთის ხიდს ხმელთაშუა ზღვასა და სპარსეთის ყურეს შუა, სადაც ძველთაგანვე გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო სატრანზიტო გზები, ერთმანეთთან რომ აკავშირებდნენ ევროპის, აფრიკის და აზიის ქვეყნებს. ერაყი ამავე დროს მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული ადგილია მახლობელ აღმოსავლეთში, ნედლეულს წყარო და მზა საქონლის გასაღების ერთ-ერთი უდიდესი ბაზარი[3].

ასეთი მოხერხებული მდებარეობა და მდიდარი ბუნებრივი პირობები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ქვეყნის სწრაფი განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენენ, ზოგჯერ მისი დაქცევის მიზეზიც ხდებიან. სწორედ ასეთმა პირობებმა აქცია ერაყი გაუთავებელი ომების ასპარეზად, ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა და XX ს-ის 30-იან წლებამდე ის სხვის სამფლობელოს წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ 538 წელს, ჩვენს ერამდე, ერაყს აქემენიანთა ირანი დაეპატრონა. IV ს-ში აქემენიანები მაკედონელებმა შეცვალეს, ხოლო ეს უკანასკნელნი — ჯერ პართიელებმა, შემდეგ (III ს-ში) სასანელებმა. ახ. წ. ა. III ს-იდან ერაყში სხვადასხვა დროს ერთმანეთის მიყოლებით ბატონობდნენ რომაელები, არაბები (VII ს.), სელჩუკიანი თურქები (XI ს.), მონღოლები (XIII ს.), სეფიანები (XVI ს.).

XVI ს-ის 30-იან წლებში ერაყს დასაპყრობად ოსმალო თურქები მოევლინენ. 1534—1538 წლებში ის სეფიანთა ირანს წაართვეს და I მსოფლიო ომამდე ფლობდნენ.

ოსმალებმა ერაყი თავიანთი წესისა და რიგის მიხედვით მოაწყვეს. იგი ოთხ მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულად გაპყვეს და ჩამოაყალიბეს ბასრის, ბაღდადის, შაპრიზურისა და მოსულის ეიალეთები[4] ანუ საფაშოები. ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ პროვინციებს წარმოადგენდნენ და მხოლოდ იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ. ცენტრალურ მთავრობას კი ყოველთვის შეეძლო ცვლილებების მოხდენა: ეიალეთის გაუქმება ან გაყოფა, რამდენიმე ეია-

---

[3] P. Reinaud. Geographie D'Aboulfeda, Paris, 1848, t. I. p. VIII; Срезневский, Следы древнего знакомства русских с Южной Азией (Вестник русского географического общества, 1854, т. X, стр. 52—53); Б. М. Данциг, Ирак в прошлом и настоящем, М., 1960, стр. 9.

[4] ეიალეთი — პროვინცია, ოლქი.

ლეთის გაერთიანება, ერთი ეიალეთის ტერიტორიის გაფართოება მეორის ტერიტორიის ხარჯზე და სხვ. ასეთ ღონისძიებებს სულთანი უფრო მეტად იმ შემთხვევაში ატარებდა, როცა გარედან თავდასხმის საფრთხე იქმნებოდა, ან თვითონ აპირებდა სხვა ქვეყნის ტერიტორიის მიტაცებას, ანდა სურდა შეეზღუდა ეიალეთის სამხედრო პოტენციალი, რომ მისთვის ცენტრალური ხელისუფლებისაგან განდგომის შესაძლებლობა მოესპო და მუდამ მორჩილებაში ჰყოლოდა. ამიტომ ერაყში, იმპერიის ამ განაპირა მხარეში, ეიალეთების რაოდენობა ხშირად იცვლებოდა. იქ ხან 4 ეიალეთი იყო, ხან —3 და ხან — ერთი.

ეიალეთები ოსმალეთში ორი სახისა იყო: 1. სალიანეს არმქონე და 2. სალიანეს მქონე. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული თვალსაზრისით ორივე სახის ეიალეთი ერთნაირი იყო, მაგრამ ორგანიზაციულად ისინი რამდენადმე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

სალიანეს არმქონედ ისეთი ეიალეთები ითვლებოდა, სადაც გაბატონებული იყო „ოსმალობა" ანუ ოსმალეთის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური სისტემა მისთვის დამახასიათებელი სამხედრო-ლენური ორგანიზაციებით: თიმარებით, ზიამეთებითა და ხასებით. ოსმალეთში ყველაზე გავრცელებული იყო სწორედ ასეთი (სალიანეს არმქონე) ეიალეთები, ამიტომ მათ ტიპურ ეიალეთებს უწოდებდნენ.

რაც შეეხება სალიანეს მქონე ეიალეთებს, მათი რიცხვი გაცილებით მცირე იყო და იქ თიმარული სისტემა შედარებით სუსტად იყო წარმოდგენილი. მათ შეწერილი ჰქონდათ „სალიანე" ანუ წლიური გადასახადი[5] (ხარკი), რომელიც აიღებოდა ეიალეთის გამგებლის (ვალის ანუ ფაშას) მიერ და ბარდებოდა სახელმწიფო ხაზინას.

ერაყში არსებობდა როგორც სალიანეს არმქონე, ისე სალიანეს მქონე ეიალეთები ანუ ვილაიეთები. მოსულისა და შაჰრიზურის

---

[5] A. C. Тверитинова, Второй трактат Кочибея, «Ученые записки Института востоковедения», М.-Л., 1953, т. VI, стр. 250, 266. სალიანეს შესახებ იხ. აგრეთვე H. A. R. Gibb and Harold Bowen, Islamic society and the West. Oxford,. 1951, vol. I, p. 148; ვ. გაბაშვილი, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დოკუმენტური მასალები როგორც წყარო მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები", თბ., 1960, № 91, გვ. 314; მ. სვანიძე, ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო წყობა და პროვინციული მართვა-გამგეობა XVI ს-ში. „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", თბ., 1963, გვ. 98.

ეიალეთები სალიანეს არმქონედ ითვლებოდნენ, ბაღდადის, ბასრისა და ამ უკანასკნელთან გაერთიანებული ლაჰსის (ალ-ჰასის) ეიალეთები კი სალიანეს მქონეებად[6].

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა და ქვეყნის მართვა-გამგებლობის სისტემის მიხედვით ოსმალეთში ეიალეთები დაყოფილი იყო მცირე ერთეულებად — სანჯაკებად ანუ ლივებად (სადროშოებად). ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ სანჯაკების სისტემა ვრცელდებოდა მხოლოდ სალიანეს არმქონე ეიალეთებზე[7], მაგრამ წყაროთა მონაცემები ცხადყოფენ, რომ სანჯაკებად დაყოფილი იყო სალიანეს მქონე ეიალეთებიც. მაგალითად, ბაღდადის ეიალეთში 18 სანჯაკი იყო, ბასრის ეიალეთში — 30[8].

სანჯაკები, ისე როგორც ეიალეთები, სხვადასხვანაირი იყვნენ. მათი უმრავლესობა ლენური საკარგავებისაგან — თიმარებისა და ზიამეთებისაგან შედგებოდა. ამიტომ ასეთი სახის სანჯაკები, მსგავსად სალიანეს არმქონე ეიალეთებისა, ტიპურ ოსმალურ სანჯაკებს წარმოადგენდნენ. მათი რიცხვი ერაყში, 'ალი ჩაუშის ცნობით, ჩვიდმეტამდე აღწევდა, აქედან 8 სანჯაკი იყო ბაღდადის ეიალეთში, 6 — შაჰრიზურისაში, ხოლო 3 — მოსულისაში[9] (ბასრის ეიალეთის შესახებ ცნობა გვაკლია).

თიმარული სანჯაკების ანუ ტიპური ოსმალური სანჯაკების გარდა არსებობდნენ აგრეთვე სალიანეს მქონე, იურდლუკისა და ოჯაკლიკის ტიპის სანჯაკები და ე. წ. თავისუფალი სამირმირანოები.

სალიანეს მქონე სანჯაკებს, რომლებიც შეიძლება სალიანეს არმქონე ეიალეთების ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, ცალკე ყოფილიყვნენ, ისეთივე ფუნქციები ეკისრებოდათ, როგორიც სალიანეს მქონე ეიალეთებს. მათ გამგებლებს ოსმალეთის

---

[6] M. Belin, Du régime des fiefs militaires dans l'Islamisme et principalement en Turquie (Journal Asiatique, Paris, 1870, serie VI, t. XV, p. 239); Аграрный строй Османской империи XV—XVI вв. Документы и материалы, М., 1963, стр. 92; А. С. Тверитинова, Второй трактат Кочибея, стр. 243—4, 266; ბ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97—98.

[7] H. A. R. Gibb, H. Bowen, დასახ. ნაშრომი, გვ. 147; ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 313, 315.

[8] J. Hammer, Histoire de l'Empire Ottoman, Paris, 1844, t. III, p. 228. სხვა წყაროს მიხედვით, ბაღდადის ეიალეთში ყოფილა 20 სანჯაკი, ხოლო ბასრის ეიალეთში — 15 (Аграрный строй Османской империи, стр. 97). ეს იმას მოწმობს, რომ სანჯაკების რაოდენობა იცვლებოდა.

[9] Аграрный строй Османской империи, стр. 97—98.

ცენტრალური ხელისუფლება ამტკიცებდა და საკარგავებსაც ის აძლევდა იმ პირობით, რომ ხაზინისათვის გადაეხადათ წინასწარ დადგენილი ოდენობის წლიური გამოსაღები და ყოფილიყვნენ იმპერიის საზღვრების დამცველნი. ასეთ სანჯაკებში თიმარები და ზიამეთები, როგორც წესი, არ არსებობდნენ.

სალიანელი (სალიანეს შქონე) სანჯაკებისაგან ბევრად არ განსხვავდებოდნენ თავისუფალი სამირმირანოები ანუ ჰუქუმეთები. 'აინი 'ალის ცნობით, ისინი „არ იყვნენ შეტანილი დავთარში; მათში არ არსებობდა თიმარები და ზიამეთები; გამგებლები ფლობდნენ და მართავდნენ მათ ისე, როგორც პირად საკუთრებას. ჰუქუმეთების მფლობელნი განამტკიცებდნენ საკარგავზე თავიანთ საკუთრებას და მთლიანად ითვისებდნენ შემოსავალს"[10]. ამ ცნობიდან აშკარაა, რომ ასეთი ტიპის სანჯაკებში ოსმალობა ადგილობრივ სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების სფეროს მთლიანად არ შეხებია; იქ ადგილობრივი გამგებლები თავიანთ სახელოში თითქმის სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ და მათ სანჯაკებში ოსმალო მოხელეებს ხელი ისე არ მიუწვდებოდათ, თუ სულთნის განკარგულება არ იქნებოდა. ისე როგორც სალიანელი სანჯაკების მმართველებს, ჰუქუმეთებისა და თავისუფალი სამირმირანოების გამგებლებსაც უშუალოდ სულთანი ამტკიცებდა საგანგებო ფირმანით, რომელსაც „ჯენაფი" ეწოდებოდა. ჯენაფის მფლობელი ვალდებული იყო ეცნო იმპერიის უზენაესი ხელისუფლება და მისი პირველი დაძახებისთანავე გამოეყვანა ლაშქარი. ასეთი სანჯაკები უმთავრესად არაბებითა და ქურთებით დასახლებულ ეიალეთებში არსებობდა.

რამდენადმე სხვაგვარად იყო საქმე იურდლუკისა და ოჯაღლიკის ტიპის სანჯაკებში. ეს სანჯაკები, ტიპური ოსმალური ადმინისტრაციული ერთეულების მსგავსად, შედგებოდნენ თიმარებისა და ზიამეთებისაგან. ამასთან, მათი შემოსავალი ფიქსირებული იყო სახელმწიფო დავთარში[11], მაგრამ ამ მსგავსებასთან ერთად მათ გააჩნდათ ისეთი ნიშნებიც, რომლებითაც არსებითად განსხვავდებოდნენ თიმარული სანჯაკებისაგან და თავიანთი სტატუსით ბევრად ჩამოგავდნენ თავისუფალ სამირმირანოებს. სახელმწიფო მიწებიდან მიღებული „უშრის" (ანუ „შეათედი") შემოსავალი ასეთი სანჯაკის გამგებელს რჩებოდა. სამაგიეროდ, იგი ვალდებული იყო ომის

---

[10] მ. სვანიძე, დას ხ. ნაშრომი, გვ. 100.

[11] M. Belin, დასახ. ნაშრომი, გვ. 269; მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

დროს გამოეყვანა ლამქარი, დამდგარიყო საკუთარი დროშის ქვეშ და ებრძოლა იმ ეიალეთის გამგებლის ბრძანებით, ვის სახელოშიც ის შედიოდა.

ოჯაკლიკისა და იურდლუკის ტიპის სანჯაკების ერთ-ერთი თავისებურება იმაშიც მდგომარეობდა, რომ მის გამგებლობას შემკვიდრეობითი ხასიათი ჰქონდა[12], თანამდებობა მამიდან შვილზე ან სხვა უახლოეს ნათესავზე გადადიოდა, რაც სხვა სახის სანჯაკებისათვის დაუშვებელი იყო. ეს გარემოება თავისთავად იმის მანიშნებელია, რომ ოჯაკლიკისა და იურდლუკის სანჯაკებში ოსმალური პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სისტემა სუსტად იყო ფეხმოკიდებული.

ერაყში სალიანელი სანჯაკები არ არსებობდა. სამაგიეროდ, იქ იყო ისეთი ტიპის სანჯაკები, როგორიცაა ჰუქუმეთები, ოჯაკლიკები, იურდლუკები, თავისუფალი სამირმირანოები და ტიპური ოსმალური სანჯაკები ანუ სანჯაკები თიმარებითა და ზიამეთებით. თუ მათ ეიალეთების მიხედვით წარმოვადგენთ, სურათი ასეთი იქნება: მ ო ს ულ ი ს ე ი ა ლ ე თ შ ი ფიქსირებული იყო 6 სანჯაკი[13], რომელთაგან 2 იყო ოჯაკლიკის და იურდლუკის ტიპის სანჯაკი, ხოლო 4 — თიმარებითა და ზიამეთებით. შ ა ჰ რ ი ზ ო რ ი ს ე ი ა ლ ე თ ი იყოფოდა 32 სანჯაკად. აქედან 1 იყო ჰუქუმეთი, 25 იურდლუკი და ოჯაკლიკი, ხოლო სხვებს განაგებდნენ თურქი ამირები[14]. ბ ა ღ დ ა დ ი ს ე ი ა ლ ე თ ი ს 20 სანჯაკიდან 8-ში იყო თიმარები და ზიამეთები, 12-ში კი ოჯაკლიკები და იურდლუკები[15]. ბ ა ს რ ი ს ე ი ა ლ ე თ შ ი სულ 15 სანჯაკი იყო და თხუთმეტივეს ვალი ფლობდა იჯარით.

სანჯაკების შემდეგ ერაყში ძირითად ადმინისტრაციულ სამ-

---

[12] H. A. R. Gibb, H. Bowen, დასახ. ნაშრომი, გვ. 163; ს. ჯ ი ქ ი ა XVIII ს-ის თურქული დოკუმენტი ოქროს ცხის შესახებ (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბ., 1960, №91, გვ. 171); მ. ბ ი ს ი ვ ე, სულთან აბდულ III-ის ფირმანი ბაქარ ბაგრატიონს (ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971, გვ. 278); ე. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 343; მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

[13] J. Hammer, დასახ. ნაშრომი, ტ. 17, გვ. 60; A. C. Тверитинова, Второй трактат Кочибея (Ученые записки Института востоковедения, М.-Л., 1953, стр. 243); M. Belin, დასახ. ნაშრომი, გვ. 282. ლ ი ჩაუში მოსულში ექვსი სანჯაკის ნაცვლად ხუთს ასახელებს (იხ. Аграрный строй Османской Империи... стр. 97).

[14] Аграрный строй Османской империи... стр. 97.

[15] იქვე, გვ. 98.

მართველო ერთეულებს წარმოადგენდნენ 'აშირეთი, კაზა და ნაჰიე. ამათგან ნაჰიე ყველაზე მცირე ერთეული იყო, მოიცავდა რამდენიმე სოფელს.

მაზრის ტოლ ადმინისტრაციულ დანაყოფს შეადგენდა კაზა[16], რომელიც ა. ტვერიტინოვას მოსაზრებით, ზოგჯერ სანჯაკის ოდენაც იყო[17]. სპეციალურ ლიტერატურაში კაზის მნიშვნელობით ხშირად გეხვდება მაჰალე, მაგრამ ხურშიდ ეფენდის განმარტებით, მაჰალეებად იწოდებოდნენ მხოლოდ ირანის საზღვართან მდებარე კაზები[18].

კაზაზე უფრო მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული იყო 'აშირეთი. ის წარმოადგენდა დიდ გვაროვნულ სამმართველო ორგანიზაციას, ტომთა გაერთიანებას, კონფედერაციას, რომელიც იყოფოდა კაბილეებად (დიდი ტომი)[19], ტაიფებად (გვარი, მცირე

---

[16] Х. К. Баранов, Арабско-русский словар, М., 1957.

[17] Всемирная история, М., 1958, т. IV. стр. 547. კაზა ასე აქვს განმარტებული მ. ა. გამაზოვსაც (იხ. Хуршид-Эфенди, Сияхэт-намэ-и-Худуд, СПб., 1877, стр. 459).

[18] Хуршид-Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

[19] სპეციალურ ლიტერატურაში კაბილესა და 'აშირეთის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. ჯ. ლესერფის მიხედვით, კაბილე და 'აშირეთი თანაბარი სიდიდის ტომობრივი გაერთიანებებია და ეს ტერმინები ერთმანეთის სინონიმებს წარმოადგენენ (Encyclopaedia of Islam, vol. I, 700). ლესერფისაგან განსხვავებით, აბდ ალ-ჯალილ ტაჰირი, ჯ. ჰენინგერი, ა. ადამოვი და ა. მენთეშაშვილი აღნიშნავენ, რომ აშირეთი კაბილეს ქვეგანაყოფია (Abd al-Jalil Tahiri, Al-Badw wa l'Ash'āir fi l-Bilād al-Arabyya, inst. des Hautes arabes. Cairo, 1955, t. I, გვ. 2—7; Josef Heninger, Die Familie bei den heutigen Beduinen Arabies und seiner Randgebiete, Leiden, 1943, გვ. 134; А. Адамов, Ирак арабский, СПб., 1912, стр. 149; А. Мептешашвили, Ирак в годы английского мандата, М., 1969, стр. 18). მაგრამ თუ კაბილე'აშირეთზე უფრო მსხვილი ტომობრივი გაერთიანება იყო, მაშინ რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ოსმალეთში, კერძოდ ერაყში, 'აშირეთი იყო მიჩნეული ტომობრივ-ადმინისტრაციულ სამმართველო ერთეულად და არა კაბილე? სპეციალურ ლიტერატურაში ეს ზოგჯერ ახსნილია „სინეკდოხით" (ანუ აღრევით დიდისა მცირეში, ნაწილისა მთელში), რომელიც იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ ოსმალეთში ადმინისტრაციულ დაყოფას საფუძვლად ედო სამხედრო ორგანიზაცია. ასეთ ორგანიზაციას კი ისტორიულად წარმოადგენდა 'აშირეთი, რაც წარმოდგება „'აშრათურ" (არაბ. عشرة) სიტყვიდან და ნიშნავდა „მეომრებისაგან შემდგარ ადამიანთა ჯგუფს, ათეულს" (Encyclopaedia of Islam, vol. I, p. 700). მაშასადამე, აშირეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იმიტომ კი არ არის, რომ იგი კაბილეზე დიდია, არამედ იმის გამო, რომ ის უფრო ძველი და თანაც სამხედრო ორგანიზაციის აღმნიშვნელი ტერმინია. მაგრამ წყაროებიდან ჩანს, რომ ეს ასე არ არის. ხურშიდ ეფენდი შაჰრიზურის

ტომი) და ოჯახებად. იმ ადგილს, სადაც ეს გვაროვნულ-ტომობრივი გაერთიანებები იმყოფებოდნენ „დირა“, ხოლო ერაყის მცირე ქალაქებსა და სადაბო ცენტრებს კასაბა ეწოდებოდა. ქალაქებში არსებობდა მმართველობის სპეციალური ორგანიზაცია „ბალადიე“ ანუ საქალაქო საბჭო (სათათბირო), რომელიც მთლიანად ექვემდებარებოდა ვილაიეთისა და სანჯაკის ადმინისტრაციას.

ოთხ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად — ეიალეთად ანუ საფაშოდ დანაწილებულ ერაყის თითოეულ საფაშოს ჰქონდა მმართველობის ისეთივე სისტემა, ორგანიზაცია, როგორიც საერთოდ ოსმალეთის სხვა პროვინციებში არსებობდა. როგორც სხვაგან, ერაყშიც მის უმდაბლეს საფეხურზე იდგა სოფლის ვუჯუპი (მამასახლისი), ხოლო უმაღლესზე — სულთნის მიერ დანიშნული გამგებელი — ვალი ანუ ფაშა.

ფაშა ოსმალეთის იმპერიაში ეიალეთის გამგებელსაც აღნიშნავდა და უმაღლესი სამხედრო ტიტულიც იყო[20], რომელიც ეძლეოდათ მაღალი თანამდებობის მოხელეებს: დიდ ვაზირებს, პროვინციებისა და ოლქების მმართველებს, საზღვაო ფლოტის უფროსებს და სხვ.[21] „ამ ყოველის შემძლე უფროსებს, რომელთა ხელთაა ჩვეულებრივ, სამხედრო და ადმინისტრაციული ხელისუფლება, აქვთ ისეთივე განუსაზღვრელი უფლებები, როგორიც სულთანს და განაგებენ თავიანთ ქვეშევრდომთა სიცოცხლესა და ქონებას. განმასხვავებელი ნიშნები..., მაღალი მდგომარეობის აღსანიშნავად რომ ეძლევა მათ, არის ცხენის კუდი, ხმალი და საზეიმო ფართო მოსასხამი“ — ამბობს ბაღდადში მცხოვრები ფრანგი კონსული ჟ. რუსო[22].

ოსმალეთის იმპერიაში ფაშები თავიანთი თანამდებობისა და დამსახურების მიხედვით შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ერთთუღიანი, ორთუღიანი ან სამთუღიანი. თუღი ანუ ბუნჩუკი ნიშნავს ძუის კონას. რომელიც თურქების ძველ ტოტემურ ემბლემას წარმოად-

---

დეტალური აღწერისას აშირეთებსაც ეხება და გარკვევით წერს: „ბილბასის ‘აშირეთის ფარანის კაბილეს ტაიფები“, „ბილბასის აშირეთის მამაშის კაბილეს ტაიფები“ და სხვ. (Сиях эт-Намэ-и-Худуд, стр. 254—255). აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ აშირეთი არა მარტო ძველი, არამედ უფრო დიდი ტომობრივი ერთეული, ვიდრე კაბილე და ამიტომაა ადმინისტრაციულ ერთეულად მიჩნეული.

[20] А. Ф. Миллер, Мустафа паша Байрактар, М.-Л., 1947, стр. 495 — 496.

[21] J. T. Zenker, Dictionnaire Turc-Arabe-Persian, Leipzig, 1866, t. I, p. 164.

[22] J. B. Rousseau, Discription du Pachalik de Bagdad, Paris, 1809, p. 21.

გენდა. მოოქროვილი ბირთვით დაბოლოებულ ხის გრძელ ტარზე მიმაგრებული ძუის ასეთი კონა ანუ კუდი იყო ოსმალების სახელმწიფო ალამი, დროშა. ასეთი დროშა ჰქონდა ყველა ეიალეთსა და სანჯაკს, ოღონდ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ ჯოხზე მიბმული ცხენის კუდების რაოდენობით. ეიალეთის გამგებლებს ჰქონდათ ორ ან სამკუდიანი დროშები, ხოლო სანჯაკებისას — ერთკუდიანი. თითოეული ეიალეთისა და სანჯაკის ალამთა კუდების რაოდენობას განსაზღვრავდა იმპერიის ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც ამით მიუთითებდა იმაზე თუ ვის რა უფლება ჰქონდა. მაშასადამე, თუღი ანუ ბუნჩუკი ეიალეთისა და სანჯაკის გამგებელთა უფლების აღმნიშვნელი ნიშანი იყო. როგორც შამს ად-დინ სამის განმარტებიდან ირკვევა, ბუნჩუკები (ცხენის ძუის კონა, კუდი) ოსმალო დიდ მოხელეებს: ფაშებს, ვაზირებსა და სხვებს ასეთი მნიშვნელობით თავსაბურავზეც ჰქონიათ მიმაგრებული[23].

ერაყის გამგებელი, მას შემდეგ, რაც ბასრა-ბაღდად-მოსულ-შაჰრიზურის ეიალეთები გაერთიანდნენ, ბაღდადის ფაშად იწოდებოდა და როგორც დიდი, თანაც საზღვრისპირა, ადმინისტრაციული ერთეულის უფროსი, სამ თუღს ატარებდა. ამიტომ ის, ოსმალეთში არსებული წესის თანახმად, ვაზირის ტოლ მოხელედ ითვლებოდა[24] და თავის სახელოში განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა. მას სულთანი ნიშნავდა და ხსნიდა თანამდებობიდან და ისიც მხოლოდ სულთნის წინაშე იყო ანგარიშვალდებული.

დიდი უფლებებით აღჭურვილ ვალის დიდი და პასუხსაგები მოვალეობაც ეკისრებოდა. მისი უპირველესი მოვალეობა იყო იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების ერთგული სამსახური, თავის სახელოში წესრიგისა და სიწყნარის დაცვა, აგრეთვე, ზრუნვა

---

[23] H. A. R. Gibb, H. Bowen, დასახ. ნაშრომი, გვ. 139—140; Encyclopaedia of Islam, I; S. Samī, Kamus-u-Turkī, Istanbul, 1901, გვ. 452. იხ. აგრეთვე დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1887, გვ. 571. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1955, ტ. IV, გვ. 495; А. Ф. Миллер, Мустафа паша Байрактар, М., 1947, стр. 488. ბუნჩუკები მიმაგრებული იყო აგრეთვე ვალის სასახლის თავზე. ბაღდადის ფაშას სასახლეზე აღმართული იყო სამი ასეთი თუღი ნახევარმთვარითა და ვარსკვლავით (S. H. Longrigg, Four Centuries of Modern Iraq, Oxford, 1925, p. 250). ამიტომ ზოგი მკვლევარის მიერ გამოთქმული მოსაზრება რომ „თუღი არის (მხოლოდ) ქუდის, გვირგვინის შესამკობი, სამკაული და არა დროშა“ (ა. ავალიანი, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960, გვ. 30), ეფიქრობთ, დაზუსტებას საჭიროებს.

[24] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 66—67.

ქვეყნის კეთილმოწყობისათვის, განათლების, ვაჭრობის, სავაჭრო გზების, სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. ყოველივე ამისათვის ეიალეთის მმართველ ფაშას ჰყავდა უზარმაზარი შტატი მოხელეებისა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეიალეთის მმართველობის ორგანიზაცია თავისი სტრუქტურით ისეთივე იყო, როგორც იმპერიის ცენტრალური ხელისუფლებისა.

ეიალეთის საქმეების განსახილველად ბაღდადში ფაშას თავმჯდომარეობით რეგულარულად იკრიბებოდა „დივანი" ანუ საბჭო, რომელიც სათათბირო უფლებით სარგებლობდა და შედგებოდა საფაშოს სამოქალაქო, სასულიერო-იურიდიული და სამხედრო ხელისუფლების პირველი რიგის მოხელეთაგან. დივანში წინასწარ უნდა განხილულიყო ყველა ის საკითხი და ღონისძიება, რომელთა განხორციელებას ფაშა ფიქრობდა. ამის გამო დივანი ფაქტიურად, მარტო სათათბირო ორგანო კი არ იყო, არამედ საკონტროლოც, რადგან იმ შემთხვევაში, თუ დივანში განსახილველად დასმული საკითხი და ფაშას პოზიცია არ შეესაბამებოდა იმპერიის ცენტრალური მთავრობის ინტერესებს, ამას მაშინვე ატყობინებდნენ სტამბოლში საბჭოს ზოგიერთი წევრის, კერძოდ სულთნის წარმომადგენელ აღა იენიჩარის მეშვეობით.

დივანში მიღებული გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანა ფაშას სასახლის სამოქალაქო-ადმინისტრაციული, სასულიერო-იურიდიული და სამხედრო უწყებების მოხელეებს ევალებოდათ. სამოქალაქო-ადმინისტრაციულ უწყებაში ასეთ მოხელეებად ითვლებოდნენ: 1. ქ ა ჰ ი ა — ფაშას მოადგილე და მრჩეველი, ადმინისტრაციული ხელისუფლების უფროსი[25], თანამდებობით და უფლებით პირველი კაცი საფაშოში ფაშას შემდეგ; ომის დროს ფაშას დავალებით სარდლობდა ლაშქარს[26]; 2. დ ა ვ თ ა რ დ ა რ ი — ეიალეთის გადასახადებისა და სახელმწიფო მემოსავლის საქმეთა მომწესრიგებელი, რომელსაც ზოგჯერ „მალ დავთარდარს" ან „ხაზინე დავთარდარსაც" უწოდებენ. მის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე საპონეტო საქმე. ფეოდალური სამფლობელოებისა და ფინანსების მოგვარება, რადგან ეს სამფლობელოები ფეოდალებს

---

[25] R o u s s e a u, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

[26] ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, ერაყ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. „ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები", თბ., 1960. ტ. 91. გვ. 368; C l. H u a r t. Histoire de Bagdad, Paris, 1902, p. 169.

ეძლეოდათ გასამრჯელოდ ფულადი ხელფასის მაგიერ[27]. თანამდებობით დავთარდარი ქაჰიაზე დაბლა იდგა, მაგრამ მისი „ვერილე"-ს (რეზოლუცია საბუთზე „გაეცი") გარეშე ხაზინიდან ფულის გატანა არ შეიძლებოდა და ამ მხრივ ყველაზე მაღლა იდგა[28]. 3. დივან ეფენდი — პირველი მწერალი[29], დივანის საქმეთა შომწესრიგებელი[30], 4. დაბიტი — არაბთა პოლიციის უფროსი[31]; 5. ნაკიბი — შარიფთა ანუ მუჰამედ წინასწარმეტყველის მემკვიდრეებისა და მათი ოჯახებ-ს უფროსი[32], რომელიც დიდი პატივითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ერაყში, განსაკუთრებით კი 'ულემთა (მათ შესახებ იხ. ქვემოთ) წრეში; 6. კაპიჯილარ ქაჰია — ეკიბი, რომელსაც ევალებოდა სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლების ფაშასთან მიყვანა და წარდგენა; 7. ხაზინადარი — საფაშო ხაზინის უფროსი, საბაჟოების პირველი ზედამხედველი; 8. კაიმაკამი — ვიცე-გუბერნატორი, რომელიც სცვლიდა ფაშას ამ უკანასკნელის სადმე წასვლის დროს; 9. მუჰრადარი — ბეჭდის მცველი; 10. მასრუფ ეფენდი — ფინანსთა ზედამხედველი; 11. სილაჰდარი მეაბჯრეთუხუცესი; 12. სკემლერ აღასი — სავარძლის მტარებელი; 13. არაბი ქათიბი — არაბთა დეპარტამენტის პირველი მდივანი; 14. ფარსი ქათიბი — ფაშას ჩვეულებრივი მდივანი, რომელიც საგანგებოდ ირანის საქმეებზე იყო მიმაგრებული[33].

რუსოს თქმით, ზემოდასახელებული მოხელეები ორ კატეგორიად — პირველ და მეორე რიგის მოხელეებად იყოფოდნენ. ქაჰია, დავთარდარი, დივან ეფენდი, ნაკიბი და დაბიტი პირველი კატეგორიის ანუ პირველი რიგის მოხელეები იყვნენ, ხოლო სხვა დანარჩენი კი მეორე კატეგორიის ანუ მეორე რიგისა. მეორე რიგის მოხელენი თავიანთი თანამდებობითა და უფლება-მოვალეობით უფრო დაბლა იდგნენ, ვიდრე პირველი რიგის თანამდებობის პირნი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მაინც სასახლეში მყოფ მმართველ სამოქალაქო-ადმინისტრაციულ აპარატში შედიოდნენ

---

[27] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 353; H. A. R. Gibb, H. Bowen, დასახ. ნაშრომი, გვ. 150; ე. გაბაშეიძი, ქართული ფეოდალური წყობილება... თბ., 1958, გვ. 336; მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

[28] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

[29] Rousseau, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

[30] მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

[31] Rousseau, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

[32] იქვე.

[33] იქვე გვ. 25.

და განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდნენ. ასეთივე გავლენიანი პირები იყვნენ აგრეთვე ფაშას სასახლისა და პირად მსახურთა მრავალრიცხოვანი ამალის — იჩ აღალარების ისეთი პრივილეგირებული წარმომადგენლები, როგორიცაა, მაგ., სახლთუხუცესი, მესტუმრეთუხუცესი, ეჯიბი, მეჯინიბეთუხუცესი და სხვები[34].

იურიდიული ხელისუფლება ბაღდადის ფაშას კარზე წარმოდგენილი იყო შემდეგი მოხელეების სახით: 1. კ ა დ ი ანუ მოსამართლე, რომელიც არჩევდა სასამართლო საქმეებს და თვალყურს ადევნებდა თუ როგორ ასრულებდნენ უმაღლესი ხელისუფლების განკარგულებებს ადგილობრივი მოხელენი; 2. მ უ ფ თ ი — უმაღლესი მოსამართლე, დანიშნული ხელისუფლების მიერ ამ თანამდებობაზე იმისათვის, რომ გაარჩიოს (ყურანის საფუძველზე) რთული იურიდიული საქმეები და გამოიტანოს სათანადო დადგენილება — „ფათვა"; 3. უ ლ ე მ ე ბ ი — მუსლიმური სამართლის — შარიათის მცოდნენი.

იურიდიულ გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანა ევალებოდათ ს უ ბ ა შ ი ე ბ ს — ქალაქებში პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებოდნენ კადის. გარდა ამისა, სუბაშიები მოწოდებული იყვნენ წესრიგის დასაცავად, თვალყურს ადევნებდნენ ვაჭრობას ბაზარში, ასასბაშიებთან ერთად ყარაულობდნენ ხიდებს, არხებს, ქალაქის ჭუჩებს, საჭიროების შემთხვევაში ჩხრეკდნენ და აპატიმრებდნენ ეეჭვიტანილთ.

რაც შეეხება სამხედრო ხელისუფლებას, ის ფაშას სასახლის კარზე წარმოდგენილი იყო თვით ვალისა და იენიჩარების აღას მეთაურობით. როგორც უკვე ვთქვით, ოსმალოებმა ერაყის დაკავებისთანავე მის ციხეებში ჩააყენეს თავიანთი სამხედრო რაზმები — იენიჩარები. XIX ს. დამდეგს არაბულ ერაყში მარტო იენიჩარების რიცხვი 15000 კაცს აღემატებოდა[35]. აქედან 6000 კაცი ბაღდადში იდგა[36], 500 ბასრაში, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა ადგილების ციხე-სიმაგრეებში[37]. ერაყში დაბანაკებული იენიჩარების საერთო მეთაური იყო იენიჩარების აღა, რომელიც ქ. ბაღდადში იჯდა და განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა. მას სულთანი ნიშ-

---

[34] S. H. L o n g r i g g, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

[35] А. А д а м о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 352.

[36] Второй трактат Кочибея... стр. 243.

[37] А. А д а м о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 352.

ნავდა თანამდებობაზე და მხოლოდ მას ემორჩილებოდა. მაგრამ XVIII ს. მეორე ნახევრიდან, როცა ერაყის ხელისუფლებას სათავეში (1749 წელს) ქართველი ქულამენები (მამლუქები) ჩაუდგნენ, იენიჩარი აღას უფლებები საგრძნობლად შეიკვეცა. მას მინდობილი ჰქონდა სასახლის დაცვა და შინაგანი პოლიციის მოქმედებისადმი თვალყურის დევნება. იენიჩარების აღას გარდა ამ კატეგორიის მოხელეები იყვნენ: 1. იენიჩარი ეფენდი. 2. თოფჩიბაში ანუ მეზარბაზნეების უფროსი; 3. ჯებეჯი ბაში — საომარი მასალისა და საჭურვლის მცველი რაზმის უფროსი: 4. არაბაჯი ბაში — დიდი ყალიბის ქვემეხების გადამტან-გადმომტანი და საბრძოლო პოზიციაზე მათი დამდგმელი რაზმის უფროსი[38]: 5. იერლიაღა; 6. ბარათღლი აღა — მძიმე თოფებით შეიარაღებული რაზმის უფროსი.

რუსოს თქმით, ექვსივე ეს მოხელე სამხედრო ხელისუფალთა რიგს ეკუთვნოდა და „იენიჩრების აღას შემდეგ ეკავათ მეტ-ნაკლებად მაღალი თანამდებობები იენიჩართა პოლიციაში"[39]. მისივე ცნობით, იენიჩარების აღა ზემოჩამოთვლილი სასულიერო-იურიდიული ხელისუფლების წარმომადგენლებსა და სამოქალაქო-ადმინისტრაციული ხელისუფლების პირველი რიგის მოხელეებთან ერთად იყო ფაშას დივანის წევრი.

ოსმალეთში კანონით დაუშვებელი იყო პროვინციული მართვა-გამგებლობის მემკვიდრეობითი წესი. ეიალეთის გამგებელს თანამდებობა ეძლეოდა გარკვეული ვადით. ადრე სამი წლით, შემდეგ — ორით და ბოლოს კი (XIX ს-ში) ერთი წლით[40]. რწმუნების ვადის გასვლის შემდეგ, თუ ფირმანი გაახლებული არ იქნებოდა, ფაშა ჰკარგავდა ეიალეთის მართვის უფლებას. ამით ოსმალეთის იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას უნდოდა მუდამ მორჩილებაში ჰყოლოდა პროვინციების გამგებლები, არ დაეშვა მათი ძალაუფ-

---

[38] А. Ф. Миллер, დასახ. ნაშრომი, გვ. 490, 500; გ. ფუთურიძე. ოსმალეთი, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან", თბ., 1957, გვ. 248.

[39] Rousseau, დასახ. ნაშრ., გვ. 28. ფაშას კარზე სხვა მრავალი სამოხელეო თანამდებობაც არსებობდა, მაგრამ ყველას ჩამოთვლა აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია.

[40] G. A. Olivier, Voyage dans l'Empire Ottoman, l'Egipte et la Perse, Paris, IX (1801), t. IV, p. 368; M. D'Ohsson, Tableau general de l'Empire Ottoman, Paris, 1824, t. VII, p. 277; А. Д. Новичев, История Турции, Л., 1963, кн. I, стр. 221.

ლების გაძლიერება და განმტკიცება. მაგრამ ამას ყოველთვის როდი ახერხებდა. როგორც კი იმპერიის პოლიტიკურ-ეკონომიური საფუძველი მოიშალა და სახელმწიფომ დასუსტება იწყო, პროვინციის გამგებლები, ისე მოხერხებულად მოქმედებდნენ, რომ ეიალეთის მართვის რწმუნების ვადის გახანგრძლივებასაც აღწევდნენ და ზოგჯერ თავიანთი გამგებლობის შემკვიდრეობით გადაცემასაც. ასე იყო, მაგალითად, ერაყში 1702-იდან 1831 წლამდე, როცა ბაღდადის საფაშოს სათავეში ედგნენ ჯერ ალბანელები ჰასან ფაშა (1702—1723 წწ.) და მისი ვაჟი აჰმედი (1723—1747 წწ.), ხოლო შემდეგ კი ქართველი ქულემენები: სულეიმან ფაშა მიზრაკლი (1749—62), სულეიმან ფაშა ბუიუქი (1780—1802), ჰაფიზ ალი ფაშა (1802—7), სულეიმან ფაშა ქუჩუქი (1807—1810), საიდ ფაშა ასადი (1813—1815) და ბოლოს დაუდ ფაშა (1816—1831). მათ დროსო, აღნიშნავს კ. რიტერი, „პორტას ბრძანებებს მხოლოდ იხილავდნენ, შესრულებით კი იშვიათად თუ მოიყვანდნენ სისრულეშიო“[41].

ვალის ხელისუფლების საყრდენსა და ოსმალეთის იმპერიის პროვინციული მართვა-გამგებლობის ერთ-ერთ ძირითად რგოლს წარმოადგენდა სანჯაკი ანუ ლივა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყოფოდა კაზებად. სანჯაკები და კაზები ისეთნაირადვე იყო მოწყობილი როგორც ეიალეთები, ხოლო მათ სათავეში მდგომ სანჯაკ ბეგებს ანუ მირ ლივებს და კადიებს თავიანთ სახელოში ჰქონდათ ისეთივე უფლებები და ვალდებულებები, როგორიც ვალის მთელს ეიალეთში. სანჯაკ ბეგები, რომლებსაც ერაყში მუთასარიფებს[42] უწოდებდნენ, უშუალოდ ვალის ემორჩილებოდნენ. ეს უკანასკნელი ნიშნავდა ან ხსნიდა მათ და მისგან ღებულობდნენ საჭირო მითითებებსა და განკარგულებებს. ომის დროს სანჯაკ ბეგი ვალდებული იყო ვალის პირველი დაძახებისთანავე შეეკრიბა თავის სახელოს ლაშქარი და გამოცხადებულიყო მასთან. XVIII საუკუნიდან სანჯაკ ბეგები ატარებდნენ ერთთუღიანი ფაშას წოდებას, ამიტომ ერაყში მათ სანჯაკ ბეგების ან მირ ლივების სახელით იშვიათად თუ მოიხსენიებდნენ. ისინი მუთასარიფებად და მირმირანებად[43] იწოდებოდნენ და ფლობდნენ როგორც სამოქალაქო, ისე

---

[41] K. Ritter, Die Enrdcunde von Asien, Berlin, 1844, VII, ნაწ. II, გვ. 814, და შემდ.

[42] متصرّف (არაბ) — ოლქის უფროსი, მმართველი.

[43] میرمیران (არაბ) — სპეციალურ ლიტერატურაში ეს სამოხელეო მნიშ-

სამხედრო ხელისუფლებას. სამოხელეო შტატი მათთანაც ისეთივე იყო, როგორიც ეიალეთის გამგებელთან. ოღონდ ისინი უფრო დაბალი რანგისა იყვნენ და ამის გამო სახელწოდებასაც განსხვავებულს ატარებდნენ.

როგორც უკვე ვთქვით, სანჯაკის შემდეგ უფრო მცირე ადმინისტრაციულ სამმართველო რიგით ერთეულს ოსმალეთის იმპერიაში წარმოადგენდა კაზა, რომელსაც თავდაპირველად კადი განაგებდა, ხოლო XIX ს-ში კაიმაკამი. კადიები მართლმსაჯულების წარმომადგენლები იყვნენ, კაიმაკამები კი სამხედრო უწყებისა. ამაზე მიუთითებს თვით სიტყვა კაიმაკამი, რაც მმართველთან ერთად პოდპოლკოვნიკსაც ნიშნავს.

ერთობ თავისებური იყო 'აშირეთის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის, ორგანიზაცია და მმართველობის სტრუქტურა. ის იყო ისეთი ერთეული, რომელსაც საფუძვლად ედო გვაროვნული თემი. ამიტომაც იგი ჩვეულებრივ გვხვდება იქ, სადაც საზოგადოება მთლიანად ან ნაწილობრივ დაყოფილია ტომებად. ოსმალეთის იმპერიაში ტომობრივი საზოგადოებები ძირითადად წარმოდგენილი იყო ქურთისტანსა და არაბულ ქვეყნებში, კერძოდ კი ერაყში, სადაც დღესაც დაახლოებით ასოცამდე სხვადასხვა ტომს ითვლიან[44]. XIX ს. ერაყში ზოგი ტომი მთლიანად მეჯოგეობას მისდევდა. ზოგი კი მიწათმოქმედებასაც, რაშიც ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა არა განვითარების დონე, არამედ გეოგრაფიული გარემო. ადამიანთა ყოფა და საქმიანობა განსაზღვრავდა მათი ცხოვრების წესს. ის ტომები, რომელთათვისაც მეურნეობის ერთადერთ დარგს მეჯოგეობა წარმოადგენდა, მომ-

---

ვნელობის სიტყვა სხვადასხვაგვარადაა განმარტებული. ა. ტ ვ ე რ ი ტ ი ნ ო ვ ა ს აზრით, მირმირანი ბეგლარბეგის სინონიმს წარმოადგენს (იხ. Аграрный строй Османской империи XV—XVII вв. стр. 195, 206). ასეთივე მოსაზრებას გამოთქვამენ მ. ს ვ ა ნ ი ძ ე (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 96). და ა. ა ვ ა ლ ი ა ნ ი (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 29), მაგრამ ეს განმარტება, ჩვენის აზრით, დაზუსტებას მოითხოვს. ოსმალეთში მირმირანი ბეგლარბეგის სინონიმად იხმარებოდა მხოლოდ XVI — XVII საუკუნეებამდე, XVIII ს-ში სანჯაკ ბეგის ანუ მირ ლივას სინონიმად იქცა (იხ. Х у р ш и д - Э ф е н д и, Сиях-намэ-и-Худуд, стр. 461) და მისი მფლობელი ბეგლარბეგსა და ვაზირზე დაბლა იდგა (S. H. L o n g r i g g, დასახ. ნაშრომი, გვ. 354). მირმირანები პატარა ქალაქების გამგებლებადაც კი ინიშნებოდნენ (А. Ф. М и л л е р, Мустафа паша Байрактар, М.-Л., 1947, стр. 494).

[44] Б. М. Д а н ц и г, Ирак, стр. 24.

თაბარულ-მოხეტიალე (ნომადურ) ცხოვრებას ეწეოდნენ, ხოლო იმ ტომებში, რომლებიც მეჯოგეობასთან ერთად მიწათმოქმედებასა და მებაღეობასაც მისდევდნენ, მხოლოდ მეჯოგეები მომთაბარეობდნენ, დანარჩენები კი ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ. მიუხედავად ამგვარი სხვაობისა, გვაროვნული ორგანიზაცია ყველა ტომში თითქმის ერთნაირი იყო. ძირითადი მასა ბედუინები (მომთაბარენი) და ფელაჰები (ბინადარნი) იყვნენ. ისინი გაერთიანებულნი იყვნენ ოჯახებად, რომელთაც სათავეში ედგნენ უხუცესნი. ოჯახები ერთიანდებოდნენ ტაიფებად (გვარებად, მცირე ტომებად), ხოლო თითოეულ ტაიფს განაგებდა შეიხი, რომელიც თავისი სოციალური მდგომარეობით იგივე იყო, რაც ფეოდალი. შეიხის თანამდებობა არჩევითი იყო. ირჩევდა მას მთელი ტომის შემადგენლობა ისე რომ, არც ამომრჩევლებს და არც ასარჩევებს ამისათვის რაიმე ცენზი არ სჭირდებოდათ. ყველას შეეძლო წამოეყენებინა შეიხად ის, ვინც მას სურდა, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დემოკრატიზმის ეს პრინციპები ხშირად ირღვეოდა და ჯერ კიდევ XIX საუკუნემდე შეიხის თანამდებობა ერაყში მემკვიდრეობითი იყო, ე. ი. გადაეცემოდა ის მამიდან შვილს, ძმას ან ბიძას. დემოკრატიზმის პრინციპებიდან გადახვევაში, სხვათა შორის, გარკვეული როლი შეასრულა არაბებში ფართოდ გავრცელებულმა გვარიშვილობის წესმა. რაც უფრო დიდხანს შეინარჩუნებდა შეიხი თანამდებობას, მით უფრო მოსწონდათ თავი ამ გვარის არაბებს, რომლებიც მიუთითებდნენ ხოლმე, რომ ისინი იყვნენ ამა და ამ ცნობილი კაცის ჩამომავალნი. ამიტომ შეიხის შეცვლა ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი თავს ვერ გამოიჩენდა ჭკუა-გონებით და ღირსეულად ვერ უხელმძღვანელებდა ტომს.

შეიხი, თუ მას სურდა დიდხანს ყოფილიყო ამ თანამდებობაზე, ყოველი საკითხის გადაჭრისას უნდა მოთათბირებოდა ტომის წევრებს და მეტადრე გვარის უხუცესთ. ამასთან, შეიხის პირადი ავტორიტეტისა და ხელისუფლების ზრდა დიდად იყო დამოკიდებული თვითონ მის პიროვნებაზე. ძლიერი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათის შეიხი ყოველთვის დიდი ნდობით სარგებლობდა ტომში და ჰქონდა განუსაზღვრელი უფლება, რაშიც მცირე როლს როდი ასრულებდა ხელგაშლილობა.

შეიხის კარვის კარი მუდამ ღია უნდა ყოფილიყო. რაც მეტ პურ-მარილს დახარჯავდა, მით უფრო პოპულარული იქნებოდა მისი

სახელი[45], ხოლო ხელგაშლილობა იმდენად შეიხის სტუმართმოყვარეობაზე კი არ იყო დამოკიდებული, რამდენადაც ქონებრივ შესაძლებლობაზე. ამიტომ ის, ვისაც მეტი ქონება ჰქონდა, ყველაზე პურმარილიან და სტუმართმოყვარედ იყო ცნობილი. შეიხის ქონება-შესაძლებლობის ძირითადი წყარო იყო შემოსავალი, რომელსაც ის ხარკის სახით ღებულობდა დაპყრობილი ტომის მოსახლეობიდან[46], ქარავნებისაგან ტომის ტერიტორიაზე უშიშრად გავლისათვის გაღებული გადასახადი, სხვადასხვა საბაჟო გამოსაღებლები და ოსმალეთის სახელმწიფო სამსახურში ყოფნისათვის გასამრჯელოს სახით ბოძებული საკარგავი (ლენი)[47].

შეიხი, როგორც გვარის ან ტომის უფროსი, ვალდებული იყო ომის დროს წინ გაძღოლოდა თავის ლაშქარს[48], მოლაპარაკება ეწარმოებინა მოწინააღმდეგესთან დაზავების შესახებ და გაერჩია სასამართლო საქმეები[49]. ასე რომ, მის ხელთ იყო მინდობილი ტომის ბედი.

შეიხები სამი კატეგორიისა იყვნენ: მცირე, საშუალო და დიდი. მცირე შეიხი სათავეში ედგა „ტაიფს" და ექვემდებარებოდა „კაბილეს" გამგებელს, რომელიც, წყაროს ცნობით, შეიხთა საშუალო კატეგორიას ეკუთვნოდა. როგორც „ტაიფის", ისე „კაბილეს" შეიხს

---

[45] ინგლისელი ოფიცრის ჯ. ველსტიდის ცნობით, მუნთაფიქების შეიხ აჯილის კარავში ყოველდღე სადილობდა 300 კაცი (J. R. Welsted, Travels to the city of the Chaliphs, London, 1840, vol. I. p. 198), ხოლო შამმარის ტომის ბელადის მუპამად იბნ რაშიდის კარავში — 2000. (E. Nolde, Reise nach Innerarabien, Kurdistan und Armenien, 1892, ص. 36). ჯ. ბურკჰარტის სიტყვით, ასეთი შესაძლებლობა ჰქონია არა ყველას, არამედ მხოლოდ დიდი ტომების ბელადებს და იმათ, ვინც გასამრჯელოს იღებდა ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლებისაგან. (J. L. Burckhardt, Notes on the Bedouins and Wahabys, London, 1831 , vol. I, pp. 119, 285; А. Ментешашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 19).

[46] სამხედრო ნადავლის ერთი მეხუთედი შეიხის იყო.

[47] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

[48] უკეთუ ავადყოფობის, მოხუცებულობის თუ სხვა მიზეზებით შეიხს არ შეეძლო ეხელმძღვანელა ლაშქრისათვის, მაშინ ტომის დროებით ბელადად ნიშნავდნენ 'აკიდს (عقيد), რომელსაც უსიტყვოდ ემორჩილებოდა ყველა, თვით შეიხიც კი. შეიძლებოდა 'აკიდად მოეწვიათ უცხო ტომის წარმომადგენელი, როცა შესაფერისი კანდიდატი ტომში არ მოიძებნებოდა (Lady Anna Blunt, Bedouin tribes of the Euphrates, London, 1879, vol. II, pp. 336—337).

[49] ყოველგვარი სასამართლო საქმე შეიხს უნდა განეხილა ბედუინთა ადათობრივი წესების საუკეთესო მცოდნესთან ერთად, რომელიც ყველა ტომს ჰყავდა და „კადი ალფერა" ან მოკლედ „'არიფი" (عارف) ეწოდებოდა. 'არიფის დასტურის გარეშე გადაწყვეტილება ძალაში ვერ შევიდოდა (А. Адамов, стр. 150).

ირჩევდა ტომის კრება. იგი ემორჩილებოდა მთავარ შეიხს, რომელიც მართავდა რამდენიმე „კაბილეს". მთავარ შეიხს ყველაზე მაღალი ადგილი ეკავა ტომის ოლიგარქიაში და უწოდებდნენ „შაიხ-ალ-ქაბირს" (დიდ შეიხს) ან „შაიხ აშ-შუიუხს" (შეიხთა შეიხს). მას თანამდებობაზე, როგორც წესი, ირჩევდნენ, მაგრამ ამავე დროს, როგორც ხურშიდ ეფენდი ამბობს, „არავის არ ჰქონდა უფლება წინააღმდეგობა გაეწია ვალიებისათვის... (მის) მოხსნა-დანიშვნაში"[50]. ისე როგორც სანჯაკ ბეგი, შეიხ აშ-შუიუხიც ამირის ტიტულს ატარებდა, ოღონდ მას არც დოლი ჰქონდა, არც დაფი და არც ალამი. ამასთან, ომის დროს ის თავისი ლაშქრით სანჯაკ ბეგს უნდა ხლებოდა: სხვა დროს კი მისგან სრულიად დამოუკიდებელი იყო და მის უფროსს მხოლოდ ეიალეთის გამგებელი წარმოადგენდა.

შეიხ აშ-შუიუხის თანამდებობა მემკვიდრეობითი იყო. იგი გადაეცემოდა მამიდან შვილს ან სხვა ნათესავს გვარის ფარგლებში, თუ ოჯახი ან გვარი ამოწყდებოდა, შეიხ აშ-შუიუხად სხვა გვარის წევრს დანიშნავდნენ[51]. დიდი შეიხი თავის ხელისუფლებას ახორციელებდა საშუალო და მცირე შეიხების მეშვეობით. ისინი მუდამ მასთან იმყოფებოდნენ და თავიანთი ტომის ყველა წევრს აცნობდნენ ხელისუფლების განკარგულებებს. შეიხს შეეძლო სიკვდილით დაესაჯა ტომის ყოველი წევრი და პასუხს ამისათვის ვერავინ მოსთხოვდა[52].

მიუხედავად იმისა, რომ 'აშირეთები წესის თანახმად ეიალეთის გამგებელს ექვემდებარებოდნენ, ზოგიერთი არათუ ვალის ეურჩებოდა, არამედ სულთანსაც უარს ეუბნებოდა მორჩილებაზე. ამიტომ ასეთ 'აშირეთებს „უმართავი 'აშირეთები" ეწოდებოდა. ერაყში ასეთები იყვნენ: ანიზეს, შამარისა და აზ-ზაფირის 'აშირეთები[53], რომლებიც სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ.

ერაყის პროვინციულ მართვა-გამგებლობის ორგანიზაციაზე რომ სრული წარმოდგენა გვქონდეს, მოკლედ შევეხებით ნაჰიეს, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო კაზაზე მცირე ადმინისტრაციული ერთეული.

---

[50] Хуршид Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

[51] M. Belin, დასახ. ნაშრომი, გვ. 285; მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

[52] Хуршид Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 56—57.

[53] იქვე.

ხურშიდ ეფენდის ცნობით, ნაჰიეს სათავეში ედგა აღა ანუ მიზანი[54] .მას ირჩევდნენ ადგილობრივი მოსახლეობიდან. ნაჰიეს უფროსად არჩეული პიროვნება თანამდებობას ინარჩუნებდა გარდაცვალებამდე, თუკი მანამდე რაიმე დანაშაულს არ ჩაიდენდა. გარდაცვალების შემდეგ თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა გარდაცვლილის შვილზე, ხოლო თუ შვილი არ ჰყავდა, მაშინ სხვა უახლოეს ნათესავზე[55].

ნაჰიეს უფროსი აღა ანუ მიზანი კაზის გამგებელ კადის (ყადის) ან კაიმაკამს ექვემდებარებოდა. მისი მოვალეობა იყო თვალყურის დევნება მთავრობის განკარგულებების შესრულებაზე, გადასახადების დროულად აკრეფაზე, ახალშობილთა აღრიცხვაზე და, გარდა ამისა, ხელმძღვანელობა ნაჰიეს საბჭოსადმი, რომელიც სოფლის უხუცესების — ვუჯუჰების ანუ მუხთარებისაგან შედგებოდა.

გარდა ამისა, ერაყში არსებობდა საქალაქო მმართველობაც — ბალადიე. იგი შედგებოდა მუდირისა (უფროსის) და რამდენიმე წევრისაგან. ვილაიეთის მთავარ ქალაქში მუდირს ვალი ნაშნავდა, სხვა ქალაქებში — სანჯაკის უფროსი მუთასარიფი ან მუთასალიმი. ბალადიეს სხვა წევრებს ირჩევდნენ, მაგრამ არჩევნები იყო შეზღუდული. ამომრჩეველზეც და ასარჩევზეც დაწესებული იყო ქონებრივი ცენზი. ვ. დუ ველის ცნობით, ბასრას ეიალეთში ამომრჩეველზე დაწესებული იყო 40 პიასტრი, ხოლო ასარჩევზე 100 პიასტრი[56].

ბალადიე მთლიანად ექვემდებარებოდა ვილაიეთისა და სანჯაკის ადმინისტრაციას. ამიტომ მისი არც ერთი დადგენილება, ღონისძიება არ იქნებოდა შესრულებული ისე, თუ ამაზე არ იქნებოდა დასტური პროვინციის ან ოლქის უფროსისაგან.

ბალადიეს მოვალეობა იყო ქალაქში სისუფთავისა და წესრიგის დამყარება, მისი კეთილმოწყობა, რისთვისაც საჭირო ხარჯები აიღებოდა მოსახლეობიდან[57].

ისე როგორც ოსმალეთის იმპერიის სხვა საზღვრისპირა პროვინციებში, ერაყშიც, გარეშე მტრისაგან თავდასაცავად, დაჯარობი-

---

[54] ა. ადამოვი ნაჰიეს გამგებლად მუდირსაც მოიხსენიებს (А. Адамов, დასახ. ნაშრომი. გვ. 68), მაგრამ მუდირი ქალაქში იყო.

[55] Хуршид Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 242—243.

[56] A. Du Veley, Essay sur l'Histoire finencière de la Turquie, Paris, 1903, pp. 222—223.

[57] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

თი ომების საწარმოებლად და ქვეყნის შიგნით ხელისუფლებისათვის სასურველი წესრიგის დასამყარებლად, არსებობდა შეიარაღებული ძალა. რომელიც შედგებოდა სულთნის ანუ საერთო-საიმპერიო და საკუთრივ ერაყის ადგილობრივი ხელისუფლების რეგულარული და ირეგულარული ჯარების სხვადასხვა სახეობებისაგან. ირეგულარული ჯარის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობა იყო ფეოდალური ლაშქარი, კავალერია, რომელიც მხოლოდ ომის დროს იკრიბებოდა და ომის დამთავრებისთანავე იშლებოდა. იგი მთლიანად დაფუძნებული იყო ოსმალეთში ფართოდ გავრცელებულ ლენურ ანუ თიმარულ -ზიამეთურ სისტემაზე, რომლის არსი, როგორც ცნობილია, მდგომარეობდა იმაში, რომ სახელმწიფო სამსახურში (ყველაზე მეტად, ომში) თავის გამოჩენისათვის კაცი სახელმწიფო ხელისუფლებისაგან ღებულობდა მიწის ნაკვეთს[58] ზედ დასახლებული გლეხებითურთ (რაიები, ფელაჰები) და ხდებოდა ფეოდალი. ასეთი ფეოდალი. თუ მისი შემოსავალი 2000 ან 3000 აკჩას არ აღემატებოდა, ვალდებული იყო მხოლოდ თვითონ გამოსულიყო ომში, ხოლო თუ შემოსავალი უფრო მეტი იყო, მაშინ ბრძოლაში უნდა გამოეყვანა აგრეთვე გარკვეული რაოდენობა მეომრებისა. გამოსაყვან მეომართა რიცხვი განისაზღვრებოდა როგორც ლენის შემოსავლის სიდიდით, ასევე მასზე დადგენილი ნორმით, რომელიც დამოკიდებული იყო იმაზე თუ სად (ქვეყნის რომელ მხარეში) იმყოფებოდა იგი.

ლენი, რომელიც წელიწადში 19999 აკჩამდე შემოსავალს იძლეოდა, თიმარად იწოდებოდა, ხოლო 20000-იდან 99999 აკჩიანი — ზიამეთად. თიმარები ორი სახისა იყო: თეზქერეს[59] მქონე (თეზქე-

---

[58] ამასთან დაკავშირებით ჟირარდინი (საფრანგეთის ელჩი სტამბოლში 1687 წელს) თავის «Memoire sur le Situation de l'Empire»-ში მიუთითებს, რომ „ყოველი პროვინციის მიწები დანაწილდა ხმლის ხალხს შორის ლენებად და ულუფებადო".

სულეიმან კანონის დროს მიწას აძლევდნენ მხოლოდ მეომრებს, შემდეგ ეს წესი თანდათან შეიცვალა და უკვე XVI საუკუნის 80-იან წლებში ლენებს ღებულობდნენ არა მარტო ბრძოლის მონაწილენი, არამედ ისინიც ვისაც სამხედრო სამსახურთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა (იხ. M. Belin, დასახ. ნაშრომი, გვ. 229—237).

[59] تذكره ბეგლარ ბეგის (ვალის, ფაშას) მიერ სულთნის სახელზე გაგზავნილი წერილობითი წარდგინება, ცნობა, რომლითაც დასტურდებოდა ამა თუ იმ პირის უფლება თიმარზე. თეზქერეს საფუძველზე სულთანი იძლეოდა ბოძების სიგელს, ბარათს (ბარათის შესახებ იხ. ს. ჯიქია, ერთი თურქული საბუთი ცხინვალის შესახებ, თსუ, შრომები, 1965, ტ. 116, გვ. 246).

რელი)[60] და უთეზქერო (თეზქერესიზ)[61]. უთეზქერო თიმარის შემოსავალი ერაყში არ შეიძლებოდა ყოფილიყო 6000 აკჩაზე მეტი და მისი კილიჯი (ხმალი) 2000 იყო[62], ე. ი. თიმარის მფლობელს ყოველ 2000 აკჩაზე უნდა გამოეყვანა ერთი სიფაჰი ან ჯებელი[63]. თითოეული თიმარი და ზიამეთი თავისი შემოსავლითურთ აღრიცხული და შეტანილი იყო სპეციალურ წიგნში. მთავრობის სათანადო განკარგულების გარეშე, თიმარის არც გაყოფა შეიძლებოდა და არც გაერთიანება. ამიტომ ასეთი სისტემის დროს ქვეყნის გამგებელმა ზუსტად იცოდა რა რაოდენობის ლაშქარი მოუვიდოდა მას საჭირო შემთხვევაში.

ფეოდალური ლაშქრის გარდა ერაყში ოსმალეთის სახელმწიფოს ღირსებას იცავდა აგრეთვე კაფიკულუს სახელწოდებით ცნობილი რეგულარული, დაქირავებული ჯარი, რომელიც რამდენიმე სახეობად იყოფოდა: ქვეითი ჯარი (იენიჩრები), ცხენოსანი ჯარი — ე. წ. „ექვსი პოლკი", არტილერია, ჯებეჯი, თოფჩი, არაბაჯი და სხვ. ამათგან ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ქვეითი მუდმივი ჯარი, იენიჩრები[64].

---

[60] تذكره‌لى تيمار -თეზქერეს საფუძველზე სულთნის მიერ გაცემული ბარათით მიღებული თიმარი.

[61] تذكره‌سز تيمار -უშუალოდ ბეგლარ ბეგის მიერ (უთეზქეროდ და უბარათოდ) გაცემული თიმარი 6000 აკჩაზე ნაკლები.

[62] რუმელიის ეიალეთებში უთეზქერო თიმარის კილიჯი იყო 3000, ხოლო ანატოლიისაში — 2000. მიუხედავად იმისა თუ როგორი სიდიდის იყო თიმარი, 5000 აკჩიანი თუ 3000-იანი (M. Belin. დასახ. ნაშრომი, გვ. 49).

[63] სიფაჰიცა და ჯებელიც ცხენოსანს ნიშნავს. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ჯებელი ჯავშნიანი მხედარია (გ. ფუთურიძე, ოსმალეთი, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან", თბ., 1957, გვ. 252, შენ. 5), პატარა თიმარის მფლობელი, რომელიც თვითონ მიდის სალაშქროდ (Аграрный строй Османской империи XV—XVII вв. М., 1963, стр. 199).

[64] yeniçeri (თურქ.)— სიტყვასიტყვით „ახალი ჯარი", შეიქმნა XIV ს-ში სულთან მურად I-ის დროს (1361—1363). ის წარმოადგენდა „პროფესიულ მუდმივ ლაშქარს, შემდგარს თურქეთში წაყვანილ და იქ ძალით გამაჰმადიანებული ქრისტიანებისაგან, რომლებიც სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. იენიჩრების რაზმებს თავდაპირველად სამხედრო ტყვეებით აკომპლექტებდნენ; შემდეგ კი მურად I-მა შემოიღო ე. წ. „დევშირმე" (ქრისტიანი ბავშვების შეკრება იენიჩრების რიგების შესავსებად). ფაქტიურად ეს იყო ვალდებულება ოსმალების მიერ მიტაცებული ქრისტიანული ქვეყნებისათვის, რომლის ყოველ ათ მაცხოვრებელს 5 ან 3 წელიწადში ერთხელ ერთი ბავშვი (8—12 წლის ასაკისა) იენიჩრად უნდა გაეღო. „დევშირმე" ეხებოდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებს, საბერძნეთსა და ნაწილობრივ სომხეთსაც. „დევშირმე" აიღებოდა მხოლოდ და მხოლოდ ალბანელ-

კოჩი ბეი გორიჯელის ცნობით, ბაღდადში იენიჩართა 8000-იანი[65] კორპუსი იდგა, ა. ადამოვის მიხედვით კი—XIX ს. დასაწყისში ერაყში სულ 15 000 იენიჩარი ყოფილა ჩაყენებული. აქედან 8000 კაცი ქ. ბაღდადში იყო დაბანაკებული, 500— ბასრაში, ხოლო დანარჩენები ერაყის სხვა ქალაქებში[66].

ერაყში მყოფი იენიჩრები იცვლებოდა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. რწმუნების ვადის გასვლის შემდეგ ერაყის ტერიტორიაზე განლაგებული იენიჩრების რაზმები სტოვებდნენ ამ ადგილებს და მიდიოდნენ სხვაგან, ხოლო მათ შესაცვლელად სტამბოლიდან იგზავნებოდა ახალი რაზმები[67].

იენიჩრებთან ერთად ბაღდადში, ბასრასა და ერაყის სხვა ქალაქების ციხე-სიმაგრეებში მსახურობდნენ მეზარბაზნენი და მათი მომსახურე თოფარაბაჯები. ამ უკანასკნელთა მოვალეობა იყო ზარბაზნების გადატან-გადმოტანა და მათი დაყენება საბრძოლო პოზიციებზე. საომარი მასალის მცველები იყვნენ „ჯებეჯიები“ — მესაპურვლენი, რომლებიც დაქირავებულ ჯარს ამარაგებდნენ იარაღით, აბჯრით, ტყვია-წამლითა და სხვა საბრძოლო მასალით[68].

ყველა ზემოჩამოთვლილი ჯარის სახეობა წარმოადგენდა საიმპერიო სამხედრო ძალებს ერაყში. მათ ევალებოდათ როგორც ცენტრალური ხელისუფლების ინტერესთა დაცვა-განმტკიცება დაპყრობილ მხარეში, ისე დაპყრობით ომებში მონაწილეობა. ასეთი მოვალეობა ეკისრებოდა აგრეთვე საზღვაო ფლოტსაც, რომელიც ქ. ბასრის ნავსაყუდში იდგა და უშუალოდ კაფუდან ფაშას ანუ საზღვაო ფლოტის უფროსის განკარგულებაში იყო. ასეთი

თა, ბოსნიელთა, ბერძენთა, ბულგარელთა და სომეხთა შორის. სხვა ხალხისაგან აკრძალული იყო“ (Koçi Bey Risalesi, Istanbul, 1939, გვ. 28.). საქართველოზე ოდ არ გავრცელებული, რადგან ცნობილია, რომ ოსმალობა აქ ფეხს იკიდებს მხოლოდ XVI ს 90-იანი წლებიდან, როცა იენიჩრების ოდგების შევსების წესში უკვე მომხდარი არსებითი ცვლილებების გამო, რაც ნაკარნახევი იყო ქვეყნის მთელი რიგი საშინაო და საგარეო არახელსაყრელი პირობებით, „დეევშირმე“ ფაქტიურად გაუქმებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად მხოლოდ 1638 წ. გაუქმდა (იხ. J. Hammer, Geschichte des Osmanisehen Reiches, 1829, B. V, გვ. 244). ამიტომ მოსაზრება, რომ საქართველოდან წაყვანილ ტყვეებს ოსმალეთში „იანიჩრებად“ იყენებდნენ (იხ. საქართველოს ისტორია ნაწ. I, თბ., 1958, გვ. 316) დაზუსტებას მოითხოვს.

[65] А. С. Тверитинова, Второй трактат Кочибея, стр. 230.

[66] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 352.

[67] А. С. Тверитинова, დასახ. ნაშრომი, გვ. 230—234.

[68] გ. ფუთურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 248.

დანიშნულების გამო ყველა ეს ნაწილი უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებას ექვემდებარებოდა და არა ადგილობრივ მთავრობას. ერაყის გამგებელს ისინი მხოლოდ მაშინ ემორჩილებოდნენ, როცა საქმე გარედან თავდასხმის მოგერიებას ან სულთნის ბრძანებით სხვისი ტერიტორიის მიტაცებას შეეხებოდა. სხვა შემთხვევაში, როცა ფაშა ხონთქრის წინააღმდეგ ან მის დაუკითხავად იწყებდა მოქმედებას, ისინი არამცთუ ემორჩილებოდნენ, წინააღმდეგაც კი გამოდიოდნენ.

მართალია, XIX საუკუნის დასაწყისში იენიჩრები სულთანსაც აღარ ემორჩილებოდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ცალკეული პროვინციების ადგილობრივ გამგებელთა დასაყრდენ ძალად ყოველთვის არ გამოდგებოდნენ. ამიტომ ერაყის მმართველ ფაშებს ჰასან ფაშას დროიდან (1702—1723 წწ.) ჰყავდათ საკუთარი შეიარაღებული რაზმები. თაბით ეფენდის ცნობით, ერაყის გამგებელი ფაშების ასეთ შეიარაღებულ რაზმებს XIX ს. დასაწყისში წარმოადგენდნენ:

1. სასახლის შინამსახური აღების კავალერია . . .	1200	კაცი
2. ჩოკდარებისა[69] და მიჰთარების[70] ცხენოსანი რაზმი	300	„
3. ზაბის ცხენოსანი რაზმი	300	„
4. ქაჰია ბეგის სახლის და სასახლის გარეთ მსახური აღების მომსახურეთა რაზმი	1700	„
5. ლევენდის რაზმი	1500	„
6. ქალფაქლუს რაზმი	1500	„
7. მეთოფეთა ქვეითი რაზმი	500	„
8. 'უკაილის (ქვეითი) რაზმი	5000	„
9. მეზარბაზნეთა რაზმი	500	„
ს უ ლ	12500	კაცი[71]

პირველი სამი დასახელების მეომრები ბედაურებს, აკაზმულობასა და იარაღს საფაშო ხელისუფლებისაგან ღებულობდნენ. ქაჰია ბეგის მხედრიონს თვით ქაჰია ბეგი ამარაგებდა, გარეთმსა-

[69] ფაშას ხიფანთა მცველი.

[70] დამკვრელები, მუსიკოსები ფაშას სასახლეში.

[71] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 205. არაბი ავტორის ეს ცნობა არ უნდა იყოს სრული, რადგან სხვა არანაკლებ სანდო წყაროებიდან ვიცით, რომ XIX ს. 20-ან წლებში ბაღდადის ფაშას ჰყავდა 30 ათასიანი ევროპულად გაწვრთნილი რეგულარული ჯარი, საიდანაც დაახლოებით 4000 მამლუქი იყო.

ხური აღების მომსახურეთა რაზმის მეომრებს კი მათი საკუთარი პატრონები. სამივე რაზმის თითოეული მხედარი აღჭურვილი იყო წყვილი დამბაჩით, თოფით, შუბით და ჰყავდა არაბული ჯინის ცხენი. ისინი გადიოდნენ ყოველდღიურ წვრთნას, აღზრდილი იყვნენ იმდროინდელი სამხედრო წესების მიხედვით და ითვლებოდნენ რჩეულებად.

მათთან შედარებით მეორეხარისხოვან რაზმად იყო მიჩნეული ლევენდა — ნახევრად რეგულარული ჯარის ნაწილი, რომელიც ძირითადად ქურთებისა და ლურებისაგან იყო დაკომპლექტებული. ისინი შეიარაღებული იყვნენ ისე, როგორც სხვები, სამი ცეცხლმსროლელი იარაღით, მაგრამ ნაკლებად გაწაფული მის ხმარებაში. მათ ცხენებიც საკუთარი სახსრით უნდა შეეძინათ, ამიტომ შედარებით უარეს ცხენებზე ისხდნენ.

ლევენდისაგან განსხვავებით, ქალფაქლუ იყო ადგილობრივი რეგულარული ქვეითი ჯარის სახეობა. მისი შემადგენლობა ატარებდა მოკლე შარვლებს[72] და შალის ფერად თავსაბურებს; ეცვათ მოკლე ხალათები და თხის ბეწვისაგან დამზადებული უხეში შალის ქსოვილის ქურთუკები.

რაც შეეხება მეთოფეებს, ისინი თავზე იხურავდნენ ჩალმაშემოხვეულ ფესკებს და ეცვათ წითელი ფერის ისეთივე სამოსი, როგორიც ქალფაქლუს ქვეითებს.

ქალფაქლუსა და მეთოფეთა რაზმები შეადგენდნენ ერაყის გამგებელი ფაშას პირად დაცვას. მათ ჰქონდათ თავიანთი სამხედრო ორგანიზაცია, დაყოფილი იყვნენ ათეულებად, ოცეულებად და ასეულებად; ათეულს ხელმძღვანელობდა ონბაში[73], ოცეულს — ჩაუში[74], ხოლო ასეულს — იუზბაში[75]. ქალფაქლუელებიც და მეთოფეებიც შეიარაღებულნი იყვნენ თოფებით. ისინი გამოირჩეოდნენ ბრძოლის ველზე მამაცობითა და თავგანწირული მოქმედე-

---

[72] Hamdy-Bey et Marie Launau, Les costumes populaires de la Turquie, Constantinople, 1873, p. 35; Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 206.

[73] ათისთავი, უმცროს მეთაურთა შემადგენლობის სამხედრო ჩინი ზოგიერთი ქვეყნის არმიაში.

[74] ოცისთავი (Cl. Huart, იქვე), მაგრამ ადრე ჩაუში უფრო მაღალი რანგი უნდა ყოფილიყო. მაგ., 'აინი 'ალის ჩაუში მოხსენიებული ჰყავს ალაიბეგის (ათასისთავი) და ბაირაკტარის ანუ ათასისთავის მოადგილის შემდეგ (M. Belin, დასახ. ნაშრომი, გვ. 231, 321).

[75] ასისთავი (Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 206), რომელსაც ჰამერი „სუბაშად" მოიხსენიებს.

ბით. ამ მხრივ მათ მხოლოდ 'უკაილები სჯობნიდნენ. 'უკაილის ტომის ადრინდელი ადგილსამყოფელი იყო არაბეთის ნახევარკუნძულის ცენტრალური რაიონი — ნეჯდი, მაგრამ შემდეგ (დაახლ. XVIII ს-ში) ისინი საცხოვრებლად გადმოვიდნენ ერაყში და ჩადგნენ აქ ადგილობრივი ფაშას სამსახურში. 'უკაილებიც შეიარაღებული იყვნენ თოფებით.

ყველა ზემოდასახელებული რაზმისა და აგრეთვე ბარათლის[76] ჯარისკაცები იდგნენ ერაყის სამსახურში, მისგან ღებულობდნენ გარკვეულ გასამრჯელოს — მუვაზაფს[77].

გარდა რეგულარული ჯარის ნაწილებისა, ერაყის გამგებელს ჰყავდა ირეგულარული ლაშქარიც, რომელიც შედგებოდა როგორც ცხენოსნების, ისე ქვეითებისაგან. ცხენოსნებად იყვნენ მოსახლეობის ფეოდალური ფენის წარმომადგენლები, ხოლო ქვეითებად მდაბიონი — ბედუინები, ფელაჰები. ნამდვილი ბედუინი წარმოუდგენელი იყო ცხენის, აქლემისა და იარაღის გარეშე. ძველი იარაღებიდან მათში ყველაზე უფრო გავრცელებული იყო 3—4 მეტრი სიგრძის ბამბუკის შუბი, რომლის ერთი ბოლო სამკუთხა ბასრი რკინით მთავრდებოდა, ხოლო მეორე, წამახული ჰქონდა[78]. შუბის გარდა ისინი ატარებდნენ აგრეთვე ხმლებს, მოხრილ დანებს, აქლემის ტყავისაგან დამზადებულ ფარებს, ხელკეტებს და შურდულებს, რომლებითაც ბავშვობიდანვე ვარჯიშობდნენ. დიდ ინტერეს იჩენდნენ ცეცხლსასროლი იარაღისადმი. გრძელლულიანი თოფის შესაძენად, რომელიც ევროპელებს შემოჰქონდათ, ბედუინი მზად იყო გაეყიდა ყველაფერი[79].

სახალხო ლაშქარი ომის დროს იკრიბებოდა და ტომის ბელადების (შეიხების) ან 'აკიდებისა თუ არიერბანების წინამძღოლობით ირაზმებოდა სანჯაკ ბეგების ალმის ქვეშ და შემდეგ ამ უკანასკნელთა მეთაურობით ცხადდებოდა ერაყის გამგებელთან, ანდა მის მოადგილე ქაჰია ბეგთან.

არასრული სტატისტიკური ცნობებით ირკვევა, რომ სულეი-

---

[76] ადგილობრივი მუდმივი ქვეითი ჯარი (S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 251).

[77] ასეთსავე გასამრჯელოს იღებდნენ ფაშისა და მისი სასახლის მცველი მამლუქები, რომელთა შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ.

[78] ამგვარი შუბით ანუ „რუმით" ბედუინი საფრთხეში აგდებდა უკუქცეულ მოწინააღმდეგესაც და იმასაც, ვინც უკანდან თავდასხმას დააპირებდა.

[79] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 118—119.

მანიეს გამგებელს შეეძლო გამოეყვანა დაახლოებით 10000-მდე მებრძოლი: ქოის, ჰარირის, ამადიისა და სხვა სანჯაკ ბეგებს კი თითოეულს 1500—2000-მდე მებრძოლი. დაახლოებით ამდენივე კაცის გამოყვანა შეეძლოთ აგრეთვე ისეთ ქალაქებს როგორიც იყო ქირქუქი, მოსული, არბილი, ჰილლე, მენდელი და სხვები. ასე რომ, ერაყის გამგებელს საჭიროების შემთხვევაში შეეძლო 30000-იანი ლაშქრის შეგროვება[80], სულ კი დაახლოებით 42, 5 ათასი კაცის გამოყვანა. ამაში არ შედის მცველი რაზმი, რომელიც შედგებოდა ცხენოსნების, ქვეითებისა და მენავეებისაგან. ა. ადამოვის ცნობით, მარტო სამხრეთ ერაყში ანუ ბასრის ვილაიეთში საპოლიციო სამსახურს ეწეოდა 1012 კაცი. ამათგან 554 იყო ცხენოსანი, 283 ქვეითი და 175— მენავე[81]. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მაშინდელი ერაყი ბასრის გარდა მოიცავდა აგრეთვე ბაღდადის, მოსულისა და შაჰრიზურის ეიალეთებსაც, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ერაყში სულ 4000 კაცი მაინც იქნებოდა მცველ (საპოლიციო) რაზმებში.

ერაყში ჯარების თანამედროვე იარაღით აღჭურვასა და ევროპელ ყაიდაზე გაწვრთნაში გარკვეული ღვაწლი მიუძღვით ბაღდადის გამგებელ ქართველ ქულემენ ფაშებს სულეიმან აბუ ლაილს, სულეიმან ბუიუქს, ჰაფიზ 'ალისა და დაუდს, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

თავი მეორე

აგრარული ურთიერთობანი

ოსმალეთის იმპერიის პროვინციული მართვა-გამგებლობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმებთან. ამასთან, მიწათმფლობელობის იქ არსებული ფორმები გვიჩვენებდნენ მთელი სახელმწიფოს ფეოდალური წყობილების თავისებურებებს, რაც თითქმის თანაბრად დამახასიათებელი იყო აგრეთვე ერაყისთვისაც. ამიტომ გვინდა ზო-

---

[80] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 207.

[81] А. Адамов დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

გადად მაინც შევჩერდეთ მათზე და შევუდაროთ თურქეთის მიწათმფლობელობის ფორმები ერაყისას[1].

ოსმალეთში, ისევე როგორც მუსლიმური აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, მიწათმფლობელობის რამდენიმე ფორმა არსებობდა. დ. ბაქრაძე და ა. ტვერიტინოვა ოსმალეთში მიწათმფლობელობის 3 კატეგორიას ასახელებდნენ: კერძოს, სახელმწიფოს და ვაკფს[2].

---

[1] ჩვენი ეს ზოგადი მიმოხილვა ძირითადად ემყარება ორიენტალისტთა შემდეგ ნაშრომებს: ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეში, თბ., 1958; გ. ტ ი ვ ა ძ ე, მიწისმფლობელობის თანამიმდევი სისტემა როგორც სამხედრო-ფეოდალური ურთიერთობის საფუძველი ოსმალეთში, თ ს უ შრომები, ტ. 63; გ. ფ უ თ ურ ი ძ ე, ოსმალობა, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან", თბ., 1957; ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, აბასელთა სახალიფოს სოციალურ-ეკონომიური ვითარება VIII—IX საუკუნეებში, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან"; ა. ა ვ ა ლ ი ა ნ ი, მიწისმფლობელობის ფორმები აქარაში, 1960; ვ. დ ო ნ ა ძ ე, საზღვარგარეთული აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი ისტორია, თბ., 1963; А. Ф. М и л л е р, Мустафа-паша Байрактар, М.-Л., 1947; И. П е т р у ш е в с к и й, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—XIX вв., Л., 1949; А. С. Т в е р и т и н о в а, Восстание Кара Языджи — Дели-Хасана в Турции, М.-Л., 1946; მისივე, К вопросу о крестьянстве и крестьянском землепользовании в Османской империи XV—XVI вв., Ученые записки Института востоковедения, М., 1959, т. XVII; მისივე, О доменциальном землевладении феодалов-ленников в Османской державе в XV—XVI веках, «О генезисе Капитализма в странах Востока (XV—XIX.)", М., 1962; А. В а л у й с к и й, Феодальный строй Турции. М.-Л., 1932; Б. М. Д а н ц и г, Ирак, М., 1955; Л. Н. К о т л о в, Национально-освободительное восстание 1920 года в Ираке, М., 1958; Ж а к В е л е р с, Крестьяне Сирии и Ливана, М., 1952; M. B e l i n, Du régime des fiefs militaires dans l'Islamisme, Journal Asiatique, Paris, VI seriae, t. XV, № 57; В. П. М у т а ф ч и е в а, Аграрните отношения в Оманската империя през XV—XVI в. София, 1962; Б. Ц в е т к о в а, Поземлените отношения в Българските земи под османского владичество до средата на XVII в., «Исторически преглед», год. VII. кн. II; Н. Ф и л и п о в и ч, Поглед на османски феудализм, Годишнак историског друштва Босне и Херцеговине, год. IV. და სხვ.

[2] Д. Б а к р а д з е, Исторический очерк турецкой системы землевладения, приложения к протоколу Кавказ. Юрид. общ. № 9, Тифлис, 1889, стр. 31; А. С. Т в е р и т и н о в а, Восстание Кара Языджи... стр. 27; მისივე, О доменциальном землевладении феодалов-ленников в Османской державе в XV—XVI веках, стр. 314. ასეთივე მოსაზრებაა გამოთქმული აგრეთვე კრებულში — «Аграрный вопрос и крестьянское движение», т. IV, М., 1937, стр. 169 და ვ. დონაძის ზემოდასახელებულ ნაშრომში (გვ. 300). ამ მოსაზრებას იზიარებს აგრეთვე ბ. ცვეტკოვაც (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 160).

ა. მილერი და ბ. დანციგი მიიჩნევენ, რომ იქ არსებობდა მიწათმფლობელობის 4 კატეგორია. ა. მილერის აზრით ესენი იყო: სახელმწიფო მიწები, სულთნისა და მისი სახლის მიწები (ხასები), ვაკუფები და მულქის ანუ კერძო საკუთრებაში მყოფი მიწები[3]. ბ. დანციგი უარყოფს ხასის მიწების როგორც ცალკე კატეგორიის არსებობას და მის ნაცვლად მეოთხე კატეგორიად ასახელებს მავათის მიწებს[4]. ი. პეტრუშევსკისა და ვ. გაბაშვილის აზრით, ოსმალური თურქეთისათვის დამახასიათებელი იყო მიწათმფლობელობის 5 კატეგორია: სახელმწიფო, კერძო, ვაკფის, სულთნის და მისი სახლის წევრების და სათემო მიწები[5]. მიწათმფლობელობის ამდენსავე ფორმას ჩამოთვლიან აგრეთვე ჟაკ ველერსი[6], ლ. კოტლოვი[7] და ა. ავალიანი[8], ოღონდ ისინიც, ისე როგორც ბ. დანციგი, უარყოფენ სულთნის ხასების დამოუკიდებელ კატეგორიად არსებობას[9] და მის მაგიერ ცალკე კატეგორიად მიიჩნევენ მავათის (მკვდარ) მიწებს.

ოსმალური მიწათმფლობელობის კატეგორიების საკითხში მოსაზრებას გამოთქვამენ აგრეთვე გ. ფუთურიძე და ნ. ფილიპოვიჩი. გ. ფუთურიძის თქმით, იქ არსებობდა 6 სახის მიწები: 1. სახელმწიფო, 2. სასულთნო, 3. საეკლესიო, 4. კერძო, 5. სათემო და 6. მკვდარი მიწები[10]. ნ. ფილიპოვიჩი კი თურქეთში მიწების მხოლოდ ორ კატეგორიას სცნობს: მულქს და მირის[11].

ოსმალეთის 1858 წლის 18 აპრილის „მეჯელე"-ში ანუ საადგილმამულო კოდექსში, რომელმაც უცვლელად დატოვა მიწათმფლობელობის ადრე არსებული ფორმები, ფიქსირებულია ხუთი ტიპის მიწები: 1. მულქი, 2. მირი, 3. ვაკფი, 4. მათრუქა და 5. მავათი[12].

---

[3] А. Ф. Миллер, დასახ. ნაშრომი, გვ. 29

[4] Б. М. Данциг, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

[5] И. Петрушевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 72; ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

[6] Жак Велерс, დასახ. ნაშრომი, გვ. 114—117.

[7] Л. Н. Котлов, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

[8] ა. ავალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

[9] ამ ტიპის მიწების ცალკე კატეგორიად არსებობას უარყოფს აგრეთვე დ. ბაქრაძე (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 31).

[10] გ. ფუთურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 250.

[11] Н. Филипович, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

[12] Legislation Ottomane ou recueil des lois, reglaments, troites, capitulations et autres documents Officiels, Constantinople, 1878—1879, t. I, pp. 57—58;

როგორ იყო საქმე ამ მხრივ ერაყში? ფ. აირლენდის აზრით, მიწათმფლობელობის ეს კატეგორიები იქ სრული სახით არასდროს არ მოქმედებდნენ[13]. ამ მოსაზრებას უშენიშვნოდ იზიარებს ა. მენთეშაშვილი[14]. მაგრამ ამ მოსაზრებას არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია, რადგან, ჯერ ერთი, ეს კატეგორიები თურქ-ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე დიდი ხნით ადრე (VII—VIII სს.) არსებობდნენ არაბთა სახელმწიფოში, რომლის ცენტრს ერაყი წარმოადგენდა, და, მეორე, XVI საუკუნიდან 1918 წლამდე ერაყი ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა და ამ სახელმწიფოს კანონებს ემორჩილებოდა, კანონები მთელ იმპერიაზე ვრცელდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ოსმალეთში არსებული მიწათმფლობელობის კატეგორიები რომ ერაყშიც იყო, ეს დასტურდება როგორც წყაროთა ცნობით, ისე გამოკვლევებითაც[15].

მ უ ლ ქ ი (ქონება საკუთრების უფლებით) კერძო საკუთრებაში მყოფ მიწებს ეწოდებოდა. კერძო საკუთრებაში კი მიწის გადაცემა მაშინ ხდებოდა, თუ მას ვინმე ხმლით დაიპყრობდა, წყალობის წესით მიიღებდა, იყიდდა ან „გააცოცხლებდა"[16] ანუ მოსავლიანს გახდიდა. მულქი ფეოდალური მიწათმფლობელობის სხვა ფორმიდან იმით განსხვავდებოდა, რომ, ჯერ ერთი, მისი მფლობელობა დაკავშირებული არ იყო სახელმწიფო სამსახურში აუცილებლად ყოფნასთან და, მეორე, მულქის მფლობელს შეეძლო თავისი მიწის გასხვისება (ყიდვა, გაყიდვა, გასაჩუქრება, ვაკფად ქცევა) და მემკვიდრეობით გადაცემა[17].

ზოგი მკვლევრის აზრით, მულქი გულისხმობდა არა თვითონ მიწის საკუთრებას, არამედ საკუთრების უფლებას იმაზე, რაც მიწის ზემოთ იყო გაშენებული და მოყვანილი: სახლ-კარი, სამეურნეო

А. М. Ментешашвили, Ирак в годы английского мандата. М., 1969. стр. 87.

[13] P. W. Ireland, Iraq. A Study in Political Development, London, 1937, p. 115.

[14] А. М. Ментешашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

[15] Л. Н. Котлов, დასახ. ნაშრომი, გვ. 15; Б. М. Данциг, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

[16] В. Хлебников, О тайном праве мусульманских провинций Закавказского края, Журн. Юридическое обозрение, Тифлис, 1896, № 253, стр. 122.

[17] ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 81. მართალია, ავტორი სახალიფოსდროინდელ ვითარებას ეხება, მაგრამ მულქის შინაარსი შემდეგშიც ისეთივე იყო, როგორც არაბთა სახალიფოს დროს.

ნაგებობები, ყანა, ბაღი, ბოსტანი... ვენახი, ყოველგვარი ნარგავის ნაყოფი[18]. მაგრამ, ვფიქრობთ, ეს მოსაზრება დაზუსტებას საჭიროებს.

მულქი მიწაზე სრული საკუთრებაა[19]. მულქის მფლობელი იყო შეუზღუდველი ბატონ-პატრონი როგორც იმისა, რაც მიწის ზემოთ იყო, ისე თვით მიწისაც[20] და ზედ არსებული სარწყავი საშუალებებისაც: ჭების, წყაროს წყლების და პატარა არხებისა, განურჩევლად იმისა, იყო ის მიწისქვეშა (კუნვათ) თუ მიწისზედა (ნაჰრ)[21]. ამასთან, მულქის გაყიდვისას, რაც გავრცელებული იყო ჯერ კიდევ ადრე, აბასელთა სახალიფოში, იყიდებოდა მიწა თავისი სარწყავი საშუალებებით, ნათესებით, ნარგავებით და ნაგებობებით. ეს კარგად ჩანს წყაროებიდან[22] და გამოკვლევებიდან[23]. ოსმალეთის 1858 წლის საადგილმამულო კოდექსში ხომ პირდაპირაა განმარტებული: „მულქის მიწა ანუ უძრავი ქონება სრული საკუთრების უფლებით ეკუთვნის კერძო პირს"[24].

ა. ტვერიტინოვა მულქის, როგორც მიწათმფლობელობის კატეგორიის გაჩენას უკავშირებს ოსმალეთის სახელმწიფოს წარმოშობას[25]. ნამდვილად კი მულქის მიწების გაჩენას არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს ოსმალეთის სახელმწიფოსთან. „ამ კატეგორიის მიწები არსებობდნენ სახალიფოს ჩამოყალიბების პირველი დღიდანვე"[26] და „იმთავითვე თან სდევდა აღმოსავლურ ფეოდალიზმს"[27]. ოსმალებმა მულქი მიწათმფლობელობის სხვა კატეგო-

---

[18] ე. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 185—217; ა. ა ვ ა ლ ი ა ნ ი, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, გვ. 71; მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, გლეხთა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები ახალციხის საფაშოში ოსმალური კანონმდებლობის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1976, გვ. 326—327.

[19] რ ა ტ ე ლ ე რ ს ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

[20] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

[21] ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

[22] იხ. Koci Bey Risalesi, Istanbul, 1939, გვ. 123 (ეუთითებთ გ. ფუთურიძის მიხედვით); ابو يوسف يعقوب ، كتاب الخرج ، ص—١٥٣—٢٢٥.

[23] იხ. ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ი ს ა და ა. ტ ვ ე რ ი ტ ი ნ ო ვ ა ს დასახ. ნაშრომები; გ. ფ უ თ ურ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 255.

[24] Legislation Ottomane, t. I, p. 85; ა. ა ვ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

[25] «Мюльки появились вместе с образованием Османского государства», А. С. Т в е р и т и н о в а, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

[26] ვ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

[27] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

რიებთან ერთად მემკვიდრეობით მიიღეს მცირე აზიის სელჩუკი თურქებისაგან.

XVII ს-მდე ოსმალეთის მიწათმფლობელობის საერთო სისტემაში მულქის ხვედრითი წონა უმნიშვნელო იყო. ხოლო შემდეგ, ლენური სისტემის კრიზისთან დაკავშირებით, მულქის მიწები თანდათანობით მატულობდა. მისი მატება ხდებოდა, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ფეოდალებმა იწყეს ლენის წესით მათზე ადრე გაცემული მიწების მთლიანად მითვისება, ხოლო მეორე, მიწამ თანდათანობით შეიძინა საქონლის ფუნქცია და დაიწყო მისი ყიდვა-გაყიდვა ფართო მასშტაბით და, ბოლოს, თავმოყრა სავაჭრო-სავახშო კაპიტალის წარმომადგენელთა ხელში[28]. ასე რომ, XIX ს. დასაწყისში მულქის მიწები ოსმალეთსა და ოსმალების მიერ მიტაცებულ მუსლიმურ ქვეყნებში, მათ შორის ერაყშიც, გაცილებით უფრო დიდი მასშტაბით იყო წარმოდგენილი, ვიდრე წინათ[29]. მულქის ინსტიტუტის შემდგომმა განვითარებამ საფუძველი მოუმზადა ახალ აგრარულ ურთიერთობას — მემამულურ მიწათმფლობელობას ანუ ჩიფთლიქების სისტემას[30], რომლის იურიდიული გაფორმება მოხდა თანზიმათის რეფორმების დროს (1839 წ.) ლენური სისტემის გაუქმების შედეგად[31].

მ ი რ ი. მიწათმფლობელობის მთავარსა და წამყვან კატეგორიას ოსმალეთში წარმოადგენდა მუსლიმური საზოგადოების — სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი მიწები არდი (არზი) მამლაქათი ანუ მირი, რომელიც განსაზღვრავდა სამხედრო-ფეოდალური სისტემის დედაარსს, მის „ძირითად მატერიალურ ბაზას მთელი სამხედრო-ფეოდალური იერარქიის შესანახად"[32]. ამ კატეგორიის მიწე-

---

[28] საამისო ცნობებს ჩვენ ვხედებით ჯერ კიდევ XVII ს თურქი ავტორების შრომებში (იხ. В. Д. Смирнов, Кучибей Гомюрджинский и другие османские писатели XVII в. о причинах упадке Турции, СПб., 1873, стр. 147 და შემდეგ).

[29] XX ს-ის დასაწყისში მულქის მიწები ერაყში უკვე მთელი სახნავ-სათესი ადგილების 40%-ს შეადგენდა (Н. Г. Корсун, Арабский Восток, Ирак, М., 1928, стр. 187).

[30] Н. Г. Левинтов, Аграрные отношения в Болгарии накануне освобождения и аграрный переворот 1877—1879 годов, «Освобождение Болгарии от турецкого ига», М., 1953, стр. 164.

[31] ამიტომ ვერ დავეთანხმებით ე. ლინდენს, რომელსაც მულქი თურქეთში შემოხვევით მოვლენად უფრო მიაჩნია, ვიდრე დასრულებულ იერიდიულ კატეგორიად (В. Линден, Краткий исторический очерк былого общественно-политического и поземельного строя народностей населяющих мусульманские районы Закавказского края, 1917, стр. 324).

[32] А. С. Тверитинова, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

ბის ერთი ნაწილი უშუალოდ სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში იყო, მეორე ნაწილი სულთანსა და მისი სახლის წევრებს ჰქონდათ გადაცემული საკუთარი ხარჯების დასაკმაყოფილებლად, ხოლო მესამე. ყველაზე დიდი ნაწილი შეადგენდა სამხედრო საკარგავების ფონდს. საიდანაც ხდებოდა მცირე და დიდი ლენების[33] გაცემა სახელმწიფო სამსახურში მყოფ მოხელეებზე.

„არდი მირიეს" ანუ, მოკლედ, „მირის" მიწებს გასცემდა სულთანი ან მისი ნდობით აღჭურვილი მოხელეები[34]. ამასთან, იგი გაიცემოდა მხოლოდ დროებით მფლობელობაში, თაფუს საფუძველზე და არავის ჰქონდა. უფლება მისი გასხვისებისა (ყიდვა-გაყიდვის, ვაკფად ქცევის, ბოძებისა და სხვ.) ისე, თუ სახელმწიფოს მბრძანებლის თანხმობა არ იქნებოდა. მისი თანხმობა იყო საჭირო აგრეთვე სათესი და ნარგავი კულტურების შესაცვლელადაც[35]. თუ თაფუს მფლობელი მიწას დაუმუშავებელს დატოვებდა 3—5 წლის მანძილზე, იგი ჰკარგავდა სარგებლობის უფლებას და მიწა სახელმწიფოს უბრუნდებოდა. ყველა ამ პირობით „მირი" არსებითად განსხვავდებოდა „მულქისაგან".

XIX ს-ის დასაწყისში, როცა ოსმალეთი საერთო კრიზისს განიცდიდა და სამხედრო-ლენური სისტემა თანდათან იშლებოდა, მირის მიწების საერთო ფართობი მნიშვნელოვნად შემცირდა[36]. მის ხარჯზე თანდათან გაიზარდა როგორც მულქის, ისე ვაკფის მიწები.

ვ ა კ ფ ი არაბული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს საქველმოქმედო საქმისათვის შეწირულ ყოველგვარ უძრავ-მოძრავ ქონებას, რომელიც მუსლიმურ ქვეყნებში ხმარდებოდა სასულიერო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების (მეჩეთების, მედრესეების, წიგნსაცავების, აბანოების, ფუნდუკების, საავადმყოფოების, აგრეთვე სარწმუნოებისათვის მებრძოლი რაზმების — ღაზიების)

---

[33] მცირე ლენებად იწოდებოდა თიმარები, ზიამეთები ანუ ისეთი საკარგავები, რომელთა შემოსავალი არ აღემატებოდა წელიწადში 99 999 აკჩას. თუ შემოსავალი ერთი აკჩით მეტი იყო, მას დიდი ლენი ანუ „ხ ა ს ს ი" ეწოდებოდა. თურქულ წყაროებში გვხვდება აგრეთვე ტერმინი „ხ ა ს ს ე". „ხასსი" დიდი ლენი იყო, „ხასსე" კი თიმარზე და ზიამეთზე მცირე შემოსავლის საკარგავს წარმოადგენდა. (ამის შესახებ იხ. А. С. Тверитинова, О доменциальном землевладении феодалов-ленников в Османской державе в XV—XVI веках, стр. 314—315).

[34] А. С. Тверитинова, დასახ. ნაშრომი, გვ. 314—315.

[35] Б. М. Данциг, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

[36] XX ს-ის დასაწყისში სახელმწიფო მიწების რაოდენობა ბასრის ეიალეთში მთელი მიწების 15 %-ს აღარ აღემატებოდა (Н. Г Корсун, დასახ. ნაშრომი, გვ. 187).

საჭიროებას. შარიათის მიხედვით ვაკფი სამუდამოა. მისი კონფისკაცია, სახელმწიფო გადასახადებით დაბეგვრა, ყიდვა-გაყიდვა, გასხვისება ან უკან დაბრუნება დაუშვებელი იყო[37]. იგი ემორჩილებოდა მხოლოდ რელიგიურ სამართალს და ამდენად მთლიანად გამოდიოდა სამოქალაქო კანონმდებლობის მოქმედების არიდან. ვაკფის დაცვა მინდობილი ჰქონდა სახელმწიფოს უმაღლეს გამგებელს, ხალიფას ან სულთანს. ყველა ამ თავისებურებათა გამო, ვაკფმა იმთავითვე მიიღო გამოკვეთილი სახე და იგი წარმოადგენდა საკუთრების სრულიად სპეციფიკურ ფორმას, განსხვავებულს სხვა დანარჩენი კატეგორიისაგან. უფრო მეტიც, ამ თავისებურებათა წყალობით ვაკფი იქცა საკუთრების არა მარტო სპეციფიკურ, არამედ ყველაზე მზარდ, გავრცელებულ ფორმად და XIX ს-ში კონკურენციას უწევდა სახელმწიფო მიწებს.

ოსმალეთსა და მის პროვინციად გადაქცეულ ერაყში ვაკფის სწრაფ ზრდას უმთავრესად განაპირობებდა ის, რომ იქ არ არსებობდა კერძო საკუთრების დაცვის არავითარი გარანტია. სახელმწიფოს მოხელეთა შეუზღუდველი თვითნებობის პირობებში კერძო მესაკუთრის ქონებას მუდამ აშკარა კონფისკაციის საფრთხე ემუქრებოდა. ამიტომ მესაკუთრე იძულებული იყო თავისი ქონება ვაკფად ექცია.

მთავრობის მოხელეთა ძალმომრეობისაგან საკუთრების დაცვის ასეთმა საშუალებამ სათავე დაუდო ვაკფის ისეთ სახეობებს, როგორიცაა მემკვიდრეობითი და ადათობრივი ვაკფები, რომლებიც იქმნებოდნენ მუსლიმური სამართლის ნორმების აშკარა დარღვევით — კერძო მეპატრონესა და მევაკფეს შორის წინასწარი შეთანხმებების საფუძველზე, ორივე მხარისათვის ხელსაყრელ პირობებში.

მემკვიდრეობითი ვაკფის ანუ „ვაკფ ზურიას“ შემთხვევაში კერძო ქონების გავაკფება ამა თუ იმ საქველმოქმედო დაწესებულების სასარგებლოდ ხდებოდა იმ პირობით, რომ ეს ქონება კერძო მეპატრონის სრულ მფლობელობაში იქნებოდა მისი შთამომავლობის[38] მთლიანად ამოწყვეტამდე[39], შემდეგ კი გადავიდოდა ვაკფის განკარგულებაში[40].

---

[37] А. Айру, Феллахи Египта, М., 1954, გვ. 31; ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 84; გ. ფუთურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 254.

[38] ასეთ შემთხვევაში გულისხმობდნენ მხოლოდ შვილებს.

[39] ასეთი სახის ვაკფს „საოჯახო ვაკფი“-ც (ვაკფ ალი) ეწოდებოდა.

[40] Ж. Велерс, დასახ. ნაშრომი, გვ. 116. ასეთი სახის ვაკფს საქველმოქმედო „ვაკფიც“ (ვაკფ ხაირ) ეწოდებოდა.

რაც შეეხება ადათობრივ ვაკფს ანუ „ვაკფ ადათს“, აქ გავაკფების პირობები რამდენადმე სხვაგვარი იყო. კერძო მესაკუთრე ქონებას აბარებდა მევაკფეს და მისგან ღებულობდა გარკვეული ოდენობის თანხას, რაც, ჩვეულებრივ, შეადგენდა გავაკფებული ქონების ღირებულების 10—15%-ს. ამის შემდეგ ის კარგავდა მასზედ მფლობელობის უფლებას, მაგრამ ინარჩუნებდა სარგებლობის ნებას მემკვიდრეობით, რისთვისაც მევაკფეს ყოველწლიურად უხდიდა 15%-ს იმ თანხიდან, რაც მიღებული ჰქონდა ქონების საფასურად. ადათობრივი ვაკფის თანახმად, კერძო მესაკუთრეს შეეძლო სარგებლობის უფლების გაყიდვა და მემკვიდრეობით გადაცემა შთამომავლობაზე, ოღონდ სარგებლობის უფლების გაყიდვისას აღებული თანხის 5% უნდა მიეცა მევაკფისათვის.

ამრიგად, მემკვიდრეობითი და ადათობრივი ვაკფის დროს ქონების გამვაკფებელი კერძო მეპატრონეც და მევაკფეც ერთგვარ კომპრომისზე მიდიოდნენ. მევაკფე თანახმა იყო უარი ეთქვა კერძო საკუთრების დაუყოვნებლივ გავაკფებაზე, ხოლო კერძო საკუთრების პატრონი სთმობდა თავის ქონებაზე მფლობელობის უფლებას. ასეთი კომპრომისი სასარგებლო იყო ორივე მხარისათვის, კერძო მესაკუთრე ასეთი პირობით ვაკფად გადაქცეულ თავის ქონებას იცავდა სახელმწიფო მოხელეთა ხელყოფისაგან და ამავე დროს ინარჩუნებდა ამ საკუთრებით სარგებლობის უფლებას მემკვიდრეობით. ხოლო რაც შეეხება მევაკფეს, ის სულ უფრო მდიდრდებოდა ვაკფად ქცეული საკუთრების ყოველწლიური შემოსავლით და ისიც იცოდა, რომ საბოლოოდ ამ ქონების მფლობელი თვითონ იქნებოდა.

ადათობრივმა და მემკვიდრეობითმა ვაკფებმა სწრაფი გავრცელება პოვეს და ძლიერ შეუწყვეს ხელი როგორც საერთოდ ვაკფების გამრავლებას, ისე მსხვილი საკუთრების გაფართოებასაც, რაზეც სერიოზული გავლენა მოახდინა იმ გარემოებამაც, რომ, თუ ადრე კანონით მხოლოდ მულქის ქონების გავაკფება იყო ნებადართული. შემდეგ, დროთა განმავლობაში, ეს წესი თანდათან დაეიწყებულ იქნა და ვაკფი სახელმწიფო მიწებზეც გავრცელდა[41]. XIX ს. პირველ ნახევარში ოსმალეთის მიწების 3/4 უკვე გირაოდ ჰქონდა გადაცემული მეჩეთებს[42]. ერაყში კი ამ დროს მათ განკარგულებაში იყო მიწების 20%[43].

[41] Ж. Велерс, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

[42] ა. ავალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

[43] Л. Н. Котлов, დასახ. ნაშრომი, გვ. 15. აღსანიშნავია, რომ ვაკფი ვრცელდებოდა სხვა რელიგიურ საზოგადოებებსა და დაწესებულებებზეც, მათ შორის

ვაკფი, მირი და მულქი შეადგენდა მიწის საკუთრებისა და სარგებლობის სამ ძირითად იურიდიულ კატეგორიას. მათ გარდა იქ არსებობდა კიდევ ორი სხვა კატეგორია მიწებისა, რომლებიც, მართალია, არ წარმოადგენდნენ საკუთრების მთავარ, გავრცელებულ ფორმებს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ განსაკუთრებით სოფლის ცხოვრებაში. ეს ორი კატეგორია იყო „მავათი“ და „მათრუქა“ ანუ „მათრუქა მურთაფაქა“.

მავათის მიწებად იწოდებოდა თავისუფალი ადგილები (ზღვისა და მდინარეების სანაპიროები, უდაბნოები, ჭაობები და სხვ.), რომლებიც საერთოდ არავის კუთვნილებას არ წარმოადგენდა, მაგრამ თუკი ვინმე მათ „გააცოცხლებდა“, ე. ი. სავარგულს გახდიდა, ისინი გამცოცხლებლის სრულ საკუთრებაში გადადიოდა.

რაც შეეხება მათრუქას მიწებს, ისინი საერთო საკუთრების, უფრო ზუსტად, საერთო სარგებლობის ადგილები იყო. მაგ., გზები, მდინარეები, მოედნები, საძოვრები, კალოები, ბაზრები, მიმოსვლის საშუალებათა სადგომი ადგილები, ტყეები, სასაფლაოები და ა. შ. ნაწილი ამ ადგილებისა სოფლის მცხოვრებთა საერთო, სათემო საკუთრებად ითვლებოდა; ნაწილი კი (გზები, მოედნები, ბაზრები და სხვ.) სათემო საკუთრების ფარგლებს სცილდებოდა და მთელი საზოგადოების კუთვნილებას წარმოადგენდა. ამიტომ, ე. დაუსონის აზრით, „მათრუქას“ მიწები არაფრით არ განსხვავდება სახელმწიფო ანუ „მირის“ მიწებისაგან[44] და, მაშასადამე, არ შეიძლება მივიჩნიოთ ცალკე კატეგორიად. ასეთივე მოსაზრებისაა მათრუქას შესახებ ფ. აირლენდიც, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მათრუქას მიწების გაიგივება მირის მიწებთან არ შეიძლება. მათ შორის მსგავსებასთან ერთად განსხვავებაცაა, რითაც სათემო მიწები თავისი შინაარსით ახლოს დგანან კერძო ანუ მულქის მიწებთან. მულქის მიწების მსგავსად ხდებოდა სათემო მიწების ყიდვა-გაყიდვა და აგრეთვე მემკვიდრეობით გადაცემაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, სათემო მიწები რამდენადმე მაინც განსხვავდება მულქისაგან და წარმოადგენს საკუთრების ცალკე კატეგორიას. იგი არ არის ერთი პიროვნების პირადი საკუთრება, არამედ მთე-

---

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მყოფ ქრისტიანებზეც. ყოველი ეკლესია-მონასტერი იქ ვაკფით სარგებლობდა, რის წყალობით სამღვდელოების წარმომადგენლები მსხვილი მიწათმფლობელები გახდნენ (Ж. Велерс, დასახ. ნაშრომი, გვ. 116).

[44] E. Dawson, An Inquiry into Land Tenure and Related Questions Proposals for the Initiation of Reform, Letchworth, 1932, p. 18.

[45] P. W. Ireland, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

ლი კოლექტივის ქონებაა და მასზე თანაბრად მიუწვდება ხელი ყოველ წევრს. ამ უკანასკნელს შეუძლია გათიბოს თემის სათიბი, უფლება აქვს შევიდეს სათემო ტყეში, დაამზადოს შეშა, ნახშირი და წაიღოს შინ. მაგრამ უფლება არა აქვს გაყიდოს სათემო ქონება ისე, თუ ამაზე თემის საერთო თანხმობა არაა, ანდა თუ გადახდილი არა აქვს გარკვეული გამოსაღები. ასეთივე გამოსაღების გადახდა და ნებართვა იყო საჭირო აგრეთვე ერთი სოფლის ან თემის მცხოვრებთათვის, რომ ესარგებლათ შეზობელი თემის მიწაწყლით.

სათემო ანუ „მათრუქა მურთაფაქის“ მიწებს ხანგრძლივი ისტორია აქვთ. ისინი ისეთივე ძველი წარმოშობის არიან, როგორც შულქის, მირის, ვაკფისა და მავათის მიწები. ფეოდალური ურთიერთობის განვითარებასთან ერთად მცირდებოდა მათრუქა მურთაფაქის მიწების ფართობი. ესს იტაცებდნენ ფეოდალები, მაგრამ ამ პირობებშიც თემმა შეძლო თავისი საკუთრების შენარჩუნება და როგორც ადრე, XIX ს. პირველ ნახევარშიც „მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სოფლად“[46].

ერაყში, ისე როგორც ოსმალეთის იმპერიის სხვა პროვინციებში, დიდი მასშტაბით იყო წარმოდგენილი ე. წ. ხასის ტიპის საკარგავები.

ხ ა ს ი (خاص) ეწოდებოდა სახელმწიფო სამსახურის სანაცვლოდ ნაბოძებ ლენს, რომლის წლიური შემოსავალი 99 999 აკჩას აღემატებოდა. ასეთი ლენები ჰქონდათ სახელმწიფოს მმართველი დინასტიის წარმომადგენლებს (სულთანს[47], მისი სახლის წევრებს) და დიდ მოხელეებს: ვაზირებს, ბეგლარბეგებს, სანჯაკბეგებს, იანიჩარების აღას და სხვ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორიენტალისტთა ერთ ჯგუფს (ა. ფილერი, ვ. გაბაშვილი, გ. ფუთურიძე, ე. სიხარულიძე...) ხასები მიწათმფლობელობის ცალკე სპეციფიკურ კატეგორიად მიაჩნია. ა. მილერის მოსაზრებით, ხასი ცალკე კატეგორიას იმიტომ წარმოადგენს, რომ მისი შემოსავალი 100 000 აკჩას აღემატება და ის

---

[46] Ж. В е л е р с. Крестьяне Сирии и Ливана, стр. 117.

[47] მარტო სულთნის კუთვნილ საკარგაევებს ბაღდადის ვილაიეთში ეკავა სახნავ-სათესი ფართობის 30 %, ხოლო ბასრაში — 40 % (А. А д а м о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 115); Great Britain, Civil Commisioner of Mesopotamia presented to both Houses of parliament by Command of his Majesty, London, 1920, p. 7; Л. Н. К о т л о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

უშუალო კავშირში იყო თანამდებობასთან[48]. ვ. გაბაშვილი ხასის საკარგავებს ცალკე კატეგორიად განიხილავს იმის გამო, რომ „ოსმალეთში არსებობდა როგორც სულტნისა და მისი სახლის წევრების, ისე დიდმოხელეთა „ხასი" მიწები[49], ხოლო გ ფუთურიძე ამბობს, რომ სულთანს შეეძლო ხასის გაბოძება, მუსლიმურ-რელიგიური დაწესებულებებისათვის შეწირვა, მზითვად გაცემა და ამიტომ არაა გამართლებული ზოგიერთი ავტორის მიერ სულთნის ხასის სახელმწიფო მიწების კატეგორიაში შეტანაო[50]. მაგრამ ის გარემოება, რომ ხასი წარმოადგენდა დიდ ლენს და შეერთებული იყო თანამდებობასთან, ანდა ის ფაქტი, რომ ასეთი საკარგავები ნამდვილად არსებობდა და სულთანს შეეძლო თავისი ხასის გასხვისება, სრულიადაც არ წარმოადგენდა ისეთ განსაკუთრებულ თავისებურებას, რითაც შეიძლებოდეს ხასის გამოცხადება საკუთრების ცალკე კატეგორიად.

ყოველი ლენი, იყო ის დიდი თუ პატარა, სახელმწიფო მიწების — მირის ნაწილს წარმოადგენდა და გაიცემოდა სამხედრო ან სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამსახურის სანაცვლოდ. სამსახურიდან წასვლას თან სდევდა ლენის დაკარგვაც. ეს წესი საერთო იყო და ვრცელდებოდა ყველაზე, როგორც თიმარისა და ზიამეთის, ისე ხასის მფლობელებზე. რაც შეეხება სულთნის მიერ თავისი ხასის გასხვისებას, აქ განსაკუთრებული არაფერია, მას, როგორც ქვეყნის უმაღლეს გამგებელს, უფლება ჰქონდა სახელმწიფო მიწების გასხვისებისა. მართალია, მირის მიწები სახელმწიფო ხაზინაში (ბაითუ-ლ-მალ) შედიოდა, ხოლო „ხასი ჰუმაიუნისა" კი სულთნისაში ანუ „არადიე სენიეში", მაგრამ ესეც ლენური სისტემის შინაარსიდან გამომდინარეობდა. ლენის შემოსავალი ლენის მფლობელს რჩებოდა საკუთარი ხარჯებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად[50]. ასე რომ, „ხასი" თავისი ხასიათით იყო ლენი და ამ უკანასკნელთან ერთად იგი შედიოდა სახელმწიფო მიწების ჯგუფში. ამიტომ არც მუსლიმურ სამართალში და არც სხვა ოფიციალურ წყაროებში სულთნის მიწების ცალკე კატეგორიად გამოყოფას არ ვხვდებით.

---

[48] А. Ф. Миллер, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

[49] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

[50] გ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 254.

[50] ხასი ჰუმაიუნით კმაყოფილდებოდა როგორც თვით სულთანი, ისე მისი სახლის (ოჯახის) წევრები და ჰარამხანები (Аграрный строй Османской империи XV—XVII вв., стр. 218.)

როგორც ზემოთ ვთქვით, თურქულ წყაროებში[51] მოხსენიებულია აგრეთვე „ხასე"-ს (خاصه) მიწებიც, რომლებიც სახელწოდებით „ხას"-ს ჰგავს, მაგრამ მნიშვნელობით დიდად განსხვავდება მისგან. „ხასე" მცირე ზომის მიწა იყო. მისი ფართობი უდრიდა ერთ ჩიფთს ანუ ერთ ფედანს. იგი ეძლეოდა ლენის მფლობელ ფეოდალს პირად სარგებლობაში, საკუთარი მეურნეობის მოსაწყობად (სათიბისათვის, ბაღ-ვენახების გასაშენებლად, წისქვილის ასაგებად და სხვ.). ამ საკარგავს ფეოდალი თავისი სურვილის მიხედვით ან თაფუს წესით გასცემდა რაიაზე, ანდა დაავალდებულებდა, წელიწადში სამი დღე ემუშავნა მასში ბეგარის წესით[52]. „ხასე", ისე როგორც „ხასი", სახელმწიფო მიწებიდან გაიცემოდა.

სახელმწიფო მიწების ჯგუფს განეკუთვნებოდა აგრეთვე ოჯაკლიკები ანუ იურდლუკები — სულთნის სამსახურში მყოფ მომთაბარე ტომთა ბელადების განკარგულებაში არსებული მიწები, რომლის შემოსავალი ხმარდებოდა ციხე-სიმაგრეებში ჩაყენებული მეციხოვნე რაზმების შენახვას. ოჯაკლიკები მემკვიდრეობითი იყო. იგი გადადიოდა თაობიდან თაობაზე და არავის ჰქონდა უფლება ჩამოერთმია მფლობელისათვის, თუკი ეს უკანასკნელი კეთილსინდისიერად იხდიდა სამსახურებრივ მოვალეობას ხელისუფლების წინაშე. ერაყში ასეთი საკარგავები წარმოდგენილი იყო საზღვრისპირა რაიონებში, განსაკუთრებით ქურთისტანში.

ოსმალეთის იმპერიაში შემავალ იმ ქვეყნებში, რომლებიც დასახლებული იყო სხვადასხვა ტომებით, მიწათმფლობელობის

---

[51] «Kanun-name Sultan Mehmeds des Erobers», —«Mitteilungen zur Osmanischen Geschichte», Wien, 1922, Bd. I, S. 37—38; Ömer Lütfi Barkan, XV ve XVI-inci asirlarda Osmanli Imparatorlugunda zirai econominin hukuki ve mali esaslari, Cilt I, Kanunlar. Istanbul, 1945, ss. 9, 46, 64, 66, 283; მისივე, Malikane-divani sistemi — «Türk hukuk ve iktisat tarihi mecmuasi», Istanbul, 1939, Cilt II, ss. 64, 67, 106, 110, 119, 184; Kanuni i kanun-name za Bosanski, Hercegovacki zvornik kliski, Crnogorski i skandeski sandzak «Monumenta Turciea Historian slavorum", tomus Primus, seria I, sv. I. Sarajevo, 1957, ss. 38, 52, 110; Halil, Inalcik, Suret-i defteri sancak-i Arvanid, Timar- № 19, 45, 75, 100, 154.

[52] А. С. Тверитинова, О доменциальном землевладении феодалов ленников в Османской державе в XV — XVII веках, стр. 314 — 318. სადავო მიწისმფლობელობის შესახებ იხ. აგრეთვე მისივე Некоторые нерешенные проблемы в характеристике турецкого феодализма, «Ближний и Средний Восток», М., 1968, стр. 167—169; Аграрный строй Османской империи, стр. 26, 218.

საფუძველს წარმოადგენდა ტომის „დირა" ანუ ტომის განკარგულებაში არსებული ტერიტორია, როგორც დასამუშავებლად ვარგისი, ისე უვარგისიც. იურიდიულად დირა წარმოადგენდა სახელმწიფო მიწას და მხოლოდ იჯარის წესით ეძლეოდა ამა თუ იმ ტომს[53]. მიწათმფლობელობის ეს სახე ფართოდ იყო გავრცელებული ერაყში, სადაც დაახლოებით 120-მდე სხვადასხვა ტომი ცხოვრობდა. რამდენადაც ტომში თემური ორგანიზაცია სუპარბობდა, დირას სახის მიწები იჯარით გადაეცემოდა ხოლმე ტომის ბელადს, შეიხს[54], რომელიც სახელმწიფოსაგან მიწის გარდა ღებულობდა აგრეთვე იურიდიულ საბუთს — თაფუს[55] იმის დასამტკიცებლად, რომ მას უფლება აქვს ამ მიწებით სარგებლობისა. ამ გარემოებამ შემდეგში ხელი შეუწყო იმას, რომ შეიხები თანდათანობით იქცნენ დირას მიწის კერძო მესაკუთრეებად და ტომებში თანდათან ფეხი მოიკიდა მიწათმოქმედებამ, რამაც დააჩქარა ბინადარ ცხოვრებაზე მომთაბარეთა გადასვლის პროცესი.

ამრიგად, ერაყში, ისე როგორც ოსმალეთის აზიური სამფლობელოს სხვა პროვინციებში, არსებობდა მიწათმფლობელობის ხუთი იურიდიული კატეგორია: მირი ანუ არდი მირი, მულქი, ვაკფი, მავათი და მათრუქა მურთაფაქა. ამათგან ყველაზე გავრცელებული იყო მხოლოდ სამი: მირი, ვაკფი და მულქი.

საკუთრების თვალსაზრისით მიწა პირობითად ეკუთვნოდა სახელმწიფოს ან სასულიერო დაწესებულებას, თემს ანდა კერძო პირს. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პირობითობა ეხება სასულიერო დაწესებულებებს, თემს და კერძო პირს, რაც შეეხება სახელმწიფოს, მასზე ეს არ ვრცელდება, რადგან საბოლოო ჯამში იგი არის ყველა კატეგორიის მიწის უხვნაესი მესაკუთრე და მფლობელი.

არასრული ცნობების მიხედვით, ბაღდადის საფაშოს მთელი სახნავ-სათესი მიწების 60% ეკუთვნოდა სახელმწიფოს (30% „ბაითუ-ლ-მალს", 30% „არადი სანიეს"), 20% — „ვაკფს" და 20% — კერძო მფლობელებს[56]. ბასრის ეიალეთში დასამუშავებლად

---

[53] Д. Уоринер, Земельные реформы в странах Ближнего Востока (Египет, Сирия, Ирак), М., 1958, стр. 206—207.

[54] А. Адамов, Ирак арабский, стр. 166.

[55] Д. Уоринер, დასახ. ნაშრომი, გვ. 222; Г. М. Мирский, Ирак в смутное время, М., 1961, стр. 22—23.

[56] Сборник консульских донесений, год восьмой, вып. 1; СПб., 1905, стр. 9—10.

ვარგისი ადგილების 50% იყო სახელმწიფოსი, 15% შედიოდა ვაკფის განკარგულებაში, ხოლო დანარჩენი შეადგენდა კერძო მფლობელთა კუთვნილებას[57]. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო მოსულის ვილაიეთშიც. იქ სახნავ-სათესი საკარგავების 45% ეკუთვნოდა სახელმწიფოს (მასში შედიოდა „ხასი ჰუმაიუნიც"), 15%-ს ფლობდა ვაკფი და დანარჩენ 40%-ს კერძო მფლობელები[58].

ოსმალურ თურქეთში ყველა მიწა აღწერილი და განაწილებული იყო. აღწერა ხდებოდა ქვეყნის დაპყრობისთანავე, შემდეგ კი ყოველ 30 წელიწადში. თუმცა ეს წესი განსაკუთრებული შემთხვევების დროს (ახალი სულთნის ხელდასხმა, ადმინისტრაციული სტრუქტურის ცვლილებები და სხვ.) ხშირად ირღვეოდა. მიზანი ასეთი აღწერებისა იყო სახელმწიფო ხაზინის წლიური შემოსავლის განსაზღვრა, რადგან მიწა დანაწილებული იყო საკარგავებად და შეწერილი ჰქონდა გადასახადები.

სააღრიცხვო დავთრები დგებოდა პროვინციების მიხედვით, ორ ცალად. ერთი ცალი რჩებოდა ვილაიეთის გამგებელ ვალის, ხოლო მეორე ინახებოდა სტამბოლში, რის მიხედვითაც ხდებოდა ვილაიეთის გადასახადის გაანგარიშება. ასეთი ტიპის დავთარი უნდა ჰქონოდა ბასრის, ბაღდადის, შაჰრიზურისა და მოსულის ვილაიეთებსაც, რომლებიც XVIII—XIX საუკუნეებში გაერთიანებული იყვნენ ბაღდადის საფაშოში, მაგრამ ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. ამდენად, ამ ხანის ერაყის აგრარული მდგომარეობის შესწავლა ჭირს. საქმეს რამდენადმე აადვილებს სხვადასხვა ხასიათის წერილობით წყაროებში იმდროინდელი ერაყის შესახებ აქა-იქ გაბნეული ცნობები და, აგრეთვე ის გარემოება, რომ ოსმალეთში მტკიცედ იყო დადგენილ-დაცული სალიანელი და სალიანესიზ ვილაიეთების სტატუსები, რომელთა მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ერაყის როგორც მიწათმფლობელობის ფორმების, ისე მიწათსარგებლობის წესზე და საგადასახადო სისტემაზეც.

როგორც უკვე ვთქვით, XVIII—XIX სს. ერაყში, ისე როგორც მთელ ოსმალეთის იმპერიაში, საკუთრების ფორმა მიწაზე პირობითი ხასიათისა იყო. ასევე პირობითი იყო, აგრეთვე, მიწით სარგებლობაც[59].

---

[57] Г. К. Корсун, Арабский Восток. Ирак, стр. 187.

[58] იქვე, გვ. 187; ა. მენთეშაშვილი, ერაყელი ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 17.

[59] „სახელმწიფო აქ მიწის უზენაესი მესაკუთრეა... არ არსებობს არაეითარი მი-

ნაწილი სახელმწიფო მიწებისა უშუალოდ ხაზინის განკარგულებაში იყო, ნაწილი გაიცემოდა ე. წ. არფალიკებად, ხოლო ნაწილი — თიმარებად, ზეამეთებად, ხასებად და იურდლუკებად ანუ ოჯაკლიკებად.

მიწებს, რომლებიც ხაზინის განკარგულებაში იყო, ამ მიწებზე მსხდომი ფელაჰები ანუ რაიები (გლეხები) ამუშავებდნენ და ხაზინას უხდიდნენ გადასახადს. ასეთ მიწებზე ფელაჰი მემკვიდრეობის უფლებით სარგებლობდა. მას შეეძლო მიწა გადაეცა შვილისათვის ან ძმისთვის. ასეთი უფლების მოპოვების უცილობელი პირობა იყო მიწის ყოველწლიურად დამუშავება. თუ ფელაჰი მიწას 3 წლის განმავლობაში დაუმუშავებელს დატოვებდა, ის მემკვიდრეობის უფლებასთან ერთად მიწით სარგებლობის უფლებასაც კარგავდა[60], რადგან, როგორც ავნი ომერ ეფენდი ამბობს თავის „კანუნ ნამეში", ეს მიწები რაიას საკუთრება არ იყო[61].

სულ სხვა დანიშნულებისა იყო არფალიკები. ხაზინის მიწებისაგან განსხვავებით, არფალიკები წარმოადგენდა ისეთ საკარგავებს, რომლებიც ეძლეოდა სახელმწიფო აპარატში დასაქმებულ მოხელეებს (დავთარდარს, დივანში მომუშავე პერსონალს: სასახლის აღებს, მსახურებს) და საზღვარისპირა ოლქების ბეგებსა და კაფუჯიბაშებს (ადრე მუსელიმების[62] ბეგებსაც) სამსახურის სანაზღაუროდ. ასეთი საკარგავების ნაწილი ფეოდალის დომენურ სამფლობელოს ანუ იჯმალუ ხასეს წარმოადგენდა და შეიძლებოდა მისი გადაცემა მემკვიდრეობით, ოღონდ იმ პირობით, რომ ის არ გაიყოფოდა. არფალიკის წესით ბოძებული მიწის დანარჩენი ნაწილი არ იყო ფეოდალის „ხასე", ე. ი. საკუთრება. იგი ბენეფიციურ სამფლობელოდ ითვლებოდა და მასზე მემკვიდრეობის უფლება არ ვრცელდებოდა.

წის კერძო საკუთრება... არსებობს როგორც კერძო, ისე თემობრივი მიწათმფლობელობა და სარგებლობა" (კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, III, ნაწ. I, გვ. 310).

[60] В. Х л е б н и к о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

[61] გ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ოსმალური ფეოდალური მიწისმფლობელობა, გვ. 251.

[62] მუსელიმები (مسلم) შეადგენდნენ გლეხთა იმ კატეგორიას, რომელიც თავისუფალი იყო სახელმწიფო გადასახადისაგან იმ პირობით, რომ ლაშქრობის დროს გამოიყვანდნენ ყოველ 25 კაცზე 5 მეომარს საჭირო მოწყობილობით, გზების გასაწმენდად, ქვემეხებისა და აღაღის გადასატანად. XVII ს-ის შუა წლებში ეს სამხედრო ვალდებულება მოისპო და მუსელიმები ჩვეულებრივ რაიებად იქცნენ (უფრო ვრცლად მუსელიმების შესახებ იხ. А. С. Тверитинова. К вопросу о крестьянстве и крестьянском землепользовании в Османской империи, стр. 44—46).

ჯონ ბეი გორიჯელის ცნობით, არფალიკის წლიური შემოსავალი არ უნდა ყოფილიყო თიმარის შემოსავალზე მეტი[63].

სახელმწიფო მიწების ფონდიდან საკარგავების გაცემა ხდებოდა დადგენილი წესით, რაც ძირითადად ორ პირობას გულისხმობდა: 1. ყოველ მესაკარგავეს უნდა ჰქონოდა საკარგავით სარგებლობის უფლების საბუთი. 2. ყველა საკარგავი გაცემისთანავე შეიტანებოდა საგანგებო საალრიცხვო დავთარში.

იმის მიხედვით, თუ რა ოდენობის იყო საკარგავი ან ვის უნდა მისცემოდა იგი, საბუთი შეიძლებოდა ყოფილიყო ორნაირი: „ბარათი" ან „თაფუ". თუ საკარგავი წარმოადგენდა თიმარს ან ზეამეთს, მისი მაძიებელი ღებულობდა ბარათს, რომელიც გამოდიოდა სულთნის ხელიდან[64], ვილაიეთის გამგებლის „თეზკერეს" საფუძველზე. მაგრამ თიმარის გაცემაზე ყოველთვის როდი იყო საჭირო თეზქერე. იგი უთეზქეროდაც შეიძლებოდა გაცემულიყო, უშუალოდ პროვინციის გამგებლის მიერ. ამიტომ ოსმალეთის იმპერიაში არჩევდნენ თიმარების ორ ჯგუფს: „რეკომენდებულს" და „ურეკომენდოს", ანუ თეზქერელ თიმარს და თეზქერესიზ თიმარს. ურეკომენდო თიმარი მცირე ზომის საკარგავი იყო. მისი სიდიდე სხვადასხვა ვილაიეთში სხვადასხვა იყო. ზოგან (ყარამანიის, მარაშისა და რუმის საბეგლარბეგოებში) ის ხდებოდა 2999 აკჩამდე აღწევდა: ზოგან (ანატოლიაში) 4999 აკჩას, ხოლო ზოგან (ბაღდადის, შაჰრიზურის, დიარბაქრის, არზრუმის, შამის, ჰალაბის, რუმელიის, ბუდას, ბოსნიისა და თამიშვარის საბეგლარბეგოებში) —5999 აკჩას. მაგრამ ამაზე უფრო დიდი ზომის საკარგავი კი უთეზქერო ველარ იქნებოდა[65] და მასზე „ბარათის" გაცემა ბეგლარბეგს არ შეეძლო.

გარდა აღნიშნული სახის თიმარებისა, არსებობდა თავისუფალი და არათავისუფალი თიმარები, თიმარ მულქი, ბენეფეთ თიმარი, ეჩკინ თიმარი და დუჩენდენ თიმარი[66]. ამათგან თავისუფალი და არათავისუფალი თიმარების შესახებ სულეიმან I-ის კანონთა წიგნში ვკითხულობთ: „თავისუფალ თიმარებს ეკუთვნიან სულთნის ხასები, სულთნის ვაკფები, სულთნის ბაშმაკლიკები, ვაკფები,

---

[63] გ. ფ უ თ უ რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 251.

[64] ს. ჯ ი ქ ი ა, ერთი თურქული საბუთი ცხინვალის შესახებ (თ ს უ შრომები, თბ., 1965, ტ. 116, გვ. 246). 1530 წლამდე ბარათებს საკარგავებზე იძლეოდნენ პროვინციის გამგებლებიც, მაგრამ შემდეგ სულეიმან I-მა შეზღუდა ისინი და მხოლოდ მცირე ზომის საკარგავების გაცემის უფლება დაუტოვა.

[65] M. B e l i n. დასახ. ნაშრომი, გვ. 243—244.

[66] იქვე, გვ. 253—254.

ამლაქები ვაზირებისა, ხასები დიზდარებისა, მირმირანებისა, ბეგლარბეგებისა, სანჯაკბეგებისა, ნიშანჯიებისა, დავთარდარებისა, ქეთხუდებისა, თიმარ დავთარდარებისა, აგრეთვე ცალკეული არფა-ამინისა, დავთარ ამინისა და რაისუ-ლ-ქითაბისა. ჩამოთვლილი ყველა სამფლობელო თავისუფალია... თავისუფალია აგრეთვე იურუქ-ბეგების, მუსელიმების, ბოშებისა და ვოინუკების ზეამეთები და ზეამეთ იჯმალიები. თუ ჩაღშების, ბეგლარბეგების, მირმირანების, ჩერიბაშების, ჩერი სურუჯების, მუსელიმებისა და იურუქების ჩერიბაშების თიმარებიდან იმუნიტეტური გადასახადები ჩაწერილი არ არის სხვის შემოსავალში, არამედ შეტანილია როგორც შემოსავალი თავთავიანთ ცალკეულ დავთრებში, მაშინ მათ ეძლევათ მოწმობა იმუნიტეტის შესახებ. იმ შემთხვევაში, როცა იმუნიტეტური გადასახადი ჩაწერილია ვაკფის შემოსავლად, მაშინ ვაკფიც თავისუფალია... არ არის თავისუფალი მხოლოდ სიფაჰების თიმარები. მაგრამ უკეთუ ვილაიეთის აღმწერმა ყველა იმუნიტეტური გადასახადი აქცია მფლობელის შემოსავლად და მიაწერა ისინი თიმარს, სანჯაკ ბეგი მას ვეღარ შეეხება"[67].

როგორც ირკვევა, თავისუფალ თიმარებად ითვლებოდა ის საკარგავები, რომლებიც სარგებლობდნენ საგადასახადო (და აგრეთვე, ა. ტვერიტინოვას განმარტებით, სასამართლო) იმუნიტეტით[68]. ხოლო საკარგავები, რომელთაც ასეთი უფლება არ ჰქონდათ, არათავისუფალ თიმარებს წარმოადგენდნენ.

თიმარ-მულქი, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, მფლობელის სრული საკუთრება იყო და მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე, პირველ რიგში ვაჟზე, აგრეთვე ქალიშვილზე ან სხვა ახლო ნათესავზე. ასეთი საკარგავის მფლობელს, რომელიც წესისამებრ სამხედრო მოსამსახურე უნდა ყოფილიყო, ევალებოდა გარკვეული რაოდენობის ჯებელის ანუ მხედრის გამოყვანა, მაგრამ ამ პირობის შეუსრულებლობისათვის მას საკარგავს ვერავინ ჩამოართმევდა. მას ჩამოართმევდნენ მხოლოდ მაშინ, როცა თიმარ მულქის მფლობელი უმემკვიდრეოდ გარდაიცვლებოდა, ან საკარგავის უცხოელზე გასხვისებას მოინდომებდა.

უცხოელი შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ „ბენეებეთ თიმარის"[69] მფლობელი და ისიც მაშინ, თუ იგი იენიჩერების კორპუს-

---

[67] Аграрный строй Османской империи ,... стр. 36—7.

[68] იქვე, გვ. 216.

[69] რიგითი ანუ რიგ-რიგობრივი თიმარი. ბელენის განმარტებით, ეს საკარგავი ასე იმიტომ იწოდებოდა, რომ მისი მფლობელი (თანამდებობის პირი) ომის დროს დროშებს ჰკრებდა რიგის მიხედვით (M. Belin, დასახ. ნაშრომი, გვ. 253).

ში მსახურობდა და აღნიშნული თიმარის პატრონს გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრე აღარავინ რჩებოდა.

როგორც ჩანს, ბენევებეთ-თიმარი გარკვეული სამხედრო სახის საკარგავი იყო და ეძლეოდა მხოლოდ გარკვეული თანამდებობის მოხელეს. ამ ტიპის საკარგავები უნდა ყოფილიყო აგრეთვე „ეჩკინ თიმარი" და „დუჩენდენ თიმარი". ბელენის განმარტებით, „ეჩკინ ანუ ეჩკუნ თიმარი" იყო „ნამღვილი მებრძოლის ლენი". იგი არ შეიძლებოდა მისცემოდა ბენევებეთ თიმარის მფლობელს, მაშინ, როცა ეჩკინ თიმარის პატრონს, თუკი იგი მოითხოვდა, უფლება ჰქონდა გამხდარიყო ბენევებეთ თიმარის მფლობელი[70].

რაც შეეხება „დუჩენდენ თიმარს", ის იყო ბეგლარბეგისა და სანჯაკბეგების მსახურთათვის მიცემული საკარგავი[71].

ყველა ზემოჩამოთვლილი საკარგავის გაცემა ხდებოდა ბარათით[72]. ბარათის გაცემისათვის აუცილებელი იყო მისი შესყიდვა[73]. ბარათის მფლობელი უნდა ყოფილიყო სამხედრო სამსახურში და ვალდებული იყო ომის დროს გამოეყვანა შეიარაღებული მხედარი ანუ კილიჯი, რომლის რაოდენობა დამოკიდებული იყო საკარგავის ტიპზე და იმაზე, თუ რომელ ეიალეთში შედიოდა იგი. მაგალითად, ბელენის ცნობით, რუმელიის, ბუდას, ბოსნიის და თემეშვარის საბეგლარბეგოებში კილიჯი უდრიდა 3000 აკჩას (ე. ი. რამდენ 3000 აკჩასაც შეადგენდა საკარგავის წლიური შემოსავალი, მესაკარგავეს იმდენი უნდა გამოეყვანა), ხოლო დიარბაქრის, არზრუმის, შამის, ჰალაბის, ბაღდადის და შაჰრიზურისაში —2000 აკჩას[74]. ამდენივე აკჩა უნდა ყოფილიყო კილიჯი ბასრის საკაბუდან-ფაშოშიც.

„ბარათელი" (ბარათის მფლობელი) აუცილებლად უნდა ყოფილიყო იმ ტერიტორიაზე, რომელიც მას მიეცა[75]. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩამოერთმეოდა მიწით სარგებლობის უფლება.

[70] M. Belin, დასახ. ნაშრომი, გვ. 253.

[71] იქვე, გვ. 252.

[72] ბარათით გაიცემოდა აგრეთვე ბეგლარბეგის ხასი, რელიგიის მსახურთა (იმამების, მუეზინთა და სხვ.) თანამდებობები და მეღქის მიწები, მაგრამ ეს არ იყო დაკავშირებული თეზქერესთან (Аграрный строй Османской империи... стр. 195. იხ. Берат; А. С. Тверитинова, Второй трактат Кочибея, стр. 254).

[73] გამოსასყიდი თანხა ზეამეთის მფლობელისათვის დაწესებული იყო 800 აკჩა, ხოლო თიმარის მფლობელისათვის — 12 აკჩა, შემოსაელის ყოველ 300 აკჩიდან (А. С. Тверитинова, Второй трактат Кочибея, стр. 254).

[74] M. Belin, დასახ. ნაშრომი, გვ. 243—244.

[75] იქვე, გვ. 249; Koçy Bey Risalesi, Istanbul, 1939, გვ. 99 (დამოწმებულია გ. ფეთერეიის დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 252). ბელენი და კოჩი ბეი ამ წესს ამით ხსნიან, რომ საჭირო შემთხვევაში ფეოდალს სწრაფად მოესწრო მომზადება და დადგმა ბეგლარბეგის დროშის ქვეშ.

გარდა ამისა, საკარგავი ეკუთვნოდა იმას, ვის სახელზეც იყო გაცემული ბარათი. ამიტომ მისი გარდაცვალების შემდეგ ბარათი უქმდებოდა, ხოლო საკარგავი ვაკანტური ხდებოდა (უნდა ვიფიქროთ, რომ გამონაკლისს შეადგენდა თიმარ მულქისა და ბენევბეთ თიმარის ტიპის საკარგავები, რომლებზეც აკრძალული არ იყო მემკვიდრეობის უფლება).

მაგრამ ბარათის გარდა არსებობდა მეორე სახის მოწმობაც, ე. წ. „თაფუ" ანუ „თაბუ", რომელსაც სახელმწიფო ან კერძო პირი გასცემდა და წარმოადგენდა მისი მფლობელისათვის მიწის გარკვეული ნაკვეთით სარგებლობის ოფიციალურ უფლებას განსაზღვრული პირობების დაცვით. კერძოდ, იმისათვის, რომ „თაფუ" მიეღო ამ მოწმობის მაძიებელს, მას იგი უნდა შეესყიდა მიწათმფლობელისაგან. ასეთი წესით მიღებულ მიწაზე თაფუს მფლობელი მემკვიდრეობის უფლებით სარგებლობდა. მემკვიდრეობის უფლება კი ჰქონდათ ეხოლოდ შვილებს, მეუღლეს, და-ძმებს და მშობლებს. თუ თაფუს მფლობელს შვილები, მეუღლე, და-ძმები, ან მშობლები არ ჰყავდა, მისი სიკვდილის შემდეგ მიწა უბრუნდებოდა პატრონს — სახელმწიფოს, ვაკფს ან კერძო პირს. თაფუს უფლებას მისი მფლობელი ჰკარგავდა იმ შემთხვევაში, თუ ის დასამუშავებლად ვარგისი მიწის ნაკვეთს მიატოვებდა, ან არ დაამუშავებდა სიფაჰისათვის ზარალის მიყენების მიზნით.

ასე რომ, ბარათი და თაფუ წარმოადგენენ არა მარტო საკარგავზე მესაკარგავის უფლების დამადასტურებელ მოწმობებს, არამედ ისეთ იურიდიულ გარიგებასაც, სადაც განსაზღვრული იყო მიწათსარგებლობის წესი და, აგრეთვე, ვალდებულების ფორმა გლეხს, ფეოდალსა და სახელმწიფოს შორის.

თაფუ მიწათმფლობელზე გლეხის ფეოდალური დამოკიდებულების ფორმა იყო[76]. თაფუს წესით გაცემისა და სარგებლობის პრაქტიკამ ერაყში იარსება 1932 წლის საადგილმამულო კანონის გამოცემამდე. შემდეგ თაფუ ანუ თაბუ შესცვალა ლაზმამ (გამოსყიდვა), რომელიც შინაარსით ისეთივე იყო როგორც თაფუ[77].

---

[76] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, გვ. 217.

[77] Д. Уоринер, დასახ. ნაშრომი, გვ. 32—224; Г. И. Мирский, Ирак в смутное время, М., 1961, стр. 22—23.

სოციალური სტრუქტურა

ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ადრეულ ხანაში აღმოსავლეთში საზოგადოება გაყოფილი იყო ორ ძირითად ჯგუფად. ერთი იწოდებოდა კალმის, ხოლო მეორე -- მახვილის ხალხად. კალმის ხალხად (ალ-ლ-ალამ) იწოდებოდნენ: სწავლულნი მდივან-მწიგნობარნი და ყველა ის, ვინც სახელმწიფოს ადმინისტრაციულ აპარატში მუშაობდა და სამოქალაქო საქმეებს განაგებდა. ქვეყნის მოსახლეობის სხვა დანარჩენი ნაწილი მახვილის ხალხის (ალ-ს-საიფ) კატეგორიას ეკუთვნოდა. მათი ძირითადი საქმიანობა იყო ომებში მონაწილეობა.

საზოგადოების ამგვარი დანაწილება დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოსათვის, მათ შორის ოსმალეთისა და მის მფლობელობაში მყოფი ერაყისთვისაც, სადაც სამხედროლენური სისტემა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა საამისოდ.

საერთო, რაც ამ ორი ჯგუფის ხალხს ჰქონდათ, იყო მორჩილება და ერთგული სამსახური სახელმწიფოს წინაშე. ვინც ამ პირობას არ შეასრულებდა, ის ვერც „მახვილის ხალხში" ჰპოვებდა ადგილს და ვერც „კალმის ხალხში", ხოლო სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლებისადმი მორჩილებისა და ერთგული სამსახურისათვის კი მიიღებდა გარკვეულ გასამრჯელოს, ძირითადად ლენის სახით. ლენი, როგორც გასამრჯელო, ყოველთვის ერთნაირი არ იყო. მისი სიდიდე დამოკიდებული იყო სამსახურის ხარისხსა და მნიშვნელობაზე, რომელიც შემდეგ გავლენას ახდენდა თანამდებობის დაკავებაზეც. ეს გარემოება იწვევდა დიფერენციაციას, პირველ რიგში ქონებრივსა და უფლებრივს.

ლენის სიდიდე, როგორც წესი, განისაზღვრებოდა არა მიწის ფართობით, არამედ წლიური შემოსავლის ოდენობით, რაც ოსმალურ საკანონმდებლო აქტებში ფიქსირებული იყო ფულადი თანხით. ლენის როგორც სამხედრო საკარგავის ოდენობის განსაზღვრის ასეთმა წესმა, საბაბი მისცა შუა საუკუნეების თურქეთის ისტორიის ზოგიერთ მკვლევარს მისულიყო თიმარული სისტემის აგრარული არსის უარყოფამდე. ამ კონცეფციის მომხრე ვ. მუთაფჩიევა (ბულგარეთი) პირდაპირ აცხადებს, რომ თიმარი საერთოდ არ შეიძლება მივიჩნიოთ სამხედრო ლენად ამ ინსტიტუტის ევროპული გაგე-

ბით და არც რაიმე განსაზღვრულ ტერიტორიად, ე. ი. აგრარული ხასიათის ორგანიზაციად, რადგან მას არ გააჩნია გარკვეული საზღვრები[1]. მაგრამ ეს კონცეფცია ეწინააღმდეგება ფაქტებს და ამდენად მისი გაზიარება არ შეიძლება.

ის გარემოება, რომ ლენის სიდიდე მისი შემოსავლის მიხედვით განისაზღვრებოდა ოსმალეთში და ყოველთვის ფულადი თანხით იყო გამოხატული დავთრებში, მიგვითითებს იმაზე, რომ ოსმალური საფინანსო სისტემა ზედმიწევნით დახვეწილი და სრულყოფილი იყო. ეს ფისკალური სისტემა ითვალისწინებდა იმას, რომ მიწის ნაკვეთის მოცულობას არ შეეძლო მიეცა სოული, თანაბარი წარმოდგენა ამა თუ იმ კატეგორიის საკარგავის შემოსავალზე, რადგან ეს უკანასკნელი დიდად იყო დამოკიდებული არა მარტო საკარგავის მიწის ფართობზე, არამედ ამ მიწის ხარისხზე, რომლის მიხედვით საკარგავები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან (ნიადაგის, კლიმატურ-ბუნებრივი და სხვა პირობების გამო). გარდა ამისა, ოსმალურ ფისკალურ ორგანიზაციას არც ის რჩებოდა მხედველობის მიღმა, რომ მოსახლეობის მშრომელი მასა ყველგან ერთნაირი საქმით არ იყო დაკავებული, რომ ამ მხრივ იმპერიის ცალკეული პროვინციები, ოლქები, რაიონები და იქ არსებული საკარგავები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან. ამიტომ, გამოდიოდა რა ამ რეალური ვითარებიდან, ოსმალეთის სახელმწიფო ხაზინამ ლენური საკარგავების, როგორც სამსახურისათვის გასამრჯელოს, და მასზე დაწესებული გადასახადების განსაზღვრისას საზომად მიიჩნია არა თვით საკარგავთა მოცულობა-ფართობი, არამედ მათი წლიური შემოსავალი, გადაანგარიშებული ფულზე. ეს იყო ყოველგვარი საკარგავისა თუ საჰფლობელოს სიდიდის განმსაზღვრელი ერთიანი უნიფიცირებული საზომი, რომელიც ოდნავადაც არ სცვლიდა თიმარების აგრარულ არსს. ეს რომ მართლა ასე იყო, მით დასტურდება, რომ თურქულ პირველწყაროებში, კერძოდ, დავთრებში, მატერიალური უზრუნველყოფის საშემოსავლო თანხასთან ერთად იქვე აღნიშნულია რიცხვი სოფლებისა (ქარიათუნ), გადასახადების გადამხდელი გლეხებისა, სოფლის ახლოს მდებარე დაუსახლებელი სახნავ-სათესი ადგილებისა (მეზრა'ა), რაიებისა (მცირე დავთრებში ანუ „დავთარ-ი იჯმალ"-ებში), სახელობითი სია გადასახადების გადამხდელი რაიები-

[1] В. Мутафчиева, Аграрните отношения в Османската империя, през XV—XVI в., София, 1962, стр. 46—47, 56.

სა. სახელწოდება ყველა სახის ბეგარისა და შემოსავალი ნატურალური თუ ფულადი (დიდ დავთრებში ანუ „დავთარ-ი მუფასალე“-ში)[2].

დავთრებში ყოველივე ამის ზუსტად აღნუსხვა, სხვათა შორის, იმასაც გულისხმობდა, რომ ყოველ ლენს შემოსავლის მიხედვით მისი სიდიდის განსაზღვრის შემთხვევაშიც კი აუცილებლად უნდა სჭეროდა გარკვეული ტერიტორია, ხოლო ეს თეორიულადაც და პრაქტიკულადაც იმას გულისხმობდა, რომ იგი მოქცეული იქნებოდა საზღვრებში. და რომ ეს ნამდვილად ასე იყო, ჩანს, ჯერ ერთი, საკანონმდებლო აქტების ისეთი გამოთქმებიდან როგორიცაა: „სხვა სიფაჰის მიწა“, „მოსული გლეხი“, „გარეშე რაია“, „ურეესტრო“, „სხვა ადგილი“, „სხვა სოფელი“, „თიმარის მფლობელის ფარგლებში“, „თიმარის საზღვრებში“, „თიმარის მიწაზე“[3] და სხვ.; მეორე, საეკლესიო და სასულიერო ხელისუფლების იურიდიულ წარმომადგენლებს — კადის და იმამს ჰქონდათ მათ მიერვე შედგენილი „სინურ-ნამე“, სადაც ზუსტად იყო მითითებული თითოეული სოფლის საზღვრები[4], რასაც, თურქი ისტორიკოსის, ჰ. ინალჩიკის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თიმარის მფლობელისათვის გარედან მოსული და დავთარში ჩაუწერელი რაიებიდან გადასახადების აკრეფის დროს; და მესამე, ჰ. ინალჩიკს ერთ-ერთი საკანონმდებლო აქტიდან მოაქვს ადგილი, სადაც თიმარების საზღვრებთან დაკავშირებით პირდაპირაა ნათქვამი: „თუ რომელიმე სიფაჰის (სამფლობელოს) საზღვრები დაირღვეს და გაურკვეველი გახდეს, (მან) სოფლის მცხოვრებლებთან ერთად უნდა შემოიაროს და დაესოს საცნობი ქვები“[5].

ასე რომ, თიმარი წარმოადგენდა საზღვრებში მოქცეულ გარ-

---

[2] სანმეშოდ შეიძლება დავასახელოთ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, წიგ. II, აგრეთვე ჰ. ინალჩიკის მიერ გამოცემული არვანიდის სანჯაკის დავთარი „Suret-i Defter-i sancak-i Arvanid», Ankara, 1954.

[3] Книга законов султана Сулеймана Кануни («Аграрный строй Османской империи»... стр. 63—65); O. L. Barkan, Kanunlar, Istanbul, 1943, გვ. 31, 35, 243, 248, 253, 262, 281.

[4] Legislation Ottoman... t. I, pp. 194, 238; Д. Бакрадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 25; А. С. Тверитинова, Некоторые нерешенные проблемы в характеристике турецкого феодализма, «Ближний и Средний Восток», сборник статей в честь 70-летия профессора И. П. Петрушевского, М., 1968, стр. 163).

[5] H. Inalcik, Suret-i Defter-i Sancak-i Arvanid, 1954, გვ. XXIX. ციტატა მოგვაქვს ა. ტვერიტინოვას ნაშრომის მიხედვით (გვ. 163).

ქვეულ ტერიტორიას — საკარგავს მასზედ მსხდომი მოსახლეობით, რომელიც მიმაგრებული იყო მიწაზე.

ლენები ოსმალეთში, როგორც უკვე ვთქვით, სხვადასხვა სიდიდის იყო. ყველაზე მცირე ლენიდან მიღებული წლიური შემოსავალი არ შეიძლებოდა ყოფილიყო 2000 აკჩაზე ნაკლები მაშინ, როცა ყველაზე დიდი ლენის შემოსავალი შეადგენდა 100 ათას აკჩაზე მეტს. მაგრამ როგორიც არ უნდა ყოფილიყო ქონებრივი სხვაობა, სულერთია, ლენის მფლობელი თავისი სოციალური მდგომარეობით საზოგადოების პრივილეგირებულ კატეგორიას ეკუთვნოდა. იგი იყო უმთავრესად სამხედრო ფეოდალი, რომლის აღსანიშნავ ტერმინებად ოსმალეთში იხმარებოდა „სუვარი"[6], „სიფაჰი"[7], „თიმარჯი"[8] ანუ თიმარიოტი, „თიმარლი სიფაჰი"[9], „ზა'იმი"[10] და „შეიხი". აქედან სამხედრო ფეოდალის აღმნიშვნელი ზოგადი და გავრცელებული ფორმა იყო სიფაჰი.

სიფაჰები ორი კატეგორიისა იყვნენ: „ულუფელი" და „თიმარლი". ულუფელი სიფაჰები სულთნის კარზე მყოფ ცხენოსანთა ექვსი პოლკის ანუ ექვსი „ბოლუქის"[11] რიცხვებში იყვნენ და მის კმაყოფაზე ირიცხებოდნენ, ხოლო თიმარლი სიფაჰები კი სახელმწიფოს ფეოდალურ ცხენოსან ლაშქარს შეადგენდნენ და გასამრჯელოდ ღებულობდნენ თიმარებსა და ზიამეთებს. ეს იყო მათი ლენი — მიწა მასზე მსხდომი გლეხებით, რომელთაც არაბულ ქვეყნებში, მათ შორის ერაყშიც, ფელაჰები ეწოდებოდა, ხოლო სხვაგან რაიები. სიფაჰი სწორედ ამ რაიების ექსპლოატაციით ცხოვ-

---

[6] سواری-ცხენოსანი, წვრილი სიფაჰი.

[7] سپاهی-მხედარი, სამხედრო ფეოდალი, რომელიც მსახურობდა ოსმალეთის იმპერიის ლაშქარში.

[8] თიმარის მფლობელი.

[9] تیمارلی سپاهی-ლენის მფლობელი სიფაჰი.

[10] زعیم-ლენური საკარგავის — ზიამეთის პატრონი.

[11] بولوك — სამხედრო ერთეული ოსმალეთში. მისი მებრძოლთა რაოდენობა დამოკიდებული იყო ჯარის სახეობაზე. იენიჩრების ბოლუქში 100 ქვეითი იყო, ხოლო სულთნის ცხენოსანთა გვარდიის თითოეულ ბოლუქში, ა. ტვერიტინოვას აზრით, უნდა ყოფილიყო 20—30 მხედარი (Аграрный строй Османской империи, стр. 196). მაგრამ ეს არ უნდა იყოს სწორი, რადგან მისივე განმარტებით, სულთნის ცხენოსანთა გვარდია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებდა სულ 6000 მხედარს (იქვე, გვ. 214), შედგებოდა 6 ბოლუქისაგან (იქვე, გვ. 196). ბოლუქები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ დროშის ფერით (А. С. Тверитинова, Второй трактат Кочибея... стр. 232).

რობდა. მათი შრომით მოჰყავდა მოსავალი როგორც ლენის სახით მიღებულ საკარგავში, ისე დომენში, ე. ი. მიწის ნაკვეთში, რომელიც ჰას ჰქონდა ცალკე, პირადი მეურნეობის მოსაწყობად[12].

ლენი, იქნებოდა ის თიმარი, ზეამეთი თუ ხასი, გაიცემოდა გარკვეული პირობით. ეს პირობა უპირველესად ყოვლისა იყო სახელმწიფო სამსახური. ვინც სახელმწიფო სამსახურში (უმთავრესად ჯარში) არ იყო, ლენს ვერ მიიღებდა. ამასთან, ლენი არ იყო ისეთი საკარგავი, რომელიც შეიძლებოდა მემკვიდრეობით გადასცემოდა მამიდან შვილებს. იგი პატრონს ჩამოერთმეოდა მაშინვე. როგორც კი ის უარს იტყოდა სამსახურზე. თუ სიფაჰის უარი სამსახურზე გამოწვეული იყო მოხუცებულობით ან ბრძოლაში მიღებული დაზიანებით (ჭრილობით, დასახიჩრებით და მისთ.), მაშინ ის თიმარით სარგებლობის უფლებას ინარჩუნებდა სიცოცხლის ბოლომდე. შემდეგ კი თიმარი სახელმწიფოს უბრუნდებოდა, ხოლო გარდაცვლილი სიფაჰის შვილებს ეძლეოდა მამის საკარგაეის შემოსავლის ნაწილი სარჩოს ანუ დირლიქის[13] სახით. მაგრამ სარჩო ყოველთვის თანაბარი ოდენობის არ იყო. თუ სიფაჰი ბრძოლის ველზე დაეღუპებოდა, მისი შვილების სარჩო უფრო დიდი იყო, ვიდრე შინ გარდაცვლილის შვილებისა[14].

სიფაჰს უნდა ეცხოვრა იქ, სადაც მისი საკარგავი იყო. სხვაგან ცხოვრების უფლება არ ჰქონდა, რადგან ომის შემთხვევაში ალაი ბეგის დაძახებისთანავე უნდა გამოცხადებულიყო ბეგლარბეგის დროშის ქვეშ და, გარდა ამისა, საჭირო ყურადღება მიექცია თიმარის მოვლა-დამუშავებისათვის.

ომის დროს სიფაჰი არა მარტო თვითონ უნდა დამდგარიყო სანჯაკ ბეგისა თუ ფაშას დროშის ქვეშ, არამედ ვალდებული იყო აგრეთვე გამოეყვანა გარკვეული რაოდენობის მეომრები, რომელთა რიცხვი ზუსტად იყო დადგენილი. მეომართა რაოდენობის გან-

---

[12] ამდენად არ შეიძლება გაეზიაროთ ვ. მუთაფჩიევას მოსაზრება იმის შესახებ, რომ სიფაჰის უფლებამოსილება განისაზღვრებოდა მარტო სახელმწიფო შემოსავლის მისთვის მიცემული ნაწილის აკრეფით (В. Мутафчиева, Аграрните отношения в Османската империя, стр. 68).

[13] دیرلك — სარჩო, ცხოვრებისათვის საარსებო საშუალება. იგი სახელმწიფოს კმაყოფაზე ყოფნის აღმნიშვნელი საერთო ტერმინია და გულისხმობს როგორც ფულად გასამრჯელოს, ისე თიმარს, ზეამეთს, ხასს.

[14] M. Belin, დასახ. ნაშრომი, გვ. 250. ომში დაღუპულთა თიმარი, რომ დაღუპულს ვაჟიშვილებს რჩებოდა, ამას დ. ბაქრაძეც აღნიშნავს (Д. Бакрадзе, დას. ნაშრომი, გვ. 7).

საზღვრისას ამოსავალს წარმოადგენდა საკარგავის სიდიდე. სულთან სულეიმან I-ის კანონის შეხედვით, თუ თიმარის შემოსავალი 2 000 აკჩა იყო, მისი მფლობელი თვითონ იყო ჯებელი და აგრეთვე გამოჰყავდა ერთი ღულამი[15]. 3 000 აკჩის თიმარის მფლობელი თვითონ გამოდიოდა ბურუმით[16] და გამოჰყავდა ერთი ჯებელი. 4 000 და 4 500 აკჩის თიმარის მფლობელი გამოდიოდა ბურუმით და გამოჰყავდა ერთი ჯებელი და ერთი ღულამი. 5 000, 5 500 და 6 000 აკჩის თიმარის მფლობელი თვითონ ატარებდა ბურუმს, გამოჰყავდა ორი ჯებელი და გამოჰქონდა თენქთური[17]... 9 000 აკჩის თიმარის მფლობელი გამოდიოდა ბურუმით, გამოჰყავდა სამი ჯებელი და გამოჰქონდა ჩადირი[18]. 10 000, 10 500 და 11 000 აკჩის თიმარის მფლობელი თვითონ გამოდიოდა ბურუმით, გამოჰყავდა სამი ჯებელი, ერთი ღულამი და გამოჰქონდა ჩადირი. 12 000 აკჩის თიმარის მფლობელი გამოდიოდა ბურუმით, გამოჰყავდა ოთხი ჯებელი და გამოჰქონდა ერთი ჩადირი. 15 000 აკჩის თიმარის მფლობელი გამოდიოდა ბურუმით, გამოჰყავდა ხუთი ჯებელი და გამოჰქონდა ჩადირი. ხოლო ამაზე მეტი შემოსავლის მქონე ლენის პატრონს ყოველ 3 000 აკჩაზე უნდა გამოეყვანა ერთი ჯებელი და ყოველ ერთნახევარ-ორიათას აკჩაზე ერთი ღულამი[19].

თუ თიმარის მფლობელ ფეოდალს 3000 აკჩის შემოსავალზე ერთი შეიარაღებული ჯებელი უნდა გამოეყვანა[20], ზაიმს ამდენივე ჯებელის გამოყვანა ეკალებოდა 5 000 აკჩის შემოსავალზე[21]. ასეთი ანგარიშით სულთანს ყოველთვის შეეძლო 200 000 კაცისაგან შემ-

---

[15] غلام — ფეოდალურ ლაშქარში მონაწილე მეომარი.

[16] بورومة — ერთგვარი თავსაბურავი — ჩალმა, რომელიც შედგებოდა კონუსისებრი ფესკისა და ფესკის ბოლოზე შემოხვეული თხელი ქსოვილისაგან. ასეთი თავსაბურავი თიმარის მფლობელის ღირსების სიმბოლო იყო.

[17] تنكتور — მცირე ზომის კარავი.

[18] چادر — თენქთურზე უფრო დიდი ზომის კარავი.

[19] Книга законов Султана Сулеймана Кануни, «Аграрный строй Османской империи», стр. 22—23.

[20] იმპერიის აზიური ნაწილის ზოგიერთ ეიალეთში მაგ., შაჰრიზერის, ბაღდადის და ბასრის საფაშოებში ერთი ჯებელის გამოსაყვანად 2000 აკჩის შემოსავალიც კმაროდა.

[21] Koçi Bey Risalesi, გვ. 84 (დამოწმებულია გ. ფეთურიძის მიხედვით—ოსმალეთის სახელმწიფოს წარმოშობა, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიდან", გვ. 252); ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება, გვ. 187.

დგარი ფეოდალური ცხენოსანი ლაშქრის გამოყვანა[22], რის გარანტიას მას აძლევდა ის გარემოება, რომ, ჯერ ერთი, თითოეული სიფაჰის საკარგავი აღრიცხული და გატარებული იყო სათანადო დავთარში, რომელშიც ცვლილებების შეტანა ხელისუფლების სათანადო სანქციის გარეშე აკრძალული იყო და, მეორე, თუ სიფაჰი თავს აარიდებდა ომში წასვლას და არ გამოიყვანდა დაწესებული რაოდენობის მეომრებს, მას საკარგავი ჩამოერთმეოდა. ბრძოლაში თითოეული სიფაჰის მიერ გამოყვანილ მეომართა აღრიცხვას ახდენდა ბეგლარ ბეგი: „ჯებელისა და ოღლანების შემოწმება — ბეგლარბეგის საქმეა. იგი მას აქვს მინდობილი და ის უთვალთვალებს“, — აღნიშნულია სულთან სულეიმან I-ის კანონთა წიგნში[23].

ოსმალეთში არსებულმა საკარგავების გაცემის, სარგებლობისა და კონტროლის წესებმა მოგვცა ლენური სისტემის სრული და დახვეწილი ფორმა, რის წყალობითაც ფეოდალი და სახელმწიფო ისე მიეჯაჭვა ერთმანეთს, რომ უერთმანეთოდ არსებობა უჭირდათ.

ფეოდალებს არ შეეძლოთ ეცხოვრათ და ეარსებათ მიწის, როგორც ფეოდალური ბატონობის მატერიალური საფუძვლის, გარეშე. სახელმწიფოს კი ქვეყნის თავდაცვისა და დაპყრობითი ომებისათვის აუცილებლად სჭირდებოდა მრავალრიცხოვანი ლაშქარი. ამიტომ ხდებოდა ერთგვარი გარიგება. სახელმწიფო თიმარების, ზიამეთებისა და ხასების სახით იძლეოდა საკარგავს, ხოლო ფეოდალები მიღებული საკარგავებისათვის სახელმწიფოს წინაშე სამხედრო სამსახურს კისრულობდნენ.

ასეთნაირი გარიგებით ორი საქმე კეთდებოდა ერთდროულად: მტკიცდებოდა ფეოდალური წყობილება და იზრდებოდა ქვეყნის შეიარაღებული ძალები. ამის შედეგი იყო ის, რომ XVI ს-ში ოსმალეთი უძლიერეს სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოდ იქცა. ეს იყო ლენური სისტემის დამსახურება, მისი დადებითი მხარე. მაგრამ ამ დადებითთან ერთად მას წიაღში იმალებოდა ისეთი თვისებებიც, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ დასუსტებას. ამ თვისებებიდან გვინდა შევჩერდეთ ერთზე — მიწისმფლობელობის დროებითობაზე.

რაკი მიწა მესაკარგავეს დროებით მფლობელობაში ეძლეოდა, საკარგავის პატრონი დაინტერესებული არ იყო ბაღ-ვენახების გაშენებით, ინტენსიური მეურნეობის დანერგვით. ამან განაპირობა

---

[22] Аграрный строй Османской империи, стр. 214.

[23] იქვე. გვ. 24.

სოფლის მეურნეობის ჯერ ერთ დონეზე გაყინვა, ხოლო შერე დაცემა-დაქვეითება. ასეთ პირობებში ფეოდალი თავს არიდებს ნაკისრი ვალდებულების — სამხედრო სამსახურის შესრულებას[24]. თავის მოავადმყოფება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ყოველივე ამან კი გამოიწვია სახელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესება, საერთო კრიზისი, რომლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო ფეოდალებში კერძო-მესაკუთრული ტენდენციის გაძლიერება, საკარგავებზე სამუდამო მფლობელობისათვის ბრძოლა.

ოსმალეთის საერთო კრიზისი XVI საუკუნეში დაიწყო, XVIII—XIX საუკუნეებში კი ყველაზე მწვავე ხასიათი მიიღო. ცენტრალური ხელისუფლების ცდებს, ლენური სისტემის შეუცვლელად თავი დაეღწია ამ კრიზისიდან, სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

ოსმალეთში იყვნენ სამხედრო (სიფაჰები), საერო (სახელმწიფო მმართველობის სისტემაში მომუშავე დიდი მოხელენი) და სასულიერო ფეოდალები. თითოეული ეს ჯგუფი შედგებოდა წვრილი, საშუალო და მსხვილი ფეოდალებისაგან.

სამხედრო ლენური სისტემის ეს სამი კატეგორია ფეოდალებისა ოსმალეთში ერთმანეთისაგან განირჩეოდა არა მარტო საკარგავების ოდენობითა და, მაშასადამე, ქონებით, არამედ უფლებამოსილებითაც.

მსხვილი ფეოდალები (ბეგლარბეგები, სანჯაკბეგები და სხვ.) ფლობდნენ სამხედრო, ადმინისტრაციულსა და ნაწილობრივ სასამართლო ფუნქციებს, მინიჭებული ჰქონდათ ფინანსური (საგადასახადო) იმუნიტეტი და უფლება ლენებიდან ფეოდალური რენტის (ფულადი და შრომით ანაზღაურების) ნაწილის მითვისებისა. ისინი მფარველობას(უფრო ფორმალურს, ვიდრე რეალურს) უწევ-

---

[24] ამიტომ ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება იძულებული იყო ლენის მფლობელისაგან სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ მოეთხოვა ფული, რათა ამ თანხით დაექირაავებინა სხვა მეომრები. ასე გაჩნდა ოსმალეთში „სახაზინო ლაშქარი", რომელიც დაქირავებული ჯარისკაცებისაგან შედგებოდა. ხელისუფლების თანხმობამ, სამხედრო ლენების მფლობელების სამხედრო ვალდებულება შეეცვალა ფულადი ვალდებულებებით, უარყოფითი გავლენა მოახდინა ლენურ სისტემაზე (იხ. ო. გ ი ბ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, თურქეთის XVIII საუკუნის 70-იანი წლების ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", თბ., 1967, გვ. 171—173).

ლნენ თავიანთ საგამგებლო ტერიტორიაზე მსხდომ „თავისუფალ“ და „არათავისუფალ“ ლენთა მფლობელებს[25].

მსხვილი ფეოდალებისაგან არსებითად განსხვავდებოდნენ საშუალო (ზაიმი) და წვრილი ფეოდალები (თიმარიოტები). საშუალო ფეოდალს უფლება ჰქონდა, მთლიანად მიეთვისებინა თავის ლენზე დაწესებული „თავისუფალი გადასახადები“ (ბადი ჰავე, რესმი აღნამი, რესმი, ჩიფთი). სხვა მხრივ ის მსხვილ ფეოდალს ბორჩილებდა.

უარეს მდგომარეობაში იყვნენ წვრილი ფეოდალები. ისინი საამხედრო, ადმინისტრაციული და სასამართლო მდგომარეობის მხრივ მთლიანად დამოკიდებული იყვნენ მსხვილ ფეოდალებზე — სანჯაკბეგებზე. რომლებსაც აძლევდნენ თავიანთი თიმარებიდან მიღებულ ფეოდალური რენტის ნაწილს და, ისე როგორც საშუალო ფეოდალები, იმყოფებოდნენ მათი მფარველობის ქვეშ[26].

ლენური სისტემის პირობებში ფეოდალთა დაყოფა კატეგორიებად საკარგავების მიხედვით, მათი ქონებრივი და უფლებრივი განსხვავება და ერთმანეთთან დამოკიდებულება, რისი დამადასტურებელი ცნობები საკმაო რაოდენობითაა შემონახული წყაროებში[27], მიგვითითებს იმაზე, რომ ოსმალეთში არსებობდა ფეოდალური იერარქია[28].

---

[25] В. П. Мутафчиева, დასახ. ნაშრომი, გვ. 325.

[26] იქვე.

[27] ეს წყაროებია: Книга законов султана Мехмеда II фатиха; Книга законов султана Сулеймана Кануни (იხ. Аграрный строй Османской империи XV—XVII вв.); Evliya Çelebi, Seyahat-namesi, c. III, Dersaadat, 1314, s. 378; O. L. Barkan, XV ve XVI-inci asirlarda Osmanli Imparatorlugunda Zirai ekonominin hukuki ve mali esarlari, c. I, Kanunlar, Istanbul, 1943; M. Belin, დასახ. ნაშრომი; Б. Ђупић, Црногорски дефтери из 1521—1523 г. «Прилози за Оријенталну филологију»... 1952/53, т. III—VI.

[28] ოსმალეთში ფეოდალური იერარქიის არსებობის ზოგიერთ მხარეზე გაკვრით მიუთითებენ ბელენი, დენი, ქოფრულუ, ფილიპოვიჩი და სხვ. ბელენი და დენი ოსმალეთში ფეოდალური იერარქიის ფაქტს ხედავენ ლენური საკარგავების (თიმარი, ზაიმეთი, ხასი) სიდიდის სხვაობაში (M. Belin, დასახ. ნაშრომი, გვ. 230; J. Deny, Timar, «Enziklopaedie des Islām», Leiden-Leipzig, Bd. IV, 1934, s. 835). ბელენისა და დენისაგან განსხვავებით, ქოფრულუ იერარქიის არსებობას ოსმალეთში ხედავს იქ „მფარველობის არსებულ პრინციპში“ (M. F. Köprülü, La feodalisme turc-musulman au moyen age, Belleten, c. V, s. 19, p. 339), ხოლო ფილიპოვიჩი — „ქონებრივ სხვაობაში“ (Н. Филипович, Поглед на османской феудализм,—«Годишнак историског друшба Босне и Херцеговине», год IV, Сарајево, 1952, стр. 23—25). მიუხედავად ამისა, ზოგი მკვლევარი

მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასი ოსმალეთში იყო მშრომელი მასა — გლეხობა, რომელსაც „რაიათი“ ან „რაია“ ეწოდებოდა. რაიათი არაბული „რა'იათუნ“-იდან მომდინარეობს და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ჯოგს, ქვეშევრდომს“[29]. გლეხის აღმნიშვნელ ტერმინად მისი გადაქცევა, ვ. გაბაშვილის აზრით, ორგანულად დაკავშირებული უნდა იყოს „ექსპლოატაციის აღმოსავლურ ფორმასა“ და აღმოსავლეთის ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ საგადასახადო სისტემასთან[30]. რაიათის ანუ რაიას, როგორც სოციალური კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინის, არაბული შესატყვისია ფელაჰი.

რაიათი და ფელაჰი ორნაირი მნიშვნელობით იხმარებოდა. ზოგადი გაგებით აღნიშნავდა „ქვეშევრდომთ“ (რომლებიც ეკუთვნოდნენ საზოგადოების მხოლოდ დაბალ ფენას და იხდიდნენ გადასახადებს), ვიწრო გაგებით კი მიწის მუშას — გლეხს. მდგომარეობით ისინი ერთნაირ პირობებში იყვნენ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ოსმალურ საკანონმდებლო წიგნებში, იმ კანონებშიც კი, რომლებიც უშუალოდ არაბულ ქვეყნებს, კერძოდ, ერაყს ეხება, მწარმოებელი ფენისათვის დასახელებულია ისეთივე სახის გადასახდელები, როგორიც რაიასათვის არაარაბულ ქვეყნებსა და ვილაიეთებში (მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ „მოსულის ლივის კანონ-ნამე“)[31]. ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს, რომ ის, რაც ოსმალურ კანონებში რაიას შესახებაა ნათქვამი, გავავრცელოთ ფელაჰებზე, ყოველ შემთხვევაში, იმათზე მაინც, ვინც ტიპური ოსმალური სანჯაკების ტერიტორიაზე ისხდნენ.

რამდენადაც რაია და ფელაჰი ბინადარ მოსახლეს, მიწის მხვნელ-მთესველ გლეხს ნიშნავდა, ორივე ეს ტერმინი უპირისპირდებოდა ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „ელი“ და „ბედუინი“, რომლებიც მოხეტიალე-მომთაბარეთა აღსანიშნავად იხმარებოდა.

უარყოფს ოსმალეთში ფეოდალური იერარქიის არსებობის ფაქტს (ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVIII საუკუნეებში, გვ. 160; Б. Ц в е т к о в а, Характерни черти... «Історически преглед», год VII, стр. 388). მაგრამ ვ. მუთაფჩიევამ, პირველწყაროებზე დაყრდნობით, პირველმა, მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ოსმალეთში არსებობდა ფეოდალური იერარქია (იხ. მისი დასახ. ნაშრომი).

[29] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951; Х. К. Б а р а н о в, Арабско-русский словарь, М., 1957.

[30] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, გვ. 204.

[31] Аграрный строй Османской империи, стр. 63—68.

მაშასადამე, რაია იყო ბინადარი მიწის მუშა, გლეხი[32], რომელიც ვისმეს ქვეშევრდომობაში იმყოფებოდა და იხდიდა გადასახადს[33]. ოსმალური ფეოდალიზმის კლასიკურ პერიოდში, რაც XVII საუკუნემდე გრძელდებოდა, რელიგიური და ეროვნული ნიშნის მიხედვით რაია შეიძლებოდა ყოფილიყო მუსლიმიც და არამუსლიმიც. თურქიც და არათურქიც. ეს დადასტურებულია წყაროებით, მათ შორის სულთან სულეიმან I-ის „კანუნ-ნამეთი", სადაც ვხვდებით გამოთქმებს: „არამუსლიმი რაია" და „მუსლიმი რაია"[34]. ადრე რაიას რელიგიურსა და ეროვნულ კუთვნილებას ყურადღებას არ აქცევდნენ. შემდეგში კი მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა. ი. მორდტმანის მიხედვით, XVIII ს-ში, ხოლო ა. ტვერიტინოვას მოსაზრებით, XVII ს-ის შუა წლებიდან, რაია უკვე უმთავრესად არამუსლიმ ქვეშევრდომ გლეხს ეწოდებოდა[35], რაც დასტურდება წყაროებით, კერძოდ, თურქული საბუთებით. აქ რა'ია და მუსლიმი ერთიმეორისადმი დაპირისპირებული ცნებებია და ეპყვს გარეშეა, რომ რა'ია არამუსლიმის მნიშვნელობით იხმარება[36]. ასეთი მნიშვნელობით ხმარობს მას კ. მარქსი, როცა წერს: «В Боснии и Герцоговине дворянство славянского происхождения перешло в мусульманство, в то время, как масса народа осталась райней, т. е. христианами»[37]. ასეთსავე შინაარსს დებს მასში ი. ჰამერიც, მაგრამ მან უგულვებელჰყო ისტორიული ასპექტი, ვერ გაითვალისწინა, რომ იგივე ტერმინი ადრე სხვა

---

[32] В. Д. Смирнов, Кучибей Гомурджинский и другие османские писателей XVII в. о причинах упадка Турции, СПб., 1873, стр. 77; Y. H. Mordtman, Turkischer Iehensbief aus dem Jahre, 1682, ZDMG, Bd. 68, S. 138.

[33] ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი IV (ხელნაწერი), გვ. 737.

[34] ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 723. იხ. აგრეთვე Evliiā Çelebi, Putopis oldomci o Lugoslavensim Zemlejama Preveo, uvod i komentar napisao Hazim Sabanovic, Sarajevo, 1967, გვ. 637; Y. H. Mordtman, დასახ. ნაშრომი, გვ. 138; В. Д. Смирнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 77; ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 205.

[35] Y. H. Mordtman, დასახ. ნაშრომი, გვ. 138; А. С. Тверитинова, Аграрный строй Османской империи XV—XVII вв, стр. 211. მორდტმანის მიერ 1914 წელს გამოთქმული ეს მოსაზრება შემდეგ გაიმეორეს ვლ. გორდლევსკიმ (იხ. მისი Государство сельджукидов Малой Азии, М.-Л., 1941, стр. 94; Избранные сочинения, т. I, стр. 123) და ჰაზიმ შაბანოვიჩმა (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 637—8).

[36] ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 726—727.

[37] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. X, М., 1933, стр. 374.

მნიშვნელობით იხმარებოდა და განმარტა, „რა'ია არამუსლიმს, ებრაელსა და ქრისტიანს ნიშნავსო"[38]. რა'იას ეს არასრული და მცდარი განმარტება შემდეგ გაიმეორეს დ. მაგაზანიკმა, ა. მილერმა და ი. პეტრუშევსკიმ. დ. მაგაზანიკთან და ა. მილერთან „რაია ჩვეულებრივ არამუსლიმი ქვეშევრდომია"[39], ხოლო ი. პეტრუშევსკისთან კი „ოსმალეთში ჯიზიას გადამხდელი, არამუსლიმი ქვეშევრდომი — ქრისტიანები და ებრაელები"[40].

ასე გაჩნდა და დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში რა'იას ვ. სმირნოვისეული განმარტების გვერდით ი. ჰამერისეული განმარტება. შემდეგში ამავე საკითხზე თავისი მოსაზრება გამოთქვა აგრეთვე ა. ტვერიტინოვამ და განმარტა, რომ „რა'ია ოსმალეთში არის გადასახადის გადამხდელი, დამოკიდებული თურქული და არათურქული მოსახლეობა"[41]. გადასახადის გადამხდელი მოსახლეობა კი ოსმალეთში იყო როგორც სოფლად, ისე ქალაქად. ამიტომ ამ განმარტებიდან გამოდის, რომ რა'იები ქალაქშიც ყოფილან, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს[42]. ნამდვილად რაიები, როგორც ვ. სმირნოვი და ი. მორდტმანი აღნიშნავენ, გადასახადის გადამხდელი და ქვეშევრდომი სოფლის მცხოვრებნი იყვნენ. რაც შეეხება ქალაქის ასეთივე სოციალური კატეგორიის მოსახლეობას, მათ

---

[38] ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 722. რა'ია რომ ყოველთვის მარტო არამუსლიმს არ ნიშნავდა, ეს ზემოთ მოტანილი წყაროებისა და ლიტერატურის გარდა ჩანს აგრეთვე ა. რეფიკისა და მ. ფაქალინის ნაშრომებიდანაც (A. Refik, Anadoluda türk aşiretleri, Istanbul, 1930, გვ. 75; M. Z. Pakalin, Osmanli tarich deyemleri ve terimleri sozlügü, Istanbul, 1948, ნაკვ. IV, გვ. 365. ეს შრომებიც მითითებულია ს. ჯიქიას ნაშრომის მიხედვით, გვ. 723).

[39] Д. А. Магазаник, Турецко-русский словарь, М., 1945; А. Ф. Миллер, Мустафа паша Байрактар, М.-Л., 1947, стр. 497; მისივე, Краткая история Турции, М., 1948, стр. 22.

[40] И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношении в Азербайджане и Армении в XVI — начале XIX вв, Л., 1949, стр. 249.

[41] А. С. Тверитинова, Об ошибочной концепции средневековой истории в «Краткой истории Турции» А. Ф. Миллера, Сборник, «История и философия стран Востока». ЛГУ, 1952, стр. 228.

[42] მართალია, წყაროებში ზოგჯერ ტერმინი „რა'ია" მოქალაქის მიმართაც იხმარება (იხ. А. А. Али-Заде, К вопросу о положении крестьян в Азербайджане в X—XIV вв. «Труды Института истории и философии АН АЗ. ССР», Баку., 1953, вып. III, стр. 118), მაგრამ ამ გაგებით, რომ მოქალაქეც (ისე როგორც რა'ია) მდაბიოა, დაბალ სოციალურ კატეგორიას ეკუთვნის.

„შეპირლები" ეწოდებოდათ[43]. გარდა ამისა, ა. ტვერიტინოვას განმარტებაში გაუთვალისწინებელია ის ძირითადი ნაკლი, რაც ვ. სმირნოვისა და ი. ჰამერის განმარტებებს გააჩნიათ, კერძოდ, ყურადღების მიღმაა მირჩენილი ის ფაქტი, რომ ტერმინი „რა'ია" თავისი არსებობის მანძილზე ცვალებადობას განიცდიდა და სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა. ამ უკანასკნელ გარემოებას ყურადღება მიექცა მხოლოდ ამ ათიოდე წლის წინათ და რა'ია წარმოდგენილი იქნა ისტორიულ ასპექტში, რომლის მიხედვით ოსმალეთის ფეოდალიზმის კლასიკურ ხანაში (XVII ს-მდე) რა'ია ნიშნავდა გადასახადის გამომღებ ქვეშევრდომ გლეხს განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ხოლო შემდეგ (XVIII—XIX საუკუნეებში) კი არამაჰმადიან (ქრისტიან, ებრაელ და სხვ.) გლეხს ანუ ზიმიას[44].

რაიები ისხდნენ სახელმწიფო, ვაკფის ან კერძო მფლობელთა მიწებზე და ეკუთვნოდნენ მიწის მფლობელს. რაია მიწერილი ანუ მიმაგრებული იყო პიროვნებაზე — ფეოდალზე, მფლობელზე. მიმაგრების იურიდიულ საბუთს წარმოადგენდა თაფუ და სპეციალური საღრიცხვო დავთარი, რომელსაც პერიოდულად ადგენდა სათანადო მოხელე. ფეოდალზე მიწერილი რაია თაფუს წესით მისგან ღებულობდა და ამუშავებდა გარკვეულ მიწის ნაკვეთს, რასაც არაბულ ვილაიეთებში ფედანი ეწოდებოდა, ხოლო იმპერიის აზიური ნაწილის სხვა პროვინციებში — ჩიფთი ან ჩიფთლიქი[45]. ფედანიც და ჩიფთიც ზომის ერთნაირი ერთეულები იყო. ჩიფთი და ფედანი ეწოდებოდა მიწის ნაკვეთს, რომლის მოხვნა შეიძლებოდა უღელი ხარით ერთი დღის განმავლობაში[46]. მაგრამ იმის გამო, რომ

---

[43] H. A. R. Gibb, H. Bowen, დასახ. ნაშრომი, გვ. 158; ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 736; ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, გვ. 205.

[44] ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 737; A. C. Тверитинова, Аграрный строй Османской империи, стр. 210—211; H. Sabanovic, დასახ. ნაშრომი, გვ. 637—638.

[45] ბალკანეთის ქვეყნებში ჩიფთის (چفت) შესატყვისი ტექნიკური ტერმინი იყო „ბაშთინა" (باشتين), რომელიც საერთოდ „ქაფირების" ანუ ქრისტიანი გლეხების მიწას (ნადელს) ეწოდებოდა.

[46] ფედანი ჯ სხვადასხვანაირია: ბიზანტიური (ფედან-ი რუმანი), ისლამური (ფედან-ი ისლამი) ანუ არაბული (ფედან-ი არაბ) და სახნავი (ფედან-ი ჰირას, ფედან-ი ჰურას) ანუ მიწის (ფედან-ი არდ). ბიზანტიური ფედანი მიწის ისეთი ნაკვეთია, რომლის დამუშავება შეუძლია ერთ უღელ ხარს ერთ დღე-ღამეში. ბიზანტიური ფედანის ნახევარია ისლამური ანუ არაბული ფედანი. ესაა მიწა, რომელსაც უღელი ხარი

არც სახნავი მიწები იყო ყველგან ერთნაირი და არც ხარები, ამიტომ ჩიფთის ნაკვეთებიც ფართობის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ჩიფთის როგორც მიწის ნაკვეთის ფართობის საზომი ერთეულის განსაზღვრა დაიწყეს დონუმით[47]. თანაც გათვალისწინებულ იქნა სახნავი მიწის ხარისხიც და სულთან სულეიმან I-ის „კანონ-ნამეში" უკვე „ჩიფთლიქად იწოდებოდა 70—80 დონუმი საუკეთესო მიწა, 100 დონუმი საშუალო ხარისხის მიწა და 130—150 დონუმი მწირი მიწა"[48]. როგორც ჩანს, ჩიფთის ამ განმარტებაში რაიას შემოსავლის შესაძლო რაოდენობის გათანაბრებაც[49] იყო გათვალისწინებული. და ვინ იცის, ეგების ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სხვადასხვა სანჯაკებსა და ვილაიეთებში ჩიფთი სხვადასხვა ზომის არსებობდა. მაგალითად, მოსულის სანჯაკებში, რომლებიც XVIII ს-ის დასაწყისიდან ერაყში (ბაღდადის საფაშო) შედიოდნენ, ჩიფთი შეადგენდა ზომით 80 დონუმს კარგ მიწებზე, 100 საშუალო მიწებზე და 150 დონუმს მწირ მიწაზე[50]. აიდინის სანჯაკებში კი 60 დონუმს საუკეთესო მიწებზე, 80— საშუალო მიწებზე და 130—150 მწირ მიწებზე[51]. ყარამანიის ვილაიეთებში ჩიფთლიქი კარგ მიწებზე

დაამუშავებს დილიდან საღამომდე. ხოლო ერთი უღელი ხარი რომ დილიდან შუადღემდე ნაკვეთს მოხნავს, იმას სახნავი ანუ მიწის ფედანი ეწოდება. ჩვენ ყველგან არაბული ფედანი გვაქვს მხედველობაში.

[47] (دونم) — „სიგრძითა და სიგანით 40 ნაბიჯი მიწაა, ჩვეულებრივი ნაბიჯით. (ამაზე) მეტი ან ნაკლები არ უნდა იქნეს მიღებული" (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, წ. II, გვ. 2).

[48] Книга законов султана Сулеймана Кануни, («Аграрный строй Османской империи», стр. 30).

[49] ჩიფთის ადრინდელი შინაარსი კი არ ითვალისწინებდა ამას, პირიქით, ძველი ჩიფთი კარგ, საშუალო და მწირ მიწებზე არც ფართობის მიხედვით იყო თანაბარი და არც მოსავლის მიხედვით. სხვაობა მოცულობაში გამოწვეული იყო იმით, რომ ჩიფთი წარმოადგენდა ერთი დღის სახნავ მიწის ნაკვეთს, რომელიც კარგ მიწებზე გაცილებით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე საშუალო და ცუდი ხარისხის მიწებზე, იმ უბრალო ჭეშმარიტების გამო, რომ კარგი მიწა შედარებით ოლი დასამუშავებელია. რაც შეეხება განსხვავებას მოსავლის მხრივ, დამოკიდებული იყო მიწის ნაყოფიერებაზე და მის ფართობზე. რამდენად ნოყიერი და დიდია მიწის ნაკვეთი, იმდენად მეტია მოსავალი. ეს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა რაიებსაც და მათ პატრონებსაც.

[50] Законоположение ливы Мосул (Аграрный строй Османской империи, стр. 63).

[51] Законоположение ливы Айдин (იქვე, გვ. 46).

შეადგენდა 60 დონუმს, საშუალოზე —80, ხოლო მწირზე —100—120 დონუმს[52].

იმისათვის, რომ რაიას ჩიფთით სარგებლობის უფლება ჰქონოდა, მას უნდა ეკისრა მრავალი ვალდებულება, რომელთაგან მთავარი იყო გადასახადების გადახდა ფეოდალის ან სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ.

ჩიფთი სამემკვიდრეო მიწის ნაკვეთი იყო. როცა რაია გარდაიცვლებოდა, ჩიფთი ვაჟიშვილს რჩებოდა[53]. თუ ორი ვაჟი ჰყავდა და ორივე ცოლშვილიანი იყო, ჩიფთს შუაზე იყოფდნენ[54]. ასე ხდებოდა იმ შემთხვევაშიც, როცა გარდაცვლილ რაიას მეტი ვაჟი ჰყავდა. ჩიფთს ორი ცოლშვილიანი ვაჟი იყოფდა, ხოლო სხვები ითვლებოდნენ თანამონაწილეებად — ცოლიანები ბ ე ნ ა ქ ა დ, უცოლონი ჯ ა ბ ა დ ან ყ ა რ ა დ[55].

ოსმალური კანონმდებლობით, მემკვიდრეობის უფლებით სარგებლობდნენ მხოლოდ მამაკაცები[56]. ამიტომ გარდაცვლილი რაიას მიწის ნაკვეთის მემკვიდრე არც მისი ქალიშვილი შეიძლებოდა გამხდარიყო[57] და არც ცოლი[58]. მაგრამ, ეტყობა, ეს შეზღუდვა ყველგან და ყოველთვის არ იყო დაცული. ყოველ შემთხვევაში, ავნი ომერ ეფენდის „კანონ-ნამეში" ნათქვამია, რომ გარდაცვლილი რაიას მიწის მემკვიდრეა ვაჟიშვილები, ხოლო თუ ასეთები არ არიან, მაშინ ქალიშვილები ან გარდაცვლილის ძმები[59]. ქალიშვილის გარდა მემკვიდრეობის უფლებით რომ ზოგჯერ გარდაცვლილი რაიას მეუღლეც სარგებლობდა, ეს პირდაპირაა აღნიშნული „გურჯის-

---

[52] Законоположение вилайета Караман (Аграрный строй Османской империи, стр. 56).

[53] Книга законов Сулеймана Кануни (იქვე, გვ. 26).

[54] O. L. B a r k a n, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

[55] იქვე, გვ. 254. ასე იმიტომ ხდებოდა, რომ „ჩიფთის დაყოფა-დაქუცმაცება კატეგორიულად იკრძალებოდა" (იქვე).

[56] A. C. T в е р и т и н о в а, К вопросу о крестьянстве и крестьянском землепользовании в Османской империи, стр. 39.

[57] „თუ გარდაცვლილ რაიას დარჩა არა ვაჟი, არამედ ქალიშვილი და ის მოითხოვს ყოფილ მიწას, სიფაქს ეკრძალება (მიწის) გადაცემა ქალიშვილზე" (O. L. B a r k a n, დასახ. ნაშრომი, გვ. 7—8).

[58] „არაბ-ფადიშაჰის კანონი, გარდაცვლილის მიწა გადაეცეს მეუღლეს" (O. L. B a r k a n, დასახ. ნაშრომი, გვ. 8; A. C. T в е р и т и н о в а, დასახ. ნაშრომი გვ. 40).

[59] გ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ოსმალობა, გვ. 25.

ტანის ვილაიეთის დიდ დავთარსა"[60] და სულეიმან I-ის „კანონ-ნამეში"[61].

ოსმალეთში გლეხის ჩიფთის შემკვიდრეობით გადაცემის წესში გარკვეული ცვლილებები მოხდა XVI ს-ის დასასრულს. ზრდადასრულებულ ფეოდალურ სახელმწიფოში უფლება გლეხთა მიწების მემკვიდრეობით გადაცემისა გაფართოედა როგორც მამაკაცის, ისე ქალის მხრივაც. ამ ცვლილებებმა ასახვა ჰპოვა საკანონმდებლო აქტებში. კერძოდ, აბუ სუ'უდის მიერ შედგენილ „სულეიმან ბრწყინვალის კანონის განმარტებათა კრებულში" ჩიფთზე მემკვიდრეობის უფლების შესახებ ნათქვამია: „თუ თიმარის ან სხვა მიწისა და სათიბის მფლობელის რომელიმე რაია გარდაიცვალოს და მას ვაჟი დარჩეს, სახნავ-სათესი ადგილი და სათიბი ვაჟს გადაეცეს მემკვიდრეობით, თაფუს გადაუხდელად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მას ვაჟი კი არა, ქალიშვილი დარჩეს, მიწაც და სათიბიც ქალიშვილს მიეცეს თაფუთი, რომლის ოდენობას განსაზღვრავენ ამ საქმით დაუინტერესებელი პირები.

თუ არც ქალიშვილი ებადოს და დარჩეს ძმა მამის მხრივ, ჩიფთი მას გადაეცეს რესმი თაფუთი, რომლის ოდენობასაც აგრეთვე დაუინტერესებელი პირები ადგენენ. თუ მამის მხრივ ძმა კი არა, და არის დარჩენილი და მის მიწაზე ცხოვრობს, (ჩიფთი) მას ეკუთვნის. თუ დაც არა ჰყავს და ჰყავს მამა, მაშინ (მიწა) მამას მიეცეს თაფუთი. ხოლო, როცა მამა მკვდარია და დედაა ცოცხალი, მიწა ეკუთვნის თაფუთი, მაგრამ თუ აღარც დედაა ცოცხალი და მხოლოდ თანამფლობელნი არიან დარჩენილნი, მაშინ მიწა მათ მიიღონ თაფუთი"[62]. ამ განმარტებაში ნაჩვენებია არა მარტო ის, რომ გლეხის ჩიფთის მემკვიდრეობის უფლებებში ცვლილება მომხდარა, არამედ ისიც, თუ ვინ სარგებლობდა ამ ჩიფთის მემკვიდრეობით მიღების უფლებით, რა პირობით და რა რიგით.

იმ შემთხვევაში თუკი რაია ისე გადაშენდებოდა, რომ მას აღარც შვილები რჩებოდა, აღარც ძმები, დები და მშობლები, მაშინ გარდაცვლილის ჩიფთი ფეოდალს უბრუნდებოდა[63], რადგან ეს მი-

---

[60] გერჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, გვ. 1.

[61] „თუ მეუღლე გარდაცვლილი ქმრის მიწას დაუმუშაებელს არ ტოვებს, იხდის მასზე დაწერილ უშრსა და სხვა გადასახადებს, ამ მიწის ჩამორთმევა უკანონოა და ამას ნუ გაკეთებენ" (Аграрный строй Османской империи, стр. 31).

[62] А. С. Тверитинова, К вопросу о крестьянстве и крестьянском землепользовании, стр. 40.

[63] Книга законов султана Сулеймана Кануни, «Аграрный строй Османской империи», стр. 27.

წა — როგორც ავნი ომერ ეფენდის „კანუნ-ნამეშია" აღნიშნული, — რაიას საკუთრება არ იყო[64]. ჩიფთს მისი მესაკუთრე ფეოდალი იბრუნებდა იმ შემთხვევაშიც, თუ რაია დაარღვევდა საერთო წესებს და არასაპატიო მიზეზით სამი წლის განმავლობაში დაუმუშავებელს დასტოვებდა მას, ან სულ აიყრებოდა და ფეოდალის ნებართვის გარეშე სხვაგან წავიდოდა[65]. აყრა-გადასახლებისა და მიწის დაუმუშავებლობის საპატიო მიზეზად ოსმალური კანონები თელიდნენ მხოლოდ არეულობას, გაღარიბებას, ავადმყოფობას და მოხუცებულობას[66]. ასეთი შემთხვევების გამო წასული გლეხი თუ შემდეგ კვლავ დაბრუნდებოდა, ახალი დავთრის შედგენამდე, ფეოდალი მას უარს ვერ ეტყოდა ჩიფთით სარგებლობაზე[67]. იგი ვერც იმაზე აღუდგებოდა წინ რაიას, რომ თავისი ჩიფთის დამუშავების შემდეგ სხვა თიმარის მიწაზე ემუშავნა[68].

გაქცეული რაია, რომელიც ძველ ადგილზე თავისით არ დაბრუნდებოდა, პატრონს შეეძლო მოეძია. რაიას ძებნის ვადა ოსმალეთში, ეტყობა, ყველგან და ყოველთვის ერთნაირი არ იყო. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში, რომელიც 1595 წელსაა შედგენილი, გაქცეული რაიას ძებნისა და დაბრუნების ვადა 10 წელია[69]. იგივე ვადაა დაწესებული სულთან მეჰმედ II ფათიჰის კანონთა წიგნშიც[70], მაგრამ სულეიმან I-ის კანონის თანახმად, ფეოდალს უფლება აქვს 15—20 წელიწადს ეძიოს და დაიბრუნოს გაქცეული რაია[71]. თუ ამ ხნის განმავლობაში ფეოდალი გაქცეულ რაიას ვერ იპოვნიდა, შემდეგ კიდეეაც რომ მიეგნო მისთვის, დაბრუნების უფლება აღარ ჰქონდა და რაია თავისუფლდებოდა. ფეოდალზე მიწერილი რაია პატრონის მორჩილებიდან თავისუფლდებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ ძველ დავთარში შეტანილი იყო,

---

[64] გ. ფ უ თ უ რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 251.

[65] Книга законов султана Сулеймана Кануни. „Аграрный строй Османской империи", стр. 27.

[66] იქვე, გვ. 25—26.

[67] იქვე, გვ. 25.

[68] Законоположение ливы Мосул, «Аграрный строй Османской империи», стр. 27.

[69] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, გვ. 1.

[70] O. L. B a r k a n, Kanunlar, 391; A. C. Т в е р и т и н о в а, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

[71] Книга законов султана Сулеймана Кануни, «Аграрный строй Османской империи», стр. 35.

მაგრამ (დამალვის მიზნით) ახალ დავთარში აღარ აღმოჩნდებოდა ჩაწერილი[72].

ჩიფთის მფლობელ გლეხთან ერთად ფეოდალის რაიებად ითვლებოდნენ აგრეთვე მისი შვილები და ძმები[73], სანამ ისინი სხვაზე არ იქნებოდნენ მიწერილი[74]. გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნის მიხედვით, რაიათის შვილი არის რაიათი სანამ ის სხვას არაა მიწერილი.

ოსმალეთში რაიების ორი ძირითადი კატეგორია არსებობდა. ერთში შედიოდნენ სარეესტრო რაიები, მეორეში კი რეესტრგარეშე. სარეესტრო რაიებად ითვლებოდნენ ფეოდალის თიმარზე მიწერილი და ჩიფთის მქონე გლეხები (მათ სარეესტროს გარდა ადგილობრივ ან მკვიდრ რაიებსაც უწოდებდნენ), ხოლო რეესტრგარეშედ კი ისინი, ვინც ფეოდალის თიმარზე არ იყვნენ მიწერილი და მის დავთარში არ აღინუსხებოდნენ. ასეთი რაიები, თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფოდნენ: ისეთებად, ვისაც სამკვიდრო მიწის ნაკვეთი არ გააჩნდათ და რომელსამე ფეოდალთან დროებით მუშაობდნენ. ასეთ რაიებს, რომლებსაც მიწა-წყალი არ გააჩნდათ და სხვასთან მუშაობდნენ იჯარით, „მუზარაჯნ“ ანუ „მუზარა'ათ“ — ეწოდებოდათ[75]. მეორე ჯგუფის რაიებს ეკუთვნოდნენ ისინი, ვინც ერთ ფეოდალთან ასევე დროებით მუშაობდნენ, მაგრამ მეორე ფეოდალის თიმარში ჩიფთის მფლობელნი იყვნენ. ყველა ამათ, როგორც სახლ-კარიან და ჩიფთის მქონეს, ისე უსახლკაროსა და ჩიფთის არმქონეს, ურეესტრო რაიებს გარდა მოსულ რაიებსაც უწოდებდნენ. მოსული რაია იღებდა რომელიმე ფეოდალის თიმარში მიწის ნაკვეთს დასამუშავებლად და ვალდებული იყო გადაეხადა ყველაფერი ისე, როგორც იხდიდა სარეესტრო რაია. განსხვავება მოსულსა და ადგილობრივ რაიებს შორის ის იყო, რომ მოსული რაიები თავისუფალი იყვნენ საპატარძლო გადასახადებისაგან, აგრეთვე მათ შეეძლოთ მიეტოვებინათ მიწის ნაკვეთი და წასულიყვნენ[76]. ასეთ უმიწაწყლო მეჯარე გლეხებს არაბულად „მუზარი'“ ეწოდებოდა. ფეოდალის თიმარიდან წასული რაიები ხში-

---

[72] Книга законов султана Сулеймана Кануни. „Аграрный строй Османской империи“, стр. 24.

[73] იქვე.

[74] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, გვ. 11; А. С. Тверитинова, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

[75] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 220.

[76] Книга законов султана Сулеймана Кануни, стр. 34—35.

რად ქალაქებში მიდიოდნენ. ვინც სტამბოლში დასახლდებოდა, მათი გადასახლება იქიდან აკრძალული იყო. ისინი ჩამოსვლისთანავე ქალაქის მცხოვრებთა უფლებით აღიჭურვებოდნენ ხოლმე. სხვა ქალაქში კი ასეთ უფლებას ჩასული რაია მხოლოდ 20 წლის შემდეგ ღებულობდა[77]. სტამბოლს ჩასული რაიებისათვის ასეთი უფლების მინიჭება ქალაქის გაზრდისა და მუშახელით მისი უზრუნველყოფის მიზნით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ოსმალური კანონები მტკიცე ზღვარს აელებდნენ რაიასა და ფეოდალს შორის. კანონ-ნამეებში ერთ მხარეზე მმართველები არიან დაყენებული, მეორეზე კი რაიები და შეჰირლიები (მოქალაქენი)[78]. რაიებს ეკრძალებოდათ ცხენზე ჯდომა და ხმლის ტარება, უფლება არ ჰქონდათ მიეღოთ თიმარი[79]. მაგრამ იმავე საკანონმდებლო აქტებიდან ირკვევა, რომ ასეთი აკრძალვების მიუხედავად, რაიას მაინც შეეძლო გამხდარიყო თიმარის მფლობელი ფეოდალი[80], მჯდარიყო ცხენზე და ეტარებინა ხმალი, თუკი იგი მონაწილეობას მიიღებდა ბრძოლებში: „ვისაც სურდა შემჯდარიყო ცხენზე და შემოერტყა ხმალი, უნდა წასულიყო საზღვარზე და იქ გამოეჩინა თავი", — ამბობს მ. ბელენი[81]. მისივე ცნობით, საზღვარზე წასული და ბრძოლებში სახელმოხვეჭილი რაია სანჯაკბეგისა თუ ბეგლარბეგის წარდგინებით ღებულობდა თიმარს და ირიცხებოდა სამხედრო რაზმში[82], რომელსაც „კაფუ-კულუ" ეწოდებოდა. ბელენის ცნობას ომებში რაიების მონაწილეობისა და მათი გაფეოდალების შესახებ მხარს უჭერს ევლია ჩელებიც, რომლის „მოგზაურობის წიგნში" ნათქვამია: „მაცნეებმა ხალხს აუწყონ: დილაადრიან იერიშია და ვისაც თიმარი, ზეამეთი და სიფაჰობა სურს, უნდა გამოვიდეს... ვინც (მოკრილი) თავი მოიტანა ან მოენე (ტყვე) მოიყვა-

---

[77] იქვე, გვ. 35. ქალაქში ჩაწერილ გლეხებს რაიასაგან განსხვავებით „შეჰირლი" ანუ ქალაქში მცხოვრები, მოქალაქე ეწოდებოდათ (H. A. R. Gibb, H. Bowen, დასახ. ნაშრომი, გვ. 158). მაჰმუდ II-ის დროს (1808—1839 წწ.) წესი შეიცვალა, პროვინციებიდან ჩასულთ]სტამბოლში აღარ აჩერებდნენ, რადგან სახელმწიფოს მათი შენახვა აღარ შეეძლო და იწყებოდა მღელვარება (А. Д. Новичев, История Турции, Л., 1968, т. II, ч. I, стр. 147—148).

[78] H. A. R. Gibb, H. Bowen, დასახ. ნაშრომი, გვ. 48, 158; ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 205.

[79] M. Belin, დასახ. ნაშრომი, გვ. 250; H. A. R. Gibb, H. Bowen, დასახ. ნაშრომი, გვ. 158; ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 205.

[80] Д. Бакрадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

[81] M. Belin, დასახ. ნაშრომი, გვ. 252.

[82] იქვე, გვ. 251.

ნა... დააწინაურეს. (მათ) ზეამეთები და თიმარები მისცეს"[83]. ასე რომ, ოსმალეთში რაიას დაწინაურებისა და ფეოდალად გახდომის გზა ომებში მონაწილეობა და იქ სახელის მოხვეჭა იყო[84]. ეს გზა, რომელიც რაიებისათვის მეტად ძნელი დასაძლევი იყო, იმავდს არ უკარგავდა მათ დაეღწიათ თავი უმწეო მდგომარეობიდან. მეორე მხრივ, ამ გზით ივსებოდა ოსმალეთის შეიარაღებული ძალების რიგები, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოსათვის დაპყრობითი თუ თავდაცვითი ომების დროს. მაგრამ რაიებს ოსმალეთის სახელმწიფოსათვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა მაინც იმ მხრივ ჰქონდათ, რომ მათი მარჯვენის წყალობით ივსებოდა ხაზინა და ბეღლები, რაც ესოდენ აუცილებელი იყო ლაშქრის, სამოხელეო არისტოკრატიისა და ფეოდალური კლასის შესანახავად: „რ ა ი ა ფადიშაჰის ხაზინაა"-ო, ამბობს კოჩიბეი გორიჯელი[85].

ასეთსავე ხაზინას წარმოადგენდა ფადიშაჰისა და მის საბრძანებელში მყოფი არაბული ქვეყნების მმართველი წრეებისათვის რაიასთან გათანაბრებული ფელაჰიც. თავისი მდგომარეობით ფელაჰიც რაია იყო. როგორც რაიები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ასევე ფელაჰებიც. ქონებრივი ნიშნის მიხედვით წყაროები მათ ორ ძირითად ჯგუფად ჰყოფენ. ის, ვისაც ჰქონდა პური, ფეტვი და სტუმრის გამოჩენისას შეეძლო ქათმის ან ცხვრის დაკვლა, შეძლებულ ფელაჰთა ჯგუფს ეკუთვნოდა. ხოლო ვისაც საყოფი პური არ გააჩნდა და ძირითადად ინდისხურმით ირჩენდა თავს, ღარიბებად ითვლებოდნენ.

ფელაჰი ჩვეულებრივ ფეხით დადიოდა. ცხენზე ის იშვიათად ჯდებოდა. მაგრამ როგორც არ უნდა ევლო მას, ფეხით თუ ცხენით, სულერთია, უიარაღოდ ვერასდროს დაინახავდით. შეძლებულები ატარებდნენ ხანჯალს ან „ჯამბიეს "(ხანჯლის მაგვარ ორლესულ იარაღს) და თოფსაც, ხოლო ღარიბთა ჩვეულებრივი იარაღი იყო „მათრაქი" — მსხვილთავიანი ხელკეტი, რომელსაც თავი გაფისული ჰქონდა. თუ არ ჩაცმა-დახურვით, ზნე-ჩვეულებითა და შეია-

---

[83] ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, თბ., 1971, ნაკეთი 1, გვ. 115—116.

[84] „რა'ია რომ თიმარის ღირსი გახდეს, აღნიშნავს 'ა ი ნ ი 'ა ლ ი, ფადიშაჰს უნდა ემსახუროს, ლაშქრობის დროს იბრძოლოს" (გ. ა ლ ა ს ა ნ ი ა, 'აინი 'ალის „რისალე" როგორც წყარო ოსმალეთის აგრარულ ურთიერთობათა შესასწავლად, „ქართული წყაროთმცოდნეობა", თბ., 1971, III, გვ. 231).

[85] А. С. Т в е р и т и н о в а, Второй трактат Кочибея, стр. 245.

რალებით, სხვა მხრივ ფელაჰი რაიასაგან თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა. რაიას მსგავსად იგი იყო მიწის მუშა, რომელიც მისდევდა სოფლის მეურნეობას, უმთავრესად მარცვლეული კულტურების მოყვანას, მებაღეობა-მებოსტნეობას და მეთამბაქოეობას. ფელაჰის მდგომარეობა მძიმე იყო. „ივი მოქცეული იყო მიწასა და და მის მფლობელს შორის, როგორც გრდემლსა და ურის შუა, მაგრამ თავისი ცხოვრების წესით ის მიწასთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე პატრონთან. ურის დაკვრით ეს უკანასკნელი (ე. ი. პატრონი) სულ უფრო აკრავდა ფელაჰს მიწასთან და მისი მიწასთან გასწორება იმდენად რეალური გახდა, რომ ფელაჰის ფლობით შისი მეუფე ეუფლებოდა მიწას, ხოლო მიწის დაუფლებით კი თვით ფელაჰს"[86].

ეგვიპტეში და საერთოდ არაბულ ქვეყნებში ფელაჰებს უწოდებდნენ „აჰლ ალ-ჰაიტებს"[87] ანუ ბინადარ მცხოვრებლებს და ამით განასხვავებდნენ მათ მომთაბარე-მოხეტიალე ხალხის „აჰლ ალ-ბაითისაგან"[88], რომლებიც აგრეთვე „აჰლ ალ-ბადავის"[89] ანუ ბედუინების სახელით არიან ცნობილი. XVIII—XIX ს-ის მიჯნაზე ბედუინები ეგვიპტის მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენდნენ[90]. მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მათ არ გააჩნდათ, ეწოდნენ მომთაბარე ცხოვრებას. ისინი ცხოვრობდნენ უდაბნოებსა და ნახევრად უდაბნოებში, ამიტომ მათ ხშირად „უდაბნოს შვილებს" უწოდებდნენ.

ბედუინები ცხოვრობდნენ ტომებად. ისინი ერთ ადგილზე იმყოფებიან მანამდე, სანამ ბალახია. შემდეგ იცვლიან ადგილს, მიდიან იქ, სადაც საქონლის ჯოგისათვის კარგი საძოვრებია. ასე რომ, ბედუინთა ხეტიალის ერთ-ერთი მიზეზი მესაქონლეობა და საქონლის ჯოგისათვის საძოვრების ძებნაა. საძოვრების შერჩევა და ტომის ადგილსამყოფელის გამოცვლა ხდება გარკვეული წესით. ტომის უხუცესი წევრები იკრიბებიან შეიხის (ტომის ბელადის) კარავში, რომელიც მუდამ ღიაა მათთვის, და მასთან მოთათბირების შედეგად ადგე-

---

[86] А. Айру, Феллахи Египта, перев. с французского В. В. Волковой и Г. Д. Кулагина, М., 1954, стр. 13.

[87] اهل الحيط — სახლსა შინა ანუ კედლებს შუა მცხოვრები ხალხი.

[88] اهل البيت — კარვის ხალხი, კარვებში მცხოვრებნი.

[89] اهل البدوى სიტყვასიტყვით ნიშნავს უდაბნოს ხალხს, ბედუინებს, რომლებიც ოაზისებში არიან და მომთაბარეობენ.

[90] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

ნენ თუ რომელ დღეს უნდა აშალონ კარვები და სად წავიდნენ. ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა, და, მაშასადამე, მოძრაობის მიმართულების დადგენაც, ხდება გარკვეულ დროს, ჩვეულებრივ, გაზაფხულზე და შემოდგომაზე. გაზაფხულზე ტომები მიემართებიან სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ხოლო შემოდგომაზე, აცივდება თუ არა, ჩრდილოეთიდან ბრუნდებიან სამხრეთში, საზამთრო საძოვრებზე. ბაირონის შვილიშვილის, ცნობილი მოგზაური ქალის, ლედი ანა ბლანტის გამოანგარიშებით, ზოგიერთი ტომი, რომელსაც აქლემის ჯოგი ჰყავს, წელიწადში გადის დაახლოებით 2000 მილს[91].

იმის გამო, რომ ადგილის შერჩევაში მონაწილეობას ღებულობენ მარტო ერთი ტომის წევრები, ხოლო სხვა ტომებმა ამ გადაწყვეტილების შესახებ არაფერი იციან, ხშირად ხდება ხოლმე ისე, რომ სანამ ტომი მის მიერ შერჩეულ ადგილს მიაღწევდეს, მას სხვა ტომი იკავებს. ასეთ შემთხვევაში საქმე ჰიდის ხელჩართულ ბრძოლამდე. ტომებს შორის ბრძოლა იწყება ხშირად იმის გამოც, რომ ერთი რომელიმე მათგანი სწრაფად იზრდება, ადგილი აღარ ჰყოფნის და გაფართოებას მეზობლის ტერიტორიის მიტაცებით ცდილობს.

ერაყში XVIII—XIX საუკუნეებში ტომებს შორის ბრძოლას საძოვრებისათვის ისეთი მწვავე ხასიათი ჰქონდა, რომ ომები წლების მანძილზე გრძელდებოდა.

დაღუპვისაგან თავის გადასარჩენად მცირე ტომები ერთიანდებოდნენ[92], რის შედეგად იქმნებოდა მსხვილი ტომები ანუ ტომთა ფედერაციები — აშირეთები, მაგრამ ეს საერთო მდგომარეობას სრულებითაც არ სცვლიდა. ბრძოლები კიდევ უფრო საშიშ და ფართო ხასიათს ღებულობდა, რაც გამოწვეული იყო არა მარტო ტერიტორიების, არამედ ნადავლისთვისაც. ბედუინთა რაზმები ესხმოდნენ ქალაქებს, სოფლებს, სავაჭრო ქარავნებსა და მომლოცველებს, მიმავლებს სხვა ქვეყნებიდან ერაყში (ნეჯეფ-ქერბელაში)

---

[91] L. A. Blunt, Bedouins Tribes of the Euphrates, London, 1879, vol. II, p. 3, 166; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 130-131.

[92] ასეთ გაერთიანებას „ხუვა" ანუ ძმობის კავშირი ეწოდებოდა. ამავე დროს „ხუვა" იყო გადასახადიც, რომელსაც ბინადარი მიწათმოქმედი მოსახლეობა უხდიდა რომელმე ძლიერი ტომის შეიხს იმისათვის, რომ თავი დაეცვა მოხეტიალე-მომთაბარეთა თავდასხმისაგან. (M. Openheim, von Mittelmeer zum Persischen Gulf, Berlin, 1900 Bd. II, გვ. 45—46; E. Sachau, Am Euphrate und Tigris Reizenofizen aus dem winter 1897—98, Leipzig, 1900, Bd. II, გვ. 311; А. Мектешашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

ან ერაყზე გავლით მექა-მედინაში. „ღაზვა“ (მეკობრეობა, თავდასხმა-გაძარცვის მიზნით) „უდაბნოს შვილთა“ ჩვეულებად და ყველაზე სარფიან ხელობად იქცა, რამაც რუსეთის გენერალურ კონსულს ბასრაში (1905) ა. ადამოვს ათქმევინა: „მთელი უდაბნო მტაცებლებითაა დასახლებულიო“[93].

ბედუინთა ავაზაკური მოქმედება უაღრესად უარყოფითად მოქმედებდა ერაყის საერთო მდგომარეობაზე. ტომებს შორის დარღვეული მშვიდობა, ქალაქებზე, სოფლებზე, ქარავნებზე და მომლოცველებზე უსასრულო თავდასხმები, შეუძლებელს ხდიდნენ, ერთი მხრივ, ვაჭრობა-ხელოსნობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, უცხო ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებას. ამიტომ ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა, სამხედრო ზომებსაც კი იყენებდა ბედუინთა თარეშის წინააღმდეგ და ზოგიერთი გამგებელი ახერხებდა მათ ალაგმვას. მაგრამ მიუხედავად იმისა თუ რით დასრულდებოდა ეს ბრძოლა, მთავარი მაინც ის იყო, რომ ამ ნიადაგზე იქმნებოდა მტრული დამოკიდებულება ბედუინებსა და ხელისუფლებას შორის. არაბი ტომები ხშირად მიმართავდნენ ბაღდადის ფაშებისა და ამ უკანასკნელთა მორჩილებაში შყოფ ბასრა-მოსულ-შაჰრიზურის მმართველების წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებას.

XVIII—XIX საუკუნეებში ერაყის ტერიტორიაზე მომთაბარე ტომებიდან ყველაზე დიდი იყო. 'უბაიდი[94], შამარ ჯარბა[95], ზუბა-'იდ[96], ხაზა'ილი[97], აწ-ზაფირი[98], ბენი ლამი[99] და მუნთაფიქი[100]. ბენი

---

[93] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

[94] عبيدة — მომთაბარეობდა ჩრდ. ერაყში, მდინარეების ტიგროსის, უბაიმისა და მცირე ზაბს შორის მდებარე ველებში.

[95] شمّر الجربا — იყო 'უბაიდის მეზობლად, ტიგროსსა და ევფრატს შორის გაშლილ ტერიტორიაზე.

[96] زوبعيد — მომთაბარეობდა მდ. ტიგროსის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ ბაღდადიდან ქეთ ალ-ამარამდე.

[97] خزعيل — ლამლუნის ჭაობიან ადგილებში ცხოვრობდა, ევფრატსა და მის განტოლება ჰინდიას შორის.

[98] الظفير — მომთაბარეობდა ბასრის დასავლეთით, შამიეს ველებში.

[99] بنى لام —ცხოვრობდა ტიგროსის ორივე სანაპიროს გასწვრივ ქეთ ალ-ამარიდან მდ. დუეაიჯის შესართავამდე და შატ ალ-ხაიდან ამარამდე.

[100] منتفيك — მომთაბარეობდა ტიგროსსა და ევფრატს შორის, შატ ალ-ხაის არხის ნაპირების გასწვრივ.

ლამი და მუნთაფიქი ტომთა გაერთიანებებს ანუ კონფედერაციებს. წარმოადგენდნენ. მოგზაურ ლ. ნიჯეჰოლტის მიხედვით, ბენი ლამის ტომი ერაყში უნდა მოსულიყო მექის ახლო მდებარე ველებიდან[101]. ერაყში მან შეიერთა ალ-ბალასიმის, ას-სირხას, ქა'ბის, ალ-ბუდარაჯისა და სხვა ტომები, რის გამოც მნიშვნელოვნად გაიზარდა და უკვე XIX ს-ში მისმა მოსახლეობამ 150 000-მდე მიაღწია; საჭიროების შემთხვევაში თავისუფლად შეეძლო 30 000 მეომრის გამოყვანა. შედარებით უფრო ძლიერი იყო მუნთაფიქის გაერთიანება. ისიც არაბეთის ნახევარკუნძულის ცენტრალური რაიონიდან — ნეჯდიდან მოვიდა ერაყის ტერიტორიაზე და იწყო გაფართოება. იგი აერთიანებდა ბანუ მალიქის, ბანუ საიდის, ალ-აჯვადისა და სხვა ტომებს; შედგებოდა სულ 250000 მცხოვრებისაგან და ბრძოლის დროს გამოჰყავდა 50000-მდე მეომარი. ეს რიცხვი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს, თუ რაოდენ რთული საქმე იყო ბაღდადის ფაშებისათვის ასეთი ძლიერი მომთაბარე ტომების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი მორჩილებაში ყოლა.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ბედუინთა მეურნეობის ერთადერთ დარგს შეადგენდა მესაქონლეობა, რომელიც არსებულ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში არ აძლევდა შათ ერთ ადგილზე გაჩერებისა და ცხოვრების საშუალებას. მესაქონლეობაზე უარის თქმა კი მათ არ შეეძლოთ, რადგან არსებულ კლიმატურ პირობებში მეურნეობის სხვა დარგების არსებობა გამორიცხული იყო. მაგრამ როგორც კი ისინი სხვა კლიმატურ გარემოში აღმოჩნდებოდნენ (ეს კი შესაძლებელი ხდებოდა სარწყავი სისტემის განვითარება-გაფართოებასთან დაკავშირებით, რასაც ხელისუფლება ახორციელებდა შემოსავლის გაზრდის მიზნით, ანდა ტომის მიერ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლით, სახნავ-სათესად ვარგის ადგილებში გადასვლით), ცხოვრების სახეს იცვლიდნენ, ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას იწყებდნენ და მათში ნელა იკიდებდა ფეხს ინტენსიური მეურნეობა. ასე რომ, არაბ მომთაბარე ტომთა ყოფა დროთა განმავლობაში, ნელა, მაგრამ მაინც იცვლებოდა. ამ თვალსაზრისით, ირან-ოსმალეთის საზღვრის დამდგენი კომისიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ხურშიდ ეფენდი არაბ ტომებში ამჩნევს 4 ძირითად გარდამავალ საფეხურს: 1. „ბადავი" ანუ ბედუინები, რომლებიც ცხოვრობენ უდაბნოებში, მისდევენ მესაქონლეობას, კერ-

---

[101] Lycklama a Nijeholt, Voyage en Russie, au Caucase et Perse, t. III, p. 225.

ბოდ, მეცხენეობას, ფლობენ მიწის გარკვეულ ნაკვეთებს, მაგრამ იმის გამო, რომ ერთ ადგილზე ისინი თითქმის არასდროს არ არიან, ამ ნაკვეთებს დასამუშავებლად აძლევენ ფელაჰებს და მოსავალს იყოფენ მათთან ერთად: 2. „შაეუიე“ — ტომები, რომლებიც, აგრეთვე მისდევენ მესაქონლეობას, უმთავრესად მეცხვარეობას, მაგრამ „ბადავი“-ს არაბებისაგან განსხვავებით, მათი მოძრაობის არე შედარებით მცირეა (რადგან ცხვარს აქლემივით შორს სიარული არ შეუძლია) და ნაწილობრივ ეწევიან მიწათმოქმედებას; 3. „მა'ადან“ — ჯგუფი, კატეგორია არაბებისა, რომელთა არსებობის ძირითადი წყარო, მართალია, მესაქონლეობა, კერძოდ, მეკამეჩეობაა, მაგრამ ვინაიდან კამეჩს წყალი უყვარს და მდინარიდან შორს მათი გადარეკვა არ შეიძლება, ამიტომ პატრონებსაც მდინარეების, არხების, საგუბრების, ჭაობების ახლოს უხდებათ ყოფნა და მეჯოგეობასთან ერთად მისდევენ მიწის დამუშავებასაც; და ბოლოს 4. „ფელაჰები“, რომლებიც საბოლოოდ დამკვიდრდნენ მიწაზე, ამუშავებენ მას და მოჰყავთ მოსავალი[102].

ერაყის მოსახლეობის მწარმოებელი ფენების (ფელაჰების, ხელოსნებისა და „შავი მუშების“) ნაწილს სახნავ-სათესი მიწა ან სრულებით არ გააჩნდა, ანდა მისი ოდენობა იმდენად მცირე იყო, რომ არ ჰყოფნიდა და იძულებული ხდებოდა სამუშაოს საძებნელად სხვაგან წასულიყო. მოსახლეობის ეს ნაწილი შეადგენდა ცალკე კატეგორიას, რომელსაც ეწოდებოდა „აკლამი სალასე“ ანუ მესამე კლასი[103]. მასში შედიოდნენ:

1 „დიკენჯიები“ — საფლავებზე ამოსული ეკლიანი ბალახის (დიკენ) შემგროვებელნი. მათ ეს ბალახი ქალაქში მიჰქონდათ და საწვავად ჰყიდიდნენ.
2 „დოლაბჩიები“ — კამეჩის ტყავისაგან სათლების მკეთებელნი.
3. „ჩობნები“ — მწყემსები.
4 „იოურტები“ — მემაწვნეები.
5 შავი სამუშაოების (რანჯბარლიკ) მუშები, რანჯბარები.
6. „ხანჯიები“ — ქარვასლის პატრონები.
7 სახელმწიფო არხებზე და „თიმარლიკებზე“ მომუშავე ფელაჰები.
8 „გემიჯიები“ — მენავეები.
9. „ჰამმალები“ — მებარგენი, მტვირთავები.

---

[102] Хуршид Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 51—53; А. А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

[103] Хуршид Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

10 „ალ ე ფ ჩ ი ე ბ ი“ — მთიბავები.
11 „ჰ ა მ ა მ ჯ ი ე ბ ი“ — მეაბანოენი.
12 „ა შ ჩ ი“ — მზარეულნი.
13 „ა ი ვ ა ზ“ — მეეტლენი.
14 „კ ა ს ა ბ“ — ყასბები.
15 „ო დ უ ნ ჯ ი ე ბ ი“ — საწვავით მოვაჭრენი.
16 „ა კ ი ა მ“ — ქარავნის მსახურნი.
17 „კ ე მ უ რ ჯ ი“ — მენახშირენი.
18 „დ ე ვ ე ჯ ი ე ბ ი“ — აქლემების გამრეკნი, გამყოლნი.
19 „დ ი უ რ გ ე რ“ — დურგლები.
20 „ზ ა ჰ ი რ ე ჩ ა რ შ ი ს ი ნ დ ა პ ა ს ი ბ ა ნ“ — ბაზრებში სასურსათო საწყობების დარაჯები.
21 სახედრების გადამყიდველი ჩარჩები („მ ე რ ქ ე ბ ჯ ა მ ბ ა ზ ი“).
22 თულუხჩები ანუ სახედრებით წყლის მზიდველნი („მ ე რ ქ ე ბ ე ს ა კ ა ლ ი ღ ი“).
23. „თ უ ბ ა“ — მსახურნი.
24 „ი ო რ ქ ა ნ ჯ ი“ — მესაბნეები.
25 „ბ ა კ კ ა ლ“ — ბაყლები.
26 „ქ ა მ ი რ ჯ ი ე ბ ი“ — ჯორების გამყოლნი, გამრეკნი.
27 „კ ა მ ი შ ხ ა ს ი რ ჯ ა ს ი“ — მეჭილობენი.
28 „კ ო ნ ა კ კ ა პ უ ჯ უ ს უ“ — მეკარენი.
29 „ი უ ნ თ უ ჯ ა რ ი“ — მატყლით მოვაჭრენი.
30 „კ ა ი კ ჩ ი“ — მენავენი.
31 „კ ი რ ე ჯ-ჰ ა მ მ ა ლ ი“ — კირის დამტარებლები, მტვირთავები.
32 „დ ი კ ი ჯ ი“ — თერძები.
33 ამქრის (ა ს ნ ა ფ) მედუქნეები.

ხურშიდ ეფენდის გამოანგარიშებით, XIX ს-ის შუა ხანებამდე ერაყში (ბაღდადის საფაშოში) სულ ცხოვრობდა „აკლამი სალასე“-ს კატეგორიის 12109 კომლი. აქედან 9496 კომლი ბაღდადის ეიალეთში იყო, ხოლო 2613 კომლი — შაჰრიზურისაში.

ქართველი მამლუქების მმართველობის დასასრულამდე „აკლამი სალასე“-ს ჰყოფდნენ სამ ჯგუფად და ერთმანეთისაგან გასარჩევად ერთს ეწოდებოდა „აჰშამათ“, მეორეს — „კარა ულუს“, ხოლო მესამეს — „კარაულ“.

„აჰშამათს“ შართავდა „აჰშამათ აღასი“ (ყოშის ანუ ბანაკის ზედამხედველი), რომელიც ინიშნებოდა უშუალოდ ბაღდადის გა-

მგებლის მიერ და ცხოვრობდა იმავე ქალაქში. იგი კრეფდა გადასახადებს ტაიფებიდან.

„კარა ულუსის“ მეთაური იყო ბეგი. მას ირჩევდნენ თვით კარაულუსელები თავიანთი წრიდან. ბეგი ან კარაულუსელები უშუალოდ ემორჩილებოდნენ სასახლის მოხელეთა უხუცესს, „კაპუჯილარ ქეთხუდას“.

„კარაულებს“ ხელმძღვანელობდა ბაღდადის ვალის მიერ დანიშნული უფროსი, „კარაულ აღასი“[104].

ქართველი მამლუქების ძალაუფლების დამხობის შემდეგ სამივე ეს თანამდებობა გაუქმდა.

XVIII—XIX საუკუნეებში ერაყის ქალაქის მოსახლეობა ოთხი ძირითადი სოციალური ფენისაგან შედგებოდა: 1. „ულემები“, 2. „ვუჯუჰები“, 3. „თუჯარები“ და „ასნაფები“ 4. „აილაკჩები“.

„ულემების“ ფენას ეკუთვნოდნენ სწავლულნი, მეცნიერები, მუსლიმური სამართლის (შარიათის) მცოდნენი, ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენლები. ეს ფენა ყველაზე მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

პრივილეგირებულ ფენას შეადგენდნენ აგრეთვე „ვუჯუჰები“ — საზოგადოების მაღალი, შეძლებული ჯგუფი, დიდგვაროვნები და ქულემენები ანუ მამლუქები.

ღირსება-უფლებების მიხედვით ვუჯუჰებზე დაბლა იდგნენ ვაჭრები („თუჯარ“) და ამქრის წევრები. მათი ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ოსმალეთში არ იყო დაცული „ბურჟუაზიული მოხმარების ძირითადი პირობა — ვაჭრის პიროვნებისა და მისი საკუთრების უშიშროების უზრუნველყოფა“[105]. ამ მხრივ ვაჭარ-ხელოსანთა პირობების გაუმჯობესების ცდას ადგილი ჰქონდა ერაყში 1780—1831 წლებში, მაგრამ ამას რადიკალური გარდატეხა არ მოუხდენია. ვაჭრობა და ხელოსნობა ნელი ტემპით ვითარდებოდა.

ყველაზე სავალალო მდგომარეობაში იყვნენ „აილაკჩები“ — ქალაქის შავი მუშები, რომლებიც მძიმე შრომით ძლივს ირჩენდნენ თავს. არსებობის რთული პირობები უბიძგებდა მათ ქურდობისაკენ, შაგრამ მკაცრი სასჯელის გამო ესეც ძვირად, ფიზიკუ-

---

[104] ჩვენი მსჯელობა ე. წ. „მესამე კლასის“ შესახებ დაფუძნებულია ხურშიდ ეფენდის ცნობებზე (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 176—196).

[105] К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, т. XVI, ч. II, стр. 22.

რი დაზიანების (ყურის და ხელის მოკვეთა) ან სიცოცხლის ფასად, უჯდებოდათ[106].

თავი მეოთხე

გადასახადები და საგადასახადო სისტემა

პოლიტიკურად ოსმალეთს დაქვემდებარებულ ერაყში საგადასახადო სისტემაც ძირითადად ოსმალური იყო. ოსმალური გადასახადების შესწავლაში თავიანთი წვლილი შეიტანეს აბდ-არ რაჰმან ვაკიფმა, ფ. ბელენმა, ი. ჰამერმა, ვ. სმირნოვმა, ო. ბარკანმა. ლ. ფეკეტემ, ჰ. გიბმა, ჰ. ბოვენმა, ა. მილერმა, ა. ტვერიტინოვამ, ი. უზუნჩარშილიმ, ჰ. ინალჩიკმა, მ. გოქბილგინმა, დ. იხჩიევმა, ბ. ჯურჯევმა, ი. სოკოლოვმა, ს. ჯიქიამ, ვ. გაბაშვილმა, გ. ფუთურიძემ, ნ. შენგელიამ, გ. იბრაჰიმოვმა და ბევრმა სხვამ საარქივო შასალების გამოქვეყნებით თუ საყურადღებო გამოკვლევებითა და გამოთქმული მოსაზრებებით. ჩვენი მსჯელობა გადასახადებისა და საგადასახადო სისტემის შესახებ დაფუძნებულია, ძირითადად, ჩამოთვლილი ავტორების მიერ გამოქვეყნებულ წყაროებზე და გამოკვლევებზე, აგრეთვე ხურშიდ ეფენდის, ა. ადამოვის, ლ. კოტლოვისა და სხვათა ნაშრომებზე.

მუსლიმური სამართლის მიხედვით, სახელმწიფო ქვეშევრდომი ქვეყნების შოსახლეობას ახდევინებდა ოთხ ძირითად გადასახადს: ხარაჯას, ჯიზიას, უშრს და ზაქათს, რომელსაც სადაკაც ერქვა. ამ გადასახადებს კანონიერი — „რუსუმი შარიე" ან „თაქალიფი შარიე" ეწოდებოდა[1]. წყაროთა მიხედვით, გადასახადთა ამ რიგს უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე ხუმსი, რომელიც თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით აღნიშნული გადასახადებისაგან მხოლოდ რამდენადმე განსხვავდებოდა[2].

---

[106] Хуршид Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 69—71 (აქ მოცემულია ქალაქის სოციალური ფენების დახასიათება).

[1] А. С. Тверитинова, Восстание Кара Языджи—Дели Хасана в Турции, стр. 31; Аграрный строй Османской империи, стр. 213.

[2] ე. სიხარულიძე, არაბული გადასახადები, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან", გვ. 86.

შარიათის მიერ დაკანონებულ გადასახადთაგან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული „ხ ა რ ა ჯ ა“ იყო. ვარაუდობენ, რომ ეს ტერმინი ბიზანტიური წარმოშობისაა[3]. ბიზანტიიდან ის სასანურ ირანში შესულა, ხოლო იქიდან კი ჯერ არაბთა სახალიფოში, შემდეგ სელჩუკიანთა სახელმწიფოში და ბოლოს ოსმალეთში. ხარაჯა იმთავითვე საადგილმამულო გადასახადს ნიშნავდა და აიღებოდა ყოველგვარი პროდუქტიდან, რომლის აწონა შეიძლებოდა. ის ორი სახისა იყო: „ხარაჯა მუკასამა“ და „ხარაჯა მასაჰა“. პირველი იყო გადასახადი მოსავლის სიდიდის მიხედვით, მეორე — მიწაზე დაწესებული გადასახადი ფართობის მიხედვით. ოსმალებამდე ხარაჯის ხან ერთი ფორმა ბატონობდა, ხან — მეორე. ოსმალთა ბატონობის დროს კი, როცა გადასახადით იბეგრებოდა მოსავალი და არა მიწის ფართობი, „ხარაჯა მასაჰა“ თითქმის მთლიანად გაქრა. იგი შესცვალა „ხარაჯა მუვაზაფმა“ — მიწაზე დაწესებულმა ფულადმა გადასახადმა, რომელიც შეესაბამებოდა მუსლიმებზე დაწესებულ გადასახადს „რესმი ჩიფთს“ (იხ. ქვემოთ). რაც შეეხება „ხარაჯა მუკასამას“, ის დარჩა და გაუტოლდა „უშრს“ (იხ. ქვემოთ). მაგალითად, ყარამანიის ვილაიეთის კანონთა კრებულში რაიას მიერ ხარაჯის გადასახადის შესახებ ვკითხულობთ: „თუ რაიას მიწა თიმარის ფარგლებშია, იგი თიმარის მფლობელს უხდის მის გადასახადებს, უშრსა და სალარლიქს[4].

თავიდანვე ხარაჯა მიწაზე დაწესებული გადასახადი იყო და მას იხდიდნენ არამუსლიმები, მაგრამ შემდეგ ის თანდათან შეერწყა სულად გადასახადს ჯიზიას და, უკვე XVIII საუკუნის დასასრულიდან მის სინონიმად იქცა[6]. XVII საუკუნეში ხარაჯა 285 აკჩას შეადგენდა[6], შემდეგ ის საგრძნობლად გაიზარდა და მერყეობდა მოსავლის 1/10-იდან 1/2-მდე. ხარაჯას ერაყში XVIII—XIX სს-ში სხვანაირად ხარაჯი-ხანესაც უწოდებდნენ.

ხარაჯასთან ერთად ფართოდ გავრცელებული „კანონიერი“ გადასახადი იყო „ჯ ი ზ ი ა“ — სულადი გამოსაღები, რომელსაც სახა-

---

[3] P. S c h v a r z, Die Herkunft von arabisch Harag (grand) Steuer. Der Islam, 1915, Bd. IV, H. I, S. 97.

[4] Аграрный строй Османской империи, стр. 51, 217.

[5] B e l i n, Essais sur l'Histoire économique la Turquie, Paris, 1865, 273; А. Ф. М и л л е р, Мустафа паша Байрактар, М.-Л., 1947, стр. 30, 38; А. Д. Н о в и ч е в, История Турции, т. II, ч. I, стр. 11; А. А. А д а м о в, Ирак арабский, стр. 173.

[6] А. С. Т в е р и т и н о в а, Второй трактат Кочибея, стр. 251.

ლიფოს წარმოქმნის (VII ს.) პირველივე დღეებიდან მოყოლებული მუსლიმი გამგებლები ახდევინებდნენ „ზიმიებს“ ანუ არამუსლიმ მოსახლეობას სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ. არაბი მწერლის, აბუ იუსუფ იაკუბის ცნობით, ჯიზიას იხდიდნენ სრულწლოვანი, ჯანმრთელი მამაკაცები. ქალები, მცირეწლოვნები, მოხუცები, ავადმყოფები, მათხოვრები და ბერ-მონაზვნები ჯიზიასაგან თავისუფალი იყვნენ[7].

ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოითქვა მოსაზრება, რომ ჯიზია წარმოადგენს „გამოსასყიდს და მომდინარეობს სპარსული „გეზიტა“-დან (გამოსყიდვა), რომელიც, როგორც სულადი გადასახადი მოზრდილებზე, გავრცელებული იყო სასანურ ირანში. ამ შეხედულების ავტორს, ტ. სიპენკოვას ეკუთვნის აგრეთვე ის მოსაზრებაც, რომ „ჯიზია აიღებოდა არა მარტო სულადი, არამედ როგორც საკომლო გადასახადი“[8].

ჯიზია წლიური გადასახდი იყო და მთლიანად ხაზინას ბარდებოდა. მისი სიდიდე განისაზღვრებოდა დაბეგრილის გადამხდელუნარიანობის მიხედვით. XVII საუკუნემდე ის შეადგენდა ღარიბებზე 10, საშუალოებზე 20 და მდიდრებზე 30 აკჩას, ხოლო XVIII—XIX საუკუნეებში უკვე სამჯერ მეტს, რაც გარკვევით ჩანს მაგ., დამასკოს ვილაიეთის კანონთა კრებულიდან. აქ პირდაპირაა ნათქვამი, რომ „ქაფირები, რომლებიც ხსენებულ ლივაში ცხოვრობენ, მისი უდიდებულესობის ბრძანებულებით იხდიან ჯიზიას 40 ფარას სულზე, რაც შეადგენს 80 უსმანის“[9]. ქვემოთ ისიცაა მითითებული, რომ იმავე სულთნის ბრძანებულებით ჯიზია გაუდიდებიათ ქაფირებზე 5 აკჩით და ებრაელებზე 10 აკჩით[10], ე. ი. გაუხდიათ 85—90 აკჩა. ამ ზომით ჯიზიას გადახდა მოსახლეობას, ეტყობა, არ შეეძლო და სულთნის ხელისუფლება იძულებული გამხდარა ეს გამოსაღები შეეცვალა ხარაჯით: „რადგან ჯიზია, რომელსაც ქაფირები იხდინენ, იყო მეტისმეტად დიდი და მათმა... გაღატაკებამ უკიდურესობამდე მიაღწია, სულთანს მოხსენდა, რომ დაეწესებინა ხარაჯა სულზე 40—60 აკჩა და იმ დროიდან ასე ახდევინებდნენო“, — ნათქვამია მოსულის ლივის კანონთა წიგნში[11].

---

[7] Т. М. Сипенкова, К истории завоевания Закавказья арабами (Вопросы истории стран Азии, Ленинград, 1965, стр. 145—146, 151).

[8] Аграрный строй Османской империи, стр. 199.

[9] უსმანი (عثمانى) — ასე უწოდებდნენ არაბები თურქულ აკჩას.

[10] Аграрный строй Османской империи, стр. 79.

[11] იქვე, стр. 68.

ხარაჯით ჯიზიას შეცვლას მოჰყვა ამ უკანასკნელის გაუქმება 1856 წელს. გაუქმების მიზეზი იყო ისიც, რომ თუ ადრე არამუსლიმებს ჯარში არ ღებულობდნენ და სამხედრო სამსახურის ნაცვლად ჯიზიას ახდევინებდნენ, XIX საუკუნეში მდგომარეობა შეიცვალა. ქაფირების გაწვევა ჯარში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ჯიზია შეცვალა სამხედრო გადასახადმა — „ბადალი ასკერიემ".

მუსლიმურ საგადასახადო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა „უშრს" (მეათედი) მიწაზე დაწესებულ ძირითად გადასახადს. აბუ იუსუფ ია'კუბთან იგი ორგვარი გამოსაღებია: გადასახადი მიწაზე როგორც საკუთრებაზე (ამ კატეგორიის მიწებს უშრის მიწებს უწოდებენ)[12] და გადასახადი გასასყიდ პროდუქტებზე, საქონელზე. პირველ შემთხვევაში უშრს იხდიდა მუსლიმი, ხოლო მეორე შემთხვევაში, როცა საქონელი ბაზარზე გასატანად ანუ საკაპროდ იყო გამიზნული, უშრი უნდა გაეღო ყველას, როგორც მუსლიმს, ისე არამუსლიმს. უშრი აიღებოდა ჩვეულებრივ იმ პროდუქტიდან, რომლებიც მიწაზე მოდიოდა, შესანახად გამოდგებოდა და აიწონებოდა რატლით[13] ან აიზომებოდა კაფიზით[14]. სხვა პროდუქტებიდან უშრის აღება ნებადართული არ იყო. აკრძალული იყო, აგრეთვე, მისი აღება წელიწადში რამდენიმეჯერ[15], ის მხოლოდ ერთხელ აიღებოდა.

არაბთა სახალიფოში დაკანონებული ეს გადასახადი იმავე შინაარსითა და მნიშვნელობით არსებობდა ოსმალობის დროსაც. ამ პერიოდშიც უშრით იბეგრებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტები: ხორბალი, ქერი, ჭვავი, ბამბა, შუხუდო, ოსპი, ქუნჟუთი, ლობიო, ცერცვი, სელი, ქერელი, ყურძენი, ბადაგი, თაფლი, ბარდა,

---

[12] არაბთა სახალიფოში გაბატონებული საგადასახადო სისტემის მიხედვით მიწები ორი კატეგორიის იყო: უშრის, რომელიც განიხილებოდა როგორც საკუთრება და ხარაჯის, სადაც მხოლოდ მფლობელობა იგულისხმებოდა (ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება, გვ. 162).

[13] რ ა ტ ლ ი (رطل) — წონის ერთეული, უდრის 144 დირჰემს (დრაჰმა) ანუ 449,28 გრამს. მისი სიდიდე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული იყო.

[14] კ ა ფ ი ზ ი, ფართობის საზომი ერთეული, უდრის 1/10 ჯერიბს. ჯერიბი (جريب) უდრის 400 კვ. °ასას (عصا), ხოლო °ასა ერთი საკენის ტოლია. კაფიზი წონის ერთეულიც იყო და უდრიდა 55 ლიტრს.

[15] °ა ბ უ ი ბ უ ს უ ფ ი ა ' კ უ ბ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157—159; ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი გვ. 94—95.

ხახვი, ნიორი, მწვანილი, თივა და სხვა, რაც ბაღ-ბოსტნებში, ვენახებში, სათიბებსა და სახნავ-სათეს ადგილებში მოდიოდა.

ოსმალეთში უშრს იხდიდნენ მხოლოდ მუსლიმები. ქაფირებზე შეწერილი იგივე გადასახადს „ხარაჯა მუკასამა" ეწოდებოდა. უშრი ვრცელდებოდა როგორც თიმარებსა და ზიამეთებზე, ისე კერძო მიწებზე. ამის შესაბამისად, პირველიდან აღებულ უშრს ეწოდებოდა „უშრ დივანი", ხოლო მეორიდან, ე. ი. კერძო მიწებიდან აღებულ ასეთსავე გადასახადს — „უშრ მალიქანე"[16].

უშრის შემოსავალი ნაწილდებოდა ასე: ხაზინის მიწებიდან უშრი ეკუთვნოდა სახელმწიფოს, თიმარებიდან და ზიამეთებიდან — მათ მფლობელ სიფაჰებს. თავიდანვე უშრი ნატურალური გადასახადი იყო და პროდუქტებით ბარდებოდა. XVI საუკუნიდან კი მას ფულით იხდიდნენ, რადგან „მისი გადახდა ნატურით რაიებს უჭირდათო", — ნათქვამია ბურსის (ხუდავენდიარის) ლივის კანონთა კრებულში[17].

უშრის გადასახადი აიღებოდა ზოგჯერ მიწის ფართობის, ზოგჯერ მოსავლის რაოდენობის მიხედვით. ორსავე შემთხვევაში გათვალისწინებული იყო კონკრეტული პირობები და თავისებურებანი. მაგალითად, ფართობის მიხედვით თაფლზე უშრის დადგენა შეუძლებელი იყო, ამიტომ ის ან ფუტკრის ოჯახთა რაოდენობის მიხედვით უნდა განესაზღვართ, ანდა თაფლის მოსავლის მიხედვით.

ოსმალური საკანონმდებლო აქტებიდან ჩანს, რომ უშრის გადასახადი ყველგან და ყოველთვის უშრს ანუ მეათედს არ უდრიდა. ბურსის ლივაში ბაღ-ბოსტნებზე, რომელთა ფართობი დონუმებით იზომებოდა, უშრი შეადგენდა ზოგან 10, ზოგან 5, ზოგან 3 აჩას, ზოგან კიდევ ნაკლებს, 2, 1/2 აჩას; აიდინის ლივაში ბადაგზე უშრი შეადგენდა 1/5-ს; ხოლო მოსულის ლივაში კი ის ბამბაზე უდრიდა 1/6 და ნაყოფის მომცემ მცენარეზე 1/7-ს[18].

ძირითადი მიზეზი იმისა, რომ უშრის გადასახადი ყველგან და ყოველთვის მეათედს არ უდრიდა, იყო გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები და ამასთანავე მოსავლის მოყვანისათვის გაწეული აუცილებელი შრომა. ერაყში უშრის გამოსაღების ოდენობა პირდაპირ იყო დამოკიდებული სავარგულების რწყვის საშუალებებზე

---

[16] Н. Н. Шенгелия, Османские налоги и налоговая система по «Пространному реестру Гурджистанского вилайета (автореферат), Тб., 1961, стр. 10.

[17] Аграрный строй Османской империи, стр. 41.

[18] იქვე, გვ. 41, 49, 63.

(სარწყავ სისტემაზე) და შრომაზე. „მავი“ ანუ „საგი“ ტიპის ნათესები, რომლებიც ირწყვებოდა პატარა არხებითა და თხრილებით მიყვანილი წყლით, იბეგრებოდა მოსავლის 1/5-ით; „კებე“ ტიპის ნათესები, ანუ ისეთი სავარგულები, რომლებიც მდინარეების ნაპირას იყო განლაგებული და დატბორვით ირწყვებოდა, იბეგრებოდა მოსავლის 1/3-ით; ხოლო ისეთი ნათესები, როგორიც იყო „დეიმი“ და „კერდი“, რომლებიც წყლის საქაჩი მოწყობილობით ან ჭვიმით ირწყვებოდა, — იბეგრებოდა მოსავლის 1/10-ით[19], რადგან ამნაირი წყლით მოსავლის მოყვანა უფრო შრომატევადი და საჯაფო იყო, მოითხოვდა დამატებით ხარჯებს.

უშრი თავისი შინაარსით შეესაბამებოდა „ზაქათს“ — გადასახადს, რომელსაც იხდიდნენ, აგრეთვე, მუსლიმები წელიწადში ერთხელ ღატაკთათვის, რელიგიური დაწესებულებებისა თუ ორგანიზაციის სასარგებლოდ. ზაქათს იხდიდნენ ქონებიდან: საცხოვრებლებიდან, საოჯახო ნივთებიდან, საქონლის ჯოგებიდან, მარცვლეული კულტურებიდან, ხილიდან და სხვ.[20] ზაქათი, მართალია, „მეათედს“ (უშრს) უტოლდებოდა, მაგრამ ეს მნიშვნელობა მას მაშინ ჰქონდა, როცა მოსავლიდან აიღებოდა. სხვა შემთხვევაში ზაქათი წლიური შემოსავლის 1/40-ს უდრიდა.

ზაქათი ანუ „სადაკა“ (სამოწყალო) ისეთივე ძველი გადასახადია, როგორიც უშრი, ჯიზია და ხარაჯა. აბუ იუსუფ ია'კუბის თქმით, სადაკა მუჰამედის მიერ იყო დაწესებული. სხვადასხვა დროს სხვადასხვა სიდიდის გადასახადს წარმოადგენდა. მისი აღებაც სხვადასხვანაირად ხდებოდა. სახალიფოში 40 ცხვრიდან 120-მდე აიღებოდა 1 ცხვარი, 200 ცხვარზე —2, 300 ცხვარზე —3 და ა. შ. ყოველ 100 ცხვარზე 1 ცხვარი[21]. ოსმალობის დროს ნატურალური გადასახადი შეიცვალა ფულადით და XVII ს.-მდე რაია 2 ცხვარზე იხდიდა 1 აჩას, XVII საუკუნეში ცხვარზე აჩას[22], ხოლო XVIII—XIX

---

[19] А. Адамов, Ирак арабский, стр. 169, Сборник консульских донесении, год восьмой, вып. II, СПб., 1905, стр. 30; P. W. Ireland, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

[20] А. С. Тверитинова, Восстание Кара Языджи, стр. 32; ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

[21] 'აბუ იუსუფ ია'კუბი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90—91; ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96. ზაქათი ანუ სადაკა აიღებოდა სხვა პირუტყვიდანაც, გარდა სასაპალნე, მუშა საქონლისა. გადასახადის სიდიდე სხვადასხვანაირი იყო.

[22] გეორგისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. 11, გვ. 2—3; გ. ფეთურიძე, გადასახადები და საგადასახადო სისტემა ოსმალეთში, გვ. 256—257.

საუკუნეებში გაცილებით უფრო მეტს. შარიათის თანახმად, აკრეფილი თანხა და ქონება უნდა დარიგებოდა ქვრივ-ობლებს, ქარავანს ჩამორჩენილ მგზავრებს, ღარიბ-ღატაკებს, რომელთაც გადასახადების გადახდა აღარ ძალუძთ, და ყოველ გაჭირვებულს, მაგრამ ეს წესი არასდროს არ სრულდებოდა. აკრეფილი გადასახადი ხაზინაში შედიოდა.

წყაროებში „კანონიერ გადასახადთა" შორის ხშირად მოხსენიებულია „ხუმსიც" (მეხუთედი). ადრე (არაბთა სახალიფოში) ეს გადასახადი გადაკვეთილი იყო ლითონებზე (როგორიცაა ოქრო, ვერცხლი, რკინა, ტყვია, თუთია) და სხვადასხვა სახის განძეულობაზე[23]. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს წესი თანდათან შეიცვალა და უკვე ოსმალობის დროს ის წარმოადგენდა ისეთივე სახის საშემოსავლო გადასახადს, როგორიცაა უშრი. ხუმსით იბეგრებოდა არამუსლიმების მოსავალი[24]. ამ მნიშვნელობით ხუმსი არაერთგანაა მოხსენიებული წყაროებში. მოსულის ლივის კანონთა კრებულში აღნიშნულია, რომ სოფლად მცხოვრებნი მოსავლიდან იხდიან ხუმსს[25]. ხურშიდ ეფენდის ცნობით, ერაყში ხუმსი მთლიანად ბარდებოდა ხაზინას. მისივე ცნობიდან ჩანს, რომ ხუმსი იქ ეწერებოდა ხურმის ხეებს, საშემოდგომო ნათესებს და იჯარით გაცემულ მიწის ნაკვეთებს, თუკი ეს უკანასკნელი წარმოადგენდა სახელმწიფოს და არა კერძო ან ვაკფის მიწებს[26].

ამ „კანონიერი" გადასახადების საფუძველზე წარმოიშვა მთელი რიგი სხვადასხვა სახელწოდების გადასახადები. ხარაჯის ერთ-ერთმა სახეობამ „ხარაჯა მუვაზაფამ" (საადგილმამულო გადასახადი) თავისი გამოსახულება პოვა ისეთ გადასახადებში, როგორიც იყო „რესმი ჩიფთი" (იგივე „ჩიფთ აკჩესი"), „რესმი თაფუ", „რესმი დონუმი", „ბენაქი" და სხვ.; ხარაჯა მუკასამას (გადასახადი მოსავალზე) და უშრის სახესხვაობა „რესმი ბახჩი", „რესმი ბუსთანი", „რესმი ბაღ" და სხვ., ე. ი. გადასახადები, რომლითაც იბეგრებოდა ბაღ-ბოსტნებისა და ვენახების ნაყოფი, პროდუქტები; ზაქათს განეკუთვნებოდნენ პირუტყვზე დაწესებული გადასახადები („რეს-

---

[23] ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

[24] Аграрный строй Османской империи, стр. 219.

[25] Законоположение ливы Мосул (Аграрный строй Османской империи, стр. 63).

[26] Хуршид Эфенди, Сияхет наме-и-Худуд (Описание путешествия), СПб., 1877, стр. 105—107, 124, 155.

მი აღნამ", „რესმი ჯამუს", „რესმი მერკებე") და საბაჟო გამოსაღებელი[27].

XIX ს-ის დასაწყისში მოღვაწე თურქი ავტორი 'აბდ არ-რაჰმან ვაფიკი თავის ნაშრომში „ოსმალური საგადასახადო სისტემის შესახებ" ასახელებს 80 ასეთ გადასახადს[28].

„კანონიერი" გადასახადების გარდა ოსმალეთში არსებობდა მთელი რიგი გადასახადებისა, დამყარებული ადათზე, ჩვეულებებზე, ტრადიციებზე. ამ რიგის გადასახადებს, განსხვავებით „კანონიერი" გადასახადებისაგან ანუ „რუსუმი შარიეთაგან", ეწოდებოდა „თაქალიფი ურფიე" ან „რუსუმი ურფიე" — შარიათით გაუთვალისწინებელი გადასახადები. 'აბდ არ-რაჰმან ვაფიკს ჩამოთვლილი აქვს ამ კატეგორიის 97 გადასახადი[29], რომელთაც ადგილობრივი წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით აწესებდნენ სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფალნი, ცალკეული პროვინციების გამგებლები და ფეოდალები. ვაფიკის მიერ ჩამოთვლილი ყველა 177 გადასახადი, ცხადია, ერთდროულად არ არსებობდა. ისინი შოქმედებდნენ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ზომით. მაგრამ ერთსა და იმავე დროს მოქმედ გადასახადთა რიცხვიც რამდენიმე ათეულს აღწევდა და ისინი ფართოდ იყო გავრცელებული ერაყში.

XVIII—XIX საუკუნეებში ერაყის ეიალეთებიდან ანუ საფაშოებიდან ორი — ბაღდადისა და ბასრის ეიალეთი, ისეთი ადმინისტრაციული ერთეული იყო, სადაც არ იყო გაბატონებული თიმარული სისტემა. ამიტომ ვალდებულნი იყვნენ ეხადათ „სალიანე" — ყოველწლიური გადასახადი, ხარკი ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლებისათვის. კოჩი ბეი გორიჯელის ცნობით, მარტო ბაღდადის ეიალეთს XVII ს-ში შეწერილი ჰქონდა 14 იუქ-აკჩა ანუ 1 400 000 აკჩა „სალიანე"[30]. ამ გადასახადის ოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა XIX საუკუნეში. სალიანეს სახით აკრეფილი თანხის ნაწილი ხმარდებოდა პროვინციის გამგებლისა და იქ ჩაყენებული იენიჩერების გარნიზონის შენახვას, ხოლო დანარჩენი ბარდებოდა სახელმწიფო ხაზინას.

სალიანეს გარდა ხაზინას ბარდებოდა აგრეთვე „ავარიზი" ანუ „ავარიზ დივანიე" — საგანგებო გადასახადი, რომელსაც იხდიდ-

---

[27] А. С. Тверитинова, Восстание Кара Языджи, стр. 32.

[28] 'აბდ არ-რაჰმან ვაფიკი, თაქსლიფი ყაჟ'იდი, გვ. 26—28.

[29] იქვე, გვ. 91—116.

[30] А. С. Тверитинова, Второй трактат Кочибея, стр. 243.

ნენ ომიანობისა და სხვა უბედური შემთხვევების დროს გლეხები, გარდა ღარიბ-ღატაკებისა. XVI ს-მდე ავარიზი აიღებოდა დროგამოშვებით, 4—5 წელიწადში ერთხელ, კომლზე 20 აკჩას ოდენობით[31]. მაგრამ შემდეგ, როცა ოსმალეთის სახელმწიფომ დასუსტება იწყო და დაქირავებული ჯარის შენახვა უჭირდა, ავარიზი ყოველწლიურ გადასახადად იქცა. ამავე დროს, გადიდდა გამოსაღები თანხის ოდენობაც. კოჩი ბეი გორიჯელის ცნობით, XVI ს-ში ავარიზი კომლზე უკვე 40 აკჩას შეადგენდა, ხოლო XVII ს-ის პირველ ნახევარში—300 აკჩას[32]. ცნობების ნაკლებობის გამო ზუსტად ვერ ვიტყვით, რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ შემდეგ, XVIII—XIX საუკუნეებში, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ოსმალეთის საერთო მდგომარეობა მაშინ თანდათან უარესდებოდა, — ავარიზის გამოსაღები გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა. მან იარსება თანზიმათის რეფორმამდე და გაუქმდა 1839 წელს.

მართალია, ერაყი „სალიანელ“ (სალიანეს მქონე) ქვეყნად ითვლებოდა ოსმალეთის იმპერიაში და წესის მიხედვით იქ თიმარული სისტემა თითქოს არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო. XVIII—XIX საუკუნეებში ერაყში „სალიანელ“ ეიალეთებთან ერთად შედიოდნენ „სალიანესიზ“ ეიალეთებიც. ამიტომ თიმარული სისტემა იქ საკმაოდ იყო გავრცელებული. იქ არსებობდა გარკვეული რაოდენობის სახელმწიფო ანუ „მირის“ მიწები, სულთნის მიწები[33] („არდი სენიე“), თიმარები და ზიამეთები. ამ კატეგორიის მიწების გაცემა კი ხდებოდა დროებით, „ბარათის“ ანუ „თაფუს“ საფუძველზე.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ თაფუ წარმოადგენდა მოწმობას, იურიდიულ საბუთს, რომელიც უფლებას ანიჭებდა გლეხს დაემუშავებინა სახელმწიფოს, ვაკფის, ლენის მფლობელის ან სხვა მესაკუთრის გარკვეული ფართობის ნაკვეთი. მაგრამ ასეთი მოწმობა რომ მიეღო, მას აუცილებლად უნდა გაეღო თანხა. ამიტომ თაფუ იყო არა მარტო მოწმობა იმისა, რომ გლეხს უფლება ჰქონოდა აეღო და დაემუშავებინა გარკვეული ფართობის მიწის ნაკვეთი,

---

[31] А. С. Тверитинова, Восстание Кара Языджи, стр. 33; Аграрный строй Османской империи, стр. 192.

[32] А. С. Тверитинова, Второй трактат Кочибея, стр. 251; გ ფ უ თ უ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 257.

[33] ბაღდადის ეიალეთში ასეთი იყო მთელი სახნავ-სათესი მიწების 60%, ბასრის ეიალეთში—50%, ხოლო მოსულის ეიალეთში—60% (Б. И. Щелковников, დასახ. ნაშრომი, გვ. 181).

ორამედ ამ უფლების მისაღებად დაწესებული გადასახადი[34] და ვალდებულება, რომლის საფუძველზე გლეხი უნდა მჯდარიყო ფეოდალის მიწაზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, თაფუ თავისი შინაარსით მიწისმფლობელზე გლეხის ფეოდალური დამოკიდებულების გარკვეული ფორმა იყო[35], რომელიც თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ბატონყმური ურთიერთობისაგან[36]

თაფუს გადასახადის გადახდა და მოწმობის, როგორც მიწითსარგებლობის იურიდიული საბუთის, აღება ხდებოდა ერთდროულად. გადასახდელი თანხის ოდენობა დამოკიდებული იყო მიწის ხარისხზე. სულთან სულეიმან I-ის კანონთა წიგნის მიხედვით, კარ-

---

[34] ჰამერს თაფუ მიაჩნია „საიჯარო გადასახადად" (J. Hammer, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 345, 376). მას საიჯარო გადასახადად თვლიან აგრეთვე გ. იბრაჰიმოვი (იხ. Г. И. Ибрагимов, Крестьянские восстания в Турции в XV—XVI вв. «Византийский временик», т. VII, стр. 128) და ა. ავალიანი (იხ. მისი მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში, გვ. 62), მაგრამ თაფუს გადასახადი თავისი შინაარსით არ იყო „საიჯარო გადასახადი" მიუხედავად იმისა, რომ ის წარმოადგენდა ერთდროულ გადასახადს (იხ. А. С. Тверитинова, Книга законов султана Селима I, стр. 79; Н. Н. Шенгелия, Османские налоги и налоговая система по «Пространному реестру Гюрджистанского вилайета», стр. 13).

[35] А. С. Тверитинова, Восстание Кара Языджи, стр. 31; Б. Цветкова, Принос към изучаването на турския феодализъм в Българските земи през XV—XVI в «Известия на Института за българска история», часть II, стр. 119—120.

[36] А. С. Тверитинова, К вопросу о крестьянстве и крестьянском землепользовании, стр. 50. ტვერიტინოვას ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ა. ნოვიჩევი და ვ. მუთაფჩიევა აღნიშნავენ, რომ რაია ოსმალეთში სარგებლობდა მიწადი თავისუფლებით (А. Д. Новичев, К вопросу о феодальных отношениях и положении крестьян в Турции во второй половине XV века, «Ученые записки ЛГУ», № 294, серия востоковедческих наук, вып 12., Л., 1961, стр. 131; В. П. Мутафчиева, Аграрните отношения в Османската империя през XV—XVI в., стр. 186, 202) და. მაშასადამე, დამოკიდებული არ იყო ფეოდალზე, მაგრამ ის გარემოება, რომ ოსმალური კანონები ფეოდალს უფლებას ანიჭებდნენ 15—20 წლის მანძილზე ეძია თვითნებურად წასული რაია და ძალით დაებრუნებინა თავის მამულში, უეჭველი მოწმობაა ფეოდალზე გლეხის სრული დამოკიდებულებისა, ოსმალეთში ბატონყმური ურთიერთობის არსებობისა. იქ ასეთი ურთიერთობის არსებობაზე მოგვითითებს აგრეთვე საბატონო ბეგარაც (გლეხს წელიწადში 7 დღე უნდა ემუშავნა ფეოდალის კარ-მიდამოში, ერთი დღე მართებდა მშენებლობაზე, უნდა გადაეზიდა მოსავალი კალოდან ბეღელში და სხვ., რასაც არ უარყოფს ნოვიჩევიც (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 135). თურქი ფეოდალი იყო სრული ბატონ-ბატრონი მასზე მიწერილი გლეხისა, რომელიც უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდა ფეოდალის ნება-სურვილს (Г. М. Ибрагимов, დასახ. ნაშრომი, გვ. 124).

გი მიწებიდან თაფუ აიღებოდა 50 აკჩა, საშუალოდან 40—30 აკჩა, ხოლო ცუდი მიწებიდან—20—10 აკჩა[37]. რაც ერთხელ უკვე იყო თაფუდ გაცემული, იმაზე თაფუ ხელახლა არ გაიცემოდა, თუ გლეხის ოჯახი არ ამოწყდებოდა. ამიტომ თაფუს გადასახადის აღებაც ერთზე მეტად დაუშვებელი იყო. თაფუს წესით გაცემული მიწა შემკვიდრეობით გადაეცემოდა მამიდან შვილებს, მაგრამ მათ თაფუს გადახდა მართებდათ, თუ ისინი სრულწლოვნები იყვნენ. უდედმამო მცირეწლოვნებიდან კი თაფუს აღება აკრძალული იყო[38].

თაფუს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ოსმალეთის საგადასახადო სისტემაში. ფრანგი მეცნიერის ა. უბიჩინის ცნობით, 1875—1876 საფინანსო წელს გათვალისწინებული იყო, რომ თაფუს შემოსავალს ხაზინაში უნდა შეედგინა 193 000 ქისა, ანუ 96,5 მლნ. პიასტრი[39]. ამაში არ შედის თაფუს ის შემოსავალი, რომელიც თიმარების და ზიამეთების მფლობელთა სასარგებლოდ მიდიოდა. ამ შემოსავლის გარკვეული ნაწილის გადამხდელი ერაყის გლეხობა იყო. როგორც სხვაგან, ერაყშიც სახელმწიფო და ლენის მიწები გაცემული იყო თაფუს წესით[40].

წყაროებში, კერძოდ ოსმალურ საკანონმდებლო აქტებში, ხშირადაა მოხსენიებული ბ ე ჰ რ ე — ყოველწლიური ნატურალური გადასახადი, რომელსაც გლეხი მოსავლიდან უხდიდა მიწისმფლობელს. როგორც ჩანს, ეს გადასახადი ძირითადად სარწყავი მიწების ნათესებიდან აიღებოდა და მისი აღების ორი წესი არსებობდა: 1. აწყვითი და 2. დახვავებითი. აწყვითი წესისას გლეხების მიერ მოწეულ და კალოზე მიტანილ მოსავალს აწყავდნენ და გამოჰყოფდნენ ბეჰრეს, რაც შეადგენდა მოსავლის 1/5-ს, 1/6-ს ან 1/7-ს. თუ კა-

---

[37] Г. М. И б р а г и м о в, Крестьянские восстания в Турции в XV—XVI вв., стр. 127; Книга законов султана Сулеймана Кануни, Аграрный строй Османской империи. стр. 26. თაფუს ეს გამოსაღები XVI ს-ის სინამდვილიდან არის აღებული. XVIII ს-ში კი მისი ოდენობა გაციცლებით მეტი უნდა ყოფილიყო, რადგან ცნობილია, რომ შემდეგ აკჩის კურსი დაეცა და XVII ს-ის 60-იან წლებში თვ ერთი ღერუში უდრიდა 80 აკჩას. იმავე საუკუნის ბოლოს ერთი ღერუში 120 აკჩას უდრიდა (Аграрный строй Османской империи, стр. 204. იხ. Куруш).

[38] Аграрный строй Османской империи, стр. 41, 212.

[39] A. U b i c i n i et P o w e t de C o u r t e l l e, Etat present de l'Empire Ottomane, Paris, 1876, p. 131 (ციმოწმებთ ა. ავალიანის ნაშრომით „მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში", გვ. 63).

[40] Л. Н. К о т л о в, Национально-освободительное восстание 1920 года в Ираке, М., 1958, стр. 15.

ლოდან უახლოეს ბაზრამდე სავალი გზა ერთ დღეს არ აღემატებოდა, გლეხი ვალდებული იყო ბეჰრე ბაზრამდე მიეტანა[41].

იმ შემთხვევაში, როცა მოსავლის აწყვა არ ხერხდებოდა, მას დაახვავებდნენ 5, 6, 7 ადგილას და მიწისმფლობელი იღებდა მათგან 1/5-ს, 1/6-ს ან 1/7-ს, დანარჩენს გლეხები ინაწილებდნენ[42]. ბეჰრეს ოდენობა დამოკიდებული იყო მიწის ხარისხზე, მისი მორწყვის საშუალებებსა და, აგრეთვე, სხვა პირობებზეც. მაგალითად, თუ გლეხი მასზედ მიმაგრებულ მიწის ნაკვეთს (ჩიფთს ან ნახევარ ჩიფთს) არ დაამუშავებდა და სხვაგან წავიდოდა მიწის დასამუშავებლად, მას ორმაგი ბეჰრე უნდა გადაეხადა. ეს წესი ერაყშიც მოქმედებდა. ვინც ჩიფთზე ან ნახევარ ჩიფთზეა მიმაგრებული, ნათქვამია მოსულის ლივის კანონთა კრებულში, — სხვაგან მიწას ნულარ დაამუშავებს, თუ თავისი არ დაუმუშავებია. ხოლო, თუ მასზედ დაწერილი მიწა დაამუშაოს და სხვისის დამუშავებაც მოისურვოს, ბეჰრე მეორედ არ გადახდეს. ბეჰრეს მეორედ გადახდისაგან გლეხი გათავისუფლდეს მაშინაც, თუ მიწისმფლობელმა მას მიწა არ მისცეს თაფუთი და სხვისი მიწა დაამუშაოს: ბეჰრე განმეორებით გადახდეს მაშინ, თუ თავისი ნაკვეთი დაუმუშავებელი დატოვოს[43].

როცა გლეხი მასზედ დაწერილ მიწას დაუმუშავებელს დატოვებდა და მიწისმფლობელს ბეჰრეს არ მისცემდა, ის იბეგრებოდა „რესმი ჩიფთით". ეს იყო საადგილმამულო გადასახადი, რომელსაც იხდიდა ჩიფთის[44] (ჩიფთლიკის) მქონე მუსლიმი გლეხი (რაია, ფელაჰი)[45]. ურჯულონი ანუ „ქაფირები" რესმი ჩიფთის მაგიერ მიწისმფლობელს უხდიდნენ „ისფენჯს" — სულად გადასახადს მამაკაცებზე, რომელიც მოსულის ლივაში უდრიდა 25 აკჩას[46]. მიწის დაუმუშავებლობისათვის გლეხს რესმი ჩიფთისა და ისფენჯის გარდა უნდა გადაეხადა „ბოზ ბეჰრეც". მაგრამ თუ მიწისმფლობელი მიწას სხვაზე გასცემდა თაფუთი, მაშინ ის, ვისზედაც მიწა ადრე

---

[41] Аграрный строй Османской империи, стр. 66.

[42] იქვე.

[43] იქვე, გვ. 63—64.

[44] არაბულ ქვეყნებში ჩიფთს ფედანი ეწოდებოდა.

[45] სულთან სულეიმან I-ის კანონთა წიგნის მიხედვით, სრული ჩიფთლიკიდან რესმი ჩიფთი შეადგენდა 36 აკჩას. მაგრამ მისივე კანონებიდან ჩანს, რომ ეს გადასახადი ყველგან თანაბარი არ იყო. მოსულის ლივაში ის 50 აკჩას უდრიდა. სხვაგან— მეტს ან ნაკლებს, დაახლოებით 14-იდან 57 აკჩამდე (Аграрный строй Османской империи, стр. 28—29, 65).

[46] იქვე, გვ. 65, 202.

იყო გაფორმებული, აღნიშნული გადასახადებისაგან თავისუფლდებოდა. ამ გადასახადებისაგან გლეხი თავისუფლდებოდა მაშინაც, როცა მას გაძარცვავდნენ ან სტიქიური უბედურება დაატყდებოდა თავს და ამის გამო თავის ჩიფთს ვეღარ დაამუშავებდა. ასეთ შემთხვევაში ის მიწისმფლობელს უხდიდა ი რ ღ ა დ ი ე ს და რ ე ს მ ი ბ ე ნ ა ქ ს.

„ირღადიე" საბეგრო გამოსაღები იყო. გლეხი ვალდებული იყო მიწისმფლობელის მამულში ემუშავნა 3—7 დღე ანდა გადაეხადა 6 აკჩა[47]. ქალაქის მოსახლეობას ეს გამოსაღები არ ეევალებოდა. მათზე სამაგიეროდ დაწესებული იყო — ცოლშვილიანზე რ ე ს მ ი ბ ე ნ ა ქ ი, ხოლო უცოლშვილოზე — რ ე ს მ ი მ უ ჯ ე რ ე დ ი.

რესმი ბენაქი იყო მიწაზე დაწესებული გადასახადი. რომელსაც მიწისმფლობელი მასზედ მიწერილ გლეხს ახდევინებდა იმ შემთხვევაში, როცა ამ უკანასკნელს მიწა სრულიად არ გააჩნდა ან ნახევარ ჩიფთს (არაბულ ქვეყნებში ნახევარ ფედანს) არ აღემატებოდა. „ბენაქი" (გაღატაკებული გლეხი) ორი კატეგორიისა იყო: 1. ცოლიანი ანუ „ექინლი ბენაქი", რომელსაც ნახევარი ჩიფთი (ნახევარი ფედანი) ჰქონდა და 2. უცოლო ანუ „ჯაბა" ან „ყარა ბენაქი", რომელსაც მიწის ნაკვეთი სრულიად არ გააჩნდა. ამ უკანასკნელთ ზოგჯერ „მუჯერედსაც" (უცოლოს) უწოდებენ. მათ უნდა გადაეხადათ საგანგებო გადასახადი „რესმი მუჯერედი" და თავისუფლდებოდნენ რესმი ბენაქისაგან, რომელიც მხოლოდ ცოლიან ბენაქზე იყო გაწერილი.

თავისი შინაარსით რესმი მუჯერედის საპირისპირო გადასახადი იყო „არუსიე" ანუ „ურუს რესმი" — საპატარძლო გამოსაღები[48]. თუ რესმი მუჯერედი სრულწლოვან მამაკაცებს იმისთვის ხდებოდათ, რომ ისინი უცოლონი იყვნენ, დამოუკიდებელ მეურნეობას არ ეწეოდნენ და მამების ნაკვეთზე ცხოვრობდნენ, „არუსიეს" ახდევინებდნენ გასათხოვარ ქალებს გათხოვებისას. ა. ტვერიტინოვას განმარტებით, ამ გადასახადს იხდიდა სასიძო რაია ცოლის თხოვისას[49]. მაგრამ ეს მთლიანად ზუსტი არ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, წყაროებიდან ირკვევა, რომ არუსიეს იხდიდა პატარძალი ან ამ უკანასკნელის მამა. ასე მაგალითად, „მოსულის ლივის კანონთა წიგნში" ნათქვამია, რომ „როცა ქალწული ან ქვრივი თხოვდება, არუსიეს იხდის; არუსიე ქალწულს ეხება"[50]. „გურჯის-

[47] ასეთივე საბეგრო გადასახადები იყო „ანღარიე", „კულუკი" და „ხიზმათი".

[48] Аграрный строй Османской империи, стр. 42.

[49] იქვე, გვ. 194.

[50] იქვე, გვ. 65.

ტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ კი აღნიშნულია, რომ „ქალწულის საქორწინო გამოსაღებს, რა ადგილიდანაც არ უნდა გათხოვდეს ის, იხდის მისი მამა“[51].

ვის უხდიდნენ ქალწულები და ქვრივები ან მათი მშობლები „არუსიეს“? ა. ტვერიტინოვას მიხედვით, — მხოლოდ „თიმარის მფლობელს“[52]. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრისა“ და „მოსულის ლივის კანონთა წიგნის“ მიხედვით კი იმას, ვის მიწაზეც ცხოვრობდნენ გასათხოვარი და მისი მშობლები. ეს მიწა შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც თიმარიოტის, ისე ზაიმის, სულთნის, ვაკფის და სხვათა მფლობელობაში[53].

არუსიეს ოდენობა კანონით იყო განსაზღვრული და უდრიდა ქალწულზე 60 აკჩას, ქვრივზე —30-ს. „არუსიე“ დაწესებული იყო არა მარტო რაიაზე, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია მიღებული, არამედ „ზაიმთა, თიმარის მფლობელთა, მონადირეთა, ციხის მცველთა და (სხვათა) ასულებზეც“. მას იხდიდნენ მუსლიმებიც და არამუსლიმებიც[54], რომელთა საქორწინო გამოსაღები ორჯერ ნაკლები იყო, ვიდრე მუსლიმებისა[55].

თითოეულ გლეხს მიზომილი ჰქონდა გარკვეული ფართობის მიწის ნაკვეთი, მაგრამ ხდებოდა ისე, რომ ზოგჯერ მას აღმოაჩნდებოდა იმაზე მეტი დასამუშავებელი ფართობი, ვიდრე ერგებოდა. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებული იყო გადაეხადა „რესმი ზამინი“ ანუ „ამინ აკჩესი“. იმავე გადასახადს ახდევინებდნენ მას მაშინაც, როცა მიწა ნორმაზე, ე. ი. ერთ ჩიფთზე (ფედანზე) ნაკლები ჰქონდა, მაგრამ ნიადაგი ნოყიერი იყო და მოსავალი გათვალისწინებულზე მეტი მოდიოდა. ამიტომ რესმი ზამინი წარმოადგენდა მიწაზე დაწესებულ ისეთ გამოსაღებს, რომლის ოდენობა დამოკიდებული იყო ნიადაგის ხარისხზე და მოსავლის სიდიდეზე. ორ დონუმ კარგ მიწაზე გადაკვეთილი იყო ერთი აკჩა. ამდენივე ეწერა სამ დონუმ საშუალო მიწას და 4—5 დონუმ მწირ მიწას[56].

---

[51] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, გვ. 3.

[52] Аграрный строй Османской империи, стр. 194.

[53] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, გვ. 3; Аграрный строй Османской империи, стр. 65.

[54] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, გვ. 342.

[55] H. A. R. G i b b, H. B o w e n, დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

[56] Аграрный строй Османской империи, стр. 201.

ზემოჩამოთვლილი გადასახადების გარდა ოსმალურ საკანონმდებლო აქტებში ვხვდებით ისეთ გამოსაღებებსაც, როგორიცაა „რესმი კიშლაკ“, „რესმი დუდ“, „რესმი აღნამ“, „რესმი შაჰნექი“, „ადათ დაშთიბან“ და სხვ.

„რესმი კიშლაკ“ ანუ „კიშლაკ რესმი“ იყო ზამთრის საძოვრების და საერთოდ გამოსაზამთრებელი ადგილების სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადი. მას იხდიდნენ მომთაბარე მესაქონლენი, როცა თავიანთი ჯოგებით ზამთარს ატარებდნენ სხვის მფლობელობაში მყოფ მიწებზე. გადასახადს ღებულობდა მიწისმფლობელი როგორც ნატურით (300 ცხვრიდან ანუ „ფარადან“ — 1 ცხვარს)[57], ისე ფულით. ნატურალური გადასახადით იბეგრებოდა ჯოგი, ფულადით — მეჯოგე. თუ მეჯოგე ცოლშვილიანი იყო და ოჯახით გამოიზამთრებდა თიმარში, გადაიხდიდა 6 აკჩას. უცოლოებისაგან, რომლებსაც საკუთარი კერა გააჩნდათ, იღებდნენ საკომლო გამოსაღებს „რესმი დუდს“ 3 აკჩის ოდენობით[58].

მეჯოგეს უნდა გადაეხადა აგრეთვე ცხვრისა და თხის ფარებზე გადაკვეთილი გამოსაღები „რუსუმი აღნამ“[59]. დაკანონებული იყო, რომ ყოველ ორ ცხვარზე ან ამდენსავე თხაზე აეღოთ 1 აკჩა, გაზაფხულზე, აპრილის თვეში. ერაყში „რესმი აღნამის“ გადასახადს ეწოდებოდა „კოდა“[60].

შინაარსით „რესმი აღნამისაგან“ განსხვავებული გადასახადი იყო „რესმი შაჰნაქი“. ეს იყო ფეოდალის (ან სახელმწიფო მოხელის) და მისი ცხენის შესანახი გადასახადი, რომელსაც იხდიდა სოფლის მიწათმოქმედი მოსახლეობა, როცა ფეოდალი ან სახელმწიფო მოხელე სოფელს ეწვეოდა. რესმი შაჰნაქი აიღებოდა მოსავლიდან, ყოველ 20 ქილაზე ერთი ქილა[61]. სათიბებისა და ყანების დაცვისათვის სოფლის მოსახლეობას ევალებოდა „ადათ-ი დაშთიბანის“ გადახდაც. კანონით დადგენილი იყო, რომ, თუ ვისიმე საქონელი დამუშავებულ ყანაში შევიდოდა და მას დააზიანებდა, საქონლის პატრონს უნდა ეზღო ზარალი ყანის პატრონისათვის. გარდა ამისა, მას ახდევინებდნენ ჯარიმას, თითო სულ საქონელზე 5 აკ-

---

[57] Аграрный строй Османской империи, стр. 66.

[58] ი ქ ვ ე, გვ. 67; გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, გვ. 2.

[59] მას „'ადათი 'აღნამ“-იც ეწოდებოდა.

[60] А. Ментешашвили, Ирак в годы английского мандата, стр. 42.

[61] ڤاڤ წონის ერთეული, უდრის დაახლოებით 25 კილოგრამს.

ჩას და თანაც როზგავდნენ[62]. გლეხის მიერ გადახდილი ჯარიმა თიმარის მფლობელს ეკუთვნოდა[63].

თიმარის მფლობელისა იყო ფუტკარზე და წისქვილზე შეწერილი გადასახადებიც[64]. თითო სკიდან აიღებოდა 2 აკჩა, ხოლო წისქვილიდან, თუ ის მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა, —60, თუ 6 თვე მუშაობდა, 30 აკჩა და 3 თვეში —15 აკჩა. წისქვილზე შეწერილ ამ გადასახადს „რესმი ასიაბ" ეწოდებოდა[65].

ყველა ეს ოსმალური გადასახადი სრული სახით იყო წარმოდგენილი ერაყში, უმთავრესად მის ჩრდილოეთ ნაწილში. ამათ გარდა ერაყში მოქმედებდა ისეთი გადასახადებიც, როგორიცაა დარუღა", „ბაჯი უბურ", „მასარიფი ნაკლიე", „რუს ალ-ფუდან", „ჯუჰ", „კალამიე", „ბალადიე", „არდი სენიე", „ხუვა", „ვერგი" და სხვ.

„დ ა რ უ ღ ა" ანუ „იპთისაბ" იყო საზედამხედველო (საპოლიციო) ბაჟი, რომელიც აიღებოდა ბაზარში გასაყიდად შეტანილი ნივთების ღირებულების მიხედვით, ღურუშზე ორი ფარა, ე. ი. ერთი პიასტრი[66].

ასეთივე სახის გადასახადი იყო „ბაჯი 'უბურ" სატრანზიტო ბაჟი. მისი ოდენობა დამოკიდებული იყო გასაყიდი თუ გადასახადი საქონლის სახეობაზე და ოდენობაზე. მაგალითად, საპალნე ბრინჯიდან „ბაჯი 'უბური" აიღებოდა 1—1/2 კრანი (1 კრანი მაშინ უდრიდა დაახლ. 30 კაპ.), ამდენივე ინდისხურმიდან 1/2 კრანი, ბამბიდან და მატყლიდან —2, ხოლო თამბაქოდან —3 კრანი.

გადასახადით იბეგრებოდა როგორც გადასაზიდი საქონელი, სანოვაგე, ასევე გამწევი ძალა, მუშა პირუტყვი. მაგრამ მას, ბაჯი უბურისაგან განსხვავებით, „მასარუფი ნაკლიე" ეწოდებოდა. ერთ ჯორზე მეჯორეს უნდა გადაეხადა 60 კაპიკი. ერთ უღელ ხარზე დაწესებულ ასეთსავე გადასახადს „რუ'უს ალ-ფუდანი" ერქვა[67].

იმ მრავალ გადასახადს შორის, რომელსაც ერაყელი გლეხი XVIII—XIX საუკუნეებში იხდიდა, ერთ-ერთი იყო „ჯუჰი" —

---

[62] Аграрный строй Османской империи, стр. 67, 192.
[63] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, გვ. 4.
[64] იქვე, გვ. 2—3.
[65] Аграрный строй Османской империи, стр. 67, 211.
[66] Х у р ш и д Э ф е н д и, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.
[67] იქვე, გვ. 106.

ბოსტანზე დადებული გამოსაღები, რომლის ოდენობა შეადგენდა ნახევარ ჩარხს[68] ანუ 6 1/4 კაპიკს[69].

შედარებით მძიმე იყო საკანცელარიო გადასახადი „კალამიე". ის შეწერილი ჰქონდა მთელ ტომს და კომლზე დაახლოებით უწევდა 50 პიასტრი[70].

ერაყ-ირანის საზღვრის გასწვრივ მყოფი მომთაბარე ტომები ხშირად იცვლიდნენ ადგილსამყოფელს; ზაფხულობით ირანის ტერიტორიაზე გადადიოდნენ, ზამთრობით კი ისევ ერაყში ბრუნდებოდნენ. ეს გარემოება შეუძლებელს ხდიდა იმის გარკვევას, თუ ნამდვილად რომელი სახელმწიფოს ქვეშევრდომნი იყვნენ ისინი. ამიტომ მათ გარეშეებად თვლიდნენ და ერაყში გამოსაზამთრებლად დაბრუნებისას ახდევინებდნენ როგორც „რესმი კიშლაკს", ასევე საკომლო გადასახადს, რომელსაც „ხარჯი ხანე" ეწოდებოდა. ეს იგივე სახარაჯო გამოსაღები იყო და მისი ოდენობა კომლზე 87 1/2 პიასტრს უდრიდა[71].

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ერაყში საქალაქო მეურნეობის მოსაწესრიგებლად, კერძოდ ახალი ქუჩების გასაყვანად, ბაზრებისა და მოედნების მოსაწყობად, ხიდების ასაგებად, სავაჭრო-სატრანზიტო გზების გასაუმჯობესებლად, სისუფთავის დასაცავად და საერთოდ წესრიგის დასამყარებლად — ქალაქებში არსებობდა ადგილობრივი მმართველობა „ბალადიე". თავისი აპარატის შენახვისა და დაკისრებული ფუნქციის შესრულებისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად, „ბალადიე" აწესებდა გადასახადებს სასწორებზე, ხიდებზე, ქალაქის ბაზრებსა და მოედნებზე სავაჭროდ გატანილ პროდუქტებზე, ნავთზე, სპირტზე, ეკიპაჟზე, ნავებზე, აბანოებზე, სასაკლაოებზე, ყავახანებზე, დუქნებზე და სხვ.[72] მაგ., ბასრაში ლამის დარაჯების შესანახად თითოეულ დუქანს უნდა გადაეხადა თვეში 4 პიასტრი. ხიდზე გადასასვლელი დაწესებული იყო: დატვირთულ სახედარზე 1/2 პიასტრი, დატვირთულ ცხენზე და აქ-

---

[68] چرخی — თურქული მონეტა, რომელიც უდრის 100 ფარას.

[69] Хуршид Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

[70] იქვე, გვ. 196, 440.

[71] Хуршид Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 219; ირან-ოსმალეთს შორის 1823 წელს ერზერუმში ხელმოწერილი საზავო ტრაქტატის თანახმად, ამ გადასახადების ოდენობას განსაზღვრავდნენ ირანის პრინცისა და ბაღდადის ფაშას ოფიციალური წარმომადგენლები (Путевой журнал Е. И. Чирикова, СПб., 1875, стр. 640—641).

[72] А. Адамов, Ирак арабский, стр. 69—70.

ლემზე—1 პიასტრი; პატარა ბარკების[73] გატარებაზე—5,7 1/2 და 10 პიასტრი, დიდ ბარკებზე[74]—30 პიასტრი; ბაზარში გასაყიდად გაყვანილ საქონელზე და გატანილ ხილ-ბოსტნეულზე აიღებოდა ღირებულების 2,5%; ნავთის შესანახი—ყუთზე თვეში 1 პიასტრი და სპირტზე—1/2 პიასტრი, ეტლი თვეში იხდიდა 5 პიასტრს, ყავახანები, ქარვასლები, აბანოები—10 პიასტრს, საყასბოები—5 პიასტრს ყოველ სულ ცხვარზე ან თხაზე და 3 პიასტრს ბატკანზე ან თოკანზე[75]. გაცილებით უფრო დიდი იყო გადასახადი მსხვილფეხა პირუტყვზე.

გადასახადების უმეტესობა XVIII—XIX სს-ში ნატურალური იყო, მაგრამ კანონით დაშვებული იყო პროდუქტების ნაცვლად გლეხს ფული გადაეხადა. ეს წესი ერაყში ცნობილი იყო „ბედელის"[76] სახელწოდებით და XIX ს-ში იგი სულ უფრო მტკიცედ იკიდებდა ფეხს საგადასახადო სისტემაში. მაგალითად, დაფასირის[77] „მუკატა'ათი[78], სადაც ინდისხურმის ბაღები იყო გაშენებული, ხაზინას აძლევდა ბედელს 6000 შამის[79] და ნატურით—700 ქარე[80] ფინიკს. ნაჰრ ალ-ჯასიმის[81] მუკატა'ათი ბედელს იხდიდა

[73] ბ ა რ კ (ჰოლან., ინგლ. Bark ლათ.) — ოლქნიანი დიდი ნავი, გემი.

[74] ბ ა რ ჯ ა, (ფრ. Barge) — ტვირთსაზიდი არათვითმავალი ნავი, გემი.

[75] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

[76] بدل — სანაცვალო, სამაგიერო, ბადალი.

[77] ადგილია ერაყში, ბასრის ეიალეთში.

[78] კოჩიბეი გორიჯელი მუკატას ასე განმარტავს: „როდესაც, მაგალითად, საბაჟო ან საბადო ეიშეს ეძლევა ერთი წლის ვადით 100 ან 500 იუქ აკჩად, ამას ეწოდება „მაკტუ" და ვინც მას მიიღებს, მიეცემა თეღრიანი ბრძანებულება. სანამ წელიწადი არ გავა, მას უკან ვერ წაიღებ ეი ამას ჰქვია მუკატა" (А. С. Тверитинова. Второй трактат Кочибея, стр. 250) მაშასადამე, „მუკატა ათ" ნიშნავს რაიმეს (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილის) იჯარით გაცემას, შესყიდვას. შესყიდვა ჩვეულებრივ ხდებოდა ერთი ან სამი წლით, მაგრამ შეიძლებოდა ამ ვადის გახანგრძლივება. მუკატა ათის სისტემა ანუ მეიჯარეობა ოსმალეთში გაჩნდა XVI-ის მეორე ნახევარში. ეს იყო სრულიად ახალი მოვლენა მის აგრარულ ურთიერთობაში (უფრო ვრცლად „მუკატა ის" შესახებ იხ. L. Fekete, Die Sijaqatschrift in der turkischen Finanzverwaltung, Budapescht, 1955, Bd. I გვ. 85—88; Д. Кальди-Надь, Турецкие реестровые книги мукатаа как исторические источники (Сборник. «Восточные источники по истории народов Юго-Восточной и Центральной Европы». М., 1964, стр. 76—89; А. Д. Новичев, ღასახ. ნაშრომი, გვ. 28—29).

[79] شامی — თურქული მონეტა, იკრებოდა დამასკოში ანუ აშ-შამში. ერთი შამი უდრიდა 8 პიასტრს.

[80] كارة — წონის ერთეული, უდრის 1000 ოყას ან 75 ფუთს.

[81] ადგილის სახელია ბასრის ეიალეთში. იქვეა ბურიც.

1700 შამის, ნატურით —260 ქარე ფინიკს. ბური იძლეოდა ბედელს 700 შამის, ნატურით —120 ქარე ფინიკს[82].

ერაყში, ისე როგორც მთელ ოსმალეთში და საერთოდ აღმოსავლეთში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საირიგაციო სისტემას. ამიტომ სახელმწიფოს, ვაკფებისა და კერძო პირთა ხელში იყო არა მარტო მიწები, არამედ მთელი სარწყავი სისტემა: წყალი, დამბები, არხები და წყალგამანაწილებელი ნაგებობები. სარწყავი არტერია მათი შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო. გადასახადი, რომელსაც გლეხი წყლით სარგებლობისათვის იხდიდა, ყველგან თანაბარი ოდენობის არ იყო. ერაყში, წყალუხვი მდინარის ახლოს მდებარე ადგილებში გლეხი მიწისმფლობელს უხდიდა სარწყავი მიწებიდან მიღებული მოსავლის ერთ მეექვსედს ანუ „სუდსს"[83]. იქ კი, სადაც წყალი ცოტა იყო ან ადგილი მდინარიდან მოშორებით იმყოფებოდა, მიწათმოქმედს მიწისმფლობელის სასარგებლოდ უნდა გაეღო მოსავლის ნახევარი (თუ თესლი მისი საკუთარი იყო) ან ორი მესამედი (როდესაც თესლი მიწისმფლობელისაგან ჰქონდა მიღებული)[84].

მიწისმფლობელის გარდა გლეხი გადასახადს უხდიდა აგრეთვე „სარქალს" — სპეციალურ პირს, რომლის მოვალეობას შეადგენდა ზედამხედველობა სარწყავ სისტემაზე მისი წესრიგში მოყვანისა და სწორი ექსპლოატაციის მიზნით[85]. ერაყში ეს თანამდებობა იყიდებოდა. მის შემსყიდველს შეეძლო აგრეთვე სარწყავ მიწებზე დაწესებული გადასახადების შესყიდვაც, რის გამოც სარქალები იქცნენ მოიჯარეებად და გამდიდრების მიზნით თვითნებურად ადიდებდნენ გადასახადებს, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობდნენ სარწყავი სისტემის შეკეთებას და ამით აჩქარებდნენ მის მოშლას.

გლეხთა მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ის, რომ ქვეყანაში მტკიცედ ჰქონდა მოკიდებული ფეხი „ილთიზამის" ანუ საიჯარო სისტემას, რომლის დროსაც იჯარით გაიცემოდა მიწაც, თანამდებობაც და გადასახადების აკრეფის უფლებაც. ეს გარკვევით ჩანს კოჩიბეი გორიჯელის შემდეგი სიტყვებიდან: „მოიჯარე ანუ მულთაზიმი მიდის დავთარდართან და ეუბნება: მომეცი იემიშის ნავსადგური, ის ძველთაგანვე იძლეოდა 100 000 აკჩა შემოსავალს,

---

[82] Хуршид Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.
[83] იქვე, გვ. 90.
[84] იქვე, გვ. 124.
[85] ამ თანამდებობის მოხელეს „მურაბი"-ც ეწოდებოდა.

შე კი მოგცემ 200 000 აჩას... ესეც ხდება, ერთი რომელიმე ემინი (იგივე მულთაზიმი — ბ. ს.) იტყვის, მომეცი ეს თანამდებობა და რამდენ ფულსაც ავკრეფ, ყველას ხაზინას ჩავაბარებ"[86]. ასეთ შემთხვევაში მოიჯარე ყოველთვის ცდილობდა აეკრიფა იმაზე მეტი, ვიდრე თვითონ იხდიდა. ეს კი იწვევდა გადასახადების გადიდებას და მშრომელი მასების ექსპლოატაციის გაძლიერებას. ხურშიდ ეფენდის ცნობით, ბასრის მუკატა'ების მოსავლის 1/4 ეკუთვნოდა მიწის მუშას, ფელაჰს, ხოლო 3/4 — ილთიზამს ანუ მოიჯარეს[87].

საჯარო სისტემის განმტკიცება, მოიჯარეთა თვითნებური მოქმედება და ამ მოქმედებით მშრომელი მასების მდგომარეობის საგრძნობი გაუარესება ოსმალეთის სახელმწიფოს თანდათანობითი დასუსტებისა და მისი ფინანსური კრიზისის უშუალო შედეგი იყო. ეკონომიურად დაუძლურებული ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება მოითხოვდა, რომ მულთაზიმებს, ემინებს, მუჰთასიბებს, უშურჯიებს და თაჰსილარჯიებს (მათ გადასახადების აკრეფა ევალებოდათ) წინასწარ გადაეხადათ ასაღები თანხა. სამაგიეროდ, გადასახადთა ამკრეფი მოხელეები მოითხოვდნენ, რომ ცენტრალური ხელისუფლება არ ჩარეულიყო მათ საქმეში. ამნაირად, მულთაზიმები გადასახადის ამკრეფი უბრალო მოხელეებიდან თანდათან იქცნენ მოიჯარეებად, ხოლო მუკატა'ები (იჯარით აღებული მიწები და სხვ.) — მათ სამუდამო საკუთრებად[88].

ილთიზამის სისტემა ხელსაყრელი იყო მიწისმფლობელისა და მესაკუთრისათვის, რადგან ის იძლეოდა შემოსავლის მტკიცე გარანტიას. მასზე არ მოქმედებდა რაიმე დამაბრკოლებელი ფაქტორი: ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მოსახლეობის შემცირება, ნიადაგის გამოფიტვა, მოუსავლიანობა და სხვ. ამიტომ იჯარით გაიცემოდა ყველაფერი და ამავე დროს მოიჯარეს უფლება ჰქონდა იჯარით აღებულის იჯარით გაცემისა, რაც მოიჯარეობას მრავალსაფეხურიანს ხდიდა. ერაყში, ისე როგორც ოსმალეთის იმპერიის სხვა პროვინციებში, ყველაზე მაღალ საფეხურზე იჯდა სულთნის მოადგილე ფაშა, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას უხდიდა „სალიანეს" და ქვეყანას მართავდა ისე, როგორც თვითონ მოეხასიათებოდა. „ფაშა ექსპლოატაციის აღმოსავლური ფორმის მთავარი განსახიერება იყო"[89]. ილთიზამით მიღებული

---

[86] А. С. Тверитинова, Второй трактат Кочибея, стр. 255.
[87] Хуршид Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 19, 54.
[88] А. Д. Новичев, История Турции, II, стр. 12. შეს. 7.
[89] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч.. т. XXVII, стр. 234.

მისი ყოველწლიური შემოსავალი, რომელიც საფაშოს ხაზინაში შედიოდა, ბევრად აღემატებოდა იმას, რასაც ის ცენტრალურ ხელისუფლებას აძლევდა. ხურშიდ ეფენდის ცნობით, ბაღდადის საფაშო ხაზინაში ილთიზამით მიღებული წლიური თანხა მარტო პატარა ქალაქ (კასაბა) მენდელიდან შეადგენდა 123 384 კრანს[90].

გადასახადის შესყიდვის შემდეგ თავისუფლად მოქმედების უფლებით აღჭურვილი მოიჯარე მულთაზიმი, მოურიდებლად ზრდიდა მოსახლეობიდან ამოსაღები თანხის ოდენობას. ხურშიდ ეფენდის ცნობით, „მესამე უწყების აშირეთებიდან" საკომლო გამოსაღების ანუ „ხარაჯი ხანე"-ს საერთო თანხა, რაც გადასახადის ამკრებს ბაღდადის გამგებლისათვის უნდა ჩაებარებინა, შეადგენდა სულ 1 461 900 ღურუშს. სინამდვილეში კი იგი კრებდა 2 192 850 ღურუშს და ამ ზედმეტ თანხას თვითონ ითვისებდა[91].

საიჯარო სისტემას ქვეყანა ეკონომიური დაცემის და პოლიტიკური გადაგვარებისაკენ მიჰყავდა. უზომო გადასახადებით დამძიმებული და ადგილობრივ ხელისუფალთა თვითნებური მოქმედებით გაწამებული სოფლის მოსახლეობა იყრებოდა, ქალაქისაკენ გარბოდა და სოფელი თანდათან ცარიელდებოდა. მექრთამეობისა და უსამართლობის გამო, სოფელში, რომელშიც 80 კომლი იყო, „ამ უკანასკნელ ხანს 50 კომლი ეაიქცაო", — ამბობს ხურშიდ ეფენდი[92]. მიზეზი ამისაო, აღნიშნავს ფრანგი მკვლევარი და მოგზაური გიომ ოლივიე, არის ის, რომ ფაშები, აღები და სხვა მსხვილი ფეოდალები „ჯოხით ხელში აიძულებენ მიწის მუშებს იმუშაონ მუქთად თავიანთ მამულებში, ყიდულობენ მათგან პროდუქტებს მათ მიერ დაწესებულ ფასებში და სყიდულობენ სახარაჯო გადასახადს თავიანთვის დიდად სასარგებლო ფასებში. გადასახადებით დამძიმებული... სოფლის მოსახლეობა ტოვებს თავის მიწას, რომელიც მას ვეღარ კვებავს, და მიდის დიდ ქალაქებში... ფაშები კი გაქცეულთა მთელ გადასახადებს ახდევინებენ დარჩენილებს"[93].

სოფლის დაცარიელებას თან სდევდა ინტენსიური მეურნეო-

---

[90] قران — სპარსული, ვერცხლის მონეტა, უდრის 5 თურქულ პიასტრს ანუ 30 კაპიკს. ერაყში მას საპიბ კრანსაც უწოდებდნენ.

[91] Хуршид Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 195—196.

[92] იქვე, გვ 196.

[93] G. A. Olivier, Voyage dans l'Empire Ottoman, l'Egypte et la Perse, 1800, t. I, p. 309.

ბის თანდათანობითი კვდომა, რასაც ახჭარებდა ისიც, რომ, იქ სადაც მიწათმოქმედი დარწმუნებული არაა მიწიდან მიიღოს ის, რაც უნდა აეღო, იგი ქმაყოფილდება მიიღოს მისგან მხოლოდ იმდენი, რამდენიც აბსოლუტურად აუცილებელია მისი არსებობისათვის[94] და არა მეტი. ეს კი აქცევდა არა მარტო ინტენსიურ სოფლის მეურნეობას, არამედ ხაზინასაც, სწორედ ამიტომ ურჩევდნენ სულთანს კოჩიბეი გორიჯელი და რუმელიის კადი ასკერი ტატარჯიკ 'აბდ ალლაჰ ეფენდი: „გლეხებს მიხედე, მდგომარეობა შეუმსუბუქე, „რაია ფადიშაჰის ხაზინაა“ და თუ კარგ მდგომარეობაში იქნება და არც არავინ შეაიწროებს, ხაზინა... სავსე იქნება“[95], „თუ არა, იმპერია დაიღუპებაო“[96], მაგრამ მშრომელი მოსახლეობისა და სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და იმპერიის გადარჩენაც მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ გაუქმდებოდა იქ გაბატონებული სამხედრო-ფეოდალური ლენური სისტემა. ამის გაუქმება კი ცენტრალურ ხელისუფლებას არც სურდა და არც შეეძლო. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სულთან სელიმ III-ის ცდამ, 1792—1798 წლების რეფორმით მოეხდინა ოსმალეთის განახლება და ევროპულ ყაიდაზე მისი მოწყობა, მარცხი განიცადა. სამხედრო ფეოდალიზმმა კიდევ დიდხანს იარსება და მასთან ერთად მოქმედებას განაგრძობდნენ მისი შესაფერისი ექსპლოატაციის ფორმები, მათ შორის გადასახადები და საგადასახადო სისტემა, რაც XVIII—XIX ს-ში სულ უფრო აუტანელი ხდებოდა მწარმოებელი მასებისათვის და იწვევდა გლეხთა აჯანყებებს. განსაკუთრებით მძიმე იყო ოსმალების მიერ დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის მდგომარეობა. სხვა უბედურებას იქ ისიც ემატებოდა, რომ ხდებოდა მათი გათურქება, ყოველივე ეროვნულის (ენის, კულტურის) თანდათანობით მივიწყება, სწავლა-განათლების კვდომა. ყოველივე ამის გამო თანამედროვე ეგვიპტელი ისტორიკოსი ამინ საიდი სვამს კითხვას: „რა მოუტანეს თურქმა დამპყრობლებმა არაბებს?“ და თვითონვე პასუხობს, რომ ჯერ ერთი, მათ ნამდვილი ომი გამოუცხადეს არაბულ ენას. ცდილობდნენ მის შეცვლას თურქულით, რომელიც იქცა ოფიციალურ სახელმწიფო ენად, რამაც მომაკვდინებელი გავლენა მოახდინა

---

[94] W. Eton. Ci—devant consul de sa majeste Britanique en Russie et en Turquie. Tableau historique politique et moderne de l'Empire Ottoman, Paris. 1808. t. I. pp. 311—313.

[95] А. С. Тверитинова, Второй трактат Кочибея, стр. 245.

[96] А. Ф. Миллер, Мустафа паша Байрактар, стр. 87.

არაბულ ენასა და ლიტერატურაზე; მეორე, მათ ომი გამოუცხადეს მეცნიერებას, რადგან არ ესმოდათ მისი მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებისათვის. მესამე, ოსმალო თურქებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს არაბული ქვეყნების ეკონომიკას: ჩაკვდა ვაჭრობა, დაეცა სოფლის მეურნეობა, გაღატაკდა მოსახლეობა. მეოთხე, თურქებმა არაბულ ქვეყნებში დანერგეს მექრთამეობა, რამაც გარყვნა ხელისუფალნი. თანამდებობები იყიდებოდა, ფაშები მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ თუ როგორ ამოექაჩათ მოსახლეობიდან, რაც შეიძლება მეტი ფული, რომ გაეგზავნათ სტამბოლში ვაზირებისა და სხვა მაღალი თანამდებობების მოხელეთა მოსაქრთამავად. თუ როგორ ხდებოდა ეს, ამის ნათელსაყოფად ამინ საიდს მოჰყავს ერთი საინტერესო ფაქტი: მარდინის რამდენიმე მცხოვრებმა, რომელთაც გამგებელი მეტისმეტად ავიწროებდა, საჩივარი დაწერა, რომ თანამდებობიდან გადაეყენებინათ იგი. ამ საჩივრით მთელი ქალაქის მოსახლეობა შემოიარეს ხელმოსაწერად და შემდეგ ის სტამბოლს გაგზავნეს. შეიტყო თუ არა ეს ამბავი, გამგებელმა მომჩივნებს უხმო, პატარა სკივრი გახსნა, შეკრებილთა თვალწინ ააბრუყვიალა ოქრო, რომლითაც თითქმის თავამდე იყო სავსე სკივრი და უთხრა: „ეს სკივრი სავსე იყო ოქროთი, მაგრამ გავეცი იგი ამ თანამდებობის მისაღებად. ამის შემდეგ, ბუნებრივია, დავიწყე მისი ავსება ხელახლა, რათა დავიბრუნო ჩემი სიმდიდრე და თანაც დავაგროვო ცოტა მარაგი. როგორც ხედავთ, მე ჩემსას მივაღწიე. სკივრი თითქმის სავსეა, სულ ცოტაღა აკლია, რომ დავკეტო და, როგორც კი გავავსებ, პირობას ვდებ, უსამართლოდ აღარავის მოგექცეთ, აღარ შეგაწუხოთ. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ თუ ისევ იჩივლებთ და მე მომხსნიან ან სხვაგან გადამიყვანენ, ის, ვინც ჩემს ადგილზე მოვა, ასეთსავე სკივრს მოიტანს, რადგან ყოველი თანამდებობისათვის საჭიროა (ფულის) გადახდა. როგორც კი მოვა, ის მაშინვე დაიწყებს ჩემსავით თავისი ხარჯის ანაზღაურებას. ამიტომ ჯობია უარი თქვათ საჩივარზე, ყოველ შემთხვევაში დაფიქრდით და ისე მოიქეცით"[97]. მოტანილი ფაქტი განმარტებას არ საჭიროებს. ოსმალობის ამინ საიდისეულ შეფასებასაც ვერაფერს დავუმატებთ. ოსმალობა ნამდვილად ასეთი იყო ყველგან, განსაკუთრებით კი დაპყრობილ ქვეყნებში, მათ შორის ერაყშიც.

---

[97] Амин Саид, Восстание арабов в XIX веке. М., 1964, стр. 15—17.

ნაწილი მეორე

ერაყის პირველი მამლუქი გამგებლები და ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა მათ დროს (1749—1802 წწ.)

თავი პირველი

ერაყის გაერთიანება XVIII ს-ის დასაწყისში და მამლუქთა გამოჩენა სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე

XVII ს-ის დასასრულს ევროპის სახელმწიფოებთან 1683—1699 წწ. ომში ოსმალეთი დამარცხდა და 1699 წლის 26 იანვარს იძულებული გახდა ხელი მოეწერა მისთვის სამარცხვინო კარლოვიცის საზავო ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმად „საღმრთო ლიგის" წევრ ქვეყნებს (ავსტრია, ვენეცია, რეჩ პოსპოლიტა, რუსეთი) დაუთმო დაპყრობილი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი[1]. ეს იყო თურქეთის სერიოზული წარუმატებლობა, მისი პირველი დანაწილება, რამაც საგრძნობლად იმოქმედა იმპერიის როგორც სამხედრო-პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ მდგომარეობაზე.

ვრცელი ტერიტორიის დაკარგვამ ოსმალებს დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა. თურქი ფეოდალები, რომლებიც ავსტრიის, ვენეციისა და რეჩ პოსპოლიტასათვის გადაცემულ მიწებზე ისხდნენ, იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ თავიანთი საკარგავები. თურქეთმა დაჰკარგა დიდძალი თანხა, რომელიც მას შემოსდიოდა ლენებიდან ხარკის, სხვადასხვა გადასახადისა თუ ძღვნის სახით. მან დაჰკარგა დაახლოებით 32 ათასი ბეომარი, რომლებიც დათ-

[1] Дипломатический словарь, М., 1961, т. II, стр. 30; В. Б. Луцкий, Новая История арабских стран, М., 1966, стр. 24.

.ბობილი ტერიტორიის მოსახლეობას გამოჰყავდა ხოლმე ომის დროს[2]. თურქთა მხედრიონის სასტიკმა მარცხმა „სალმრთო ლიგის“ ევრი ქვეყნების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში ვენასთან (1683 წ.), მოხაჩთან (1687 წ.), ბელგრადთან (1688 წ.), მდ. ტისასთან (1697 წ.) და სხვ. — ერთბაშად დასცა ოსმალეთის იმპერიის ავტორიტეტი. გაქრა მითი მისი უძლეველობის შესახებ. დაიწყო ევროპის ტერიტორიიდან თურქთა უკუქცევის ხანა, რომელმაც დაპყრობილ ხალხებს განთავისუფლების იმედი ჩაუსახა და საბრძოლველად გამოაღვიძა.

მღელვარებამ თავი იჩინა არმიაშიც. დაცარიელებული ხაზინა რეგულარულ ჯარს ჯამაგირს ვეღარ უხდიდა. უგასამრჯელოდ კი იენიჩრები უარს ამბობდნენ სამსახურზე. ტოვებდნენ ბრძოლის ველს, ბრუნდებოდნენ სტამბოლში და ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ჯანყდებოდნენ. მათ მბარს უჭერდნენ უკმაყოფილო ფაშებიც. ცენტრალური ხელისუფლება იმდენად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ 16 წლის განმავლობაში (1687—1703 წწ.) ხუთი სულთანი შეიცვალა ტახტზე.

კიდევ უფრო გაუარესდა ოსმალეთის მდგომარეობა 1714—1718 წლებში ვენეციასთან და ავსტრიასთან ომის შედეგად. ამ ომში დამარცხებული თურქეთი იძულებული შეიქმნა ავსტრიისათვის გადაეცა დაპყრობილი ტერიტორიის ნაწილი. ავსტრიამ მიიღო აგრეთვე რიგი ეკონომიური უპირატესობანი, რომლებიც გზას უხსნიდა მის სავაჭრო კაპიტალს ბალკანეთსა და მახლობელ აღმოსავლეთში. ავსტრიელ ვაჭრებს შეეძლოთ თავისუფალი ვაჭრობა მთელი ოსმალეთის ტერიტორიაზე. ისინი თავისუფალი იყვნენ ყოველგვარი ბაჟებისა და გადასახადებისაგან, რომელსაც იხდიდნენ სხვა ქვეყნების ვაჭრები. ავსტრიამ თურქეთის ყველა ქალაქში, სავაჭრო პუნქტსა და ნავსადგურში ჩააყენა თავისი აგენტები და დიპლომატიური წარმომადგენლები[3].

მიუხედავად მძიმე მარცხისა, ოსმალეთის ხელისუფლება მაინც არ ამბობდა უარს აგრესიულ საგარეო პოლიტიკაზე. იგი მხოლოდ დაპყრობით ომებში ხედავდა ხსნას: რთული საშინაო მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანას, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, ან მათ კომპენსაციას სხვა ტერიტორიების მიტაცების გზით და თავისი შელახული საერთაშორისო ავტორიტეტის აღდგენას.

---

[2] А. Д. Новичев, История Турции, т. I, стр. 186—191.

[3] Австро-турецкий мирный договор от 21/VII. 1718 г. и торговый договор от 27/VII. 1718 г. (Дипломатический словарь, М., 1961. т. II, стр. 558).

ამიტომ, დაუზავდა თუ არა ევროპის სახელმწიფოებს, მან მაშინვე თავისი ყურადღება აღმოსავლეთით მოსაზღვრე ირანისაკენ მიაპყრო და მისი მიწა-წყალის დაპყრობა მოინდომა[4].

ირანთან ომის მზადებას ოსმალეთში ჯერ კიდევ ადრე, XVIII საუკუნის დასაწყისში შეუდგნენ. ცდილობდა რა ერაყის მოსაზღვრე ირანის პროვინციების: აზერბაიჯანის, ლურისტანის, არდალანისა და ხუზისტანის ხელში ჩაგდებას, სულთნის ხელისუფლებამ ოსმალეთის ამ შორეული მხარის (ერაყის) გაძლიერება გადაწყვიტა და ეს საქმე ბაღდადის ფაშას, ჰასანს მიანდო.

ჰასანი წარმოშობით არნაუტი ანუ ალბანელი იყო. ბაღდადის საფაშოს იგი პირველად 1688—1690 წლებში განაგებდა, შემდეგ მონაწილეობდა ავსტრია-თურქეთის ომში, სადაც სახელი გაითქვა სიმამაცითა და სამხედრო ნიჭით. ომის დამთავრების შემდეგ (1699 წ.) სულთანმა მუსტაფა II-მ (1695—1703) იგი სამი ბუნჩუკით დააჯილდოვა და ჯერ ყარამანიის საფაშოს გამგებლად გამწესა, ხოლო 1702 წელს ისევ ბაღდადის საფაშოში დააბრუნა.

ერაყის გაძლიერება ამავე დროს მისი გამგებლის გაძლიერებასაც ნიშნავდა. ეს კი მთლიანად შეესაბამებოდა ბაღდადის საფაშოს ახალი გამგებლის ინტერესებს და ისიც დაუყოვნებლივ, დიდი ენთუზიაზმით, შეუდგა დაკისრებული ამოცანის შესრულებას, ოსმალეთის იმპერიის ამ განაპირა პროვინციის ისე მოწყობას, რომ ირანის წინააღმდეგ თურქეთის საომარი მოქმედების დროს მას ავანგარდის როლის შესრულება შეძლებოდა.

პირველი ღონისძიება, რომლის გატარება ჰასან ფაშამ ამ მიზნით განიზრახა, ეს იყო ერაყის გაერთიანება ერთ პოლიტიკურ ადმინისტრაციულ ერთეულად. როგორც ვიცით, ერაყი მაშინ დაქუცმაცებული იყო რამდენიმე ნაწილად: ბაღდადის, ბასრის, მოსულისა და შაჰრიზურის ეიალეთებად. ამიტომ მან სულთან აჰმედ III-ს (1703—1730) წარუდგინა დასაბუთებული თხოვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ირანთან ომის შემთხვევაში ბაღდადის საფაშო მარტო საკუთარი ძალებით ვერ შეასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას და ვერ დაფარავდა სამხედრო მოქმედებით გამოწვეულ ხარჯებს, თუ არ მოხდებოდა ერაყის გაერთიანება[5].

სტამბოლში არ შეეძლოთ უარის თქმა ჰასან ფაშას ამ თხოვნაზე და იგი დააკმაყოფილეს, თუმცა ნაწილობრივ. ბაღდადის სა-

---

[4] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 349.

[5] იქვე, გვ. 353.

ფაშოს შეუერთეს მხოლოდ ქურთისტანი და მარდინი. რაც შეეხება ერაყის სამხრეთ ნაწილს, — ბასრის ეიალეთს, — ის კვლავ ცალკე დარჩა, მაგრამ არა დიდი ხნით. იქ შექმნილმა დაძაბულმა ვითარებამ, კერძოდ, არაბ ტომთა ანტიოსმალურმა აჯანყებებმა მალე დაარწმუნა სულთანი, რომ საჭირო იყო ეს მხარეც საფაშოსათვის დაექვემდებარებინა.

თურქი ფაშების უხეირო მოქმედების გამო სამხრეთი ერაყი არაბ ტომთა აჯანყებებმა მოიცვა. განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო მუნთაფიქების მღელვარებამ. ბასრის გამგებლის, ხალილ ფაშას ცდა, დაესაჯა და დაეწყნარებინა ისინი, სრული მარცხით დამთავრდა. აჯანყებულებმა 1707 წელს სასტიკად დაამარცხეს ფაშას ჯარი და დაიკავეს ბასრა, თურქეთისათვის დიდმნიშვნელოვანი ნავსადგური და სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი სპარსეთის ყურეში.

აჯანყებულთა მიერ ბასრის დაკავებას, ოსმალეთის მთავრობა, ცხადია, მშვიდად ვერ შეხვდებოდა, რადგან იგი კარგავდა არა მარტო სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქ-ნავსადგურს, არამედ შთელ სამხრეთ ერაყს. ამიტომ ბაღდადის ფაშას ებრძანა, დაუყოვნებლივ მიეღო გადამწყვეტი ზომები ბასრის ეიალეთში აჯანყების ჩასახშობად და იქ წესრიგის აღსადგენად.

1708 წელს ჰასან ფაშამ ჯარი შეაგროვა, მას სათავეში თავისი ქაჰია მუსტაფა აღა ჩაუყენა, სამხრეთ ერაყში გაგზავნა და სულთნის ბრძანება პირნათლად შეასრულა. სანამ მუსტაფა აღა იქ იყო და ბასრის ეიალეთის გამგებლის მოვალეობას ასრულებდა, არც მუნთაფიქებს და არც სხვა ტომებს სიწყნარე არ დაურღვევიათ, მაგრამ როგორც კი მის აღგილზე სულთანმა 1712 წელს ოსმან ფაშა დანიშნა, ანტიოსმალურმა აჯანყებამ ახალი ძალით იფეთქა და მთელ საფაშოს მოედო. ამბოხებულნი კონტროლს უწევდნენ გზებს, თავს ესხმოდნენ ქარავნებს, ძარცვავდნენ მათ და სასტიკად უსწორდებოდნენ თურქ მოხელეებს. სტამბოლიდან გამოგზავნილი გამგებლები ან სრულიად ვეღარ აღწევდნენ ბასრამდე, ანდა სამხრეთ ერაყის დედაქალაქში გამოცხადებისთანავე უხდებოდათ შისი დატოვება[6]. ამიტომ ბასრის ვალის თანამდებობის დაკავების სურვილი აღარავის ჰქონდა, განსაკუთრებით ჰასან იურიუქ ფაშას შემდეგ, რომელიც 1715 წელს სრულიად უძლური აღმოჩნდა ამბოხებული მუნთაფიქების და ბანი ლამის არაბების წინააღმდეგ.

---

[6] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 354.

სამხრეთ ერაყის დაწყნარება ისევ ბაღდადის გამგებელს ჰასან ფაშას დაევალა. მან ამჯერადაც წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას. თითქმის სისხლის დაუღვრელად დააწყნარა ამბოხებულნი და ოსმალეთის მთავრობას სთხოვა, რომ ვინაიდან სტამბოლიდან გამოგზავნილ გამგებლებს სამხრეთ ერაყის მოსახლეობა მტრულად უყურებდა, ბასრის ეიალეთი სამართავად გადაეცა მისი ვაჟის, აჰმედისათვის, რომელიც არა მარტო მორჩილებაში იყოლიებდა ადგილობრივ ტომებს, არამედ პირობას დადებდა, სისტემატურად და დროზე გადაეხადა ხაზინისათვის საფაშოზე შეწერილი ყველა სახის საგადასახადო თანხა.

სულთანს არ უნდოდა ბაღდადის ფაშას თხოვნის დაკმაყოფილება, მაგრამ მდგომარეობამ აიძულა თავისი სურვილის წინააღმდეგ მოქცეულიყო. 1715 წელს მან ბასრის ეიალეთი აჰმედს ჩააბარა[7] და ბაღდადის საფაშოს დაუმორჩილა, რაც ჰასან ფაშას უდიდესი გამარჯვება იყო. ამიერიდან ბასრამ დაჰკარგა ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა. მისი გამგებელი ინიშნებოდა ბაღდადის ფაშას მიერ და იწოდებოდა „მუთასალიმად“ ანუ მოადგილედ. ამის შემდეგ ბაღდადის ფაშა ნიშნავდა აგრეთვე „ქაფუდან ფაშასაც“, რომელსაც აქამდე სულთანი გზავნიდა ბასრაში საზღვაო და სამდინარო ფლოტის უფროსად.

სამხრეთ ერაყის შეერთებით ჰასან ფაშამ დაასრულა ერაყის გაერთიანება, რის შედეგად მისი ხელისუფლების ქვეშ მოექცა ვეებერთელა ტერიტორია, რომელიც გადაჭიმული იყო სპარსეთის ყურიდან მარდინამდე, ხოლო სირიიდან ირანის საზღვრამდე. ბაღდადის ფაშა ამიერიდან თითქმის ყველაზე ძლიერი გახდა ოსმალეთის იმპერიის სხვა პროვინციების გამგებლებთან შედარებით, მის ხელში თავი მოიყარა უზარმაზარმა თანხამ, რომელიც შემოდიოდა როგორც ქვეყნის მოსახლეობაზე გაწერილი გადასახადების, ისე უცხოელთა სავაჭრო საქონელზე დაწესებული ბაჟების სახით. როგორც ცნობილია, ბასრასა და ბაღდადს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა იმ დროს ინდოეთ-ევროპის ვაჭრობაში, რომელიც აღმავლობას განიცდიდა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ღონისძიება, რომელიც ჰასან ფაშამ გაერთიანებულ ერაყში თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად გაატარა, ეს იყო ადგილობრივი ტომების და-

---

[7] C. Niebuhr, Reise beschreibung nach Arabien und andern umliegenden Ländern, Kopenhagen, 1778, Bd. II, S. 212; Л. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 354.

მორჩილება, რისთვისაც მან გამოიყენა სხვადასხვა ხერხი და საშუალება, დაწყებული ყველაზე მოუსვენარი ტომების წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიციების გაგზავნით, დამთავრებული მოსყიდვადასაჩუქრებით. მან პირველმა შესძლო წარმატებით გამოყენება არაბთა მიმართ პრინციპისა, „დაანაწილე და იბატონე", რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო იმ მხარეში ოსმალთა პოლიტიკას. ჰასან ფაშა ამა თუ იმ ტომის განკარგულებაში მყოფ სახელმწიფო მიწას ჩამოართმევდა მის მფლობელს და გადასცემდა მეორეს, ის მხარს უჭერდა ერთი რომელიმე ძლიერი ტომის შეიხის პატივმოყვარე ნათესავს, რომელსაც შეიხად გახდომა უნდოდა, და ამით მტრულ ატმოსფეროს ქმნიდა თვით ტომში ამ უკანასკნელის დასუსტების მიზნით; ბოლოს იგი საპატიო წოდებებსა და ფულად საჩუქრებს არ აკლებდა იმ შეიხებს, რომელთა მხარდაჭერა აუცილებლად სჭირდებოდა მას მტრულად განწყობილი მეამბოხე ტომის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ გზით ბაღდადის ფაშამ არათუ შეძლო არაბ ტომთა დამორჩილება, არამედ მოიპოვა მათზე განსაკუთრებული ძალა-უფლება და აქცია ისინი მისი ინტერესების დამცველ ადგილობრივ იარაღად. მან ეს მდგომარეობა კიდევ უფრო განამტკიცა იმით, რომ თავისი ვაჟი აჰმედი სამხრეთ ერაყის ერთ-ერთი ძლიერი ტომის შეიხის, ჰილლას ამირას ქალიშვილზე დააქორწინა და არაბებს დაუმოყვრდა[8].

ბაღდადის საფაშოში მთელი ერაყის გაერთიანებისა და არაბ ტომებზე მისი ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ ჰასან ფაშას ყველაზე მეტ საზრუნავს იენიჩარების თვითნებობის ალაგმვა და მათი დამორჩილება შეადგენდა.

სულთან მურადის დროს (1361—1363 წწ.) შექმნილი[9] ეს „პროფესიული მუდმივი ჯარი", რომელიც საუკუნეების მანძილზე ოსმალეთის შეიარაღებულ ძალთა დიდებას წარმოადგენდა, XVIII საუკუნის დამდეგისათვის ისე გამოიცვალა თავისი ბუნებით (რა თქმა უნდა, მასში მომხდარი სერიოზული ცვლილებების გამო)[10], რომ ხელისუფლებისათვის საშიშ ძალად, ანუ როგორ კ. მარქსი

---

[8] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 353.

[9] სხვა მოსაზრებით, იენიჩრების ჯარის ფუძემდებლად მიჩნეულია ოსმან I-ის ვაჟი ორხანი (1324—1359) (А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 350).

[10] იენიჩრების ბუნებასა და სამხედრო ორგანიზაციაზე უარყოფითი გავლენა მოახდინეს შემდეგმა მიზეზებმა: 1. ოსმალეთის დაპყრობითი ომების ციკლის დამთავრებამ, ნადაელის შეწყვეტამ და ხაზინის დაცარიელებამ, რის გამოც ხელისუფლებას აღარ შეეძლო სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი იენიჩრებისათვის ჯამაგირის დროულად

და ფ. ენგელსი აღნიშნავდნენ, „ოსმალეთის იმპერიის შავ ჭირად"[11] იქცა და თავისი თვითნებობით (განუწყვეტელი აჯანყებებით) მოსვენებას აღარ აძლევდა არც სულთანს და არც მისი ინტერესების დამცველ პროვინციების გამგებელ ფაშებს.

ამ გარემოებას თავიდანვე მიაქცია ყურადღება ჰასან ფაშამ და საჯანადო ზომებიც მიიღო მის გამოსასწორებლად. დიდი ვაზირის ნებართვით და მის მიერვე გამოყოფილი დიდი თანხით, მან შეადგინა ახალი ცხენოსანი სამხედრო რეგულარული ჯარი „ლევენდა"[12], რომელიც ძირითადად დაკომპლექტებული იყო ქურთებითა და ლურებით[13], და მკვეთრად უპირისპირდებოდა იენიჩარებს. ამ უკანასკნელთა დასაპირისპირებლად და თავისი ძალაუფლების გასაძლიერებლად გაიჩინა ჰასან ფაშამ აგრეთვე „პირადი გვარდია", რომელიც „ლევენდასა" და სხვა ირეგულარულ ლაშქართან ერთად ისეთ სერიოზულ ძალას წარმოადგენდა, რომ თავისუფლად შეეძლო გასწორებოდა იენიჩარების გარნიზონებს. მართლაც, ამ უკანასკნელებმა მალე მოიხარეს ქედი, გახდნენ ბაღდადის ფაშას ნება-სურვილის შემსრულებლები[14].

მიკვლა: 2. ბერად I-ის დროიდანვე დაკანონებული იენიჩრების შერჩევისა და მათი სამხედრო რაზმების დაკომპლექტების წესების შეცვლა, რაც ძირითადად იმაში გამოიხატა, რომ თუ ადრე იენიჩრებად ღებულობდნენ მხოლოდ ქრისტიანული წარმოშობის ბავშვებს, რომლებსაც ოსმალეთში არც მშობლები გაჩნდათ, არც ნათესავები და სახლ-კარი, არც ცოლშვილის მოკიდების უფლება ჰქონდათ და იძულებული ყოფნენ ეცხოვრათ მხოლოდ თავიანთი სამხედრო ხელობით და ყოფილიყვნენ სამხედრო „კერის" (აჟაკის) უსაზღვრო ერთგულნი, შემდეგ სურათი არსებითად შეიცვალა. იენიჩრებს უფლება მიეცათ დაცოლშვილებისა, ხოლო მათ შვილებს— იენიჩრებად გახდომისა. გარდა ამისა, იენიჩრად გახდომის უფლება მიეცა ყველას. თანაც სავალდებულო აღარ იყო ბანაკში ყოფნა და სამსახური. ასეთ პირობებში ბევრმა მიაკუდა იენიჩართა რიგებს. მათ სიებში ხალისით ეწერებოდნენ მდიდრებიც (რომლებიც ამით უზრუნველყოფდნენ თავიანთი ქონების ხელუხლებლობას), ხელისუფლებისადმი უკმაყოფილო ელემენტებიც და დამნაშავეენიც სასჯელის თავიდან ასაცდენად. რადგან იცოდნენ, რომ იენიჩარის დასჯა მხოლოდ მის უფროსს, იენიჩარების აღას შეეძლო. ამ ცვლილებებმა ააჩქარა იენიჩართა რიგები, მოშალა დისციპლინა, ბრძოლისუნარიანობა და ისინი დაემსგავსნენ ბრბოს, რომელსაც თავისუფლად იყენებდნენ მათ რიგებში შეპარული უკმაყოფილო პირები ხელისუფლების წინააღმდეგ.

[11] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. IX, стр. 374.

[12] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 352.

[13] S. H. Longrigg, Four Centuries of Modern Iraq, Oxford, 1925, p. 354.

[14] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 352, 355.

„პირადი გვარდია“, რომლის ჩამოყალიბება ერაყში უშუალოდ ჰასან ფაშას სახელთანაა დაკავშირებული, შედგებოდა უცხო ტომის შვილების, უმთავრესად კავკასიელების, კერძოდ კი ქართველებისა და აფხაზებისაგან[13].

* * *

ქართველი ხალხის შვილები შორეულ ბაღდადში არც თავიანთი სურვილით მისულან და არც კარგი ცხოვრების გამო. მათ სამშობლოს გარეთ ერეკებოდა ის ბედუკუღმართობა, რომელიც ქვეყნის ჟამთა სიავით იყო გამოწვეული.

საქართველოს დასაპყრობად და მისი ხალხის დასამორჩილებლად უხსოვარი დროიდან მოყოლებული XIX ს-მდე ერთმანეთს ცვლიდნენ და ეცილებოდნენ რომაელები, ბიზანტიელები, სპარსელები, არაბები, სელჩუკი თურქები, ხვარაზმელები, მონღოლები, თურქმენები, ოსმალები და ყიზილბაშები. მომხდურთა მრავალრიცხოვანი ურდოების გამუდმებული შემოსევა ქვეყანას მოსვენება-მომძლავრების საშუალებას არ აძლევდა. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ჩვენში XVI—XVIII საუკუნეებში, როცა ცალკე სამეფო-სამთავროებად საბოლოოდ დაშლილი საქართველო ოსმალური თურქეთის და ყიზილბაშური ირანის საცილობელ ქვეყნად, მათი დაპყრობის უშუალო ობიექტად იქცა. ეს ორი სახელმწიფო სამი საუკუნის მანძილზე იყოფდა საქართველოს მიწა-წყალს. 300 წლის განმავლობაში იპყრობდა ამ ქვეყანას და მის დასამორჩილებლად ფართოდ იყენებდა დათრგუნვის ყველა ფორმას: ომებს, მოსახლეობის აყრა-გადასახლებასა და მათ ადგილზე ნომადი ტომების ჩამოსახლებას, თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის — „ოსმალობა“-„ყიზილბაშობის“ დამკვიდრებას და ყველაფერზე უზომო გადასახადების დადებას. ვერც ერთმა დამპყრობელმა ქართველობის მოსპობა, ქართველთა

---

[13] عبّاس العزّاوى ، تاريخ العرق ، بغداد — ١٣٧٣ ، ج — ٦ ، ص — ٢٢
S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 164; Сборник сочинений Р. А. Фадеева, СПб., 1889, т. III, ч. I. стр. II; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 355. ამ ავტორებისაგან განსხვავებით ფილიპ ჰიტი აღნიშნავს: „ისინი ჩერქეზები იყვნენო“ (Philip K. Hitti, History of the Arabs from the earliest times to the present, London, 1961, p. 738), მაგრამ ეს სიმართლეს არ ასახავს.

ასიმილაცია და მათ ქვეყანაში დამკვიდრება ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, თავიანთი ავაზაკური მოქმედებით, საუკუნეთა მანძილზე რომ გრძელდებოდა, იმას მაინც მიაღწიეს, რომ ქვეყანა უკიდურესობამდე დაასუსტეს და მის მომძლავრებას შემდეგ საუკუნეები დასჭირდა.

ჩვენს წინაპართ ძვირად უღირდა თითოეული ომის გადატანა. ყოველწლიურად ათასობით ვაჟკაცი იღუპებოდა ბრძოლაში ან ტყვედ ვარდებოდა. ქვეყანა კნინდებოდა და მოსახლეობა სწრაფად მცირდებოდა. ცენტრალური ხელისუფლება თანდათან სუსტდებოდა და ამიტომაც სულ უფრო ძლიერდებოდა ფეოდალური აღვირახსნილობა, ქიშპი, შინაომები და ცენტრიდანული ტენდენცია, რამაც საქართველო „პოლიტიკურ დაჩიხულობამდე" მიიყვანა და მტერს საქმე საგრძნობლად გაუადვილა[16].

ეარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ქვეყნის ეკონომიკა. ყველა შრომისა და ბრძოლისუნარიანი, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, ლაშქარში იყო[17]. სოფლად თუ ქალაქად დარჩენილი იყვნენ მხოლოდ ქალები, მცირეწლოვნები და ღრმა მოხუცები, რომლებიც ბალ-ვენახებისა და სახნავ-სათესი ადგილების მოვლა-დამუშავებას ვერ ასწრებდნენ, ხოლო რის დამუშავებასაც ახერხებდნენ, ისიც უმეტეს შემთხვევაში ბრძოლების დროს ნადგურდებოდა, ან მტერს მიჰქონდა და ქვეყანაც თანდათანობით იმშეოდა. ამ პროცესს ომების გარდა ხელს უწყობდა და აჩქარებდა „ოსმალობა"-„ყიზილბაშობა", მძიმე საგადასახადო სისტემა და უზომო ხარკი. დამპყრობლები პირველი წარმატებისთანავე შეუდგებოდნენ ხოლმე დამარცხებულის ტერიტორიის აზომვა-აღწერას და საგადასახადო წიგნების შედგენას. ასე აღწერეს ოსმალებმა ჯერ სამცხე-საათაბაგო (1695 წელს) და შეადგინეს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", ხოლო შემდეგ (1725 წელს) — ქართლიც: „ოს-

---

[16] „საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავლით გაყოფილი და ერთმანეთის ურჩნი და ქიშპნი მტერნი, ერთმანეთის მარბევნი და მაწყინარნი. ამისათვის იქით ურუმნი არბევდეს და აქეთ ყიზილბაშნი"-ო, ამბობს ფარსადან გორგიჯანიძე (ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, ტფილისი, 1925, წიგნი II, გვ. 7).

[17] იტალიელი მისიონერი ლამბერტი აღნიშნავს, რომ ლაშქრობაში არასრულწლოვნებიც მონაწილეობდნენ: „მშობლებს სულ პატარებიც დაჰყავდათ ლაშქრობაში... ბავშვები ისე ატარებენ იარაღს, ეკავით ხელში ფარი და ხმარობენ შვილდსა, თითქოს დაბადებიდან შეჩვეულნი იყვნენ ბრძოლას" (არჩანჯელო ლამბერტი, სამგზავრელის აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი, თბ., 1938, გამოც. II, გვ. 86)

მალებმა აღწერეს ქართლი სრულიად და დასდეს ხარკი კაცსა სულზედ დრაჰკანი (50 კაპ.), ცხვარზედ ორი შაური, ძროხაზედ აბაზი, კამეჩსა და ცხენზედ ექვსი შაური, მოსავალსა ზედა ხუთისთავი ხილითურთ"[18].

ასეთივე გადასახადებით იყო დამძიმებული დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაც. ოსმალთა სასარგებლოდ იმერეთს წელიწადში უნდა გაეღო 10-იდან 20 წლის ასაკის 80 ქალიშვილი და ჭაბუკი, გურიას —46, სამეგრელოს —70 000 საყენი ადგილობრივი წარმოების ტილო[19]. სამ წელიწადში ერთხელ ერთ სახალათე ტილოს ან 20 კაპიკს იხდიდა იმერეთის თითოეული კომლი[20]. ჰამერის გამოანგარიშებით, გადასახადის საერთო ოდენობა, რომელსაც იმერეთი ოსმალეთს უხდიდა, შეადგენდა 300 ქისას ანუ 90 000 მანეთს[21].

მიტაცებული ადგილების აღწერა-დაბეგვრაში ოსმალებს არც ყიზილბაშები ჩამოუვარდებოდნენ. ოსმალთა მსგავსად მათაც მოარბიეს და აღწერეს 1569 წელს თბილისი და ქვემო ქართლი, ხოლო 1741 წელს კი მთელი ქართლ-კახეთი, და დაადვეს უზომო გადასახადი, რასაც ამბის მომსწრე ასე აგვიწერს: „...ჰოვიდა მუძეიზი, რომელ არს მწერალი ქვეყნისა, აღწერად ქართლისა, ესრეთ იყო აღწერა, რაც ძველათ ნასოფლარი სადმე იყო ყველგან ზომეს მიწები საბლით (და) ხრეკი (ხარკი) დასდევს. აგრეთვე ამ სახით შენობა სადმე იყო დიდი ხრეკი (ხარკი) დასდვეს, ვითარც ერანის ქვეყანაში, მომცემი მიწა არის და ბევრი გამოსავალი აქვს, ამ ქვეყანას განუწესეს. თვალეს ვაზები ეგრე... რასაცა მიხვდნენ.

---

[18] ქართლის ცხოვრება, დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდე, ჩუბინაშვილის გამოცემა, სანკტ-პეტ. 1854, წიგნი II, გვ. 86; ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1944, ნაკვ. I, გვ. 178—179.

[19] И. А. Сливицкий, Шарден и его путешестве по Грузии, Тифлис, 1849, стр. 9; ქართულ თარგმანში საყენის მაგიერ წერია არშინი, იხ. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 204 (შემდეგ მოკლედ: შარდენი, მოგზაურობა).

[20] Ал. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии, СПб., 1891, т. I, док. 14—15.

[21] შ. ბურჯანაძე, სოლომონ I (საკანდ. დისერტაცია) 1948, გვ. 24, ხელნაწერი.

ვაზს ერთი ბისტი დასდევს. სოფელსა და ბაღსა შინა რაც ხე ნახეს, თითო შაური დასდვეს, კაცს ორი შინალთუნი, ყმაწვილსა ასაკოვანსა ხუთი აბაზი და შემდგომი ამისი ათს წლამდის ხარჯი დასწერეს, ყმაწვილზე პირუტყვზე ყოველსა ზედა განაწესეს, ბოსტანსა, წისქვილსა, ყოველისფერს შენობას ანუ ოხერს ადგილს, ასეთი ხარჯი დასდვეს, რომ ყოვლის კაცისაგან დიდად შეუძლებელი იყო... ბევრ-ჯელ ვნახეთ ბალახის კურკასა გახმობდიან, დაფქვიდნენ და იმას ჭამდნენ"[22]. და სწორედ ასეთ დროს (1741—2 წელს) ნადირ შაჰმა 60 000 მინალთუნის (მინალთუნი დაახლოებით ერთ მანეთს უდრიდა) ხარკის ანგარიშში ქართლს 3 მილიონი ლიტრა პურის გადახდა მოსთხოვა. ეს პური კი მაშინ ბაზარზე სულ მცირე 300 ათასი მანეთი მაინც ღირდა[23].

დამპყრობლის მიერ დაწესებული ასეთი დიდი გადასახადი, რომელსაც ადგილობრივ მებატონეთა უზომო ექსპლოატაციაც ემატებოდა, ქართველ გლეხს საარსებო საშუალებას უსპობდა, წელში სწყვეტდა და სასოწარკვეთილებაში აგდებდა: „ღარიბები თითქმის შიშველ-ტიტველი დადიან. მათი სიღატაკე უმაგალითოა, უმრავლესობას მხოლოდ სრულიად უვარგისი ქეჩა თუ მოეპოვება და ამით იფარავს ტანს... ადამიანი, რომელსაც პერანგი და შარვალი აქვს, მდიდრად ითვლება, თითქმის ყველა ფეხშიშველია"-ო ამბობს ჟ. შარდენი[24]. ამიტომ უსასოო გლეხი ხშირად ბრძოლის პასიურ ფორმას მიმართავდა, თავს ანებებდა მეურნეობას, ბაღ-ვენახებს საკუთარი ხელით ჭაფავდა, აოხრებდა[25], იყრებოდა და გარბოდა ქართლიდან კახეთში, იმერეთიდან ქართლ-კახეთში, სამეგრელოდან აფხაზეთში ან კიდევ შორსაც, უცხოეთში, მახლობელ თუ შორეულ ქვეყნებში. „მრავალი სული აიყარა ამა ქვეყნით და უცხოთა ალაგთა გარდაიხვეწა"[26], რაშიც ოსმალობისა და ყიზილბაშობის გარდა მეტად დიდი როლი შეასრულა „ლეკიანობამ" — დაღესტნელთა უსასრულო თავდასხმებმა.

მაგრამ, XVIII ს-ის საქართველოს უბედურება მარტო ამით როდი ამოიწურებოდა. ოსმალებისა და ყიზილბაშების ბატონობის დასაწყისიდან ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთი საზარელი სენი

---

[22] პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება (ჩუბინაშვილის გამოცემა) გვ. 345; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 198—199.

[23] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 200—201.

[24] შარდენის მოგზაურობა, გვ. 119.

[25] პაპუნა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 345.

[26] იქვე, გვ. 59.

დასჩემდა. ეს იყო „ტყვის სყიდვა“[27], რომლის გავრცელებას ხელს უწყობდნენ მოსახლეობის გაბატონებული ფენები, გაბოროტებული თავადები, გაღატაკებული და ამ ნიადაგზე გააბრაგებული აზნაურიშვილები, ეკლესიის მსახურნი, პირველყოფილობაში — „ისტორიის მიღმა“... ჩარჩენილი ან ამ პირველყოფილობას დაბრუნებული „მარად ავის მოხარული (ბარის მიმართ) მთა... ტყვის მყიდველები, იესირჯები, თულები, ლეკები და ყველა ამათი მფარველი და წამქეზებელი ყიზილბაშური ირანი და ოსმალური თურქეთი“[28]. ფეოდალური საზოგადოების აშკარა დეგრადაციის მანიშნებელი ეს მძიმე მოვლენა აშკარა განადგურებას უქადდა მოსახლეობას. ყოველწლობით ათასობით რჩეული ქართველი ქალი თუ კაცი ტყვის მყიდველებს უცხოეთში, უმთავრესად ოსმალეთსა და ირანში, მიჰყავდათ: „მართლაც თითქმის ყოველდღე დაინახავდით კონსტანტინეპოლში, რომ შავი ზღვიდ მემოდიოდა მრავალი გემი, დატვირთული ქრისტიანი ტყვეებით. განსაკუთრებული დროშებით იცნობდნენ ხოლმე, რომ ამ გემებით ტყვეები მოყავდათ“[29]. თუ რაოდენ გავრცელებული და საშიში იყო ეს სენი ჩვენში, ჩანს უცხოელი დამკვირვებლის ერთი ცნობიდანაც, სა-

---

[27] თუ რაოდენ სჭირდა ეს ავი სენი საქართველოს, ჩანს დამკვირვებელთა ჩანაწერებიდან: „აფხაზები, გურულები და ფოთელები ხელიდან არ უშვებდნენ შემთხვევას, მოეტაცათ სოფლის ორივე სქესის ბავშვები და თურქეთში გაეყიდათ“ (Н. Дубровин, Закавказье от 1803—1806 года, СПб., 1866, стр. 141). „მეგრელები დიდი სიამოვნებით ჰყიდიან ტყვეებს, რადგან ერთ ტყვეში იღებენ ყველიმ საკონელს, რაც ოჯახში ეჭირვებათ... რა სამწუხარო სანახავია, როცა ქრისტიან პატრონებს მიჰყავთ ასოდე ქრისტიანი ბიჭი თურქებზე გასაყიდათ“ (არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 158). ასეთივე იყო მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოშიც. იქაც იყო „ტირილი და ვაება ტყვეთაგან“ (პაპუნა ორბელიანი, დასახ. თხზულება, გვ. 347). „შეერიათ ქართველთაცა ყიდვა და იცვალებოდიცა ქ�ეა-ზნენი ქართლისანი და იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წესითა“ (ქართლის ცხოვრება, დასახ. გამოცემა, ნაწ. II, გვ. 67). „მთელი კავკასია ერთიან ტყვეთა ბაზარს წარმოადგენდა“ (Собрание сочинений Р. А. Фадеева, т. I, ч. I, стр. 11).

[28] ნ ბ ე რ ქ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, თბ., 1954, № 6, გვ. 130. „თურქები ისეთ ერთგულებას იჩენენ ამ საქმეში (ე. ი. ტყვის სყიდვაში—ბ. ს.), რომ არ ზოგავენ არც ჯაფას და არც ფულს, ოღონდ კი შეიძინონ ტყვეები. მართლაც მათ მიჰყავთ მრავალი ტყვე არა მარტო სამეგრელოდან, არამედ ჩერქეზეთიდან, აფხაზეთიდან, ალანეთიდან, ჯიქეთიდან:...შედიან რუსეთში და პოლონეთში“ (არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 162).

[29] არქანჯელო ლამბერტი, დასახ. თხზულება, გვ. 162.

დაც ნათქვამია, რომ „მარტო სამეგრელოდან ყოველ წელს გასაყიდად ან გასაცვლელად 12 000 კაცი გაჰყავდათ“-ო[30]. ასე იცლებოდა საქართველო ქართველებისაგან[31], რის გამოც შეშფოთებული თანამედროვე ოხვრით ამბობს: „აღარ დარჩა კაცი ქვეყნად. ურუმის ქვეყანა ქართლის კაცით აივსოო“[32]. თურქები, როგორც კი შეიძენდნენ ქრისტიან ტყვეებს, უმთავრესად ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს, „მაშინვე თურქულად ჩააცმევდნენ და ნიშნად... მათი სჯულის მიღებისა, ააწევინებდნენ საჩვენებელ თითს, უარს ათქმევინებდნენ ქრისტეს სჯულზე და ასწავლიდნენ თურქთა სჯულის წესსა და რიგს“. ამას ჩადიოდნენ ისინი ქრიტიანთა ქვეყანაში, ვიდრე ტყვეებს მაჰმადიანურ ქვეყნებში წაიყვანდნენ[33].

უცხოეთში ტყვედ წაყვანილ, გაყიდულ თუ თავისით გარდახვეწილ[34] აურაცხელ ქართველთაგან მხოლოდ ზოგიერთს თუ ხვდებოდა წილად სამშობლოში დაბრუნების ბედნიერება, თორემ სამუდამოდ იქ რჩებოდნენ და, ჩვეულებრივ, სულთნების, შაჰების, ბეგლარბეგების, ფაშებისა და ბეგების შეიარაღებულ რაზმებს თუ ჰარამბაანებს ამშვენებდნენ. იქ იწყებოდა მათი მეორე, ნამდვილად მძიმე, მონური ცხოვრება, თუმცა დღევანდელი მონა ხვალ შეიძლება სხვისი ბატონი და ქვეყნის პატრონიც გამხდარიყო, რადგან მისი წოდებრივ-უფლებრივი თუ თანამდებობრივი მდგომარეობა ბევრად იყო დამოკიდებული მისსავე პირად ღირსებებზე: ჭკუა-გონებაზე, ერთგულ სამსახურზე, თავდადებაზე. ამიტომ ოსმალეთში და ირანში მოხვედრილი ქართველების მეტი წილი ამ ღირსებების წყალობით სწრაფად აღწევდა თავს მონურ მდგომარეობას, წინაურდებოდა და ბევრი მათგანი მსხვილი ფეოდალი, ბეგი, ბეგლარბეგი, ფაშა ხდებოდა. სწორედ ამ გარემოებას უსვამს

---

[30] შარდენის მოგზაურობა, გვ. 123.

[31] XVIII ს-ის II ნახევარში იმერეთში აღარ იყო აღარც ქალაქი და აღარც სოფელი, რომლებიც ამ სახელის ღირსნი ყოფილიყვნენო — აღნიშნავს იმ ხანად ჩვენში მყოფი ბაკობ რაინეგსი (მ. დ უ მ ბ ა ძ ე, რუსი ანონიმი მე-18 ს. II ნახევრის საქართველოს შესახებ, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, თბ., 1963. ნაკე. 35, გვ. 169). გაპარტახდა აღმოსავლეთ საქართველოც: „აღარ დამთა მსახლობელნი მეხრანს, ქართლს, საციციანოს და ადგილ საბარათიანოს სომხითსაც თკნიერ სიმაგრეთა“ — ამბობს ეახუშტი (ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, მასალები საქ. და კავ. ისტორიისათვის, გვ. 178).

[32] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. თხზულება, გვ. 347.

[33] ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 158.

[34] Шарль Исави, Египет в середине XX века, М., 1958, стр. 33.

ხაზს „ქალმასობის“ ავტორი, როცა ამბობს: „ისხდნენ კუალად ქახეთიდამ და იმერეთიდან დაკარგულნი ტყვეები ბეგებად და ქაშიფებად (მმართველებად — ბ. ს.). მისრში მთლად ბეგებად ქართველნი არიანო“[35]

ქართველი ტყვეები არა მარტო ეგვიპტეში მიჰყავდათ, არამედ უწყვეტ ნაკადად მივდინებოდნენ ირანსა და ოსმალეთში, სადაც ყველაზე ძვირად ჰყიდნენ.

ბაღდადში, ბასრასა თუ მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქალაქების ტყვეთა ბაზრებზე გასაყიდად მიყვანილ ქართველებს და სხვა ერის შვილებს დიდი რაოდენობით იძენდა ჰასან ფაშა, აგზავნიდა მის მიერვე ბაღდადში გახსნილ სასწავლებელში და სათანადო აღზრდა-განათლების მიღების შემდეგ რიცხავდა თავისი რჩეული სამხედრო რაზმის „პირადი გვარდიის“ რიგებში. ასე და ასეთი აუცილებლობით გაჩნდა ქართველთა თავშესაყარი ერაყის დედაქალაქში XVIII ს-ის დასაწყისში. ასე ჩაისახა და შემდეგ თანდათანობით გაიზარდა ბაღდადის საფაშოს გამგებლის კარზე ბირთვი ქულემენებისა ანუ მამლუქებისა.

მამლუკი სპეციალურ ლიტერატურაში და ლექსიკონებში სხვადასხვანაირადაა განმარტებული: მამლუკი — „თეთრი მონა“[36]; „თეთრი მონა (ჩვეულებრივ კავკასიური წარმოშობისა), დაქირავებული ჯარის მეომარი“[37]; „მონა (ჩერქეზული ტომისა)“[38], „სამხედრო სამსახურში მყოფი ტყვე მონა“[39]; „ჩერქეზი და შუა აზიელი მონები“[40] და სხვ. მაგრამ არც ერთი ეს განმარტება არაა ზუსტი. მამლუქების გათანაბრება მონებთან შეცდომაა. არც ის არის სწორი, თითქოს ისინი დაქირავებული მეომრები იყვნენ და მხოლოდ კავკასიელებისა და შუა აზიელებისაგან შედგებოდნენ.

---

[35] იოანე ბატონიშვილი, ქალმასობა, თბ., 1895, გვ. 38. ეგვიპტეში მოხვედრილ ქართველთა შესახებ იხ. აგრეთვე „ამდ არ-რაჰმან ალ-ჯაბართი, „'აჯაბ ალ-ასარ ფი-თარაჯიმ-ალ-'ახბარ“, ბულაკი, 1297 (1880), ტ. 1—4; ს. ლუზინიანი, ოსმალეთის პორტას წინააღმდეგ ალი ბეის აჯანყების ისტორია, ინგლისური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ბ. სილაგაძემ, თბ., 1973; К. Ф. Волней, Путешествие в Сирию и Египет, СПб., 1791; გ. ავალიშვილი, მოგზაურობა თბილისიდან იერუსალიმამდე, თბ., 1967; დ. ჯანელიძე, ქართველი მამლუქები ეგვიპტეში, თბ., 1967; Вл. Мачарадзе, Из истории русско-грузинско-египетского-этнолеских отношений в 80-х годов XVIII века, Тб., 1967.

[36] Х. К. Баранов Арабско-русский словарь, М., 1957.

[37] А. Ф. Миллер, Мустафа паша Байрактар, М.-Л., 1947, стр. 494.

[38] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 354.

[39] К. Ф. Волней, Путешествие в Сирию и Египет, т I, стр. 151.

[40] Ш. Исави, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

მამლუქებს ჰქონდათ ისეთი უფლებები, როგორსაც მონები მოკლებული იყვნენ. კერძოდ, თუ მამლუქს პატრონი არ მოეწონებოდა, შეეძლო მოეთხოვა საკუთარი თავის გაყიდვა და მფლობელის გამოცვლა. მონად შეიძლებოდა ყოფილიყო ყველა ეროვნების, რასისა და რჯულის წარმომადგენელი, მამლუქად კი როგორც წესი, არა მუსლიმი, თეთრკანიანი უცხოელი.

მონებისაგან განსხვავებით, გარკვეული რაოდენობა მამლუქებისა თავისი ნებით იყო მისული ეგვიპტეში, ერაყსა და სირიაში[41].

ეთნიკურად მამლუქთა რიგები ჭრელი იყო. იქ იყვნენ არა მარტო კავკასიელები, არამედ რუსები, პოლონელები, უნგრელები, ესპანელები, გერმანელები და სხვები. ისინი, მართალია, სამხედრო რაზმებში იყვნენ გაერთიანებული, მაგრამ გასამრჯელოს (ქირას) არ იღებდნენ, პატრონის პირად კუთვნილებას წარმოადგენდნენ, მის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ და ამიტომ დაქირავებულ მეომრებად ვერ მივიჩნევთ. ვინ იყო მამლუქი? — შეძენილი, არამუსლიმური სარწმუნოების უცხოელი თეთრკანიანი, რომელიც მაჰმადიანურ სამყაროში მოხვედრისთანავე მუსლიმდებოდა, თავისი პატრონის შეიარაღებულ რაზმში ირიცხებოდა, მისი ნება-სურვილის შესაბამისად მოქმედებდა და ერთგული სამსახურით შეიძლებოდა თავი დაეღწია უუფლებო მდგომარეობიდან, საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი გამხდარიყო. განთავისუფლებული და სრულუფლებიანი უკვე მამლუქი კი აღარ იყო, არამედ მამლუქთა წრიდან გამოსული ანუ ყოფილი მამლუქი.

თავიანთი ნიჭის, ერთგული სამსახურისა და მხედრული შემართების მეოხებით ქართველი მამლუქები სწრაფად დაწინაურდნენ, სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდნენ და ზოგიერთმა ერაყის გამგებლის თანამდებობამდეც მიაღწია. ეს პროცესი საგრძნობლად დააჩქარა 1723 წელს დაწყებულმა ირან-ოსმალეთის ომმა, რომელმაც 23 წელიწადს გასტანა და ერაყის მთელი ძალების დაძაბვა მოითხოვა.

პირველი მამლუქი, ვინც ამ ომში თავი ისახელა და მისი დამთავრების (1746 წ.) შემდეგ ერაყის გამგებელი გახდა, იყო სულეიმან აღა.

სულეიმან აღა, ტომით ქართველი[42], დაბადებული უნდა იყოს 1694[43] ან 1696 წელს[44], ღარიბი გლეხის ოჯახში. ის 12 წლის ყო-

---

[41] Subhi Wihida, Fi usul al-masala al-Misriya, Cairo, 1951, გვ. 58—65; Ш. Исави, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

[42] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 371; S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 165. ფ. ჰიტის მოსაზრებით სულეიმანი ჩერქეზი იყო (P. K. Hitti, დასახ. ნაშრომი, გვ. 738) მაგრამ ეს არც ერთი წყაროს ცნობით არ დასტურდება.

[43] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

[44] تاريخ واصف ، ج—١، ص—١٣٦. ავმედ ვასიფის ამ ცნობით სარგებლობს ჰამერი, მაკრამ სულეიმანის დაბადების თარიღად 1696 წლის ნაცვლად

ფილა, როცა ოსმალეთში წაუყვანიათ და ერაყის გამგებლისათვის მიუყიდიათ. თურქი ისტორიკოსების — ვასიფისა და მეჰმედ სურეიას ცნობით, ბაღდადში მიყვანილი პატარა სულეიმანი აჰმედ ფაშას შეუძენია[45]. მაგრამ არსებობს ცნობა, რომლის მიხედვით სულეიმანი იყიდა არა აჰმედმა, არამედ მამამისმა ჰასანმა[46]. ჩვენი აზრით, ეს ცნობა უფრო სანდო უნდა იყოს, რადგან 1696 წელს დაბადებული ბავშვი 12 წლის იქნებოდა 1708 წელს. ამ დროს კი ბაღდადის ეიალეთს ჰასან ფაშა განაგებდა. რაც შეეხება აჰმედს, ის ამ ადმინისტრაციულ ერთეულს მართავდა მამის გარდაცვალების შემდეგ, 1723—1747 წლებში.

სულეიმანი პატრონს სასწავლებელში მიუბარებია და, როგორც ს. ლონგრიგი აღნიშნავს, შესაფერისი განათლება მიუცია[47]. შემდეგ მოსამსახურედ აუყვანია სასახლეში, მაგრამ თავისი ნიჭისა და ენერგიის წყალობით იგი დიდხანს არ დარჩენილა უბრალო ბიჭად. მამაცობითა და უანგარო ერთგულებით სულეიმანს თავიდანვე მიუპყრია ფაშას ყურადღება. არსებობს ცნობა, რომ ერთხელ სანადიროდ წასულ აჰმედს ლომი დასდევნებია და იგი მხეცის მსხვერპლი გახდებოდა, სულეიმანს რომ არ გადაერჩინა. რუსი მკვლევარი ა. ადამოვი აღნიშნავს, რომ ამ თავგანწირული მოქმედებისათვის აჰმედ ფაშას სულეიმანისათვის თავისუფლება მიუცია და თავისი უფროსი ქალიშვილი ადილა ხათუნი მიუთხოვებია[48]. ს. ლონგრიგის ცნობით კი სულეიმანის გათავისუფლება მონობიდან და აჰმედ ფაშას ქალიშვილზე მისი დაქორწინება მომხდარა 1732 წელს, ოღონდ არა ნადირობის დროს ფაშას გადარჩენის გამო, არამედ იმ გმირული ბრძოლებისათვის, რასაც იგი მტრის წინააღმდეგ ეწეოდა მაშინ, როცა ბაღდადი მისი გამგებლითურთ სამი თვის განმავლობაში ალყაში ჰყავდა მომწყვდეული ნადირ-ყულიხანის ლაშქარს[49].

შეცდომით უთითებს 1695 წელს (J. Hammer. Histore de l'Empire Ottoman, Paris, 1815. t. XVI. p. 73), რასაც იმეორებს კლ. ჯარიც (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 153).

[45] واصف ,დასახ. ნაშრომი, გვ. 136; محمد ثريا، سجل عثماني، ج—٣، ص ٨٢

[46] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

[47] იქვე.

[48] А. А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 371.

[49] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 165—166. ქ. ბაღდადი ნადირ-ყული-ხანის ჯარებს ალყაში ჰყავდა 1733 წლის გაზაფხულზე (А. Адамов, დასახ. ნაშრომები, გვ. 361), მას შემდეგ, რაც 1732 წლის დეკემბერში

ბაღდადის ბრძოლაში სახელმოხვეჭილმა, ფაშასთან დამოყვრებულმა სულეიმან აღამ, რომელმაც ირანელთა წინააღმდეგ ომში სამხედრო საქმის შესანიშნავი ცოდნა უჩვენა, 1733 წელს მირმირანის ჩინი და ქაჰიას თანამდებობაც მიიღო. ამ პოსტზე მან 14 წელი დაჰყო და იყო ფაშას უცვლელი მოადგილე, მისი კარის მთავარი მოხელე, მთელი საფაშოს ადმინისტრაციული საქმეების გამგებელი და ჯარების სარდალი. ის შეუპოვრად იბრძოდა აჯანყებული არაბი ტომების დასათრგუნავად და საფაშოში სიწყნარის დასამყარებლად. მისი მეთაურობით 1742—1743 წლებში ჩახშობილი იქნა ყველაზე ძლიერი ტომების ზუბაიდის, მუნთაფიქისა და ბანი ლამის აჯანყებები, რომლებიც მომზადებული იყო ნადირ შაჰის ხელშეწყობით და სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას.

ბრძოლის დაწყებამდე სულეიმან აღა გულდასმით სწავლობდა მოწინააღმდეგის ძალებს, ბრძოლის ხერხებს, ადგილსამყოფელს და ამის მიხედვით იმუშავებდა თავისი მოქმედების გეგმას. ამასთანავე, იგი მტერს იშვიათად თუ შეებმებოდა დღისით. ამ დროს ის მხოლოდ მიუახლოვდებოდა მტრის ბანაკს, დაზვერავდა და, როდესაც ველზე წყვდიადი ჩამოწვებოდა, მაშინ შეუტევდა ისე მოულოდნელად, რომ მოწინააღმდეგე გაქცევასაც ვეღარ ასწრებდა. ამიტომ სულეიმანი არაბებმა შესაფერისი ეპითეტებით შეამკეს. მას მეტსახელად „აბუ საჰრი“ (ჯადოქარი)[50], „დავასულ ლაილი“ (ღამის ლომი)[51], „აბუ სუმრათი“ (წყვდიადის მამა)[52], „აბუ ლაილი“ (ღამის მამა)[53], „ასადულ ლაილი“ (ღამის ლომი)[54] და სხვა შეარქვეს, რომელთაგან „აბუ ლაილი“ და „მიზრაკლი“ (დიდი)[55] ყველაზე ხშირად გვხვდება როგორც პირველწყაროებში,

---

დარღვეული იქნა ირან-ოსმალეთის იმავე წლის 10 იანვრის საზავო ხელშეკრულება (М. С. Иванов, Очерк истории Ирана, М., 1952, стр. 25). ამიტომ ლონგრიგის მიერ ბაღდადის აღაუს თარიღად დასახელებული 1732 წელი არ უნდა იყოს ზუსტი.

[50] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

[51] იქვე.

[52] იქვე, გვ. 169.

[53] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

[54] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 16[illegible].

[55] محمد ثريا, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

ისე სპეციალურ ლიტერატურაში სხვა სულეიმან ფაშებისაგან გასარჩევად.

14 წელიწადს ქაჰიას თანამდებობაზე ყოფნის შემდეგ სულეიმანის წინაშე დაწინაურების ახალი პერსპექტივა გადაიშალა. 1747 წელს გარდაიცვალა აჰმედ ფაშა[56], რომელსაც ვაჟიშვილი არ ჰყავდა. ეს გარემოება ხელსაყრელ პირობას უქმნიდა სულეიმანს, როგორც გარდაცვლილ ფაშას მოადგილესა და ამასთანავე მის ერთგვარ მემკვიდრეს (უფროსი ქალიშვილის მეუღლეს), მიეღო ფაშობა, თუკი მისი გადაცემა ბაღდადში ჰასანის დროიდან დაკანონებული მემკვიდრეობის წესით მოხდებოდა[57]. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სულთანმა დაარღვია ეს წესი და ერაყის გამგებლად თავისი ყოფილი დიდი ვაზირი, დიარბაქრის ვალი, ალჰაჯ აჰმედი დანიშნა, ხოლო სულეიმანი ადანის მმართველად გაგზავნა.

ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების ამგვარი გადაწყვეტილების მიზანი იყო, ხელი შეეშალა ერაყის შემდგომი გაძლიერებისათვის, რათა ხელიდან არ წასვლოდა ეს მხარე, რომლის გამგებლები უკვე ისე თავისუფლად გრძნობდნენ თავს, რომ სტამბოლის დაუკითხავად მოლაპარაკებასაც კი აწარმოებდნენ ირანის მთავრობასთან[58].

სულთანს რომ ამ შემთხვევაში სხვა არაფერი ამოძრავებდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ იმის შემდეგ, რაც ნადირ-შაჰი გარდაიცვალა (1747 წ.), ირანი შინაფეოდალურმა აშლილობამ მოიცვა და ამის გამო აღმოსავლეთიდან ოსმალეთის სამფლობელოებზე თავდასხმის საშიშროება დროებით მოიხსნა, — მან ერაყი ორ ნაწილად გაჰყო და ბაღდადის გვერდით ბასრის საფაშო ჩამოაყალიბა.

ბასრის საფაშოს შექმნამ მკვეთრად გააუარესა ბაღდადის საფაშოს საერთო მდგომარეობა. ხაზინის წლიური შემოსავალი ამიერიდან ოდნავადაც ვეღარ ფარავდა საფაშოს ხარჯებს. იენიჩარები, რომლებიც გასამრჯელოს ხაზინიდან იღებდნენ, ახლა თვეების განმავლობაში უხელფასოდ იყვნენ და მღელვარებდნენ. მათ თანაუგ-

---

[56] عبدالعزيز سليمان نوار، داود باشا، القاهرة، ١٩٦٨، ص—٢٧
S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 346. ა. ადამოვი აჰმედ ფაშას გარდაცვალების თარიღად ასახელებს 1748 წელს (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 369).

[57] საერთოდ ოსმალეთის იმპერიაში საფაშო ხელისუფლების გადაცემა მემკვიდრეობის წესით არ ხდებოდა.

[58] ამ მხრივ ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლებისათვის ყველაზე დამფიქრებელი იყო აჰმედ ფაშას მიერ 1733 წ. დეკემბერში ნადირ-შაჰთან გამართული მოლაპარაკება და საზავო ხელშეკრულების დადება.

რძნობდნენ ბაღდადის შეძლებულებიც, რადგან აჰმედ ფაშას მიერ მათგან აღებული ვალის (2000 ბურსის)[59] გადახდას ახალი გამგებელი ვეღარ ახერხებდა. ქალაქში დაწყებულ მღელვარებას ქალაქგარეთ არაბ ტომთა მძლავრი აჯანყებები ემატებოდა და მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. ალჰაჯ აჰმედ ფაშა მათ წინააღმდეგ ვერაფერს გახდა და ამის გამო სულთნის ბრძანებით იგი გადააყენეს. ასევე დაასრულეს თავიანთი კარიერა მის შემცვლელად გამოგზავნილმა ჯერ რაჯიბმა, ხოლო შემდეგ აჰმად ქესრიელიმ, რომლებმაც ვერც იენიჩარების მოთხოვნილება დააკმაყოფილეს, ვერც ბაღდადის ვაჭრებს დაუბრუნეს ვალი და ვერც აჯანყებული არაბების დამორჩილება შეძლეს.

ყოველივე ამას, რაც ბაღდადის საფაშოში ხდებოდა, ინტერესით ადევნებდა თვალს შორიდან, ადანში მყოფი სულეიმან აღა აბუ ლაილი, რომელმაც ბოლოს ის თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ესწრაფოდა რა ერაყში დაბრუნებას, მან ერთი მხრივ სულთანს შეუთვალა: საკუთარი ჯიბიდან გადავიხდი მთავრობის ვალს და დავაწყნარებ აჯანყებულ მუნთაფიქისა და ქაყბის ტომებს, თუ ბასრას ჩამაბარებთო[60]. მეორე მხრივ, იგი დაუკავშირდა აჰმედ ფაშას მევალეებს ბაღდადში და აცნობა ყველას, ვინც (ხელისუფლებისაგან) ვალის დაბრუნებას მოითხოვდა, „მხარი დაეჭირათ სულთნისადმი გაგზავნილი მისი თხოვნისათვის საგანგებო შუამდგომლობით“[61]. ამასთანავე, თავისი მოთხოვნისა და ბაღდადის მდიდარ კაცთა შუამდგომლობისათვის რომ მეტი ძალა მიეცა, სულეიმანმა სიდედრის მამა, ჰილლეს ამირაც თავის სასარგებლოდ აამოქმედა და იგი ბაღდადის საფაშოს ახალი გამგებლის აჰმედ ქესრიელის წინააღმდეგ აამხედრა. ამბოხებული ამირი თავისი ლაშქრით შემოერტყა ბაღდადს და მოითხოვდა სულეიმან აღა აბუ ლაილის დაბრუნებას ერაყში[62].

რაც მეტი დრო გადიოდა, ბაღდადის საფაშოს მდგომარეობა

---

[59] برسى (ლათ.) — ქისა, ოსმალეთში ფულის რაოდენობის აღმნიშვნელი ტერმინი. ერთი ქისა უდრის 500 პიასტრს, პიასტრი კი 40 ფარას.

[60] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

[61] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

[62] ჰილლეს ამირას ამ მოთხოვნას მხარს უჭერდა ბაღდადის მოსახლეობის ზედა ფენაც, რომელსაც ვ. ჰეიდის ცნობით, გადაწყვეტილი ჰქონდა აჰმედ ფაშას გარდაცვალების შემდეგ უფროსად დაესვა აჰმედის ქაჰია და სიძე, სულეიმან აღა, ყველაზე გამოცდილი და უნარიანი კაცი (W. Heude, A voyage up the Persian gulf and a journey overland from India to England in 1817, London, 1819, pp. 145—146).

სულ უფრო მწვავე ხდებოდა, აჯანყება ფართოვდებოდა, ოსმალეთის ბატონობას ერაყში აშკარა საფრთხე ემუქრებოდა. ამიტომ სულთანს უარი აღარ უთქვამს სულეიმან აღა აბუ ლაილისათვის და იგი ბასრის ეიალეთის გამგებლად გადაიყვანა[63].

ადანიდან ბასრას მიმავალი სულეიმანი ბაღდადში შეჩერდა და სულთნისათვის მიცემული პირობის შესრულებას შეუდგა. მან ჯერ აჰმედ ფაშას მოვალეები დააკმაყოფილა, შემდეგ აჯანყებული ტომები დაიმორჩილა. როცა ბაღდადის საფაშოში მშვიდობა აღადგინა, ბასრაში წავიდა ისე, რომ სულთანსაც ერთგულება დაუმტკიცა და ერაყის დედაქალაქის იენიჩარებისა და შეძლებულების კმაყოფილებაც დაიმსახურა[64]. მხოლოდ საბოლოოდ გადაიმტერა ბასრიდან ბაღდადში რამდენიმე თვის წინათ გადმოყვანილი მუჰამედ ფაშა თირიაქი, რომელიც სულეიმანის მიერ ბაღდადის საფაშოში შობოვებულ წარმატებებს თავისი ავტორიტეტის შელახვად მიიჩნევდა. გარდა ამისა, იგი დარწმუნებული იყო, რომ ამიერიდან ბასრის საფაშოს, რომლის ტერიტორიის ხარჯზე ის ბაღდადის საფაშოს გაფართოებას ფიქრობდა[65], სულეიმანის სახით სათავეში ჩაუდგა ენერგიული ადამიანი, რომელიც არათუ სხვას მისცემდა თავის ტერიტორიაზე შესვლის ნებას, არამედ თვითონ შეეცდებოდა ბაღდადზე ხელის დადებას. მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცდენა თირიაქს ძალით არ შეეძლო, ამიტომ მოწინააღმდეგის ჩამოშორება მან სხვა გზით სცადა. სულთანს აცნობა, რომ „არაბი ტომების აჯანყების გამომწვევი მიზეზი სულეიმანი იყო"[66], „რომ მას სურს დაეუფლოს ბაღდადს და ამ მიზნის მისაღწევად სახსრებს აგროვებს"[67].

რა თქმა უნდა, ოსმალეთის მთავრობას ეს ამბავი უყურადღებოდ არ დაუტოვებია, და როგორც კი სტამბოლში თირიაქის მიერ გაგზავნილი ცნობა შეიღეს, მაშინვე „ბრძანებები დაეგზავნათ სიეაშის, დიარბაქრის, მოსულის, ალეპოს, რაქქის, მარაშისა და მარდინის ფაშებს, რათა წასულიყვნენ ამბოხებულის დასამორჩილებლად"[68].

---

[63] J. Hammer, დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 222, 224.

[64] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 149; S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 167—168.

[65] Cl. Huart, იქვე.

[66] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

[67] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

[68] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

დამსჯელი ლაშქრის სარდლობა სივაშის გამგებელს მუჰამედ ფაშას დაევალა. ის დაუყოვნებლივ უნდა წასულიყო დანიშნულ ადგილას და თუ სულეიმანს მოლაპარაკების გზით ვერ დაიმორჩილებდა, მაშინ ძალით უნდა გადაეყენებინა და დაესაჯა[69]. მუჰამედ ფაშას ლაშქარი ის იყო ბრძანების აღსრულებას უნდა შესდგომოდა, რომ ამ დროს სტამბოლში სულეიმან აღა აბუ ლაილის ქაღალდიც მოვიდა. მასში მხილებული იყო თირიაქი, მისი მოქმედების ნამდვილი მიზეზები და ზრახვები.

ერაყის მდგომარეობის გასარკვევად სულთანმა სტამბოლიდან ბაღდადს თავისი წარმომადგენელი მუსტაფა ბეგი გაგზავნა. ადგილზე მოხდენილმა გამოძიებამ მუსტაფა დაარწმუნა, რომ სულეიმან ფაშა არ სტყუოდა, მისი მოხსენების მოსმენის შემდეგ სულთანმა ბასრის გამგებელს საგანგებო ფირმანით ნდობა გამოუცხადა და ბაღდადის საფაშოს გამგებლად დანიშნა. მუჰამედ ფაშა თირიაქი კი რუმელიაში გადაიყვანა[70].

ხონთქრის ფირმანით აღჭურვილმა სულეიმან ფაშა აბუ ლაილმა 1749 წლის ზაფხულში დატოვა ბასრა და თავისი მცირერიცხოვანი რაზმით ბაღდადისაკენ გაემართა. მაგრამ, როცა საზღვარს მიუახლოვდა, გაიგო, რომ თირიაქი ბაღდადიდან წასვლის მაგიერ ლაშქრის შეგროვებას შესდგომოდა და სულეიმანთან ბრძოლას აპირებდა. ამიტომ სულეიმანმაც საჭირო თადარიგი დროზე დაიჭირა. ის ბაღდადის საფაშოს სამხრეთ საზღვართან მდებარე ქალაქ ჰისკეში შეჩერდა, ქალაქის თავის, ალი აღას დახმარებით დაქირავებული ლაშქარი შეაგროვა, ალი აღა ქაჰიად დაიყენა, მას შეიარაღებული ძალების მეთაურობა მიანდო და მდინარე ევფრატის მარცხენა ნაპირზე მდებარე ქ. ჰილლეს ახლოს დაბანაკებული თირიაქის ჯარების წინააღმდეგ გაგზავნა. მაგრამ ჰილლესთან გამართული პირველი ბრძოლა ალი აღას დატყვევებით და მისი ლაშქრის განადგურებით დამთავრდა[71]. ამის შემდეგ იქვე მოხდა მეორე ბრძოლაც. ჰისკედან მოსულმა სულეიმან ფაშა აბუ ლაილმა თავისი 800-მდე მებრძოლით იერიში მიიტანა თირიაქის 1400 კაცისაგან შემდგარ ლაშქარზე[72]. პირველი შეტაკებისთანავე ბაღდადის ფაშას ლაშქრის უმრავლესობა სულეიმანის მხარეზე გადავიდა[73]

---

[69] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.
[70] იქვე, გვ. 150—151.
[71] იქვე, გვ. 150—151.
[72] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 372.
[73] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ა. ადამოვის თქმით, ეს ბრძოლა უნდა მომხდარიყო 1749 წლის შემოდგომაზე[74], მაგრამ ოსტინდოეთის კომპანიის მამინდელი ბასრელი რეზიდენტის ცნობა, რომ „მოულოდნელი იერიშის მიტანით ჩვენმა ფაშამ უდიდეს გამარჯვებას მიაღწია ბაღდადის ფაშაზე... მოკლა და დაატყვევა 12 000-ზე მეტი კაცი"[75], დაწერილია 1749 წლის 12 აგვისტოს[76], რაც შესაძლებლობას გვაძლევს დავაზუსტოთ ადამოვის ზემოაღნიშნული თარიღი: ბრძოლას თირიაქსა და სულეიმან ფაშას შორის ადგილი უნდა ჰქონოდა არა 1749 წლის შემოდგომაზე, არამედ უფრო ადრე, ამავე წლის ზაფხულის მიწურულს.

ჰილლესთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ სულეიმან ფაშა აბუ ლაილი ბაღდადისაკენ გაემართა და ქალაქის ახლოს მდებარე სოფელ კაზიმიეში დაბანაკდა[77], შესაძლოა ძალის მოსაკრებად ანდა იმ განზრახვით, რომ აქედან დაკავშირებოდა ქალაქში თავის მომხრე ჯგუფს და მათი დახმარებით „შიგნიდან გაეტეხა ციხე". ყოველ შემთხვევაში, ცნობილია, რომ იენიჩარებმა ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ (უფრო ზუსტად უკუქცეულ) მუჰამედ ფაშა თირიაქს ბაღდადში შესასვლელი კარები გადაუკეტეს და სულეიმანის გამოჩენას ელოდნენ[78]. ვიცით ისიც, რომ მისთვის ძალაუფლების აღებაში მნიშვნელოვანი დახმარება გაუწევიათ აგრეთვე მამლუქებს[79].

ბაღდადში შესვლის წინ სულეიმანმა სულთანს წერილობით აცნობა, რომ მისი უდიდებულესობის ფირმანით დაკისრებული დავალება შეასრულა, ხოლო, როცა ქალაქში შევიდა, იმ მიზნით, რათა სულთანს თავისი სიტყვა უკან არ წაეღო (რაც ხშირად ხდებოდა ხოლმე) და ბაღდადის ფაშობაზე მისთვის უარი არ ეთქვა, სულეიმანმა თავის მოხსენებით ბარათს თან დივანის გადაწყვეტილება დაადევნა მისი „ბაღდადში დატოვების შესახებ"[80]. ამაში სულეიმანს გარკვეული დახმარება გაუწია აგრეთვე არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კერძოდ, ნეჯდში ჯერ კიდევ 1735 წელს დაწყებულმა ვაჰაბიტების ანტიოსმალურმა

---

[74] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 372.
[75] Precis, Calcutta, 1874, p. 27.
[76] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.
[77] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.
[78] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.
[79] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.
[80] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 373.

მოძრაობამ, რომელმაც იმავე საუკუნის 50-იან წლებში იმდენად გააფართოვა თავისი მოქმედებისა და გავლენის არე, რომ ნეჯდის საზღვრებს გასცდა, რითაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ოსმალეთის ბატონობას, როგორც საკუთრივ არაბეთის ნახევარკუნძულზე, ასევე მის ჩრდილოეთით მდებარე მეზობელ პროვინციებში, მათ შორის ერაყშიც. ვაჰაბიტური ბრძოლები რომ ოსმალებისათვის ამ დროს ნამდვილად სახიფათო მოვლენა იყო, ეს აშკარად ჩანს თუნდაც 1749 წელს სულთნის მიერ ეგვიპტის, ჯიდდისა და მექის გამგებლებისათვის გაგზავნილი ბრძანებებიდან. ერთ-ერთ ამ დოკუმენტს თავის დროზე გაცნობია ჰამერი, რომელიც გადმოგვცემს: ერთიანი ძალით და შეთანხმებული მოქმედებით მათ უნდა „აღმოეფხვრათ ეს ერესი, რომლითაც აბდულ ვაჰაბი ძირს უთხრის ისლამის საფუძვლებსო"[81].

ცხადია, ასეთ პირობებში, როცა ვაჰაბიტების მოძრაობას ყოველდღე შეეძლო გამოძახილი ეპოვა არსებული რეჟიმით უკმაყოფილო ერაყის არაბ მოსახლეობაში, ოსმალეთის ხელისუფლებას ხელახლა უნდა გადაესინჯა და შეეცვალა თავისი პოლიტიკა ამ მხარის მიმართ. მას კვლავ უნდა აღედგინა 1747 წლიდან დარღვეული ერაყის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მთლიანობა და მისი თავდაცვისუნარიანობა, რომ იგი გადაექცია ისეთ ძალად, რომელიც საჭირო შემთხვევაში დაუპირისპირდებოდა ვაჰაბიტებს.

ასეთი აუცილებლობის გამო ბასრის საფაშო ბაღდადისას შეუერთეს[82], ხოლო სულეიმანი, რომელსაც 3-თუღიანი ფაშობა უბოძეს[83] ამ გაერთიანებული საფაშოს გამგებლად დაამტკიცეს, რაც მეჰმედ სურეიას თქმით, უნდა მომხდარიყო 1163 წლის მუჰარამს[84] (1749 წ. 11. XII—1750 წ. 9. I), ხოლო 'აბას ალ-აზავის მიხედვით კი, ორი თვით ადრე, 1749 წ. 12 ოქტომბერს (1162 წლის 29 შავალს ჰიჯრით)[85].

სრულიად ერაყის გამგებლის თანამდებობამდე აღზევებული სულეიმან ფაშა აბუ ლაილი მთელ თავის უნარს საფაშოს ტერი-

---

[81] J. Hammer, დასახ. ნაშრომი, გვ. 528.

[82] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

[83] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 373.

[84] محمد ثريا, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

[85] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 13. ჰიტის აზრით, სულეიმან ფაშა აბუ ლაილი ხელისუფლების სათავეში მოქცეულა 1747 წელს (P. K. Hitti, დასახ. ნაშრომი, გვ. 738).

ტორიის გაფართოებას, ქვეყნის შიგნით სიწყნარის დამყარებასა და მიღებული ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლას ახმარდა. ამ მიმართულებით მან რამდენიმე ღონისძიება გაატარა. 1751 წელს ქურთისტანი დალაშქრა და დაიმორჩილა[86]. იმავე წელს მისმა არმიამ ქაჰია ალი აღას მეთაურობით დაამარცხა და ერაყიდან გააძევა სულთნის მიერ დანიშნული ბასრის ნაესადგურის კაფუდან ფაშა მუსტაფა, რომელმაც, იმ განზრახვით, რომ ქალაქის მუთასალიმის თანამდებობა დაეკავებინა, კავშირი დაამყარა მუნთაფიქის ტომის ბელადთან და მისი მხარდაჭერით მთელი არაბული ერაყის დაპყრობა მოინდომა.

აჯანყებულ ტომთა ბელადების დამორჩილებით, მუსტაფა ფაშას ბასრიდან განდევნით, იქ მუთასალიმად თავისი კაცის, იბრაჰიმ ფაშას დანიშვნით და სამხრეთ ქურთისტანის შემოერთებით სულეიმან ფაშა აბუ ლაილმა ბაღდადის საფაშო წინანდელ საზღვრებში აღადგინა[87]. ამავე დროს იგი შეუდგა ჰასანისა და მისი ვაჟის, აჰმედ ფაშას დროს დაწყებული საქმის გაგრძელებას, კავკასიის ქვეყნებიდან (ძირითადად საქართველოდან) მახლობელი აღმოსავლეთის ბაზრებზე გასაყიდად წაყვანილი ტყვეების შეძენა-მომრავლებას. ამასთან ერთად, სულეიმან ფაშა აბუ ლაილმა აღადგინა და სრულჰყო ჰასან ფაშას დროს მამლუქთათვის დაარსებული სპეციალური სასწავლებლები ანუ მედრესეები, რომლებშიც ყოველწლიურად დაახლოებით 200 ჭაბუკი სწავლობდა. 'აზავის ცნობით, ამ სასწავლებლებში მას „მოწვეული ჰყავდა სხვადასხვა სპეციალობის აღმზრდელები, მასწავლებლები, რომლებიც მამლუქებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, მაზანში სროლას, ავარჯიშებდნენ ცხენოსნობაში, იარაღის ხმარებაში, ცურვაში და სხვა საქმეებში, რაც მათ შემდეგ გამოადგებოდათ"[88]. სკოლადამთავრებული მამლუქები ანუ ქულემენები იგზავნებოდნენ იამაქებად[89], გედიკლიების[90] ხელმძღვანელობით იმაღლებდნენ სამხედრო ცოდნას, შემდეგ მათ აძლევდნენ იჩ-აღასის[91] წოდებას და უნარისდა მიხედვით თან-

---

[86] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

[87] C. Niebuhr, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

[88] العزاوى ,დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

[89] yamak — დამხმარე ჯარის ჯარისკაცი.

[90] Gedikli — მეთაური.

[91] icaga (აგრეთვე ic agalari და ic oglan) — ნიშნავდა ფაშას სასახლის შიგნით მოსამსახურეს, პაჟს, რომელიც ჩვეულებრივად საშუალო რანგის მოხელედ ითვლებოდა.

დათანობით აწინაურებდნენ[92]. მათმა დაწინაურებამ საბოლოოდ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ უკვე XVIII ს-ის 60-იანი წლებისათვის ერაყში თითქმის ყველა პასუხსაგები თანამდებობა მამლუქებს ეკავათ.

სულეიმან ფაშა აბუ ლაილის ეს ღონისძიება უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი იყო მამლუქთა ბატონობის განსამტკიცებლად. ამიტომ ერაყის ისტორიის სპეციალისტები სამართლიანად მიიჩნევენ მას მამლუქთა რეჟიმის ფუძემდებლად[93], მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი ჯერ კიდევ ჰასან ფაშას დროს დაიწყო.

რაც უფრო იზრდებოდა მამლუქთა ხვედრითი წონა მმართველ აპარატში, მით იზღუდებოდა და სამოღვაწეო ასპარეზიდან იდევნებოდა თურქული ელემენტი და, მასთან ერთად, არაბი მოსახლეობის არისტოკრატიული ზედაფენა, რის გამოც ერაყის გამგებლის წინააღმდეგ ერთნაირ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ როგორც ბაღდადში, ისე ოსმალეთის სულთნის კარზე. მამლუქთა დაწინაურებით „ხელისუფლების საქმეებში მონაწილეობის უფლება წაერთვათ არა მარტო თურქ მოხელეებს, არამედ ბაღდადის წარჩინებულებსაც, — ამბობს ს. ლონგრიგი და განაგრძობს, — შეუძლებელია აღწერა იმისა, თუ როგორ ნანობდნენ, როგორ სწუხდნენ და უჩიოდნენ თავიანთ ბედს ამის გამო ბაღდადის დივანში"[94] და სტამბოლში. იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას ყველაზე მეტად ის არ მოსწონდა, რომ ერაყის გამგებელი აღარ ასრულებდა სიუზერენისათვის მიცემულ პირობას, „აღარ უხდიდა გადასახადს თავის ბატონს" და მთელ შემოსავალს საფაშოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას ახმარდა[95]. ყოველივე ეს ოსმალეთის ხელისუფლებას საბაბს აძლევდა „ეპვის თვალით შეეხედა ერაყის ახალი ნაცვლის მზარდი ძლიერებისათვის"[96] და მისი თავიდან მოცილების მიზნით სტამბოლიდან მას ე. წ. „რწმუნებულები" (მკვლელები) მიუგზავნეს[97]. მაგრამ სულეიმანმა ეს დროზე შეიტ-

---

[92] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

[93] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 170—172.

[94] იქვე, გვ. 170.

[95] იქვე.

[96] А. А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

[97] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

ყო და ისე მოაწყო საქმე, რომ ხონთქარმა ფაშას თავის მაგიერ აგენტების თავები მიიღო ბაღდადიდან.

ამრიგად, სულეიმან ფაშა აბუ ლაილმა დამსჯელის ხელი ამჯერად თავიდან აიცდინა, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავდა მის საბოლოო უვნებელყოფას, პირიქით იგი დარწმუნდა, რომ მის ბატონობას ერაყში მალე მოუღებდნენ ბოლოს, თუ შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევის საშუალებებს დროზე არ გამონახავდა. ამიტომ იგი შეეცადა ირანსა და ოსმალეთს შორის მდგომარეობის გართულებას, რისთვისაც გამოიყენა ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ ირანში ტახტის მაძიებლებს შორის დაწყებული ბრძოლა. ბაღდადის ფაშამ კარი გაუღო და მფარველური ამაგი დასდო ირანიდან ლტოლვილ ბახთიართა ტომის ბელადს ალი მარდან ხანს, მის ნათესავს, ქერიმ ხანის მიერ დამარცხებულ ლურისტანის გამგებელს ისმაილ ხანს და ჰუსეინ მირზას, რომელიც თავს შაჰთაჰმასბ II-ის ვაჟიშვილად და ტახტის კანონიერ მემკვიდრედ ასაღებდა. სამშობლოდან დევნილი სეფიანთა ეს ჩამომავალი სულეიმან ფაშა აბუ ლაილის რჩევით სულთანს სთხოვდა, ნება მიეცა ბაღდადის ფაშასათვის, ჩარეულიყო ირანის საშინაო საქმეებში და დახმარება გაეწია ტახტის მაძიებლისათვის ძალაუფლების დაპყრობაში[98]. მაგრამ ოსმალეთის მთავრობამ, რომელიც არასდროს ირანთან ომის დაწყების წინააღმდეგი არ ყოფილა, ახლა, როცა მთელი ირანი შინაური ბრძოლებით იყო მოცული, უარი უთხრა ჰუსეინ მირზას თხოვნის შესრულებაზე და სულეიმან ფაშა აბუ ლაილიც გააფრთხილა: თავი შეეკავებინა ირანში მიმდინარე ამბებზე რაიმე ზემოქმედებისაგან[99].

ოსმალეთის ხელისუფლების ამგვარი პოზიცია იმპერიის საერთო სისუსტიდან გამომდინარეობდა. მთავრობას ამ დროს უკვე აღარ შესწევდა უნარი ძველებურად ემართა უზარმაზარი სახელმწიფო, რომლის დაპყრობილმა ხალხებმა დაიწყეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. ასეთი ბრძოლა მაშინ სულ უფრო ფართოვდებოდა არაბეთის ნახევარკუნძულზე, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა თავიდან მოიცილა (თუმცა დროებით) ოსმალური რეჟიმი. ასეთივე გზით უნდა წარმართულიყო ერაყის შემდგომი განვითარებაც, რაზეც აშკარად მიგვითითებს სულეიმან ფა-

---

[98] Malcolm, History of Per in from the most early period to the present time, London, 1815, vol. II, pp. 115—125.

[99] А. А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 375.

შას მიერ აქ მოხდენილი ისეთი ცვლილებები, როგორიცაა: მმართველი აპარატის რეორგანიზაცია, გამალებული შეიარაღება და, ბოლოს, სულთნისათვის ხარკის მიცემაზე უარის თქმა.

ყველა ამის გათვალისწინებით, რაც იმპერიის საზღვრებს შიგნით, კერძოდ, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ხდებოდა, სულთანი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ირანის საქმეებში ჩარევით ოსმალეთის საშინაო მდგომარეობა უფრო გაუარესდებოდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ირანის ძალაუფლება ჰუსეინ მირზას ხელში გადავიდოდა. საქმე ისაა, რომ ირანის ტახტის მაძიებელი სეფიანი უფლისწულის სახით ბაღდადის ფაშა, როგორც ჰუსეინ მირზას მფარველი, იძენდა ისეთ მოკავშირეს, რომლის დახმარებით ის უზრუნველყოფდა თავის ხელისუფლების შენარჩუნებას ერაყში ხანგრძლივი დროით. სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ „პორტამ არ სცნო თავისთვის სასარგებლოდ ჩაბმულიყო ირანთან ომში... და არ სურდა სულეიმან ფაშასათვის მიეცა ხელში ის კოზირი, რომლითაც მთავრობას მოუგო თამაში ნადირ შაჰის მეგობარმა, განსვენებულმა აჰმედ ფაშამ"[100].

ამგვარი გადაწყვეტილება ბაღდადის გამგებელს უქარწყლებდა ერაყში ხელისუფლების შენარჩუნება-განმტკიცების იმედს. მაგრამ მალე 1755 წელს დიდ ვაზირად დანიშნულ რაჰიბ ფაშას სახით მას სულთნის სასახლეში აღმოაჩნდა ერთგული მეგობარი და დამცველი, რომლის წყალობით სულეიმან ფაშა აბუ ლაილმა ერაყი მართა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე[101].

1762 წლის (1175 წ. შავვალს) 14 მაისს[102] 68 წელს მიღწეული სულეიმან ფაშა აბუ ლაილი გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია ქ. ბაღდადში. მისი ვაჟკაცობა, გმირობა და სრულყოფილი დიდსულოვნება, — როგორც აჰმედ ვასიფი აღნიშნავს, — XIX საუკუნეშიც ლეგენდად იყო შემორჩენილი მთელს ერაყში[103]. დიდხანს ცოცხლობდა ბაღდადის ყავახანებში აგრეთვე მის სადიდებლად შეთხზული ყასიდებიც[104].

---

[100] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 375.

[101] რაჰიბი სულეიმანთან ერთად რამდენიმე წელს მსახურობდა ბაღდადში აჰმედ ფაშას დროს, ამიტომ კარგად იცნობდა და აფასებდა მას, როგორც ენერგიულ პიროვნებასა და მოხერხებულ სახელმწიფო მოღვაწეს.

[102] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

[103] واصف, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 136.

[104] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 153; C. Niebuhr, დასახ. ნაშრომი, გვ. 258; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 375—376.

სულეიმან ფაშა აბუ ლაილის მიერ დამკვიდრებულმა მამლუქთა მმართველობამ თითქმის მთელი საუკუნე იარსება ერაყში და გარკვეული კვალი დატოვა ქვეყნის ისტორიაში.

თავი მეორე

მამლუქთა გაძლიერება

სულეიმან ფაშა აბუ ლაილი ისე გარდაიცვალა, რომ შვილები არ დარჩენია. ამიტომ მისი გარდაცვალებისთანავე დაისვა საკითხი თუ ვინ უნდა ყოფილიყო ერაყის გამგებელი. როგორც პ. ბუტკოვი აღნიშნავს, სულეიმანს კი ჰყავდა შერჩეული კანდიდატურა[1], მაგრამ ოსმალეთის ცენტრალურმა მთავრობამ, რომელსაც მამლუქების გაძლიერება არ მოსწონდა, უარი განაცხადა მისი შერჩეული კანდიდატის დანიშვნაზე და ბაღდადის საფაშოს გამგებლად რაქქის მმართველი საიდ ად-დინ ფაშა გაგზავნა[2]. სულთნის ამ გადაწყვეტილებამ ბაღდადში უკმაყოფილება და ერთი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მამლუქებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს და იმდენი იღონეს, რომ ახალი ფაშა ბაღდადიდან გააძევეს, რაშიც მათ სერიოზული დახმარება გაუწია სულეიმან აბუ ლაილის მეგობარმა, დიდმა ვაზირმა რაჰიბ ფაშამ. მისივე ხელშეწყობით მოხდა ისიც, რომ საიდ ად-დინის შემდეგ ბასრის საფაშო ბაღდადისას შეუერთდა და გაერთიანებული საფაშოს გამგებლად ბასრის მუთასალიმი, აბუ ლაილის ყოფილი ქაჰია ალი აღა დაინიშნა.

ალი აღა წარმოშობით ირანელი იყო. ამიტომ მეტსახელად „აჯემი"-ს (ირანელს) უწოდებდნენ. იგი აჰმედ ფაშა ალბანელის მამლუქი იყო, ახალგაზრდობიდანვე მასთან მსახურობდა, იმ დროის კვალობაზე კარგი განათლება მიიღო და დაწინაურდა.

ა. ვასიფის თქმით, ალი ფაშა ნამდვილი სახელმწიფო მოღვაწე, უნარიანი, უდავოდ ჭკვიანი, მამაცი, მეტისმეტად გულუხვი და კეთილშობილი პიროვნება იყო[3]. ამიტომ შემთხვევითი არ იყო,

---

[1] П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа. СПб., 1868, ч. I, стр. 425.

[2] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

[3] იქვე. გვ. 154.

რომ მის აღზევებას ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს ბაღდადის თავკაცები და განსაკუთრებით სულეიმან აბუ ლაილის ქვრივი, შეტად გავლენიანი ადილა ხათუნი, რომელსაც მისი ფაშად ხელდასხმა იმიტომაც აინტერესებდა, რომ მისთვის, როგორც მამამისის აღზრდილ-დაწინაურებული კაცისათვის, საკუთარი ნება-სურვილები ეკარნახა და ამნაირად ქვეყნის ფაქტიური მმართველი თვითონ ყოფილიყო[4]. მაგრამ ადილა ხათუნის ვარაუდი არ გამართლდა. ალი ფაშა აჯემიმ, როგორც მიიღო ბაღდადის საფაშოს ვალის თანამდებობა, მაშინვე დაიახლოვა გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა და მათზე დაყრდნობით ქვეყანას განაგებდა სრულიად დამოუკიდებლად, რაც გახდა განხეთქილების მიზეზი იმასა და ადილა ხათუნს შორის.

ადილა ხათუნმა ბაღდადიდან ახალი ფაშას გაძევება განიზრახა და ამ მიზნით მას იენიჩარები აუჯანყა. ამბოხებულებმა იერიში ციხესიმაგრეზე მიიტანეს, დაიკავეს იგი და აიძულეს ფაშა დაეტოვებინა ქალაქი.

ქალაქიდან გაძევებული ალი აჯემი მდინარე ტიგროსის მარჯვენა ნაპირზე გადავიდა თავისი რაზმით და იქ დაბანაკდა. შემდეგ მან მოლაპარაკება დაიწყო იენიჩარებთან და აღუთქვა, რომ თუ აჯანყებას შეწყვეტდნენ, არავის დასჯიდა, ყველას ფულით დაასაჩუქრებდა. მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა. აჯანყებულთა უმეტესობამ წინააღმდეგობა შეწყვიტა და რამდენიმე დღის შემდეგ ალი ფაშა ქალაქში მიიწვიეს, მაგრამ მოტყუვდნენ. გამგრდა თუ არა ქალაქში შესული ფაშა, მაშინვე აჯანყების მონაწილეთა დასჯას შეუდგა და მათ სასტიკად გაუსწორდა[5]. შემდეგ ის ქურთისტანში ყარაჩოლანის ფაშა სულეიმანის მეთაურობით დაწყებული აჯანყების ჩასაქრობად დაიძრა[6], ხოლო, როცა ქურთებიც დაამარცხა, პირი მაშინვე სამხრეთ ერაყისაკენ იბრუნა, რათა იქ ხაზაილის ძლიერი ტომის ამბოხებისთვისაც მოეღო ბოლო.

1763 წელს ფაშას ჯარებმა შეტევა დაიწყეს ლამლუნის ჭაობებში გამაგრებულ მოწინააღმდეგეზე, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლის დროს დამარცხდნენ და უკუიქცნენ.

---

[4] ადილა უაღრესად პატივმოყვარე და ეერაგი ქალი ყოფილა. ის ჯერ კიდევ თავისი ქმრის, სულეიმანის დროს ერეოდა საფაშოს მართვა-გამგებლობაში, დანიშნული ჰქონდა მიღების დღეები და იხილავდა კერძო პირთა საჩივრებს (C. Niebuhr, ტ. II, გვ. 258—259).

[5] ვ. ბუტკოვის ცნობით, ალი ფაშას 10 თუ 12 კაცი ჩამოუხრჩეია, ხოლო 5 გადაუსახლებია (П. Г. Бутков, დასახ. ნაშრომი, გვ. 426).

[6] П. Г. Бутков, დასახ. ნაშრომი, გვ. 427.

ამ წარუმატებლობით ისარგებლეს ფაშას მოწინააღმდეგეებმა: ადილა ხათუნმა და მისი უმცროსი დის აიშას ქმარმა, ქაჰია უმარმა, რომელსაც ალი აჯემი დაპატიმრებას უპირებდა. ისინი ფაშას ირანთან საიდუმლო კავშირს აბრალებდნენ და ამ ბრალდებას იმით ასაბუთებდნენ, რომ თითქოს მან შემწყნარებლობა გამოიჩინა აჯანყებული შიიტი ხაზაილების მიმართ და განგებ არ დაამარცხა ისინი, ხოლო სუნიტი იენიჩარები კი არ დაინდო და მუსრი გაავლო[7]. ეს ბრალდება უფრო დასაჯერებელი გახდა მას შემდეგ, როცა ფაშამ ბაღდადიდან ადილა ხათუნის გაძევება გადაწყვიტა. ბაღდადის თავკაცები, რომლებიც აქამდეც ეჭვის თვალით უყურებდნენ ალი აჯემის მოქმედებას, ახლა საბოლოოდ დარწმუნდნენ მის მოღალატეობაში, სასწრაფოდ დაირაზმენ ქაჰია უმარის გარშემო და ამბოხებისათვის მზადებას შეუდგნენ. მათ იოლად მოახერხეს ფაშას მიერ განაწყენებული იენიჩარების მიმხრობაც.

1763 წელს ქ. ბაღდადი საყოველთაო მღელვარებამ მოიცვა ალი ფაშას ყოველგვარი ცდა — როგორმე დაეწყნარებინა აჯანყებულნი, მარცხით დამთავრდა. იარაღასხმულმა იენიჩარებმა და ქალაქის მოსახლეობამ, რომელიც ნიშნის მიცემისთანავე ქუჩაში გამოვიდა, ალყა შემოარტყეს სასახლეს. ფაშამ ძლივს დააღწია თავი გარემოცვას და ერთ-ერთი მეგობრის სახლში მიიმალა, შემდეგ ქალის ტანსაცმელში გამოეწყო, ღამე თავშესაფრიდან გამოვიდა და ქალაქიდან გაპარვა დააპირა, მაგრამ ქუჩაში მდგარმა გუშაგებმა იგი იცნეს, შეიპყრეს, სასახლეში მიიყვანეს და იქ სიკვდილით დასაჯეს.

გაუსწორდნენ თუ არა მათთვის საძულველ ალი ფაშა აჯემის, აჯანყების მოთავეებმა ბაღდადში „დივანი" მოიწვიეს. სხდომას უმაღლესი თანამდებობისა და ქალაქის სხვა გავლენიანი პირები ესწრებოდნენ. შეკრებილთ ახალი ფაშა უნდა აერჩიათ. მათ ამ თანამდებობაზე ერთხმად დაასახელეს ქაჰია უმარის კანდიდატურა და მისი დამტკიცება იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას სთხოვეს. თხოვნასთან ერთად ისინი სულთანს აუწყებდნენ აგრეთვე ბაღდადში მომხდარ ამბავს და სწერდნენ, რომ ალი ფაშას საიდუმლო კავშირი ჰქონდა ირანელებთან, უნდოდა მათთვის გადაეცა ერაყის დედაქალაქი[8] და, რადგან მისი ასეთი საქციელი ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთის მპყრობელის ინტერესებს, ამიტომ

---

[7] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 376.

[8] سليمان نوار, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

გარდაუვალი გახდა აჯანყების მოწყობა და მოღალატე ფაშას დასჯამის ადგილზე ერთხმად ავირჩიეთ ქაჰია უმარ აღა, ნათელი გონების პატრონი და თქვენი ერთგული კაცი, რომელსაც შესწევს უნარი საფაშო მართოს იმაზე უფრო კარგად, ვინც გარედან იქნება გამოგზავნილი. იგი ნამდვილად ღირსია მიიღოს ვაზირის თანამდებობა და წოდებაო[9]. თხოვნა მთავრდებოდა მუქარით. მისი ხელმომწერნი სულთანს აფრთხილებდნენ, რომ, თუ იგი უმარ აღას ბაღდადის საფაშოს მმართველად არ დაამტკიცებდა, ქალაქს ირანის ხელისუფლებას ჩააბარებდნენ[10].

ბაღდადელთა ეს წერილი სტამბოლში 1764 წელს მიიღეს. იმპერიის არასახარბიელო საგარეო და საშინაო მდგომარეობამ სულთანი აიძულა უმარი ერაყის გამგებლად ეცნო და იმავე 1764 წლის ზაფხულში მას ფირმანი გაუგზავნა. უმარმა სამთუღიანი ფაშას წოდებულება მიიღო და საფაშოს მართვა-გამგებლობას შეუდგა.

უმარი წარმოშობით ალბანელი იყო, ჰასანისა და მისი ვაჟის აჰმედის გვარის ჩამომავალი[11]. კ. უარის დახასიათებით, ბაღდადის საფაშოს ეს ახალი გამგებელი რაიმე განსაკუთრებულ უნარს არ ამჟღავნებდა. პირიქით, ის ბევრ სხვა მამლუქზე დაბლა იდგა თავისი ჭკუა-გონებითა და უნარით, მაგრამ პოპულარული გახდა ცოლის წყალობით, რომელიც თავისი უფროსი დის, ადილა ხათუნ-საგან განსხვავებით უწყინარი, სათნო და საყვარელი ადამიანი იყო[12].

ერაყის ხელისუფლების სათავეში მოქცეულმა უმარმა საქმიანობა ჯერ კიდევ ალი ფაშა აჯემის დროს დარღვეული წესრიგის აღდგენითა და სამხრეთ ერაყის შემომტკიცებით დაიწყო. 1765 წელს მან ილაშქრა აჯანყებული ხაზაილების წინააღმდეგ. დაამარცხა ისინი, გადასწვა ქ. ლამლუნი, ტომის მთავარი შეიხის თანამდებობა ჩამოართვა ჰამუდს, რომელმაც თავს გაქცევით უშველა. ამის ნაცვლად ტომის უფროსად დასვა თავისი კაცი და უკან გამობრუნდა იმ რწმენით, რომ ხაზაილები მის წინააღმდეგ ვეღარასდროს აღსდგებოდნენ. მაგრამ დატოვეს თუ არა ფაშას ჯარებმა ლამლუნის მიდამოები, გაქცეული ჰამუდი მაშინვე თავის ტომში გამოცხადდა, თანამდებობიდან გადააყენა ფაშას მიერ დასმული კაცი

---

[9] واصف, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 151.

[10] J. Hammer, დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 573.

[11] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 384.

[12] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

და შეიხობა დაიბრუნა. ამრიგად, ის წარმატება, რომელიც ბაღ-დადის საფაშოს ახალმა გამგებელმა ხაზაილთა წინააღმდეგ ბრძ-ოლაში მოიპოვა, მეტად ხანმოკლე გამოდგა და ეს ტომი კვლავ და-სამორჩილებელი გახდა, მაგრამ უმარს ახლა მეტი სიფრთხილე და წინდახედულება მართებდა. სპარსეთის ყურეში შექმნილი დაძა-ბული ვითარება, კერძოდ, ირანის ხელისუფლებასა და არაბ ტომ-თა შორის დაწყებული ბრძოლა, ბაღდადის ფაშას სამხრეთ ერაყში ახალი ლაშქრობის შესაძლებლობას ართმევდა.

ნადირ შაჰის გარდაცვალების შემდეგ ირანში გაჩაღებული ფეოდალური შინაომი 60-იანი წლების დასაწყისში ქერიმ-ხან ზენდის გამარჯვებით დასრულდა. მან თავის ძალაუფლებას დაუ-მორჩილა თითქმის მთელი ირანი (ხორასნის გამოკლებით) და ქვე-ყნის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება დაი-წყო. მის გეგმაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა საგარეო ვაჭრობის განვითარებას და ამ მიზნით სპარსეთის ყურეს, რომ-ლის სანაპირო ტერიტორია ჯერჯერობით არაბი ტომების: ქა'ბისა და დაღაბის ხელში იყო.

ლორდ კერზონის ცნობით, ქა'ბის ტომის ადრინდელი ადგილ-სამყოფელი იყო არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავ-ლეთი ნაწილი, სპარსეთის ყურის ნაპირას. XVIII ს-ის დასასრულს ისინი ერაყში გადავიდნენ, ბინა დაიდეს ქ. ჰურნის მახლობლად, მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის შესაყარ ჭაობიან ადგილებ-ში და მეკამეჩეობას მიჰყვეს ხელი. მაგრამ მუნთაფიქის ძლიერი ტომის სისტემატურმა თავდასხმებმა ქა'ბის ტომი აიძულა ეს ად-გილიც დაეტოვებია. ისინი ირანის ტერიტორიაზე გადავიდნენ, იქ ავშარის ტომი დაამარცხეს, მდინარეების კარუნსა და ჯარრაჰს შორის მდებარე ადგილებს დაეპატრონენ და სამფლობელოს ცენ-ტრად გაიხადეს ქ. დარრაკი, რომელსაც მათ ფელაჰიე უწოდეს[13]. ნადირ შაჰის გარდაცვალების შემდეგ მათ ისარგებლეს ირანში გა-მეფებული ანარქიით და თავიანთი სამფლობელოს (დირრას) საზ-ღვარი მდ. ჰინდიანამდე[14] გადასწიეს.

ქა'ბის ტომი განსაკუთრებით გაძლიერდა XVIII ს-ის 60-იან წლებში, როცა მისი მთავარი შეიხი იყო სულეიმანი. გაიჩინა რა სა-

---

[13] G. N. Curzon, Persia and Persian Question, London, 1822, vol. II, pp. 322—323.

[14] მალკომლი ჰინდიანის ნაცვლად წერს მდ. ტაბს, რაც ზ. შარაშენიძის მიხედ-ვით, იგივე ჰინდიანა უნდა იყოს (ზ. შარაშენიძე, ირანი XVIII ს-ის მეორე ნახევარში, თბ., 1970, გვ. 58, შენიშვნა 170).

ზღვაო ფლოტი, რომელიც 10 დიდი და 70 პატარა გემისაგან შედგებოდა, იგი თავს დამოუკიდებელ გამგებლად თვლიდა და აღარც ოსმალეთს ემორჩილებოდა და არც ირანს[15].

ირანის მორჩილებიდან გამოვიდა აგრეთვე დაღაბის არაბული ტომიც. ეს უკანასკნელი ქა'ბის მეზობლად ცხოვრობდა ბენდერ-რიგის მიდამოებში და კონტროლს უწევდა მთელ ტერიტორიას მდ. ჰინდიანის შესართავიდან ბენდერ-ბუშირის ნავსადგურამდე, სადაც 1762 წელს ბინა დაიდეს და სავაჭრო საქმიანობაც გააჩაღეს ბენდერ-აბასიდან ფრანგთა მიერ გაძევებულმა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის წარმომადგენლებმა.

ამრიგად, XVIII ს-ის 60-იანი წლების დასაწყისში ირანი მოწყვეტილი იყო სპარსეთის ყურის სანაპიროს, მის საზღვაო ნავსადგურებს და სავაჭრო გზებს. ამ ტერიტორიის შემოერთება-შემომტკიცების გარეშე ქერიმ ხანი ვერც ვაჭრობის მონოპოლიას მიაღწევდა და ვერც მისდამი მტრულად განწყობილ არაბი ტომების თავდასხმისაგან იქნებოდა დაზღვეული. ამიტომ მან გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ხსენებული ტომების დამოუკიდებლობისათვის და 1765 წელს თავის ლაშქარი მათ წინააღმდეგ დაძრა. დამსჯელი ექსპედიციის მოქმედება წარმატებით მიმდინარეობდა. ქერიმ ხანის ჯარებმა დააქციეს ფელაჰიეს (დარრაკის) ციხესიმაგრე, მოშალეს კაბანის არხში წყლის დონის მარეგულირებელი საბლეს დამბა[16] და დაიკავეს ქა'ბის ტომის მთელი სამფლობელო. დამარცხებულმა სულეიმანმა თავისი არაბები გემებში ჩასვა, შატ ალ-არაბში შესვლა მოასწრო და თავი ოსმალეთის ტერიტორიას შეაფარა[17].

ერაყში გადახვეწილი სულეიმან ქა'ბის ბედ-იღბალი ამის შემდეგ იმაზე იყო დამოკიდებული თუ როგორ პოზიციას დაიჭერდნენ მისდამი ადგილობრივი ხელისუფალნი და როგორ წარიმართებოდა საომარი მოქმედება დაღაბის ტომის არაბებსა და მათ წინააღმდეგ სადეყ ხანის მეთაურობით გაგზავნილ ირანის ჯარებს შორის. თუ ადგილობრივი ხელისუფალნი მას ერაყიდან არ გააძევებდნენ და მისი მოკავშირე დაღაბის ტომის ბელადი მირ მოხანი

---

[15] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 378; ზ. შარაშენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

[16] W. F. Ainsworth, A Personal Narrative of the Euphrates Expedition, London, 1888, vol. II, p. 210.

[17] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 379.

ირანის ჯარებს დაამარცხებდა, მაშინ არ იყო გამორიცხული, რომ სულეიმანი დაკარგულ სამფლობელოს ისევ დაიბრუნებდა.

თავიდან საქმეს კარგი პირი უჩანდა. ბასრის მუთასალიმმა ლტოლვილი შეიხი შეიფარა და ირანის მბრძანებელს წინადადებაზე ერაყიდან მისი დაუყოვნებლივ გაძევების შესახებ პასუხს არ აძლევდა[18]. მირ მოხანიც ჯერჯერობით წარმატებით ებრძოდა მოწინააღმდეგეს. მაგრამ ეს წარმატება დიდხანს ვერ შეინარჩუნა. როცა ქერიმ ხანმა ქა'ბის ტომის დასასჯელად გაგზავნილი ჯარები სულეიმანის დამარცხების შემდეგ დაღაბის არაბების წინააღმდეგ მოქმედ თავის ჯარებს მიაშველა, შეიხმა მირ მოხანმა მათი შეკავება ვეღარ შეძლო. ამირ გუნე ხან ავშარმა მირ მოხანის უკანასკნელი ციხესიმაგრე ბენდერ-რიგი აიღო და მოწინააღმდეგე აიძულა ხმელეთი დაეტოვებინა.

ამრიგად, ქერიმ ხან ზენდმა სპარსეთის ყურის ნაპირას მდებარე ტერიტორია არაბ ტომთა ბატონობისაგან გაათავისუფლა, თავის სამფლობელოს შეუერთა და ყურეში თავისუფალი გასასვლელი მოიპოვა. ეს უდავოდ სერიოზული მონაპოვარი იყო, მაგრამ საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის არ კმაროდა, რადგან კუნძულები, რომლებიც კონტროლს უწევდნენ სპარსეთის ყურეს და მის სავაჭრო გზებს, კვლავ ირანის მოწინააღმდეგე შეიხ მირ მოხანის ხელში იმყოფებოდა.

მირ მოხანი ხმელეთიდან განდევნის შემდეგ კუნძულ ხარქუზე გადავიდა, იქ გამაგრდა და დახმარება სთხოვა კუნძულ ხარაქზე მყოფ ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიის სავაჭრო ფაქტორიას, რომელიც 1749 წ. ბარონმა კნიპჰაუზენმა დააარსა ქ. ბასრიდან გაძევების შემდეგ. მაგრამ ჰოლანდიელებმა ირანთან საქმის გართულება არ ისურვეს და დახმარებაზე უარი უთხრეს. მაშინ მირ მოხანი თავს დაესხა მათ, 1766 წელს დაიკავა კუნძული ხარაქი[19] და თავზარს სცემდა ყველას, ვინც სპარსეთის ყურეში შესვლას გაბედავდა[20].

ზღვაზე მირ მოხანის ასეთმა გაძლიერებამ იძულებული გახადა ქერიმ-ხან ზენდი კვლავ განეახლებინა საომარი მოქმედება. 1768 წელს მან დახმარება სთხოვა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომ-

---

[18] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 379.

[19] Ch. R. Low, History of the India Navy, London, 1877, vol. I, pp. 162—163; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 380.

[20] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 360; Ch. R Low, დასახ. ნაშრომი, გვ. 162—163; ზ. ШараШенидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 60—61.

პანიას და, როცა გარკვეული შეღავათების მინიჭების შედეგად. მისგან თანხმობა მიიღო, გაერთიანებული ლაშქარი კუნძულ ხარაქის დასაპყრობად გაგზავნა. კუნძული ძლიერ გამაგრებულ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა, მაგრამ მისმა დამცველებმა ხანგრძლივ გარემოცვას ვერ გაუძლეს და 1769 წელს იგი ირანის ჯარებმა დაიკავეს[21]. დამარცხებული მირ მოხანი კუვეიტში გადაიხვეწა, იქიდან ბასრაში წავიდა და ერთხანს იქ აფარებდა თავს მის მოკავშირე შეიხ სულეიმან ქა'ბთან ერთად.

ხარქესა და ხარაქის კუნძულების დაპყრობით, და იქიდან, მეკობრე არაბების განდევნით ქერიმ ხანმა საბოლოოდ განიმტკიცა მდგომარეობა სპარსეთის ყურის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში; ხელსაყრელი პირობები მოამზადა იმისათვის, რომ ინდოევროპული ვაჭრობა, რომელმაც ჯერ კიდევ ნადირ შაჰის დროს ბენდერ-ბუშირიდან ერაყში გადაინაცვლა, ისევ ძველ გზას დაბრუნებოდა. მაგრამ საქმეს ახლა ის აბრკოლებდა. რომ ბენდერ-ბუშირს მეტოქეობას უწევდა შატ ალ-არაბის ნაპირას მდებარე სანავსადგურო ქალაქი ბასრა, რომელზეც გადიოდა სპარსეთის ყურიდან მესოპოტამიისაკენ მიმავალი დიდი სამდინაროსავაჭრო გზა. ეს მეტოქეობა, რომელიც ჯერ კიდევ სულეიმან ფაშა აბუ ლაილის დროს დაწყებულა, განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 1768 წლიდან, როცა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიამ, ირანის მბრძანებლებთან უთანხმოების გამო დახურა თავისი ფაქტორია ბუშირში და სავაჭრო ურთიერთობა დაამყარა ბასრასთან[22].

ასეთ ვითარებაში ქერიმ ხან ზენდისათვის უკვე ცხადი იყო, რომ ბასრის დაუპყრობლად ირანი სავაჭრო გზების მფლობელი ვერ გახდებოდა და მაშასადამე მისი საგარეო ვაჭრობა, რომელშიც მთავარი ადგილი აქტიური ბალანსის პოლიტიკას ეთმობოდა, განუხორციელებელი დარჩებოდა. ამიტომ მან თავის მორიგ ღონისძიებად ბასრის დალაშქვრა და შემოერთება დაისახა[23].

1715 წლიდან ბასრა შედიოდა ბაღდადის საფაშოში, რომელიც

---

[21] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 380.

[22] Ch. R. Low, დასახ. ნაშრომი, გვ. 165—168; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 381.

[23] მ. ივანოვისა და ი. პეტრუშევსკის მიხედვით, ინგლისელები ბუშირიდან ბასრაში გადასულან 1770 წელს (М. С. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 109—110; И. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В Строева, А. М. Беленицкий, История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Л., 1958, стр. 327).

ოსმალეთის ერთ-ერთი პროვინცია იყო. ამდენად, ბასრაზე თავდასხმა ამავე დროს ნიშნავდა თავდასხმას ბაღდადის საფაშოზე და საერთოდ ოსმალეთზე. ეს იცოდა ქერიმ-ხანმა, მაგრამ უკან არ იხევდა. ის დარწმუნებული იყო, რომ რუსეთთან ომით (1768—1774 წწ.), ეგვიპტეში ალი ბეგის მეთაურობით 1769—1771 წლებში მომხდარი მძლავრი აჯანყებით, სკუტარიის ფაშას განდგომით ალბანეთში, აგრეთვე არზრუმის ფაშას სეპარატისტული მოქმედებითა და ჩრდილოეთ აფრიკაში (ალჟირში) გაჩაღებული საომარი მოქმედებით დასუსტებული თურქეთი, რომლის წინააღმდეგ საქართველოც აღმდგარიყო[24], ბასრისთვის ირანთან ომს ვერ გაბედავდა, ან თუ გაბედავდა, უსათუოდ დამარცხდებოდა. ამ რწმენით ირანის მპყრობელმა ჯარების თავმოყრა და საზღვართან განლაგება იწყო ერაყზე თავდასასხმელად, რისთვისაც მას თითქოს საბაბიც კი ჰქონდა.

საქმე ისაა, რომ, როცა ირანის ჯარები ქა'ბის ტომის არაბებს უბრძოდნენ, ბაღდადის ფაშა უმარმა ქერიმ ხანს შეიხ სულეიმანის წინააღმდეგ თავისი გემების მიშველება აღუთქვა, მაგრამ პირობა დაარღვია. დახმარების ნაცვლად ირანელებისაგან დამარცხებულ სულეიმანს და მის მოკავშირე მირ მოხანს თავშესაფარი მისცა. ამავე დროს, უმარი ეხმარებოდა ქერიმ ხანის დაუძინებელ მტრებს ომანისა და მასკატის არაბ გამგებლებს, ავიწროებდა ერაყში მცხოვრებ შიიტებს და მათ წმინდა ქალაქებში (ქერბელა, ნეჯეფი, კაზიმია და სხვ.) მყოფ ირანელებს[25]. დაბოლოს, ქერიმ ხანი ნაწყენი იყო იმითაც, რომ ბაღდადის ფაშამ არ ინება ირანისადმი მტრულად განწყობილი ინგლისის ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიის წარმომადგენელთა გაძევება ბასრიდან, რომ ისინი ბუშირში გადასულიყვნენ[26].

ბაღდადის ფაშას ასეთი საქციელით უკმაყოფილო ქერიმ ხანმა ჯერ კიდევ 1770—1771 წლებში განიზრახა ერაყზე თავდასხმა და კიდეც აცნობა ფაშას. ოღონდ თავდასხმის ნაჰდვილი მიზანი დაუმალა და განუცხადა, რომ მას მხოლოდ მისდამი მტრულად განწყობილი არაბი ტომების ბელადების სულეიმან ქა'ბისა და მირ მოხანის დასჯა სურდა. უმარი გრძნობდა, რომ ირანის მბრძანებე-

---

[24] П. Г. Бутков, დასახ. ნაშრომი, გვ. 463, 497—199.

[25] ლ. შენგელია, ირანი ქერიმ ხან ზენდის დროს, თბ., 1973, გვ. 106—107.

[26] Ch. R. Low, დასახ. ნაშრომი, გვ. 165; ზ. შარაშენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

ლი ამ შემთხვევაში გულწრფელი არ იყო და თუ ირანელები ერაყში შეიჭრებოდნენ, საქმე მარტო ქა'ბისა და დაღაბის ტომთა შეიხების დასჯით არ გათავდებოდა. მან გადაწყვიტა მოესპო ბრძოლის საბაბი და მირ მოხანი სიკვდილით დაასჯევინა. სულეიმან ქა'ბმა კი იმის შიშით, რომ მირ მოხანის ბედი არ სწეოდა, დატოვა ერაყის ტერიტორია და ქერიმ ხანს ეახლა, ერთგულ სამსახურს შეპირდა და მორჩილების ნიშნად ხარაჯის გადახდაც იკისრა[27].

ამის შემდეგ, როცა უმარ ფაშამ თვითონ გააკეთა ის, რისთვისაც ქერიმ ხანი ერაყში შეჭრას აპირებდა, ამ უკანასკნელს უარი უნდა ეთქვა ლაშქრობაზე, მაგრამ როგორც შემდგომმა ამბებმა ცხადჰყვეს, მისი მოქმედების ნამდვილი მიზანი ერაყის მიტაცება და მის ტერიტორიაზე გამავალი მთავარი სავაჭრო არტერიის ხელში ჩაგდება იყო. ეს აშკარა გახდა 1775 წელს, როცა ქერიმ ხანმა ბაღდადის ფაშას ირანელი მომლოცველების შევიწროება დააბრალა და ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება გააფრთხილა, რომ ომს გამოუცხადებდა თუ უმარს სასოკვდილო განაჩენს არ გამოუტანდნენ[28].

ქერიმ ხანის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას შეეძლო გამოეწვია მამლუქების უკმაყოფილება და აჯანყება ერაყში, ხოლო დაუკმაყოფილებლობას კი ომი ირანსა და ოსმალეთს შორის. ოსმალეთის მთავრობისათვის არც ერთი ხელსაყრელი არ იყო. ამიტომ დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ მან, ალბათ იმ ვარაუდით, რომ ირანის მხრიდან თავდასხმის საფრთხე ნაკლებ რეალურად ესახებოდა, უმარ ფაშას დასჯაზე თავი შეიკავა და ამით ქერიმ ხანს მოქმედებისათვის ხელ-ფეხი გაეხსნა.

1775 წლის 16 მარტს[29] ირანის მრავალრიცხოვანი ჯარი[30] ქერიმ ხანის ძმის, სადეყ ხანის სარდლობით ხმელეთით ერაყისაკენ დაიძრა. იმავე დროს სახმელეთო ჯარების მხარდასაჭერად მდ. შატ ალ-არაბის შესართავისაკენ გაიგზავნა 30 მცირე ზომის გემისაგან

---

[27] J. Malcolm, დასახ. ნაშრომი, გვ. 137; ზ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

[28] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 381.

[29] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

[30] ლოუს, მალკოლმისა და ა. ადამოვის ცნობათა მიხედვით, ირანის ჯარი თავის რიგებში ითვლიდა 50 000 (იხ. Ch. R. Low, დასახ. ნაშრომი, გვ. 152, 165, 168; J. Malcolm, დასახ. ნაშრომი, გვ. 141; А. А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 382), კლ. უარის ცნობით,—70 000 (Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 157), ხოლო ს. ლონგრიგის თქმით კი 30 000 კაცს (S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 190).

შემდგარი ფლოტიც. 10 აპრილს[31] შატ ალ-არაბზე სახელდახელოდ გადებული ნაგებიანი ხიდით, რომლის აგებაში ირანელებს დიდი დახმარება გაუწია ქაბის ტომის შეიხმა სულეიმანმა, სადეუ ხანი თავისი ჯარით ერაყის ტერიტორიაზე გადავიდა და 16 აპრილს ქარნაჰთან გამართულ ბრძოლებში მუნთაფიქთა ლაშქრის უკუქცევის შემდეგ ქ. ბასრას მიუახლოვდა[32]. რაც შეეხება საზღვაო ფლოტს, სახშელეთო ჯარების დასახმარებლად რომ იყო გაგზავნილი, მას შატ ალ-არაბში შესასვლელი გზა გადაუღობეს თურქეთისა და ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის იქ მდგომმა გემებმა და ბასრის დაბომბვის საშუალება არ მისცეს. მიუხედავად ამისა, ქალაქი და მისი მუთასალიმი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ბასრის მუთასალიმის პოსტი იმ დროს სულეიმან აღას ეკავა. იგი წარმოშობით ქართველი იყო[33], დაბადებულა 1722 წელს[34], სრულიად ახალგაზრდა წაუყვანიათ საქართველოდან და ოსმალეთში გაუყიდიათ. სულეიმანის ქართული სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და სოციალური წარმოშობა ჯერჯერობით არ ვიცით, არც თვითონ და არც მისი ბიოგრაფები საამისო ცნობებს არ იძლევიან.

ოსმალეთში წაყვანილი და იქ მაჰმადის რჯულზე მოქცეული პატარა სულეიმანი, რუსი მკვლევარის ა. ადამოვის ცნობით, თურქებს „ბაღდადის ფაშების ლეიბ-გვარდიაში გაუყიდიათ"[35]. ინგლისელი ორიენტალისტი ს. ლონგრიგიც ამბობს, რომ „ჰასან ფაშას სასახლეში თავმოყრილ და მასთან დაახლოებულ ქართველებს შორის ისეთი ცნობილი, კარგად მიღებული და კეთილშობილური

---

[31] ზ. შარაშენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

[32] Eyles Irwin, A Series of adventures in the Course of a voyage, London, 1787, pp. 378—379; S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

[33] И. А. Стенин, Восток. Страны Креста и полумесяца и их обитателей, СПб., 1892, стр. 185; Cl. J. Rich, Narrative of a Residence in Koordistan and in the site of Ancient Nineveh... London, MDCCCXXXVI, vol. I, p. 4; J. S. Buckingham, Travels in Mesopotamia, London, 1827, p. 383.

[34] სულეიმანის დაბადების წელი წყაროებსა და გამოკვლევებში მითითებული არ არის. თარიღის დადგენისას ჩვენთვის ამოსავალს წარმოადგენდა ორი ცნობა: რომ სულეიმანი გარდაიცვალა 1802 წელს (العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 92) და, რომ იმ დროს ის იყო 80 წლის (محمد ثريا, დასახ. ნაშრომი, გვ. 93).

[35] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 384.

ბუნების მქონე როგორიც სულეიმან აღა, სხვა არავინ იყო"[36], მაგრამ ა. ადამოვიცა და ლონგრიგიც ცდებიან. შეუძლებელია 1722 წელს საქართველოში დაბადებული სულეიმანი ჰასან ფაშას დროს, ე. ი. 1723 წლამდე, მიეყვანათ ბაღდადში გასაყიდად. როგორც ირკვევა, სულეიმან ბუიუქი ბაღდადში კი არ გაუყიდიათ, არამედ უჩუქებიათ ფაშასათვის. თანაც ეს მომხდარა არა ჰასანის სიცოცხლეში, არამედ გაცილებით უფრო გვიან, სულეიმან ფაშა აბუ ლაილის დროს. ამას ადასტურებს მეჰმედ სურეია, რომელიც გვამცნობს: „სულეიმანი იყო მონა მარდინის ვოევოდის[37] მუჰამედ ეფენდი ბეგისა, რომელმაც ბაღდადში თავის მოგზაურობისას ის სულეიმან ფაშა მიზრაკლს ჩააბარაო"[38] ამ ცნობიდან აშკარად ჩანს არა მარტო ის, თუ რა ბედი სწევია სამშობლოდან წაყვანილ სულეიმანს, არამედ ისიც, რომ იგი ბაღდადში მიუყვანიათ 1749—1762 წლებში, როცა ის, თუ მეტის არა, 27 წლის მაინც იქნებოდა.

ფეშქაშად მირთმეული სულეიმანი ბაღდადის ფაშას თავისი მცველი რჩეული სამხედრო რაზმის რიგებში ჩაურიცხავს და შემდეგ თანდათან დაუწინაურებია. 1765 წლისათვის სულეიმანი უკვე ქ. ბასრის მუთასალიმია[39]. 1768 წელს იგი ენდერუნ ჩოკდარად[40] გადაჰყავთ ბაღდადში, ხოლო სამი წლის შემდეგ (1771 წ.), როცა სამხრეთ ერაყში ადგილობრივ ხელისუფალთა (მუთასალიმების აბდ არ-რაჰმანის, ჰაჯი სულეიმანისა და იუსუფის) თვითნებობამ, — მოსახლეობაზე უზომო გადასახადების დადებამ, — საყოველთაო-სახალხო მღელვარება გამოიწვია და, გარდა ამისა, ირანელთა პრეტენზიებმაც ამ მხარის დასაპყრობად აშკარა ხასიათი მიიღო, სულეიმანი ისევ ბასრაში დააბრუნეს.

ირან-ოსმალეთს შორის საომარი მოქმედების დაწყების პირ-

---

[36] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

[37] ودوي — ქალაქის ან ციხის უფროსი. ეს სიტყვა თურქულში შევიდა სლავურიდან (Хуршид-Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 457).

[38] تاريخ, დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 91.

[39] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

[40] چوقدار اندرون — სასახლეში ქალთა ნახევრის ანუ ჰარამხანის მთავარიკ მსახური, მისი უფროსი იყო. ოსმალეთის სულთანისა და ირანის შაჰის ჰარამხანებში ამ თანამდებობის პირი, როგორც წესი, საჭურისი უნდა ყოფილიყო. ბაღდადში კი ამ წესს ყოველთვის არ იცავდნენ. ენდერუნ ჩოკდარად აქ ფაშას ყველაზე სანდო კაცი ინიშნებოდა ხოლმე.

ველი დღიდანვე ცხადი გახდა სულეიმანისათვის, რომ მტრის მთავარი დარტყმა მას უნდა მოეგერიებინა, მაგრამ ძალები არ ყოფნიდა. 1500 იენიჩარითა და რამდენიმე ძველი, დაზიანებული გემით რომელიც მაშინ ბასრაში იდგა, ამ ამოცანის შესრულება შეუძლებელი იყო. ამიტომ სულეიმან აღა დაუკავშირდა, ერთის მხრივ, ბაღდადის ფაშას, ხოლო მეორეს მხრივ, მასკატისა და ომანის მმართველებს. ბაღდადის ფაშას მაშველი ჯარის გამოგზავნა სთხოვა, მასკატისა და ომანის გამგებლებს კი სურსათი და გემები. ამავე დროს იწყო სასწრაფო ღონისძიებების გატარება. სულ მცირე დროში მან თავი მოუყარა სურსათ-სანოვაგის ერთი წლის მარაგს და შეიძინა საჭირო სამხედრო საჭურველი; ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით შეაკეთა ციხე-გალავანის კედლები, მის კოშკებზე დააყენა ასამდე სხვადასხვა ზომის ქვემეხი, ხოლო არხი, გარს რომ ჰქონდა შემოვლებული ციხეს, გაწმინდა, გააღრმავა და მდინარის წყალი მიუშვა. ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, ყველა ლაშქარში იხმო და სახელდახელოდ შეჰყარა 15 000 კაცისაგან შემდგარი ჯარი, სადაც, ს. ლონგრიგის ცნობით, იენიჩარებისა და არაბების გვერდით იდგნენ ზანგები, სომხები და ქარმელიტი ბერებიც კი[41]. ეს იყო გაუწვრთნელი, მაგრამ სამაგიეროდ თავისი ტერიტორიისა და ინტერესების დასაცავად აღმდგარი ხალხი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქალაქის დაცვის საქმეში, კარს მომდგარი მტრის გარკვეულ დრომდე შეკავებაში.

ქ. ბასრამდე მისული ირანის ჯარები ერთხანს უმოქმედოდ იდგნენ. მათი სარდალი სადეყ ხანი საზღვაო ფლოტის მოსვლას უცდიდა, რომ მოწინააღმდეგისათვის ერთდროულად დაერტყა ხმელეთიდან და ზღვიდან. მაგრამ, როცა შეიტყო, რომ ირანის გემებს შატ ალ-არაბში შესვლა და ბასრის იერიშში მონაწილეობის მიღება აღარ შეეძლოთ, იძულებული გახდა შეტევა მხოლოდ სახმელეთო ძალებით განეხორციელებინა. იმისათვის, რომ დასახული ამოცანა იოლად გადაეჭრა, სადეყ ხანმა სცადა ადგილობრივი ხელისუფლების მოსყიდვა, რისთვისაც შეტევის წინ მოლაპარაკება გამართა სულეიმან აღასა და ინგლისის ფაქტორიის ადგილობრივ მმართველთან. ირანის ჯარების სარდალი მზად იყო 2 მლნ რუფია მიეცა მათთვის, თუ ქალაქს ჩაბარებდნენ[42]. მაგრამ მოლაპარაკებას მისთვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, სულეიმან აღამ

---

[41] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 188, 191.
[42] Ch. R. Low, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

სადეუ ხანის წინადადება არ მიიღო, ხოლო ამ უკანასკნელმა აღარ დააყოვნა და შეტევა დაიწყო.

იერიშს დიდი წარმატება არ მოჰყოლია. ქალაქის დამცველთა მედგარი წინააღმდეგობა ირანელების წინსვლას შეუძლებელს ხდიდა. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ექრებოდა მათთვის ბასრის შიიტი მოსახლეობის ამბოხებას, რასაც მოელოდნენ კიდევაც. მაგრამ არავითარი ნიშანი არ ჩანდა იმისა, რომ ის დაიწყებოდა. ამიტომ სადეუ ხანმა ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა, იერიშს თავი გაანება, ქალაქს ხმელეთიდან ალყა შემოარტყა და მისი დაუფლება მეციხოვნეთა შიმშილით მოინდომა.

ხმელეთის მხრიდან იზოლირებული ქალაქის დამცველები ამიერიდან გარესამყაროს უკავშირდებოდნენ მხოლოდ ზღვით. მაგრამ ეს გზაც დაეხშოთ. საქმე ისაა, რომ ბასრის ალყამ გამოიწვია ტიგროს-ევფრატის სავაჭრო გზის ჩაკეტვა და ვაჭრობის შეწყვეტა. ასეთ პირობებში ინგლისელ ვაჭრებს ბასრაში ყოფნა ხელს აღარ აძლევდათ და ამჯობინეს ბუშირში გადასულიყვნენ. მათ თან წაიყვანეს გემებიც, რომლებიც მანამდე, შატ ალ-არაბში იდგნენ და ბასრის კაფუდან ფაშას ეხმარებოდნენ ირანის ფლოტის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ დამხმარე ძალის გარეშე თურქეთის ფლოტს აღარ შეეძლო მარტო გამკლავებოდა ირანის საზღვაო ძალებს და პირველსავე ბრძოლაში დამარცხდა. კაფუდან ფაშამ თავისი გემებით კუვეიტს შეაფარა თავი. ირანის ფლოტი შატ ალ-არაბში შევიდა და ბასრას მიადგა, რის შემდეგ ქალაქი ზღვიდანაც გარემოცვაში აღმოჩნდა.

მტრისაგან ყოველი მხრიდან გარშემორტყმული ქალაქის დამცველნი შველას ბაღდადის ფაშასაგან მოელოდნენ და ირანელებს არ ნებდებოდნენ, მაგრამ უმარს სულ მალე საქმე ისე ცუდად წაუვიდა, რომ ბასრელთა ხსნაზე ფიქრიც კი აღარ შეეძლო.

როგორც უკვე ვთქვით, 1775 წელს, სანამ ირან-ოსმალეთის ომი დაიწყებოდა, ქერიმ ხანმა სულთანს მოსთხოვა შიიტ მომლოცველების შემავიწროებელი უმარ ფაშას სიკვდილით დასჯა. სულთანმა იმ მოსაზრებით, რომ უმარის დაუსჯელობით ირანი ომს არ დაიწყებდა, ხოლო მის დასჯას კი შეეძლო გამოეწვია მამლუქების აჯანყება აბასელი ხალიფების დედაქალაქში, თავი შეიკავა ირანის მბრძანებლის მოთხოვნის აღსრულებაზე. მაგრამ, როცა ომი უკვე რეალობად იქცა და ირანის ჯარები ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში შეიჭრნენ, სულთანი იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ქერიმ ხანის მოთხოვნისათვის. სტამბოლში შეუდგნენ უმარ ფაშას

საქმის გამოძიებას, რაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს შაჰრიზურისა და მოსულის ქურთმა გამგებლებმა. სულთანმა სწორედ მათ მოსთხოვა გარკვევა იმისა, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ქერიმ ხანის ბრალდება უმარ ფაშასადმი[43].

ქურთისტანის გამგებლები ცუდად იყვნენ განწყობილი ბაღდადის ფაშას მიმართ. ისინი უკმაყოფილო იყვნენ იმით, რომ უმარმა სისხლში ჩაახშო მათი აჯანყება, რომელიც მიზნად ისახავდა ქურთისტანის გამოყოფას იმპერიიდან და ირანთან შეერთებას[44]. ამიტომ მათ მარჯვედ გამოიყენეს ხელსაყრელი მომენტი უმარზე შურის საძიებლად და სულთანს მოახსენეს, ყველაფერი, რასაც ირანის მბრძანებელი ბაღდადის ფაშას შესახებ ამბობს, მართალიაო. უფრო მეტიც, მას ისიც აცნობეს, რომ ირან-ოსმალეთის ომი უმარმა გამოიწვია იმ მიზნით, რათა თავისი პოზიციები განემტკიცებინა ერაყში[45].

მოახსენებდნენ რა ყოველივე ამას, შაჰრიზურისა და მოსულის გამგებლები სულთანს ურჩევდნენ, რაც შეიძლება მალე გადაეყენებინა ერაყის გამგებელი თანამდებობიდან და, საერთოდ, ბოლო მოეღო მამლუქებისათვის, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ხელისუფლება და თანდათან ძლიერდებოდნენ[46].

ქურთი გამგებლების ჩვენება სტამბოლში სრულ ჭეშმარიტებად მიიჩნიეს და უმარ ფაშას სიკვდილი მიუსაჯეს. განაჩენის სისრულეში მოყვანა მოსულის, დიარბაქრის, ვანის, ალეპოსა და დამასკოს ფაშებს დაევალათ. მათ ებრძანათ შეეკრიბათ ლაშქარი, წასულიყვნენ ბაღდადისაკენ, დაეკავებინათ იგი, მოეკლათ უმარი და მის ადგილზე დაესვათ მუსტაფა ფაშა ისფანაქჩი. დავალება შესრულებულ იქნა. უმარ ფაშა მოკლეს და მისი მოკვეთილი თავი სულთანს მიართვეს.

ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებდა ამ ღონისძიების გატარებაზე. იგი დარწმუნებული იყო, რომ ამის შემდეგ ირანი შეწყვეტდა საომარ მოქმედებას. ამიტომ სულთანმა, როგორც კი შეიტყო უმარის მოკვლის ამბავი, მაშინვე ელჩი მიავლინა ირანში და ქერიმ ხანს აცნობა, რომ მის მიერ ადრევე წამოყენებული მოთხოვნა შესრულებული იყო[47]. მაგრამ

---

[43] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

[44] ზ. შარაშენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61—62.

[45] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 156; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 383.

[46] Cl. Huart, იქვე.

[47] C. Niebuhr, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 323.

სულთანი მოტყუებული აღმოჩნდა. ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ომი კვლავ გრძელდებოდა, ირანის ჯარები სულ უფრო მიიწევდნენ წინ და ახალ-ახალ ტერიტორიებს იპყრობდნენ. ქერიმ ხანმა თურქეთის ელჩი მუჰამად დაჰი ეფენდი შეიპყრო და კარგა ხანს ასე ჰყავდა, შემდეგ კი შინ დაბრუნების ნება მისცა და სულთანთან დააბარა: ომს არ შევწყვეტ, სანამ ერაყს არ დავეუფლებიო[48].

ეს იმ დროს ხდებოდა, როცა ოსმალეთის მძიმე სამხედრო მდგომარეობას თან დაერთო საშინელი შიმშილობა იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში და მღელვარება ბაღდადში. შიმშილობა იმდენად ძლიერი იყო, რომ არმიის გამოსაკვები სურსათის შეგროვებაც კი ჭირდა. ამიტომ ჯარში წასვლა აღარავის სურდა, ფრონტზე თურქეთის ჯარისკაცთა ნაკლებობა იგრძნობოდა. და აი ასეთ ვითარებაში დაიწყო აჯანყება ბაღდადში. აჯანყებულებმა გააძევეს სტამბოლიდან გამოგზავნილი მუსტაფა ფაშა ისფანაქჩი და მოითხოვეს ერაყის გამგებლად თავიანთი კანდიდატი, უმარ ფაშას ყოფილი ქაჰია აბდალაჰი დაემტკიცებინათ. ერაყის დაკარგვის შიშით ოსმალეთის მთავრობა იძულებული გახდა მიეღო ბაღდადის მოსახლეობის მოთხოვნა და აბდალაჰი საფაშოს მმართველად დანიშნა. ეს იყო ერაყის მამლუქთა სერიოზული გამარჯვება და იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების მორიგი მარცხი.

ბაღდადის საკითხის მოგვარებას მთელი ზაფხული დასჭირდა. ამასობაში ქ. ბასრა ბედის ანაბარა იყო მიტოვებული და თავს საკუთარი ძალებით იცავდა. შემდეგ მის დასახმარებლად შეკრიბეს და გაგზავნეს ჯარის ახალი ნაწილები აბდი ფაშას სარდლობით, მაგრამ ამით მდგომარეობა არ შეცვლილა. აბდი ფაშა ბაღდადში დადგა და იქიდან ხელმძღვანელობდა საომარ ოპერაციებს. ირანელთა წინააღმდეგ გაგზავნილი მისი ჯარები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. ოსმალეთს ბრძოლა ისე გაუჭირდა, რომ 1775 წლის სექტემბერში სულთანი თანახმა გახდა ქერიმ ხანისათვის ფული მიეცა, ოღონდ ამ უკანასკნელს ომი შეეწყვიტა[49]. მაგრამ ირანის მბრძანებელს ახლა ამის გაგონება არ სურდა. მისი ჯარები სადეყ ხანის სარდლობით ბასრაზე იერიშს არ წყვეტდნენ. ქალაქი თავს

---

[48] ზ. შარაშენიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

[49] ო. გიგინეიშვილი, ქუჩექ კაინარჯის ზავის შემდგომი პერიოდის თურქეთის საშინაო მდგომარეობის საკითხისათვის, „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", თბ., 1963, გვ. 53.

იცავდა ისე, რომ არავისგან არავითარი დახმარება არ ჰქონდა: „აი უკვე 13 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ბასრა ალყაში მოექცა და მუთასალიმს არავითარი დახმარება, არავითარი ცნობა არ მიუღია ბაღდადის ფაშისაგან“ — აღნიშნავს თანამედროვე[50]

13 თვის განმავლობაში გარე სამყაროს მოწყვეტილ ქალაქში სურსათ-სანოვაგისა და საომარი მასალის მარაგი გამოიღლია. დაიწყო შიმშილობა, რომელიც დღითი დღე იზრდებოდა და მოსპობას უქადდა როგორც მოსახლეობას, ისე ლაშქარს. თანამედროვის გადმოცემით, ერთი მანი[51] ხორბალი ან ქერი 80—90 პიასტრი ღირდა, ხოლო ხორცის შოვნა საერთოდ შეუძლებელი იყო. ცხოველები (ცხენები, ვირები, კატები, ძაღლები) მოისპო, ხურმის პლანტაციები განადგურდა[52]. მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქალაქის დაცვის ყოველგვარი შესაძლებლობა ამოიწურა, მოსახლეობა სასოწარკვეთილებას მიეცა. ასეთ ვითარებაში, სულეიმან აღამ, დივანთან შეთანხმებით, 1776 წლის მაისში ქალაქი მოწინააღმდეგეს ჩააბარა და თვითონაც დანებდა[53].

სადეყ ხანი ბასრაში შევიდა. სულეიმან აღა თურქეთის სხვა თანამდებობის პირებთან ერთად დაატყვევა და ქერიმ ხანს გაუგზავნა შირაზში. თვითონ კი ადგილზე დარჩა, ქალაქს მძიმე ხარკი შეაწერა და მის მართვა-გამგებლობას შეუდგა.

ბასრაში ყოფნისას სადეყ ხანმა თავი გამოიჩინა როგორც კარგმა ადმინისტრატორმა და პოლიტიკოსმა. მან შეძლო ურთიერთობის მოგვარება ქალაქის მოსახლეობასთანაც და მის მეზობლად მყოფ მუნთაფიქის ტომის არაბებთანაც. მაგრამ ეს ურთიერთობა მკვეთრად გაუარესდა 1777 წელს, როცა სადეყ ხანი სასწრაფოდ გაიწვიეს შირაზში და ბასრის მართვა ალი მუჰამედ ხანს მიენდო. ამ უკანასკნელმა ხელი მიჰყო მოსახლეობის ძარცვა-რბევას და არაბ ტომებს შორის შუღლი ჩამოაგდო, რის გამოც დაიწყო მძლავრი აჯანყება ირანელთა წინააღმდეგ. მუნთაფიქებმა მას ისეთი ძლიერი დამარცხება აგებინეს[54], რომ სადეყ ხანი იძულებული

---

[50] G. A. Olivier, Voyage dans l'Empire Ottoman, l'Egipte et la Perse, (IX), t. IV, p. 348.

[51] მანი — წონის ერთეული, უდრის 812,5 გრამს.

[52] A Chronicle of the Carmelites in Persia and the Popal Mission of the XVII-th and XVIII-th centuries, London, 1939, vol. I, p. 674.

[53] H. J. Bridges, A Brief History of the Wahaby, London, 1834, vol. I, p. 186.

[54] როგორც მალკოლმი აღნიშნავს, ამ ბრძოლის დროს ალი მუჰამედ ხანი დაღუპულა (J. Malcolm, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 143).

გახდა სასწრაფოდ დაბრუნებულიყო ბასრაში, რათა აჯანყება სერიოზულ ომში არ გადაზრდილიყო.

ბასრის დაპყრობა ქერიმ ხანის სერიოზული გამარჯვება იყო. ამიერიდან მის ხელში იყო სპარსეთის ყურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნავსადგური, მესოპოტამიის დიდი სამდინარო-სავაჭრო გზის კარიბჭე და ამასთან ერთად ვაჭრობის მონოპოლიაც. ამიტომ ბასრის დაკარგვას ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება ვერ ურიგდებოდა და ყოველნაირად ცდილობდა მის დაბრუნებას. ამ მიზნით სულთანმა სპეციალური ელჩიც კი აახლა ქერიმ ხანს და სხვა ძვირფას საჩუქრებთან ერთად 2 მილიონი ლევი გაუგზავნა ქალაქის უკან დასაბრუნებლად[55]. მაგრამ ირანის მბრძანებელი ვერ დაითანხმეს ვერც ამით და ვერც იმ პირობით, რომ ოსმალეთის მთავრობა მზად იყო ბასრის სანაცვლოდ მისთვის მიეცა სხვა რომელიმე ტერიტორია[56].

* * *

1779 წლის 2 მარტს ქერიმ ხანი გარდაიცვალა. ბასრის გამგებელმა სადეუ ხანმა თავისი ლაშქრით შირაზს მიაშურა რომ ტახტი დაეკავებინა. დაუცველად მიტოვებულ ქალაქს ჯერ მუნთაფიქის ტომის ბელადი დაეპატრონა, ხოლო შემდეგ ბაღდადის მაშინდელი ფაშა ჰასანი. ბასრა ისევ ოსმალეთის ფარგლებში მოექცა, მაგრამ შირაზში ამის შესახებ ჯერ არაფერი იცოდნენ.

მაშინ, როცა ბაღდადის ფაშა ჰასანმა ბასრის მუთისალიმად თავისი კაცი ნუ'მან ეფენდი დანიშნა და მის დასაპყრობად გაგზავნა, ირანის ტახტის მაძიებელთა შორის გამართული ბრძოლა დასასრულს მიუახლოვდა. ტახტზე ავიდა ქერიმ ხანის ბიძაშვილი ზაქი ხან ზენდი, რომელიც კარგად იცნობდა იმ დროს შირაზში ტყვედ მყოფ სულეიმან აღას მისი იქ მიყვანის პირველივე დღიდან და ყოველმხრივ უწევდა დახმარებას. მისი წყალობით სულეიმანი საფუძვლიანად გაეცნო ირანელთა ყოფა-ცხოვრებას და ქვეყნის მართვის ორგანიზაციას, დაუახლოვდა სამეფო კარის წარჩინებულთ და იქ მყოფ უცხო ქვეყნების, კერძოდ, ინგლისის წარმომადგენლებს. მისივე წყალობით მოხდა აგრეთვე სულეიმანის ტყვეობიდან გათავისუფლებაც.

---

[55] ო. გ ი ბ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, საქართველო ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში XVIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში („სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები", თბ., 1959, ტ. 73, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, გვ. 221).

[56] ზ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

ფრანგი მოგზაურის გ. ოლივიეს ცნობით, ზაქი ხანს ტყვეობიდან განთავისუფლებული სულეიმანისათვის თურქეთში დაბრუნების ნებართვა მიუცია[57]. მაგრამ სხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ ასეთი ნებართვა მას არ ჰქონია. კლ. უარის ცნობით, ქერიმ ხანის შემდეგ ტახტზე ასულმა ზაქი ხანმა სულეიმან აღას თავისუფლება უბოძა, მრავალრიცხოვანი ამალით ბასრაში გაგზავნა და ქალაქის მართვა-გამგებლობა დაავალა[58], რადგან სადეუ ხანმა, მას ტახტს რომ ეცილებოდა, თავისი რაზმები იქიდან გაიწვია[59]. რაკი სულეიმანი ბასრის გამგებლად ზაქი ხანის ბრძანებით დაინიშნა, ეს უდავოდ იმას მოწმობდა, რომ იგი შაჰის მოხელე იყო, ხოლო ბასრა — ირანის სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილი.

საგანგებო ფირმანით აღჭურვილმა სულეიმანმა ქება-დიდებით შეამკო ზაქი ხანის სახელი, მადლობა გადაუხადა, როგორც მას, ისე მისი კარის ყველა დიდებულს მისთვის გაწეული დახმარებისათვის და მისცა რა ყოველნაირი დაპირება, რომ გაამართლებდა მათ ნდობას, თავისი თანმხლები რაზმით შირაზიდან ბასრას გაემგზავრა. მაგრამ იქ მისვლა და ბოძებული თანამდებობის დაკავება ვეღარ მოასწრო. ვიდრე ის დანიშნულ ადგილზე მივიდოდა, ამასობაში სადეუ ხანის მიერ მიტოვებული ქალაქი ირანს ხელიდან წაუვიდა, მას ბაღდადის ფაშა ჰასანი დაეპატრონა და მუთასალიმადაც თავისი კაცი ნუ'მან ეფენდი დანიშნა[60]. სულეიმანს იქით აღარ წაესვლებოდა და საზღვრისპირა ქ. ხუვაისში შეჩერდა. იგი მოელოდა, რომ ირანის ახალი მბრძანებელი სათანადო ზომებს მიიღებდა ბასრის დასაბრუნებლად, მაგრამ ირანში იმ დროს უკვე რთული ვითარება შეიქმნა. ფეოდალური შინაომი თანდათან ძლიერდებოდა, რის გამოც თურქეთთან ომის თავი მას აღარ ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში, სულეიმან აღას ალბათ საბოლოოდ უნდა აეღო ზელი ბასრაში დაბრუნებაზე, რომ მისთვის ბედს არ გაეღიმა და არაბულ ერაყში ბრძოლის ხანძარი არ აგიზგიზებულიყო.

ბრძოლა ახლაც ბასრის გამო წარმოებდა, ოღონდ ერთმანეთს ეცილებოდნენ, ოსმალებში მყოფი მუნთაფიქების შეიხი სოვეინი და მუთასალიმის თანამდებობაზე ბაღდადიდან გაგზავნილი ნუ'მან ეფენდი. სოვეინმა ბასრა სადეუ ხანის წასვლისთანავე დაიკავა და ნებით დათმობას არ აპირებდა. ნუ'მან ეფენდის არ აღმოაჩნდა სა-

---

[57] G. A. Olivier, დასახ. ნაშრომი, გვ. 349—350.

[58] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 157—158.

[59] H. J. Bridges, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

[60] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

ჭირო ძალა და უნარი, რომ დაემარცხებინა მოწინააღმდეგე, ეს მხარე ოსმალეთისათვის შემოემტკიცებინა და იქ მშვიდობა აღედგინა. არადა, გაუთავებელმა ბრძოლამ, რაც უკვე ოთხი წელია ამ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, გააჩანაგა მეურნეობა და მოსახლეობის ყველა ფენის საერთო უკმაყოფილება გამოიწვია. უკმაყოფილება ყველაზე მეტად იგრძნობოდა ინგლისელ ვაჭრებში, რომელთა ახალშენებმა თითქმის მთლიანად შეწყვიტეს სავაჭრო საქმიანობა არა მარტო ბასრაში, არამედ მთელ მესოპოტამიაში. ამიტომ ბუნებრივია, რომ ისინი ყველაზე მეტად იყვნენ დაინტერესებული ბასრაში სიწყნარის დამყარებით, რისთვისაც ხშირად ქვეყნის საშინაო საქმეებშიც ერეოდნენ და ადგილობრივ ხელისუფლების სათავეში დასანიშნავ კანდიდატურებსაც თვითონ არჩევდნენ. ერთი ასეთი კანდიდატი, რომელიც მათი რჩევით დანიშნა სულთანმა ჯერ ბასრის, ხოლო მერე ბაღდადის საფაშოს გამგებლად, იყო სულეიმან აღა, რომელსაც კარგად იცნობდნენ ბასრაში მისი მუთასალიმობის დროიდან.

1779 წელს, სწორედ მაშინ, როცა ბასრა ირანმა დაკარგა, მაგრამ ოსმალეთის განკარგულებაში ჯერ არ იყო გადასული, სულეიმანმა შირაზში ინგლისის საელჩოს დახმარებით ხონთქარს თხოვნის ბარათი გაუგზავნა, რომლითაც ვაზირის ტიტულსა და ბასრის გამგებლად დანიშვნას ითხოვდა[61]. ასეთივე თხოვნით მიმართა მან ბაღდადის ფაშასაც, მაგრამ ამ უკანასკნელმა იცოდა, რომ სულეიმანს ჯერაც ხელთ ჰქონდა ირანის მბრძანებლის ფირმანი, რომლითაც იგი ბასრის გამგებლად უნდა დამჯდარიყო. ამიტომ იმის შიშით, რომ სულეიმანს ბასრის გამგებლობის ხელში ჩაგდების შემდეგ სამხრეთ ერაყი ირანისათვის არ გადაეცა, თხოვნაზე უარი შეუთვალა და მის წინააღმდეგ სალაშქროდაც მოემზადა[62], მაგრამ სტამბოლში ამ დროს საკითხი უკვე სულეიმან აღას სასარგებლოდ წყდებოდა. ასეც რომ არ მომხდარიყო, ბასრაში ახლა საქმე ისე მოეწყო, რომ სულეიმანს იქ ბაღდადის ფაშა წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდა, რადგან ჰილლეს სანჯაკში ერთ-ერთ არაბულ ტომთან ბრძოლის დროს შეეხი სოვეინი დაიღუპა, მისმა შემცვლელმა სოვეინ ალ-აბდულამ ინგლისის სავაჭრო ახალშენების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით[63], თავისი მეგობარი სულეიმანი ქალაქ ხუვაისიდან ბასრაში მიიწვია და

---

[61] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

[62] იქვე.

[63] H. J. Bridges, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

ქალაქის მმართველობაც ჩააბარა. ასე რომ, სულეიმან აღა სტამბოლიდან გამოგზავნილ მოხელეს, რომელსაც მისთვის 1779 წ. ოქტომბერში (1193 წ. შაბალს[64]) ვილაეთის მირმირანად დანიშვნის ფირმანი უნდა გადაეცა[65], უკვე თანამდებობაზე დახვდა.

სულეიმანმა ცოტა ხანი დაჰყო ბასრაში. მიუხედავად ამისა, მან იქ რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარება მაინც მოასწრო, და მშვიდობა და სიწყნარე დაამყარა[66]: აღადგინა დანგრეული ქალაქის ბაზრები[67] და, როცა ამით მთელ ერაყში უნარიანი მმართველის სახელი მოიხვეჭა[68], თავისი სამფლობელოს საზღვრების გაფართოებისათვის ზრუნვაც დაიწყო. მას აღარ აკმაყოფილებდა მარტო არაბული ერაყის მირმირანობა, არამედ სრულიად ერაყის გამგებლობა უნდოდა, და ეს სურვილი კიდევაც შეისრულა, ისარგებლა რა ამ დროს ბაღდადის საფაშოში შექმნილი დაძაბული ვითარებით.

როდესაც სამხრეთ ერაყში (ბასრის ეიალეთში) ბრძოლები შეწყდა და აღდგენითი ხასიათის სამუშაოები დაიწყო, ბაღდადის საფაშოში (თვითონ ბაღდადშიც კი) იენიჩარების, „ლევენდის" რაზმების, არაბი და ქურთი ტომების თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა. ამის გამო მოსახლეობა თუდამ საფრთხის წინაშე იდგა. მიწათმოქმედება, მეურნეობის ეს მთავარი დარგი, დაქვეითდა. ვაჭრობა შეწყდა, ჰასან ფაშამ, ამ მხარის მმართველობა რომ ჰქონდა დაკავებული, მდგომარეობის გამოსწორება ვერ შესძლო. ამიტომ ის არც დიდებულებსა და წარჩინებულებს მოსწონდათ, არც ხალხს, არც ოსმალეთის ხელისუფლებას და არც უცხოელ ვაჭრებს.

სულეიმან აღა ამ დროს ყურადღებით ადევნებდა თვალს მოვლენების განვითარებას ბაღდადში და მოხერხებულად იყენებდა იქ შექმნილ ვითარებას თავის სასარგებლოდ.

რაკი ჰასან ფაშა უუნარო გამგებელი გამოდგა, იქმნებოდა რეალური შესაძლებლობა მისი გადაყენებისა. ამიტომ სულეიმან აღამ სულთანს აცნობა, თუ ბაღდადის საფაშოს მე ჩამაბარებ, სიწყნარე და ოსმალთა ბატონობა ამ მხარეში უზრუნველყოფილი

---

[64] ثريا جمجو, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

[65] H. J. Bridges, დასახ. ნაშრომი, გვ. 195; Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

[66] Cl. Huart, იქვე.

[67] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 195.

[68] G. A. Olivier, დასახ. ნაშრომი, გვ. 350.

იქნებათ. ამავე დროს ბასრაში განლაგებულ ინგლისის საეკლესიო ახალშენების წარმომადგენელთა დავალებითა და ფულით, სულთნის სასახლეში სულეიმანის სასარგებლო საქმეს აკეთებდა ბრიტანეთის ელჩი სტამბოლში მ. ჰ. ლატუში, რომელმაც 20 000 პიასტრი დაურიგა დივანის წევრებს: დიდ ვაზირს, იენიჩარების აღას, ქაჰია-ბეგს, ვალიდას(სულთნის დედას)[69] და თვით სულთანსაც[70] კი იმისათვის, რომ ჰასან ფაშას ადგილზე ბაღდადში ბასრის გამგებელი გადაეყვანათ.

ლატუშის მისია წარმატებით დამთავრდა. სულეიმან აღას თხოვნა ოსმალეთის ხელისუფლებამ დააკმაყოფილა. ბაღდადის ეიალეთი ბასრას შეუერთეს, ორივე ერთად სულეიმანს ჩააბარეს და ისიც თავისი ამალით ბასრიდან ბაღდადს გაემგზავრა[71].

მეჰმედ სურეიას ცნობით, სულეიმანის ხელდასხმა ახალ თანამდებობაზე და მისი ბაღდადში გადასვლა უნდა მომხდარიყო 1779 წელს, ოქტომბრის თვის შემდეგ: „მისმა უდიდებულესობამ, — აღნიშნავს იგი, —1193 წლის შავვალს (1779 წლის 12.X—9. XI) სულეიმანი ბასრის ვაზირად დასვა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ბაღდადის ვალიდ გადაიყვანა“[72]. როგორც ჩანს, სურეიას აქ უზუსტობა აქვს დაშვებული და „რამდენიმე დღის“ ნაცვლად რამდენიმე თვე იგულისხმება. ყოველ შემთხვევაში სამეცნიერო ლიტერატურაში, 1779 წლის ბოლოს და 1780 წლის პირველ ნახევარში, ბაღდადის ფაშად ყველგან[73] ჰასანი იხსენიება[74]. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სულეიმანის ბასრაში ყოფნისას მისი უშუალო ხელმძღვანელობით სამხრეთ ერაყში „დამყარდა მშვიდობა, აღსდგა მკვდარი ბაზრები“, გაიშალა ვაჭრობა და სხვ., რისთვისაც „რამდენიმე დღე“ საკმარისი ვერ იქნებოდა. ამების მომსწრე ამინ ბენ ჰასან ალ-ჰალვან ალ-მადინი გადმოგვცემს, რომ ფირმანი ბასრის, ბაღდადისა და შაჰრიზურის გაერთიანებისა

---

[69] H. J. Bridges, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

[70] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 196.

[71] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

[72] محمد ثريا, დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 91.

[73] გამონაკლისს შეადგენს ჰ. ჯონსი, რომელიც არასწორად ამ დროს ბაღდადის ფაშად ომარს ასახელებს, კაცს, რომელსაც სულთნის დავალებით თავი მოეკვეთეს ჯერ კიდევ 1776 წელს ქერიმ ხანის გულის მოსაგებად (იხ. А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 383).

[74] G. A. Olivier, დასახ. ნაშრომი, გვ. 350; Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 159; S. H. Longrigg, დასახ ნაშრომი, გვ. 196.

და ამ ერთიანი საფაშოს მმართველად სულეიმანის გადაყვანის შესახებ 1194 წლის შავვალის 15-ს (1780 წლის 14 ოქტომბერს) გამოიცა[75]. მაშასადამე; სულეიმან აღას ბაღდადში გადასვლა უნდა მომხდარიყო 1780 წლის შემოდგომაზე.

ერაყის გამგებლად დანიშნული სულეიმან ფაშა საქმიანობას აჯანყებების ჩაქრობით შეუდგა. ამ მხრივ მან მოქმედება ბაღდადში შესვლამდე დაიწყო და წესრიგის დასამყარებლად სხვადასხვა საშუალებას იყენებდა. ქ. არჯეში მან თავისი პირადი საგანძურიდან ძვირფასი საჩუქრები დაურიგა საფაშოს დედაქალაქიდან აქ მის შესახვედრად მოსულ „მამლუქებსა“ და „თურქებს“, რომლებმაც სწორად გაიგეს ფაშას მიერ გაცემული წყალობის პიზანდასახულება და ერთგულება შეფიცეს მწყალობელს. მათი დახმარებით სულეიმანმა დაამარცხა და სიკვდილით დასაჯა მღელვარების ერთ-ერთი მოთავე, უმარ ფაშას ყოფილი ქაჰია უსტ ალი აღა, ახლითავე ბედი სწია ჯერ მუჰამედ აჯემის ლაშქარს მდ. დიალის შესართავთან, ხოლო შემდეგ კი ბაღდადის ახლოს დაბინავებულ ლევენდის უფროსის მუჰამედ ხალილ ოღლის რაზმს და 1780 წლის ოქტომბრის ბოლოს ზეიმით შევიდა საფაშოს დედაქალაქში[76].

ბაღდადის მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვდა საფაშოს ახალ გამგებელს, თუმცა მის პატივსაცემად .საზეიმო მეჯლისის დროს უკმაყოფილების ნიშნებიც გამოსჩენიოდა. ეს ყველაზე მეტად ადგილობრივი სამოხელეო არისტოკრატიის წრეში შეიმჩნეოდა[77], რადგან ამ ფენის წარმომადგენლები დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ თუ პირველი ქულემენი ფაშას სულეიმან აბუ ლაილის დროს მათი რიცხვი მმართველ აპარატში საგრძნობლად შემცირდა, ახლა, როცა მართვა-გამგებლობა უკვე ახალი ქულემენი ფაშას ხელში აღმოჩნდა, ისინი მთლიანად განიდევნებოდნენ პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზიდან.

დიდებულთა ზედაფენის ამგვარი განწყობილება სულეიმან ფაშას შეუმჩნეველი არ დარჩენია, მას სათანადო შეფასება მისცა და გარკვეული ზომებიც დროზე მიიღო. არისტოკრატიის მცირე ჯგუფის უკმაყოფილებას მისი ხელისუფლებისათვის სერიოზული ზიანის მიყენება არ შეეძლო, მაგრამ მან ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ უკმაყოფილო ელემენტებს ფულითა და

---

[75] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 159.
[76] იქვე, გვ. 159—160.
[77] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

სხვადასხვა საჩუქრებით იოლად შეეძლო მიემხრო თავგასული იენიჩარები.

ამეს საფრთხე რომ თავიდან აცილებული ყოფილიყო, ფაშამ საქმე სწორედ იენიჩარებიდან დაიწყო. იენიჩარები მან ბაღდადიდან მდ. ევფრატის შუა წელში, ხალისის მიდამოებში გადაიყვანა. მცირე რაზმებად დაპყო და მეთაურებიც, რომლებსაც აქამდე სულთანი ნიშნავდა, თვითონ დაუნიშნა. ბაღდადში კი მათ ნაცვლად სახელდახელოდ ნაყიდი 1000 ქართველისაგან შემდგარი რაზმი ჩააყენა და მის წვრთნას შეუდგა[78].

ასეთი ღონისძიების შედეგად სულეიმან ფაშამ შესძლო არა მარტო საშიში ძალის თავიდან მოცილება, არამედ შექმნა ისეთი სამხედრო ბირთვი, რომელზე დაყრნობითაც იწყო თავისი ძალისა და ხელისუფლების სულ უფრო და უფრო განმტკიცება და 1780 წლის შემოდგომაზევე აიძულა ამბოხებულ ტომთა ბელადები, შეეწყვიტათ ბრძოლა, ეცნოთ მისი ხელისუფლება და დაედოთ ერთგულების ფიცი[79].

თავი მესამე

სულეიმან ფაშა ბუიუქი (1780—1802)

ბაღდადის საფაშოს ახალი გამგებლის მთავარ საზრუნავს შეადგენდა ძალუფლების განმტკიცება და სულთნისათვის ადრე მიცემული პირობის შესრულება — საფაშოში მტკიცე წესრიგის დამყარება. ამის მიღწევა კი შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოხერხდებოდა მეამბოხე ტომების დამორჩილება. ამიტომ სულეიმან ფაშამ თავისი მორიგი ღონისძიება მათ წინააღმდეგ ბრძოლას მიუძღვნა. მართალია, 1780 წელს ფაშასთან სათითაოდ გამოცხადნენ ამბოხებულთა მეთაურნი და მას მორჩილება აღუთქვეს, მაგრამ თავიანთი ფიცი მალე დაივიწყეს და 1783 წელს მღელვარებამ ისევ იჩინა თავი. ოსმალობისა და მისი დამცველი ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ პირველი აღსდგა არაბული ერაყის ცენტრალურ ნაწილში, მდ. ევფრატის ნაპირას მდებარე

---

[78] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

[79] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 384.

ლამლუნისა და დივანიეს მიდამოებში მცხოვრები ხაზაილის ტომი შეიხ ჰამად ალ-ჰამიდის მეთაურობით. ამავე დროს საბრძოლველად მოემზადა სპარსეთის ყურის ახლოს ირან-ოსმალეთის სახელმწიფო საზღვართან მცხოვრები ქა'ბის ტომიც, რომლის შეიხი სულეიმანი ამ დროს ხაზაილებთან კავშირს აპირებდა. მაგრამ ბაღდადის ფაშამ დროზე შეიტყო შეიხ სულეიმანის ზრახვები და მოწინააღმდეგის სამოქმედო გეგმას საკუთარი საბრძოლო გეგმა დაუპირისპირა. ამ გეგმაში მთავარი ის იყო, რომ არ დაეშვათ აჯანყებულ ტომთა გაერთიანება, რისთვისაც ფაშამ თავისი ლაშქრის დიდი ნაწილი ბასრაში გაგზავნა, ხოლო დანარჩენით ხაზაილის დასამორჩილებლად გაეშურა.

გადამწყვეტი შეტაკება ფაშასა და შეიხ ჰამად ალ-ჰამიდის რაზმებს შორის ლამლუნის ჭაობებში მოხდა. გაუვალ ადგილებში შეტყუებულ ბაღდადის ჯარის გასანადგურებლად შეიხმა ჯებირები გახსნა, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწია. 1784 წელს სულეიმან ფაშამ გაარღვია მოწინააღმდეგის თავდაცვა, მოულოდნელად გაიჭრა ევფრატის ნაპირებისაკენ, ალყაში მოაქცია ამბოხებულთა ლაშქარი და აიძულა ისინი დანებებულიყვნენ[1]. ამის შემდეგ აღარც სამხრეთ ერაყში გაგრძელებულა დიდხანს ბრძოლები. ხაზაილთა დამარცხების შედეგად უმოკავშირეოდ დარჩენილმა ქა'ბის ტომის შეიხმა სულეიმანმა შეწყვიტა წინააღმდეგობა და ბაღდადის ფაშას დამორჩილდა. ეს სულეიმან ფაშას მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო, მაგრამ ერაყში სრული სიმშვიდე მაინც ვერ დამყარდა.

ერაყის სამხრეთი და ცენტრალური ნაწილების დაწყნარების შემდეგ ბაღდადში, ფაშას სასახლეში არაბ და მამლუქ მოხელეთა შორის მოულოდნელად ისევ იჩინა თავი უთანხმოებამ, რომელიც სულ მალე გახდა საბაბი მძლავრი აჯანყებისა ჩრდილოეთ ერაყში. განხეთქილების მიზეზი ახლაც იყო არაარაბული წარმოშობის ანუ „მოსული ელემენტის" დაწინაურება ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე, რის გამოც არისტოკრატიის არაბული ნაწილის ზედაფენას არაერთხელ გამოუთქვამს გულისწყრომა ქულემენი ფაშებისადმი. ამ ფენას საიდუმლოდ ხელმძღვანელობდა სულეიმან ფაშას დიპლომატიური მრჩეველი ჰაჯი სულეიმან აშ-შაუვი. იგი ცდილობდა ფაშას წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობას[2]. მაგ-

[1] J. M. Kinneir, A Geographical Memoir of the Persian Empire, London, 1813, p. 286; K. Ritter, Die Erdkunde von Asien, Berlin, 1844, ტ. VII, ნაწ. II, გვ. 807.

[2] S. H. Longrigg. დასახ. ნაშრომი, გვ. 203.

რამ ეს გაუგეს და საფაშოს გამგებელმა ის, როგორც მოღალატე, 1785 წელს თანამდებობიდან გადააყენა, ქონება ჩამოართვა და ბაღდადიდანაც გააძევა.

ბაღდადიდან დეენილი ჰაჯი სულეიმანი სათავეში ჩაუდგა უბაიდის ტომს[3] და საფაშო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების ნზადებას შეუდგა. საამისოდ მან მოხერხებულად გამოიყენა ერაყში 1786 წელს მოუსავლიანობის გამო დაწყებული შიმშილობა. ის ბრალდებით, თითქოს გვალვა კი არა, ფაშა იყო ნამდვილი მიზეზი ამ უბედურებისა, მან შეძლო მოსახლეობის დარაზმვა ხელისუფლების წინააღმდეგ და გვიან შემოდგომაზე დიდი ლაშქრით ბაღდადისაკენ დაიძრა[4].

აჯანყების ჩასაქრობად ფაშამ ჯარი გაგზავნა ქაჰია აჰმედის მეთაურობით, რომელიც პირველსავე შეტაკებაში დამარცხდა[5]. როგორც ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ბასრელი რეზიდენტი მანესტი გადმოგვცემს, ამ ბრძოლის შემდეგ გამარჯვებული ჰაჯი სულეიმანი 1787 წლის 20 თებერვალს სამი ეიალეთის (ბასრა-ბაღდად-შაჰრიზურის) გამგებლად დაუნიშნავთ[6], რაც უნდა გულისხმობდეს, რომ სულეიმან ფაშა ბუიუქი ამ დროს თანამდებობიდან გადაყენებულია. მაგრამ მოვლენათა შემდგომი ვითარება ერაყში მანესტის ამ ცნობის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს.

ქაჰია აჰმედის დამარცხების შემდეგ ჰაჯი სულეიმანი თავისი ლაშქრით ბაღდადს მიადგა და გარს შემოერტყა. ქალაქში მყოფი გარნიზონით თავის დაცვა და მტრის დამარცხება ფაშას არ შეეძლო. ამიტომ მან ხერხი იხმარა: საწყობები გახსნა და ამბოხებულთ სურსათი დაურიგა[7], რითაც ერთბაშად მოინადირა მათი გული. ამ ღონისძიებით ფაშამ აჯანყებულთა უმრავლესობა თავის მხარეზე გადაიბირა, ძირეულად შეცვალა ძალთა თანაფარდობა და ბრძოლაც მოიგო.

---

[3] უბაიდის ადგილსამყოფელია ჩრდ. ერაყი, მდ. ტიგროსის მარცხენა სანაპირო, დ. უბაიძის ზესართავიდან ჩრდილოეთით ტიგრე ზაბის შესართავამდე.

[4] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 203—204.

[5] ი ქ ე ვ, გვ. 204.

[6] P r e s i s, Containing information in regard to the first connexion of 8the honourable East India Company with Turkish Arabia, Calcutta, 1874, p. 69.

[7] ი ქ ე ვ, ვვ. 203.

1787 წლის გაზაფხულზე საკუთარი ლაშქრისაგან მიტოვებული და დამარცხებული შეიხი სულეიმან ამ-შაუვი ბრძოლის ველიდან სუკ ამ-შუიუხს[8] გაიქცა და ხაზაილის ტომის ბელად ჰამიდთან ერთად სამხრეთ ერაყში, მუნთაფიქების ტომის უფროსის, სოვეინის მიერ ამ დროს დაწყებულ აჯანყებას შეუერთდა[9]. აპრილში აჯანყებულებმა დაიკავეს ქ. ზუბაირი, დაატყვევეს აჯანყების მიზეზის გასარკვევად იქ ჩასული ბასრის მუთასალიმი იბრაჰიმ ბეგი და აიღეს ბასრა. ამის შემდეგ შეიხმა სოვეინმა მოლაპარაკება გამართა, ერთის მხრივ, ქა'ბის ტომის ბელად სულეიმან ქა'ბთან, ხოლო მეორეს მხრივ, ოსმალეთის სულთანთან. პირველს ის სამხედრო დახმარებას სთხოვდა, მეორეს კი ბასრა-ბაღდადის გამგებლის თანამდებობას[10], მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. იმ დროს, როცა იგი მათთან მოლაპარაკებით იყო გართული, მისი უფროსი ძმა აჰმედი[11] სულეიმან ფაშა ბუიუქთან გამოცხადდა და, რასაც სოვეინი აკეთებდა, ყოველივე ზუსტად მოახსენა[12]. ფაშა ლაშქრობისათვის სამზადისს შეუდგა. შაჰრიზურიდან მან ქურთების ლაშქარი იხმო, ჯალილიდან კი იენიჩარების რაზმი გამოიძახა. ამავე დროს, სანამ მათ ბაღდადში თავს მოუყრიდა, ქა'ბის შეიხს დაუკავშირდა და აცნობა: თუ სოვეინს არ დაეხმარები, საჩუქრად ახალ მიწებს მიიღებო.

სულეიმან ქა'ბს სერიოზულად აფიქრებდა სოვეინის გაძლიერება. ამაში იგი საფრთხეს ხედავდა და აჯანყებულთა მხარეზე ბრძოლაში მონაწილეობის მიღება არ სურდა, მით უმეტეს ახლა, როცა ფაშა ჯილდოდ ტერიტორიის გაფართოებას ჰპირდებოდა. ამიტომ ის ერაყის გამგებლის რჩევა-დარიგებას დაჰყვა, რის გამოც სოვეინის ცდა — აჯანყებაში ჩაეთრია ძლიერი მეზობელი, მარცხით დამთავრდა. ვერც სტამბოლიდან მიიღო მან მხარდაჭერა. ბასრა-ბაღდადის გამგებლის თანამდებობაზე დამტკიცების მაგიერ სულთანმა სულეიმან ფაშა ბუიუქს საგანგებო ფირმანით უბრძანა, დაუყოვნებლივ ჩაეხშო ამბოხება სამხრეთ ერაყში და სასტიკად გასწორებოდა მის მოთავეს[13].

---

[8] მდ. ევფრატის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ქალაქი სამხრეთ ერაყში.

[9] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 204.

[10] W. Franklin, Observations made on a tour from Bengal to Persia in 1786—1787, London, 1790, p. 267.

[11] ლონგრიგის მიხედვით ჰამდ ას-სამირი (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 205).

[12] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 386—387.

[13] იქვე, გვ. 387.

1787 წლის ოქტომბრის თვეში, სულეიმან ფაშა სულთნის ამ ბრძანების აღსრულებას შეუდგა. მოსალოდნელი იყო, რომ ის თავისი ლაშქრით იერიშს უშუალოდ ბასრაზე მიიტანდა და მოწინააღმდეგემაც აქ მოუყარა თავი საკუთარ ძალებს, მაგრამ სულეიმანი სულ სხვა მიმართულებით წავიდა. მოწინააღმდეგის ძალების დაქსაქსვისა და მისი პოზიციების შესუსტების მიზნით, იგი ბაღდადის ლაშქარს ჯერ ხაზაილის სამფლობელოში შეუძღვა, დაიკავა ეს ტერიტორია, დაეპატრონა საქონლის ჯოგებს და, როცა შეიტყო, რომ ამ თავდასხმით შეწუხებულ ხაზაილებს სოვეინი მიეტოვებინათ და შინისაკენ წასულიყვნენ, მაშინ უკვე მუნთაფიქების სამფლობელოში შეიჭრა. გადამწყვეტი ბრძოლა მდ. ევფრატის ნაპირას დასახლებულ პუნქტ ნაჰრ ალ-ანტართან მოხდა და ფაშას გამარჯვებით დამთავრდა. მუნთაფიქების ლაშქარი სულეიმან ფაშა ბუიუქს დანებდა. ფაშამ სოვეინს ტომის უფროსობა ჩამოართვა და მუნთაფიქების შეიხად ჰამიდ ას-სამირი დასვა. შემდეგ აიღო ბასრა, რომელსაც, რამდენიმე თვის მანძილზე სოვეინი ფლობდა[14], დახარკა მ-სი მოსახლეობა აჯანყებული შეიხის ჰიმხრობისათვის. მუთასალიმის თანამდებობა მან ჩააბარა მუსტაფა ბეგს, მისცა მას გარკვეული რაოდენობის ჯარი და, როცა არაბულ ერაყში მშვიდობა დაამყარა, თვითონ ბაღდადში დაბრუნდა, რათა სხვა საქმეების მოგვარებას შესდგომოდა. მაგრამ მშვიდობა ახლაც ხანმოკლე გამოდგა და ერთი წლის შემდეგ ფაშა იძულებული გახდა კვლავ ბრძოლაში ჩაბმულიყო.

1787 წელს, როგორც კი სულეიმან ბუიუქი სამხრეთ ერაყიდან თავის სატახტო ქალაქში დაბრუნდა, ბასრის მუთასალიმს მუსტაფა ბეგს საფაშო ხელისუფლების ხელში ჩაგდება გადაუწყვეტია და ფაშას წინააღმდეგ აჯანყების მზადებას შესდგომია. მუსტაფა ბეგმა სხვადასხვა ეროვნების ტომებს შორის შუღლი ჩამოაგდო, რის შედეგადაც ქურთი არაბს აღარ ზოგავდა, არაბი ქურთს, ხოლო ორივე ერთად კი ოსმალებს და საფაშოს ხელისუფლების წარმომადგენლებს. გარდა ამისა, მუთასალიმი შეუდგა სულეიმან ფაშა ბუიუქისადმი მტრულად განწყობილი ელემენტების დაწინაურებასა და თავის გარშემო დარაზმვას, რათა მათი დახმარებით ხელში ჩაეგდო ერაყის გამგებლობა. ამ მიზნით, მან სულ ტყუილუბრალოდ ბრალი დასდო მუნთაფიქის შეიხს ჰამიდ ას-სამირს, როგორც

[14] T. Howel, Voyage en retour de l'Inde par terre et par une route en Porte inconnue jusqu'ici, Paris (l'an V), p. 23—24.

თანამდებობისათვის შეუფერებელს, უუნარო ხელმძღვანელს და ფაშას სთხოვა. შეეცვალა იგი სოვეინით, იმ პიროვნებით, ვინც არც თუ ისე დიდი ხნის წინ თვითონ ცდილობდა საფაშო ხელისუფლების მიტაცებას.

ფაშამ დააკმაყოფილა მუთასალიმის თხოვნა, თუმცა გულანით მიხვდა, რომ მუსტაფა ბეგის ამგვარი საქციელი კეთილი ზრახვებით არ უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. ამიტომ მან მუთასალიმის და კაფუდან ფაშას მეთვალყურედ ბასრაში თავისი ერთგული მოხელე, მუჰამედ აშ-შაუვი გაგზავნა, ხოლო ლეკენდის მეთაური იქიდან ბაღდადში გაიწვია.

ამ ღონისძიებამ მუსტაფა ბეგი საკმაოდ შეზღუდა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ახერხებდა თავისი საქმის კეთებას. როგორც კი მუნთაფიქების შეიხად სოვეინის დაბრუნებას მიაღწია, მაშინვე კავშირი გააბა სულეიმანიეს გამგებელ უსმან ფაშა ბაბანთან და ორივეს ერთად თავისი საბრძოლო გეგმა გაუმჟღავნა. ამ გეგმის მიხედვით მათ უნდა შეეკრიბათ მთელი თავიანთი ძალები. მოეწყოთ ერთდროული ღაშქრობა სულეიმან ფაშა ბუიუქის წინააღმდეგ, დაემხოთ მისი ძალაუფლება და ბასრა-ბაღდად-შაჰრიზურის ეიალეთებში თავიანთი ხელისუფლება დაემყარებინათ.

შეთქმულება საიდუმლოდ მზადდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც გამჟღავნდა და თანაც სრულიად შემთხვევით.

დაწყებული საქმე რომ წარმატებით დაეგვირგვინებინათ, შეთქმულების მოთავენი ეწეოდნენ მაღალი თანამდებობის მქონე პირთა მოსყიდვა-გადაბირებას. ამისათვის ისინი არც ფულს ზოგავდნენ და არც იძულების სხვადასხვა ფორმას. იმ შემთხვევაში, როცა ფულით ვერას ხდებოდნენ, შეთქმულების ხელმძღვანელები იყენებდნენ ტერორს, რათა ასეთი გზით გაენადგურებინათ ისინი და მათ ადგილზე დაესვათ სხვა, მათთვის ხელსაყრელი კანდიდატები. ასე უნდა გასწორებოდა ბასრის მუთასალიმი, სხვათაშორის, ქალაქის ციხისთავს მუსტაფა ჰიჯაზის, მაგრამ ამ უკანასკნელმა დროზე შეიტყო მუსტაფა ბეგის განზრახვა, ბასრიდან ბაღდადს გაიქცა და მუთასალიმის ბირგამომთხრელი საქმიანობის საიდუმლო გეგმა სულეიმან ფაშა ბუიუქს გაანდო.

სულეიმანმა უსმან ფაშა ბაბანი ბაღდადში იხმო და, ისე თითქოს არც იცოდა შეთქმულებაში მისი აქტიური მონაწილეობის ამბავი, ათასი დიდებულის თანდასწრებით ის თავისი ქაპიას დაზე დააქორწინა, რითაც სულეიმანიეს გამგებელი მოყვრად გაიხადა და შეთქმულებას ჩამოაცილა.

შეთქმულთა რიგებიდან სულეიმანიეს გამგებლის გამოთიშვა. სულეიმან ბუიუქის წარმატება იყო. ქურთისტანიდან თავდასხმის საშიშროება, თუ სულ არა, დროებით მაინც აღარ იყო მოსალოდნელი და ჩრდილოეთიდან მომართული მახვილი, რომელიც სამხრეთ ერაყის დასალაშქრავად გამზადებულ ფაშას ზურგში ჰქონდა დამიზნებული, თავიდან იქნა აცილებული. ამასთან, ერაყის გამგებელს შესაძლებლობა მიეცა მთელი თავისი ლაშქრით მუსტაფა ბეგისა და მისი მოკავშირე სოვეინის დასასჯელად წასულიყო.

გადამწყვეტი ბრძოლა ფაშასა და აჯანყების მოთავეთა ჯარებს შორის გაიმართა მდ. ევფრატის ნაპირას, სოფელ არჯესთან. სულეიმანმა სძლია მოწინააღმდეგის ლაშქარს და ბასრაში შეიჭრა. ბრძოლა დიდხანს აღარ გაგრძელებულა, დამარცხებულმა მუსტაფა ბეგმა და სოვეინმა თავს გაქცევით უშველეს, ხოლო მათი სამხედრო რაზმები ფაშას დანებდნენ. არაბულ ერაყში მშვიდობა აღდგენილ იქნა, ეს მხარე კვლავ ბაღდადის ფაშას მორჩილებაში შევიდა. გამარჯვებულმა სულეიმანმა მუნთაფიქების ტომის შეიხობა ჰამიდ ას-სამირს დაუბრუნა, ხოლო ბასრის მუთასალიმად თავისი თანამემამულე ისა-ბეგ მარდინელი დასვა[15] და თვითონ 1789 წ. დასასრულს ბაღდადში დაბრუნდა.

თავის სატახტო ქალაქში დაბრუნებულ სულეიმანს ყველაზე მეტად ქურთისტანის საკითხი აფიქრებდა. მართალია, საფაშოს ამ ნაწილში ჯერ სიწყნარე სუფევდა, მაგრამ 1788 წელს სულეიმანიეს გამგებლის აქტიური მონაწილეობა ბაღდადის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში, რომელსაც ქურთი მუსტაფა ხელმძღვანელობდა, იმის მაჩვენებელი იყო, რომ უკვე იწყებოდა ქურთების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ეს კი უსათუოდ გამოიწვევდა ბაღდადის გამგებლის მდგომარეობის გაუარესებას, რადგან სამხრეთ ერაყის მეამბოხე მომთაბარე არაბ ტომებს ამიერიდან ქურთებიც მიემატებოდნენ. ამას გარდა, სანამ ოსმალეთის ქურთისტანის სამხრეთ ნაწილში— შაჰრიზურში სიწყნარე და მორჩილება სუფევდა, ბაღდადის გამგებელი ქურთების ლაშქარს არაბული ერაყის მომთაბარე ტომების დასამორჩილებლად იყენებდა. ამიერიდან კი ასეთი რამ აღარ მოხერხდებოდა. თანაც ქურთი ხალხის ბრძოლა შეიძლებოდა გადაზრდილიყო ირან-ერაყის და, მაშასადამე, ირან-ოსმალეთის ომში, ვინაიდან საჭირო შემთხვევა-

---

[15] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 369; S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 206.

ში ქურთებს შეეძლოთ დასმარება ეთხოვათ მეზობელი ირანის ტერიტორიაზე დასახლებული თანამემამულეების, ან თვით ირანის ხელისუფლებისათვის, ირანი კი ხელსაყრელ მომენტში უარს არ იტყოდა ამაზე. და ბოლოს, ქურთისტანის განდგომით, ბაღდადის ფაშა ჰკარგავდა თავისი სამფლობელოს მნიშვნელოვან ნაწილს.

აი, ამ მოსალოდნელ სირთულეებთან დაკავშირებით დაისვა ბაღდადის საფაშო ხელისუფლებაში ქურთისტანის საკითხი, რომელიც დროზე გადაწყვეტას მოითხოვდა. დაიწყო მისი დაუყოვნებლივ მოგვარებაც, რასაც სულეიმან ფაშა ბუიუქმა რამდენიმე ღონისძიება მიუძღვნა.

პირველი ღონისძიება შეეხებოდა ქურთისტანის გამგებელთა ხელდასხმის წესს. სულეიმანმა დაადგინა, რომ ამიერიდან შაჰრიზურის თითოეულ სანჯაკ ბეგს, როცა ის თანამდებობას იკავებდა, ბაღდადის საფაშოს გამგებლის კარზე უნდა გაეგზავნა მძევლები. ამასთან, მძევლებად შეიძლებოდა გაეგზავნა მხოლოდ თავისი ოჯახის წევრები ან სხვა ყველაზე ახლობელი ნათესავები. მეორე ღონისძიება აწესებდა რეგლამენტს სანჯაკის გამგებლობაზე. სანჯაკ ბეგი, რომელიც, როგორც წესი, ყოველთვის ქურთი იყო, არ შეიძლებოდა დიდი ხნის ვადით დაეტოვებინათ დაკავებულ თანამდებობაზე[16]. გარდა ამისა. სულეიმან ფაშა ბუიუქმა ჩამოაყალიბა და შაჰრიზურში (ისე როგორც ბაღდადში) ჩააყენა ქართველთა ათასეული[17].

ამ ღონისძიებით სულეიმან ფაშა ბუიუქს უნდოდა მორჩილებაში ჰყოლოდა ქურთისტანი. და მართლაც, პირველი ღონისძიება ბაღდადის გამგებელს აძლევდა იმის გარანტიას, რომ ქურთისტანის სანჯაკ ბეგები იქნებოდნენ მისი ინტერესების ერთგული დამცველნი. თუ რომელიმე სანჯაკ ბეგი ანგარიშს არ გაუწევდა დადგენილ წესს, გასწირავდა თავის მძეულებს და განიზრახავდა ერაყის გამგებლის საწინააღმდეგო შეთქმულების მოწყობას, რასაც შედარებით დიდი დრო მოუნდებოდა, მაშინ იგი შეზღუდული აღმოჩნდებოდა იმ ღონისძიებით, რომელიც შესაძლებლობას უსპობდა სანჯაკ ბეგს დიდხანს მჯდარიყო სანჯაკის სათავეში. ხოლო, როდესაც ვერც ერთი და ვერც მეორე ღონისძიებით დაწესებული შეზღუდვები ვეღარ აღმოჩნდებოდა საკმარისი და ქურთისტანში მაინც დაიწყებოდა აჯანყება (თუნდაც სტიქიური, როგორც ზოგ-

---

[16] Rousseau, Discription du Pashalik de Bagdad, Paris; 1801, p. 101.
[17] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 207.

ჯერ ხდებოდა ხოლმე), მაშინ მის ჩასახშობად მოქმედებას იწყებდა შეიარაღებული ძალა, მამლუქთა ათასეული, საგანგებოდ რომ ჰყავდა სულეიმანს ჩაყენებული შაჰრიზურის მხარეში.

ზემოაღნიშნული შეზღუდვების გარდა სულეიმან ფაშა ბუიუქი მარჯვედ იყენებდა ავრეთვე შარიათით დადგენილ მიწისმფლობელობის სპეციფიკურ წესს და ამ წესის საფუძველზე აღმოცენებული „ლენური სისტემის“ თავისებურებას. მიწა, რომლის უზენაეს მესაკუთრეს წარმოადგენდა სახელმწიფო, ლენის მფლობელს ანუ ფეოდალს ეძლეოდა ხოლმე დროებით სარგებლობაში, სანამ ის სახელმწიფო სამსახურში იყო. ამიტომ ლენის მფლობელი მიწით სახელმწიფოზე იყო მიჯაჭვული და ამის გამო იძულებული იყო თავის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ ემოქმედა. ვინც ოსმალეთის სახელმწიფოში ასე არ მოიქცეოდა და ხელისუფლების წინააღმდეგ ღალატს ჩაიდენდა, მას სულთანი, ან პროვინციის გამგებლები, როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები, თანამდებობიდან ითხოვდნენ და მიწასაც ართმევდნენ.

ასეთი უფლებებით აღჭურვილმა სულეიმან ბუიუქმა მოახერხა ფეოდალთა ალაგმვა, აჯანყებების ლიკვიდაცია და ამ მხარის შენარჩუნება ბაღდადის საფაშოს ფარგლებში, მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რომელთა წინაშეც იგი აღმოჩნდა ერაყში XVIII ს-ის 90-იან წლებში დაწყებული საშინაო და საგარეო გართულებებთან დაკავშირებით.

საშინაო სიძნელე ძირითადად სულეიმანის ქაჰია აჰმედის მოქმედებით იყო გამოწვეული, ხოლო საგარეო — ვაჰაბიტების მხრივ მოსალოდნელი თავდასხმის საფრთხითა და ევროპის სახელმწიფოების დაინტერესებით, გაბატონებულიყვნენ ერაყში.

* * *

1792 წელს სულეიმან ფაშა ბუიუქი ციებ-ცხელებამ შეიპყრო და ლოგინად ჩააგდო[18]. როგორც მისი მკურნალი ფრანგი გ. ოლივიე გადმოგვცემს, ავადმყოფს „ყველაზე უწინ დაუზიანდა აზროვნების უნარი. ღრმა გარინდებას თან მოჰყვა გონების დაჩლუნგება, მელანქოლია, შრომის უნარის დაკარგვა, ზიზღი ყოველგვარი სიამოვნებისადმი, სიძულვილი ყველაფრის, რაც ადრე უყვარდა“[19]. ადგილობრივმა მკურნალებმა ავადმყოფობისა ვერაფერი გაიგეს.

[18] აჰმედ ჯევდეთის ცნობით, სულეიმანს სახსრების ძლიერი ტკივილი დასჩემდა (تودت جودت تاریخ, ტ. V, გვ. 258—259).

[19] G. A. Olivier, დასახ. ნაშრომი, გვ. 356.

ვერც ირანიდან საგანგებოდ მოწვეულმა ექიმებმა შეიტყვეს რა სენით იყო შეპყრობილი ფაშა. მაგრამ იმას კი მიხვდნენ, რომ ავადმყოფს დიდი დღე აღარ ეწერა და ეს არც დაუმალეს ფაშასა და მისი კარის შემადგენლობას. ეჭვი აღარავის ეპარებოდაო, — აღნიშნავს იმ დროს იქ მყოფი გ. ა. ოლივიე, — იმაში, რომ ფაშას სიკვდილის შემდეგ ზოგიერთი ჯგუფი დაიწყებდა ხელჩართულ ბრძოლას, დაიწყებოდა არეულობა და არ შეწყდებოდა მანამდე, სანამ ერთი რომელიმე დაჯგუფება არ სძლევდა მეორეს და არ მიიღებდა სულთნისაგან დანიშვნის ფირმანს. იენიჩარები უკვე იარაღს ამზადებდნენ, არაბი და ქურთი აბრაგები კი მოეწყვნენ გზებზე ქარავნების საძარცვავად; ქალაქს აჯანყება და შფოთი ემუქრებოდა, ეაჭრობა უნდა შეწყვეტილიყო[20].

მართალია, ტახტის მიტაცებას რამდენიმე დიდებული ფიქრობდა, მაგრამ თუ საქმე ბრძოლაზე მიდგებოდა, გამარჯვება და ტახტიც ყველაზე ძლიერს უნდა რგებოდა. ყველაზე ძლიერი კი მაშინ აჰმედი იყო[21]. ის იყო საფაშოს ფაქტიური ბატონ-პატრონი, მის ხელთ იყო ერაყის მთელი სიმდიდრე, ხაზინა და შეიარაღებული ძალები. მას მხარს უჭერდნენ დივანის წევრები, მასვე კავშირი ჰქონდა არაბებთან, ქურთებთან, იენიჩარებთან. ქაჰიას სჯეროდა თავისი ძალისა და ამიტომ აღარაფერს ეკითხებოდა ავადმყოფ ფაშას, საჭიროდ აღარ მიაჩნდა მოეხსენებინა მისთვის საფაშოს მდგომარეობის ამბავი, ბრძანებებს გამოსცემდა თავის სახელზე და მოითხოვდა, რომ არც ერთი ღონისძიება არ ყოფილიყო გატარებული საფაშოში მისი განკარგულების გარეშე. უფრო მეტიც, აჰმედმა ბოლოს წინადადება მისცა სულეიმანს, რომ ეშუამდგომლა სულთანთან, რათა მესამე თუღიც ებოძებინათ მისთვის, ბაღდადის ფაშა კი წასულიყო სადმე შორს, რომელსამე სასახლეში და იქ მყუდრო მარტოობაში გაეტარებინა დარჩენილი სიცოცხლე[22].

სულეიმანი მიხვდა, რომ აჰმედს მისი გადარჩენა კი აია, ბაღ-

---

[20] G. A. Olivier, დასახ. ნაშრომი, გვ. 358.

[21] ოი წარმოშობით ირანელი იყო, დაიბადა 1749 წ. ბაღდადში, ღარიბი მოხელის ოჯახში. მამამისი სულეიმანის მეჯინიბედ იყო ბასრაში. მამის თხოვნით აჰმედს პატარაობიდანვე სულეიმანი ზრდიდა. 1776 წ. ირანელთა მიერ დატყვევებულ სულეიმანს აჰმედი თან წაყყვა შირაზში, სადაც დახმარება გაეწია ებრაელ სოდაგარ იაკუბთან კავშირის დამყარებაში. 1779 წ. აჰმედი სულეიმანთან ერთად ირანიდან ბასრაში დაბრუნდა და საპატრო თანამდებობა მიიღო. 1780 წ. ბაღდადის გამგებლად გადაყვანილმა სულეიმანმა აჰმედიც იქ წაიყვანა და ბეჯდის მცველად დანიშნა, ხოლო 1785 წ., როცა აჰმედს 36 წელი შეუსრულდა, სულეიმანმა მას ორთუღიანი ფაშას ტიტული უბოძა და ქაჰიად დასვა.

[22] G. A. Olivier, დასახ. ნაშრომი, გვ. 355.

დადის ფაშად გახდომა ეჩქარებოდა, მაგრამ რაკი მძიმე ავად იყო, საქმის გართულებას მოერიდა და უთხრა: „უკვე მიღებულია ყველა ზომა იმისათვის, რათა ჩემი მონაცვლე გახდეო"[23].

ქაჰია ვერ მიუხვდა ფაშას. მისი პასუხი პირდაპირ გაიგო და, რომ იგი ერაყის გამგებლად მალე დაემტკიცებინათ, სტამბოლში წერილი გაუგზავნა სულთანს. წერილი სულთნისა და ქაჰია აჰმედის ქება-დიდებასთან ერთად შეიცავდა სულეიმან ფაშა ბუიუქის ლანძღვა-გინებას და ბოლოს თხოვნას: გადაეყენებინათ თანამდებობიდან ბაღდადის საფაშოს ავადმყოფი და უკვე უუნარო გამგებელი და მის ნაცვლად დაენიშნათ აჰმედი, რომელიც ასეთი წყალობისათვის მზად იყო გაეღო დიდი თანხა[24].

აჰმედი დარწმუნებული იყო, რომ ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება დააკმაყოფილებდა მის თხოვნას და სულეიმან ფაშას შუამდგომლობას, რომელიც მას გაგზავნილი ეგონა. მაგრამ ისე მოხდა, რომ სხვისი ადგილის მაძიებელმა თავისიც დაკარგა და ამ საქმეს თან გადაჰყვა.

აჰმედის წერილს სულთანამდე არ მიუღწევია. ის სტამბოლში ხელში ჩაუვარდა სულეიმან ფაშა ბუიუქის მსტოვარს, რომელმაც სულთნის მოხელის ხელით ეს წერილი უკან გამოუგზავნა ბაღდადის გამგებელს.

სანამ წერილი ბაღდადში მოვიდოდა, გ. ოლივიეს დახმარებით სულეიმანს გამოჯანმრთელება დაეტყო და მალე ფეხზე წამოდგა. ასე რომ, ბაღდადს მოსულ სულთნის მოხელეს ფაშა უკვე თავის რეზიდენციაში დახვდა და სელიმ III-ის ფირმანთან ერთად მას ქაჰია აჰმედის წერილიც გადასცა.

სულეიმანი ჯერ ფირმანს გაეცნო და კმაყოფილი დარჩა, როცა შეიტყო, რომ სულთანი მას ერთი წლის ვადით კვლავ ტოვებდა ბაღდადის საფაშოს გამგებლად[25]. შემდეგ ის ქაჰიას წერილის კითხვას შეუდგა და, როცა დარწმუნდა აჰმედის ვერაგობაში, თავისი თანამემამულე ხაზინადარი ალი აღა იხმო და ქაჰიას მოკვლა უბრძანა.

ბრძანება მეორე დღესვე მოიყვანეს სისრულეში. დილით, როდესაც აჰმედი, როგორც ქაჰია, ფაშასთან უნდა გამოცხადებუ-

---

[23] G. A. Olivier, დასახ. ნაშრომი, გვ. 356.

[24] იქვე.

[25] XVIII ს. 90-იანი წლებისათვის ოსმალურ თურქეთში პროვინციის გამგებლის რწმენების ვადა უკვე ერთი წელი იყო. ვადის გახანგრძლივება ხდებოდა ყოველ წელს, სულთნის ფირმანით (G. A. Olivier, დასახ. ნაშრომი, გვ. 368).

ლიყო დავალების მისაღებად, სასახლის კიბესთან მას ალი აღა შეეგება და სატევრით განგმირა, რისთვისაც ჯილდოდ სულეიმანის ქალის — ხატიჯეს ხელი და ქაჰიას თანამდებობა მიიღო.

ქაჰია აჰმედის თავიდან მოცილებით ბაღდადის გამგებელმა მოახერხა როგორც თანამდებობის, ისე მშვიდობის შენარჩუნება თავის საფაშოში. ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, რადგან ვაჰაბიტებთან ომი გარდუვალი ხდებოდა.

ვაჰაბიზმის რელიგიური საფარით XVIII საუკუნის 40-იან წლებში ნეჯდში არაბებმა დაიწყეს ანტითურქული ბრძოლა, რომელსაც საგარეო ომებში გართულმა ოსმალეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ თავიდანვე ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია. ამის შედეგად იმავე საუკუნის ბოლოსათვის ვაჰაბიტებმა უკვე დაიკავეს დიდი ტერიტორია მეწამული ზღვიდან სპარსეთის ყურემდე და შექმნეს იქ თავიანთი სახელმწიფო მუჰამედ იბნ სა'უდის მეთაურობით (1746—1765). ჩრდილოეთით ვაჰაბიტები უშუალოდ გაუმეზობლდნენ ალეპოს, დამასკოსა და ბაღდადის საფაშოებს და ემზადებოდნენ დასაპყრობად. ამიტომ ბაღდადის გამგებელი დროზე შეუდგა თავისი საგამგებლოს სამხრეთის საზღვრის უშიშროებისათვის ზრუნვას, გაამაგრა ბასრა და ზუბაირი, მათი დაცვა მიანდო მუნთაფიქისა და ზუბაიდის ტომებს და ყოველწლიურად უხდიდა მათ გასამრჯელოს 100 000 პიასტრს. გარდა ამისა, მან საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა თორმეტამდე საზღვაო გემი და დააყენა შატ ალ-არაბში[26].

ვაჰაბიტების სახით რომ ოსმალეთს სამხრეთში საშიში მოწინააღმდეგე გაუჩნდა, ამას ბოლოს სულთნის ხელისუფლებაც მიხვდა. სელიმ III-მ არაერთხელ უბრძანა ბაღდადის ფაშას ვაჰაბიტების დასჯა, მაგრამ სულეიმანი არ ჩქარობდა. იგი თავს არიდებდა ბრძოლის დაწყებას და სულთნის ბრძანების შესრულებას აჭიანურებდა.

ჯ. ბურკჰარდტის აზრით, ბაღდადის ფაშას ამგვარი საქციელი გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ მას სათანადო გავლენა და თანხა არ გააჩნდა[27], მაგრამ სხვა ცნობები არ ადასტურებენ ამ მოსაზრებას. ჰარფორდ ჯონსი გაკვირვებას გამოთქვამს ბურკჰარდტის ამ ცნობასთან დაკავშირებით და აღნიშნავს: „ქვეყანამ იცო-

---

[26] Rousseau, დასახ. ნაშრომი, გვ. 43—44.

[27] J. L Burckhardt, Notes on the Bedouins and Wahabys, collected during his travels in the East, London, 1831, vol. II, p. 323.

და, რომ ამ დროს სულეიმანის საფაშო იყო მოცულობით უფრო დიდი და სანოვაგითაც გაცილებით მდიდარი, ვიდრე ევროპის რამდენიმე სახელმწიფო... 1797 წლამდე საფაშო ხაზინის შემოსავალი ყოველწლობით იზრდებოდა. უკვე 1798 წელს, „როცა ბაღდადში მივედი, 30 000 გირვანქა სტერლინგი იყო გამოყოფილი იმ ლაშქრის შესაკრებად და მოსამზადებლად, რომელიც ვაჰაბიტთა წინააღმდეგ სალაშქროდ უნდა წასულიყო"[28]. საინტერესოა აგრეთვე მალკოლმის ცნობა: „მე, ვეწვივე სულეიმან ფაშას... 1800 წელს... იგი უყვარდა ბაღდადისა და სხვა ადგილების მკვიდრ მოსახლეობას, ვინც უშუალოდ მის საგამგებლოში შედიოდა.... მმართველობა ამ თურქი გამგებლისა ტომებზე ძალიან ლმობიერია... და ისინიც გრძნობენ ამ წყალობას. მე მოვუსმინე ერთ-ერთი ტომის მეთაურს, რომელმაც თქვა: „ბაღდადის ფაშა რომ არა, მე ჯოხზე წამოვაგებდი თურქულ ქუდს (ე. ი. ავჯანყდებოდი თურქეთის წინააღმდეგ) და არა მარტო პირადად გადავუდგებოდი მას, არამედ ყველა მეზობელ ტომს მოვუწოდებდი, რომ ისინიც ასევე მოქცეულიყვნენ"[29]. მაშასადამე, ბაღდადის ფაშას მიერ სულთნის ბრძანების შესრულების გაჭიანურების მიზეზი, როგორც ჩანს, ფინანსებისა და გაელენის ნაკლებობა არ უნდა ყოფილიყო. ამას ისიც ადასტურებს, რომ სულეიმან ფაშა ბუიუქმა საფაშო ხაზინიდან დიდძალი თანხა (2 ათასი ქისა ანუ მლნ პიასტრი) გაიღო ეგვიპტიდან ნაპოლეონ ბონაპარტის გასაძევებლად[30] და მამლუქი ბეგების დასახმარებლად.

ვაჰაბიტთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა არც ისე ადვილი საქმე იყო, როგორც ეს ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებას მაშინ ესახებოდა. ამისათვის აუცილებელი იყო ყოველმხრივ მომზადება, რისთვისაც მარტო ფინანსები როდი კმაროდა. ფულით შეიძლებოდა ლაშქრის დაქირავება, მისი მომარაგება სურსათ-სანოვაგითა და სამხედრო საჭურვლით, სამხედრო საქმის სპეციალისტთა მოწვევა, მაგრამ ყოველივე ამისათვის ასევე აუცილებელი იყო დრო, რომლის ყიდვა ბაღდადის ფაშას არ შეეძლო. გარდა ამისა, ბრძოლის ბედი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მებრძოლთა სულიერ განწყობილებაზე, ხოლო ეს უკანასკნელი კი თვით ბრძოლის ხასიათსა და მიზანზე. თუ ამ მხრივ შევხედავთ ბაღდადის გამ-

---

[28] H. J. Bridges, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 17—18.
[29] J. Malcolm, დასახ. ნაშრომი, გვ. 234.
[30] جودت تاريخ, ტ. V, გვ. 261.

გებლის მდგომარეობას, დაარწმუნებით, რომ ის ვერ იყო ხელსაყრელ პირობებში. მართალია, ალ-ჰასის რაიონის დაკავების შემდეგ ვაჰაბიტების მთავარი ძალები ბასრის დასაპყრობად ემზადებოდნენ, მაგრამ თავდასხმა ჯერ არ მომხდარიყო, მტერი ერაყის ტერიტორიაზე არ შემოსულიყო, უამისოდ კი მოსალოდნელ საშიშროებას საფაშოს მოსახლეობის ფართო მასა, საიდანაც დგებოდა ლაშქარი, მთელი სიცხადით ვერ გრძნობდა. პირიქით, სამხრეთის საზღვრის გასწვრივ მობინადრე არაბ ტომებს გაგებული ჰქონდათ ვაჰაბიტების ბრძოლების ანტიოსმალური ხასიათი და მზად იყვნენ მათ მხარდასაჭერად.

მაშასადამე, 1795—1797 წლებში ომი ვაჰაბიტების წინააღმდეგ მორალურად არ იყო მომზადებული და შეიძლებოდა ბაღდადის არმიის მარცხით დამთავრებულიყო ამას კი თუ საფაშოს ხელისუფლების მთლიანად დამხობა არა, ერაყის ხანგრძლივი ბრძოლის ობიექტად გადაქცევა მაინც შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

სწორედ ამით იყო გამოწვეული ის, რომ ბაღდადის გამგებელმა, რომელსაც თანამდებობის დაკარგვის შიშით არ შეეძლო სულთნის ბრძანების შესრულებაზე უარის თქმა, საჭიროდ მიიჩნია, ბრძოლის დაწყების გადადება რამდენიმე ხნით მაინც და შეუდგა ლაშქრის შეგროვებას, მის გაწვრთნას, შეიარაღებას და მზადებას მომავალი მძიმე ომისათვის.

სულეიმან ბუიუქის სიცოცხლეში ბაღდადის სპამ ორი ლაშქრობის ჩატარება მოასწრო ვაჰაბიტების სახელმწიფოს წინააღმდეგ ნეჯდში. ერთ მათგანს ხელმძღვანელობდა მუნთაფიქების შეიხი სოვეინი, მეორეს კი ქაჰია ჰაფიზ ალი აღა. მაგრამ დღემდე არ არის დადგენილი საბოლოოდ თუ რომელი ლაშქრობა უწინ მოეწყო, ან რა დროს. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო მოსაზრება. ა. ადამოვის აზრით, ბაღდადის ჯარის ლაშქრობა, რომელიც ჰაფიზ ალის სარდლობით მოეწყო ვაჰაბიტების წინააღმდეგ, დაიწყო 1798 წლის ზამთარში. ერაყის გამგებელმა ხანგრძლივი სამზადისის შემდეგ მოაგროვა 15 ათასიანი არმია[31] და გაგზავნა თავის ხაზინადარ ჰაფიზ ალი ფაშას მეთაურობით ბასრაში, საიდანაც ეს სპა გავიდა სალაშქროდ მხოლოდ 1798 წლის დასაწყისშიო[32]. ამასთან ერთად, ა. ადამოვი

---

[31] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 393.

[32] იქვე; J. L. Burckhardt, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 184.

ამბის მომსწრე ჰარფორდ ჯონსისა[33] და ბურკჰარდტის[34] ცნობათა საფუძველზე მიიჩნევს, რომ ეს იყო პირველი ლაშქრობა[35]. რაც შეეხება მეორე ლაშქრობას, ზემოხსენებულ ავტორებს ის დათარიღებული აქვს 1801 წლით[36].

მაგრამ სულ სხვანაირადაა გადმოცემული იგივე საკითხები ს. ლონგრიგისა და აბას ალ-აზაკის შრომებში[37]. აქ ჩანს რომ ჰაფიზ ალი ფაშას სარდლობით ვაჰაბიტების წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობა იყო რიგით მეორე ბრძოლა, თანაც მას ადგილი ჰქონდა არა 1798 წლის დასაწყისში, არამედ უფრო გვიან. ხოლო პირველი ლაშქრობა, როგორც ამის შესახებ ამინ ბენ ჰასან ალ-ჰალვან ალ-მადინი გვამცნობს, მომხდარა 1211 წელს ჰიჯრით (1797 წელს). იქვე აღნიშნულია, რომ ლაშქრობის მომზადება და სარდლობა დავალებული ჰქონდა მუნთაფიქების შეიხს სოვეინს[38].

დიდი ხნის მძიმე მოგზაურობისა და ბრძოლების შემდეგ ბაღდადის ლაშქარი 1797 წლის ივნისში გარს შემოერტყა აშ-შიბაკს, რომლის აღებით სოვეინი ფიქრობდა ალ-თურფში გამაგრებული მტრის მთავარი ძალების ალყაში მოქცევა-განადგურება. მაგრამ მისი წინდაუხედაობის გამო ეს გეგმა ჩაიშალა. ვაჰაბიტების წინამძღოლის, აბდ ალ-აზიზის (1765—1803) მიერ ბაღდადის არმიის ბანაკში შეგზავნილმა მკვლელმა 1212 წლის 4 მუჰარრამს ჰიჯრით (1797 წლის 29 ივნისს) სოვეინი მოკლა[39]. ამან დაბნეულობა შეიტანა მტრის პირისპირ უსარდლოდ დარჩენილ ბაღდადის ლაშქარში, მოშალა მისი ბრძოლისუნარიანობა და უზრუნველჰყო ვაჰაბიტების გამარჯვება.

ცნობა სოვეინის დაღუპვისა და ალ-ჰასის ექსპედიციის დამარცხების შესახებ ბაღდადის გამგებელმა გვიან შემოდგომაზე მიიღო და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მართალი იყო, როცა ვაჰაბიტების წინააღმდეგ ბრძოლას თავს არიდებდა. მაგრამ რაკი სულთნის

---

[33] H. J. Bridges, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

[34] J. L. Burckhardt, დასახ. ნაშრომი, გვ. 325.

[35] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 393—396.

[36] H. J. Bridges, დასახ. ნაშრომი, გვ. 323—325; J. L. Burckhardt, დასახ. ნაშრომი, გვ. 323—325; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 394—396.

[37] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 214—215; العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

[38] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

[39] იქვე, გვ. 121.

ბრძანებით მათ ომი გამოუცხადა, უკან დახევა აღარ შეეძლო, რადაც უნდა დასჯდომოდა გამარჯვება უნდა მოეპოვებინა. დამარცხების შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ ის საქვეყნოდ შერცხვენილი დარჩებოდა, ერაყს ორი მხრიდან თავდასხმის საფრთხეც ექმნებოდა.

სამხრეთიდან ვაჰაბიტები აღარ მოუსვენებდნენ, ხოლო როგორც კი ეს უკანასკნელნი ბაღდადის საფაშო ტერიტორიაზე ფეხს შედგამდნენ, მაწინვე ირანის შაჰი, ამ ქვეყნის ხელში ჩაგდებას ადრიდანვე რომ ფიქრობდა, შიიტთა წმინდა ადგილების დაცვის საბაბით, აღმოსავლეთიდან დაიძვროდა.

ითვალისწინებდა რა ყოველივე ამას, სულეიმან ბუიუქმა მიიღო გადაწყვეტილება ვაჰაბიტების წინააღმდეგ ახალი ლაშქრობის მოწყობის შესახებ. მთელ ერაყში კაცები დაიგზავნა, რათა ტომთა ბელადები თავიანთი ლაშქრით ბაღდადს მოსულიყვნენ. ლაშქრობის სათანადოდ მომზადება, მეომრების გაწვრთნა, მათი შეიარაღება, სურსათითა და ტრანსპორტით მომარაგება და საბრძოლო გეგმის შედგენა ქაჰია ჰაფიზ ალის ებრძანა და სარდლობაც მასვე დაევალა.

ლაშქრობა 1798 წელს დაიწყო, ოღონდ არა წლის დასაწყისში, როგორც ა. ადამოვი აღნიშნავს, არამედ შემოდგომაზე. ამას ადასტურებს ჰარფორდ ჯონსის ერთი ცნობაც, სადაც ავტორი ამბობს: „1798 წლის სექტემბერში, როცა... მივედი ბაღდადში, ვნახე, რომ სულეიმანი აგროვებდა... სამხედრო ძალას, რომელიც ქაჰია ალი ფაშას მეთაურობით მაშინ დაბანაკებული იყო ქალაქის გალავნის გარეთ მდ. ტიგროსის დასავლეთ ნაპირთან, და ვაჰაბიტებზე სალაშქროდ ემზადებოდა“[40].

ბაღდადის ლაშქრის საომარი მზადება დიდხანს აღარ გაგრძელებულა. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, 1213 წლის 22 რაბი'ულ-უხრას ჰიჯრით (1798 წ. 3 ოქტომბერს) ქეთხუდა ჰაფიზ ალი ბაღდადიდან ვაჰაბიტების ქვეყნისაკენ გაემართა[41].

ბაღდადის ლაშქარი საჭირო სურსათ-სანოვაგითა და საომარი მასალით დატვირთული 10 000-მდე აქლემით ახლაც ისე, როგორც პირველი ლაშქრობისას, წინ მიიწევდა სამხრეთისაკენ სპარსეთის ყურის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ ძნელად გასასვლელ ადგილებში და ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ იერიში მიიტანა ალ-

---

[40] H. J. Bridges. დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 17.

[41] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

ჰასის რაიონში მდებარე ჰუფუფ-მუბარიზის ციხე-ქალაქებზე. მაგრამ იმის გამო, რომ ჰაფიზ ალი ფაშამ სათანადოდ ვერ გამოიყენა ქვემეხები[42], რასაც მოწინააღმდეგე მოკლებული იყო, შეტევას წარმატება არც ახლა მოჰყოლია. ამან კი აიძულა ის უარი ეთქვა თავიდანვე არჩეულ ბრძოლის ხერხზე და მუჰამედ შაუვის[43] რჩევით, ციხე-სიმაგრეებში ჩაკეტილი მოწინააღმდეგის დამორჩილებას ხანგრძლივი გარემოცვით შეეცადა. მაგრამ ასეთი ტაქტიკა იმ პირობებში, მტრისათვის სასარგებლო იყო. საქმე ისაა, რომ ჰუფუფ-მუბარიზის ალყა ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. ამასობაში ერაყიდან შორს მყოფი ბაღდადის არმიის რიგები საგრძნობლად შეთხელდა. სამხედრო საკურველისა და სურსათ-სანოვაგის მარაგი თითქმის ამოიწურა, შევსებასაც ვერსაიდან ღებულობდა. მეომრებს შორის გახშირდა მითქმა-მოთქმა შინ დაბრუნების შესახებ, დაიწყო დეზერტირობა. ყოველივე ამან მკვეთრად იმოქმედა არმიის ბრძოლისუნარიანობაზე. სამაგიეროდ სულ სხვაგვარად წარიმართა საქმე მოწინააღმდეგის ბანაკში. ვიდრე ჰაფიზ ალი გარემოცვით ცდილობდა სიმაგრეების აღებას, ვაჰაბიტების სარდალმა სუ'უდმა ალყაში მოქცეული ვაჰაბიტების სახსნელად სხვადასხვა ადგილებიდან წამოსული დიდძალი ლაშქარი მიიღო და, როცა საგრძნობლად გაძლიერდა, ბაღდადის ლაშქრის მეთაურს ზავი შესთავაზა და აცნობა: „გავიგეთ ალ-ჰასაში თქვენი მობრძანების მიზეზი და განზრახვა. მაგრამ ალ-ჰასის მოსახლეობამ დაგმო ბოროტებანი[44] ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისინი ხმლით გავამუსლიმეთ.

---

[42] ქვემეხები დაყენებული იყო ისე შორს, რომ ყუმბარები ან ვერ აღწევდა მიზანს ან თე აღწევდნენ, არაეფექტური დამანგრეველი ძალა მათ აღარ ჰქონდათ, — გადმოგეცემს ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. H. J. Bridges, დასახ. ნაშრომი, გვ. 22).

[43] მუჰამედ ბეი შაუვი, უბეიდების ყოფილი შეიხი, ერთხანს სულეიმან ფაშას პირადი მრჩეველი, შემდეგ ფაშას წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების მოთავე, 1798 წელს ჰაფიზ ალი ფაშას გააყოლეს როგორც უდაბნოში ბრძოლების გამოცდილი მეომარი, მაგრამ მოღალატე გამოდგა. ჯერ შეცდომაში შეიყვანა ალი ფაშა,როცა ურჩია საალყო ბრძოლებით მტრის დამარცხება. შემდეგ საიდუმლო კავშირი დაამყარა ვაჰაბიტებია ამირთან, რომელსაც სისტემატურად აწვდიდა ცნობებს ბაღდადის არმიის მოქმედება-მდგომარეობის შესახებ და ბოლოს, როცა შეიტყო, რომ მეციხოვნეებს წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლოთ, გზა გაუხსნა ღამით ვაჰაბიტებს ციხეში სურსათისა და საომარი მასალის შესატანად და ახალი რაზმების შესაყვანად.

[44] დანამდვილებით თქმა იმისა, თე რა გაკეთებითაა აქ ნახმარი სიტყვა „ბოროტებანი“ (არაბ. ملاعين),). ე. ი. რა ბოროტებაზეა ლაპარაკი, ძნელია. მიუხედავად ამისა, რაკი წერილში ნათქვამია, რომ „...ჩვენ (ვაჰაბიტებმა — ბ. ს.) ისი-

ასე რომ, ის დასახელებული ადგილი აღარ შედის რუმის შემადგენლობაში, შორს არის თქვენგან და მისგან ვეღარაფერს მიიღებთ. ალ-ჰასისა და მის გარშემო მყოფმა მთელმა მოსახლეობამ რამდენი მასარიც არ უნდა გადაგიხადოთ, კიდე�აც რომ მოისურვონ ხარკის გადახდა, ის მაინც ვერ აანაზღაურებს იმ ხარჯებს, რაც თქვენ გაიღეთ ამ ლაშქრობისას. ჩვენსა და თქვენს შორის სოვეინამდე ბრძოლა არასდროს არ ყოფილა, მან მოაწყო თავდასხმა და სასჯელიც მიიღო... ახლა კი მოველით ზავს... ის სასარგებლოა ჩვენთვისაც და თქვენთვისაც"[45].

სანამ წერილი ალის ჩაბარდებოდა, ბაღდადის ლაშქრის მდგომარეობა წინანდელთან შედარებით უფრო უიმედო გახდა. შეტევაზე გადმოსულმა ვაჰაბიტების ლაშქარმა დაამარცხა იგი ჰუფუფთან, მუბარიზთან და უკუაქცია. უფრო მეტიც, გადაუკრა უკან დასახვევი გზები, მარილით აავსო სასმელი წყლის ჭები და საქმე იქამდე მივიდა, რომ ჰაფიზ ალის ჯარისკაცები, რომლებიც მანამდე შიმშილისა და მოწინააღმდეგის მახვილისაგან იხოცებოდნენ, — ამიერიდან უწყლობით უნდა დაღუპულიყვნენ. ამიტომ ბაღდადის ჯარის მეთაურმა, როგორც კი მიიღო სა'უდის წერილი საზავო მოლაპარაკების გამართვის შესახებ, ვაჰაბიტების ლაშქრის მეთაურს

ნი ხმლით (ანუ ძალით—ბ. ს.) გავამუსლიმეთო", ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საქმე ეხება ოავდაპირველადი ისლამის ნორმებიდან გადახრას, მასში შემდეგ წარმოქმნილ სექტებს და ყოველივე იმ დამატებათა უარყოფას, რაც ისლამმა განიცადა და რასაც ვაჰაბიზმი ჰგმობს.

[45] العزّاوى, გვ. 131—132. სა'უდის ამ წერილს თარიღი არ უზია. ბბბას ალ-აზზაუისთან ის 1798 წლის ამბებთან დაკავშირებით არის მოხსმობილი. ნამდვილად კი იგი დაწერილი უნდა იყოს 1799 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში ან თებერვლის თვეში. ამას გვაფიქრებინებს ორი გარემოება: 1 ლაშქრობის დაწყების თარიღი (1798 წ. ოქტომბერი) და 2. ჰაფიზ ალის საპასუხო წერილის ის ადგილი, სადაც ბაღდადის ჯარების სარდალი ამბობს: „უკვე 4 თვეა დავდიეარ შენს უსიცოცხლო ქვეყანაშიო" (ალის საპასუხო წერილი სუ'უდისადმი იხ. ქვემოთ).

სუ'უდის ზემოაღნიშნული წერილი მნიშვნელოვანი დოკუმენტია. იგი სრულ წარმოდგენას გვაძლევს ვაჰაბიტების პოზიციის შესახებ ზავის საკითხში და, გარდა ამისა, შესაძლებელს ხდის დაზუსტდეს თარიღი სოვეინის ლაშქრობისა ვაჰაბიტების წინააღმდეგ. რამდენადაც წერილი იმ დროსაა დაწერილი, როცა ომი ჰაფიზ ალისა და სუ'უდის არმიებს შორის წარმოებდა (1798—1799) და მოგვითხრობს სოვეინის მიერვე უკვე მოწყობილ თავდასხმაზე და მის დასჯაზე, ე. ი. სიკვდილზე, ამდენად ცხადი ხდება, რომ ეს ლაშქრობა უფრო ადრე ყოფილა, ვიდრე ჰაფიზ ალისა, ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ მოსაზრება იმის შესახებ, რომ სოვეინს ალ-ჰასაში უნდა ელაშქრა 1801 წელს, მცდარი და მიუღებელია.

ცნობა: „უკვე მივიღე შენი წერილი და ყოველივე, რაც თქვი ზავის შესახებ, გასაგებია. მოგახსენებთ პირობებს: პირველი პირობა ის არის, რომ ამიერიდან არ მიუახლოვდები ალ-ჰასას. მეორე, დააბრუნებ ქონებას, რომელიც წაიღე სოვეინისაგან. მესამე... გადამიხდი ყველაფერს, რაც დავხარჯეთ ამ ლაშქრობისას, მეოთხე, არ შეუშლი ხელს მომლოცველებს, რომელნიც მოვლენ იქ ერაყიდან; არ დაესხმები თავს მოგზაურებს და უარს იტყვი ბრძოლაზე ერაყის წინააღმდეგ“[46].

ასეთი იყო ალი ფაშას მიერ გადაგზავნული დიპლომატიური ნაბიჯი, რომელიც წარმოადგენდა ერთგვარ ცდას, მოწინააღმდეგისათვის ეკარნახა საზავო პირობები და ომი თავის სასარგებლოდ დაემთავრებინა.

ვაჰაბიტების ლაშქრის მეთაურმა ამის საპასუხოდ ჰაფიზ ალის მეორედ მისწერა, ალ-ჰასა თქვენი სამფლობელოდან შორს არის, იგი გამოსულია რუმის მმართველობიდან, ხარჯების საკითხები დარა'იაში მყოფი მამაჩემის საქმეა, ხოლო რაც შეეხება თქვენს მიერ ხსენებულ გზას და მომლოცველებზე თავდასხმების შეწყვეტას, ჩვენ მას შევასრულებთო[47]. ამან საბოლოოდ დაარწმუნა ბაღდადის არმიის მეთაური იმაში, რომ, თუ არა ძალით, სხვანაირად მიზანს ვერ მიაღწევდა. ამიტომ მან უარი თქვა ომის გაგრძელებაზე, როგორც მისთვის უკვე არახელსაყრელ საქმეზე, დაეთანხმა სუ'უდის მიერ წამოყენებულ პირობებს, დაუზავდა მას და ვაჰაბიტ ელჩთან ერთად გადარჩენილი ჯარის ნაწილებით 1799 წ. 5 ივლისს დაბრუნდა ბაღდადში[48], სადაც საბოლოოდ მოხდა მეომარ მხარეთა შორის ალ-ჰასაში მიღწეული საზავო შეთანხმების განხილვა-დამტკიცება სულეიმან ფაშა ბუიუქის მიერ.

ბურკჰარდტის ცნობით, ხელშეკრულება ექვსი წლის ვადით დაიდო[49]. ხელშეკრულების მიხედვით, ალ-ჰასის რაიონი მთლიანად ვაჰაბიტებს რჩებოდა. სამაგიეროდ ისინი ვალდებული იყვნენ უზრუნველეყოთ ერაყიდან ნეჯდის ტერიტორიაზე გავლით მექა-მედინაში მიმავალი სავაჭრო ქარავნებისა და პილიგრიმთა თავისუფალი მოძრაობა, მათი დაცვა მეკობრეთა თავდასხმებისაგან. მაგ-

---

[46] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 132—133.
[47] იქვე, გვ. 133.
[48] იქვე; S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 216.
[49] J. L. Burckhardt, დასახ. ნაშრომი, გვ. 324.

რამ მშვიდობა მალე დაირღვა. აბდ ალ-აზიზმა უარი თქვა საზავო შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე, განაახლა საომარი მოქმედება, დაიკავა ალ-ჰასის აღმოსავლეთით მდებარე ვრცელი ტერიტორია სპარსეთის ყურემდე, მიტაცებული გემებისაგან შეადგინა საზღვაო ფლოტი და საფრთხის ქვეშ დააყენა როგორც ზღვიდან სუსტად დაცული ქ. ბასრა, ისე ერაყ-ინდოეთს შორის იმ ხანად წარმოებული ვაჭრობის საქმე. ამავე დროს მის სამეფოში კვლავაც გრძელდებოდა ვაჰაბიტი ბედუინების ავაზაკური თავდასხმები ბაღდადის საფაშოდან მექა-მედინის წმინდა ადგილების მოსალოცად, თუ სავაჭროდ მიმავალ ერაყელ მგზავრებზე. ერთ-ერთ ასეთ დიდ თავდასხმას და სისხლისღვრას ადგილი ჰქონია ხაზაილის ტომის პილიგრიმებზე 1800 წელს, ნეჯდის რაიონში[50]. იქვე, იმავე წელს ვაჰაბიტები ამგვარადვე მოქცევიან ირანელ მგზავრებსაც[51].

ვაჰაბიტების ამგვარი მოქმედება, ერთი მხრივ, აბდ ალ-აზიზის მიერ ერაყის საფაშო ხელისუფლებასთან დადებული საზავო ხელშეკრულების უხეში დარღვევა იყო, ხოლო მეორე მხრივ, სამხრეთიდან ერაყზე თავდასხმის აშკარა მოახლოებასაც ნიშნავდა. ეს კარგად ჩანს ვაჰაბიტების ამირის მიერ ბაღდადის გამგებლისადმი გაგზავნილი მოთხოვნიდან, სადაც თანახმად ალ-აზზაკის ცნობისა, აბდ ალ-აზიზი ერაყის ხელისუფლებისაგან ითხოვდა 1800 წ. ნეჯდის რაიონში მომხდარი სისხლისღვრის დროს დახოცილ ვაჰაბიტთა გამოსასყიდს[52]. სასყიდად კი უნდოდა მიეღო მთელი ტერიტორია მდ. ევფრატის დასავლეთით, ანადან[53] ბასრამდე[54] ანუ, აბმედ ჯევდეთის ცნობით, „ბასრიდან აშ-შამამდე"[55] (სირიამდე) და მუქარით

---

[50] دوحة الوزراء، بغداد — ١٨٣٥ — ص ٢١٣

[51] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 216.

[52] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 141. აბმედ ჯევდეთის ცნობით, ნეჯდში მომხდარი შეტაკების დროს სულ 300-მდე ვაჰაბიტი დაღუპულა (تاريخ جودت ტ. IX, გვ. 257).

[53] ბაღდადიდან დასავლეთით 40—50 მილით დაშორებული ქალაქი, რომელიც მდებარეობს მდ. ევფრატის ერთ-ერთ კენძულზე და დაარსებულია მეფე არდაშირ ბენ ანანის მიერ (Хуршид Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 159—160).

[54] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

[55] تاريخ جودت, ტ. IX, გვ. 752.

დასძენდა. თუ მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნება, საზავო პირობები დაირღვევაო[56].

საზავო პირობების დარღვევა ფაქტიურად ომის დაწყებას ნიშნავდა. ხოლო ომი განსაკუთრებით არ აწყობდა მაშინ სულეიმან ფაშა ბუიუქს, რომელსაც, ოსმალეთის იმპერიის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გართულების გამო, ცენტრალური ხელისუფლებისაგან არავითარი დახმარების იმედი არ ჰქონდა. მას აღარც თავის სახელოში ჰქონდა საქმე ისე, რომ ვაჰაბიტები საკუთარი ძალებით დაემარცხებინა.

საქმე ისაა, რომ სულეიმანი მაშინ უკვე მოხუცი იყო, ახალგაზრდული ენერგია აღარ ჰქონდა და საფაშოსაც წინანდებურად ვეღარ უძღვებოდა. ამას გრძნობდნენ სასახლეში, გრძნობდნენ მის გარეთაც, მთელს ერაყში, და ყველა თავის სურვილისამებრ მოქმედებდა. საფაშო ხელისუფლების მმართველ აპარატში დასაქმებული მაღალი თანამდებობის მოხელენი ისევ ცდილობდნენ როგორმე ხელში ჩაეგდოთ ხელისუფლება და ერთმანეთის დასაღუპავად ყველაფერს აკეთებდნენ. მათი ამგვარი მოქმედებით სარგებლობდნენ ცალკეული ტომის ბელადებიც. იგრძნეს რა ხელისუფლების სისუსტე, მათ ხელი გაეხსნათ და გააჩაღეს ერთმანეთს შორის ბრძოლა, რამაც განსაკუთრებით მწვავე და ფართო ხასიათი მიიღო ჩრდილოეთ ერაყში უბაიდისა და შამარის ტომებს შორის.

რაკი ერაყში მშვიდობა-ერთიანობა დარღვეული იყო, ხოლო გარედან დახმარების იმედი არ არსებობდა, სულეიმან ფაშა ბუიუქი ფრთხილად მოქმედებდა. იგი ერიდებოდა თავის სამხრეთელ მეზობელთან საქმის გართულებას, ომის დაწყებას, და უნდოდა, რომ მას და ამირ აბდ ალ-აზიზს შორის მშვიდობა შენარჩუნებული ყოფილიყო[57]. ამ მიზნით მან დარა'იაში მიავლინა თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი აბდ ალ-აზიზ ბეგ აშ-შავი, დანასაქმით: შეხვედროდა იქ ამირ აბდ ალ-აზიზს, გაემართა მასთან მოლაპარაკება ჰაჯის საკითხზე და გადაეჭრათ ის 1779 წლის საზავო შეთანხმების საფუძველზე.

---

[56] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

[57] იქვე.

ამგვარი დავალებით ბაღდადის ელჩი ვაჰაბიტების სახელმწიფოს მეთაურს ეწვია 1800 წლის დამლევს. მაგრამ, მიუხედავად მრავალგზის ცდისა, დასახულ მიზანს ვერ მიაღწია. სადავო საკითხის ისეთნაირად გადაწყვეტაზე, როგორც ეს ერაყის ხელისუფლებას უნდოდა, აბდ ალ-აზიზმა უარი განაცხადა. მიზეზი კი ის იყო, რომ აღნიშნული შეთანხმება ვალდებულს ხდიდა მას დაეცვა თავის სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამველელი ერაყელი პილიგრიმების უშიშროება, მათი ხელყოფა მეკობრეთაგან, ხოლო ის ინციდენტი, რომლის დროს დაღუპულ ვაჰაბიტთა გამოსასყიდს იგი ახლა ბაღდადის ფაშასაგან მოითხოვდა, მოხდა სწორედ მის სამფლობელოში, ნეჯდის რაიონში, ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ მექა-მედინაში მიმავალ ხაზაილელ და ნეჯეფელ მომლოცველებზე თავდასხმის შედეგად. მაშასადამე, თუ სადავო საკითხს 1799 წლის ხელშეკრულების მიხედვით განიხილავდნენ, აღმოჩნდებოდა, რომ ნეჯდის რაიონში მომხდარ ამბებზე პასუხი უნდა ეგო ვაჰაბიტების მთავრობას, როგორც შეთანხმების დამრღვევ მხარეს და ხელი უნდა აეღო მოთხოვნაზე, რომელსაც ის ბაღდადის ხელისუფლებას უყენებდა. მაგრამ ამ მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში აბდ ალ-აზიზს ხელიდან ეცლებოდა საბაბი (სულეიმან ფაშა ამას ითვალისწინებდა, როცა თავის ელჩს მოლაპარაკების გეგმას უდგენდა), რომელიც მას სჭირდებოდა ომის დასაწყებად და ევფრატის სამხრეთით მდებარე ერაყის ტერიტორიის დასაპყრობად.

ამიტომ, უარჰყო რა მოლაპარაკების შეთავაზებული გეგმა, აბდ ალ-აზიზმა თავისი აგრესიული ზრახვები აღარ დაუმალა სულეიმანის ელჩს და პირდაპირ უთხრა: მინდა ჩემი იყოს ევფრატის დასავლეთი ანადან ბასრამდეო[58].

მოლაპარაკების მონაწილე მხარის ასეთ განცხადებაზე აბდ ალ-აზიზ ბეგ აშ-შავის თავისი აზრი არ გამოუთქვამს. მან მხოლოდ აღუთქვა ვაჰაბიტების ამირს, პასუხს მიიღებ ბაღდადიდან მას შემდეგ, როცა სამშობლოში დავბრუნდები და ჩემს მთავრობას მოვეთათბირებიო.

ამით მოლაპარაკება შეწყდა და აღარ განახლებულა. აბდ ალ-აზიზ ბეგ აშ-შავიმ დატოვა დარა'ია და ბაღდადისაკენ გაბრუნდა, ხოლო ამირმა აბდ ალ-აზიზმა ომისათვის მზადება დაიწყო, ლაშქარი შეყარა და თავისი ვაჟის სუ'უდის მეთაურობით ერაყის საზღვრისაკენ გაგზავნა.

---

[58] امين الحلواني، مختصر مطالع السعود، بمبي، ١٢٠٤، ص—١٢١.

1801 წლის გაზაფხულზე აბდ ალ-აზიზ ბეგ აშ-შავი ბაღდადში დაბრუნდა, ჰალისში დროებით მყოფ სულეიმანს ეახლა და ის იყო, მოლაპარაკების შედეგები გააცნო, რომ ამ დროს სამხრეთ ერაყიდან მუნთაფიქების შეიხის, ჰამიდ ას-სამირის ცნობაც მოვიდა ვაჰაბიტების მრავალრიცხოვანი ლაშქრის მოახლოების შესახებ[59].

მოსალოდნელი იყო, რომ ერაყზე თავდასხმისას ვაჰაბიტები, პირველ რიგში, შეეცდებოდნენ ბასრის, როგორც საზღვართან ახლოს მდებარე ქალაქისა და სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისითაც მოხერხებული ადგილის ხელში ჩაგდებას. ამიტომ სულეიმან ფაშა ბუიუქმა თავისი ლაშქარი ქაჰია ჰაფიზ ალის მეთაურობით მის გასამაგრებლად გაგზავნა, მაგრამ მოწინააღმდეგემ საზღვარი ბასრის დასავლეთით გადმოლახა. შეტევა ჩრდილოეთით, ცენტრალური ერაყის მიმართულებით განავითარა და ნახევარუდაბნოების გავლით, როგორც ამბის მომსწრე რუსო ამბობს, 1801 წლის 20 აპრილს, როცა ბაღდადის ლაშქარი ჰინდში[60] იყო მისული, ვაჰაბიტების 15-ათასიანი ლაშქარი შიიტთა წმინდა ქალაქ ქერბელაში შეიჭრა[61].

რუსოს ცხობითვე, ვაჰაბიტებმა ორი დღე-ღამე დაჰყვეს ქალაქში და ის დიდად დაუზიანეს: მოკლეს 4 000-ზე მეტი კაცი[62], ნაწილობრივ დაანგრიეს ირანის შაჰების მიერ საუკუნეთა მანძილზე ნაშენები ძვირფასი მეჩეთები, იქიდან გაზიდეს შაჰ აბას I-ის დროიდან მრავალი ათეული წლის მანძილზე ნაგროვები განძეულობა, გაძარცვეს მოსახლეობა და მესამე დღეს, ვიდრე ჰინდიდან წამოსული ჰაფიზ ალი თავისი ჯარით ქერბელას მიუახლოვდებოდა, სუ'უდის ლაშქარი 200 აქლემზე აკიდებული დიდი ნაალაფევით[63] ქალაქს გაეცალა[64]. რუსოს ამ გადმოცემიდან ა ადამოვი აკეთებს

---

[59] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

[60] ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთ ერაყში.

[61] Rousseau, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

[62] აბბას ალ-აზავი აღნიშნავს, ქერბელაზე თავდასხმის დროს დაახლოებით 1000 კაცი მოიკლაო (ალ-ა ზ ა ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 144).

[63] როგორც ს. ცვემერი აღნიშნავს, ნადავლიდან მარტო უცხოური ფული იყო: 6.000 ესპანური დუბლონი, 350.000 ცალი ვენეციური ვერცხლის მონეტა, 400.000 ჰოლანდიური დუკატი, 250.000 ესპანური დოლარი. აურაცხელი ოქროეულეულის ნივთები, ხალიჩები, შალეული, ძვირფასი ქვები და ჭურჭელი (S. Zwemer, Arabia the Cradle of Islam, New-York, 1900, vol. I, p. 196).

[64] Rousseau, დასახ. ნაშრომი, გვ. 72—74.

დასკვნას, თითქოს სუ'უდის ლაშქრობის მთავარი მიზანი იყო ქერბელაში თავმოყრილი სიმდიდრის ხელში ჩაგდება და არა ბასრის დაპყრობა[65], მაგრამ ამირის მიერ 1800 წელს სულეიმან ფაშა ბუიუქისადმი გაგზავნილი ზემოთ მოტანილი წერილის შინაარსიდან ცხადია, რომ ვაჰაბიტების 1801 წლის ლაშქრობა მიზნად ისახავდა ერაყის ტერიტორიის იმ ნაწილის დაპყრობას, რომელიც მდებარეობს „ევფრატის დასაელეთით, ანადან ბასრამდე". რაც შეეხება იმას, რომ მათ შეტევა ქერბელის მიმართულებით დაიწყეს, ეს ბრძოლის წმინდა ტაქტიკური მხარეა, ხოლო დიდძალი განძეულობის ხელში ჩაგდება კი ამ ბრძოლის შედეგი და არა მთავარი მიზანი. ეს რომ ასეა, დასტურდება ბურკჰარტის ცნობითაც, რომლის თანახმად ვაჰაბიტებს ქერბელადან გასვლის შემდეგ აღმოსავლეთის მიმართულებით მდ. ევფრატის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ უცდიათ შეტევის განვითარება იმ განზრახვით, რომ მისულიყვნენ შატ ალ-არაბამდე და მოეწყვიტათ ეს ტერიტორია ბასრასთან ერთად ბაღდადის საფაშოსაგან. მაგრამ ეს ვერ მოუხერხებიათ. აღგილობრივ არაბ მოსახლეობასთან, კერძოდ კი ზუბაირისა და ბეშჰედ ალის არაბებთან ბრძოლაში ისინი დამარცხებულან და თავიანთი ქვეყნისაკენ უკუქცეულან[66].

ამრიგად, დასტურდება, რომ ვაჰაბიტების 1801 წლის ლაშქრობის ძირითადი მიზანი მარტო ქერბელას გაძარცვა კი არ ყოფილა, არამედ ბაღდადის საფაშოს სამხრეთ ნაწილის დაპყრობა და თავიანთი სახელმწიფოს საზღვრის გადაწევა ჩრდილოეთით. გარდა ამისა, ამ ლაშქრობას შეიძლება მოჰყოლოდა ნდგომარეობის გართულება — ომი ირან-ერაყსა და, მაშასადამე, ირან-ოსმალეთს შორის, რადგან ერაყის სამხრეთ ნაწილში მდებარე შიიტთა წმინდა ადგილების, ალისა და ჰუსაინის საფლავების, შეურაცხყოფას, მათი დაპყრობის ან გაძარცვის უფლებას ირანის შაჰი ვაჰაბიტებს არ მისცემდა, თვითონ მოისურვებდა მათ დაპატრონებას და ამ საბაბით ერაყის დაპყრობასაც. მართლაც, იმ დროს, როცა ბაღდადის ხელისუფლების ყურადღება და შეიარაღებული ძალები სამხრეთიდან შემოჭრილ მტერთან ბრძოლით იყო დაკავებული, აღმოსავლეთიდან საფაშოს ახალი საფრთხე დაემუქრა. ირანის მბრძანებელმა ფათჰ ალი შაჰმა შეიტყო თუ არა ქერბელის გაძარცვის ამბავი, ყველაფერი სულეიმან ფაშა ბუიუქის უყურადღებობას მიაწერა და

---

[65] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 394.

[66] J. L. Burckhardt, დასახ. ნაშრომი, გვ. 325.

დაემუქრა, რომ თუკი ერაყის გამგებელი შიიტთა წმინდა ადგილების დაცვას ვერ შესძლებდა, მაშინ მათ პატრონობას თვითონ იკისრებდა[67].

ერაყში გასაგზავნად გამზადებული ირანის 100 000-იანი არმია, შაჰის ბრძანებას ელოდა, მაგრამ მდგომარეობა სწრაფად შეიცვალა. ვაჰაბიტების განდევნამ ერაყის ტერიტორიიდან და საქართველოს შეერთებამ რუსეთთან, რუსეთის სულ უფრო და უფრო გაძლიერებამ კავკასიაში, ფათჰ ალი შაჰი იძულებული გახადა ხელი აეღო განზრახვაზე ბაღდადის საფაშოს მიმართ რომ ჰქონდა, და თავისი ჩრდილოეთი სამფლობელოების დაცვა ამჯობინა.

კავკასიაში ირანისათვის შექმნილი არახელსაყრელი მდგომარეობა საშუალებას აძლევდა ბაღდადის ხელისუფლებას განეგრძო ბრძოლა ვაჰაბიტების წინააღმდეგ და განედევნა ისინი ალ-ჰასის რაიონიდან. ამაში დარწმუნებული სულეიმან ფაშა ბუიუქი აბდ ალ-აზიზის სახელმწიფოს დასალაშქრავად ჯარს ამზადებდა, მაგრამ ალარ დასცალდა, 1802 წლის გაზაფხულზე ის ავადმყოფობამ შეიპყრო და 8 აგვისტოს (ჰიჯრით 1217 წ 8 რაბიუ ლ-უხრა) სახსრების ანთებით გარდაიცვალა[68] 80 წლის ასაკში[69]. დასაფლავებულია ბაღდადში, „იმამ აზამის" სასაფლაოზე[70]. მისმა სიკვდილმა საყოველთაო გლოვა გამოიწვია ერაყსა და მთელ იმპერიაში[71].

---

[67] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 396.

[68] العزّاوى, გვ. 145—146. ს. ლონგრიგი სულეიმან ფაშა ბუიუქის გარდაცვალების თარიღად 1802 წლის 7 აგვისტოს ასახელებს (S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 220). ხოლო მეკმეჯ სურეია — „1805 (1219) წელს" (ثريا محمد, დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 13). სულეიმანი რომ ნამდვილად 1802 წელს გარდაცვლილა და არა 1805 წელს, ეს ჩანს თვით სურეიას სხვა ცნობიდან, რომელშიც ეკითხულობთ: „მისმა უდიდებულესობამ სულეიმან ფაშა ბუიუქი 1779 წლის ოქტომბერში (1193 წ. შავვალს) ბასრის გამგებლად დანიშნა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ბაღდადის ვალიდ გადაიყვანა და ამ თანამდებობაზე 23 წელი დაჰყო." თუკი 1779 წ. ოქტომბერში ბასრის მმართველად დანიშნული სულეიმანი მალე ბაღდადის ვალის თანამდებობაზე გადაიყვანეს, სადაც მან 23 წელი დაჰყო, მაშინ მისი გარდაცვალების თარიღად სწორედ 1802 წ. გამოდის.

[69] تاريخ جودت, ტ. VI, გვ. 161.

[70] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

[71] ثريا محمد, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

* * *

სულეიმან ფაშა 23 წელიწადი ედგა სათავეში საფაშოს და ენერგიული, უნარიანი მოღვაწეობით, ხანგრძლივი ბრძოლებით შესძლო გარეშე მტრების მოგერიება, მეამბოხე ტომთა ბელადების ალაგმვა და შინაური არეულობის დაწყნარება. ყოველივე ამით ხელსაყრელი პირობები მომზადდა, როგორც ვაჭრობა-სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ასევე სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებათა გასატარებლად.

ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ სულეიმანი დაინტერესებული ყოფილა ერაყში სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებით. თუ რაოდენ ყურადღებით ეპყრობოდა იგი ამ საქმეს, ვრწმუნდებით ოლივიეს ცნობიდან, რომელშიც ნათქვამია: „სულეიმანი მსგავსად თავისი წინამორბედისა არავითარ საშუალებას არ ზოგავდა იმისათვის, რათა გამაგრებულიყო ადგილზე. მაგრამ შორს იყო იმ აზრისაგან, რომ დაეჩაგრა ხალხი გადასახადებით. პირიქით, გადაწყვიტა შეემსუბუქებინა მოსახლეობის ცხოვრება და ხელს უშლიდა მოხელეებს იმაში, რომ ჩაედინათ უკანონობა ან ძალადობა. ის ვერ აპატიებდა არაბებს დაერღვიათ შუამდინარეთის ნაოსნობა; მფარველობდა ვაჭრობას, იცავდა მას ყოველნაირად, არ აწესებდა ახალ ფასებს, იცავდა ქარავნებს და ფულად სესხსაც კი აძლევდა უვახშოდ იმ ვაჭრებს, რომლებსაც უბედურება შეემთხვეოდათ, ან სურდათ რაიმე ახალი სასარგებლო საქმის წამოწყება“[72].

ანალოგიური შინაარსის ცნობას ვხვდებით აგრეთვე კლ. უართან, რომელიც, ეხება რა სულეიმან ფაშა ბუიექის მოღვაწეობას, დასძენს: „თავისი სამართლიანობით, მჩაგვრელთა და მტაცებელთა დასჯით, ქვეყანაში სიწყნარისა და კეთილმდგომარეობის განმტკიცებით ახალი გამგებელი ცდილობდა სოფლის მეურნეობის განვითარებას და მისი მეცადინეობის წყალობით იწყო გაფურჩქნა ვაჭრობამ“[73].

წყაროებით დასტურდება, რომ ის „თვითონ ისმენდა გაჭირვებულთა საჩივრებს“[74], იხილავდა მათ საქმეებს, იცავდა უსამართლობისაგან. ამან თავისი შედეგიც გამოიღო. სულ მალე ერაყში

---

[72] G. A. Olivier, დასახ. ნაშრომი, გვ. 350—351.
[73] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.
[74] G. A. Olivier, დასახ. ნაშრომი, გვ. 352.

მოყვანილი ხორბალი, ქერი და სხვა მარცვლეული ირანში გაჰქონდათ გასაყიდად[75].

სულეიმან ფაშა ბუიუქის ასეთ საქმიანობას შედეგად ის მოპყვა, რომ მოკლე დროში ერაყი გახდა „უფრო დიდი და სანოვაგით მდიდარი ქვეყანა, ვიდრე რამდენიმე სამეფო ევროპაში"[76]. მნიშვნელოვნად გაფართოვდა მებაღეობა[77] და მესაქონლეობა, კერძოდ, მისი ისეთი დარგები, როგორიცაა მეცხვარეობა და მეაქლემეობა[78].

ერთი მხრივ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდით, ხოლო, მეორე მხრივ, სავაჭრო-სატრანზიტო გზებზე თავისუფალი მიმოსვლისა და ვაჭრობის უშიშროების უზრუნველყოფით, რასაც ბაღდადის ხელისუფლებამ მიაღწია XVIII ს. 90-იან წლებში, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები, როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვაჭრობის გაფართოებისთვის. სულეიმან ფაშას მმართველობისას ბაღდადი იყო ვრცელი და მდიდარი სავაჭრო ცენტრი, სადაც ყოველი მხრიდან მოდიოდა აზიური და ევროპული ნაწარმი[79].

როგორც ვხედავთ, სულეიმან ფაშა ბუიუქის ეკონომიურ პოლიტიკას უქმად არ ჩაუვლია. ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობას შედეგად მოჰყვა მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მისი გადახდისუნარიანობის ზრდა, ბაღდადისათვის მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო ცენტრის სახელის შენარჩუნება და ყოველივე ამას კი, რაც ხელისუფლებას მეტად აინტერესებდა, საფაშოს წლიური შემოსავლის გადიდებისათვის საჭირო პირობების მომზადება.

XVIII ს. 90-იანი წლებიდან ბაღდადის საფაშოს ხაზინის ფულადმა შემოსავალმა ყოველწლობით იწყო ზრდა და არასრული ცნობებით 1797 წლისათვის ეს თანხა შეადგენდა 5000 ბურსს ანუ 4 000. 000 ფრანკს[80].

---

[75] ზ. შარაშენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.
[76] H. J. Bridges, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.
[77] Rousseau, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.
[78] H. J. Bridges, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.
[79] Rousseau, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

[80] G. A. Olivier, დასახ. ნაშრომი, გვ. 340; العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

შემოსავლის გარკვეული ნაწილი იგზავნებოდა სტამბოლში[81], დანარჩენი კი ხმარდებოდა საფაშო ხელისუფლების განმტკიცებას, ქვეყნის თავდაცვისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებებს.

ბაღდადის გამგებელი ვერ ენდობოდა იენიჩარებსა და დიდგვაროვან არაბებს[82]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ არაერთხელ სცადეს მისი გადაყენება და გამორიცხული არ იყო, რომ მსგავს შემთხვევებს მომავალშიც ჰქონოდა ადგილი. ამიტომ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაშორებლად, სულეიმან ბუიუქმა, ისე როგორც მისმა წინამორბედმა ფაშებმა: ჰასანმა, აჰმედმა და სულეიმან აბუ ლაილმა, თავიდანვე ხელი მიჰყო ქართველი ტყვეების დიდი რაოდენობით შეძენას[83]. ნასყიდი ქართველი ტყვეებით აკომპლექტებდა თავის გვარდიას, წვრთნიდა მათ, შესაფერის განათლებას აძლევდა და უნარის მიხედვით აწინაურებდა პასუხსაგებ თანამდებობებზე. ამგვარად მოახერხა მან საიმედო სამხედრო ძალის შექმნა[84], რომლითაც შეეძლო იენიჩარების, მეამბოხე ტომთა ბელადების მორჩილებაში ყოლა და მაღალი თანამდებობებიდან თურქების გაძევება, მათი ძალაუფლების შეზღუდვა. საბოლოოდ მამლუქთა ხელისუფლება ისე გაძლიერდა, რომ მთელი მმართველობა მათ ხელში აღმოჩნდა[85]. ამიტომ, თუ სულეიმან ფაშა აბუ ლაილი ითვლება საერთოდ მამლუქთა დინასტიის ფუძემდებლად, სულეიმან ფაშა ბუიუქი ქულემენების (ანუ იგივე მამლუქთა) ქართული დინასტიის დამფუძნებელია.

სულეიმან ბუიუქის ინიციატივით XVIII ს. 80-იან წლებიდან ბაღდადის საფაშოში ხორციელდებოდა აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო და აღდგენითი ხასიათის სამუშაოებიც. რასულ ჰავი ეფენდი ქირქუქელის გადმოცემით, სულეიმან ფაშას განუ-

---

[81] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

[82] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 207.

[83] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

[84] კ. ნიბურის თქმით, XVIII ს. 60-იანი წლებისათვის ბაღდადის ფაშას ქართულ გვარდიაში 800 კაცი ყოფილა (Voyage en Arabie et en doutres pais circonvoisins, Amsterdam, 1776, t. II, გვ. 256), 80-იან წლებში იქ ქართველების რიცხვი ორჯერ მეტი იყო, ხოლო 90-იანი წლებისათვის სულეიმან ფაშას დაცვა 4000 მხედრისა და 2000 ქვეითისაგან შედგებოდა (G. A. Olivier, დასახ. ნაშრომი, გვ. 148).

[85] G. A. Olivier, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

ახლებია ბაღდადის გალავანი, ხელახლა შემოუზღუდავს ქალაქი და შემოუვლია თხრილი; ასეთივე გალავანი შემოუვლია აგრეთვე მენდელის, ბასრის, ჰილლესა და მარდინისთვისაც. ბაღდად'ში მას დაუნგრევია ძველი სასახლე და აუგია ახალი უფრო დიდი და კეთილმოწყობილი; აუშენებია მედრესე „სულეიმანიე" შესანიშნავი წიგნსაცავით, მეჩეთები „კაბლანიე" და „ფადლანიე" მედრესეებით, განუახლებია მეჩეთი „ხულაფა�უ" და მოუოქროვებია აბუ ჰანიფას „იმამ აზამის" მინარეთის გუმბათი. 1797—1800 წლებში დელი აბასში, ჩამინსა და ნარინში აუგია ხიდები; ქუთსა და ესქიმოსულში — ციხესიმაგრენი მგზავრთა თავშესაფარად, ჯისანისა და ბადრათის რაიონებში — ბეღლები: ისქანდერიესა და ქერბელაში — ქარვასლები, სასტუმროები, სარაჯინის ბაზარი, ჯისანის, ქუთისა და ბასრის არსენალები[86]. მის დროსვე დაიწყო ჰინდიას არხის გაყვანა ქვემო მუსაიბიდან ნეჯეფის წყალამდე[87]; ქ. ზუბაირის გაშენება ძველი ბასრის ნანგრევებზე, ნახევრად დანგრეული ბასრის აღდგენა[88] და სხვ.

ასეთი ღონისძიებების გატარებას ახერხებდა ბაღდადის საფაშოს ხელისუფლება იმ დროს, როცა მთელი ოსმალეთის იმპერია საერთო დასუსტების გზაზე იყო დამდგარი, როცა თითოეული დერებეიც კი (პროვინციის გამგებელი) სულთნის ხელისუფლებას მხოლოდ ნომინალურად სცნობდა და დედაქალაქი სტამბოლიც ამბოხებულ იენიჩართა სათარეშო არენად იყო ქცეული. ამიტომ სულეიმან ფაშა ბუიუქის ნაყოფიერ მოღვაწეობას იმ დროს იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერაყის კულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცებისათვის, რომ მისი მმართველობის პერიოდს ერაყის ისტორიის სპეციალისტები ოქროსა და ბედნიერების ხანას უწოდებდნენ[89]. არსებობს სრული საფუძველი იმისა, რომ „სულეიმანს ეწოდოს აღმდგენელ-აღმაშენებელი", აღნიშნავს კლ. უარი[90].

---

[86] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 147—148.

[87] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 220.

[88] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 385. სულეიმან ბუიუქის კულტურულ-საგანმანათლებლო და საალმშენებლო საქმიანობას ხაზს უსვამს თურქი ისტორიკოსი აჰმედ ჯევდეთიც (تاريخ جودت, ტ. V, გვ. 261).

[89] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 198; Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.

[90] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

შეიძლება მისი მოღვაწეობის ასეთი შეფასება რამდენადმე გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ის მაინც ცხადია რომ XVIII ს-ის 90-იან წლებში ბაღდადი უცხო ქვეყნებიდან (უმთავრესად ირანიდან) გადმოხვეწილთა თავშესაფარი იყო. ქალაქის მოსახლეობა მოკლე დროში 30—40 ათასი კაცით გაიზარდა[91]. „აშენდა სახლები. აყვავდა მხარეები. აღიკვეთა ბოროტება, გაჩყვნილება, უკანონობა და უსამართლობა, დაცულ იქნა ქვეყანა და ხალხი; საწყისი მიეცა სიკეთეს, სიმშვენიერეს, სამართლიანობას და მოწყალებას", — აღნიშნავს არაბი ისტორიკოსი რასულ ჰავი ეფენდი[92].

ერთი სიტყვით, სულეიმან ფაშა ერაყის ისეთი გამგებელი გამოდგა, რომელიც თავისი თანამედროვის, ბაღდადში მყოფი ფრანგი კონსულის, რუსოს თქმით, „უხვად იყო დაჯილდოებული ძვირფასი თვისებებით — შინებოდათ და ამავე დროს კიდევაც ყვარებოდათ, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ ერაყელებმა მას მეტსახელად სულეიმან „ბუიუქი" ანუ სულეიმან დიდი შეარქვეს"[93].

ეს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე შესანიშნავი ტანადობის მქონე, გამჭრიახი ჭკუა-გონების პატრონი, მომჭირნე და ფართო გაქანების ვაჟკაციც ყოფილა. „სულეიმანი წარმოშობით ქართველი, ძლიერი, ლამაზი და თან ნამდვილი ვაჟკაციც იყო, — ამბობს ჭარფორდ ჯონს ბრიჯსი, — მისი თვალტანადობა თითქოს საგანგებოდ იყო შექმნილი... თვალთაგან გონების ძალა და ლმობიერება გამოსჭვიოდა. ის ისევე მარჯვე იყო ყოველგვარ მხედრულ თუ საველე გაწვრთნილობასა და ჯომარდობაში, როგორც ისინი, ვისთვისაც ეს სამსახურს ან ხელობას წარმოადგენდა. თავისი რჯულის აღიარებასა და წესთა აღსრულებას იგი გულმხურვალედ და გულწრფელად ეკიდებოდა. ამავე დროს პატივს სცემდა სხვათა რწმენასაც, რამდენადაც ეს შეუძლია თურქს... პირად ხარჯებში მეტად ზუსტსა და მომჭირნეს, ხშირად სიძუნწეს სწამებდნენ. მაგრამ საკმაო იყო მას ეგრძნო თავისი ქვეყნის საფრთხე, რომ ხელგაშლით, დაუზოგავად დაეხარჯა საჭიროებისამებრ ყველაფერი, რაც მას თანდათანობით ეგროვებინა მანამდე... სასახლე და კარი ბრწყინვალე ჰქონდა, ხოლო შინაური ცხოვრება და გაქანება ისეთი, რო-

---

[91] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 385.

[92] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

[93] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 385; Rousseau, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

გორც დიდ ხელმწიფეს შეშვენის"[94]. თუ ერაყის მოსახლეობამ სულეიმან ფაშას მეტსახელად „ბუიუქი" შეარქვა, ქურთისტანში ბაბანის ტომის ბელადმა, იბრაჰიმმა მისი სახელის უკვდავსაყოფად და პატივსაცემად სოფელ მალიქ ჰინდის ადგილას 1786 წელს გაშენებულ ქალაქს (რამდენიმე ხნის შემდეგ კი მთელ ყარაჩოლანის სანჯაკსაც) „სულეიმანიე" უწოდა[95].

ქრისტიანად დაბადებული, შემდეგ კი გამუსლიმებული და მუსლიმური ქვეყნის სამსახურში ბოლომდე მყოფი სულეიმან ბუიუქი, რომელმაც გარკვეული კვალი დატოვა ერაყის ისტორიაში, პატივისცემით ეპყრობოდა თავის სამშობლოსა და ხალხს. თუკი სადმე ოსმალეთში წაყვანილსა და იქ უპატრონოდ მიტოვებულ გაჭირვებულ ქართველს შეიგულვებდა, ყიდულობდა, ბაღდადში მიჰყავდა, და, ვინც სამშობლოში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდა, ათავისუფლებდა[96], დანარჩენს კი იქვე იტოვებდა. მათგან ლაშქარს იმრავლებდა, რომ ხელსაყრელ მომენტში სულთნის წინააღმდეგ აღმდგარიყო ისე როგორც ეგვიპტელი მამლუქი ბეგები, და მისი ბატონობიდან გათავისუფლებულიყო[97].

სულეიმანის ასეთი განზრახვა, რომელიც უშუალოდ ერაყის დამოუკიდებლობას გულისხმობდა, რამდენადმე შორეული საქართველოსა და მისი მფარველი რუსეთის ინტერესებსაც ეხმაურებოდა, რადგან ამას უნდა მოჰყოლოდა რუსეთ-საქართველოს წინააღმდეგ მუდამ მტრულად განწყობილი ოსმალეთის დასუსტება[98].

---

[94] H. J. Bridges, დასახ. ნაშრომი, გვ. 190—191.

[95] K. Ritter, დასახ. ნაშრომი, ტ. IV, ნაწ. II, გვ. 566—67.

[96] ამის ერთ-ერთ დადასტურებაა ჩვენი თანამემამულის, ვინმე აბდ ალ-სინამის გათავისუფლების მოწმობა, რომელიც გაცემულია ქ. ბაღდადში სულეიმან ფაშა ბუიუქის მიერ 1793/4 წელს (1208 წ. ჯუმადა ალ-ავალს) და ინახება საქ. სსრ ცენტრალური ისტორიული არქივის თურქულ საბუთთა კოლექციაში, № 558. (საბუთი მოგვასწავლა პროფ. ს. ჯიქიამ, რომელსაც მადლობას მოვახსენებთ).

[97] „ამჟამად ბაღდადის ფაშა სულეიმან ხალიფა ქართველი გახლავთ, ოთხი ათასი ქართველი ტყვეები ახლავს. სულ თავისი ნასყიდი... ყოველთვის მოლოდინი აქვს ოსმალთ უბედურება შეემთხვეს, რომ გათავისუფლება სწადს"-ო აღნიშნავს ეგვიპტიდან დაბრუნებული ელჩი II-ის დიპლომატიური წარმომადგენელი, არტილერის პოპორეჩიკი მ. კაკაკაშვილი თავად პოტიომკინისადმი გაგზავნილ 1787 წ. 10 მაისის მოხსენებით ბარათში (ЦГАДА, ф. 15, д. 192, л. 18).

[98] ეს კარგად ჩანს მ. კაკაკაშვილის მიერ პოტიომკინისადმი გაგზავნილ მოხსენებითი ბარათიდანაც, სადაც ნათქვამია: „რა მისრი და არაბია სულთანს წაუელენ ყმობიდან და საბეფო რიგი დაუწესდებათ ოსმალთ... ხალიფაფი შუა გაეყოფათ. თე მისრი და ბარბარია (უნდა იყოს არაბია — ბ. ს.) ოსმალთ დაიჭირეს და გამგრეს, როგორც განზრახული აქვთ, დროთი კიდევ გაძლიერდებიან, რომ ქრისტიანობას აენონ" (ЦГАДА, ф. 15, д. 192, л. 192, л. 18).

ერაყის მმართველი ჟულემენების ქართული დინასტიის წარმომადგენლები და მათი პოლიტიკური კურსი

(1802—1831 წწ.)

თავი პირველი

ჰაფიზ ალი ფაშა

სულეიმან ფაშა ბუიუქს სამი ვაჟი (ბენათ სა'იდი, სა'იდ ბეგი, სალიჰ ბეგი)[1] და ოთხი ქალიშვილი ჰყავდა[2]. მამის გარდაცვალების დროს ვაჟები მცირეწლოვნები[3] ყოფილან; ქალიშვილთაგან ერთი, ყველაზე უფროსი, სახელად ხატიჯე, ცოლად ჰყავდა ქაჰია ჰაფიზ[4] ალი აღას, მეორე — სელიმ აღას, ბასრის მუთასალიმს; მესამე — ნასიფ აღას, ხოლო მეოთხე — ხაზინადარ დაუდ აღას. მცირეწლოვანი ვაჟიშვილები საფაშოს გამგებლად არ გამოდგებოდნენ. ეს უფლებას აძლევდა ფაშას სიძეებს, როგორც მის ერთგვარ მემკვიდრეებს და თანაც საფაშოში ყველაზე მაღალი თანამდებობის მოხელეებს, თვითონ ეფიქრათ ერაყის ხელისუფლების სათავეში მოქცევაზე. ამავე დროს, სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ მათ გარდა საფაშო ხელისუფლების ხელში ჩაგდება სურდათ იენიჩარების აღას, სულეიმან ბუიუქის დავთარდარს, მარდინის მუთა-

---

[1] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 162; محمد ثرى, დასახ. ნაშრომი გვ. 93.

[2] تودت جودت تاريخ, ტ. V, გვ. 261.

[3] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

[4] حفيظ — მცოდნე, სწავლული. ასე უწოდებდნენ მეტსახელად ალი აღას ყურანის ზეპირად ცოდნის გამო.

სალიმს და შაუვის არაბული ტომის წარმომადგენელს, რომელიც საფაშოს საგარეო საქმეთა უწყებას განაგებდა.

რაც დრო გადიოდა, მდგომარეობა მით უფრო რთულდებოდა და 1802 წელს, როცა 80 წელს მიღწეული, ხანგრძლივი ავადმყოფობისაგან დაუძლურებული სულეიმან ბუიუქი დღე-დღეზე სიკვდილს ელოდა, დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

ტახტის მაძიებლები, რომლებიც, გარდა იენიჩარების აღასა და შაუვის ტომის წარმომადგენლისა, ტომით ყველა ქართველები იყვნენ. შეადგინეს თავთავიანთი ჯგუფები, რათა გაეჩაღებინათ დაუნდობელი ბრძოლა. სულეიმან აბუ ლაილის შექმნილი და სულეიმან ბუიუქის მიერ განმტკიცებული მამლუქთა რეჟიმი საფრთხეში აღმოჩნდა, მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ საქმე სხვანაირად შეატრიალა.

დაახლოებით 50 დღის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სულეიმან ფაშა ბუიუქმა საბოლოოდ დაკარგა იმედი განკურნებისა „და, როცა სიკვდილი მოახლოვდა, მომაკვდავმა იხმო სიძენი. ალი აღა თავის შემცვლელად დანიშნა და მისცა ზოგიერთი რჩევა-დარიგება"[5], ხოლო დანარჩენებს მოუწოდა აუცილებლად დამორჩილებოდნენ ერთმანეთს[6].

ფაშას ამ გადაწყვეტილებამ რამდენადმე გაარკვია სადავო საკითხი იმის შესახებ თუ ვის უნდა დარჩენოდა ხელისუფლება.

ალი აღა სიმამრის სიცოცხლეშივე შეუდგა საფაშოს მართვა-გამგეობას. სხვა მამლუქებმა მიიღეს ბუიუქის რჩევა და მხარი დაუჭირეს ალის საფაშო ხელისუფლების სათავეში მოქცევას. ამით მდგომარეობა ბაღდადში საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ საფრთხე სისხლისღვრისა ჯერ მაინც არსებობდა, რადგან სულეიმანის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ისიც ცხადი გახდა, რომ ძალაუფლება ერაყში მამლუქთა ხელში რჩებოდა. ეს ამბავი კი განსაკუთრებით აღელვებდა ოსმალეთის სულთანს, აგრეთვე, მამლუქთა რეჟიმით უკმაყოფილო პირებს, კერძოდ, იენიჩარებს და მათ მეთაურს აჰმედ აღას. ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა ალი აღასთვის ხელისუფლების ჩამორთმევა და 2 აგვისტოს ინგლისის რეზიდენტს ბაღდადში სთხოვა, გადაეცა სათანადო შინაარსის წერილი ბრიტანეთის სტამბოლელი ელჩის ხელით სულთან სელიმ III-

---

[5] تاريخ جودت, ტ. V, გვ. 261.

[6] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

სათვის, თეითონ კი საომრად მოემზადა, ჩაიკეტა ციხესიმაგრეში[7] და 7 აგვისტოს, სულეიმანის გარდაცვალებამდე ერთი საათით ადრე, სროლა აუტეხა სასახლეს.

ბრძოლა ოთხ თვეს გაგრძელდა და ბოლოს ალი აღას გამარჯვებით დამთავრდა. განსაკუთრებით დიდი დახმარება გაუწია ალის მოსახლეობამ, რომელმაც მხარი დაუჭირა მას, როგორც ქულემენების დინასტიის წარმომადგენელს, ხელისუფლების კანონიერ მემკვიდრესა და საფაშოს ფაქტიურ მბრძანებელს[8].

დამარცხებული აჰმედ აღა თავისი 14 მოკავშირით შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. ბაღდადში სიწყნარე აღსდგა და ახლა უკვე ალი აღას ბედი იმაზე იყო დამოკიდებული თუ რა პოზიციას დაიკავებდა ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება მის მიმართ, როგორ შეხედავდა ბოლო ოთხი თვის განმავლობაში ბაღდადში მომხდარ ამბებს.

სულეიმან ბუიუქის სიკვდილმა და საფაშოს დედაქალაქში დაწყებულმა არეულობამ, სულთნის წინაშე პირველ რიგში დააყენა საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ბაღდადის ვალი. სელიმ III-ის ბრძანებით, უფრო ადრე, ვიდრე ალი აღასა და მის მოწინააღმდეგე აჰმედ აღას შორის გამართული ბრძოლა დამთავრდებოდა, ბაღდადის საფაშოს გამგებლად დაინიშნა შაქლან ფაშა[9]. მაგრამ ქალაქის მოსახლეობამ, რომელიც აჰმედ ფაშას დროიდან (1723—1747 წ.) მიჩვეული იყო გამგებლის თვითონ არჩევას, ამჯერადაც არ უღალატა თავის წესს. მათ უარი უთხრეს შაქლანს ბაღდადში შეშვებაზე და სულთანს სთხოვეს საფაშოს მმართველად დაემტკიცებინა სულეიმან ბუიუქის ქაჰია ალი აღა[10]. რარიგ მიუღებელიც არ უნდა ყოფილიყო ოსმალეთის ხელისუფლებისათვის ბაღდადელთა ამნაირი საქციელი, იმპერიის საგარეო და საშინაო მდგომარეობა იმდენად არახელსაყრელი იყო, რომ თხოვნაზე უარს ვერ იტყოდნენ.

---

[7] تاريخ جودت, ტ. V, გვ. 261—262.

[8] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

[9] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

[10] Л. Адамов, Ирак Арабский, стр. 396—397. იმისათვის, რომ ბაღდადელთა თხოვნაზე სტამბოლში უარით არ ეპასუხნათ ალი აღას სულეიმან ფაშა ბუიუქის ქონებიდან 60 000 გირვანქა სტერლინგი გაუგზავნია საჩუქრად სულთნისათვის (S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 222).

ეს ის დროა, როცა მიმდინარეობდა ევროპის პოლიტიკური რუკის გადასინჯვა, როცა რიგმა სახელმწიფოებმა ვეღარ გაუძღეს ნაპოლეონ ბონაპარტის სამხედრო მანქანას და შეწყვიტეს არსებობა. საქმე ისე მიდიოდა, რომ მდგომარეობა არ შეიცვლებოდა, დახავსებული ოსმალეთიც მათ ბედს გაიზიარებდა. ამ მხრივ მათთვის საგულისხმო გაკვეთილს წარმოადგენდა ფრანგების ლაშქრობა (1798 წ.) ეგვიპტესა და სირიაში, ამიტომ ოსმალეთის ხელისუფლება იმედს თვალით უყურებდა ახლა რუსეთს და ელოდა მისგან „თავისი ოლქების დაცვას საფრანგეთის ავი ზრახვებისაგან"[11].

რუსეთის დიპლომატია სარგებლობდა ამ შემთხვევით და ფრთხილად თავის საქმეს აკეთებდა[12]. სტამბოლში დაისვა საკითხი 1774 წელს ქუჩუქ კაინარჯში რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ[13]. ა. იტალინსკის დავალებული ჰქონდა ეწარმოებინა მოლაპარაკება ოსმალეთის მთავრობასთან იმის თაობაზე, რომ ამ უკანასკნელს უარი ეთქვა დასავლეთ საქართველოზე და ხელი არ შეეშალა რუსი ჯარის შესვლისათვის ამ მხარეში[14]. რაც შეეხება საქართველოს უმაღლეს მმართველსა და მთავარსარდალს გენერალ პ. ციციანოვს, ის ახალციხის შემოერთებასაც აპირებდა[15].

არახელსაყრელ საგარეო ვითარებასთან ერთად ოსმალეთის მთავრობას საშინაო მდგომარეობაც ვერ ჰქონდა მტკიცე. იმპერია უკვე ხრწნის პროცესში იყო და მისი შეჩერება აღარ შეიძლებოდა ისე, თუ ცენტრალური ხელისუფლება არ განამტკიცებდა ეკონომიურ-მატერიალურ ბაზას, რისთვისაც საჭირო იყო სახელმწიფოს შიგნით სათანადო ცვლილებების მოხდენა, უწინარეს ყოვლისა კი იენიჩართა ჯარისა და სამხედრო ლენური სისტემის გაუქმება. მაგრამ ამის გაკეთება არც იოლი საქმე იყო და ვერც მშვიდობიანი გზით მოხერხდებოდა. ამისათვის აუცილებელი იყო სამ-

---

[11] Отношение гр. Воронцова к кн. Цицианову, от 5 августа 1803 г., (АКАК, т. II, стр. 873—4).

[12] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. IV, стр. 89.

[13] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (19 საუკ.), თბ., 1954, გვ. 53.

[14] Всеподданнейший рапорт кн. Цицианова, от 17-го августа, 1803 года № 33, (АКАК, т. II, стр. 453-4).

[15] Отношение гр. Воронцова к кн. Цицианову от 5-го августа, 1803 года (АКАК т. II, стр. 873—4).

ხედრო ძალა, რათა მისი საშუალებით ხელისუფლებას შესძლებოდა თავგასული ფეოდალების დამორჩილება.

სწორედ ასეთი მიზნით სელიმ III-მ თავისი რეფორმების გატარებისას (1786—1792 წწ.) დაიწყო არმიის რეორგანიზაცია. იგი შეუდგა ევროპულად გაწვრთნილ-შეიარაღებული და დისციპლინიანი რეგულარული ახალი ჯარის — „ნიზამი ჯედიდ"-ის[16] შედგენას, მისთვის სამხედრო ბინებისა და სასწავლებლების შენებას, საartილერიო პარკის მოწყობა-გაფართოებას, ქვემეხების ჩამომსხმელი, გემსაშენი, დენთის ქარხნების აგებას და საზღვაო ფლოტის შექმნას[17]. ᲔᲡ უნდოდა აგრეთვე ცვლილებების შეტანა სამოქალაქო მმართველობაშიც[18], ხოლო ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ეს ერთად აღებული საჭიროებდა დიდძალ თანხას. ხაზინა კი კარგა ხანია ᲕᲔᲦᲐᲠ ფარავდა სახელმწიფო ხარჯებს.

ფინანსურ კრიზისს შედეგად მოჰყვა ის, რომ დაიწყო გადასახადების გადიდება და ამასთან დაკავშირებით გლეხთა მღელვარების ზრდა. გლეხების მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა ის, რომ ისინი სახელმწიფოს გარდა გადასახადს უხდიდნენ აგრეთვე ფეოდალებს, რიჯალიებს (სახელმწიფო მოღვაწეებს) და სხვა დიდებულებს. „რიჯალიები და არისტოკრატები, — აღნიშნავს რუმელიის ყაზიასკერი (მუსლიმთა სასულიერო მეთაურის — შეიხულ-ისლამის შემდეგ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ დიდი თანამდებობის პირი ოსმალეთის იმპერიაში) თათარჯიკ აბდალაჰ ეფენდი სულთნისთვის გაგზავნილ მოხსენებით ბარათში, — სასახლეების შენახვაზე უზარმაზარ ფულს ხარჯავენ. ამისათვის... იღებენ ქრთამებს და ეწევიან გამოძალვას. თავიანთ მალიქანეებში, მუკატა'ებში და ზეამეთებში ისინი მულთაზიმისაგან ღებულობენ სამ-ოთხჯერ მეტს, ვიდრე ეკუთვნით, და თანაც 40—50 წლით ადრე. ამის გამო ხალხი უძლურდება მძიმე გადასახადების ქვეშ"[19].

მუსლიმებთან შედარებით უფრო უარეს მდგომარეობაში იყვ-

---

[16] ახალი რეგულარული ჯარის გარდა „ნიზამი ჯედიდ" ახალ სისტემასაც ნიშნავდა. სელიმ III-ის საკანონმდებლო აქტი ამ ახალი სისტემის შექმნის შესახებ გამოვიდა სისტოვისა და იასის საზავო ხელშეკრულებების (1791—1792 წწ.) დადების შემდეგ. პირველი აქტი, რომელიც 1792 წ. გამოვიდა, აუქმებდა თიმარებსა და ზეამეთებს, ხოლო 1793 წ. გამოსული „სამხედრო აქტები" უფრო ერცელ რეორგანიზაციას ითვალისწინებდა.

[17] Коллас, История Турции, СПб., 1882, стр. 68.

[18] А. Ф. Миллер, Мустафа паша Байрактар, стр. 87.

[19] იქვე.

ნენ სხვა სარწმუნოების ხალხები. მაგ., ბოშებისაგან ჯიზიას იღებ-დნენ 100—110 პიასტრს, ნაცვლად დაწესებული 4—5 პიასტრისა[20]. აუტანელ პირობებში ჩაყენებული გლეხები ბოლოს იძულებული ხდებოდნენ აყრილიყვნენ, ტოვებდნენ სახლ-კარს, სამუშაოს და გარბოდნენ. „ისინი, — განაგრძობს აბდალაჰ ეფენდი, — დღე და ღამე მუშაობენ ცოლ-შვილთან ერთად მშიერ-მწყურვალნი, ფეხ-შიშველნი და მხოლოდ იმისათვის, რათა გადასახადები გადაიხადონ, მაგრამ ამასაც ვეღარ ახერხებენ, რადგან აღარ შესწევთ ძალა და ხალხს ეხდება... მშობლიური მიწა-წყლის და სახლის მიტოვება; უმეტესობა ადგილებისა და სოფლებისა დანგრეულია მთლიანად, დარჩენილია უმაცხოვრებლებოდ, ბევრი უცხოეთშიც კი გაიქცა“[21].

მშრომელი მოსახლეობისა და სოფლის მეურნეობის გაპარტა-ხების შედეგად უფრო მკვეთრად კლებულობდა სახელმწიფოს წლიური შემოსავალი, ეცემოდა ფულის კურსი[22], უარესდებოდა ფინანსური მდგომარეობა, ძლიერდებოდა შინაფეოდალური და ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული ბრძოლები რუმელიაში, ანატოლიაში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, ეგვიპტეში, სირიაში და სხვაგან.

მართალია, ეგვიპტეში ნაპოლეონ ბონაპარტის ინტერვენცია დამარცხდა, ომი დამთავრდა, უცხოეთის ჯარები გაყვანილ იქნა და თურქეთ-საფრანგეთის 1801 წლის, აგრეთვე ინგლის-საფრანგე-თის 1802 წ. საზავო ხელშეკრულებათა საფუძველზე ეს მხარე მთლიანად ოსმალეთს დაუბრუნდა, მაგრამ შინაური ბრძოლა იქ 1803 წელსაც არ იყო დამთავრებული. ამჯერად დავა მიმდინა-რეობდა უკვე იმის გამო, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეგვიპტის ფაქ-ტიური გამგებელი, სტამბოლის წარმომადგენელი ფაშა, თუ ფრან-გებთან ომში ყველაზე მეტად დაზარალებული, ომამდე ამ მხარის თითქმის სრული ბატონ-პატრონი მამლუქი ბეგები?

სელიმ III-ის ბრძანებით ეგვიპტეში მმართველად გაიგზავნა დიდი ვაზირი მეჰმედ ხოზრევ ფაშა, რომელსაც დავალებული ჰქონდა აგრეთვე მამლუქების საბოლოოდ მოსპობა-განადგურება. ამავე დროს, სულთნის ბრძანებით აიკრძალა ეგვიპტეში კავკასიე-

---

[20] А. Ф. Миллер, Мустафа паша Байрактар стр 87.

[21] იქვე.

[22] 1800 წელს პიასტრი უდრიდა 2 ფრანკს, ხოლო 1803 წელს — 1 ფრანკსა და 60 სანტიმს.

ლი ტყვე-მონების შეყვანა-გაყიდვა იმ განზრახვით, რომ მამლუქ ბეგებს არ შეძლებოდათ თავიანთი რიგების შევსება-გაძლიერება. მიუხედავად ასეთი ღონისძიებებისა, მამლუქებმა მუჰამედ ალფისა და ოსმან ბარდისის მეთაურობით დაამარცხეს ხოზრევ ფაშას ჯარი (1803 წელს), ალბანთა კორპუსის მეთაურის მუჰამედ ალის ხელშეწყობით შევიდნენ კაიროში და აღადგინეს თავიანთი ძალაუფლება ეგვიპტეში. რაც შეეხება ხოზრევ ფაშას, ის შეიპყრეს და შეიხუ ლ-ბალადმა (ქ. კაიროსა და ბეგების უფროსმა) იბრაჰიმ ბეგმა (ი. სინჯიკაშვილმა) სიკვდილით დასაჯა. ასეთივე შედეგით დასრულდა ხოზრევის შემდეგ მამლუქთა ძალაუფლების დასამხობად სტამბოლიდან ეგვიპტეში გაგზავნილი ალი ჯეზარ ფაშას ლაშქრობაც[23].

რუმელიაში სელიმ III-ის წინააღმდეგ შეუპოვრად იბრძოდა იენიჩარების მფარველი, ვიდინიის ფაშა ფაზვანდ ოღლუ ბოსნიელ ალი ბეგ ვიდაიჩთან ერთად, სერბიელთა დაიებისა (იენიჩარების უფროსები) და კირჯალიების (ჯარიდან დათხოვნილი, უმიწაწყლოდ დარჩენილების) აქტიური მხარდაჭერით[24].

სერბიაში მზადდებოდა სიფაჰიების და რაიების ანტიოსმალური ბრძოლა ყარა გიორგის მეთაურობით.

ალბანეთში წარმატებით იბრძოდა ალი ფაშა თეფედენელი (იანინოელი), რომელმაც 1800—1803 წლებში დაამარცხა სულიოტები, დაიკავა ალბანეთთან ერთად ეპირი, მორეია, აგრეთვე ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის სხვა ოლქები და შექმნა სრულიად დამოუკიდებელი სამეფო[25].

სტამბოლში გრძელდებოდა იენიჩარების მღელვარება. ისინი მოითხოვდნენ „ახალი სისტემის“ გაუქმებას და უარს ამბობდნენ რუმელიაში საომრად წასვლაზე.

არაბეთის ნახევარკუნძულზე ვაჰაბიტებმა იმდენად გააფართოვეს საომარი მოქმედება, რომ 1802 წლის შემოდგომაზე დაიკავეს ჰიჯაზის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაეუფლნენ მექას, გაძარცვეს ის და იმას გარდა, რომ ოსმალეთის იმპერიას ჩამოაცილეს ეს ტერიტორია, ამავე დროს საბოლოოდ შელახეს თვით სელიმ III-ის

---

[23] А. Б. Клот-Бей, Египет в прежнем и нынешнем своем состоянии, СПб., 1843, ч. I, стр. X.

[24] Л. Ранке, История Сербии по сербским источником, М., 1876, стр. 97—98, 106.

[25] Е. Феоктистов, Борьба Греции за независимость, СПб.в, 1863, стр. 10--11.

როგორც სულთნის, ხალიფასა და მუსლიმური სამყაროს უწმინდესი ქალაქის დამცველის ავტორიტეტი[26]. იმავე 1802 წელს ბრძოლები დაიწყო აგრეთვე ქურთისტანში, დიარბაქრში და, ბოლოს, ბაღდადში[27].

იმპერიის ასეთი რთული საშინაო და საგარეო ვითარება რომ არა, ბაღდადის საკითხი შეიძლება სულ სხვაგვარად დასრულებულიყო. მაგრამ ეს გარემოება ოსმალეთის ხელისუფლებას პირდაპირ კარნახობდა, რომ მიეღო ბაღდადელთა თხოვნა საფაშოს გამგებლად ალი აღას დანიშვნის შესახებ. ეს მისთვის სასარგებლო იქნებოდა თუნდაც იმიტომ, რომ ამგვარი დათმობით შეიძლებოდა, როგორც მშვიდობის აღდგენა ერაყში, ასევე მისი ჯარის გამოყენება ვაჰაბიტების წინააღმდეგ. ამ მოსაზრებით სულთანმა სელიმ III-მ შეცვალა თავისი პირველი გადწყვეტილება. 1803 წლის 11 იანვარს (ჰიჯრით 1217 წ. რამაზანის 17-ს), ინგლისელების რჩევით[28], ალი ბაღდადის გამგებლად დაამტკიცა და საპთულიანი ფაშას ტიტული უბოძა.

* * *

როგორც აღვნიშნეთ, ალი ფაშა წარმოშობით ქართველი იყო[29]. წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ ის დაბადებულა აფხაზეთში[30], დაახლოებით 1762 წელს[31], სახელად რქმევია იოსები[32]. იგი ღარიბი გლეხის ოჯახიდან უნდა იყოს გამოსული, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ თვითონ იოსები ერთი აფხაზის, ეინმე მადადბეგის ყმად არის მოხსენიებული[33].

---

[26] А. Адамов, Ирак арабский, стр. 397.

[27] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

[28] تاريخ جودت, ტ. V, გვ. 253.

[29] M. Rousseau, დასახ. ნაშრომი, გვ. 22; А. Адамов, Ирак арабский, 1912, стр. 397.

[30] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 162; ლ. კორანსე ფიქრობს, რომ ალი ფაშა დაბადებული უნდა იყოს ბესარაბიაში (L. A. Corancez, Histoire des Wahabis depuis leur Origine jusqu'à la fin de 1809, Paris, 1810, p. 11).

[31] رسول حاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 239.

[32] АКАК, т. III, გვ. 424 და 519.

[33] «Madad Beg of Abazah race... and son of a Caucasian whose slave Aly had been in childhood» (S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 224.).

ჯერ დაუდგენელია, თუ როდის ან რა ვითარებაში მოუხდა იოსებს საქართველოდან წასვლა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ იგი ძალიან ახალგაზრდა მიუყვანიათ ბაღდადში[34] და ჩაურიცხავთ სულეიმან ფაშას „ქართულ გვარდიაში". იქ მამლუქთა სასწავლებელში მან მიიღო შესაფერისი განათლება და შემდეგ დაწინაურდა.

სამოღვაწეო ასპარეზზე ალი გამოდის XVIII ს-ის 90-იანი წლებიდან. ჯერ მუშაობდა საფაშოს ხაზინადარად, 34 წლისამ მიიღო ქაჰიას თანამდებობა, ხოლო 6 წლის შემდეგ ბაღდადის საფაშოს გამგებელი გახდა.

ალი ფაშას მმართველობამ სულ ხუთ წელიწადს გასტანა. ეს პერიოდი წინააღმდეგ კლ. ჰუარისა, რომელიც ფიქრობს, რომ „იყო სრული სიწყნარის დრო"[35], — ერაყის ისტორიაში უნდა აღინიშნოს, როგორც საშინაო ამლილობის, საგარეო ბრძოლებისა და ყოველივე ამის შედეგად ქვეყნის საერთო დაქვეითების ხანა.

ამ დროს ქვეყნის შიგნით მიმდინარეობდა აჯანყებები, ერთმანეთს ედავებოდნენ ცალკეული ტომის ბელადები. ქურთისტანი მოითხოვდა დამოუკიდებლობას, აჯანყებულთა წინააღმდეგ დაუცხრომლად მოქმედებდნენ საფაშო ხელისუფლების ინტერესთა დამცველი რაზმები. საფაშოში მშვიდობის დარღვევითა და მუდმივი ბრძოლებით, რაც ასუსტებდა ხელისუფლებას, სარგებლობდნენ მეზობელი სახელმწიფოები (ირანი, ვაჰაბიტების სამეფო), ცდილობდნენ როგორმე მოექციათ ერაყი თავიანთი გავლენის სფეროში, ერეოდნენ მის საშინაო საქმეებში და ესხმოდნენ თავს.

ასეთ პირობებში ბაღდადის ფაშას უხდებოდა, როგორც საშინაო ამბების მოგვარება, ასევე გარეშე სახელმწიფოთა თავდასხმების მოგერიებაც. თუმცა ხდებოდა ისეც, რომ ის ზოგჯერ თვითონაც ემზადებოდა მეზობელ სახელმწიფოებზე თავდასასხმელად, ხან საკუთარი ნებითა და ინიციატივით, ხან კიდევ სულთნის დაკინებითი მოთხოვნითა და ძალდატანებით.

ზემოაღნიშნული არახელსაყრელი საგარეო ვითარება და სამხედრო რეფორმების შედეგად შექმნილი რთული მდგომარეობა იმპერიის შიგნით, ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებას არ-თმევდა იმის საშუალებას, რომ თავისი შეიარაღებული ძალები გაეგზავნა სამხრეთში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, ვაჰაბიზმის

---

[34] Rousseau, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

[35] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

რელიგიურ სამოსელში გამოხვეული ძლიერი სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის წინააღმდეგ. არადა, ვაჰაბიტების სამხედრო წარმატებები ნეჯდში, ჰიჯაზში და მათ მიერ მეწაშული ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს დაკავება, რის შემდეგ შეეძლოთ კავშირის დამყარება ზემო ეგვიპტის ტერიტორიაზე მოქმედ მამლუქებთან და ერთიანი ძალით ბრძოლის წარმართვა ოსმალების წინააღმდეგ, — სერიოზულ საფრთხეში აყენებდა თურქების ბატონობას არა მარტო არაბეთში, არამედ მესოპოტამიასა და მთელ მცირე აზიაშიც. საშიშროების თავიდან ასაცილებლად სტამბოლში 1803 წელს, მიიღეს გადაწყვეტილება, რომლითაც არაბი „პურიტანების" დამარცხება, მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ოსმალთა ძალაუფლებისა და მის სათავეში მდგომი სულთნის (ამავე დროს ხალიფას) ავტორიტეტის აღდგენა-განმტკიცებას სელიმ III ავალებდა ვაჰაბიტების სახელმწიფოს მოსაზღვრე თავის ქვეშევრდომი პროვინციების: დამასკოს, ალეპოს, ჯიდდას და ბაღდადის ფაშებს[36]. მაგრამ ბაღდადის საფაშოში იმ დროს ადგილი ჰქონდა მძლავრ აჯანყებებს, რომლებიც თანდათან ფართოვდებოდა და საშიშ მდგომარეობაში აყენებდა საფაშო ხელისუფლებას. ამიტომ ალი ფაშამ გადაწყვიტა პირველ რიგში ქვეყნის საშინაო საქმეების მოგვარება, აჯანყებულთა დასჯა-დამორჩილება და საფაშოში მშვიდობის აღდგენა. ამ მიზნით მან 1803 წელს ილაშქრა ქურთისტანში, დაიმორჩილა და დახარკა აჯანყებული ბილბასის ტომი, ჩააქრო მუჰამედ ფაშა ჰილალის მეთაურობით დაწყებული მღელვარება მოსულში, დააწყნარა ჯებელ სინჯარის მხარე, ტელაფარში სიკვდილით დასაჯა აჯანყებული შამარის ტომის ბელადი მოლალატე მუჰამედ აშ-შაუვი ძმასთან ერთად და შემოდგომაზე დაბრუნდა ბაღდადში.

აჯანყებების ჩაქრობით ალი ფაშამ მოახერხა ერაყში სიწყნარის აღდგენა, საფაშოს ტერიტორიის გაერთიანება და თავისი ხელისუფლების განმტკიცება. ამის შემდეგ იგი შეუდგა ვაჰაბიტების წინააღმდეგ სალაშქროდ მზადებას, ჯარის შეგროვებას, სურსათ-სანოვაგით, იარაღ-საჭურველითა და გადასაზიდი საშუალებით მის მომარაგებას. მაგრამ ვიდრე ამას მოასწრებდა, ვაჰაბიტების სახელმწიფოში მოხდა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა მდგომარეობა.

საქმე ისაა, რომ 1803 წლის 4 ნოემბერს (1218 წ. რაჯაბის 18,

---

[36] Л. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 398.

ჰიჯრით) ერთმა ირანელმა, სახელად აღან მულამ, რომელმაც 1801 წელს ქერბელაზე ვაჰაბიტების თავდასხმისას, დაღუპული თავისი 3 შვილის სისხლის აღების მიზნით ვაჰაბიტობა მიიღო და ამირის მსახური გახდა, — მოჰკლა ვაჰაბიტების სახელმწიფოს მეთაური აბდ ალ-აზიზი. ამ უკანასკნელის ვაჟმა და ტახტის მემკვიდრემ სუ'-უდმა მამის მკვლელობაში ბრალი ბაღდადის ფაშას ჰაფიზ ალის დასდო და იმავე წლის დასასრულს თავისი ლაშქრით ერაყის დასაპყრობად გაემართა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. იგი ბასრა-ზუბაირის მისადგომებთან გამართულ ბრძოლაში დამარცხდა[37]. ამ თავდასხმამ დაარწმუნა ბაღდადის ფაშა, რომ საჭირო იყო უფრო ენერგიული მოქმედება ვაჰაბიტების წინააღმდეგ და 1804 წლის ბიწურულს 75 000-იანი ლაშქრით ბაღდადიდან სამხრეთისაკენ დაიძრა, ჰილეში დაბინავდა და იქ გამოიზამთრა. გაზაფხულზე იმის შიშით, რომ არაბეთის უნაყოფო ველებში ხანგრძლივი ლაშქრობისას ვერ უზრუნველყოფდა თავის ვეება ლაშქარს წყლითა და სურსათ-სანოვაგით, ალი ფაშამ მიზანშეუწონლად მიიჩნია მთელი ჯარის გაგზავნა და დაადგა პარტიზანული ბრძოლის გზას, რითაც მისდა უნებურად გაუიოლა ბრძოლა ვაჰაბიტებს. ჰილედან გაგზავნილ ბაღდადის ლაშქრის მცირე რაზმებს თავს ეხსმოდნენ უდაბნოს კარგად შეგუებული სუ'უდის მხედრები და ანადგურებდნენ მათ 5 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, სანამ ქურთისტანში ხელახლა დაწყებულმა აჯანყებებმა არ აიძულა ალი ფაშა თავისი ნახევრად განადგურებული ლაშქრით დაბრუნებულიყო ბაღდადში.

მას შემდეგ, როცა ალი ფაშა დაბრუნდა ბაღდადში და შეუდგა აჯანყებული ქურთების დაწყნარებას, ვაჰაბიტები სუ'უდის ვაჟის აბდულას მეთაურობით არაერთხელ შეიჭრნენ ერაყის ტერიტორიაზე, მაგრამ წარმატება ვერ ნახეს. სამაგიეროდ სუ'უდმა ამ ხანებში შემოიმტკიცა მასკატი, 1804 წლის დასასრულს დაიკავა ქ. მედინა, განამტკიცა თავისი ხელისუფლება ჰიჯაზში (ჯიდას გამოკლებით) — მუსლიმთა წმინდა ადგილების ქვეყანაში, მომლოცველთა ქარავნებს გადაუკეტა მექა-მედინაში შესასვლელი გზები, დააწესა მათზე ბაჟები, უჩვეულოდ გაზარდა თავისი სამეფო ძალა, ავტორიტეტი და ბოლოს ბრძანება გასცა მექა-მედინის მეჩეთებში ხალიფა-სულთნის ნაცვლად მისი სახელი მოეხსენებინათ[38].

სუ'უდის ამ ბოლო ღონისძიებამ, უფრო მეტად კი იმან, რომ შეწყვეტილ იქნა „ჰაჯი" (მომლოცველთა შეშვება მექა-მედინა-

[37] L. A. Corancez, დასახ. ნაშრომი, გვ. 52—53 და შმდ.

[38] იქვე, გვ. 66—67 და შმდ; А. Адамов, დასახ ნაშრომი, გვ. 400.

ში), შეაშფოთა როგორც ოსმალეთის ხელისუფლება, ასევე მსოფლიოს ყველა ქვეყნის მაჰმადიანი. სტამბოლში სულთნის სახელზე ყოველი მხრიდან მიდიოდა მოთხოვნები, რომლებშიც ისინი სელიმ III-ს მოუწოდებდნენ, მიეღო გადამწყვეტი ზომები შეაჩერებინიდან ვაჰაბიტების გასაძევებლად.

რამდენადაც ეს თხოვნები ოსმალეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებსაც შეესაბამებოდა, სულთნის დიკანში კანხილვისას მიიღეს ის და 1806 წელს სელიმ III-ის ბრძანებები დაეგზავნათ ალეპოს, ჯიდას, დამასკოს და ბაღდადის გამგებლებს ვაჰაბიტების წინააღმდეგ საომარი მზადების შესახებ. პირადად ალი ფაშას წინადადება მიეცა თავს დასხმოდა საʼუდის სახელმწიფოს ერაყის მხრიდან იმ ანგარიშით, რომ უზრუნველეყო თურქეთის არმიის შესვლა და წარმატებები ჰიჯაზის ტერიტორიაზე[39].

ალი ფაშა ამჯერადაც საფაშოს შინაური ამბების მოგვარებით იყო დაკავებული და სტამბოლიდან მიღებული ბრძანების შესასრულებლად აღარ ეცალა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1805 წელს, როცა ბაღდადის არმია ვაჰაბიტებს ეომებოდა, ყარაჩოლანის ბეგმა აბდ არ-რაჰმან ფაშა ბაბანმა (ადრე სულეიმანიეს ყოფილმა გამგებელმა, რომელიც ალი ფაშამ თანამდებობიდან გადააყენა) დაიწყო მეზობელი სანჯაკების დაპყრობა ქურთისტანში. ის თავს დაესხა ქოის სანჯაკის გამგებელს მუჰამედ ფაშას და სასტიკად გაუსწორდა მას. ალთუნ კუპრისთან დაამარცხა სულეიმანიეს ფაშა ხალედი, დაიკავა შაჰრიზურის დიდი ნაწილი, გადაუდგა ბაღდადის ფაშას და მოემზადა მასთან საბრძოლველად.

ერაყის ჩრდილო ნაწილში შექმნილმა ასეთმა სერიოზულმა ვითარებამ აიძულა ალი ფაშა შეეწყვიტა საომარი მოქმედება ვაჰაბიტებთან და თავისი არმიის ნარჩენებით გაეშურა აბდ არ-რაჰმანის დასასჯელად. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ქირქუქის მახლობლად და დასრულდა ბაღდადელთა გამარჯვებით. დამარცხებული ქურთების ლაშქარი ალი ფაშას დანებდა, ხოლო მათი მეთაური ბრძოლის ველიდან გაიქცა და ერთხანს თავს აფარებდა ბილბასის ტომში (ჩრდილოეთ ერაყში) იმ იმედით, რომ ეს უკანასკნელი ლაშქრით დაეხმარებოდა, მაგრამ, როცა იმედი გადაუწყდა, წყალობის სათხოვნელად ირანში გაემგზავრა[40].

---

[39] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 400.

[40] Rousseau, დასახ. ნაშრომი, გვ. 104—105; Cl. J. Rich, Narrative of a Residence Koordistan, Londen, 1836, p. 384.

ირანში ამ დროს ქერიმ ხან ზენდის გარდაცვალების შემდეგ ტახტის მაძიებელთა შორის გაჩაღებული ბრძოლა და შინაფეოდალური არეულობა უკვე დამთავრებული იყო. XIX საუკუნის დამდეგისათვის ფათჰ ალი შაჰმა (იგივე ბაბა ხანმა) თავის ხელისუფლებას დაუშორჩილა ხორასანი, აქამდე ნადირ შაჰის შვილიშვილს რომ ეკავა. მან დროებით ბოლო მოუღო ქვეყნის დაქსაქსულობას, მოახერხა ერთიანი სახელმწიფოს შექმნა და საომარი მოქმედება გადაიტანა ქვეყნის გარეთ. ჩრდილოეთში ის აქტიურად ებრძოდა რუსეთს და იცავდა კავკასიის მიტაცებულ მიწა-წყალზე შექმნილ თავის სამფლობელოებს. დასავლეთში კი სარგებლობდა რა ოსმალეთის იმპერიის საერთო კრიზისით, აპირებდა ერაყ-ქურთისტანის თურქული ნაწილების დაპყრობას. ამიტომ, გასაგებია, რომ ასეთ დროს აბდ არ-რაჰმან ფაშას გამოცხადებას შაჰის კარზე დახმარების სათხოვნელად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ირანის ხელისუფლებისათვის. ეს იყო ყველაზე ხელსაყრელი შემთხვევა, რომელიც საბაბს აძლევდა შაჰს ჩარეულიყო ოსმალეთის საშინაო საქმეში და განეხორციელებინა თავისი გეგმები ერაყ-ქურთისტანის მიმართ. ლტოლვილი ფაშა პატივით მიიღეს თეირანში და, რადგან ირანი მაშინ რუსეთს ეომებოდა, პირველ ხანებში აბდ არ-რაჰმანს ის აკმარეს, რომ სათანადო გასამრჯელო დაუწესეს და საიმედო თავშესაფარი მიუჩინეს. როცა 1806 წელს ირან-რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკება ჩაიწყო, ბაბა-ხანმა სხვა წყალობაც არ მოაკლო მას. წერილებით მიმართა როგორც ალი ფაშას, ასევე სელიმ III-ს, რომლებსაც სთხოვა აბდ არ-რაჰმანის დაბრუნება ქურთისტანში და სულეიმანიეს გამგებლად მისი დანიშვნა[41]. ამავე დროს მან თავისი უფროსი ვაჟი მუჰამედ ალი მირზა ქერმანშაჰის გამგებლად გაამწესა, საგანგებო უფლებებით აღჭურვა, დიდი ლაშქარი ჩააბარა[42] და ერაყის საზღვართან დადგომა უბრძანა[43].

ირანის ხელისუფლების ამგვარ მოქმედებას ალი ფაშა, ცხადია, გულგრილად ვერ შეხვდებოდა, მან უფრო ადრე, ვიდრე

---

[41] Rousseau, დასახ. ნაშრომი, გვ. 105, იხ. აგრეთვე «Les representations a faire ā Joussouf Pacha et au Grand Visir du Sultan de Roum» (АКАК, т. III, стр. 520).

[42] რუსოს სიტყვით, ეს ლაშქარი 29000 კაცისაგან შედგებოდა (იხ. მისი დასახ ნაშრომი, გვ. 105). გენ.-მაიორ ნესვეტაევის ცნობით კი მისი რიცხვი 30000 უნდა ყოფილიყო (АКАК, т. III, стр. 520).

[43] R. G. Watson. A History of Persia from the begining of the XIX Century to the year 1858, London, 1866, pp. 155—156.

სტამბოლიდან რაიმე განკარგულებას მიიღებდა, უარყო შაჰის წინადადება. თავისი ლაშქრით საფაშოს აღმოსავლეთ საზღვრის გასამაგრებლად გაემართა. ქ. ხანეკინში დაბანაკდა და შაჰის ვაზირის მირზა შაფისათვის გაგზავნილ საპასუხო წერილში თავის მხრივ ირანის მთავრობას მოსთხოვა, რომ აჯანყებული აბდ არრაჰმანი გადაეცა ბაღდადის ხელისუფლებისათვის[44].

გარდა ამისა, მან ქოის გამგებელს ჯაფარ ყული ხანს გაუგზავნა შეკრიკი წერილით, რომელშიც მოუწოდებდა საერთო მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ[45].

ამნაირად, ომი ერაყსა და ირანს 'მორის და მაშასადამე, ირანსა და ოსმალეთს შორისაც 1806 წლის გაზაფხულზე გარდაუვალი გახდა. ოსმალეთმა დაიწყო ომისათვის მზადება, მაგრამ ევროპაში ნიმდინარე ამბებმა, კერძოდ, რუსეთ-საფრანგეთს შორის მდგომარეობის გამწვავებამ, ნაპოლეონ ბონაპარტის კარნახით ოსმალეთი ჩააბა რუსეთთან ომში[46]. ეს გარემოება სხვა მიზეზებთან ერთად ხელს უშლიდა ოსმალეთს დაეწყო ომი ირანთან. ალბათ ამიტომ ამჯობინა სელიმ III-მ უკან დახევა და ალი ფაშას უბრძანა სასწრაფოდ დაბრუნებულიყო ბაღდადში.

სანამ სტამბოლში ირანთან ომის საკითხი გადაწყდებოდა, ამასობაში შაჰის ხელისუფლებასაც ეცალა გუნება. რუსეთთან საზავო ხელშეკრულების ჩაშლამ, ასევე იმანაც, რომ საფრანგეთის დიპლომატია მას ურჩევდა ოსმალეთთან ბრძოლის დაწყების მაგივრ რუსეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების გაგრძელებას, რათა ამ უკანასკნელს შესაძლებლობა არ მისცემოდა თავისი ჯარების თავმოყრისა და მთელი ძალით ფრანგების წინააღმდეგ მოქმედებისა, ფათჰ ალი შაჰს ხელი ააღებინა ერაყ-ქურთისტანის დაპყრობის განხორციელებაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა,

---

[44] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 401.

[45] Письмо гр. Гудовича к барону Будбергу, от 30-го августа 1806 года, № 35 (АКАК, 1869 г. т. III, стр. 520).

[46] «К Султану же писал французский Бонапарте, соглашая его иметь с Россиею войну, уверяя, ежели согласен будет на оное, то взамен Крымм отдан будет султану. Секретарь говоря сие, уверял меня, что Султан на такое предложение согласен, однако же сего не обнаруживает, а имеет переписку секретную как с французами, так и с пашами, а собираться всем войсками предписано в Карс» (Выписка из письма от 22-го сентября из Караклиса, полученного в Тифлисе 24-го того же сентября от К. Р. Аршагова при дистанции Памбакской находящегося за переводчика (АКАК, 1869, т. III, стр. 524).

ბაღდადის ფაშამ იგი თავიდან მაინც ვერ აიცდინა. მაშინ, როცა ის თავისი ლაშქრით ქ. ხანეკინიდან საფაშოს დედაქალაქში დაბრუნდა, აბდ არ-რაჰმან ფაშა ირანის სამხედრო რაზმებით ქურთისტანში შეიჭრა. ამავე დროს, ერაყს ომის საფრთხე დაემუქრა სამხრეთიდანაც. გრძელდებოდა ვაჰაბიტების თავდასხმები, რაც ყველაზე მეტ ზიანს აყენებდა საზღვრისპირა რაიონებს — ბასრასა და მის გარშემო დასახლებული პუნქტების მოსახლეობას. 1806 წლისათვის მდგომარეობა იქ ისე გართულდა, რომ ბასრაში ყოფნა უკვე საშიში იყო, რის გამოც ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ადგილობრივი წარმომადგენელი იძულებული გახდა, ბაღდადის ფაშას ნებართვით, ბასრის პირისპირ, შატ ალ-არაბის მარცხენა ნაპირზე მდებარე პატარა დასახლებულ პუნქტ გირდილანში ფორტი აეგო, რათა ინგლისელ ვაჭრებს საჭირო შემთხვევაში საშუალება ჰქონოდათ დაეცვათ თავი და თავიანთი ქონება თავდამსხმელებისაგან[47].

ერაყში შექმნილმა ვითარებამ ალი ფაშა აიძულა თავისი შეიარაღებული ძალები ორად გაეყო და ნაწილი გაეგზავნა სამხრეთის საზღვრების გასამაგრებლად, ხოლო ნაწილი კი ჩრდილოეთში, ამბოხებული აბდ არ-რაჰმანის წინააღმდეგ.

ალი ფაშას მოქმედებას იმ დროს სისტემატურად ადევნებდა თვალს ირან-ოსმალეთს შორის უთანხმოების გამწვავებით დაინტერესებული რუსეთის დიპლომატია, რომლის ზოგიერთი მოღვაწის ბიმოწერაში სათანადო ცნობებს ვპოულობთ ერაყ-ქურთისტანის ამ ბრძოლების შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა 1906 წლის 17 სექტემბერს პოლკოვნიკ სიმონოვიჩის მიერ საქართველოში ჯარების უფროს გენერალ-მაიორ ნესვეტაევისათვის გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ის ქურთისტანის შესახებ იტყობინება, რომ „ბაღდადის ფაშამ ორ ბრძოლაში გაანადგურა სპარსელები"[48].

უფრო გვიან, 24 სექტემბერს, ყარსიდან დაბრუნებული კ. არშაგოვი იმავე კომპანიის შესახებ წერდა: „ბაღდადის ჯარს არა ერთხელ ჰქონდა შეტაკება სპარსელებთან და პირველად სპარსელებმა დაკარგეს 14 000 კაცი... ხოლო მეორედ სპარსელებმა დახოცეს ბევრი ბაღდადელი თურქი"-ო[49]. სხვა ცნობებითაც დასტურდება,

---

[47] J. L. Burckhardt, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 206.

[48] Рапорт полк. Симоновича ген. - м. Несветаеву от 17-го сентября 1806 года, № 298 (АКАК, 1869 г., т. III, стр. 524).

[49] Выписка из письма от 22-го сентября, из Караклиса, полученного в Тифлисе 24-го того же сентября от К. Р. Аршагова при дистанции Памбакской находящегося за переводчика» (АКАК, т. III, стр. 524).

რომ აბდ არ-რაჰმანის წინააღმდეგ გაგზავნილ ალი ფაშას 60 000-იან ლაშქარს ქაჰია სულეიმან ბეგის (ტომით ქართველი იყო) მეთაურობით პირველად მართლაც გაუმარჯვნია და უკუქცეულ მტერს ირანის ტერიტორიაზე შეჰყოლია[50], მაგრამ შემდეგ, როგორც რ. უოტსონი აღნიშნავს, დამარცხებულა: „თურქები დამარცხდნენ და სპარსელებმა მოსულის მისადგომამდე სდიესო"[51]. შემდეგ კი იმასაც დასძენს, რომ ბაღდადის არმიის მეთაური ირანელებს დაუტყვევებიათ და თეირანში გაუგზავნიათ, ხოლო შაჰს შეუწყალებია, გაუთავისუფლებია და ამის საზღაურად აბდ არ-რაჰმანისათვის შაჰრიზურის ბეგლარბეგობა დუმტიცებიათ[52].

იმ დროს, როცა ჰაფიზ ალი ფაშას ხმლის ქნევა უხდებოდა ჩრდილოეთით და სამხრეთით მოძალებულ მტრებთან, ბაღდადში შეიქმნა ოპოზიციური ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგა 1804 წელს ბათუმიდან ჩასული ალის ყოფილი ბატონი, მადად ბეგი[53].

აბას ალ-აზავის ცნობით, „ის საიდუმლოდ შეუთანხმდა მუატაფა აფხაზს, აგრეთვე მის მსგავსთ და მათ, რვა თუ ცხრა კაცმა, პირობა დასდეს, მოეკლათ ვაზირი"[54]. სანამ ამას შეასრულებდნენ, შეთქმულების ერთ-ერთმა მოთავემ, ალი ფაშას ქვისლმა, ნასიფ აღამ, სულეიმან ბუიუქის გარდაცვალების შემდეგ ბაღდადის საფაშოს გამგებლის თანამდებობის დაკავებას რომ ლამობდა, ქალაქში აგიტაცია გააჩაღა და ალის ბრალი დასდო მოღალატეობაში, კერძოდ, ვაჰაბიტებთან კავშირში და ტყუილად სისხლის ღვრაში. ვ. ლუკის მიხედვით, შეთქმულება ორგანიზებული იყო ინგლისის დახმარებით[55].

1807 წელს შეთქმულებმა მოახერხეს ფაშას მსახურთა გარკვეული ნაწილის მოსყიდვა და 29 აგვისტოს[56] (1222 წ. 24 ჯუმადა

---

[50] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 402.

[51] R. G. Watson, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

[52] იქვე: А. Иоаннисян, Присоединение Закавказья к России и международные отношения в начале XIX столетия, Ереван, 1958, стр. 133.

[53] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 224; تاريخ جودت, ტ. VIII გვ. 268.

[54] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 178.

[55] В. Б. Луцкий, Новая история арабских стран, М., 1966, стр. 57.

[56] ლონგრიგის აზრით, 18 აგვისტოს, ხოლო ამმედ ჯევდეთისა კი 20 აგვისტოს.

სანიეს ჰიჯრით), როცა ჰაფიზ ალი სასახლეში დილის ლოცვას ასრულებდა, მადად ბეგმა იგი მოწამლული ხანჯლით განგმირა[57]. დასაფლავებულია სასახლის მახლობლად მის მიერვე აგებულ მედრესეში[58].

როგორც ვნახეთ, ალი ფაშას მმართველობის წლები იყო გაუწყვეტელი ბრძოლის ხანა ერაყის ისტორიაში და ხასიათდებოდა ქვეყნის როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიური დასუსტებით. პოლიტიკურად ეს გამოიხატა ბაღდადის საფაშოდან ქურთისტანის ფაქტიური ჩამოშორებით 1806 წელს. ეკონომიურად კი იგი იმაში მდგომარეობდა, რომ ის გაუთავებელი ომები, რომლებიც ერაყის გამგებელს ჰქონდა გარეშე თუ შინაურ მტრებთან, მოითხოვდა ჯარის რიგების ზრდას, ე. ი. ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაციას. ამას თან სდევდა საქალაქო ცხოვრებისა და სოფლის მეურნეობის დაცემა, ამავე დროს გაიზარდა სახელმწიფო ხარჯები და მოთხოვნილება სურსათ-სანოვაგესა და საბრძოლო აღჭურვილობაზე, ურომლისოდაც ალი ფაშას მიერ ფრანგულ ყაიდაზე შექმნილ ახალ არმიას არც მოქმედება შეეძლო და არც არსებობა. ასეთი აუცილებლობით საფაშოში დაიწყო ფულადი გადასახადის ზრდა და გადასახდელმა თანხამ 7,5 მლნ პიასტრს მიაღწია[59].

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ფულადი გადასახადის გარდა მოსახლეობა იხდიდა მრავალი სახის ნატურალურ გადასახადსაც, მაშინ გასაგები იქნება, თუ რაოდენ მძიმე უნდა ყოფილიყო ბაღდადის საფაშოს მოსახლეობის მწარმოებელი ფენების მდგომარეობა.

ალი ფაშას საბრძოლო გზის ერთი თვალის გადავლებითაც კი შეიძლება დავრწმუნდეთ იმაში, რომ ის სამხედრო ნიჭით დიდად ჩამოუვარდებოდა მის წინამორბედ გამგებლებს სულეიმან აბუ ლაილსა და სულეიმან ბუიუქს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ იგი საკმაოდ ფრთხილი და წინდახედული მოღვაწე იყო, რომელმაც თავისი მოქმედებით არა მარტო შემკვიდრეობით მიღებული ტერიტორიის დაცვა შესძლო სიცოცხლის ბოლო ხანებამდე, არამედ დააინტერესა რუსეთის საიდუმლო დიპლომატია. თუმცა

---

[57] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

[58] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

[59] Rousseau, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

საამისო მასალები გვაკლია ჯერჯერობით, მაგრამ არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ჰაფიზ ალი ფაშას დროიდან ბაღდადის გამგებელ ქართველ ფაშებსა და კავკასიის რუს ხელისუფალთა შორის მყარდება პოლიტიკური ურთიერთობა[60], რაც აშკარად ჩანს მისი გარდაცვალების შემდეგ, სულეიმან ფაშა „ქუჩუქი"-ს გამგებლობის დროს (1807—1810).

თავი მეორე

სულეიმან ფაშა ქუჩუქი

ერაყის გამგებელი „ქულემენების" დინასტიის ერთ-ერთი წარჩინებულია სულეიმან ფაშა „ქუჩუქი"[1], რომელსაც თანამედროვე არაბი ისტორიკოსები სულეიმან III-ს უწოდებენ.

ა. ადამოვისა და ჯ. კინეირის აზრით, სულეიმან „ქუჩუქი" ქართველია[2], ამბავად ჯევდეთის მიხედვით კი აფხაზი[3]. დაბადებულა 1785 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში და მის ძიძიშვილთან[4] ერთად ბაღდადში წაუყვანია ბიძამისს ალი ფაშას[5], ბაღდადში მიყვანილი პატარა სულეიმანი სასახლის კარზე იზრდებოდა. იქვე მიიღო

---

[60] ამ მხრივ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს გრაფ გუდოვიჩის მიერ ბარონ ბუდბერგისადმი გაგზავნილი წერილი (1806 წ. 30 აგვისტო, №35), რომელშიც სხვათაშორის ნათქვამია: «Командующий войсками в Грузии ген.-м. Несветаев от 11-го августа уведомил меня..., что к Джафар-Кули-Хану Хойскому, находящемуся у нас от Багдадского беглербека Али-паши прыбыл посланный с письмом в котором он... приглашает Джафар-Кули-Хана Хойского к себе для действия против Баба-Хана» (АКАК, 1869, т III, стр. 520). აგრეთვე გენერალ-მაორ ნესვეტაევის მიერ ბარონ როზენისათვის გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი (1806 წ. 25 სექტ. № 22), სადაც ეკითხულობთ: «Считаю нужным отправить лазутчика в Багдад увериться в сражениях Турецких с персиянами и что там происходит» (АКАК. т. III, стр. 524).

[1] ქუჩუქ — მცირე, ასე ეძახდნენ მას ერაყში.

[2] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 405; «Soliman was a Georgian by birth» (J. Kinneir, დასახ. ნაშრომი, გვ. 309).

[3] تاريخ جودت, ტ. IX, გვ. 246.

[4] იქვე, ტ. XI, გვ. 22; Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

[5] მეჩქედ სერეის მიხედვით სულეიმანი ალის დისშვილი იყო (ثريا محمد, დასახ. ნაშრომი, გვ. 93).

სათანადო აღზრდა-განათლება და მალე დაწინაურდა. ცხრამეტი წლისას ქაჰიას თანამდებობა უბოძეს და საფაშოს შეიარაღებული ძალების სარდლობა მიანდეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1806 წ. მაისში ახალგაზრდა სულეიმან ბეგი ხელმძღვანელობდა ქურთისტანის ლაშქრობას, რომლის დროსაც ის დაატყვევეს და გაგზავნეს შაჰის კარზე თეირანში. რამდენიმე თვის შემდეგ მან თავი დააღწია ტყვეობას[6] და ბაღდადში დაბრუნდა. 1807 წელს სულეიმანი ხელმეორედ დანიშნეს ქაჰიას თანამდებობაზე. იმავე წლის აგვისტოში ალი ფაშაზე თავდასხმის დროს ის შემთხვევით გადარჩა და ბიძის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ ხელში აიღო საფაშოს გამგებლობა, როგორც ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ (ალის დისშვილმა, ქაჰიამ და სიძემ), სათავეში ჩაუდგა შეიარაღებულ ძალებს, დაიკავა სახელმწიფო დაწესებულებები, ხაზინა და შეთქმულების განადგურება შეუდგა. არტილერიის მომარჯვებით და ფრანგი ოფიცრების[7] დახმარებით მან შესძლო სასახლის ხელში ჩასაგდებად იერიშზე გადმოსულ ნასიფ აღას რაზმების უკუქცევა, გაათავისუფლა მოწინააღმდეგის მიერ დაკავებული ქალაქის უბანი და საბოლოოდ დაამარცხა შეთქმულნი, მათი ბელადები (ნასიფ აღა, მადად ბეგი, მუსტაფა აბაზა) შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა.

სულეიმან ბეგის გამორჯვებით კმაყოფილი ბაღდადის დიდკაცობა — სწავლულნი და დიდებულნი სასახლეში შეიკრიბნენ, ქაჰიას ერთგულება შეჰფიცეს, ერთხმად ტახტის მემკვიდრედ აირჩიეს და მირმირანის წოდება უბოძეს. შემდეგ, ჩვეულებისამებრ, თავიანთი გადაწყვეტილება საგანგებო შიკრიკის ხელით ოსმალეთის მთავრობას გაუგზავნეს და სთხოვეს, რომ ბაღდადის საფაშოს გამგებლად დამტკიცებინა სულეიმან ბეგი[8]. თავის მხრივ ის პირობას სდებდა, რომ გადაიხდიდა 10 000 ბურსს (5 მილ პიასტრს), რომლის ნახევარი სულეიმან ბეგიუქის გადაუხდელი თანხა, ხოლო დანარჩენი ალი ფაშას გადასახდელი ფული იყო[9]. მაგრამ სტამბოლში იმ დროს სულ საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღეს. სულთნის ხელისუფლებას „სურდა ბაღდადის განთავისუფლება მონა მხედრებისაგან“[10], ე. ი ქართველი ქულამენებისაგან, რომლებმაც 1749

---

[6] L. A. Carancez, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

[7] ისინი ალი ფაშამ მოიწვია საარტილერიო ქვეგანაყოფის შესაქმნელად და არტილერისტთა გასაწვრთნელად.

[8] А. Вандаль, Наполеон и Александр I, СПб., 1910, т. I, стр. 391.

[9] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

[10] تاريخ جودت, ტ. VIII, გვ. 270.

წელს ხელში აიღეს ძალაუფლება ბაღდადის საფაშოში და ისე მოძლიერდნენ, რომ XVIII საუკუნის 90-იანი წლებიდან ხშირად სხვადასხვა მიზეზით უარს ამბობდნენ სულთნისათვის სავალდებულო წლიური გადასახადის მიცემაზე, თვითონ ირჩევდნენ ტახტის მემკვიდრეს, კავშირი ჰქონდათ უცხო ქვეყნებთან, კერძოდ ინგლისთან და ამიერკავკასიაში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ან მათ აგენტებთან; საქართველოდან მიჰყავდათ ნათესავები, ყიდულობდნენ უცხოეთში წაყვანილ ტყვე ქართველებს და ასე ზრდიდნენ თანამემამულეთა რიცხვს სამშობლოდან შორს მდებარე ერაყის ცენტრში. ჯევდეთის ცნობით, 1797 წლისათვის მარტო ბაღდადში 1000-მდე მონა მხედარი იყო[11], სხვა მონაცემებით კი ოთხჯერ მეტი. დაახლოებით ამდენივე ქართველი გაფანტული იყო საფაშოს სხვა ქალაქებში და ეკავათ ხელმძღვანელი პოსტები. ასე მაგ., „ჰილლეს რაიონს, რომელიც გადაჭიმულია ჩრდილო ჰუსეინიიდან სამხრეთით მდებარე ჰასამდე... ყოველთვის განაგებდა ან თურქი ან ქართველი"[12], რომ არაფერი ვთქვათ ქ. ბასრაზე, საიდანაც დაწინაურდნენ ერაყის პირველი ქართველი გამგებლები სულეიმან I (აბუ ლაილი), სულეიმან II (ბუიუქი), სულეიმან III (ქუჩუქი), მისი ძიძიშვილი აჰმედ ბეგი, დაუდ ფაშას ძმა დიმიტრი და სხვები. ერთი სიტყვით, ქართველი ქულემენების სახით ოსმალეთის იმპერიის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, ირანის საზღვართან, იქმნებოდა ისეთი ძალა, რომელსაც ყოველ წუთში შეეძლებოდა თურქების ბატონობით უკმაყოფილო არაბი მოსახლეობის მიმხრობა და მათი მხარდაჭერით უარის თქმა სულთნის მორჩილებაზე. ამიტომ ამ სახიფათო ეკლის ამოძრობის მიზნით პორტამ ამჯერადაც უარი შეუთვალა ბაღდადის წარჩინებულთა თათბირის მონაწილეებს და არ დაამტკიცა ბაღდადის ფაშად ქაჰია სულეიმანი. მის ნაცვლად ბაღდადისა და ბასრის გამგებლად დაინიშნა არზრუმის ფაშა ჰაჯი იუსუფი[13]. ქაჰია ბეგს კი სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს[14].

მაგრამ ამგვარი ღონისძიებების განხორციელება სულთანმა ვეღარ მოახერხა. ამაში მას ხელი შეუშალა როგორც ქვეყნის არა-

---

[11] تاريخ جودت, ტ. VIII, გვ. 270.

[12] Cl. J. Rich, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

[13] АКАК, т. III, стр. 758.

[14] Письмо гр. Румянцева к гр. Гудовичу, от 15-го января 1808 года, (АКАК, 1869, т. III, стр. 561).

ხელსაყრელმა საშინაო და საგარეო მდგომარეობამ, ასევე საფრანგეთისა და რუსეთის ჩარევამ ოსმალეთის საშინაო საქმეებში.

* * *

1807 წლისათვის სელიმ III-ის რეფორმებმა ოსმალეთის სახელმწიფო კრიზისი უმაღლეს საფეხურზე აიყვანა. ხელისუფლების ცდამ, შეექმნათ „ნიზამი ჯედიდ"-ის რაზმები რუმელიაში, 1806 წელს გამოიწვია იქ იენიჩართა ახალი მძლავრი აჯანყება, რომელსაც მხარს უჭერდნენ მთელი რუმელიის აიანებიც. ამ გარემოებამ ცენტრალური ხელისუფლება იძულებული გახადა წასულიყო დათმობაზე; გაიწვია თავისი ჯარი რუმელიიდან და გამოსცა ბრძანება იქ „ახალი სისტემის" გავრცელებაზე უარის თქმის შესახებ. ამასთანავე გადააყენა თანამდებობიდან დიდი ვაზირი და შეიხუ ლ-ისლამი. მიუხედავად ამისა, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ბრძოლა სერბიაში. უკვე 1806 წლიდან აშკარა გახდა ამ ბრძოლის ანტიოსმალური ხასიათი და სულთანი შეეცადა სერბი ხალხის ეროვნული მოძრაობის სისხლში ჩახშობას, მაგრამ წარმატებას ვერ აღწევდა.

რუმელიის მსგავსად აჯანყების ალში იყო გახვეული ანატოლიაც. 1807 წელს აჯანყება მოედო დიარბაქრის, მარდინისა და ბაღდადის საფაშოებსაც, წარმატებით აფართოებდნენ თავიანთი სახელმწიფოს ტერიტორიას აგრეთვე ვაჰაბიტები. არც ეგვიპტეში სუფევდა მშვიდობიანობა.

საშინაო აშლილობასთან ერთად საგრძნობლად უარესდებოდა ოსმალეთის იმპერიის საგარეო მდგომარეობაც. 1806 წ. ნაპოლეონ ბონაპარტის კარნახით ოსმალეთის ხელისუფლებამ დაარღვია 1805 წ. რუსეთთან დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულება და ამით ფაქტიურად ომი გამოუცხადა მას. თუმცა საჭიროა ისიც ითქვას, რომ საფრანგეთის მოთხოვნის გარდა ოსმალეთის მიერ „ზავის დარღვევის ერთ-ერთი მიზეზი დასავლეთ საქართველოში რუსეთის შემოჭრაც იყო"[15]. ომის გამოცხადების შემდეგ აქ აქტიურ ბრძოლებს ეწეოდა რუსეთის არმია ქ. ფოთის განსათავისუფლებლად, რომელშიც მთავარი სიმძიმე ქართველ სამხედრო ქვეგანაყოფებს აწვათ.

ოსმალეთის მოქმედების საპასუხოდ რუსეთი გარდა კავკასიის ფრონტისა, საომარ ოპერაციებს აწარმოებდა თურქეთის ჯარის

---

[15] საქართველოს ისტორია, თბ., 1956, ნაწ. 1, გვ. 393.

წინააღმდეგ ბალკანეთშიც. 1806—1807 წწ. ზამთარში რუსეთის ჯარი შეკრიბა მოლდავია-ვალახეთში, უშუალოდ დაუკავშირდა სერბიაში ყარა გიორგის მეთაურობით მოქმედ აჯანყებულებს და ელოდა ბატრის გამოჩენას. ამავე დროს ოსმალეთს ომი გამოუცხადა რუსეთს მოკავშირე ინგლისმა. თებერვალში ინგლისის სამხედრო ხომალდების ესკადრა შეავიდა მარმარილოს ზღვაში და ოსმალეთის ხელისუფლებას მოსთხოვა საფრანგეთთან კავშირის გაწყვეტა, ლევანტ სებასტიანის დაუყოვნებლივ გაძევება კონსტანტინოპოლიდან და რუსეთთან საომარი მოქმედების შეწყვეტა. ერთი თვის შემდეგ ინგლისმა საზღვაო დესანტი გადასხა ალექსანდრიაში, რათა ეგვიპტე ჩამოეშორებინა ოსმალეთისაგან.

1807 წლის გაზაფხულზე სულთნის დივანმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად ინგლისელების წინააღმდეგ მოქმედება ეგვიპტეში დაევალა მუჰამედ ალის, ხოლო რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან ბრძოლა დიდ ვაზირს.

იმ დროს, როცა სტამბოლიდან წასული ჯარით დიდი ვაზირი სხვა მაღალი ჩინის სახელმწიფო მოხელეთა თანხლებით ბალკანეთში იმყოფებოდა და ოსმალეთის შეიარაღებული ძალები, როგორც იქ, ისე კავკასიაში მარცხს მარცხზე განიცდიდნენ, დედაქალაქში დარჩენილმა შეიხუ ლ-ისლამმა კაიმაკამ ფაშასთან[16] ერთად ისარგებლა მომენტით და სულთნის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო; მათ ააჯანყეს ბოსფორის ფორტების გარნიზონი, მას შეუერთდნენ იენიჩარების რაზმებიც და 1807 წლის 29 მაისს საქმე გათავდა სელიმ III-ის ხელისუფლების დამხობითა[17] და ტახტზე მუსტაფა IV-ის ასვლით.

მაგრამ მშვიდობა ამით მაინც არ დამყარებულა. დაიწყო რეაქციის ხანა, რეფორმის მომხრეთა სასტიკი დასჯა, რამაც საქმე საბოლოოდ კვლავ ახალ გადატრიალებამდე მიიყვანა. ხელისუფლებისაგან დევნილმა ზოგიერთმა რეფორმატორმა თავი შეაფარა რუშჩუკის ფაშა მუსტაფა ბაირაკტართან და მათ („რუშჩუკის მეგობრებად" წოდებულებმა) 1808 წ. ივლისში იერიში მიიტანეს სასახლეზე, გადააყენეს მუსტაფა IV და ტახტზე დასვეს მაჰმუდ II[18].

---

[16] კაიმაკამ ფაშა — დიდი ვაზირის მოადგილე.

[17] G. L. Lewis, Turkey, p. 32—33; А. Ф. Миллер, Мустафа паша Байрактар, стр. 128.

[18] Новая история стран зарубежного Востока, М., 1952, т. I, стр. 301-305.

* * *

ასეთი იყო დაახლოებით ოსმალეთის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა იმ დროისათვის, როცა მოჰკლეს ბაღდადის საფაშოს გამგებელი ჰაფიზ ალი ფაშა და სტამბოლში დაისვა მისი შემცვლელის საკითხი.

როგორც აღვნიშნეთ, სულთნის ხელისუფლებას არ სიამოვნებდა ერაყში ქართველ ქულემენთა გაძლიერება და ამიტომ უარი უთხრა სულეიმან „ქუჩუქს" საფაშოს გამგებლის პოსტის დაკავებაზე, მაგრამ საფრანგეთის წარმომადგენლის მტკიცე მოთხოვნამ და შუქარამ შეაცვლევინა დივანს გადაწყვეტილება. საქმე ის იყო, რომ საფრანგეთის ახალგაზრდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს მზარდი გაბატონებული კლასის სასიცოცხლო ინტერესები მჭიდროდ იყო დაკავშირებული სავაჭრო ბაზრების, ნედლეულის ბაზებისა და იაფი მუშახელის შოვნის წყაროების ზრდა-გაფართოებასთან. ეს ედო საფუძვლად მაშინ მთავრობის, როგორც გაბატონებული კლასის ინტერესების დამცველის, საგარეო პოლიტიკას, ნაპოლეონ ბონაპარტის დაპყრობით ომებს ევროპასა და აზიაში. 1798 წ. იელისში ეგვიპტეში მოწყობილი ლაშქრობით იგი მიზნად ისახავდა ამ ქვეყნის დაპყრობას და ევროპიდან ინდოეთისაკენ მიმავალი მთავარი სავაჭრო გზების ჩაკეტვას, ინდოეთის დამორჩილებას[19], იქიდან ინგლისის გაძევებას, ამ უკანასკნელის უპუროდ და უნედლეულოდ დატოვებას, ოსმალეთსა და ირანში თავისი გავლენის გაძლიერებას და მათ გამოყენებას რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ ინგლის-ოსმალეთის შეიარაღებულმა ძალებმა 1801 წელს აიძულეს ფრანგების არმია დაეტოვებინა ეგვიპტე-სირია. უფრო მეტიც, ინგლისმა გააძევა საფრანგეთი მეწამული ზღვის აუზიდან და საგრძნობლად შეასუსტა მისი მდგომარეობა ირანშიც. მიუხედავად ასეთი მარცხისა ნაპოლეონს მაინც არ აუღია ხელი თავის განზრახვაზე ინდოეთის მიმართ[20] და ცდილობდა ირანში ფეხის მოკიდებას.

---

[19] თვით ნაპოლეონის სიტყვით, „ფრანგების ექსპედიციის მთავარი მიზანი იყო აღმოსავლეთში ინგლისელთა ძლიერების დაშლა. ნილოსიდან უნდა წასულიყო არმია და მიეცა ინდოეთისათვის ახალი ცხოვრება (იხ. Клот Бей, Египет в прежнем и нынешнем своем состоянии. СПб., 1843 ч. I, стр. XXXIX; Л. Ш. Гордонов, Египет, М., 1953, стр. 82).

[20] Dr. Rouire, La Revolité Anglo-Russe au XIX Siècle en Asie, Paris, 1908, pp. 20—21.

1807 წლის 4 მაისს ფინკენშტეინში (აღმ. პრუსიაში) საფრანგეთსა და ირანს შორის დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულების თანახმად ნაპოლეონი შაჰის ხელისუფლებას ჰპირდებოდა სამხედრო იარაღითა და ოფიცრებით არმიის მომარაგებას, ასევე საქართველოდან რუსეთის გაძევებას და ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის დაბრუნებას, სამაგიეროდ მისგან მოითხოვდა „...აღღანეთზე თავისი ჯარების თავისუფლად გავლის უზრუნველყოფას ინდოეთში ინგლისის სამფლობელოებზე თავდასასხმელად" (მუხლი 10) ...და „ირანის ტერიტორიაზე საფრანგეთის არმიის გატარებას, თუკი ასეთი გაიგზავნებოდა ინდოეთში" (მუხლი 12)[21].

ამავე დროისათვის ნაპოლეონს უკვე შედგენილი ჰქონდა იმის გეგმაც, თუ რა გზით უნდა მოხვედრილიყო მისი არმია ირანის ტერიტორიაზე. მისი აზრით, საფრანგეთის სამხედრო-სახმელეთო ჯარი ხმელთაშუა ზღვიდან „გადმოსული ორონტის შესართავთან, დაეშვებოდა მარაშიდან ევფრატითა და შატ ალ-არაბით სპარსეთის ყურეში, ხოლო ბასრა გადაიქცეოდა მთავარ ბაზად მომავალი ოპერაციისათვის ინდოეთში[22]. ამრიგად, ინდოეთის დაპყრობის საქმეში ნაპოლეონი ეგვიპტის შემდეგ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა როგორც ირანს, ისე ერაყს და უნდოდა თავისი მდგომარეობის განმტკიცება ოსმალეთის იმპერიის ამ მხარეში. განსაკუთრებით ტილ ზიტის ზავის (1807 წლის ივლისში) შემდეგ, როცა ურთიერთშორის მტრულად განწყობილი საფრანგეთი და რუსეთი, დროებით ერთმანეთის მოკავშირეები გახდნენ და ამით საფრანგეთის მთავრობას შესაძლებლობა მიეცა ინდოეთის დაპყრობაზე ეფიქრა.

მისია ერაყთან მჭიდრო მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა დაკისრებული ჰქონდა საფრანგეთის ელჩს სტამბოლში გენერალ სებასტიანს, სელიმ III-ის მრჩეველს და მის კარზე ყველაზე გავლენიან კაცს. თავისი მთავრობისაგან მიღებული დავალების შესრულების მიზნით, სებასტიანი 1807 წ. აქტიურად ჩაერია სულთნის საქმეში[23], წინ აღუდგა დივანის გადაწყვეტილებას ბაღდადის

---

[21] А. Р. Иоаннисян, Присоединение Закавказья к России и международные отношения в начале XIX столетия, стр. 148. ხელშეკრულების სრული ტექსტი გამოაქვეყნა ალფრედ გარდანმა პარიზში 1865 წელს (Mission du General Gardane en Perse sous le Premier Empire, Paris, 1865, pp. 71—94).

[22] F. R. Chesney, The Expedition for the Sourvey to rivers Euphrates and Tigris, London, 1850, vol. II, p. 536.

[23] سليمان نوار, დასახ. ნაშრომი, გვ. 46-47.

გამგებლად იუსუფ ფაშას[24] დანიშვნის შესახებ და მტკიცედ მოითხოვა იქ მმართველად სულეიმან ბეგის დამტკიცება[25].

ქაჰია სულეიმან ბეგს მხარს უჭერდა აგრეთვე რუსეთის მთავრობაც. როგორც საფრანგეთის, ასევე რუსეთის ხელისუფლების ყურადღება მიპყრობილი იყო ერაყისაკენ. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველს იგი მიაჩნდა უწინარეს ყოვლისა გზად და ხიდად, ინდოეთზე თავდასხმის ფორპოსტად, მეორეს კი ირან-ოსმალეთს შორის მუდმივი უთანხმოების წყაროდ და ამის გათვალისწინებით წარმართავდა თავის დიპლომატიურ საქმიანობას ამ ორ მეზობელ სახელმწიფოსთან, როცა მას სურდა მათ შორის ომის დაწყება თავისი მდგომარეობის შესამსუბუქებლად. მაგრამ 1807 — 1808 წლებში მოხდა სხვაგვარადაც. რუსეთის მთავრობა ახლა ცდილობდა სელიმ III-ის უარი ბაღდადის საფაშოს გამგებლად სულეიმანის დამტკიცებაზე და ამ უკანასკნელის უკმაყოფილება გამოეყენებინა ოსმალეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მოსაწყობად. საგარეო საქმეთა მინისტრი რუმიანცევი 1808 წ. 15 იანვარს პეტერბურგიდან თბილისში გრაფ გუდოვიჩს სწერდა: „სანდო კაცის მეშვეობით შეიძლება ჩავაგონოთ აღელვებულ ქაჰია-ბეის, რომ... რუსეთის სამეფო კარი მხარს დაუჭერს პორტასაგან მის დამოუკიდებლობას და მის გასამტკიცებლად მოეწყობა ძლიერი დივერსია იუსუფ ფაშას წინააღმდეგ, რომელსაც ამ მიზეზის გამო არ შეეძლება საქართველოს საზღვრიდან წასვლა ბაღდადზე თავდასასხმელად და ქაჰია-ბეის ჩამოსაგდებად“[26].

რუსეთ-საფრანგეთის ამგვარმა დამოკიდებულებამ ერაყისადმი, მათმა (ისევე როგორც ბაღდადის თავკაცების) აქტიურმა მხარ-

---

[24] ჰაჯი იუსუფ ზია ფაშა (1747—1818), წარმოშობით ქართველი, პატარაობისას დატყვევებული და ოსმალეთში წაყვანილი, ერზერუმის ფაშასთან იზრდებოდა, პატრონის გარდაცვალების შემდეგ გახდა მისი შემკვიდრე, მიიღო მირმირანის ჩინი და ერზერუმის გამგებლობა; ეგვიპტეში ნაპოლეონის ლაშქრობის დროს ეკავა დიდი ეაზირის პოსტი, უყვარდა სამხედრო-საწერთნელი ეარჯიშობა, ე. წ. „ჯერიდი“-თ (იგივე ჯირითი) თამაში. ერთ-ერთი ასეთი თამაშის დროს მოწინააღმდეგის მიერ ნატყორცნი ჯოხი ვერ აიცდინა, თვალში ეცა და მოსთხარა, რის გამო�sმას ხშირად ქერ ფაშას ანუ ცალთვალა ფაშასაც ეძახდნენ (იხ. А. Ф. Миллер, დასახ. ნაშრომი, გვ. 445).

[25] تاريخ جودت, ტ. VIII, გვ. 269—270.

[26] Письмо гр. Румянцева к гр. Гудовичу, от 15-го января 1808 года, АКАК, т. III, стр. 582.

დაპერამ სულეიმან ბეგისათვის და ამ უკანასკნელის მტკიცე გადაწყვეტილებამ, ბრძოლით დაეცვა ძალაუფლება და სიცოცხლე, აიძულა კრიზისით მოცული ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება, რომ ბაღდადში გასაგზავნად მომზადებული ჰაჯი იუსუფ ზია ფაშა ყარამანიის გამგებლად დაენიშნა, ხოლო ბასრა-ბაღდად-შაჰრიზურის ვალის თანამდებობაზე მირმირანი სულეიმან ბეგი დაემტკიცებინა[27].

ალ-აზავის მიხედვით, ეს მომხდარა 1807 წლის დეკემბერში[28]. მაგრამ არსებობს ისეთი მასალაც, რომლის მიხედვით სულეიმან ბეგის დამტკიცება ბაღდადის საფაშოს გამგებლად უფრო გვიან უნდა მომხდარიყო. მაგალითად, ს. ლონგრიგის აზრით, სულეიმანი ბაღდადის საფაშოს გამგებლად დაუნიშნავთ 1808 წლის გაზაფხულზე[29], მეჰმედ სურეიას კი მიაჩნია, რომ სულეიმანმა ეს თანამდებობა მიიღო 1224 (1809—1810) წელს[30]. მაგრამ, ვფიქრობთ, ლონგრიგიცა და სურეიაც ამ შემთხვევაში სცდებიან, რადგან, როგორც ირკვევა, იუსუფ ფაშას ჯერ კიდევ 1808 წლის გაზაფხულზე მიუწერია გრაფ გუდოვიჩისათვის: „მოწყალებით გადამაყენა პორტამ. რომელმაც მომანიჭა მყუდროება, განმაწესა ყარამანიის ფაშად და ამჟამად იქ ვიმყოფებიო“[31]. ყარამანიის ფაშად კი იუსუფი მას შემდეგ დანიშნეს, როცა სულთანმა ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო ბაღდადის საფაშო ხელისუფლება სულეიმან ფაშას გადასცა. ამიტომ ცხადია, სულეიმანის დამტკიცება ერაყის გამგებლის პოსტზე უნდა მომხდარიყო არა 1808 წლის გაზაფხულზე (ლონგრიგი, ს. ნავარი) ან 1809 წელს (სურეია), არამედ 1807 წლის მიწურულს.

---

[27] تاريخ جودت, ტ. VIII, გვ. 246—269. დივანის ამგვარი გადაწყვეტილების მიღებაში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა ბაღდადიდან სტამბოლს გაგზავნილ ფულს, 5 თუ 6 ათას ქისას, რაც საჩუქრად დაურიგდათ საბჭოს წევრებს.

[28] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 184. დაახლოებით ასეთსავე ცნობას გვაწვდის ლ. კორანსეც (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 136).

[29] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ 224. სულეიმან ქუჩუქის ბაღდადის ფაშად დანიშვნის თარიღად 1808 წ. ასახელებს სულეიმან ნავარიც (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 332).

[30] محمد ثريا, დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 93.

[31] Отношение гр. Гудовича к гр. Румянцеву, от 7-го марта 1808 года, № 32, АКАК, т. III, стр 454.

სულეიმანსაც რთულ ვითარებაში უხდებოდა ქვეყნის მართვა. ბიძისაგან მან მეტად მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. ჰაფიზ ალი ფაშას დაღუპვისთანავე საფაშოს ჩრდილოეთი ნაწილი აჯანყებამ მოიცვა. სამხრეთ ქურთისტანი დამოუკიდებლობას იჩემებდა. მისი გამგებელი აბდ არ-რაჰმან ფაშა ბაბანი, რომელიც მაშინ ქ. სულეიმანიეში იმყოფებოდა, ბაღდადის ფაშას აღარ ემორჩილებოდა. სამხრეთიდან ერაყს ვაჰაბიტები ავიწროებდნენ, ხოლო აღმოსავლეთიდან კი ყოველ დღე ირანელების თავდასხმა იყო მოსალოდნელი. ამიტომაც იყო, რომ სულთანმა უარი აღარ უთხრა სებასტიანს თხოვნაზე და ბაღდადის საფაშო სულეიმანს ჩააბარა. სტამბოლში იმედი ჰქონდათ, რომ სრულიად ახალგაზრდა ფაშა რთულ ვითარებას თავს ვერ გაართმევდა და პირველსავე წარუმატებლობისას მას თანამდებობიდან გადააყენებდნენ. უფრო მეტიც, სულეიმან ქუჩუქის თავიდან მოცილებით ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება ვარაუდობდა დიდი ხნის ნანატრი საკითხის გადაწყვეტას, — ერაყის მმართველობიდან ქართველი ქულემენების საბოლოოდ განდევნას. მაგრამ სულეიმანი უფრო მოხერხებული და უნარიანი მმართველი გამოდგა, ვიდრე ამას სტამბოლში მოელოდნენ.

* * *

ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე სულეიმან ქუჩუქმა მარდინიდან გაიწვია ბაღდადის ჯარი, რომელიც თავისი ძიძიშვილის აჰმედ ბეგის მეთაურობით ჰყავდა გაგზავნილი პორტას მიერ ბაღდადის ვალის პოსტზე დანიშნული ჰაჯი იუსუფ ფაშას დასაკავებლად. 1808 წ. გაზაფხულზე მოსულის ლაშქრის თანხლებით იგი სულეიმანიისაკენ გაემართა ქურთების აჯანყების ჩასაქრობად. მისი მოთავის აბდ არ-რაჰმან ფაშას დასასჯელად და შაჰრიზურის შემოსამტკიცებლად[32]. მაისში ქურთისტანის სამხრეთ საზღვართან მისულს ბთიან მასივზე გამავალი ერთადერთი გზა დერპენდ—ბასიანი, რომელიც უნდა გაევლო რომ სულეიმანიეში მოხვედრილიყო, გადაკეტილი დახვდა. მოწინააღმდეგეს ის წინასწარ გაემაგრებინა მაღალი კედლით და ქვემეხებით. ასე რომ, სულეიმან ქუჩუქს მისი აღება გაუჭირდებოდა და შესაძლოა, დაწყებული ლაშქრობა მარცხით დამთავრებულიყო, რომ მას იქ მოკავშირედ არ აღმოჩენოდა აბდ არ-რაჰმანისაგან სულეიმანიეს გამგებლის პოსტიდან გადაყენებული ხალედ ფაშა. უკანასკნელის დახმარებით მან მოახერხა გამაგრებუ-

---

[32] سليمان نوار, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

ლი ადგილის გვერდის ავლა, ვიწრო ბილიკით თავისი ჯარი ქურთისტანში შეიყვანა და თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა ლაშქრობის ბედი. უკან მოტოვებული აჯანყებულ ქურთთა ლაშქარი ბაღდადის ფაშას დანებდა. აბდ არ-რაჰმანი ირანში გაიქცა, ხოლო შაჰრიზურის მხარე კვლავ ბაღდადის საფაშოს დაემორჩილა. ამის შემდეგ სულეიმანმა შაჰრიზურში ყველგან თავისი კაცები ჩაუყენა სათავეში მმართველობას. სულეიმანიეს გამგებლად მან აბდ არ-რაჰმანის ბიძაშვილი სულეიმანი დასვა, ქოის სანჯაკი მუჰამედ ბეგს ჩააბარა, ხოლო მოსულის მხარე — აჰმედ ეფენდის. ამას რომ მორჩა, თვითონ ბაღდადში დაბრუნდა, რათა მიეხედა საფაშოს სამხრეთ ნაწილისათვის, რომელსაც ვაჰაბიტები შემოსეოდნენ.

ვაჰაბიტებმა ამ დროისათვის საბოლოოდ განამტკიცეს თავიანთი ბატონობა არაბეთის ნახევარკუნძულზე. მათ დაიკავეს ერთ-ერთი ყველაზე გამაგრებული ციხე-ქალაქი ჯიდდა მეწამული ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და განზრახული ჰქონდათ თავიანთი ძალაუფლება გაევრცელებინათ ეგვიპტეზე. აღმოსავლეთით მათ ხელი დასდეს ბაჰრეინის კუნძულებს, მასკატს და ომანს; რასულკეიმი აქციეს ციხესიმაგრედ და მთავარ ნავსადგურად სპარსეთის ყურის დასავლეთ სანაპიროზე; გაიჩინეს სამხედრო საზღვაო ფლოტი და გაბატონდნენ ომანის სრუტესა და სპარსეთის ყურეში. ხომალდებისაგან ე. წ. დავიებისაგან[33] (თითოეული 12—16 ქვემეხითა და 400-იდან 500-მდე ალ-კავასით[34]) შედგენილი ვაჰაბიტების ქარავანი განუწყვეტლივ ესხმოდა თავს ინგლის-ინდოეთის გემებს. ჩრდილოეთით ვაჰაბიტების ამირი სუ'უდ იბნ აბდ ალ-აზიზი თავისი სამეფო ტერიტორიის გაფართოებას ფიქრობდა სირიისა და ერაყის დაპყრობით. 1807 წელს მან ჯერ სირიაში დაიკავა რამდენიმე ციხე-ქალაქი, ხოლო შემდეგ ბაღდადის საფაშოში შეიჭრა და უბაიდის ტომის შეიხის ლატიფ ბეგ შავუი-ზადეს[35] დახმარებით ერთგვარ წარმატებასაც მიაღწია, აიღო გამაგრებული პუნქტები ანა და ჰიტი მდ. ევფრატის მარჯვენა ნაპირზე, მაგრამ მათი შენარჩუნება კი ვეღარ შესძლო. ადგილობრივ ტომებთან გადამწყვეტ ბრძოლაში ის დამარ-

[33] دو (არაბ.) საშიში, საზარელი. ასე ერქვა ვაჰაბიტების ხომალდებს

[34] القوس (არაბ.) — მეკობარი, მსროლელი, შეიარაღებული მსახური, მეფარი.

[35] ლატიფ ბეგი მტრულ დამოკიდებულებაში იყო საფაშო ხელისუფლებასთან იმის გამო, რომ ჰაფიზ ალი ფაშამ მამული ჩამოართვა მას და სიკედილით დასჯა მამამისი მუჰამედ ბეგი იმ მოღალატური საქციელისთვის, რაც მან ჩაიდინა 1798 წელს ალის მეთაურობით მოწყობილ ალ-ჰასის ლაშქრობის დროს.

ცხდა, უკუიქცა და შეუდგა სერიოზულ მზადებას ახალი ლაშქრობისათვის.

1808 წელს ვაჰაბიტების ამირი სუ'უდი კვლავ მოადგა ბაღდადის საფაშოს და სანამ მის საზღვარს გადალახავდა, სულეიმან ქუჩუქს წინადადება მისცა, უარი ეთქვა სულთნის ქვეშევრდომობაზე და მიეღო ვაჰაბიტობა. მაგრამ ცდა ამაო გამოდგა. ბაღდადის ფაშამ არათუ არ მიიღო წინადადება, არამედ მტკიცედ განუცხადა, რომ არ სურდა მასთან რაიმე შეთანხმებაზე საუბარი, სანამ ეს უკანასკნელი არ აღიარებდა სულთნის უზენაესობას[36].

სულეიმან ქუჩუქის ასეთმა პასუხმა სუ'უდი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ მშვიდობიანი გზით მიზანს ვერ მიაღწევდა, ერაყს ვერ შემოიერთებდა. ამიტომ თავის მრავალრიცხოვან ლაშქარს უბრძანა საზღვარი გადაელახა.

ზაფხულში ორ ნაწილად გაყოფილი ვაჰაბიტების ლაშქარი ბაღდადის საფაშოში შეიჭრა. ერთი ნაწილი 4000 კაცის რაოდენობით ქერბელასაკენ გაემართა, ხოლო მეორე — 45000-იან რაზმს, რომელსაც თვითონ სუ'უდი მეთაურობდა, ქ. ბაღდადი უნდა აეღო.

მდგომარეობა რთული იყო. ადგილობრივი მოსახლეობა შიშმა შეიპყრო. იგი მტერს წინააღმდეგობას ვერ უწევდა და გარბოდა. ვაჰაბიტები კი ამით სარგებლობდნენ და ისე სწრაფად მიიწევდნენ წინ, რომ სულ მალე მდ. ევფრატის მარჯვენა მხარეს მდებარე ერაყის ტერიტორია მათ ხელში აღმოჩნდა.

მოწინააღმდეგის რაზმების შესაჩერებლად და უკუსაქცევად იმ ხანებში სულეიმანიიდან ბაღდადში დაბრუნებულმა სულეიმან ფაშა ქუჩუქმა თავისი ჯარი ქაჰიას მეთაურობით ქერბელასაკენ გაგზავნა, თვითონ კი ახალი ლაშქრის შეგროვებას შეუდგა. მან მოწოდებით მიმართა ერაყის ყველა მცხოვრებს, დაეცვათ თავიანთი სამშობლო და სარწმუნოება, რომლის არსებობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ ვაჰაბიტები. ეტყობა, სულეიმანი ამ დროისათვის უკვე საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა საფაშოში. მის მოწოდებას ფართოდ გამოხმაურებია მოსახლეობა და ყველა, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, საკუთარი ქვეყნის დასაცავად გამოსულა: „ვაჭრებმაც კი შეწყვიტეს ვაჭრობა, დაკეტეს დუქნები და იარაღი აისხეს ბაღდადის დასაცავადო", — გადმოგვცემს თანამედროვე[37]. მისივე თქმით, სულეიმან ქუჩუქს ლატიფ ბეგ შაუვი ზადესათვის უკან

---

[36] L. A. Corancez, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

[37] იქვე, გვ. 141.

დაუბრუნებია ჰაფიზ ალი ფაშას მიერ ჩამორთმეული მიწები და ამით თავის მხარეზე გადმოუბირებია ის, ეანც 1807 წელს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია სუ'უდის ლაშქარს ჰიტისა და ანას აღების საქმეში[38].

ამ ღონისძიებათა გატარების შემდეგ ერაყის გამგებელი ბაღდადში დიდხანს აღარ დარჩენილა. მობილიზებული ლაშქრითა და იენიჩარების რაზმებით ის ქაჰია ბეგის მისაშველებლად ქერბელასაკენ გაემართა, მაგრამ იქ მისულს ქალაქი გათავისუფლებული დახვდა. ქაჰიას და კაიმაკამს უკვე გაეძევებინათ მოწინააღმდეგე და წარმატებით უტევდნენ მის მთავარ ძალებს შიფათის მისადგომებთან, როცა ის თავისი ახალი ლაშქრით მათ შეუერთდა. ფაშას მოულოდნელმა გამოჩენამ ბრძოლის ველზე ერთბაშად მოშალა ვაჰაბიტების წინააღმდეგობა. მტერი უკუიქცა, დატოვა გამაგრებული ადგილები, შიფათი, ჰინდია, აინსაიდი და უდაბნოში შიიმალა. სულეიმან ქუჩუქმა საზღვრამდე სდია მას და სერიოზული ზარალი მიაყენა. ეს იყო პირველი სერიოზული დამარცხება, რომლის შემდეგ ვაჰაბიტებმა ვეღარ შეძლეს დაპყრობითი ლაშქრობების მოწყობა. სულეიმანმა კვლავ შემოიერთა სუ'უდის მიერ მიტაცებული ერაყის მიწა-წყალი და 15 აგვისტოს ბაღდადში დაბრუნდა, თუმცა არა დიდი ხნით, მალე ის თავისი შეიარაღებული რაზმებით ირანის საზღვრისაკენ გაემართა.

XIX ს-ის დამდეგს ირანი ევროპის მთავარ სახელმწიფოთა დიპლომატიური თუ სამხედრო მოქმედების სფეროდ იყო გადაქცეული. რუსეთი მას თანდათან აძევებდა აღმოსაელეთ ამიერკავკასიის ტერიტორიიდან. ორივეს, როგორც რუსეთს, ასევე ირანს — ებრძოდა ინგლისი, ხოლო მას თვითონ დიდი ხანია ეომებოდა საფრანგეთი, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა აგრეთვე ირან-რუსეთს შორის საომარი მოქმედების გასაჭიანურებლად, რათა დაესუსტებინა რუსეთი, დაესაქმებინა მისი არმია ჩრდილოეთის[39] გარდა აღმოსაელეთშიც და ამით საშუალება არ მიეცა ალექსანდრე I-ისათვის ჩარეულიყო ევროპის ამბებში. რაც შეეხება ირანს, ის უნდა გადაექცია პოლიტიკურად და ეკონომიურად მასზე დამოკიდებულ ქვეყნად[40], ინდოეთზე თავდასასხმელ მთავარ ფორპოსტად.

---

[38] L. A. Corancez, დასახ., ნაშრომი გვ. 139, იხ. აგრეთვე A. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 406.

[39] რუსეთი ამ დროს ჩრდილოეთში იბრძოდა შვეციის წინააღმდეგ ფინეთის დასაკავებლად.

[40] А. Р. Иоаннисян, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

აღნიშნულ განზრახვათა განხორციელების მიზნით, საფრანგეთის ხელისუფლება XIX საუკუნის დასაწყისში კვლავ შეეცადა ირანთან დაახლოებას და უნდა ითქვას, რომ ამჯერად ეს ადვილად მოახერხა კავკასიის ფრონტზე რუსეთ-საქართველოს ჯარის მიერ ყიზილბაშების არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენების გამო. ირანში შეგზავნილმა ფრანგმა აგენტმა ჟობერმა და ბიუპრე-მცირემ 1806 წელს „სპარსეთის ტახტზე ნახეს ნაპოლეონის თაყვანისმცემელი მონარქი, რომელსაც მთელი სულით უნდოდა შესულიყო მის სკოლაში"[41], იმ ვარაუდით, რომ მისი დახმარებით გაედევნა რუსები კავკასიის მთავარ ქედს გადაღმა და დაებრუნებინა მათ მიერ დაკავებული აღმოსავლეთ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიები. მხოლოდ ამიტომ, „ფათჰ ალი შაჰი აცხადებდა თავს დასავლეთის დიდი იმპერატორის მეგობრად, უგზავნიდა მას საჩუქრებს, სთხოვდა ოფიცრებს ჯარის გასაწვრთნელად, იარაღს, ემუდარებოდა..., რომ დახმარებოდა რუსეთის წინააღმდეგ და სამაგიეროდ სთავაზობდა შემწეობას ინგლისის წინააღმდეგ"[42]. შაჰის ეს მოთხოვნა, რომელიც 1807 წლის ზამთარში ფინკენშტეინს მიეტანა მირზა რიზამ, კმაყოფილებით მიიღო ნაპოლეონმა და, რაკი ის მთლიანად შეესაბამებოდა საფრანგეთის ინტერესებს, 12 აპრილს ტალეირანს მისწერა, შეეტყობინებინა ირანის ელჩისათვის, რომ იმპერატორი მზად იყო გაეგზავნა ირანში 10 000 თოფი, საველე ქვემეხები, ზარბაზნიანი ნავები და 1500 მეომარი[43]. იმავე დღეს ნაპოლეონმა ხელი მოაწერა დეკრეტს ელჩობის შესახებ და თეირანში გასამგზავრებლად მოამზადა სამხედრო სპეციალისტთა დიდი ჯგუფი[44] თავისი ადიუტანტის, გენერალ კლოდ მატიე გარდანის მეთაურობით. უფრო გვიან, 4 მაისს, მან ირანთან დადო სამოკავშირეო ხელშეკრულება[45], ხოლო 7 დღის შემდეგ ამ ხელშეკრულების საფუძველზე შეადგინა კონკრეტული გეგმა იმისა თუ როგორ უნდა ემოქმედა გარდანის მისიას ირანში. გეგმის მიხედვით ნაპოლეონი ირანს განიხილავდა ორგვარი თვალსაზრისით: როგორც რუსეთის

---

[41] А. Вандаль, Наполеон и Александр I, т. II, стр. 295.

[42] იქვე, გვ. 226; იხ. აგრეთვე, АКАК, т. III, стр. 424.

[43] А. Р. Иоаннисян, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

[44] მასში შედიოდა 70 კაცი (Ленинский сборник, М., 1936, т. XXIX, стр. 351), მათ შორის საფრანგეთის ელჩი ირანში ჟ. მ. გარდანი. მისიის წევრთა სრული სია მოცემულია ა. გარდანის წიგნში «Journal d'un Voyage dans le Turquie et Perse fait 1807—1809», Paris — Marseille, 1809, pp. 1—2.

[45] Страны Ближнего и Среднего Востока, М., 1944, стр. 228.

ბუნებრივ მტერს და როგორც ინდოეთში გასასვლელს. აქედან გამომდინარე, გარდანის მისიის მოვალეობა ის იყო, რომ შეესწავლა ინდოეთში ლაშქრობის შესაძლებლობანი, დაეთვალიერებინა სპარსეთის ყურისა და კასპიის ზღვის ნავსადგურები, შეეგროვებინა სტატისტიკური ცნობები, შეედგინა საბრძოლო მარშრუტები, ეფიქრა იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა რუსეთზე თავდასხმა და ჩაენერგა მტრობა ირანელებში რუსებისადმი, გადაექცია ირანის შეიარაღებული ჯარი რუსეთისათვის საშიშ ძალად, ახალი ძალით გაეჩაღებინა ომი ირან-რუსეთს შორის და გაეგრძელებინა ის, სანამ რუსეთი არ დატოვებდა ამიერკავკასიას. ამის დასაჩქარებლად საფრანგეთის ელჩს უნდა დაერწმუნებინა ირანის შაჰი იმაში, რომ დაედო სამოკავშირეო შეთანხმება ოსმალეთის ხონთქართან. გარდანს უნდა დაედო ირანთან კონვენცია საჭირო შეიარაღების მიწოდების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ შაჰი თანახმა იქნებოდა რუსეთთან ომის გაგრძელებაზე, საფრანგეთის მთავრობა ირანის ჯარის გასაძლიერებლად გაგზავნიდა 4 ან 5 ქვეით ბატალიონს და 2—3 საარტილერიო ასეულს. რამდენადაც ნაპოლეონს ირანი აინტერესებდა არა მარტო სამხედრო-სტრატეგიული, არამედ სავაჭრო თვალსაზრისითაც, ამიტომ ის გარდანს უფლებას აძლევდა დაედო სავაჭრო ხელშეკრულება 1708—1715 წწ. ხელშეკრულებათა საფუძველზე[46].

ასეთი შინაარსის ინსტრუქციით აღჭურვილი გარდანის მისია, ანუ როგორც მას ვ. ი. ლენინი უწოდებდა — „ნაპოლეონ I-ის სამხედრო მისია"[47], 1807 წლის დეკემბერში ირანს ეწვია და მუშაობას შეუდგა.

გარდანმა თეირანში ჩასვლისთანავე ხელი მოაწერა სამხედრო კონვენციას ირანისათვის 20000 თოფის მიწოდების შესახებ. სამაგიეროდ, დეკემბრის ბოლოს მან შაჰს ხელი მოაწერინა ირანისათვის კაბალურ სავაჭრო ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვით ირანის ყველა ქალაქში იქმნებოდა საფრანგეთის საკონსულოები; ფრანგი ელჩები, კონსულები და ვაჭრები, როგორც გაბატონებული ერის წარმომადგენელნი, სარგებლობდნენ მეტი უფლებითა და პატივისცემით ვიდრე სხვა ქვეყნების წარმომადგენლები; ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ეკრძალებოდა ფრანგებისა და მათი ქვეშევრდომების გასამართლება საფრანგეთის წარმომადგენლის მონაწილე-

---

[46] А. Р. Иоаннисян, დასახ. ნაშრომი, გვ. 149—163.

[47] «Тетрадь материалов о Персии» (Ленинский сборник, М., 1936, т. XXIX, стр. 351).

ობის გარეშე. ფრანგ მოქალაქეებს უფლება ეძლეოდათ აეღოთ მიწა იჯარით, აეგოთ სახლები და სხვა შენობები ირანში; ფრანგი ვაჭრები თავისუფლდებოდნენ საბაჟო გადასახადებისაგან 3 წლით, შემდეგ კი უნდა ეხადათ ერთდროული გადასახადი საქონლის საერთო ღირებულებიდან, მაგრამ არაუმეტეს 3 %-ისა. კათოლიკებს არა მარტო იმის უფლება ენიჭებოდათ, რომ თავისუფლად შეესრულებინათ რელიგიური წესები და ეშენებინათ ეკლესიები, არამედ შეეძლოთ ფართო პროპაგანდის გაშლა ირანის ქრისტიან მოსახლეობაში; ყველა ქრისტიანი და მუსლიმი, ვინც უდიერად მოეპყრობოდა კათოლიკე მღვდლებს, სასტიკად ისჯებოდა. საფრანგეთის გემებს უფლება ჰქონდათ შესულიყვნენ სპარსეთის ყურის ირანის ნავსადგომებში. ხელშეკრულების მე-17 მუხლში გამოთქმული იყო სურვილი, რომ საქართველოდან რუსების ევაკუაციის შემდეგ ირანს საჩუქრად მიეცა საფრანგეთისათვის კუნძული ხარკი, რადგან, გარდანის თქმით, იგი „ბატონობს ტიგროს-ევფრატის შესართავზე და ამდენად მისი მფლობელი ბასრის ბატონ-პატრონიც იქნება". გარდანი უფრო შორსაც მიდიოდა. ის მოითხოვდა, რომ საფრანგეთს გადასცემოდა აგრეთვე კუნძული ქეშმი ჰორმუზის სრუტეში, რათა განეხორციელებინა სრული კონტროლი მთელ სპარსეთის ყურეში[48].

ირანის მმართველი წრეების აშკარა პროფრანგულმა პოლიტიკამ, მათ მიერ მიღებულმა მთელმა რიგმა გადაწყვეტილებებმა, რომლებიც სხვათა შორის, მიმართული იყო ინდოეთის წინააღმდეგ, სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ინგლისში. ინგლისელები ცდილობდნენ, რადაც უნდა დაჯდომოდათ, ზემოქმედება მოეხდინათ შაჰის ხელისუფლებაზე, გაეძევებინათ ფრანგები ირანის მიწაწყლიდან, დაემორჩილებინათ ეს ქვეყანა პოლიტიკურად, ეკონომიურად, სამხედრო თვალსაზრისით და ამით არა მარტო უვნებელეყოთ ინდოეთი ფრანგების თავდასხმისაგან, არამედ დაეპირისპირებინათ ირანი რუსეთისათვის.

დასახული ამოცანის გადაწყვეტა ინგლისის მთავრობამ თეირანში თავისი საელჩოს აღდგენისათვის ბრძოლით დაიწყო და ეს საქმე თავიდან ჯონ მალკოლმსა და ჰარფორდ ჯონსს მიანდო[49].

---

[48] А. Р. Иоаннисян, დასახ. ნაშრომი, გვ. 162—165.

[49] ამასთან დაკავშირებით მარქსი წერდა: «Embarras de Richesse (Из животного страха перед Наполеоном). в Тегеран (в 1808) были направлены из Лондона — сэр Харфорд Джонс, а из Калькутты сэр Джон Малькольм» (К. Маркс, Хронологические выписки по истории Индии, стр. 113).

მალკოლმს ნაბრძანები ჰქონდა საომარი მოქმედების დაწყებამდე მოლაპარაკება გაემართა შაჰთან და ეცნობებინა მისი უდიდებულესობისათვის ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ თუ ირანის ხელისუფლება დაუბრუნდებოდა ინგლისური ორიენტაციის გზას და აღადგენდა მის საელჩოს თეირანში, მზად იყო გაეწია მისთვის, როგორც ფინანსური, ასევე სამხედრო დახმარება. გარდა ამისა, ჰპირდებოდა რუსეთის გაძევებას კავკასიიდან უფრო მალე, ვიდრე ამას ფრანგები მოახერხებდნენ[50], ხოლო იმ შემთხვევაში თუ ირანის მთავრობა უარს იტყოდა ამ პირობების მიღებაზე, ინგლისის შეიარაღებული არმია „ცეცხლს მისცემდა და სისხლით მორწყავდა მთელ ფარსისტანს"[51].

ასეთი დავალებით მალკოლმი 1808 წ. 10 მაისს თავისი ფლოტილიით ბომბეიდან ბუშირს მივიდა და კაპიტან პასლის ხელით ირანის ხელისუფლებას დიდძალ ფულად საჩუქრებთან[52] ერთად ინგლისის მთავრობის მოთხოვნების ქაღალდი გაუგზავნა. მაგრამ გარდანის წინადადებით ირანის მთავრობამ არა თუ უარი თქვა ინგლისის წარმომადგენლის მიღებაზე და მასთან მოლაპარაკებაზე, არამედ ქემალაბადში მყოფ სარდალს, ისმაილ ბეგს შეუთვალა, დაუყოვნებლივ აეშალა ბანაკი და თავისი ჯარით წასულიყო ბენდერ-ბუშირს, რათა წინააღმდეგობა გაეწია ინგლისელთათვის, რომლებიც დესანტის გადმოსხმას აპირებდნენ სპარსეთის ყურეში[53].

მიუხედავად ამ უარისა, ინგლისის მთავრობამ, მალკოლმის მისიის მარცხით დამთავრებიდან ორი თვის შემდეგ, კვლავ სცადა შაჰის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების განახლება და ირანში მიავლინა ჰარფორდ ჯონსის მისია[54]. ხოლო სანამ ეს ელჩობა მოეწყობოდა, მანამდე ირანის დასუსტების, მის ხელისუფლებაზე ზემოქმედებისა და ამით ჯონსის მისიის წარმატების უზრუნველყოფის მიზნით ინგლისის ხელისუფლებამ შაჰის წინააღმდეგ აამოქმედა ხო-

---

[50] Mission du General Gardane en Perse... Paris, 1865, p. 200—201.

[51] А. Р. Иоаннисян, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

[52] მალკოლმი ირანის მთავრობას უგზავნიდა სულ 500 000 თუმანს. აქედან შაჰისათვის უნდა გადაეცა 100 000 თუმანი, 10 000 თუმანს აძლევდა შაჰის პირველ ვაზირს მირზა-შაფის. ამდენივე იყო განკუთვნილი ისფაჰანის ბეგლარბეგისათვის, ხოლო დანარჩენი დაურიგდებოდა სხვა დიდ მოხელეებს (АКАК, т. III, стр. 480).

[53] Гардан к гр. Гудовичу, от 2-го июня 1808 года. Султание (АКАК, т. III, стр. 474).

[54] А. Р. Иоаннисян, დასახ. ნაშრომი გვ. 221.

რასნის გამგებელი[55], ავღანები, ვაჰაბიტები და ინდოეთში მცხოვრები ზენდის დინასტიის შთამომავალნი[56]. კალკუტაში ინდოეთის გენ. გუბერნატორის ლორდ მინტოს ნებართვით სამხედრო ექსპედიციას ამზადებდა მალკოლმი კუნძულ ხარკის დასაპყრობად[57]. მაგრამ ინგლისის მთავრობა მარტო აღნიშნული ღონისძიებებით არ დაკმაყოფილებულა. ირანის სრული ბლოკირების მიზნით მან მოხერხებულად გამოიყენა ქურთისტანის საკითხთან დაკავშირებით ბაღდადის საფაშოს გამგებლისადმი შაჰის მტრული დამოკიდებულება და ოსტინდოეთის რეზიდენტის ჯემს რიჩის პირით სულეიმან ფაშას შეუთვალა, მოეწყო დივერსია ირანის წინააღმდეგ ერაყის მხრიდან. რიჩის მისია წარმატებით დაგვირგვინდა. ის 1808 წლის ივნისში გულთბილად მიიღო ბაღდადის გამგებელმა და გაეცნო თუ არა მისიის შინაარსს, „აშკარად დადგა ინგლისელთა მხარეზე"[58], რადგან, ჯერ ერთი, ბაღდადის ფაშას პირადი ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი ფათჰ ალი შაჰთან. მეორე, რიჩის წინადადებაზე უარის თქმის შემთხვევაში შეიძლება საფაშოს ტერიტორია გამხდარიყო ინგლისელთა ანექსიის ობიექტი იმის გამო, რომ სპარსეთის ყურეში მათ მიერ მომზადებული საომარი ოპერაციის ერთ-ერთი დანიშნულება იყო ნაპოლეონის სამხედრო გეგმით გათვალისწინებული ინდოეთისაკენ წასასვლელი გზების გადაკეტვა. ეს გზები კი ირანის გარდა მთელ ერაყის ტერიტორიაზე იყო. მესამე, ინგლისელთა მხარეზე დადგომით და ირანის წინააღმდეგ მოქმედებით ბაღდადის გამგებელი ფიქრობდა არა მარტო ერაყის დაცვას ევროპელთა ხელყოფისაგან, არამედ ინგლისის მთავრობის დახმარებით საფაშოს საშინაო საქმეებში შაჰის ხელისუფლების უხეშად ჩარევის აღკვეთას და ამით ქურთისტანის საკითხის თავის სასარგებლოდ გადაჭრას, სულეიმანიეს შემომტკიცებას.

სწორედ ასეთი წინასწარხედვით იყო, რომ სულეიმან ფაშა ქუჩუქი ერაყის მიწა-წყლიდან ვაჰაბიტების განდევნის შემდეგ (1808

---

[55] Письмо гр. Гудовича к Джафар Кули-Хану Шекинскому, от 25 го августа 1808 года, № 111, (АКАК, т. III, стр. 289).

[56] Mission du General Gardane, 1865, გვ. 188—189 და 452.

[57] А. Р. Иоаннисян, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

[58] Отношение гр. Гудовича к гр. Румянцову, от 6 го июля 1808 года, № 93 (АКАК, т. III, стр. 480).

წ. აგვისტოში) შეუდგა ირანის საზღვართან ჯარების თავმოყრას და მოქმედებდა ინგლისელებთან ერთად[59].

ბაღდადის ფაშას ამ ნაბიჯს გულისწყრომით შეხვდნენ საფრანგეთის წარმომადგენლები სტამბოლსა და თეირანში. მათ აწუხებდათ, რომ სებასტიანის კანდიდატმა არ გაამართლა მოლოდინი, მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ინგლისელებთან და მათთან ერთად აპირებდა ირანისათვის ომის გამოცხადებას. გარდანი ამის გამო გუდოვიჩს წერდა: „სულეიმანის საქციელი არ არის... კეთილშობილური პორტასა და მისი მოკავშირეებისადმი... ის მხარს უჭერს ინგლისის წარმომადგენლებს ბაღდადსა და ბასრაში... განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს, რათა თავიდან ავიცდინოთ ეს საშიშროება. ჩანს,... ფაშა შორს არის პორტას გავლენისაგან"[60].

სულეიმანის „არაკეთილშობილურ მოქმედებაში" ეჭვი არც ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებას ეპარებოდა. ბაღდადის ფაშას ქცევაში ის ხედავდა არა მარტო სულთნის ავტორიტეტის შელახვის ფაქტს, არამედ იმის საშიშროებასაც, რომ ეს გამოიწვევდა ურთიერთობის გაუარესებას საფრანგეთთან და ირანთან, რომელიც იმ დროს რუსეთს ეომებოდა და ამდენად ოსმალეთის ფაქტიურ მოკავშირეს წარმოადგენდა. ამის გამო სტამბოლში გადაწყვეტილი ჰქონდათ სულეიმან ქუჩუქის გადაყენება ბაღდადის ფაშობიდან და მისი დასჯა. მაგრამ სულეიმანმა ამჯერადაც მოახერხა თანამდებობის შენარჩუნება.

ამ საქმეში ბაღდადის ფაშას ცოტა დახმარება როდი გაუწია რუსეთმა, წინააღმდეგ ფრანგი დიპლომატებისა, რომლებიც ერაყის გამგებლის დადგომას ინგლისელთა მხარეზე და მის გამოსვლას ირანის წინააღმდეგ აფასებდნენ როგორც საშიშ მოქმედებას და აფრთხილებდნენ რუს პოლიტიკოსებს, თავიდან აეშორებინათ ეს საფრთხე. — რუსეთის დიპლომატია მასში ხედავდა ირან-ოსმალეთს შორის ომის დაწყების, მათი დასუსტების და სამხედრო ძალების დაქსაქსვის ერთ-ერთ რეალურ შესაძლებლობას. ამიტომ საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებით, კავკასიის მთავარმართებელი

---

[59] «... Багдадский паша, соединясь с англичанами, действует против Персии» (Письмо гр. Гудовича к Джафар Кули-Хану Шекинскому, от 25 го августа 1808 года, № 11, АКАК, т. III, стр. 289).

[60] Письмо ген. Гардана к гр. Гудовичу, от 2-го июля 1808 года, — Султание (АКАК, т. III, стр. 475; აგრეთვე იქვე გვ. 430, Отношение гр. Гудовича к гр. Румянцову от 6 го июля 1808 года № 93).

ყოველ ზომას ხმარობდა იმისათვის, რათა ხელი შეეწყო როგორმე ბაღდადის ფაშასათვის: „საჭიროა მხარი დაეუჭიროთ ბაღდადის ფაშას სპარსელთა წინააღმდეგ ასეთი განწყობილებისათვის... მე განზრახული მაქვს გავგზავნო... ფაშასთან სანდო კაცი ზოგიერთი რჩევა-დარიგებით... საჭირო მითითებებით, საჩუქრებითა და ფულით", — ატყობინებდა გენერალი გუდოვიჩი ჯაფარ ყული ხანს და თანაც სთხოვდა, მოეძებნა ყველაზე ერთგული კაცი, რომელიც უსათუოდ მიაღწევდა ბაღდადამდე და ფაშას ყურამდე მიიტანდა მის რჩევა-დარიგებებს[61]. ამასთანავე კავკასიის მთავარმართებელი იმაზეც ფიქრობდა, თუ საიდან და როგორ შეეძლებოდა, საჭიროების შემთხვევაში, რუსეთის ჯარის ნაწილების შეყვანა ერაყში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა ბაღდადის გამგებლისათვის რუსეთის ჯარების შეტევაზე გადასვლა ირანის წინააღმდეგ კავკასიის ფრონტზე. როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც 1808 წლის მარტში ირანის ხელისუფლებამ უარი თქვა რუსეთის მიერ წაყენებული საზავო პირობების[62] მიღებაზე, გენერალი გუდოვიჩი შეუდგა მზადებას შეტევის გასაახლებლად და შემოდგომაზე შეიჭრა ერევან-ნახიჩევნის სახანოებში. ყიზილბაშების ჯარებისა და გენერალ გარდანის ყოველგვარი ცდა, შეეჩერებინათ რუსეთის ჯარების წინსვლა, ამაო გამოდგა. 30 სექტემბერს გუდოვიჩის სამხედრო რაზმებმა დაიკავეს ეჩმიაძინი. 1 ნოემბრისათვის მათ მოამთავრეს ნახიჩევნის სახანოს დამორჩილებაც და ალყა შემოარტყეს ერევნის ციხეს. რუსეთის ჯარების ამ წარმატებებმა ირანის მმართველი წრეები დაარწმუნეს იმაში, რომ საკუთარი ძალებითა და იმ

---

[61] Письмо гр. Гудовича к Джафар Кули—Хану Шекинскому, от 25-го августа 1808 года. № 111 (АКАК, т. III, стр. 289).

[62] საზავო პირობები, რომლის ტექსტი გენერალმა გუდოვიჩმა პოდპოლკოვნიკ ვრედეს ხელით გაუგზავნა აბას მირზას, ბოზორგს (აბას მირზას ვაზირს) და მირზა შაფის (ბაბა-ხანის ვაზირს), ითალისწინებდა საზღვრის დაწესებას მტკვარ-არაქს-არფაჩაიზე, ე. ი. ირანს უარი უნდა ეთქვა ორდუბადზე, ავრეთვე ერევნისა და ნახიჩევნის სახანოებზე და გადაეცა ისინი რუსეთისათვის (იხ. Извлечение из отношения гр. Гудовича к ген.-фельд. кн. Прозоровскому, от 3-го апреля 1808 г., № 62, АКАК, т. III, стр. 46). სამაგიეროდ რუსეთს ოსმალეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაესაქმებინა თავის წინააღმდეგ ბალკანეთისა და კავკასიის ფრონტებზე და ამით საშუალება მიეცა ირანისათვის დაეკავებინა ერაყი და ბაიაზეთი (Отношение гр. Гудовича к гр. Румянцову от 7 марта, 1808 г. № 32, АКАК, т. III, стр. 45). მაგრამ საფრანგეთის მოიმედე ირანს მტკიცედ ჰქონდა გადწყვეტილი, რომ დაებრუნებინა რუსეთის მიერ დაკავებული აღმოსავლეთ ამიერკავკასია, დაღესტანი და სხვა ტერიტორია ყიზლარამდე. ამიტომ აბას მირზამ გუდოვიჩს უარით უპასუხა.

დახმარებით, რაც საფრანგეთისაგან მიიღეს არათუ საქართველოს მიწა-წყალს დაიბრუნებდნენ, მათ ხელში მყოფი სხვა ტერიტორიების შენარჩუნებასაც ვერ შესძლებდნენ. ამიტომ მათ ერთხელ კიდევ მოაგონეს საფრანგეთის მთავრობას, შეესრულებინა ფინკენშტეინის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილიდან რუსების განდევნას რომ ითვალისწინებდა: „დადგა დრო თქვენი პირობის შესრულებისაო“[63], — მიმართავდა მირზა შაფი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შამპანს. მაგრამ ამ პირობას განხორციელება არ ეწერა. ესპანეთის ამბებით დაკავებულ ნაპოლეონს ირანისათვის აღარ ეცალა.

ასეთ პირობებში, როცა კავკასიის ფრონტზე ყიზილბაშთა მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა, საფრანგეთის მხრივ რაიმე ეფექტური დახმარების მიღების იმედი მათ აღარ ჰქონდათ, ხოლო სამხრეთიდან ინგლისისა და მისი მოკავშირე ბაღდადის საფაშოს ჯარების თავდასხმის საფრთხე დღითიდღე იზრდებოდა, — ირანის მთავრობას შეეძლო შეეკრა ზავი რუსეთთან. მაგრამ მან სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღო. რუსეთთან დაზავებას (ერევან-ნახიჩევანორდუბადის დაკარგვასა და საერთოდ ამიერკავკასიის ტერიტორიის დაბრუნებაზე უარის თქმას) ინგლისთან დაახლოება ამჯობინა, რადგან ეს უკანასკნელი მას რუსეთის წინააღმდეგ ომში ისეთ დახმარებას ჰპირდებოდა, როგორსაც მოისურვებდა. ამასთანავე ბუშირის ნავსადგურში მისული ჯონსი პირობას იძლეოდა, რომ ხელს ააღებინებდა გენერალ მალკოლმს თავის განზრახვაზე ირანის წინააღმდეგ[64].

15 ოქტომბერს ჯონსმა ნება მიიღო ფეხი დაედგა ირანის მიწაზე, ხოლო 13 ნოემბერს შაჰმა ის ინგლისის სრულუფლებიან ელჩად სცნო და თეირანში მიიწვია, რასაც აღშფოთებით შეხვდნენ საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლები. 23 ნოემბერს ამასთან დაკავშირებით გარდანი ეწვია შაჰს და გააფრთხილა, რომ თუ ინგლისის წარმომადგენელი დაშვებული იქნებოდა თეირანში, ის საფრანგეთის საელჩოს მთელი შემადგენლობით დაუყოვნებლივ დატოვებდა ირანს. მართლაც, 1809 წლის 13 თებერვალს მან პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად მიატოვა ირანის დედაქალაქი და თავრიზისაკენ გაეშურა, მაგრამ ამით სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. შაჰის პოლიტიკის შემობრუნება საფრანგეთის სასარგებ-

---

[63] А. Р. Иоаннисян, დასახ. ნაშრომი, გვ. 191.

[64] H. J. Bridges, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 41—43 და 127—142.

ლოდ ვეღარ მოხერხდა, ინგლისის დიპლომატიას თავისი გაჰქონდა და 14 თებერვალს ჯონსი უკვე თეირანს მივიდა.

თეირანში მისვლისთანავე ინგლისის წარმომადგენელი დაუკავშირდა მირზა შაფის და გამართა მასთან მოლაპარაკება, რომელიც დასრულდა 12 მარტს ირან-ინგლისს შორის „წინასწარი შეთანხმების“ დადებით. შეთანხმება ირანს ავალდებულებდა, გაეუქმებინა ევროპის სახელმწიფოებთან მანამდე დადებული ყველა ხელშეკრულება, არ დაეშვა, რომ მათ თავიანთი ჯარები გადაეყვანათ ირანის ტერიტორიაზე გავლით სპარსეთის ყურეში და ინდოეთში (მუხლი III), ხოლო თუ ვინმე თავს დაესხმოდა ინდოეთს, ირანს დახმარება უნდა გაეწია ინგლისისათვის (მუხლი IV).

თავის მხრივ ინგლისი ირანს ჰპირდებოდა დახმარებას ჯარით, იარაღითა და ფულით, თუ როელიმე ევროპული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები შეიჭრებოდნენ შაჰის მფლობელობაში მყოფ ტერიტორიაზე. დახმარება გაგრძელდებოდა მანამდე, სანამ არ დაიდებოდა ზავი ირანისათვის მისაღებ პირობებში (მუხლი IV). გარდა ამისა, ინგლისი უარს ამბობდა აეღანელებისათვის დახმარების გაწევაზე და საერთოდ ხელს იღებდა ირანის წინააღმდეგ საომარ სამზადისზე[65].

ხელშეკრულების ანალიზი აშკარად გვიჩვენებს, რომ ინგლისს განზრახული ჰქონდა მოეპოვებინა მონოპოლიური მდგომარეობა აღმოსავლეთში, კერძოდ, ირანში და შეესუსტებინა რუსეთ-საფრანგეთის პოზიციები იქ.

რუსეთის დასუსტებისა და ამიერკავკასიიდან მისი განდევნის მიზნით, ჯონსმა ედერთან (ინგლისის ელჩი სტამბოლში) ერთად ისიც გააკეთა, რომ შეიმუშავა სპეციალური გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ფრონტის გახსნას რუსეთის წინააღმდეგ მოლდავია-საქართველოში და ბრძოლაში ირან-ოსმალეთის ერთობლივ მოქმედებას; ხოლო ამისათვის კი პირველ რიგში ამ ორი მუსლიმური ქვეყნის ერთმანეთთან შერიგებას და მათ შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებას, რასაც ჯონსის დიქტატით 1809 წლის აგვისტოში სულთანს სთხოვდა შაჰი[66].

მართალია, ხელშეკრულების დადება არ მოხერხდა, მაგრამ დამოკიდებულება ირან-ოსმალეთს შორის მაინც არსებითად გაუმ-

---

[65] J. W. Kaye, History of the war in Afganistan. London, 1878, vol. I, pp. 181—184.

[66] H. J. Bridges, დასახ. ნაშრომი, გვ. 273.

ჯობესდა. სტამბოლში გამართული მოლაპარაკების დროს რეის-ეფენდი ყოველნაირად უსვამდა ხაზს ოსმალეთის მეგობრულ გრძნობებს ირანის მიმართ, ორივე ქვეყნის საერთო მიზნებსა და ინტერესებს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში[67].

ირან-ოსმალეთის დაახლოება და მათი დარაზმვა რუსეთის წინააღმდეგ იყო ჯონსის მისიისა და საერთოდ ინგლისის დიპლომატიის ახალი მნიშვნელოვანი გამარჯვება (თეირანში საელჩოს აღდგენისა და ირანთან 1809 წ. 12 მარტს დადებული ხელშეკრულებების შემდეგ), რამაც ხელი შეუწყო აგრეთვე ბაღდადის საფაშოსა და მისი გამგებლის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საქმე ის იყო, რომ, როცა ინგლისმა დასახულ მიზანს მიაღწია ირანში და 12 მარტის შეთანხმებით უარი თქვა მის წინააღმდეგ ყოველგვარ მტრულ მოქმედებაზე, ირანის საზღვართან მდგარ ბაღდადის ფაშას საშუალება მიეცა აეშალა ბანაკი და ბაღდადში დაბრუნებულიყო. მაგრამ მას ხელს ახლა ის უშლიდა, რომ ირანის მთავრობა კვლავ უხეშად ერეოდა ერაყის საშინაო საქმეებში.

მაშინ, როცა ვაჰაბიტების დამარცხების შემდეგ (1808 წლის აგვისტოდან) ის ირანის საზღვართან იდგა და ამ უკანასკნელის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დასაწყებად ინგლისელთა განკარგულებას ელოდა, აბდ არ-რაჰმან ფაშა ბაბანი ყიზილბაშთა რაზმებით შაჰრიზურში შეიჭრა, დაისაკუთრა ეს მხარე და ისევ მოსწყვიტა ის ბაღდადის საფაშოს. ბრძოლა აბდ არ-რაჰმანისა და მაშასადამე ირანის (როგორც მისი დამხმარის) წინააღმდეგ გარდაუვალი ხდებოდა და შესაძლოა ის ირან-ოსმალეთის ომშიც გადაზრდილიყო, რომ ვითარება არ შეცვლილიყო.

ოსმალეთთან ხელშეკრულების დასადებად რომ ემზადებოდა, ირანის მთავრობამ დაიწყო თავისი პოლიტიკის გადასინჯვა მის მიმართ; უარი თქვა საზღვრისპირა ოსმალეთის პროვინციების, კერძოდ, ბაღდადის საფაშოს საშინაო საქმეებში ჩარევაზე და, თავისი მეგობრული დამოკიდებულება რომ დაემტკიცებინა, ქერმანშაჰის გამგებელს მუჰამედ ალი მირზას შეუთვალა, დახმარებოდა სულეიმან ქუჩუქს აბდ არ-რაჰმანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამრიგად, სულეიმან ქუჩუქმა ირანთან ომიც თავიდან აიცილა და ქურთისტანის საკითხიც თავის სასარგებლოდ გადაჭრა.

---

[67] А. Р. Иоаннисян, დასახ. ნაშრომი, გვ. 242; R. Adair, The Negotiation of the peace of the Dardanelles in 1809, London, 1845, vol. I, pp. 256—260; vol. II, pp. 188—192 202—204.

1809 წლის გვიან გაზაფხულზე ბაღდადის ფაშასა და ალი მირზას გაერთიანებულმა ლაშქარმა დალაშქრა სულეიმანიე და კვლავ დაუმორჩილა ის ბაღდადის საფაშოს[68].

სულეიმანიეს შემოერთებით ერაყში დროებით შეწყდა ბრძოლები, დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება. გამტყუნდა სულთნის ვარაუდი იმის შესახებ, რომ ბაღდადის ახალგაზრდა ფაშა საფაშოში შექმნილ რთულ ვითარებას თავს ვერ გაართმევედა და ამ საბაბით მას თავიდან მოიცილებდა. სულეიმან ქუჩუქმა ორწლიანი მძიმე ბრძოლების შემდეგ არათუ მოახერხა ქურთისტანის დაწყნარება-შემოერთება, ვაჰაბიტების განდევნა ერაყის ტერიტორიიდან და მისი გადარჩენა ინგლისელთა ხელყოფისაგან, არამედ ენერგიულად შეუდგა საფაშოში მოქმედი ისეთი წესების შეცვლას, როგორიც იყო: 1. მუნიციპალური აქციზი (იჰთისაბ), 2. დასჯის უფლება, 3. უფლება სასამართლო ბოქაულისა, 4. ქონების კონფისკაცია და მემკვიდრეობის მიტაცება, 5. სიკვდილით დასჯა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე ეხება სისხლის აღებას და 6. ამოდიოდა რა ჰანიფიტური მოძღვრებიდან, მან ქალაქების კადიებსა და ნაკიბებს გასამრჯელო დაუწესა საფაშო ხაზინიდან ნაცვლად იმ განუსაზღვრელი შემოსავლისა, რასაც ისინი იღებდნენ მანამდე.

არსებულ წესებში ასეთი სიახლის შეტანის მთავარ მიზანს შეადგენდა ცალკეულ მოხელეთა ერთგვარი შეზღუდვა, ფაშას ძალაუფლების გაძლიერება და საფაშოს პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, რისთვისაც ჩანს, სულეიმანს რამდენადმე მიუღწევია კიდევაც. ამ ღონისძიებათა შედეგად „საფაშო, ხაზინის წლიური შემოსავალი რამდენჯერმე აღემატებოდა მანამდელსო“ — ამბობს კლ. უარი[69]. მისივე თქმით, სულეიმან ქუჩუქის დროს ერაყში შემცირებულა ქურდობა, ყაჩაღობა, აგრეთვე სხვა ბოროტმოქმედებანი და ხალხი მშვიდად ცხოვრობდაო[70].

ერაყში დამყარებული მშვიდობა მალე დაირღვა, მდგომარეობა თანდათან დაიძაბა და ბოლოს იმდენად გართულდა, რომ სულეიმან ფაშას სიცოცხლე შეიწირა. საქმე ის არის, რომ საფაშოში ჩატარებულმა ცვლილებებმა იმათი უკმაყოფილება გამოიწვია, ვისაც ის უშუალოდ შეეხო. სტამბოლში სისტემატურად მიდიოდა

---

[68] Cl. J. Rich. დასახ. ნაშრომი, გვ. 384.

[69] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 164—165. ანალოგიურ ცნობებს იძლევა ჯევდეთიც (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, ტ. IX, გვ. 252).

[70] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

საჩივრები ბაღდადის ულემებისა და სხვა მოხელეებისაგან, რომლებიც ბრალს სდებდნენ ფაშას მწვალებლობაში და ვაჰაბიტებთან კავშირში[71]. ქოის სანჯაკში თავშეფარებული აბდ არ-რაჰმან ბაბანი სულთანს იმასაც წერდა, სულეიმან ფაშას განზრახული აქვს ირანელთა დახმარებით ერაყის ჩამოშორება ოსმალეთის იმპერიისაგან და დამოუკიდებელი მმართველობის შექმნაო[72]. ის ადვილად ახერხებდა ცენტრალური ხელისუფლების დარწმუნებას, რადგან ბაღდადის გამგებელი არ ასრულებდა სულთნისათვის მიცემულ პირობას, უარს აცხადებდა როგორც მისი წინამორბედი ფაშების (სულეიმან ბუიუქისა და ალი ფაშას) დროინდელი თანხის გადახდაზე, ასევე საკუთარი ვალის (სულ 10000 ქისის) დაფარვაზეც[73].

შაგრამ ბაღდადის ფაშას მარტო ულემები და აბდ არ-რაჰმან ბაბანი როდი მტრობდნენ. მის წინააღმდეგ თითქმის ერთდროულად წამოიშალნენ აგრეთვე დიარბაქრისა და მარდინის ტომები, მოსულის ბეგები და ქურთისტანის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირი, ხალედ ფაშა. ამავე დროს მკვეთრად გაუარესდა დამოკიდებულება სულეიმან ფაშა ქუჩუქსა და ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის წარმომადგენლებს შორისაც.

მოსულის ბეგების გულისწყრომა ბაღდადის გამგებლისადმი იმით იყო გამოწვეული, რომ ამ უკანასკნელმა ანგარიში არ გაუწია მათ თხოვნას. ნაცვლად იმისა, რომ მოსულის გამგებლის პოსტიდან ავადმყოფობის გამო გადაყენებული ნუ'მან ფაშას ადგილზე აბდ ალ-ჯალილის გვარის რომელიმე წარმომადგენელი დაესვა, მან ეს თანამდებობა აჰმედ ეფენდის ჩააბარა. თითქმის ასეთივე საფუძველი ედო ხალედ ფაშას უკმაყოფილებასაც. იმ დახმარებისათვის, რაც მან ბაღდადის ჯარს გაუწია 1808 წელს აბდ არ რაჰმან ბაბანის წინააღმდეგ ლაშქრობისას, სულეიმან ქუჩუქისაგან თუ სულეიმანიეს არა, ქოის სანჯაკის გამგებლად დანიშვნას მაინც მოელოდა, მაგრამ, როცა ეს თანამდებობა მუჰამედ ბეგს გადაეცა, ხალედმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, აბდ არ-რაჰმანს მიემხრო და მასთან ერთად ხელი მიჰყო ბაღდადის ფაშას წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას.

რაც შეეხება ბაღდადის ფაშასა და ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის წარმომადგენლებს შორის არსებულ უთანხმოებას, ეს იმით

---

[71] تودت جودت, ტ. IX, გვ. 251.

[72] Cl. J. Rich, დასახ. ნაშრომი, გვ. 384.

[73] تودت جودت, ტ. IX, გვ. 251.

იყო გამოწვეული, რომ ინგლის-ოსმალეთს შორის 1809 წ., ე. წ. დარდანელის საზავო ხელშეკრულების[74] დადების შემდეგ ოსტ-ინდოეთის კომპანიის ბაღდადსა და ბასრაში აკრედიტებულმა წარმომადგენლებმა მიზნად დაისახეს ერაყზეც ისეთივე კონტროლის დაწესება, როგორსაც ინგლისელები ირანის მიმართ ახორციელებდნენ. ამიტომ სულეიმან ფაშა ქუჩუქმა გადაჭრით გაილაშქრა მათ წინააღმდეგ და აიძულა დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ საფაშოს ტერიტორია[75]. მაგრამ 1810 წელს საფაშოს ჩრდილო ნაწილში მიმდინარე ამბოხებებმა, ბაღდადსა და ბასრაში ოპოზიციის გაძლიერებამ და ბომბეის ხელისუფლების სერიოზულმა მუქარამ, ერაყის გამგებელს უკარნახეს შეეცვალა თავისი დამოკიდებულება ინგლისელებისადმი და წასულიყო გარკვეულ დათმობაზე. სამაგიეროდ მათთან დამოკიდებულების გაუმჯობესებით ის უენებელყოფდა თავის საფაშოს თავდასხმისაგან და შესაძლებლობა მიეცემოდა მთელი თავისი ძალებით ემოქმედნა ქვეყნის შიგნით დიარბაქრის, მარდინის, მოსულის აჯანყებულებისა და ბასრა-ბაღდადის ოპოზიციონერთა დასათრგუნავად. ასეთი მოსაზრებით სულეიმან ქუჩუქი დაუზავდა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიას, მიიღო ბომბეის ხელისუფალთა წინადადებანი, სცნო ინგლისელთა პრივილეგიური უფლებები ერაყში და პირობა დადო, არ ჩარეულიყო კომპანიის საქმეებში[76].

ოსტ-ინდოეთის კომპანიასთან მორიგების შემდეგ სულეიმან ფაშა ქვეყნის დაწყნარებას შეუდგა. თავისი ჯარის ერთი ნაწილი აჰმედ ფაშას მეთაურობით მან მარდინისაკენ გაგზავნა, ქოის სანჯაკის გამგებელს მუჰამედ ბეგს უბრძანა, აჰმედ ფაშას დახმარებოდა, ხოლო თვითონ კი დიარბაქრს მიაშურა და სინჯარის აჯანყებულთ გაუსწორდა.

---

[74] ეს ხელშეკრულება აშკარად მოწმობს ოსმალეთში ინგლისის გავლენის ზრდას და საფრანგეთის პოზიციების შესუსტებას, რის ერთ-ერთი მიზეზი მდგომარეობდა ოსმალეთისადმი საფრანგეთის ხელისუფლების იმ არაგელწრფელ დამოკიდებულებაში, რაც ნაპოლეონმა ესოდენ ნათლად გამოხატა ტილზიტსა და ერფურტში ალექსანდრე პირველთან შეხვედრის დროს როგორც ცნობილია, ნაპოლეონმა ტილზიტში ოსმალეთის იმპერიის დანაწილების საკითხი დააყენა, ხოლო ერფურტში მან ალექსანდრეს თანხმობა განუცხადა მოლდავია-ვალახეთის დაკავებისა (Дипломатический словарь, М., 1950, т. II, стр. 971). მაგრამ ამ საიდუმლო შეთანხმების არსი მალე გახდა ცნობილი სულთნის ხელისუფლებისათვის.

[75] C. U. Aitchison, A Collection of Treaties Engagements and sanads relating to India and neighbouring countries, Calcutta, 1892, vol. XI, p. 2; В. Б. Лукин, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

[76] C. U. Aitchison, დასახ. ნაშრომი, ტ. XI, გვ. 2.

აჰმედ ჯევდეთის გადმოცემით, ამ ბრძოლის დროს სინჯარის შრავალი სოფელი დანგრეულა, აჯანყებულთა უმრავლესობა ბრძოლის ველზე დაღუპულა, დანარჩენები, ვინც სიკვდილს გადარჩა და გაქცევა ვერ მოასწრო, ბაღდადის ფაშას დაუტყვევებია[77].

სინჯარიდან სულეიმან ფაშას არბანზე უნდა გაელაშქრა ზაფირის ტომის დასამორჩილებლად, მაგრამ გზაში შეიტყო, რომ მარდინს გაგზავნილი აჰმედ ფაშა და მუჰამედ ბეგ შა'ბი აჯანყებულებთან ბრძოლაში დამარცხებულიყვნენ და ფაშას მაშველ ლაშქარს სთხოვდნენ. ამის გამო ბაღდადის გამგებელმა მარშრუტი შეიცვალა და დირნასკენ (ადგილია დიარბაქრის მხარეში) წავიდა, არბანში კი თავისი ძიძიშვილი აჰმედ ბეგი გაგზავნა.

დირნაში სულეიმან ქუჩუქმა რამდენიმე ბრძოლა გაუმართა ადგილობრივ ტომებს და ისინიც ისე სასტიკად დასაჯა, როგორც სინჯარის მოსახლეობა[78].

ამის შემდეგ სულეიმან ფაშა მარდინის აჯანყებულებს უნდა გასწორებოდა, მაგრამ სერიოზულად დაზარალებულ და დასუსტებულ მის ლაშქარს ბრძოლა აღარ შეეძლო, და იძულებული იყო ბაღდადისაკენ გამობრუნებულიყო. აქ კი ამ დროს მის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებდნენ აბდულაჰ და ტაჰირ აღები (ყოფილი ხაზინადარი და ჩოკდარი)[79].

ლაშქრობის შეწყვეტას, რაც ფაქტიურად დამარცხებას უდრიდა, საფაშოს ჩრდილო ნაწილში აჯანყების ახალი აღმავლობა მოჰყვა. აჯანყების ტალღა ახლა მოსულს და მთელ ქურთისტანსაც მოედო. სინჯარში შა'ბისა და ზაფირის ტომებმი კვლავ აიშვეს თავი და განაგრძობდნენ მეზობელი რაიონების მიწათმოქმედ მოსახლეობაზე თავდასხმებს. მოსულის ბეგებმა ისარგებლეს ერაყის გამგებლის წარუმატებლობით და 1810 წლის გვიან გაზაფხულზე თანამდებობიდან გადააყენეს და მოჰკლეს მის მიერ მოსულის გამგებლად დანიშნული აჰმედ ფაშა. შაჰრიზურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აჯანყებას სულეიმან ფაშა ქუჩუქის წინააღმდეგ ისევ და ისევ აბდ არ-რაჰმან ბაბანი და ხალედი ხელმძღვანელობდნენ.

---

[77] تودت جودت تاريخ, ტ. IX, გვ. 248.

[78] ი ქ ვ ე. გვ. 249.

[79] ჯევდეთის ცნობით, ეს ორი მოხელე ჯერ ერთმანეთს ებრძოდა, ხოლო შემდეგ შეთანხმდნენ და სულეიმან ფაშას მოწამლვა განიზრახეს (იხ. ჯევდეთის დასახელებული შრომა, გვ. 250).

ბაღდადის ფაშას მდგომარეობას ამწვავებდა ისიც, რომ მის წინააღმდეგ ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება ამოქმედდა. ვალის გადაუხდელობისა და იმ მრავალრიცხოვანი საჩივრების გამო, რაც სულთანს მისდიოდა ბაღდადის საფაშოს სხვადასხვა კუთხიდან ქუჩუქ სულეიმანის მოქმედებით უკმაყოფილო პირებისაგან, აგრეთვე იმის გამოც, რომ ცენტრალური ხელისუფლების უკითხავად მოქმედებდა, ჯერ კიდევ 1810 წლის მარტში, სტამბოლში, სულთნის დივანში, ერთხელ კიდევ დაისვა საკითხი თანამდებობიდან სულეიმანის გადაყენების შესახებ.

მომენტი მოხერხებულად იყო შერჩეული, მაშინ დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელთაგან სტამბოლში ისეთი აღარავინ იყო, რომ ბაღდადის ფაშას დაცვა ეთავა. სებასტიანთან ქუჩუქ სულეიმანს დიდი ხანია გაფუჭებული ჰქონდა ურთიერთობა. თუმცა ასეც რომ არ ყოფილიყო, მაინ შემდეგ, რაც სულთნის ხელისუფლებისათვის ნათელი გახდა ნაპოლეონის ნამდვილი ზრახვები, გამოთქმული ტილზიტსა და ერფურტში ოსმალეთისადმი[80], საფრანგეთის მთავრობას და მის წარმომადგენელს ისეთ ანგარიშს აღარ უწევდნენ როგორც ადრე, 1808 წელს.

შედარებით მეტი გავლენა ოსმალეთში ახლა ინგლისს ჰქონდა, მაგრამ მისი ელჩი სტამბოლში ედერი მეურვედ არ გამოადგებოდა სულეიმანს. ის თვითონ უჩიოდა ფაშას ერაყის ტერიტორიიდან ოსტ-ინდოეთის კომპანიის წარმომადგენლების გაძევების გამო.

რაც შეეხება რუსეთს, რომელიც ადრე სულეიმანს მფარველობას და დახმარებას ჰპირდებოდა, ამ დროს ის გალიციის საკითხის მოგვარებით იყო დაკავებული, ირან-ოსმალეთთანაც ომი ჰქონდა და ბაღდადის ფაშასთვის აღარ ეცალა. მიუხედავად ამისა, სულთნის დივანში მაინც შიშობდნენ, რომ ქუჩუქ სულეიმანის გადაყენებას არ გამოეწვია ერთდროული მოქმედება ოსმალეთის წინააღმდეგ ერაყიდან და რუსეთიდან, რომლის არმია, მაშინ დუნაის ნაპირზე იდგა. ამიტომ გადაწყდა, რომ ერაყში გაეგზავნათ მუჰამედ საიდ ხალედ ეფენდი, რომელიც ადგილზე შეისწავლიდა საქმის ვითარებას.

1810 წლის 9 იელისს ხალედ ეფენდი ბაღდადს ეწვია. ამ დროს ქუჩუქ სულეიმანიც ახალი დაბრუნებული იყო დიარბაქრ-მარდინის ბრძოლებიდან და ჯარს აგროვებდა სალაშქროდ, მაგრამ სულთნის წარმომადგენლის მოსვლამ მისი გეგმა ჩაშალა.

[80] იგულისხმება ნაპოლეონის გეგმა ოსმალეთის დანაწილების შესახებ და რუსეთთან შეთანხმება.

მისელისთანავე ხალედ ეფენდიმ ფაშა ინახულა და ვალის გადახდა მოსთხოვა, თანაც გააფრთხილა, რომ უარის თქმის შემთხვევაში ის შერისხული და გადაყენებული იქნებოდა თანამდებობიდან.

სულეიმან ქუჩუქმა ვეღარ გამოიჩინა საჭირო შორსმჭვრეტელობა, დაუშვა სერიოზული შეცდომა და თავიც წააგო. ითვალისწინებდა რა იმპერიის რთულ ვითარებას, აგრეთვე იმასაც, რომ ბაღდადი საკმაოდ შორს იყო სტამბოლიდან, საიდანაც ცენტრალურ ხელისუფლებას იმ პირობებში გაუძნელდებოდა საჭირო რაოდენობით არმიის გაგზავნა ერაყში, — სულეიმანმა სრული გულუბრყვილობა გამოამჟღავნა საფაშოს საშინაო მდგომარეობის შეფასებაში. მან ჯეროვანი ანგარიში არ გაუწია იმ აჯანყებებს, მის წინააღმდეგ რომ წარმოებდა ჩრდილოეთ ერაყში, დარწმუნებული იყო თავის ძალაში და უარი განაცხადა ხალედ ეფენდის წინადადების მიღებაზე. მან მხოლოდ ზოგიერთი წვრილმანი მოთხოვნის შესრულება იკისრა. დანარჩენის შესახებ (კერძოდ, ვალთან დაკავშირებით) ბოდიშის წერილი გადასცა სულთნის საგანგებო რწმუნებულს და უკან გააბრუნა.

სულეიმან ფაშა ქუჩუქის ცხოვრება-მოღვაწეობის ბოლო პერიოდი დეტალურად აქვს აღწერილი ჯევდეთს, რომელიც ბაღდადის გამგებლისა და ხალედ ეფენდის ბოლო შეხვედრისას გამართულ დიალოგს, მოთხრობილს ფაშას ბეკდის მცველის მიერ, ასეთნაირად გადმოგვცემს. მოლაპარაკების დასასრულს ხალედ ეფენდის განუცხადებია: „ჩვენი ფაშა დიდსულოვან, მორწმუნე, ღირსეულ და ძლიერ ადამიანად ითვლება. მე ვიმედოვნებდი, რომ ასეთ მძიმე პირობებში, როგორშიც ახლა ჩვენი სახელმწიფოა, როცა ის მოცულია შინაური და გარეშე უბედურებებით, ფაშა დაეხმარებოდა მას, მაგრამ ჩემი იმედები დაიმსხვრა. თუმცა, თუ ის ახლა 2000 ქისას მაინც გადაიხდიდა, საკითხი გადაიჭრებოდა და ფაშა მშვიდად იჯდებოდა თავის ადგილზე". ეს სიტყვები ფაშას არ მოსწონებია და სულთნის წარმომადგენლისათვის ასეთი პასუხი გაუცია: „არ იცი სტამბოლის ამბავი? ახლა რომ ეს ფული მივცე, მაშინ სახელმწიფოს ხელმძღვანელთა გაუმაძღრობა გაიზრდება და ისინი განუწყვეტლივ წამოაყენებენ სულ ახალ ახალ წინადადებებს. რამდენიც არ უნდა მისცე, სულერთია, ამაოდ ჩაივლის. უმჯობესია, გადაჭრით უთხრა უარი, რომ იმედი დაეკარგოთ"[81].

---

[81] تاريخ جودت, ტ. IX, გვ. 156.

ამის შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა. საბოლოოდ გაირკვა, რომ ბაღდადის გამგებელი ნამდვილად გამოსულიყო იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების მორჩილებიდან. ამიტომ ხალედ ეფენდიმ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ბაღდადის საკითხის მოგვარება, გადაწყვიტა ლაშქრობა მოეწყო სულეიმანის წინააღმდეგ. საჭირო სამხედრო რაზმების შესაგროვებლად ის სტამბოლში კი არ წასულა, როგორც სულეიმან ქუჩუქი ვარაუდობდა, არამედ მოსულს მივიდა და საჯაროდ წაიკითხა „ფირმანი" ბაღდადის ფაშას გადაყენების შესახებ[82]. მერე მოსულის გამგებლის, მუჰამედ ფაშას და აბდ არ-რაჰმან ფაშა ბაბანის 15-ათასიანი გაერთიანებული ლაშქრით, აგვისტოს დამლევს, ბაღდადისაკენ გაემართა, თანაც მოწინააღმდეგის ზურგი რომ დაესუსტებინა, სულთნის საგანგებო რწმუნებულმა ჯაშუშები დაგზავნა ბაღდადსა და ბასრაში ფაშას გადაყენების შესახებ ხმის დასაგდებად.

აღსრულდა ფაშას ბეჭდის მცველის წინასწარმეტყველება: „ხალედი რომ ახლა გაწბილებული წავიდეს, დიდძალი ლაშქრით დაბრუნდება და ალყაში მოგვაქცევსო".

სულეიმან ქუჩუქი ლაშქრობას მომზადებული შეხვდა. მთელი თავისი ლაშქარი, რომლითაც ის ჩრდილო ერაყში საომარი კომპანიის განახლებას ფიქრობდა, ახლა ქაჰია ფეიზულ აღას მეთაურობით ხალედ ეფენდის წინააღმდეგ აამოქმედა. პირველი შეტაკება ფაშასა და ქურთების ჯარებს შორის სექტემბრის თვის მეორე ნახევარში გაიმართა და ქაჰიას გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ ეს წარმატება დროებითი აღმოჩნდა. ბაღდადში ამ დროს სერიოზული ამბები დაიწყო. ხალედ ეფენდის ჯაშუშებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. აბდ არ-რაჰმან აღა მოსულიმ სხვა თანამოსაქმეებთან ერთად მოკლა იენიჩარების აღა ისმაილი, თავის მხარეზე გადაიბირა იენიჩარების რაზმები, დაიკავა ქალაქის ციხესიმაგრე და აღსდგა ვალის წინააღმდეგ, რამაც არსებითი გარდატეხა მოახდინა ომის მსვლელობაზე. ქაჰიას ჯარის ერთი ნაწილი გაწვეულ იქნა ბრძოლის ველიდან ბაღდადში აჯანყების ჩასაქრობაღ. ამან რამდენადმე შეასუსტა ფეიზულ აღას ლაშქრის ბრძოლისუნარიანობა და ინიციატივა მთლიანად ქურთებს დარჩათ. ისინი ბაღდადს მიუახლოვდნენ და ის იყო ქალაქზე იერიშის მისატანად ემზადებოდნენ, რომ მათ

---

[82] ჯ. მ. კინნეირის გადმოცემით, ეს უნდა მომხდარიყო აგვისტოს თვეში (J. M Kinneir, A Geographical memoir of the Persian Empire... London, 1813, p. 308).

სულეიმან ქუჩუქმა, რომელსაც თავისი ერთგული ქართული რაზმებით ამ დროისათვის უკვე მოესწრო დედაქალაქში აჯანყების ჩაქრობა. გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა. ს. ლონგრიგის თქმით, ეს უნდა მომხდარიყო 1810 წლის 5 ოქტომბერს[83], ბაღდადიდან ერთი საათის სავალზე. მიუხედავად ქურთების მედგარი წინააღმდეგობისა, ბრძოლა პირველ დღეს ბაღდადის არმიის გამარჯვებით დამთავრდა[84]. მაგრამ, როგორც კლ. უარი აღნიშნავს, ღამით რაღაც გაუგებარი მიზეზით, ფაშას ლაშქარი ბრძოლის ველიდან გაპარულა[85] და ამან საბოლოოდ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. მეორე დღეს, ულაშქროდ დარჩენილმა და ალყაშემორტყმულმა სულეიმანმა ქართული გვარდიით გაარღვია რკალი, გადალახა მდ. დიალა და დახმარების საათხოვნელად მუნთაფიქის შეიხ ჰამიდ ას-სამირისაკენ გაემართა უდაბნოში, მაგრამ გზაში დაიღუპა[86]. დეფაის ტომის ბელადმა, რომელმაც სულეიმანი ღამის გასათევად თავის კარავში მიიპატიჟა, უღალატა სტუმართმოყვარეობის წესს, მოკლა მძინარე ფაშა[87] და მისი თავი ხალედ ეფენდის მიართვა ერთგულების ნიშნად[88]. ასე დაიღუპა სულეიმან ქუჩუქი, რომელმაც ერაყში თავისი ხანმოკლე მმართველობის პერიოდში საყოველთაო სიმპათია დაიმსახურა. შესანიშნავი თვისებებით დაჯილდოებული ეს გამგებელი იყო სამართლიანი, კეთილშობილი, გულისხმიერი და მწყალობელი[89]. „მისი სამართლიანი და ჰუმანური მმართველობა დიდხანს ახსოვდა ბაღდადის მოსახლეობასო“, — აღნიშნავს თანამედროვე[90].

---

[83] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 226.

[84] احمد جودت, დასახ. ნაშრომი, გვ. 257—258.

[85] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 166. ეს რაღაც უჩინარი ძალა სხვა არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო თუ არა ფული, მოსყიდვა, რასაც ხშირად მიმართავდნენ ხოლმე მაშინ, როგორც ერაყში, ასევე მთელ ოსმალეთის იმპერიაში (احمد جودت, დასახ. ნაშრომი, გვ. 257).

[86] امين بن حسن الحلواني المدني، مطالع السعود، ص — ٤٢

[87] მეჰმედ სურეია სულეიმან ქუჩუქის დაღუპვის თარიღად ასახელებს 1810 წლის 16 ივლისს (დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 93), მაგრამ ეფიქრობთ, ჯევდეთის ცნობა უფრო სწორია.

[88] Cl. Huart, (დასახ. ნაშრომი, გვ. 167; امين الحلواني, დასახ. ნაშრომი, გვ. 42; J. M. Kinneir, დასახ. ნაშრომი, გვ. 308—309. ამათგან განსხვავებით ს. ლონგრიგი აღნიშნავს, სულეიმანი შამარ ტოგას ტომის ბელადმა მოკლაო (S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 227).

[89] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 164-165.

[90] J. M. Kinneir, დასახ. ნაშრომი, გვ. 309.

იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების ცდა ერაყში მამლუქთა ძალაუფლების დასამხობად

აბდალაჰ თუთუნჯის დანიშვნა ბაღდადის საუაშოს მმართველად, ბრძოლა მის წინააღმდეგ და მამლუქთა ხელისუფლების აღდგენა

სულეიმან ფაშა ქუჩუქის დამარცხებისა და დაღუპვის შემდეგ ბრძოლა მალე დამთავრდა. სულთნის საგანგებო წარმომადგენელმა ბაღდადი დაიკავა და საქმე ისე მოაგვარა, როგორც ცენტრალურ ხელისუფლებას ჰქონდა განზრახული. მან მტკიცედ გადაწყვიტა ბოლო მოეღო ერაყში ქართველი ქულემენების მბრძანებლობისათვის, რათა ეს მხარე აღარ გამოსულიყო სულთნის მორჩილებიდან. ამიტომ ბაღდადის საფაშოს გამგებლის პოსტზე სულეიმან ქუჩუქის შემცვლელად დანიშნა არა სულეიმან ბუიუქის „გვარის" წარმომადგენელი, რასაც ბაღდადის მოსახლეობის შეძლებული ზედაფენა მოითხოვდა, არამედ დაღუპული ფაშას ყოფილი ხაზინადარი, ტომით ქურთი, აბდალაჰ აღა თუთუნჯი, ის ვინც საიდუმლო კავშირში იყო აბდ არ-რაჰმან ბაბანთან და მასთან ერთად მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ხალედ ეფენდის სულეიმან ქუჩუქის წინააღმდეგ ბრძოლაში.[1].

ხელისუფლების სათავეში ახალი კაცის მოსელას, როგორც ყოველთვის, ახლაც თან მოჰყვა ცვლილებები საფაშოს მმართველობის მთელ აპარატში, განსაკუთრებით, სამხედრო და საფინანსო უწყებებში[2]. ამ ღონისძიებათა გატარებით ბაღდადის საფაშოს ახალ გამგებელს უნდოდა განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა. მაგრამ მან არათუ ვერ მიაღწია სასურველ შედეგს, არამედ გამოიწვია ხელახალი არეულობა საფაშოს დედაქალაქში. ხელისუფლებიდან განდევნილმა ძველმა თანამდებობის პირებმა შეადგინეს ჯგუფი და საიდ ბეგის მეთაურობით გაშალეს ბრძოლა აბდალაჰ ფაშა თუთუნჯის ხელისუფლების დასამხობად, რის გამოც „ბაღდადელებისათვის თავს მოხვეული ახალი ფაშას მდგომარეობა ძნელზე ძნე-

---

[1] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 409.

[2] تاريخ جودت, ტ. IX, გვ. 259.

ლი იყო. ბაღდადის ფაშების ქართული გვარდიისა და ქალაქში მცხოვრები მათი მრავალრიცხოვანი თანამეტომეების მთელი სიმპათია სულეიმან ბუიუქის მოდგმის მხარეზე იყო, რომ არაფერი ვთქვათ ბაღდადის დანარჩენ მოსახლეობაზე"[3].

აბდალაჰ თუთუნჯის ფაშობის პირველი დღეებიდანვე შესამჩნევად გაძლიერდა ირანის გავლენა ბაღდადის საფაშოს აღმოსავლეთ რაიონებზე. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ ქერმანშაჰის გამგებელმა დაიწყო გადასახადების აკრეფა შაჰრიზურის მხარეში, სადაც ამ დროს ძალა-უფლებას სათავეში ედგა აბდ არ-რაჰმან ბაბანი. განსაკუთრებით გაძლიერდა ირანის ჩარევა ქურთისტანის თურქულ ნაწილში 1812 წ. რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებული „ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების", ანუ როგორც მას ალექსანდრე I უწოდებდა, „ღვთის მიერ ბოძებული" ხელშეკრულების შემდეგ, როცა ირანი, — რომელსაც თურქეთის ხელისუფლება აღუთქვამდა, რომ მასთან ერთად ბოლომდე იბრძოლებდა რუსეთის წინააღმდეგ[4], — ოსმალებისაგან მოტყუებული აღმოჩნდა. რუსეთთან ზავი ისე შეიკრა, რომ სულთანს შაჰისათვის წინასწარ არაფერი უცნობებია. რის გამოც ეს უკანასკნელი რუსეთის პირისპირ მარტოკა დარჩა. ამიტომ სულთან მაჰმუდ II-ის ასეთი საქციელი ფათჰ ალი შაჰმა პირად შეურაცხყოფასთან ერთად ანტიირანულ საქმედაც მიიჩნია[5] და სამაგიეროს გადახდის მიზნით მოქმედება დაიწყო. გადააყენა ქუთისტანის მმართველი აბდ არ-რაჰმან ფაშა ბაბანი და მის მაგივრად ამ მხარის მართვა-გამგებლობა თავის კაცს ჩააბარა.

ამ საქმეს აბდალაჰ ფაშა თუთუნჯი უყურადღებოდ ვერ დატოვებდა. მან თავისი წინამორბედი გამგებლის გამოცდილებიდან იცოდა, რომ ცენტრალური ხელისუფლება ამ ფაქტს ფაშას უუნარობად მიიჩნევდა და ამისათვის დასჯიდა; თუ სხვა არა, თანამდებობიდან მაინც გადააყენებდნენ, რაც პატივმოყვარე ფაშას, რა თქმა უნდა, არ სურდა. ამიტომ, ვიდრე ქურთისტანის ამბავი სტამბოლს მიაღწევდა, მან დალაშქრა ეს მხარე და მის გამგებლად კვლავ აბდ არ-რაჰმანი დასვა, მაგრამ აქაც სასტიკად მოტყუვდა. ცბიერმა აბდ არ-რაჰმანმა ერაყის გამგებელს პატივისცემა იმით გადაუხადა, რომ მჭიდრო კავშირი შეკრა ირანელებთან და მათი დახმარებით ქურთისტანი ბაღდადის საფაშოს ჩამოაცილა, რასაც

---

[3] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 409.

[4] А. Р. Иоаннисян, დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

[5] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 410.

შედეგად მოჰყვა ჯერ თუთუნჯი ფაშას ლაშქრობა 1813 წლის დასაწყისში ურჩი აბდ არ-რაჰმანის წინააღმდეგ და ამ უკანასკნელის გაქცევა ირანში, ხოლო შემდეგ ქერმანშაჰის გამგებლის წინამძღოლობით ირანის ჯარების შეკრა ბაღდადის საფაშოში და ქურთისტანის დაკავება[6].

ბაღდადის გამგებლის მდგომარეობა საფაშოს სხვა მხარეებშიც ვერ იყო მყარი. არაბული ერაყის დიდი ნაწილი ქ. ბაღდადიდან მდ. ევფრატის შესართავამდე მუნთაფიქების შეიხმა ჰამიდ ას-სამირმა დაიკავა და უარს აცხადებდა მორჩილებაზე[7].

ამრიგად, აბდალაჰ თუთუნჯის „ხელისუფლება ქალაქში თუ მოჩვენებითი იყო, ბაღდადის კედლებს გარეთ მას სრულებით არ სცნობდნენ არც არაბი ტომები და არც სხვა მცხოვრებნი"[8].

ახალი ფაშას ასეთი სერიოზული წარუმატებლობით ოსტატურად სარგებლობდნენ მისი მოწინააღმდეგენი — ოპოზიციური ჯგუფის შემადგენლობა და მიმდევრები. ისინი დაჟინებით აყენებდნენ საკითხს ცენტრალური ხელისუფლების წინაშე აბდალაჰის, — როგორც უუნარო მმართველის, — დაუყოვნებლივ გადაყენებისა და მის ადგილზე სულეიმან ბუიუქის ვაჟის საიდ ბეგის დანიშვნის შესახებ, რისთვისაც, სხვათა შორის, განსაკუთრებული ენერგიით იბრძოდა შეიხი ჰამიდ ას-სამირი. ის ყველაზე საშიშ ძალას წარმოადგენდა მაშინ ფაშასათვის და აბდალაჰმაც მის წინააღმდეგ ლაშქრობა აღარ დააყოვნა. 1813 წლის იანვარში ის თავისი ლაშქრით გაემართა მუნთაფიქების შეიხის დასასჯელად[9], მაგრამ სასურველ მიზანს ვერ მიაღწია. მუნთაფიქების ლაშქართან გამართული გადამწყვეტი ბრძოლის დროს ბაღდადის ჯარი დამარცხდა და მისი მეთაური აბდალაჰ ფაშა თუთუნჯი დაიღუპა, ჰამიდ ას-სამირმა 1813 წ. მარტში ბაღდადი დაიკავა და მის გამგებლად სულეიმან ბუიუქის ვაჟი საიდ ბეგი დასვა, რომლის მოსვლას, რიტერის ცნობით, — კმაყოფილებით შეხვედრია ქალაქის მოსახლეობა[10].

[6] C. R. Von Sax, Geschichte des Machtverfalls der Türkie, Wien, 1908, გვ. 175; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 410.

[7] K. Ritter, დასახ. ნაშრომი, გვ. 1002.

[8] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 409.

[9] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 228.

[10] K. Ritter, დასახ. ნაშრომი, ტ. 7, ნწ. II, გვ. 824; Хуршид Эфенди, Сияхет-наме-и Худуд Описание путешествия по Турецко-Персидской границе. СПб., 1877, стр. 58—59; العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 218; تاريخ جودت, ტ. IX, გვ. 260; سليمان نوار, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება უკვე დარწმუნდა, რომ მის მიერ ერაყისადმი გამოყენებული პოლიტიკის შედეგებით მოხერხებულად სარგებლობდა ირანის მთავრობა, ამიტომ სტამბოლში წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ საფაშო ხელისუფლების გამგებლად დასმული კანდიდატის დამტკიცებაზე და 1813 წ. ივნისში საიდ ბეგს გაეგზავნა ფირმანი[11], რომლითაც ის ბასრა-ბაღდადშაჰრიზურის გამგებლად ინიშნებოდა და სამთუღიანი ფაშას ტიტული ეძლეოდა.

ამრიგად, ორწლიანი შუალედის შემდეგ ბაღდადის საფაშოს მმართველობა კვლავ ქართველი ქულემენების ხელში გადავიდა.

საიდ ფაშა

საიდ ფაშა, რომელსაც მეტსახელად ასად[12] ფაშასაც უწოდებდნენ. სულეიმან ფაშა ბუიუქის ვაჟიშვილი იყო. იგი დაიბადა ქ. ბაღდადში[13] 1792 წელს[14] და მამის გარდაცვალებამდე სასახლეში იზრდებოდა მშობლების მეთვალყურეობის ქვეშ. ასე რომ, იგი უცხოეთში დაბადებული ერაყის პირველი ქართველი გამგებელია. საიდმა მაღალ თანამდებობასაც შედარებით იოლად და სწრაფად მიაღწია. თუ მის წინამორბედ ქართველ ფაშებს დიდძალი ენერგიისა და დროის ხარჯვა სჭირდებოდათ იმისათვის, რათა თანდათანობით დაეძლიათ თითოეული საფეხური გრძელი იერარქიული კიბისა გამგებლობამდე, საიდ ფაშამ სულ რამდენიმე თვეში მიაღწია მაღალ მდგომარეობას. მაგრამ ყველაფერ ამას გააჩნდა უარყოფითი მხარეც, რამაც მთელი სიცხადით იჩინა თავი მაშინვე, როგორც კი საიდი საფაშოს მართვა-გამგეობას შეუდგა.

საიდს განზრახული ჰქონდა გამხდარიყო ისეთი ძლიერი და სახელოვანი გამგებელი, როგორიც მამამისი იყო[15]. ნამდვილად კი მას ამისათვის არც ჭკუა-გონება ჰყოფნიდა, არც ნებისყოფა, გამოცდილება ხომ სულ არ გააჩნდა. ის, — როგორც კლ. უარი აღნიშნავს, — თავისი ხასიათითა და მოქმედებით თითქმის არ განსხვავდებოდა ხალიფა ამინისაგან (809—813 წწ). მასავით საიდ ფაშასაც იზიდავდა სხვადასხვა თამაშობა-გართობები, განსაკუთრებით ბევრ დროს ანდომებდა ქალთა საზოგადოებაში დროსტარებას. გან-

[11] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 234.

[12] ასად (არაბ.) ლომი.

[13] J. S. Buckingham, დასახ. ნაშრომი, გვ. 363.

[14] تاريخ جودت, ტ. IX, გვ. 28.

[15] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 234.

სხვავებით თავისი წინამორბედი ქულემენი გამგებლებისაგან. რომლებიც ძალღონეს არ ზოგავდნენ საგამგებლო ქვეყნის დაცვა-გაძლიერებისათვის, საიდ ფაშა ნაკლებად ზრუნავდა საფაშოს ბედზე. ქვეყნის მართვა-გამგეობა უბრალო საქმედ მიაჩნდა, თუმცა ამ საქმეს თავს ვერ ართმევდა. არ გააჩნდა დამოუკიდებლად მოქმედების უნარი, რის გამოც მუდამ იმყოფებოდა თავისი მსახურების, საჭურისების, ქალების, დედის — ნაბი ხანუმისა და სხვათა გავლენის ქვეშ[16].

ერთ-ერთი მრჩეველი და მასწავლებელი საიდისა იყო მისი ქაჰია და ამავე დროს სიძე დაუდ ეფენდი[17], რომლის ენერგიული მოქმედების წყალობით მან 1813—1814 წლებში სძლია მეამბოხე ტომებს, დაამყარა მშვიდობა საფაშოში და ამით უნარიანი გამგებლის სახელი მოიხვეჭა, მაგრამ მისი ასეთი წარმატება დღემოკლე გამოდგა.

1813—1814 წლებში, როცა ქაჰია და ფაშა აჯანყებული ტომების დასათრგუნავად იყვნენ წასული, ბაღდადში ახალი გამგებლისადმი უკმაყოფილოდ განწყობილმა პირებმა თავი თავისუფლად იგრძნეს და შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საიდ ფაშას ხელისუფლების დამხობას. გეგმის განხორციელების ერთ-ერთ მოხერხებულ საშუალებად მათ მიაჩნდათ დაუდ ეფენდის ჩამოცილება მმართველობიდან, რადგან ყველა ამჩნევდა, რომ ქაჰია დაუდის ეანგარო დახმარებით ახერხებდა საიდი ხელისუფლების შენარჩუნებას.

1814 წელს ეს ჯგუფი მოქმედებას შეუდგა დასახული გეგმის მიხედვით. ჯგუფის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ჰამად აღამ კავშირი დაამყარა ფაშას ოჯახის წევრებთან. მან ნაბი ხანუმს აუწყა, რომ თითქოს დაუდი შეთქმულებას აწყობს ფაშას წინააღმდეგ და თუ მის მიმართ დროზე არ იქნება მიღებული ზომები, საიდი ხელისუფლებას დაკარგავსო. ჰამად აღას ეს სიტყვები ნაბი ხანუმმა სინამდვილედ მიიჩნია და შვილს უბრძანა, ქაჰია დაუდი სასახლიდან გაეძევებინა. საიდ ფაშას დაუდის ღალატი არ სჯეროდა და ცდილობდა დედაც დაერწმუნებინა მის სიმართლეში, მაგრამ შვილის მუდარამ არ გასჭრა, ნაბი ხანუმმა თავისი არ დაიშალა და საწადელსაც მიაღწია. საიდ ფაშამ ქაჰია დაუდი თანამდებობიდან დაითხოვა, რითაც მოჭრა სწორედ ხის ის შტო, რომელსაც მთელი სხეულით ეყრდნობოდა.

[16] C l. H u a r t, დასახ ნაშრომი, გვ. 168.

[17] C l. J. R i c h, დასახ. ნაშრომი, გვ. 4,49; А. А д а м о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 412—413; سليمان نوار, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

დაუდის დათხოვნიდან დიდ დროს აღარ გაუვლია, რომ 1815 წლის დამდეგს ბაღდადის საფაშოში კვლავ საყოველთაო აშლილობა დაიწყო.

საფაშოს დასავლეთ ნაწილში პირველი აღსდგა ხაზაილის ტომი, რომელიც საიდ ფაშასაგან მოითხოვდა ტომის ბელადის შაჰფულაჰ ალ-ხალილის გადაყენებას. ხაზაილს ბრძოლაში დახმარება აღუთქვეს და მხარში ამოუდგნენ შამარისა და ზუბაიდის ტომები.

საფაშოს სამხრეთ ნაწილში, ე. წ. არაბულ ერაყში, ბრძოლა გაჩაღდა ქ. ნეჯეფის მოსახლეობაში, ჩრდილოეთში მღელვარებდა ქირქუქის მოსახლეობა, ხოლო ჩრდილო აღმოსავლეთ მხარეში კი გაუთავებელი ბრძოლა წარმოებდა სულეიმანიეს გამგებელსა და ბაღდადის ფაშას შორის[18].

რაც მეტი დრო გადიოდა, მდგომარეობა ბაღდადის საფაშოში უფრო დაძაბული ხდებოდა. სამხრეთში აჯანყებულებმა დაიკავეს ნეჯეფი და ქალაქიდან გააძევეს ფაშას მიერ დანიშნული ციხისთავი. საფაშოს ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილი ქერმანშაჰის გამგებელმა დალაშქრა და სულეიმანიე აბდ არ-რაჰმან ბაბანის ვაუს, მაჰმუდ ბეგს დაუბრუნა[19]. წარმატებით მოქმედებდა აგრეთვე დასავლეთ ერაყის გაერთიანებული არაბ ტომთა კავშირიც.

აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილ ფაშას შეიარაღებულ ძალებს უწესრიგობა ეტყობოდათ, ისინი ხშირად მარცხდებოდნენ და ამით საომარი მოქმედება ჭიანურდებოდა, რაც უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის ეკონომიკაზე. ეცემოდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, მცირდებოდა ხაზინის შემოსავალი. შემოსავლის შემცირებაში, გარდა ხანგრძლივი საომარი მდგომარეობისა, გარკვეულ როლს ასრულებდა ფინანსებისადმი უყაირათო დამოკიდებულება. მეტისმეტმა ხელგაშლილობამ, დროს ტარებამ და ფულის ფლანგ-

---

[18] 1813 წ. გარდაიცვალა აბდ არ-რაჰმან ფაშა ბაბანი. სულეიმანიეს მართვა გამგებლობა ფათ ალი შაჰის დახმარებით ხელთ იგდო გარდაცვლილ ფაშას ვაუმა მაჰმუდმა, რომელიც მანამდე ირანის შაჰის კარზე იზრდებოდა. საიდ ფაშამ, იმ მოსაზრებით, რომ ქურთისტანის ეს ნაწილი ბაღდადის საფაშოსათვის დაექვემდებარებინა, სულეიმანიეს გამგებლობა ჩამოართვა პროირანული ორიენტაციის მაჰმუდს და მის ნაცვლად ამ თანამდებობაზე აბდ არ-რაჰმან ბაბანის მეორე ვაჟი, აბდალაჰი დანიშნა. ფაშას ასეთი საქციელით განაწყენებული მაჰმუდ ბეგი ირანში წაიღა და ქერმანშაჰის გამგებლის დახმარებით ცდილობდა დაკარგული თანამდებობის დაბრუნებას (سليمان نوار, დასახ. ნაშრომი, გვ. 61—63).

[19] تاريخ جودت, ტ. XI, გვ. 22.

ვამ, რასაც ფაშა და მისი მოხელეები მისდევდნენ, ხაზინა დააცარიელა[20].

საფაშოს წლიური შემოსავალი ვეღარ ფარავდა ომებითა და სხვა მიზეზებით გამოწვეულ ფულად ხარჯებს. დაიწყო ფინანსური კრიზისი[21]. რეგულარული ჯარის ნაწილების — იენიჩარებისა და ფაშას რჩეულთა რაზმის შემადგენლობა თვეების განმავლობაში ვეღარ ღებულობდნენ გასამრჯელოს, რის გამოც იზრდებოდა უკმაყოფილება. უხელფასოდ, უყურადღებოდ მიტოვებული და აგრეთვე ქაჰია დაუდის გადაყენებით გულნატკენი მამლუქები უარს ამბობდნენ სამსახურზე, ფაშას განუდგნენ და მის მოწინააღმდეგეთა მხარეზე დადგნენ. დეზერტირობა სულ უფრო მასიურ ხასიათს ღებულობდა. მეომრები სტოვებდნენ ბრძოლის ველს და შინ ბრუნდებოდნენ.

ჯარის ნაწილებში გამოწვეული უკმაყოფილების აღმოფხვრისა და მეომართა ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით, საიდ ფაშამ დაიწყო ვაჭრებისაგან სესხის აღება[22] (მებრძოლთათვის გასამრჯელოს მისაცემად), ხოლო ვალის დასაფარავად განიზრახა ბაღდადში მოეჭრა სპილენძის ფული[23]. მან ეს გადაწყვეტილება ოსმალეთის იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას შეატყობინა და დასტურიც მიიღო[24]. მაგრამ ფულის მოჭრის დროს ისეთი შეცდომა დაუშვა, რომ ხელისუფლებაც დაჰკარგა და თავიც წააგო.

ფულის მოსაჭრელად მან ზარაფხანაში მიიწვია ხალედ ეფენდის ერთ-ერთი ზარაფის, ხაზაკილის ძმა, ბაღდადელი ებრაელი, აზრა[25], რომელიც მას ადრე ბაღდადის ვაჭართუხუცესობას და მთავარი ზარაფის თანამდებობას სთხოვდა, მაგრამ უარი მიიღო. აზრას, რა თქმა უნდა, ეს არ ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია. ნამდვილად კი მზად იყო მის დასაღუპავად და ხელსაყრელ მომენტს ელოდა.

ხელმძღვანელობდა რა ფულის მოჭრის საქმეს, აზრამ საფაშო

---

[20] როგორც ს. ლონგრიგი შენიშნავს, დაედ აღას წასელის შემდეგ სასახლეში ანარქიამ დაისადგურა, ფაშას მრჩეველები ყველანი უნიჭონი, მასხარები, მატყუარები იყვნენ. ვისაც როგორ უნდოდა, ისე მოქმედებდა (დასახ. ნაშრომი, გვ. 234).

[21] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

[22] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 235.

[23] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

[24] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

[25] سليمان نوار, დასახ. ნაშრომი, გვ 63.

ხელისუფლებისაგან სრულიად უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა, შეგნებულად დაარღვია ფულის მოჭრის დადგენილი წესი. ნაცვლად იმისა, რომ საფაშოში გამოშვებულ ფულს ჰქონოდა ოსმალეთის სახელმწიფოს ნიშანი — „თუღრა", ბაღდადში მოჭრილ სპილენძის მონეტას დააწერა „საიდ ფაშა"[26]. ასეთი მონეტის რამდენიმე ცალი, ნიშნად ბასრა-ბაღდად-შაჰრიზურის გამგებლის თვითნებური მოქმედებისა, მან სტამბოლს მყოფ თავის ძმას ხაზაკილს გაუგზავნა, იმან კი გადასცა ხალედ ეფენდის[27], როგორც მესოპოტამიის საქმეთა ხელმძღვანელს სულთნის დივანში[28].

სულთან მაჰმუდ II-ს (1808—1839) ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მიზნით განზრახული ჰქონდა, ბოლო მოეღო ნახევრად დამოუკიდებელი ფეოდალ-გამგებლების თვითნებური მოქმედებისათვის. მიზნის მისაღწევად მან იმპერიის სხვადასხვა შხარეში ბევრი ადამიანი დაასჯევინა[29] სიკვდილით. საიდ ფაშას მიერ დაშვებული შეცდომაც (თავის სახელით ფულის მოჭრა) საკმარისი იყო მაჰმუდისათვის, რათა ეს მიეჩნია ბაღდადის გამგებლის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის აშკარა დამადასტურებელ ფაქტად. თუმცა საიდს ახლა მარტო ეს როდი ბრალდებოდა. იმ ხანებში სულთნის დივანში შედიოდა აგრეთვე სხვა საჩივრები. რომლებშიც ბაღდადის, სულეიმანიეს, ქირქუქისა და ერაყის დანარჩენი ქალაქების გავლენიანი პირები აღწერდნენ საფაშოს სავალალო მდგომარეობას და ამას, ჩვეულებრივ, ხსნიდნენ საიდის როგორც მმართველის სისუსტით და მოითხოვდნენ მის გადაყენებას. ომერ ჩივანთაგან ყველაზე აქტიურად მოქმედებდა ფაშას ყოფილი ქაჰია დაუდი. ამ უკანასკნელმა, მას შემდეგ, რაც იგი მმართველობას ჩამოაშორეს, დაიახლოვა დედაქალაქის ქართველი ქულემენები, აგრეთვე, ყველა ისინი, ვინც უკმაყოფილებას გამოთქვამდა ფაშასადმი და მათი მხარდაჭერით ბაღდადის საფაშოს გამგებლად სტამბოლში თავისი კანდიდატურა წამოაყენა. ამაში მას ბაღდადის დიდგვარიანთა გარდა დიდი დახმარება გაუწიეს სულეიმანიესა და ქირქუქის გამგებლებმაც.

---

[26] سليمان نوار, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

[27] العزاوى, დასახ ნაშრომი, გვ. 231.

[28] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

[29] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 412; C. Von Sax, დასახ. ნაშრომი, გვ. 178—179.

1816 წლის 11 თებერვალს, როცა დაუდმა შეიტყო, რომ საიდი მის დასჯას აპირებდა, იგი თავისი ამალით, თითქოს სანადიროდ მიდიოდა, ბაღდადიდან ზანგაბადისაკენ (ირანი) გაიპარა[30]. იქიდან ქერმანშაჰზე გავლით გადაწყვეტილი ჰქონდა ქირქუქს მისულიყო, მაგრამ გზაში მაჰმუდ ფაშას მიწვევის ბარათი მიიღო და სულეიმანიეში შეჩერდა[31]. აქ მას საზეიმო შეხვედრა მოუწყო მაჰმუდ ფაშა ბაბანმა, რომელმაც მიიღო იგი არა როგორც უბრალო ლტოლვილი, არამედ როგორც ბაღდადის საფაშოს გამგებელი. ბაღდადის გამგებლად აღიარეს ის აგრეთვე ქირქუქის მმართველმა და სულეიმან ფაშამ (ქოის სანჯაკის ყოფილმა მუთასარიფმა), რომელიც ადრე საიდ ფაშას თანამდებობიდან გადაუყენებია, ირანში გაქცეულა და ახლა დაუდ ეფენდის მიაცილებდა ქერმანშაჰიდან[32]. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მათ დაუდისადმი თავიანთი დამოკიდებულების შესახებ წერილობით აცნობეს ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებას და სთხოვეს მისი დანიშვნა საფაშოს გამგებლად. ხოლო ამ თხოვნისათვის რომ მეტი ძალა მიეცათ, სულეიმანიეს ფაშა მაჰმუდ ბაბანი პირობას იძლეოდა, რომ თუ ბაღდადის საფაშოს დაუდს ჩააბარებდნენ, საბოლოოდ გაწყვეტდა კავშირს ირანთან და დაუდს დაემორჩილებოდა[33].

გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა საიდმა იმ ბრალდებათა გასაბათილებლად, რაშიც მას ადანაშაულებდნენ, განკარგულება გასცა, თავის სახელზე გამოშვებული ფული შეეცვალათ და მოექრათ დადგენილი წესის ზუსტი დაცვით. ამასთან ერთად, მან თითქმის მთლიანად გადაახალისა მთავრობის შემადგენლობა. გარეკა იქიდან მამლუქები და მათ ნაცვლად მთავარ უწყებათა ხელმძღვანელებად

---

[30] سليمان نوار; امين الحلواني، مطالع السعود، ص ٤٥, დასახ. ნაშრომი, გვ. 64; Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 170. რასულ პაკი ეფენდი ქირქუქი ბაღდადიდან დაუდის წასელის თარიღად დებს 1231 წ. შაუვალს, ე. ი. 1816 წ. აგვისტო-სექტემბერს (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 273)

[31] დაუდის ყოფნას ქურთისტანში დაწერილებით აღწერს მუჰამედ ამინ ზაქი (იხ. მისი „თარიხულ -სულაიმანიათი", გვ. 135).

[32] სულეიმანიესა და ქირქუქში დაუდთან გამოცხადნენ და მის ჯგუფს შეურთდნენ ბასრის ყოფილი მუთასალიმები ხალილ აღა, რესთემ აღა, ინჯირარების ყოფილი უფროსი ბაღდადში საიდ ალ-ბუეი აღა და ბაღდადიდან გაქცეული დავთარდარი ალ-ჰაჯ აჰმედ ბეგი თავისი ვაჟით უმარ ბეგით (احمد جودت, დასახ. ნაშრ. ტ. XI, გვ. 23).

[33] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 236; تاريخ جودت, ტ. XI, გვ. 23.

სხვები დააყენა იმ ვარაუდით, რომ ისინი უფრო დაეხმარებოდნენ წესრიგის დამყარებასა და ხელისუფლების შენარჩუნებაში. მაგრამ სასურველ მიზანს ვერ მიაღწია.

ვიდრე საიდ ფაშა ამ ღონისძიებებს გაატარებდა, სულთანმა მაჰმუდ II-მ იგი უკვე გადააყენა თანამდებობიდან და ალეპოს მმართველად გაამწესა[34]. ბაღდად-ბასრა-შაჰრიზურის გამგებლად მის ნაცვლად დაუდი დანიშნა[35], ხოლო სანამ დაუდი ბაღდადს მივიდოდა, საფაშოს დროებითი მართვა, სულეიმან ქუჩუქის ძიძიშვილს აჰმედ ბეგს დაავალა[36].

ფირმანმა ალეპოში საიდ ფაშას გადაყვანისა და მის ადგილზე ერაყის დროებით გამგებლად აჰმედ ბეგის დანიშვნის შესახებ ბაღდადში მხოლოდ 1816 წლის შემოდგომაზე მიაღწია. აჰმედ ბეგი მაშინ დაუდის ბანაკში იმყოფებოდა, ქირქუქის მახლობლად, ქედხუდას (მოადგილის) პოსტზე და ამ ბრძანების შესახებ ჯერ არაფერი იცოდა, რომ საფაშოს მართვას შესდგომოდა. რაც შეეხება საიდ ფაშას, მან უარი განაცხადა ალეპოში წასვლაზე[37], ამჯობინა ბაღდადში დარჩენილიყო და ძალაუფლება ნებით არავისთვის მიეცა. სასწრაფოდ დაიწყო ლაშქრის შეგროვება და ქალაქის ციხესიმაგრეების შეკეთება. ასე რომ, მან ბრძოლა გამოუცხადა ცენტრალურ ხელისუფლებას და ერაყის ტერიტორია ჩამოაშორა ოსმალეთის იმპერიას, თუმცა მხოლოდ მცირე ხნით. როცა სტამბოლში შეიტყვეს ბაღდადის ფაშას აჯანყების შესახებ, სულთან მაჰმუდ II-ის ბრძანებით მაშინვე შიკრიკი გაგზავნეს დაუდ ეფენდისთან და მისწერეს, რომ დაუყოვნებლივ წასულიყო ბაღდადისაკენ, აღღო ის და შესდგომოდა საფაშოს მართვას.

დაუდი ამ დროს დიდ გაჭირვებაში იმყოფებოდა. სტამბოლიდან მასთან, ქირქუქში, გაგზავნილ შიკრიკს ჯერ ნახევარი გზაც კი არ

---

[34] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 331.

[35] იქვე, გვ. 236.

[36] تاريخ جودت, ტ. XI, გვ 22; العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 236; سليمان نوار, დასახ. ნაშრომი, გვ. 170; Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

[37] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

ჰქონდა გავლილი, რომ აჰმედ ბეგმა საფაშოს დროებით მმართველად დანიშვნის ბრძანება მიიღო და მოულოდნელად დაუდის ბანაკი დატოვა. მოსალოდნელი იყო, რომ იგი მაშინვე ბაღდადს მიაშურებდა და მოვალეობის აღსრულებას შეუდგებოდა, მაგრამ ბოროტი აზრით შეპყრობილმა, ქირქუქს გასწია, ყველას ამცნო, რომ იგი ბაღდადის საფაშოს გამგებელია და საყოველთაო მორჩილება მოითხოვა. შემდეგ დაიწყო ჯარის თავმოყრა, რათა დაელაშქრა დაუდის ბანაკი, გაენადგურებინა ის და თვითონ დაუდიც. მაგრამ ამ განზრახვის განხორციელება აჰმედ ბეგმა ვერ მოასწრო. ქირქუქის მოსახლეობის ზედაფენა დაუდის წინააღმდეგ ბრძოლას არ აპირებდა, ნეიტრალურ პოზიციას იკავდა და ლაშქრის გამოყვანაზე თავს იკავებდა. საქმე ისე გაჭიანურდა, რომ სანამ ბაღდადის საფაშოს დროებითი გამგებელი საჭირო რაოდენობის სამხედრო რაზმების შეგროვებას და დაუდის დასჯას მოასწრებდა, ამასობაში მისი რწმუნების ვადაც მიიწურა.

1816 წლის 21 ნოემბერს, დაუდს ბასრა-ბაღდად-შაჰრიზურის ეიალეთის გამგებლად დანიშვნის ფირმანი გადასცეს[38], რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ სულთნის ბრძანება საფაშოს დროებით მმართველად აჰმედ ბეგის დანიშვნის შესახებ გაუქმებული იყო და დაუდს სრული უფლება ენიჭებოდა სათაეში ჩასდგომოდა ხელისუფლებას.

ფირმანის მიღებისთანავე დაუდმა სალაშქროდ მზადება დაიწყო. ჯერ ქვეყანას აუწყა მიღებული ფირმანის შინაარსი, შემდეგ ლაშქრისა და აუცილებელი სურსათ-სანოვაგის მოგროვებას შეუდგა. ბაღდადს საიდის წინააღმდეგ აჯანყების მოსაწყობად თავისი კაცები გაგზავნა. დაახლოებით 15 დღის შემდეგ[39], როცა მზადება დაამთავრა, ქურთების ლაშქრით, რომელსაც მაჰმუდ ფაშა ბაბანი და სულეიმანი მეთაურობდნენ, საფაშოს დედაქალაქისაკენ დაიძრა[40].

---

[38] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 236; سليمان نوار, დასახ. ნაშრომი, გვ. 67; تاريخ جودت, ტ. XI, გვ. 26.

[39] تاريخ جودت, ტ. XI, გვ. 22; S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 236—237.

[40] აჰმედ ჯევდეთის მიხედვით, ეს მომხდარა 1816 წლის 16 დეკემბერს (تاريخ جودت, ტ. XI, ?ვ. 26).

საიდ ფაშა ამ დროს ბაღდადში იჯდა და მტრის მოსპობის გეგმას ადგენდა. იგი ფიქრობდა, მოწინააღმდეგე ქალაქში შეეტყუებინა, იქ მოულოდნელად დასხმოდა თავს და გაენადგურებინა. საამისოდ მას უკვე მზად ჰყავდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარი, შემდგარი როგორც რეგულარული ნაწილების, ისე არაბ ტომთა ლაშქრისაგან.

1816 წლის ბოლოს დაუდი ქურთების ლაშქრით ბაღდადს მიუახლოვდა და 1817 წ. 7 იანვარს დილიდანვე იერიში მიიტანა მასზე. შეტევა პირველ ხანებში წარმატებით მიმდინარეობდა. მთელი დღის განმავლობაში უპირატესობა ბრძოლის ველზე ქურთების ხელთ იყო, მაგრამ დაღამდა თუ არა, მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. საიდ ფაშას სამხედრო ნაწილები კონტრიერიშზე გადავიდნენ, დაიწყეს მოწინააღმდეგის ყოველი მხრიდან შევიწროება. ქურთების ლაშქარი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას აშკარა განადგურების საფრთხე დაემუქრა. ამის გამო დაუდმა უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე, დაიწყო უკან დახევა, ქალაქიდან გავიდა და შეუდგა ლაშქრის რეორგანიზაციას, მის შევსებას და წვრთნას[41], რაც დაახლოებით ერთ თვეს გაგრძელდა. შემდეგ მან კვლავ განაახლა ბრძოლა, მაგრამ სასურველ შედეგს მანამდე ვერ მიაღწია, სანამ შიმშილმა[42] და ბაღდადში წინასწარ შეგზავნილი ჯაშუშების საქმიანობამ არ შეარყია საიდ ფაშას ჯარის ერთიანობა. ეს მოხდა 1817 წლის თებერვალში. ხანგრძლივი ბრძოლის გამო ქალაქში დაირღვა ნორმალური ცხოვრება, რამაც უარყოფითად იმოქმედა ომის შემდგომ მსვლელობაზე. დაიხურა ბაზრები, მკვეთრად გაიზარდა ფასები კვების პროდუქტებზე, არმია განიცდიდა იარაღის, სურსათ-სანოვაგისა და საომარი მასალის ნაკლებობას. ყოველივე ამის გამო ჯარის ნაწილებსა და მოსახლეობაში თავი იჩინა უკმაყოფილებამ, რაც თავის სასარგებლოდ გამოიყენეს ფაშას მოწინააღმდეგე მამლუქებმა და სხვა პირებმა, ქალაქში რომ იყვნენ დარჩენილი ან შეგზავნილი. მათ შესძლეს ბაღდადის მცხოვრებთა დარწმუნება იმაში, რომ საიდი თანამდებობაჩამორთმეულია და მის ადგილზე დანიშნულია დაუდი; ფულითა და სხვა დაპირებებით თავიანთ მხარეზე გადაიბირეს იენიჩარების რაზმი, მათი აქტიური მხარდაჭერით დაიკავეს ქალაქი და მიიწვიეს დაუდ ეფენდი, რომელიც 1232 წლის 5 რაბი'

---

[41] S. H. L'o n'g r i g g. დასახ. ნაშრომი, გვ. 237.

[42] იქვე.

მეორეს[43] (1817 წ. 22 თებერვალს)[44] დაბრუნდა ბაღდადში და საფაშოს მართვას შეუდგა.

დამარცხებული საიდი უგაილების რამდენიმე ასეულით ქალაქის ციხესიმაგრეში ჩაიკეტა[45] და ერთხანს ბრძოლას განაგრძობდა, მაგრამ მალე ციხესიმაგრე ბაღდადის ახალ გამგებელს დანებდა[46]. საიდი და მისი უახლოესი მრჩეველი ჰამად აღა შეიპყრეს და 1817 წლის 22 თებერვალს თავი მოჰკვეთეს[47]. ასე დასრულდა 25 წლის სრულიად ახალგაზრდა საიდის ცხოვრების გზა.

სიკვდილმისჯილთა შორის საიდის გარდა სხვებიც იყვნენ. 1818 წლის მარტში მათი თავები სტამბოლში ჩაიტანეს და სულთანს მიართვეს ნიშნად მისი ბრძანების აღსრულებისა[48].

თავი მეოთხე

ქულემენების ქართული დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი დაუდ ფაშა და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა (1818—1831 წწ.)

დაუდიც წარმოშობით ქართველია. გ. ლეონიძის, ი. ენიკოლოფოვისა და ეგვიპტელი ისტორიკოსის, სულეიმან ნავარის მიხედვით, იგი თბილისიდან უნდა იყოს[1], ხოლო ნ. მურავიოვის აზრით — ერაყის დედაქალაქ ბაღდადიდან[2].

---

[43] تاريخ جودت, ტ. XI, გვ. 27; العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 240.

[44] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 170. მეტად სურეია ასახელებს „1232 წლის მუჰარრამის თვეს" (დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 326) ანუ 1816 წლის ნოემბერ-დეკემბერს. ხოლო ს. ლონგრიგი — 1817 წლის 20 თებერვალს (დასახ. ნაშრომი, გვ. 236).

[45] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 238.

[46] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

[47] تاريخ جودت, ტ. XI, გვ. 28.

[48] იქვე.

[1] გ. ლეონიძე, დაუდ ფაშა, „დროშა", თბ., 1954, № 3, გვ. 19—20; И. Ениколопов, Дауд-паша и Россия, «Прометей», М., 1971, № 8, стр. 328; سليمان نوار, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

[2] Н. Н. Муравьев, Турция и Египет в 1832—1833 годах, М., 1869, т. II, стр. 42.

ს. ლონგრიგის აზრით, დაუდი 1769 წელს დაბადებულა[3]. ამ მოსაზრებას მხარს უჭერენ გ. ბეი-მამიკონიანი და გ. ლეონიძე[4], მაგრამ ეს თარიღი არ არის ზუსტი, ასევე მცდარია ანასთას მარი ალ-ქირმალის თარიღიც — 1779 წელი[5]. სანდო ცნობით, რომლის ავტორია დაუდის კარის ისტორიკოსი ამინ იბნ ჰასან ალ-ჰალვან ალ-მადინი, დაუდი დაბადებულა 1188 (1174) წელს[6], ღარიბი გლეხის ოჯახში, მისი ᲨᲘᲛᲝᲑᲚᲔᲑᲘ გიორგი[7] და მარიამი ორბელიანების ყმები იყვნენ. ამის დადასტურებას წარმოადგენს 1820 წლის 10 ნოემბერს თავად ლუარსაბ ორბელიან-ყაფლანიშვილის მიერ გაცემული და ქ. თბილისის სამაზრო სასამართლოსაგან დამტკიცებული „ბოჩოლაანთ გიორგის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელი", სადაც წერია: „ᲩᲣᲙ

---

[3] S. H. Longrigg. დასახ. ნაშრომი, გვ. 239.

[4] გ. ᲑᲔᲘ-ᲛᲐᲛᲘᲙᲝᲜᲘᲐᲜᲘ, ქართველ მამელუკთა მბრძანებლობა ერაყში XVIII და XIX საუკუნეებში, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე", თბ., 1944, ტ. V, № VII, გვ. 731; გ. ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ, დასახ. ნაშრომი, გვ. 19—20.

[5] سليمان نوار, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

[6] امين ابن حسن الحلوانى المدينى, დასახ. ნაშრომი, გვ. 23; العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 329

[7] იაკუბ სარქისის ცნობით, დაუდის მამას პეტროსი თუ პეტროზი რქმეულა (يعقوب سركيس، مباحث عراقية، بغداد، ١٩٤٨، ج ٢، ص ٢٩٥) ნამდვილად კი მისი მამა გიორგი იყო, რაც დასტურდება ქართული საბუთებით. მაგალითად, თავის ერთ-ერთ წერილში დაუდი დედას მოიხსენიებს მარიამის, ხოლო უფროს ძმას შიოს სახელით (საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, საბ. № 19577 „ბედნიერი ბაბილოვანის ხელმწიფის დაუდ ფაშას წერილი დედას"); ბ. ᲡᲘᲚᲐᲒᲐᲫᲔ, ერაყ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XIX ს-ის 20-იანი წლები), საბუთების პუბლიკაცია, (თᲡᲣ, შრომები, 1960, ტ. 91, გვ. 364). იგივე სახელები გვხვდება მეორე საბუთშიც, სადაც გარკვევით ჩანს, რომ მარიამი არის გიორგის მეუღლე, ხოლო შიო უფროსი ვაჟი მისი. გიორგის, მარიამისა და შიოს გარდა იმავე საბუთში დასახელებული არიან აგრეთვე შიოს ცოლი ბარბარე, ქალიშვილები: ნინო, ანა, სალომე და ძმა დიმიტრი (საქ. სახელმწ. ლიტ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, საბ. № 19580, „ბოჩოლაანთ გიორგის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელი"; ბ. ᲡᲘᲚᲐᲒᲐᲫᲔ, დასახ. ნაშრომი, გვ. 359), რომელიც აგრეთვე დაუდის ძმა იყო, 1818 წელს ბაღდადს წავიდა და იქ დარჩა საცხოვრებლად. დაუდის მამა რომ გიორგი იყო, ჩანს დაუდის ნათესავის, გ. ბროძელის მიერ შედგენილი გენეალოგიური სიიდანაც. ეს სია მოთავსებულია გიორგის შვილებისთვის მიცემული გაახატების წიგნის მე-3 გვერდზე (საქ. სახელმწ. ლიტ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, საბ. № 19582; ბ. ᲡᲘᲚᲐᲒᲐᲫᲔ, დასახ. ნაშრომი, გვ. 365).

წელსა, ნოემბრის ი დღესა, მე თავადმა ლუარსაბ იოანეს-ძე ორბელიანოვმა განგათავისუფლე ჩვენის ყმობისაგან ჩემნი სამკვიდრონი ყმანი აწ აქ ტფილისში მცხოვრებნი ბოჩოლაანთ გიორგის შვილები ყოველნი შიო და დიმიტრი, რომელნიც ძველათ მანველაანთ იხსენებოდით შენის ცოლითა და შენის შვილებით და დედაშენი მარიამ"[8]. მოტანილი ციტატიდან დაუდის მშობლების სოციალური ვინაობა-მდგომარეობის გარდა ირკვევა, რომ მათ ძველი გვარი და ადგილსამყოფელი დაუგდიათ, საცხოვრებლად თბილისში გადმოსულან და ბოჩოლაშვილებად დაწერილან. თანაც ეტყობა, ყოველივე ეს ამ საბუთის გაცემამდე არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მომხდარა. ამიტომ გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ დაუდი არც ბაღდადელია, არც თბილისელი, ხოლო გვარად ბოჩოლაშვილი კი არა, მანველაშვილი იყო.

დაუდი სულ პატარა გამოეთხოვა სამშობლოს. ხუთი თუ ექვსი წლის ბავშვი ტყვით შოვაჭრე მარბიელებმა მოიტაცეს და ოსმალეთში წაიყვანეს[9]. იქ დავითმა რამდენიმე პატრონი გამოიცვალა, ბოლოს იგი თავის სხვა თანამემამულეებთან ერთად ბაღდადში მიიყვანეს[10]. ალ-ჰალვანის ცნობით, ბაღდადის ტყვეთა ბაზარზე გასაყიდად მიყვანილი 11 წლის[11] დავითი მუსტაფა არ-რაბი'ი ბეგს შეუძენია და ერაყის გამგებელ სულეიმან ფაშა ბუიუქისათვის მიურთმევია[12]. სულეიმან ფაშამ კი უკვე რჯულგამოცვლილი, დაუდად მონათლული

---

[8] საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, საბ. № 19580 და №19582.

[9] „პაპაჩემის ნაამბობიდან ვიცი, რომ პატარა დავითი, სახლიდან ქუჩაში მეზობლის ბავშვებთან სათამაშოდ გასული, შინ აღარ დაბრუნებულა. იგი სხვებთან ერთად მოუტაცნიათ და თათრის ქვეყანაში გასაყიდად წაუყვანიათ"-ო, გვითხრა დაუდის შორეულმა ნათესავმა, 70 წელს მიღწეულმა ლევან კანდელაკმა, რომელსაც ბინაზე ვეწვეოთ 1954 წელს, თბილისში (არსენას ქუჩა № 11). ლევანის ნაამბობის სისწორეს ადასტურებს ალ-ქირმალის ერთი ცნობაც, რომელშიც ასევე აღნიშნულია, „დაუდი ტყვით ვაჭრებმა მოიტაცესო" (الاب انستاس ماری الكرملی ،خلاصة تاريخ العراق، البصرة، ١٣٣٧ ص — ٢٠٨).

[10] Robert Ker Porter, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 248.

[11] ალ-აზავის მიხედვით, დაუდი მაშინ 6 წლის ყოფილა (العزاوی, დასახ. ნაშრომი, გვ. 329), ხოლო ს. ლონგრიგი კი აღნიშნავს, ის 13 წლის იყოო (S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 239). როგორც ალ-აზავის, ისე ლონგრიგის ცნობით, დაუდი ბაღდადში მიეყვანიათ 1780 წელს.

[12] الحاوانی, დასახ. ნაშრომი, გვ. 44; سليمان نوار, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

დავითი თავის მფარველობაში აიყვანა და მამლუქთა სასწავლებელში მიაბარა. აქედან იწყება მისი ცხოვრების ახალი პერიოდი.

სკოლაში დაუდმა ჩინებული ნიჭი და უნარი გამოიჩინა. სამხედრო ვარჯიშობებისა და წესების დაუფლებასთან ერთად იგი დიდი მონდომებით სწავლობდა სხვა საგნებსაც. ისე კარგად დაეუფლა მუსლიმთა საღვთო წიგნს — „ყურანს“ და აღმოსავლურ ენებს, რომ სულ მალე მოიხვეჭა არაბული, თურქული, სპარსული ენებისა და ღვთისმეტყველების საუკეთესო მცოდნის სახელი, რითაც თავიდანვე მიიპყრო პატრონის ყურადღება.

მამლუქთა სასწავლებლის კურსდამთავრებულ დაუდს სულეიმან ფაშა ბუიუქმა ჯერ თავისუფლება მიანიჭა და ბეჭდის მცველად დანიშნა, ხოლო შემდეგ (დაახლოებით 1801 წელს), 27 წლისას საფაშო ხაზინა ჩააბარა და ცოლადაც თავისი ქალი შერთო.

ფაშასთან ნათესაური კავშირი და მაღალი თანამდებობა დაუდს უფლებას ანიჭებდა ყოფილიყო ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტი და 1802 წელს, როცა მძიმე ავადმყოფობით შეპყრობილ სულეიმან ბუიუქს საფაშოს მართვის უნარი საბოლოოდ წაერთვა, დაუდმა კიდევაც სცადა ხელისუფლების სათავეში მოქცევა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიზანს ვერ მიაღწია. სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, სულეიმანმა „დივანი“ მოიწვია და საფაშოს გამგებლად თავისი უფროსი სიძე ქაჰია ჰაფიზ ალი დანიშნა.

ჰაფიზ ალისთან დაუდი ვერ იყო კარგ დამოკიდებულებაში. ალი ფაშა თავის ქვისლ დაუდში სერიოზულ მეტოქეს ხედავდა. ამიტომ ახალი გამგებლის მხრივ მოსალოდნელი ხიფათის ასაცილებლად დაუდმა 1803 წელს თავი გაანება საერო სამსახურს და სასულიერო სფეროში დაიწყო მოღვაწეობა. იგი მოლად ეკურთხა, ქ. ბაღდადში აბდ ალ-ყადარის მეჩეთში ჩასახლდა[13] და წმინდა რელიგიურ საქმიანობასთან ერთად სამი წლის განმავლობაში მასწავლებლობდა მეჩეთთან არსებულ სკოლაში, სადაც მისი სახელი კიდევ უფრო პოპულარული გახდა.

1807 წელს ჰაფიზ ალი ფაშას დაღუპვის შემდეგ დაუდი საერო სამსახურს დაუბრუნდა და საფაშოს ხელისუფლების სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა. სულეიმან ფაშა ქუჩუქის და აბდალაჰ თუთუნჯის დროს მას დავთარდარის პოსტი ეკავა, ხოლო საიდის

---

[13] J. R. Welsted, Travels to the city of the Caliphs, London, 1840, vol. I, p. 259.

დროს — ჯერ ქაჰიად იყო, შემდეგ კი დავთარდარად. როგორც აღინიშნა, აქ მას ბრალი დასდეს ფაშას წინააღმდეგ შეთქმულების მომზადებაში და სამსახურიდან დაითხოვეს. დაუდმა დატოვა ბაღდადი და მხოლოდ მაშინ დაბრუნდა ქალაქში, როცა სტამბოლიდან ბაღდად-ბასრა-შაჰრიზურის ვალის თანამდებობაზე დანიშვნისა და სამთუღიანი ფაშას ტიტულის ბოძების ფირმანი მიიღო.

აბას ალ-აზაკის ცნობით, 1817 წ. 22 თებერვალს ბაღდადში შესული დაუდისთვის საზეიმო შეხვედრა მოუწყვიათ ქალაქის მოსახლეობას, დიდებულებსა და სწავლულებს. ყოველი მხრიდან გაისმოდა თურმე მისალმების შეძახილები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება"[14].

დაუდ ფაშამ მეტად მძიმე მემკვიდრეობა მიიღო სამართავად. ერაყი მაშინ ის აღარ იყო, რაც სულეიმან ფაშა ბუიუქის დროს. მისი გარდაცვალების თითქმის პირველივე დღიდან დაწყებულმა გაუთავებელმა საგარეო თუ საშინაო ბრძოლებმა ქვეყანას თავისი კვალი დაამჩნიეს. საფაშო ხელისუფლება დასუსტდა. საიდ ფაშას დროს მმართველ აპარატში სრული ანარქია და უდარდელობა გამეფდა. ფაშა და მისი მოხელენი გართობა-დროსტარებაზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე საფაშოს გონივრულად მართვაზე. საფაშოში მყოფი თითოეული ტომი, გრძნობდა რა ხელისუფლების სისუსტეს, დამოუკიდებლობას ჩემულობდა. შაჰრიზურის მხარე თითქმის მთლიანად გამოეყო საფაშოს და ახლა ირანს უფრო ემორჩილებოდა, ვიდრე ბაღდადის გამგებელს. უსასრულო ბრძოლები, რასაც ადგილი ჰქონდა ბაღდადის საფაშოში, უარყოფითად მოქმედებდა ერაყის სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობასა და ეკონომიკაზე.

დაუდ ფაშას მიზნად ჰქონდა დასახული ერაყის გაერთიანება და სრული დამოუკიდებლობის მოპოვება. ამიტომ, დაიკავა თუ არა გამგებლის პოსტი, მაშინვე შეუდგა თავისი განზრახვის განხორციელებას და მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას. პირველ რიგში მან თავი მოუყარა სწავლულებს, დიდებულებს, ჯარის წარმომადგენლებს, ქალაქის შეძლებულებს და შეადგინა დიდი დივანი ანუ დიდი საბჭო, მთავრობა, რომელშიც შედიოდნენ: ქედხუდა მუჰამედ აღა, დივანის მწერალი ფადლალაჰი, იენიჩარების უფროსი საიდ ალი აღა, დავთარდარი მუჰამედ საიდი, ქაჰია მუსა აღა და ხაზინადარი იაჰია აღა. თითოეულ მათგანს, ისევე როგორც ჯარის მეთაურთა შე-

---

[14] العزاوي, დასახ. ნაშრომი, გვ. 241.

მადგენლობას, დაუჰიგა გარკვეული ფორმის ტანსაცმელი იმისდა მიხედვით, თუ ვის რა თანამდებობა ეჭირა; შემდეგ შეკრიბა მოსახლეობა და გააცნო მათ მიღებული ღონისძიება[15]. ფულით, საჩუქრებითა და დაპირებებით, ერაყის ახალმა გამგებელმა თავის მხარეზე დარაზმა ჯარი და მოსახლეობა, განსაკუთრებით სასულიერო წოდება. რომლის წარმომადგენლებთან მას, როგორც მოლას, ისედაც ფართო კავშირი ჰქონდა[16]. ასეთი ღონისძიების გატარებით დაუდ ფაშამ საკმაოდ განიმტკიცა მდგომარეობა საფაშოს დედაქალაქში და დაიწყო მისდამი მტრულად განწყობილი ელემენტების დასჯა. იგი არ დაკმაყოფილებულა საიდ ფაშას მოკვლით და სასტიკად გაუსწორდა მის მომხრე გავლენიან პირებს: ჰამად აღას, მუჰამედ საიდ ბეგს, ომარ აღას და სხვა მეთაურებს, აგრეთვე ქულემენების იმ ჯგუფს. რომელიც ბოლომდე საიდ ფაშას ერთგული დარჩა.

მაშინ, როცა დაუდი ბაღდადში საქმეს იგვარებდა, მისი შეიარაღებული ლაშქარი ქაჰია მუჰამედ აღას წინამძღოლობით აჯანყებულ არაბ ტომებს უტევდა და მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა. 1818 წლის ზამთარში მან დაამარცხა დულაიმის, შამარ ჯერბას, შამარ ტოგას ტომები და დახარკა ისინი. ის სასტიკად გაუსწორდა აგრეთვე სუგურტისა და ენეზის სექტანტებს, რომლებიც მუსაიბის აღმოსავლეთით მოქმედებდნენ ირანის ხელისუფლების დარიგებით. ირანის მთავრობის აშკარა დახმარებითა და წაქეზებით მოქმედებდა სულეიმანიეს გამგებელი მაჰმუდ ფაშა ბაბანიც, ის კაცი, ვინც ოსმალეთის მთავრობას პირდებოდა, რომ დაუდის ფაშად გახდომის შემთხვევაში უარს იტყოდა ირანის ქვეშევრდომობაზე და ოსმალეთის მხარეზე დადგებოდა. ერთხანს მაჰმუდ ფაშა მართლაც პირნათლად ასრულებდა ფიცს და დაუდმაც კარგი საჩუქარი მოუმზადა მას, ქოისა და ჰარირის სანჯაკები უბოძა. მაგრამ შემდეგ სწორედ ქერმანშაჰის გამგებლის უფლისწულ მუჰამედ ალი მირზას მუქარით მან ერაყის გამგებლისათვის მიცემული პირობა დაარღვია, კვლავ ირანის ქვეშევრდომობა იკისრა და ალი მირზას აღუთქვა, რომ ირანში მძევლად თავის ძმას, ყარადაღის მმართველს ჰასან ბეგს გაგზავნიდა. ცხადია. მაჰმუდ ფაშა ბაბანის ასეთ მოქმედებას დაუდი გულგრილად ვერ შეხვდებოდა და მაშინვე შეუდგა საჭირო ზომების მიღებას.

---

[15] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 241.

[16] J. R. Welsted, დასახ. ნაშრომი, გვ. 250; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 413.

მან გადაწყვიტა საქმე ჯერ მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა და ამ მიზნით სულეიმანიეში მოსალაპარაკებლად მიავლინა თავისი მუჰრადარი ინაიეთულაჰ აღა, მაგრამ, როცა მოლაპარაკებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, იგი იძულებული გახდა ძალა გამოეყენებინა. იმავე ინაიეთულაჰის სარდლობით, დაუდ ფაშამ თავისი ლაშქარი 1818 წელს ქურთისტანის დასალაშქრავად გაგზავნა.

ლაშქრობა წარმატებით დაიწყო. ბაღდადის ლაშქარმა თითქმის უბრძოლველად დაიკავა ქოისა და ჰარირის სანჯაკები და მათი მართვა მიანდო დაუდის მიერ ფაშას რანგამდე აყვანილ ჰასან ბეგ ბაბანს, რომელმაც ჯერ კიდევ ადრე, დამსჯელი ექსპედიციის მოწყობამდე, უარი თქვა ქერმანშაჰის გამგებლის კარზე წასვლაზე და ბაღდადში გაიქცა.

ქოისა და ჰარირის შემდეგ ბაღდადის ფაშას ლაშქარმა ქირქუქიც დაიკავა და სულეიმანიესაკენ წასასვლელად მოემზადა[17]. მაგრამ ა. ადამოვის მიხედვით, თითქოს ეს ლაშქრობა აღარ შემდგარა. ქურთისტანში სალაშქროდ წასული ბაღდადის ფაშა შუა გზიდან დაბრუნებულა, რადგან შეუტყვია, რომ მაჰმუდ ფაშა ბაბანის დასახმარებლად სულეიმანიეში ირანის დიდძალი ჯარი მოსულიყო ქერმანშაჰის გამგებლის მუჰამედ ალი მირზას მეთაურობით[18]. უფრო სარწმუნო ცნობებით კი იგივე ამბავი რამდენადმე სხვაგვარად წარმოგვიდგება. 1818 წელს ბაღდადის ფაშას დაულაშქრავს ქურთისტანი და სულეიმანიეს მმართველად თავისი კანდიდატი აბდალაჰი დაუსვამს[19]. რაც შეეხება სულეიმანიეში ირანის ჯარის მოსვლას, ეს შედარებით გვიანდელი ამბავია. დამარცხებული და თანამდებობიდან გაძევებული მაჰმუდ ფაშა ბაბანი სულეიმანიედან ირანს გაიქცა დახმარების სათხოვნელად და 1819 წლის ზაფხულში ქერმანშაჰის გამგებლის ალი მირზას ლაშქრით ქურთისტანს მიადგა[20]. იმავე დროს ბაღდადის საფაშოს გასანადგურებლად, როგორც ამას რუსეთის მაშინდელი წარმომადგენელი სტამბოლში გრაფი გ. სტროგანოვი

---

[17] تاريخ جودت, ტ. XI, გვ. 30—35.

[18] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 415.

[19] ა. ადამოვის მიხედვით, აბდალაჰი მაჰმუდ ფაშა ბაბანის უმცროსი ძმა უნდა იყოს] (А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 415), ს. ლონგრიგი კი მას მაჰმუდ ფაშას ბიძად მოიხსენიებს (S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 243—244).

[20] აჰმედ ჯევდეთის ცნობით, მაჰმუდ ფაშა ბაბანს სულ 14 ათასიანი ლაშქარი ჰყოლია. აქედან 10000 კაცი ირანელი ყოფილა (تاريخ جودت, ტ. XI, გვ. 30—31).

აღნიშნავს, მოდიოდა აგრეთვე ირანელთა 20-ათასიანი ჯარი[21]. როცა დაუდმა ეს ამბავი შეიტყო, მან თავისი ლაშქარი სამ ნაწილად გაჰყო. პირველს სათავეში ჩაუყენა ქეთხუდა ბუვიბ ჰალილ აღა და მენდელჯინისაკენ გაგზავნა. მეორის სარდლობა მიანდო ბაღდადის ყოფილ მთავარ აღას აბდ-ალ-ფათაჰს, რომელიც ჯესანსა და ვიდრაში უნდა წასულიყო. ხოლო მესამე ნაწილი მეორე ქეთხუდა მეჰმედ აღას ჩააბარა და ირანიდან წამოსული ლაშქრის შეკავება უბრძანა[22].

ბაღდადის ფაშას ლაშქრის ის ნაწილი, რომელსაც ქაჰია მუჰამედ აღა და სულეიმანიეს გამგებელი აბდალაჰ ბაბანი ხელმძღვანელობდნენ, თავიდან წარმატებით იგერიებდა მოწინააღმდეგის იერიშებს, მაგრამ მტრის საბოლოოდ შეჩერება და უკუქცევა მან ვერ შეძლო. ისედაც მცირერიცხოვანი და ირანელებთან შედარებით უფრო ცუდად შეიარაღებული ბაღდადის ფაშას ლაშქრის რიგები თანდათან თხელდებოდა. დამხმარე ჯარი კი არსაიდან მოდიოდა და არც იყო მოსალოდნელი მოსვლა, რადგან იმპერიის მთელი შეიარაღებული ძალები მაშინ საბერძნეთსა და ბალკანეთში მიმდინარე ანტიოსმალური აჯანყებების ჩასაქრობად იყო გამიზნული და ქურთისტანის ამბებისათვის არავის ეცალა. ასე რომ, დრო ირანელთა სასარგებლოდ მოქმედებდა და მუჰამედ ალი მირზაც, რა თქმა უნდა, მარჯვე მომენტს ხელიდან არ უშვებდა. იგი დაუდისაგან დაჟინებით მოითხოვდა შაჰის ქვეშევრდომობაზე დაფიცებული მაჰმუდ ფაშა ბაბანის დასმას სულეიმანიეს გამგებლად (ე. ი. მთელი შაჰრიზურის მხარის ირანის მფლობელობაში შესვლას) და ამისათვის ომს განაგრძობდა, ბრძოლაში აბამდა ახალ-ახალ რეზერვებს და გამარჯვების სასწორიც თანდათან მის მხარეზე იხრებოდა. ყიზილ რაბატთან გამართული შეტაკებისას ირანისა და ქურთების ლაშქარმა, რომელიც ემიგრანტი ფაშას მხარეზე იყო, სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგე[23], დაიკავა სულეიმანიე და აღადგინა იქ მაჰმუდ ფაშა ბაბანის ძალაუფლება.

ვინაიდან ბაღდადის არმიის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი

---

[21] «Через Английского курьера, ежемесячно приезжащего сюда из Багдада по делам Ост-Индской компании, Листон получил ныне известие о вторжении в Багдадской пашалык 20-ти тысячного корпуса персиян с тем, чтобы опустошить сию провинцию» (Депеша барона Строганова к ген. Ермолову, от 16 сентября 1819 г. Буюк-Даре, АКАК, т. VI, ч. II, стр. 420).

[22] تاريخ جودت, ტ. XI, გვ. 30.

[23] Cl. J. Rich, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 180—184.

ეურთისტანის საქმეში ირანის აშკარა შეიარაღებული ჩარევა იყო, დაუდმა, ირანისათვის სამაგიეროს გადახდის მიზნით, შური იძია ერაყში მცხოვრებ შიიტ მოსახლეობაზე; ირანის ქვეშევრდომებზე, მომლოცველებზე და იწყო მათი უმოწყალო რბევა-აწიოკება. ბაღდადში, ქერბელაში, ნეჯეფში და სხვა ქალაქებში მყოფი ირანელი მდიდრები დააპატიმრა, ხოლო მათ ქონებას კონფისკაცია უყო. ასე მოექცა იგი შიიტთა წმინდა ადგილებში (უმთავრესად ქერბელასა და ნეჯეფში) ირანის შაჰების მიერ საუკუნეთა მანძილზე ნაგროვებ განძეულობასაც, რომელიც დაუდის განკარგულებით ბაღდადის ზარაფხანაში მიიტანეს, გადაადნეს და ფულად მოჭრეს[24]. დაუდის ბრძანებით აკავებდნენ და ჩხრეკდნენ აგრეთვე მექა-მედინაში მიმავალ ირანელ პილიგრიმთა ქარავნებს.

ბაღდადის ფაშას ასეთმა პოლიტიკამ კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა ირანთან. გაჯავრებულმა ფათჰ ალი შაჰმა დაუდს სპარსულ ენაზე დაწერილი წერილი გაუგზავნა და მოაგონა, რომ სულეიმან ფაშა ბუიუქის დროს ირანსა და ერაყს შორის დამყარდა კარგი დამოკიდებულება. რაიმე დღესასწაულის ანდა საომარი მოქმედებისას მოპოვებული გამარჯვების შემთხვევაში ბაღდადის ფაშა მილოცვას უგზავნიდა შაჰს და ორივე მხარე ზეიმობდა. ასე იყო ადრე, მაგრამ ახლა ამ ტრადიციას ყურადღება აღარ ექცევა და თქვენ ჩვენს საზიანოდ მოქმედებთო[25]. საყვედურით აღსავსე ამ წერილს მიღებასთან ერთად დაუდმა ისიც შეიტყო, რომ შაჰი მოკლე დროში ირანის დასავლეთ საზღვრის დასათვალიერებლად უნდა წასულიყო და, რომ რაიმე მოულოდნელობას ადგილი არ ჰქონოდა, ფაშა თავდაცვითი ღონისძიების გატარებას შეუდგა. საკუთარი ჯარის მომზადებასთან ერთად მან სულთანიც გააფრთხილა, რომ საჭიროების შემთხვევაში მისთვის დახმარება გაეწია.

დაუდისგან ცნობის მიღებისთანავე სულთანმა მაჰმუდ II-მ ალეპოს, სივასის, ადანისა და მარაშის გამგებლებს უბრძანა, დაუყოვნებლივ შეეკრიბათ ლაშქარი და მომზადებულიყვნენ ბაღდად-მოსულისაკენ წასასვლელად. ამავე დროს მან ერაყის გამგებლის განკარგულებაში გაგზავნა ისკენჯის, ზეამთა და თიმარჯთა ლაშქარი[26].

ბუნებრივია, სულთნის ასეთი ქმედითი ღონისძიება ირანიდან მოსალოდნელი საფრთხით იქნებოდა ნაკარნახევი, მაგრამ დაუდი-

---

[24] Cl. J. Rich, დასახ. ნაშრომი, გვ. 226; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 416.

[25] تاريخ جودت, ტ. XI, გვ. 35.

[26] იქვე, გვ. 31—32.

ამან სერიოზულად ჩააფიქრა. მას ეშვი ეპარებოდა მაჰმუდ II-ის გულწრფელობაში. იგი ვარაუდობდა, რომ სულთანს სურდა ირანთან მდგომარეობის გართულების საბაბით თავისი ჯარები შეეყვანა ერაყში და დაემხო იქ ქულემენების ძალაუფლება. ამიტომ დაუდმა ვადაწყვიტა, მოლაპარაკება გაემართა შაჰთან, მშვიდობიანი გზით გადაეჭრა სადაო საკითხები, მიეღწია შეთანხმებისათვის და სულთნის ჯარებისათვის მოესპო ერაყში შესვლის საბაბი. დაუდმა მიზანს მიაღწია, რაშიც მას დაეხმარა ირანის საგარეო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილება. კერძოდ ის, რომ შაჰმა ინგლისელების წაქეზებით რუსეთის წინააღმდეგ იწყო მზადება და გადაწყვიტა მოკავშირედ გაეხადა თურქეთი. ეს კი შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ ის დროებით მაინც იტყოდა უარს თავის პრეტენზიებზე ერაყის გამგებლის მიმართ და მიიღებდა ამ უკანასკნელის წინადადებას სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ. ამიტომ ირანის მთავრობამ სულთანს აახლა თავისი ელჩი მეჰებ ალი ხანი, რომელსაც დავალებული ჰქონდა მაჰმუდისათვის საჩუქრად მიერთმია სპილო, მოეხადა ბოდიში და მოლაპარაკებოდა შემდეგზე: 1. რომ საჭიროა ირან-ოსმალეთის გაერთიანება რუსეთის წინააღმდეგ; 2. რომ ირანი ვალდებულებას კისრულობს შეაკეთოს მის მიერ დანგრეული ციხეები ვანის რაიონში, თუ ა) ოსმალეთის მთავრობა პირობას დადებს, რომ არ აიღებს დიდ ბაჟს ირანელი პილიგრიმებიდან და არ შეურაცხყოფს მათ; ბ) ირანიდან გაქცეულ ქურთებს არ მისცემს პოლიტიკურ თავშესაფარს თურქეთში და დააბრუნებს უკან; გ) ირანელ ვაჭრებს მოექცევიან ისე, როგორც თავისას[27].

პირდაპირი ცნობა არა გვაქვს, მაგრამ ირკვევა, რომ მეჰებ ალი ხანის მისია სტამბოლში წარმატებით დამთავრებულა. ამას გვაფიქრებინებს აჰმედ ჯევდეთის ერთი ცნობა, რომელშიც ნათქვამია: დაუდმა საქმე მშვიდობიანად მოაგვარა და სულთნის ჯარების გაგზავნა ერაყში საჭირო აღარ გახდაო[28]. საქმის მოგვარებაში ჯევდეთი იმასაც გულისხმობს, რომ მორიგების თანახმად ქურთისტანი ბაღდადის საფაშოში უნდა დარჩენილიყო, მაჰმუდ ფაშა ბაბანი დაუდს დაემორჩილებოდა. მას რჩებოდა ბაბანის სანჯაკი. ქოისა და ჰარირის სანჯაკები აბდალაჰს ეძლეოდა: ირანში გაქცეული სულეიმან ფაშა და აბდ ალ-აზიზი ბაღდადში უნდა დაებრუნებინათ[29].

---

[27] تاريخ جودت, ტ. XI. გვ. 31.

[28] იქვე, გვ. 33.

[29] იქვე, გვ. 31.

ირანთან მიღწეულმა შეთანხმებამ საშუალება მისცა ბაღდადის ფაშას ბოლო მოეღო მეკობრეობისათვის, რომლის ორგანიზატორი იყო საიდ ფაშას ძმა სადიკ ბეგი[30]. მან შემოიკრიბა დაუდ ფაშას მოწინააღმდეგე ყველა ლტოლვილი და მათგან შეადგინა ჯგუფი, რომლის ძირითადი საქმიანობა მეკობრეობა იყო. ავაზაკთა ეს ჯგუფი დათარეშობდა ერაყის ცენტრალური ნაწილის დასახლებულ პუნქტებში, არბევდა და ძარცვავდა მოსახლეობას. მდ. ტიგროსზე სადიკ ბეგის რაზმი თავს ესხმოდა გემებს და იტაცებდა საქონელს. მათმა მოქმედებამ შეაწუხა მოსახლეობა, შეაფერხა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა. ყოველივე ეს კი აუარესებდა საფაშოს საერთო პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას. ამიტომ დაუდმა, როგორც კი მოაგვარა სადავო საკითხები ირანთან და დაიბრუნა ქურთისტანი, მაშინვე შეუტია სადიკ ბეგის რაზმებს. ფაშას ჯარებმა იერიში მიიტანეს ზუბაიდის აშირეთზე, რომლის ბელადი შაფლალ აღა შალალი აქტიურად მონაწილეობდა სადიკ ბეგის საქმიანობაში, და დაამარცხეს იგი. შაფლალ აღა შალალი სადიკ ბეგის რაზმს ჩამოსცილდა, დანაშაული მოინანია და დაუდმაც შეიწყალა, მას თანამდებობა შეუნარჩუნა. შალალის შემდეგ სადიკ ბეგს ზურგი შეაქციეს სხვებმაც და ის ჯასიმ ბეგთან ერთად იძულებული გახდა სამხრეთში გადახვეწილიყო.

1819 წელს ბაღდადის ფაშამ სხვა სერიოზული გამარჯვებაც მოიპოვა. იმ დროს ეგვიპტის ლაშქარი იბრაჰიმ ფაშას სარდლობით ვაჰაბიტებს ებრძოდა და ამარცხებდა არაბეთის ნახევარკუნძულზე. იბრაჰიმის ჯარებმა დაიკავეს ნეჯდი[31] და წინ მიიწევდნენ ალ-ჰასისაკენ. ამ უკანასკნელის დაპყრობის შემთხვევაში ისინი უშუალოდ უახლოვდებოდნენ ერაყის საზღვრებს, რაც არ მოსწონდა დაუდ ფაშას. მას ეშინოდა, რომ ეგვიპტეში მამლუქთა ძალაუფლების დამამხობელი და მათი გამანადგურებელი მუჰამედ ალი ალბანელი ერაყის დაპყრობასა და იქ ქულემენების რეჟიმის მოსპობასაც შე-

---

[30] 1818 წელს, როდესაც საფაშო ხელისუფლება უკვე დაუდის ხელში იყო, სადიკ ბეგი ბაღდადიდან გაიპარა, ზუბაიდის აშირეთში გადაიხვეწა და იქ შეიხ შაფლალ აღა შალალს შეაფარა თავი. მალე მასთან გამოცხადდა ჯასიმ ბეგი, რომელიც აგრეთვე ბაღდადიდან გაიქცა და ხაზაილის აშირეთში მიიმალა. რომ თავიდან აეცდინა სასიკვდილო განაჩენი.

[31] تاريخ جودت, ტ. XI, გვ. 95; Абд ар-Рахман ал-Джабарти, Египет под властью Мухаммеда Али, М., 1963, стр. 633—638; L. A. Blunt, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 256—261.

ეცდებოდა. ამიტომ მან დაასწრო იბრაჰიმ ფაშას და სანამ ეს უკანასკნელი ალ-ჰასაში შეავიდოდა, იგი თვითონ დალაშქრა[32], რითაც ერაყის საზღვართან მოსვლის საშუალება აღარ მისცა ეგვიპტის ჯარებს და ამით თავი დაიზღვია მოსალოდნელი საფრთხისაგან.

ამრიგად, ბაღდადის ახალმა გამგებელმა მოკლე დროში საფაშოს შემოუერთა ყველა ის ტერიტორია, რაც მას სულეიმან ფაშა ბუიუქის დროს ეკუთვნოდა, დასძლია ცალკეული ტომების წინააღმდეგობანი და შეძლო თავისი ხელისუფლების განმტკიცება.

გამდგარი ტომებისა და მხარეების შემომტკიცების შემდეგ ხელისუფლების სათავეში მტკიცედ ფეხმომაგრებულმა დაუდმა იერიში მიიტანა ერაყში მყოფ ინგლისელებზე, რომლებიც თავიანთი მთავრობის დავალებით ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ ბაღდადის საფაშოსა და მისი გამგებლის მიმართ. ის პრიეილეგიური მდგომარეობა, რომელიც ინგლისმა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, კერძოდ, ირან-ოსმალეთში მოიპოვა ნაპოლეონის დიქტატურის საბოლოოდ დამხობის შემდეგ და ის უპირატესობანი, რასაც ინგლისელებს ოსმალეთთან და ირანთან დადებული სავაჭრო გარიგებები (ე. წ. „კაპიტულაციები") ანიჭებდა, დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მის ინტერესებს ახლა მარტო ეს ვეღარ აკმაყოფილებდა და განზრახული ჰქონდა ამ ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი გამხდარიყო, რისთვისაც სადაზვერვო მუშაობას ჯერ კიდევ XIX ს-ის დამდეგიდან შეუდგა. ინგლისის კაბინეტი ამ საქმიანობას ჯერ ქ. ბასრიდან წარმართავდა, ხოლო 1806 წლიდან კი, როცა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის რეზიდენტის ადგილსამყოფელი ქ. ბაღდადი გახდა, დაზვერვის მთავარმა საკოორდინაციო ცენტრმაც იქ გადაინაცვლა. ამ ცენტრს და მის საქმიანობას სათავეში უდგნენ რეზიდენტი ჯემს რიჩი, მისი მოადგილე ჰაინი და კოლკუჰინი. მათი პირდაპირი ხელშეწყობითა და დავალებით ინგლისის დაზვერვის აგენტებმა არაერთხელ იმოგზაურეს ერაყის, ქურთისტანის, ოსმალეთის იმპერიის სხვა ადგილებსა და ირანში ინგლისის მთავრობისათვის საჭირო ცნობების შესაგროვებლად. ასეთი მისიის პირველი მოგზაურობა მცირე აზიაში, სომხეთში, ქურთისტანსა და ირანში 1813—1814 წლებში განახორციელა კაპიტანმა მაკდონალდ კინეირმა მარშრუტით: ერზერუმი — ბითლისი — სიისტრი — მარდინი — ჯაზირე — მოსული; ბენდერ-ბუშირი — ისფა-

---

[32] تاريخ جودت, ტ. XI, გვ. 95.

ჰანი — თავრიზი — მდ. არაქსი — მარაღა — სენნე — ჰამადანი — ქაშმირი — ბაღდადი; ბაღდადი — მოსული — დიარბაქარი — ამასია — სტამბოლი — სმირნა[33]. ამ საკმაოდ ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნებულმა კინეირმა მადრასში (ინდოეთი), სადაც თვითონ მსახურობდა, სენტ-ჯორჯის ფორტის ინგლისელ ციხისთავს წარუდგინა დეტალური რუკა და ვრცელი ჩანაწერები[34], რომლებიც შეიცავდნენ ოსტ-ინდოეთის კომპანიისა და მის ზურგს უკან მდგომი ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესებისათვის მეტად საჭირო სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ცნობებს[35].

მაკდონალდ კინეირის მიერ დაწყებული საქმე შემდეგ სხვებმა განაგრძეს. 1817 წელს ერაყ-ქურთისტანი დაათვალიერა და აღწერა ლეიტენანტმა ვ. ჰეიდმა[36], ხოლო მომდევნო (1818—1820) წლებში ერაყში, ქურთისტანსა და ირანში იმოგზაურა რობერტ კერ-პორტერმა, რომელმაც საქართველოზეც გაიარა და თბილისი ინახულა[37].

ინგლისის პოლიტიკური მოღვაწენი ჰერცოგი ებერდინი, კარტრაიტი (გენერალური კონსული სტამბოლში), ბაკერი (გენერალური კონსული ეგვიპტეში), პიკოკი (ინდოეთის საქმეთა პასუხისმგებელი მოხელე) და სხვები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ასეთ მოგზაურობებს[38]. ამიტომ, რაც მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა ინგლისელი პოლიტაგენტების საგიტაციო-სადაზვერვო მოქმედება და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ უკვე XIX ს-ის 20-იანი წლების დამდეგისათვის ლონდონში აღარც კი ფარავდნენ თავიანთ ავანტურისტულ ზრახვებს ერაყისა და ირანის მიმართ. 1820 წელს პალატაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამართული კამათის დროს ჯემს მაკინტოში პირდაპირ მოითხოვდა: „სპარსეთში და აგრეთვე ბაღდადის საფაშოშიც დიდი ბრიტანეთი უძლეველი უნდა იყოსო“[39] და ამის განხორციელება, სხვათა შორის, ბაღდადში

---

[33] J. M. Kinneir, დასახ. ნაშრომი, გვ. 510—535.

[34] იქვე, 510—539.

[35] იქვე, გვ. VIII; С. В. Шостакович, Дипломатическая деятельность А. С. Грибоедова, М., 1960, стр. 179.

[36] W. Heude, A voyage up the Persian Gulf and a journey overland from India to England in 1817, London, 1819.

[37] მოგზაურობისას გაკეთებული ჩანაწერები კერ-პორტერმა გამოაქვეყნა 1822 წელს ორ ტომად ასეთი სერთო სათაურით: «Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babilonia during the years 1817—1820».

[38] Н. А. Халфин, Борьба за Курдистан, М., 1963, стр. 32.

[39] V. Fontanier, Voyage dans l'Inde et dans le Golfe Persique, Paris, 1844, part I, p. 176.

მყოფ ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის რეზიდენტს ჯემს რიჩს დააკისრეს.

რიჩს აღმოსავლეთში მუშაობის საკმაო გამოცდილება ჰქონდა. ბაღდადში იგი 1808 წელს მივიდა. კარგად იცოდა ოსმალეთის იმპერიის ამ პროვინციის ეკონომიურ-პოლიტიკური მდგომარეობა და ლონდონიდან მიღებული დავალების განხორციელებისათვის საჭირო გზებსაც ამისდა კვალად სახავდა. მისი აქტიური მოქმედებით 1821 წლისათვის ბასრა-ბაღდადში საგრძნობლად იმატა ინგლისის სავაჭრო ახალშენებისა (ფაქტორების) და მოახალშენეთა რიცხვმა. გაიზარდა საფეიქრო ნაწარმის შემოზიდვა, გაფართოვდა ვაჭრობა, რომელიც მთლიანად ინგლისელთა ხელში მოექცა. ახალშენების, მოახალშენეთა და მათი საკუთრების დაცვის საბაბით სავაჭრო საქონელს თან მოაყოლეს ქვემეხებიც. რიჩის განკარგულებით შატ ალარაბის შესართავში ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ხომალდებმა ჩაუშვეს ღუზა, ხოლო ხმელეთზე — დაქირავებული არაბებისაგან სამხედრო რაზმები შექმნეს და შეაიარაღეს. მაგრამ რიჩი მარტო ამით როდი დაკმაყოფილდა. ერაყის დასუსტება-დამოჩილებისათვის მან გადაწყვიტა ბაღდადის საფაშოს წინააღმდეგ ქურთისტანი აემოქმედებინა. ამიტომ მეგობრული ურთიერთობა დაამყარა სულეიმანიეს გამგებელ მუჰამედ ფაშა ბაბანთან და საიდუმლო მოლაპარაკება გამართა მასთან, ერთი 1820 წლის 8 აპრილს, ხოლო მეორე აპრილის ბოლო რიცხვებში[40]. რიჩი ორივე შემთხვევაში გამოცდილი პოლიტიკური აგენტისათვის დამახასიათებელი სიფრთხილით მოქმედებდა და ბაღდადის ფაშასთვის ქურთისტანში თავისი მოგზაურობის ნამდვილი მიზეზი რომ დაეფარა, ამ ვიზიტს ტურისტული გასეირნების ხასიათი მისცა, რისთვისაც თან გაიყოლია მთელი ამალა: მეუღლე, მდივან-მრჩევლები, მსახურები, მცველები და დიდი რაზმი ინდოელი მეომრებისა[41].

დაუდ ფაშას არ მოსწონდა რეზიდენტის მოქმედება. იგი ამჩნევდა, რომ ბასრა-ბაღდადში ინგლისელ მოახალშენეთა მომრავლება, ოსმალეთის მთავრობის მიერ მათთვის მინიჭებული პრივილეგიები და სავაჭრო მონოპოლიის ხელში ჩაგდება დამღუპველ გავლენას მოახდენდა საფაშოს ადგილობრივ ვაჭრობაზე, ფინანსურ და საერთოდ მთელ მის ეკონომიურ განვითარებაზე. მაგრამ მან არ იცო-

---

[40] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 266—267.

[41] იქვე; سليمان نوار, დასახ. ნაშრომი, გვ. 204.

და, თუ რიჩი თავისი ვიზიტების დროს გადატრიალებას ამზადებდა ქურთისტანში. ერაყის გამგებელმა ეს მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა ირანს გადახვეწილი მაჰმუდ ფაშა ბაბანი რამდენიმე ხნის შემდეგ ქერმანშაჰის ლაშქრით კვლავ შაჰრიზურს მოადგა, დაუდის ჯარი დაამარცხა, სულეიმანიე დაიკავა და ეს მხარე ბაღდადის საფაშოს მოსწყვიტა. ამასთან დაკავშირებით ბაღდადიდან ქურთისტანში მივლენილმა ფაშას სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც სხვათა შორის, რიჩის მოგზაურობის ნამდვილი მიზნის დადგენაც ევალებოდა[42], გაარკვია, რომ მაჰმუდ ფაშა ბაბანის მოქმედებაში ქერმანშაჰის გამგებლის გარდა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ბაღდადელი რეზიდენტის ხელიც ერია[43]. ეს კი საფუძვლად დაედო დაუდის ბრძოლას ინგლისელთა წინააღმდეგ. მან ინგლისელი ვაჭრებისა და რეზიდენტის საყურადღებოდ განაცხადა, „ევროპელთა პრივილეგიური უფლებები ბაღდადზე აღარ ვრცელდება“-ო[44] და წინადადება მისცა მათ ერაყელთათვის დაწესებულ კანონებს დამორჩილებოდნენ, ან დაეტოვებინათ ეს ტერიტორია.

ბაღდადის ფაშას ამ განცხადების კატეგორიულმა ტონმა ხასიათი გაუფუჭა ბასრა-ბაღდადში მოკალათებულ ინგლისელ მეახალშენეებსა და მათ მფარველ ჯემს რიჩს. ის სასწრაფოდ დაუკავშირდა ინგლისის ელჩს სტამბოლში ლორდ სტრანგფორდს, გააცნო მას დაუდ ფაშას პოზიცია ინგლისის მიმართ და სთხოვა რჩევა-დარიგება, თუ როგორ მოქცეულიყო.

სტრანგფორდი და მისი მთავრობა, რა თქმა უნდა, შორს იყვნენ იმ აზრისაგან, რომ ერაყიდან თავისი ქვეშევრდომები გაეყვანათ. ამიტომ ლორდი სტრანგფორდი 1821 წლის ივნისში გაგზავნილ თავის წერილში ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ბაღდადელ რეზიდენტს ატყობინებდა, რომ უკუეგდო დაუდის წინადადება და მტკიცედ დაეცვა ინგლისის ინტერესები: „დაარწმუნეთ ფაშა, — სწერდა სტრანგფორდი რიჩს, — რომ მტკიცედ დავიცავთ იქ ჩვენს მაღალ ღირსებებს“[45].

რიჩი მიღებული მითითების შესაბამისად მოიქცა. მან უარი თქვა დაუდ ფაშას წინადადების შესრულებაზე, შატ ალ-არაბში შეიყვანა თავისი ფლოტი, საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა სამ-

[42] Н. А. Халфин, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

[43] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 267.

[44] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 255—256.

[45] Cl. J. Rich, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

ზედრო რაზმები და ფაქტიურად ომი გამოუცხადა ერაყის გამგებელს[46], მაგრამ მისი წინააღმდეგობის გატეხვა მაინც ვერ შესძლო. დაუდმა თავის მხრივ ალყა შემოარტყა ინგლისელთა ახალშენებს, თვით რიჩის რეზიდენციას და რეზიდენტიცა და მოახალშენეებიც ერაყიდან გააძევა[47]. ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის რეზიდენცია ბაღდადში დროებით დაიკეტა და, ამრიგად, რიჩის მისია ჩაიშალა. ინგლისმა ვერც ამჯერად მოახერხა ერაყში მტკიცედ ფეხის მოკიდება, რაც მას, სხვათა შორის, იმისთვისაც სჭირდებოდა, რომ ინდოეთიდან სპარსეთის ყურეში მოზიდული სავაჭრო საქონელი შატ-ალ-არაბისა და ევფრატ-ტიგროსის გზით მესოპოტამიის ჩრდილო ნაწილში გადაეტანა და იქ კონკურენცია გაეწია რუსეთის საქონლისათვის. ამდენად, დაუდ ფაშას მიერ გატარებული ეს ღონისძიება, თავისი მნიშვნელობით, ერაყის ფარგლებს სცილდებოდა. იგი ინგლისის პოზიციების შესუსტებით ბაღდადის საფაშოს ააცდენდა ინგლისელთაგან მოსალოდნელ უსიამოვნებას და გზას უკაფავდა ადგილობრივ ვაჭრობას, მრეწველობას და საერთოდ ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, ამავე დროს გარკვეულ დახმარებას უწევდა რუსეთს[48], რომელიც მსგავსად ინგლისისა ძალდატანებით თუ მშვიდობიანი საშუალებებით აღმოსავლეთში ბატონობას ესწრაფვოდა[49].

---

[46] V. Fontanier, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

[47] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 415; В. Б. Лукий, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

[48] ამიტომ კმაყოფილების გრძნობით აცნობებდა გენერალი ა. ერმოლოვი საგარეო საქმეთა მინისტრს კ. ნესელროდეს, რომ „ინგლისელებმა გაწყვიტეს სავაჭრო ურთიერთობა ბასრასთან მათ წინააღმდეგ ადგილობრივი არაბი ტომების ამბოხების შიშით“ (საქ. სსრ სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, თბილისი, ფონდი № 2 აღწ. 1, ფურცელი 44).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბაღდადის ფაშასა და საქართველოს მთავარმართებელ ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვს შორის ამ დროს გაცხოველებული მიმოწერა იყო, რაც ჩანს როგორც დაუდის წერილიდან, სადაც იგი წერს: „ბატონი მთავარმართებლისათვის წიგნი მომიწერია, უსუფა გამომიგზავნია“-ო (იხ. დაუდის წერილი დედისადმი, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, № 19577-ბ). ისე სხვა თანამედროვის ცნობებიდანაც, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული აგრეთვე ისიც, რომ ამ მიმოწერასა და ურთიერთობას წმინდა სამხედრო ხასიათიც ჰქონდა (R. K. Porter, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 249).

[49] ამიერკავკასიაში გაბატონების შემდეგ რუსეთის ვაჭრობა ფეხს იკიდებს აღმოსავლეთში და კონკურენციას უწევს იქ ინგლისის საქონელს: „რუსეთის საქონელი თვით ინდამდეც კი აღწევდა და ზოგჯერ ინგლისურ საქონელზე შეტი უპირატესობით სარგებლობდა“ (К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. IX, М., 1933, стр. 12).

ინგლისი ხედავდა, თუ რაოდენ უმჯობესდებოდა დაუდის მიერ გატარებული ღონისძიებებით რუსეთის მდგომარეობა. ამიტომაც ის თავგამოდებით ცდილობდა დაკარგული პოზიციების აღდგენას ბაღდადში და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ რამდენადმე მიაღწია კიდევაც ამას. ერაყისათვის სავაჭრო ბლოკადის გამოცხადების გამო[50], დაუდი იძულებული გახდა კელავ აღედგინა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის სარეზიდენტო ბაღდადში. მან სცნო აგრეთვე ინგლისელთათვის „კაპიტულაციებით" მინიჭებული პრივილეგიები და იკისრა მათთვის მიყენებული ზარალის მთლიანად ანაზღაურება[51]. ამის გამო ვ. ლუცკიმ გააკეთა დასკვნა, „ერაყი კვლავ ოსტ-ინდოეთის კომპანიის მივარდნილ კოლონიად რჩებოდა"[52]-ო. მაგრამ ა. ადამოვის ნაშრომში, რომლის მიხედვით ლუცკი ასეთ დასკვნას აკეთებს, აღნიშნულია, რომ ეს იყო მხოლოდ „ფორმალური ვალდებულება"[53], ნამდვილად კი არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა[54]. ინგლისელი ვაჭრები ამის შემდეგაც მოკლებული იყვნენ სავაჭრო პრივილეგიებს და ჩიოდნენ, რომ მათ მიერ ინგლისიდან მოტანილი საქონელი, რომელიც შორი გზის გამოვლის გამო ისედაც არ იყო იაფი, ერაყში დადებული ბაჟების წყალობით კიდევ უფრო ძვირდებოდა და აღარ საღდებოდა, ვაჭრობა წამგებიანი იყო.[55].

* * *

ომი, რომელიც ირანსა და ინგლისს რუსეთის წინააღმდეგ ჰქონდათ დაგეგმილი, ჩაიფუშა. ამიტომ ირანს აღარ სჭირდებოდა ოსმა-

---

[50] რიჩის განკარგულებით გაწყდა კავშირი ინდოეთსა და ერაყს შორის. ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ვემებს აეკრძალათ ბასრის ნავსადგურში შესვლა, ერაყში ბრინჯის შეტანა და იქიდან თაფლის, პირუტყვის და სხვა პროდუქტების გატანა, რის გამოც ეს პროვინცია სეროზულ ზარალს განიცდიდა (Донесение К. С. Маззаровича ген. Ермолову от 15 мая 1821 г., № 87, АКАК, т. VI, ч. II, стр. 240).

[51] C. U. Aitchison, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

[52] В. Б. Лучкий, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

[53] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 416.

[54] ეს აშკარაა რიჩის შემცველი ტეილორის დროს ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიისა და ერაყის გამგებელს შორის დადებული შეთანხმების შინაარსიდან, რომელიც გადმოცემულია სულეიმან ნაეარის ნაშრომში — داود باشا (გვ. 213—214).

[55] ამიტომ იყო, რომ XIX ს-ის 20-იან წლებში ინგლისელებმა დაიწყეს ძველთაგანვე ცნობილი ტრაპიზონ-ერზერუმ-თავრიზის საქარავნო გზის ათვისება. ეს გზა შედარებით მოკლე იყო და იქიდან შემოტანილი საქონელი გაცილებით იაფი ჯდებოდა, რაც შესაძლებლობას აძლევდა უცხოელებს წარმატებით გაეწიათ კონკურენცია რუსეთის სავაჭრო საქონლისათვის, როგორც მცირე აზიაში, ისე ამიერკავკასიაში

ლეთთან სამხედრო კავშირის შეკვრა და აღარ ასრულებდა 1819 წლის შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს. ეს გარემოება ბიძგს აძლევდა ოსმალეთის სულთანსა და ერაყის გამგებელს განეგრძოთ ირანის ქვეშევრდომთა შევიწროება, რის გამოც კვლავ უკმაყოფილო იყვნენ როგორც ერაყში მცხოვრები შიიტები, ისე ერაყზე გავლით მექა-მედინასა და ნეჯეფ-ქერბელაში მიმავალი ყველა ირანელი მომლოცველი და ვაჭარი. შაჰისათვის გაგზავნილ საჩივრის ბარათებში ისინი ერთნაირი აღშფოთებით წერდნენ იმ შევიწროებათა შესახებ, რასაც ოსმალეთის იმპერიის ამ პროვინციის ტერიტორიაზე განიცდიდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისაგან[56]. ამას და აგრეთვე ადრე დაუდ ფაშას მიერ შიიტთა წმინდა ქალაქების (ნეჯეფ-ქერბელას) სალოცავების დარბევას, მათ გაძარცვას ფათჰ ალი შაჰი ვერ ურიგდებოდა და ერაყის დასალაშქრავად ემზადებოდა. მას საკმაოდ ბევრი მომხრე ჰყავდა ერაყში შიიტი და ქურთი მოსახლეობის სახით, მაგრამ ამით როდი კმაყოფილდებოდა. მომხრეთა რიცხვის გასაზრდელად თავისი აგენტურის მეშვეობით მან ფართო მუშაობა გააჩაღა მეზობელი ქვეყნის სუნიტ მოსახლეობაშიც.

აგენტურის საქმიანობას ჰოვეიზიდან ხელმძღვანელობდნენ და აგენტებადაც ძირითადად იქ მყოფი ბენი ლამისა და მუნთაფიქი ტომების არაბებს იყენებდნენ. ისინი ევფრატის ნაპირებიდან მოვიდნენ აქ და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ოსმალური ერაყის ტერიტორიაზე დარჩენილ მრავალრიცხოვან თანამემამულეებთან, რომელთა ბელადებს ახლა ირანის ხელისუფლების დავალებით ბაღდადის საფაშოს გამგებლის წინააღმდეგ ამხედრებდნენ.

ერაყში ამბოხების მზადების პარალელურად ომისათვის ამზადებდნენ ირანის ჯარებსაც. შაჰის ბრძანებით, ქერმანშაჰისა და თავრიზის გამგებლებმა თავი მოუყარეს ლაშქარს და სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს ის, რათა ერაყში აჯანყების დაწყებისთანავე შეეყვანათ, მაგრამ ბაღდადის ფაშამ დროზე შეიტყო ერაყში აჯანყების მზადების ამბავი, სწორად შეაფასა ის საშიშროება, რაც მას ირანთან ომის დროს მუნთაფიქისა და ბენი ლამის ტომებისაგან მოელოდა და სათანადო ზომებიც მიიღო ხიფათის თავიდან ასაშორებლად.

აჯანყების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე დაუდ ფაშამ მოახერხა შუღლის ჩამოგდება მუნთაფიქებს შორის და ხელოვნურად გათიშა ეს ძლიერი ტომი ორ მტრულ ბანაკად. მან თანამდებობიდან გადა-

---

[56] М. С. Иванов, Очерк истории Ирана, стр. 138.

აყენა ირანის აგენტების მიერ მოსყიდული შეიხი ჰამიდ ას-სამირი და მის ნაცვლად ტომის ბელადად დასვა მისივე ძმა ჯალილი. მაგრამ იგი არ სცნეს მუნთაფიქებმა, რომლებიც ჰამიდ ას-სამირს უპერდნენ მხარს, და იარაღით ხელში ახლად დანიშნული შეიხის წინააღმდეგ წამოიშალნენ. გაჩაღდა ძმათამკელელური ბრძოლა, რაც მშვენივრად გამოიყენა დაუდმა, არეულობისათვის მან ორივე შეიხი შეიპყრო და თავები გააგდებინა[57]. მუნთაფიქების ტომი კი მორჩილება-ერთგულებაზე დაიფიცა.

მოაგვარა თუ არა საქმე მუნთაფიქებთან, დაუდი იმავე ხერხით ბენი ლამის ტომის დამორჩილებას შეუდგა. იქაც თანამდებობა ჩამოართვა შეიხ არრას, ირანისაკენ რომ ეპირა მუდამ თვალი[58], და ტომის ბელადობა მის ძმას, ჭკვიანსა და მოხერხებულ შეიხ მაზქურ იბნ ჯანდილს მიანდო. ამ უკანასკნელმა სწრაფად შემოიკრიბა თავის თანამეტომეთა უმრავლესობა, დაამარცხა მოწინააღმდეგენი და ერაყში დაბრუნების იმედი მოუსპო ირანში გაქცეულ არრას, რომელიც ქერმანშაჰის გამგებლისა და ფეილის ლურთა დახმარებით დაკარგული თანამდებობის დაბრუნებას ელოდა. ამრიგად, დაუდ ფაშამ დასაწყისშივე ჩაახშო ორი ძლიერი არაბი ტომის აჯანყება, რომლის დაწყებასაც მოუთმენლად ელოდნენ ერაყის საზღვართან თავმოყრილი ირანის ჯარები.

მაგრამ მუნთაფიქისა და ბენი ლამის ტომების დამარცხებით ბაღდადის ფაშამ მხოლოდ დროებით შეაჩერა ერაყზე ირანელთა თავდასხმა. თავისი შეიარაღებული ძალების უპირატესობაში მტკიცედ დარწმუნებული ფათჰ ალი შაჰი ომის დაწყებას მაინც არ იშლიდა.

ირანის ჯარი მაშინ მართლაც აღარ იყო აღმოსავლური ყაიდის ლაშქარი. მან დიდი ხანია რეორგანიზაცია განიცადა და ევროპულად მოეწყო. რეორგანიზაციას 1807—1809 წლებში ფრანგი სამხედრო სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ. ხოლო შემდეგ ეს საქმე ინგლისელმა ოფიცრებმა ითავეს და ჯარის დაკომპლექტება-დაყოფა გვარეობებად, აგრეთვე მისი შეიარაღება, მათი უშუალო მეთვალყურეობით ხდებოდა[59].

---

[57] K. Ritter, დასახ. ნაშრომი, ტ. VII, ნაწ. II, გვ. 1002; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 417.

[58] Cl. J. Rich, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 169.

[59] ინგლისელ სამხედრო ინსტრუქტორთა საქმიანობის შესახებ ირანში დაწერ. იხ. Ф. Ф. Бартоломей, Посольства князя Меншикова в Персию в 1826 г. «Русская старина», СПб., 1904, т. 118, стр. 83.

ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნილი და შეიარაღებული ჯარი ირანის ხელისუფლებას რუსეთის წინააღმდეგ უნდა გამოეყენებინა, მაგრამ რაკი ეს გეგმა ჩაიშალა ახლა ძალის მოსინჯვა შაჰმა თურქეთზე გადაწყვიტა და თავდასხმის საბაბს ეძებდა, რაც სულ მალე მონახა კიდევაც. ეს იყო სასაზღვრო ინცინდენტი, რომელიც ჯერ კიდევ 1820 წელს დაიწყო[60].

თავისებური ბუნებრივი პირობების გამო, მთელ რიგ ადგილებში ირან-ოსმალეთს შორის საზღვრის ზუსტი დადგენა არ ხერხდებოდა. ამის გამო ზოგჯერ ისე ხდებოდა, რომ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე პრეტენზიას აცხადებდა ორივე სახელმწიფოს მთავრობა და ამ ნიადაგზე იწყებოდა კონფლიქტი[61]. ირან-ოსმალეთს შორის ზუსტი სასაზღვრო ხაზის არარსებობა საშუალებას აძლევდა ერთი სახელმწიფოს მიწა-წყალზე მომთაბარე ტომებს გადასულიყვნენ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე[62]. ეს ტომები ხშირად ბოროტად იყენებდნენ ამას, თავს ესხმოდნენ მეზობლებს, ძარცვავდნენ და ნაალაფევით მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადადიოდნენ. ასე მოხდა ახლაც. ქურთების ორი ტომი ირანიდან ოსმალეთში გადავიდა და არზრუმის საფაშოს შეაფარა თავი. ირანის აზერბაიჯანის გამგებელმა აბას მირზამ ფაშას მათი დაბრუნება მოსთხოვა. მაგრამ არზრუმის ფაშამ არ დააკმაყოფილა აბას მირზას მოთხოვნა და მისი წარმომადგენელი ციხეში ჩასვა[63]. ამას შედეგად მოჰყვა ჯერ ურთიერთობის გაწყვეტა ირან-ოსმალეთს შორის, ხოლო შემდეგ — ომიც[64].

---

[60] М. С. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

[61] იქვე.

[62] А. Д. Новичев, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

[63] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 418.

[64] ამ საქმეში რუსეთის დიპლომატიასაც მიუძღვის ბრალი. როგორც ს. მაზაროვიჩისაგან 1821 წ. 1 ივლისს გაგზავნილი ერმოლოვის საიდუმლო წერილიდან ჩანს, ირანში აკრედიტებულ რუსეთის წარმომადგენელთა საზრუნავი იყო როგორმე დაერწმუნებინათ შაჰის მთავრობა იმაში, რომ შინაური არეულობით (კერძოდ ბალკანეთში მზარდი აჯანყებებით) მოცული ოსმალეთისათვის ომის გამოცხადებით იოლად შეძლებდა მისი ყოფილი ტერიტორიების დაბრუნებას დასავლეთში (Ц Г И А Г, Ф. № 2, оп. I, «Журнал секретный походный ген. Ермолова», л. 52). ირანში რუსეთის წარმომადგენლების — მაზაროვიჩისა და ამბურგერის ასეთი საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენია ინგლისის აგენტებს. ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ ჰენრი ეილოკი (ინგლისის სრულიუფლებიანი წარმომადგენელი ირანში) ამასთან დაკავშირებით თავის მთავრობას მოახსენებდა, რომ მაზაროვიჩმა 30 ათასი თუმანი მისცა აბას მირზას ოსმალეთთან ომის დასაწყებადო («АКАК», т. VI, ч. II, стр. 259 და შემდეგ).

1821 წლის 15 ნოემბერს აბას მირზა თავისი ჯარით არზრუმის საფაშოში შეიჭრა[65]. პირველსავე ბრძოლებში სძლია მოწინააღმდეგეს, აიღო ყარსის, აყსარაის, თოფრაკ-ყალეს, ბაიაზიდისა და არპეშის ციხეები[66]. ერთმანეთზე მიყოლებით დაეუფლა აბშეჰრს, დიადინს, მუშს, ბითლისს და წარმატებით მიიწევდა წინ[67]. არზრუმის ფაშას ყოველგვარი ცდა, შეეჩერებინა ირანელთა წინსვლა, მარცხით მთავრდებოდა. ოსმალეთის სულთან მაჰმუდ II-ს, რომელიც ბალკანეთში აჯანყებას ახშობდა, ეშინოდა, რომ ირანს კავშირი არ დაემყარებინა რუსეთთან. ამიტომ მან გადაწყვიტა რაც შეიძლება მალე შეეჩერებინა ირანელთა შეტევა. სერასკერად დანიშნულ არზრუმის ფაშას (ჯერ ხოზრევს. ხოლო მისი გადაყენების შემდეგ მეჰმედ ემინ რეუფს) ვანის, ბაიაზიდისა და ყარსის ჯარები მიაშველა[68]. მისივე ბრძანებით, ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო ბაღდადის საფაშოს ჯარებიც, რომლებსაც ევალებოდათ ქერმანშაჰის პროვინციაში შესვლა.

ბაღდადის საფაშოს შეიარაღებულ ძალებზე დიდ იმედებს ამყარებდა ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება. მისი ვარაუდით, ქერმანშაჰში შეჭრილ დაუდის ჯარებს მუჰამედ ალი მირზა ვერ გაუმკლავდებოდა და ირანის სარდლობა იძულებული გახდებოდა არზრუმის მიმართულებით მოქმედი ჯარის გარკვეული ნაწილი სამხრეთისაკენ გადაესროლა. ეს კი გამოიწვევდა აბას მირზას ჯარების შესუსტებას და არზრუმის გამგებლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. მაშასადამე, ბაღდადის საფაშოს შეიარაღებული ძალების ჩაბმას ბრძოლაში არსებითი გარდატეხა უნდა მოეხდინა ირან-ოსმალეთის ომში თურქების სასარგებლოდ. მაგრამ ასე არ მოხდა. ირანის ტერიტორიაზე შეჭრილი ბაღდადის ფაშას ჯარი, რომელიც ბევრად ჩამორჩებოდა მოწინააღმდეგეს შეიარაღებითაც და საერთო მომზადებითაც, სასტიკად დამარცხდა. ამგვარად, სულთანმა არზრუმში მოქმედ თავის ჯარებს ვერაფერი უშველა, ერაყი კი სულ ტყუილად ჩააბა ომში და მისი გამგებელიც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა.

ირანის მიწა-წყლიდან ბაღდადის ჯარის უკუქცევის შემდეგ მუჰამედ ალი მირზა ერაყის ტერიტორიის დაპყრობას შეუდგა. ბა-

---

[65] C l. H u a r t, დასახ. ნაშრომი, გვ. 174, შენიშვნა I.

[66] R. G r. W a t s o n, დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

[67] А. А д а м о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 418.

[68] تودت جوت تاریخ, ტ. XII, გვ. 5—10.

ზიანის[69] ბრძოლაში მან იოლად სძლია მოწინააღმდეგეს. ბაღდადის ჯარის დიდი ნაწილი და თვით სარდალი, ქაჰია მუჰამედ აღა ირანელებს ჩაბარდა ტყვედ. ხოლო დანარჩენებმა უწესრიგოდ იწყეს უკუქცევა[70]. მათ მტრის შეჩერება აღარ შეეძლოთ. მოკლე დროში საფაშოს დიდი ნაწილი ირანელებმა დაიკავეს, ისინი ბაღდადს მიუახლოვდნენ და მის ასაღებად ემზადებოდნენ. ქალაქის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო. მუჰამედ ალი მირზა თავისი ჯარით უკვე ბაღდადის აღებას და ირანისათვის ერაყის დაბრუნებას ზეიმობდნენ[71].

1821 წლის შემოდგომაზე ერაყში შავი ჭირი გაჩნდა და ნოემბერ-დეკემბერში, როცა ალი მირზა ბაღდადის ასაღებად ძალებს იკრებდა. ირანის ჯარებსაც მოედო. ავადმყოფობისაგან ყოველდღე ათასობით ირანელი იღუპებოდა. სულ მალე მან ალი მირზაც იმსხვერპლა. ასეთ ვითარებაში ბრძოლის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. შაჰი იძულებული გახდა ერაყის დაპყრობა დროებით გადაედო და თავისი ჯარები ბაღდადიდან ქერმანშაჰში გაიწვია[72].

ირანელთა წასვლით ბაღდადი დანგრევასა და გაძარცვას გადაურჩა. ხოლო ერაყის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც ცოტა ხნის წინ მუჰამედ ალი მირზამ დაიპყრო, დაუდ ფაშამ კვლავ თავის სამფლობელოს შეუერთა.

ირან-ოსმალეთის დროებით შეწყვეტილი ომი 1822 წ. ადრე გაზაფხულზე ისევ განახლდა. ირანის 40 000-იანმა ჯარმა ამჯერად უკვე მუჰამედ ჰუსეინის (დაღუპული მუჰამედ ალი მირზას ვაჟი) სარდლობით[73], კვლავ გადალახა ერაყის აღმოსავლეთ საზღვარი და მენდელთან ახალი დამარცხება მიაყენა ბაღდადის 10 000-იან ლაშქარს[74], რომელსაც ქაჰია ჰაჯი თაბით აღა მეთაურობდა[75].

მიუხედავად ამ გამარჯვებისა, ირანელებს ისეთი წარმატებები აღარ ჰქონდათ როგორიც 1821 წლის დასაწყისში. თაბით აღასთვის დამხმარე რაზმების გაგზავნითა და მტრის მიერ დაკავებულ ტერი-

---

[69] დასახლებული პუნქტი, ამავე სახელწოდების კაზის (მაზრის) ადმინისტრაციული ცენტრი შარიზურის ეიალეთში.

[70] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

[71] იქვე, გვ. 245; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 416; G. Keppel, Personal Narrative of Travels in Babilonia. Assiria, Medina and Scythia, London. 1827, v. I, pp. 267—268.

[72] R. Watson, დასახ. ნაშრომი, გვ. 201—202.

[73] تاريخ جودت, ტ. XII, გვ. 12.

[74] R. Watson, დასახ. ნაშრომი, გვ. 202.

[75] სულეიმან ბუიექის ყოფილი მონა, ტომით ქართველი.

ტორიაზე პარტიზანული ბრძოლების გაფართოებით ბაღდადის საფაშოს გამგებელმა შეძლო მოწინააღმდეგის წინსვლის შეჩერება, რის შედეგადაც ბრძოლამ პოზიციური ხასიათი მიიღო და ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. იგი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა აგრეთვე არზრუმის ფრონტზეც, სადაც ირანელთა წინააღმდეგ ახლა თურქების ლაშქართან ერთად მთელი ძალით მოქმედებდა შაეი ჰირი, რომელიც 1822 წლის გაზაფხულზე გაერცელდა იქ და სერიოზულ ზარალს აყენებდა აბას მირზას ჯარებს[76].

მთელ ფრონტზე შექმნილი საქმის ასეთი ვითარება უკვე იმის მაუწყებელი იყო, რომ ომი დიდხანს გასტანდა. ეს კი არც ირანს აწყობდა და არც ოსმალეთს. სულთან მაჰმუდ II-ს იმ დროს სერბიის აჯანყებისა და მცირე აზიის მეამბოხე ფეოდალების დათრგუნვა ეჩქარებოდა, ხოლო შაჰს ინგლისის მთავრობა აღარ ასვენებდა.

აღმოსავლეთში რუსეთის გაძლიერებისა და თავისი ჰეგემონიის დაკარგვის შიშით, ბრიტანეთის ხელისუფლება ფათჰ ალი შაჰისაგან მოითხოვდა ოსმალეთთან დაზავებას და ამიერკავკასიის აღმოსავლეთი ნაწილის დასაბრუნებლად ჩრდილოელი მეზობელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ომის დაწყებას[77], რისთვისაც ირანი დიდი ხანია ემზადებოდა ინგლისთან 1814 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე[78]. ამიტომ აბას მირზამ შეწყვიტა საომარი მოქმედება და საზავო მოლაპარაკება დაიწყო არზრუმის ფაშასთან[79].

მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობდა და დამთავრდა 1823 წლის 28 იელისს არზრუმის ხელშეკრულების დადებით. ომი შეწყდა, ირანის ჯარები გაყვანილ იქნა ოსმალეთიდან და ყველა ტერიტორია, რომელიც მათ დაიკავეს ომის წინ ან ომის დროს ერაყსა და ქურთისტანის თურქულ ნაწილში, ბაღდად-არზრუმის საფაშო-

---

[76] А. Адамов. დასახ. ნაშრომი, გვ. 419.

[77] Новая история стран зарубежного Востока, М., 1952, т. I, стр. 308—309.

[78] А. В. Фадеев, Россия и Кавказ впервой трети XIX в. М., 1960. стр. 190.

[79] ერმოლოვმა იცოდა, რომ ეს მოლაპარაკება ინგლისელების კარნახით დაიწყო და ნესელროდეს სწერდა: „ინგლისის ოქროს ედიდესი გაელენა აქვს... ინგლისელებს, თუ მათმა პოლიტიკამ მოითხოვა, არათუ ირანელებსა და თურქებს შორის არსებული მტრობის შეწყვეტა, არამედ მათი გაერთიანებაც კი შეუძლათ“ (Отношения ген. Ермолова к гр. Нессельроде от 11-января 1802 г. АКАК. т. VI, ч. II, стр. 255).

ებს დაუბრუნდა[80]: „ამიერიდან მტრობის მახვილი ქარქაშში დარჩება... ყველა ქალაქი, ციხესიმაგრე, რაიონი და სოფელი, რომლებიც ოსმალეთის იმპერიის ძველი საზღვრის იქითაა და ომამდე ან ომის დროს ირანელებმა დაიკავეს, მთლიანად დაბრუნებული იქნება იმ სახით, როგორც არის ზავის დადების მომენტში“ — ნათქვამია ხელშეკრულების პრეამბულაში[81].

ზავი ყველაზე ხელსაყრელი გამოდგა დაუდ ფაშასათვის. მან ხელშეკრულებით დაიბრუნა როგორც ომის დროს დაკარგული ტერიტორია (შენდელის რაიონი), ისე მანამდე ქერმანშაჰის გამგებლის მიერ მიტაცებული საფაშოს ჩრდილო ნაწილი — შაჰრიზური. გარდა ამისა, ირანის მთავრობა ვალდებულებას კისრულობდა, რომ აღარ ჩაერეოდა საფაშოს შინაურ საქმეებში: „ამ წუთიდან აღარავითარ ჩარევას არ უნდა ჰქონდეს ადგილი არც ბაღდადში, არც ქურთისტანში: ირანის ხელისუფლებას არ ექნება უფლება ოსმალეთის საზღვრებში მოქცეული ქურთისტანის ნაწილებისა და უბნების საქმეებში ჩარევისა, არ დაუშვებენ რაიმე შევიწროებას, არ მიითვისებენ ხელისუფლებას ამ ქვეყნის ახლანდელი ან ძველი მფლობელებისას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ამ საზღვარზე ორივე მხარის ტომები გასცდებიან მათთვის განკუთვნილ საზაფხულო და საზამთრო ადგილსამყოფელის ფარგლებს, მისი უმაღლესობის ტახტის მემკვიდრისა და ბაღდადის ფაშას აგენტები ერთად განსაზღვრავენ ჩვეულებრივი გადასახდელის ოდენობას, გადასახადს საძოვრებისას და სხვა ბაჟებს იმისათვის, რათა ამის გამო არ მოხდეს არავითარი უთანხმოება ორ სახელმწიფოს შორის“[82].

* * *

ირან-ოსმალეთს შორის დამყარებულმა მშვიდობამ ბაღდადის გამგებელს საშუალება მისცა საფაშოს საშინაო საქმეებისათვის მოეცალა. პირველ რიგში მან ყურადღება მიაპყრო ერაყში დაწყებულ აჯანყებებს და ქურთისტანში თავისი მდგომარეობის განმტკიცებას

[80] ირანის ასეთი ზომიერება და დათმობა ნაკარნახევი იყო იმ პოლიტიკით, რასაც შაჰი ახორციელებდა რუსეთის წინააღმდეგ. ჩრდილოეთისაკენ სალაშქროდ გამზადებულ ბაბა ხანს უსათუოდ უარი უნდა ეთქვა მისი ჯარების მიერ დაპყრობილ ოსმალეთის ტერიტორიაზე, რომ მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდა სულთანთან და უზრუნველეყო თავისი სამეფოს დასავლეთი საზღვარი ოსმალთა ხელყოფისაგან.

[81] Мирный трактат между Портою Оттоманскою и Персиею, заключенный в Эрзеруме 19 зиль када 1238 (28 июля 1823 г.), «Путевой журнал Е. И. Чирикова», стр. 638.

[82] იქვე.

შეუდგა. არზრუმის ხელშეკრულების რატიფიკაციისთანავე მან ელჩი გაუგზავნა ქერმანშაჰის გამგებელს და შესაბამისად შაჰრიზურის მხარის დაბრუნება მოსთხოვა. ქერმანშაჰის მფლობელი, უფლისწული მუჰამედ ჰუსეინ ხანი, რომელიც აბას მირზას მითითებით შაჰრიზურის შენარჩუნებას ცდილობდა, საქმეს აჭიანურებდა და დაუდ ფაშას აცნობებდა, რომ სულეიმანიედან ჯარს ისე არ გაიყვანდა, თუ შეპირებულ თანხას — 60 000 თუმანს არ მიიღებდა[83]. „აბას მირზას სურს შეინარჩუნოს სულეიმანიე, სანამ დაუდ ფაშა 60 ათას თუმანს არ გადაიხდის", — აღნიშნავს იმ დროს თავრიზში მყოფი რუსეთის საელჩოს მდივანი ამბურგერი 1823 წლის სექტემბერში ერმოლოვისადმი თბილისში გაგზავნილ მოხსენებით ბარათში[84]. ირანის აზერბაიჯანისა და ქერმანშაჰის გამგებელთა ასეთ საქციელს ბაღდადის ფაშამ ქურთისტანში თავის ლაშქრის გაგზავნით უპასუხა. დაუდმა თავისი ძმის აჰმედ ბეგის[85] მეშვეობით წინადადება მისცა სულეიმანიეს გამგებელ მუჰამედ ფაშას, დაუყოვნებლივ გაეწყვიტა კავშირი ირანთან, დაეფიცა ბაღდადის ფაშის ერთგულებაზე და ეხადა მისთვის ყოველწლიური საგალდებულო ხარკი: წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკად დასჯიდა.

ამრიგად, მდგომარეობა კვლავ დაიძაბა. დაიწყო „სულეიმანიეს კრიზისი", რომელიც შეიძლებოდა გამხდარიყო ირან-ოსმალეთს შორის ახალი ომის დაწყების მიზეზი. მაჰმუდ ფაშას, რომელსაც ხელისუფლების დაკარგვის ეშინოდა, არაფრით არ უნდოდა ბაღდადის ფაშას ქვეშევრდომი გამხდარიყო. მას ირანის დახმარების იმედი ჰქონდა, მისკენ ეჭირა თვალი და დაუდ ფაშას წინადადებებზე პასუხს აყოვნებდა. მაგრამ ირანის მთავრობას ახლა მისთვის არ ეცალა. მან არზრუმის სამარცხვინო ზავს ხელი იმისათვის მოაწერა, რომ რუსეთთან ომის დაწყება ეჩქარებოდა და ოსმალეთთან კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარება სურდა. ამიტომ, ცხადია, სულეიმანიესთვის ის ახლა ოსმალეთთან დამოკიდებულებას აღარ გაიფუჭებდა. შაჰმა აბას მირზას და ჰუსეინ ხანს დაავალა, ზუსტად დაეცვათ არზრუმის საზავო პირობები. ამის შემდეგ სულეიმანიეს გამ-

---

[83] 1822 წელს, ვიდრე არზრუმში მოლაპარაკება დაიწყებოდა, დაუდ ფაშამ მართლაც აღუთქვა ჰუსეინ ხანს ამ თანხის გადახდა, მაგრამ ჰუსეინმა მაშინ უარი თქვა ბაღდადის ფაშას წინადადებაზე (ЦГИАГ. Ф. № 2. оп. I, л. 22. «Дела о заграничных происшествиях», АКАК. т. VI, ч. II, стр. 276).

[84] იქვე.

[85] ეგრეთ დიმიტრი, ზოგჯერ ჰუსეინად მოიხსენიებენ. მის შესახებ ვერ ერცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

გებელს ისლა დარჩენოდა, რომ დაუდ ფაშას წინადადებები მიეღო. მან თავისი სამფლობელო ბაღდადის საფაშოს დაუმორჩილა და დაუდს ერთგულების ფიცი მისცა.

სულეიმანიეს საკითხის მოგვარების შემდეგ დაუდმა დაიბრუნა მენდელის რაიონი და 1824 წელს ცენტრალურ და სამხრეთ ერაყში დაწყებული აჯანყებების ჩაქრობას შეუდგა.

ცენტრალურ ერაყში მაშინ საფაშო ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებდა შიიტთა წმინდა ქალაქებისა და ჰილლეს მოსახლეობა. რომელსაც მხარს უჭერდნენ ომის დროს დაუდ ფაშას მიერ გადიდებული გადასახადებით დამძიმებული სხვა არაბებიც. აჯანყებას ხელმძღვანელობდა დაუდ ფაშას ყოფილი ქაჰია, 1821 წელს ბაზიანის ბრძოლაში ირანელთა მიერ ძლეული და მათ მხარეზე გადასული მუჰამედ აღა, რომელიც ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა ერაყში. იგი საკმაოდ პოპულარული პიროვნება იყო ერაყში, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მამლუქებში და ამდენად მისი აჯანყება ფაშასთვის ყველაზე საშიში იყო. ამიტომ დაუდმა სულეიმანიედან დაბრუნებული თავისი ლაშქრის ერთი ნაწილი ქაჰია ჰაჯი თაბითის მეთაურობით სწორედ მის წინააღმდეგ დასძრა და ქ. ჰილლესთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა. მუჰამედ აღა გაიქცა, ხოლო აჯანყებულთა ლაშქარი დაიშალა. ცენტრალური ერაყის ტომებმა ფაშას სრული მორჩილება აღუთქვეს.

მაშინ, როცა ჰაჯი თაბითი ცენტრალური ერაყის აჯანყებულ ტომებს ამარცხებდა და ფაშას ერთგულებაზე აფიცებდა, დაუდის მეორე სარდალი, ტომით ქართველი სულეიმან აღა თავისი ცხენოსანი ნაწილებით წარმატებით იბრძოდა სამხრეთ ერაყში მუნთაფიქების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელთა ბელადმა, გონებასუსტმა ჰამიდ ას-სამირმა, ისარგებლა იმ რთული ვითარებით, რომელშიც ბაღდადის გამგებელი აღმოჩნდა ირანთან ომის დროს, უარი განაცხადა გადასახადების მიცემაზე, განუდგა მას და შექმნა ბაღდადის საფაშოსაგან დამოუკიდებელი სამხრეთ ერაყის ანუ არაბეთის ერაყის ცალკე სამთავრო, მაგრამ მის დაცვა-შენარჩუნებას ახლა, მიუხედავად მასკატის იმამის აქტიური მხარდაჭერისა, ეეღარ ახერხებდა. შეტევაზე გადასული ამირახორი სულეიმან აღა სამხრეთისაკენ მიიწევდა. იგი სულ უფრო და უფრო ავიწროებდა მოწინააღმდეგეს და ბოლოს ბასრასთან გამართულ ბრძოლაში საბოლოო გამარჯვება მოიპოვა. დამარცხებულმა ას-სამირმა წინააღმდეგობა შეწყვიტა და გაიქცა, ხოლო სულეიმანმა ქალაქი დაიკავა, მუნთაფიქის

ტომის ბელადად დაუდ ფაშას კანდიდატი შეიხი სადუნი დასვა და ბაღდადს დაბრუნდა.

* * *

მუნთაფიქების აჯანყების ჩაქრობით ერაყში დამთავრდა სამოქალაქო ომი და დაიწყო მშვიდობიანი განვითარების ხანა. დაუდ ფაშა ირანთან (1821—1823 წწ.) ომის დროს დარწმუნდა ეკონომიურ-პოლიტიკური, კულტურული და სამხედრო ხასიათის ღონისძიებათა გატარების აუცილებლობაში. იგი გრძნობდა, რომ თუ ერაყი მომავალშიც სუსტ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად დარჩებოდა, იქ ძალაუფლების შენარჩუნება გაუძნელდებოდა და ვეღარასოდეს მიაღწევდა თავის შორეულ მიზანს — ოსმალეთისაგან დამოუკიდებელი სამეფოს შექმნას, რომლის იდეა სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა მის გონებას.

დაუდმა ხელი მოჰკიდა ერაყის გაძლიერებას. პირველ რიგში ყურადღება მიაქცია აღმოსავლეთ ქვეყნებისათვის მთავარი სასიცოცხლო არტერიის, მელიორაციის სისტემის განვითარებას. მის დროს წესრიგში იქნა მოყვანილი მანამდე თითქმის უმოქმედო ძველი არხები და აიგო ახალი სარწყავი ნაგებობანი[86]. არხი ისა, რომელიც იწყებოდა ფელუჯის ჩრდილოეთით მდინარე ეუფრატიდან, წელიწადში ექვსი თვის მანძილზე რწყავდა ყაკრ კეფისა და სიტას ვრცელ ადგილებს[87]. მის გაგრძელებას წარმოადგენდა დაუდ ფაშას სახელობის არხი „დაუდიე", რომელიც ჰავრის ტბის წყალს აერთებდა ხარკის არხთან და ქმნიდა ერთიან სარწყავ სისტემას[88]. ისეთ ადგილებში, სადაც არხების საშუალებით მდინარეების წყლის მიყვანა მოუხერხებელი იყო, ამოიყვანეს არტეზიული ჭები, რისთვისაც საჭირო სპეციალურ მანქანა-დანადგარებს ბაღდადის ფაშა ინგლისიდან იწერდა[89].

სარწყავი სისტემის მშენებლობამ ბიძგი მისცა ერაყის სოფლის მეურნეობისა და სახელოსნო წარმოების განვითარებას. წყალმა სიცოცხლე დაუბრუნა „მკვდარ მიწებს", რომელთა ათვისებით საგრძნობლად გადიდდა სახნავ-სათესი ადგილების საერთო ფართობი, მისი ნაყოფიერება და მარცვლეულის მოსავლიანობა. მან აგრეთვე განვითარების ხელსაყრელი პირობები შეუქმნა მებაღეობა-მებოს-

[86] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

[87] W. Ainsworth, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

[88] Хуршид Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 11, 169.

[89] Aucher-Eloy. Relation de voyage en Orient de 1830 à 1838. Paris, 1843, parte I, p. 325.

ტნეობას, მეთამბაქოეობასა და ისეთ ტექნიკურ კულტურებს, რო. ვორიცაა ინდიგო. ბამბა, შაქრის ლერწამი, რომელთა პირველი პლა. ნტაციების გაშენებას ერაყში თანამედროვენი დაუდ ფაშას მიაწე. რენ[90].

სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობის შედეგად, ერაყში შეიქმნა ნედლეულის მტკიცე ბაზა ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის. დაუდ ფაშას მმართველობის დროს მნიშვნელოვნად გადიდდა სახელოსნო საწარმოების რიცხვი[91]. მარტო ბაღდადში XIX ს-ის 20-იან წლებში მუშაობდა 12000-მდე საქსოვი დაზგა. რომლებზეც იქსოვებოდა: აბრეშუმის ჰრელი ქსოვილი (ალაჯა), აბრეშუმის ყვავილებიანი ქსოვილი (კუტნი), ხავერდი, ნოხები, აბრეშუმის ქსოვილები (ჩარკად და ჯანფეს). ატლასი, მარმაში (ბიურიუნჯუკ), ქალის სხვადასხვაგვარი თავსაბურველები (ჩარშავ), „მელიუ ფაშას" სახელით ცნობილი ქსოვილი, რომლითაც მოსულისა და ურფის ქალები იკრავდნენ თავს; აგრეთვე ტანსაცმელი: ფუტა და სხვადასხვანაირი მაშლიახები, აღაბანი[92], დუვაიჯი, ფულეიკი,... აბრეშუმის თავსაფრები (დესთმალ), ქალების პირბადე (ფეჩე) და სხვა ქსოვილები[93]. ეროვნული მრეწველობის განვითარებაში ნედლეულის მტკიცე ბაზის შექმნასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე აქტიური სავაჭრო ბალანსის ანუ მერკანტილისტურმა პოლიტიკამ, რომლის გატარებასაც დაუდი ერაყში შეუდგა XIX ს-ის 20-იანი წლების დასაწყისიდანვე.

საფაშოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებით დაინტერესებულმა ბაღდადის გამგებელმა, იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების ნებართვის გარეშე, გააუქმა ერაყში ევროპელ ვაჭართა პრივილეგიები და მათ საქონელს დაადო მძიმე საბაჟო გადასახადები, რამაც გამოიწვია იმპორტის მკვეთრი შემცირება. ხოლო რაც უფრო მცირდებოდა ევროპაში დამზადებული ძვირფასი საქონლის შემოტანა ერაყში, მით უფრო იზრდებოდა მოთხოვნა ადგილობრივი წარმოების სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია-

---

[90] A. Acher-E'loy, დასახ. ნაშრომი, გვ. 219; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 420; V. Fontanier, დასახ. ნაშრომი, გვ. 334.

[91] Хуршид Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 67 და შემდეგ; Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 175; მისივე «Da'ud Pasha», Enziklopaedie des Islam, Leypzig, 1912

[92] აბრეშუმის ქსოვილი ოქროსფერი ფოთლებითა და ყვავილებით, იხმარებოდა სარტყლებისა და ჩალმებისათვის.

[93] Хуршид-Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 67—68.

ზე. ეს კი ბიძგს აძლევდა როგორც საკუთარი ხელოსნობის, ისე სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებას. XIX ს-ის 20-იან წლებისათვის ერაყის ადგილობრივმა საქონელმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი საშინაო ბაზარზე და ფართო გასავალი პოვა ქვეყნის გარეთაც. როგორც მაშინდელი სარწმუნო წყაროებიდან ჩანს, „დაუდ ფაშამ ხელში აიღო ხორბლით, მარილით, ქერით და ინდისხურმით ვაჭრობის მონოპოლია"[94] და ნაწარმის გასაზიდად გაიჩინა სამდინარო და საზღვაო ფლოტი[95].

სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის გამოცოცხლებამ და უცხოელ ეაჭართა პრივილეგიების გაუქმებამ, გზა გაუხსნა ვაჭრობის განვითარებას. ამას კი მოჰყვა საფაშო ხაზინის ფულადი შემოსავლის ზრდა[96], რამაც წელიწადში 5 მლნ ფრანკი შეადგინა[97].

ასეთი რაოდენობის თანხით, დაუდს საშუალება ეძლეოდა ერაყში კულტურულ-საგანმანათლებლო, საყოფაცხოვრებო-სამშენებლო და სამხედრო-თავდაცვითი ხასიათის ღონისძიებების გატარებისა. მის დროს ბაღდადში, ბასრასა და სხვა ქალაქებში აიგო ბევრი ხიდი[98], ბაზარი[99], ძვირფასი მეჩეთი[100], აბანო[101], სასნეულო[102], მე-

[94] V. Fontanier, დასახ. ნაშრომი, გვ. 335; В. Б. Лукин, დასახ. ნაშრომი, გვ. 258.

[95] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 419; Новая история стран зарубежной Азии и Африки. Л., 1955, стр. 240.

[96] ვაჭრობისა და საფაშოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, 1820 წელს, სულთნის ნებართვით, დაუდმა იწყო ფულის მოჭრა. ბაღდადის ზარაფ ხანაში ყოველწლიურად იჭრებოდა 50.000 ღურუში (العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 300) და დიდი რაოდენობის ჩარხი (Хуршид-Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 107). ერთი ჩარხი უღირდა 2,5 პიასტრს, ღურუში — 1 პიასტრს.

[97] V. Fontanier, დასახ. ნაშრომი, გვ. 335. ე. ჩირიკოვისა და ა. ადამოვის თქმითაც „გამრჯე და ენერგიული დაუდ ფაშას მმართველობის დროს ბაღდადის საფაშოს წლიურმა შემოსავალმა მიაღწია 37 მლნ პიასტრს ანუ 2 მლნ-ზე მეტ მანეთს" («Путевой журнал Е. И. Чирикова», СПб., 1875, стр. 284; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 420).

[98] Aucher-E'loy, დასახ. ნაშრომი, გვ. 326.

[99] მათგან ყველაზე დიდი და ლამაზი იყო დაუდის სახელობის გუმბათიანი, დახურული ბაზარი ბაღდადში, რომლის შესახებ ინგლისელი რ. ა. ჩესნი წერს: „დაუდ ფაშას მიერ აშენებული ეს ბაზარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მთელს აღმოსავლეთში" (R. A. Chesney, The Expedition for the Survey of the rivers Euphrates and Tigris, London, 1850, vol. I, p. 31) ასეთივე ბაზარი ააშენა დაუდმა ქ. ბასრაშიც (Путевой журнал Е. И. Чирикова, стр. 49).

[100] ამათგან სამი მეჩეთი დიდი იყო, სხვები შედარებით პატარები (العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 330). ახალი მეჩეთების აშენების გარდა მიმდინარეობდა ძვე-

ჩეთებთან გახსნა წიგნსაცავები და სკოლები[103], სადაც იმ დროის პირობაზე კვალიფიციური მასწავლებლების ხელმძღვანელობით განათლებას იღებდა დაახლოებით 2 ათასამდე მოსწავლე[104].

1828—1829 წწ. დაუდის ინიციატივით ბაღდადში მოეწყო პირველი სტამბა. მის გამართვას და მუშაობას ხელმძღვანელობდნენ ფაშას მიერ შორეული საქართველოდან მიწვეული სტამბის საქმის ოსტატები, რომელთაგან ერთ-ერთი იყო მირზა მუჰამედ ბაკირ ათ-თაფლისი (თბილისელი), ცნობილი რედაქტორ-გამომცემელი. მან დარ ას-სალამის[105] სტამბაში 1830 წლის ოქტომბერში დასტამბა წიგნი რასულ ჰავი ეფენდისა — „დიდ ვაზირთა ისტორია“ تاريخ دوحة الوزراء[106], რომელსაც წაუმძღვარა შესავალი, დაურთო შენიშვნები და მერთაზა ნეჯმი ზადეს „ეულლშან ხულაფაი“-ს გაგრძელება[107]. მასვე განზრახული ჰქონდა აგრეთვე, ტომით ქართველის სულეიმან ბეგის „ბაღდადის ქალქმენების მმართველობის წარმოშობისა და დაცემის ისტორიის“ (بغداد كولەمن حكومتنك تشكيلەسى واقعاتنه دار رسله) გამოცემაც, მაგრამ 1831 წელს ერაყის მმართველ-

ლი ტაძრების შეკეთებაც. სალოცავ ნაგებობათა შორის ყველაზე დიდი და პატივსაცემი იყო: ჯამი შეიხ აბდ ალ-კადირ გილანი (სადაც მსახურობდა დაუდი), დაუდის აშენებული ჯამი ჰაიდარ ხანე და ჯამი ასიფიე ანუ მეელეკი ხანე (Хуршид-Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 64). ბაზრებთან ერთად ეს მეჩეთებიც განსაცვიფრებელია — აღნიშნავს რ. ა. ჩესნი (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 91).

[101] მარტო ბაღდადის ბაზრებს ემსახურებოდა 14 აბანო (Хуршид-Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 67).

[102] ამ სასნეულოში მკურნალობად მიწვეული იყვნენ ფრანგები (S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 254).

[103] ასე მაგალითად, დაუდ ფაშამ 1819—1820 წელს ააშენა ჰაიდარ-ხანის მეჩეთი სასწავლებლითა და წიგნსაცავით, 1828 წ. იანვარში მაღალ-ხანის სახელით ცნობილ მეჩეთში გახსნა ორი სასწავლებელი (العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 299). უფრო ადრე, 1824 წელს, მისი ნებართვით ბაღდადში დაარსდა ქალთა სასულიერო სკოლა, სადაც ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად ასწავლიდნენ მიწვეული ფრანგი მონაზონებიც (А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 190).

[104] Хуршид-Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

[105] „დარ-ას-სალამ“ — (მშვიდობის კარი) ბაღდადის ეპითეტია.

[106] თხზულება დაწერილია 1821—1828 წლებში დაუდ ფაშას დავალებით.

[107] ნეჯმი ზადეს ეს ისტორიული თხზულება დაწერილია 1100 (1688) წელს თურქულად. პირველად დაიბეჭდა სტამბოლში 1730 წელს (J. Hammer, XIV, გვ. 107 და 494) უნგრელი იბრაჰიმ მუთეფერიკას ინიციატივით (Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 7). იგი მოიცავს ბაღდადის ისტორიას დაარსებიდან XVII ს-ის 80-იან წლებამდე. მის გაგრძელებაში, რომელიც შეადგინა რამდენიმე პირმა, თხრობა მიყვანილია 1130 (1718) წლამდე.

ლობაში მომხდარი ცელილებების გამო ამის გაკეთება ველარ მოასწრო[108].

სტამბის, სკოლებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა ადგილობრივი წარმოების ქაღალდით მომარაგების მიზნით ბაღდადში, დაახლოებით 1830 —1831 წლებში, მუშაობა დაიწყო პირველმა ქაღალდის საწარმომ. იქ დამზადებული ქაღალდი ატარებდა ამ საქმის ინიციატორის დაუდის სახელს და ჰვირნიშნადაც ჰქონდა მისი სახელი და გამგებლობის ხანგრძლივობის მაუწყებელი ქრონოგრამა— داود, 4+1+6+4=15[109], მართალია, ამ საწარმოს წარმადობა, განსაკუთრებით პირველ ხანებში, ვერ აკმაყოფილებდა საფაშოს მოთხოვნილებას ქაღალდზე, მაგრამ ის მაინც მნიშვნელოვნად ამცირებდა ძვირადღირებული ქაღალდის სტამბოლიდან და უცხოეთიდან შემოზიდვას.

არაბული ლიტერატურის ისტორიის თანამედროვე ერაყელი მკვლევარნი დადებითად აფასებენ დაუდ ფაშას კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, მის ეპოქას ერაყში ლიტერატურის განვითარების ბრწყინვალე ხანად მიიჩნევენ. მუჰამედ ალ-ბასირის თქმით, იმ დროს მესოპოტამია (არ-რაფიდაინი) ისეთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული აღორძინების მოწმე შეიქმნა, როგორც საიფ ად-დავლას სასახლე ალეპოში ჰიჯრით მეოთხე (ჩვ. წ. ა. X) საუკუნეში და ანდალუზია ატ-ტაფაიფთა მონარქიის ეპოქაში[110]. დაუდის ხანა ერაყში არაბული ლიტერატურის განვითარების ახალი საფეხურია. ამიტომ ის ღირსია იმისა, რომ ცალკე იყოს გამოყოფილი და შესწავლილიო, — აღნიშნავს 'იზ ად-დინ იუსუფი[111]. დაუდ ფაშას ღვაწლი რომ ნამდვილად თვალსაჩინო იყო მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში, ეს კარგად ჩანს იმავე ხანის არაბი მგოსნის, შეიხ სალიჰ ათ-თამიმის სიტყ-

---

108 თხზულება გამოქვეყნდა 1875 წელს, სტამბოლში.

109 Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 137. ვინაიდან ზემოაღნიშნული ჰვირნიშანი ზუსტად მიუთითებს დაუდის გამგებლობის პერიოდზე (1816—1831 წწ.), ამიტომ უნდა ვიეარაუდოთ, რომ ან ასეთი ნიშნითა და სახელწოდებით ქაღალდმა ვამოსელა იწყო მისი გადაყენების (1831 წ) შემდეგ, ანდა საწარმო ამუშაედა 1831 წელს.

110 محمد البصير، العراق الادبية في القرن تاسع عشر، ١٣٦٥، ص—١٠

111 عزالدّين يوسف، الادب العراقي القرن السابع عشر

ვებიდანაც: „დაუდ ფაშას... შემდეგ აზ-ზავრაში (ბაღდადში) ლიტერატურის შვილებს აღარ დარჩათ იმედი“[112].

ერაყში დაუდ ფაშას მიერ გატარებულ ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანია სამხედრო რეფორმა, რომლის აუცილებლობაში, ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბოლოოდ დარწმუნდა 1821—1823 წლებში ირანთან ომის დროს. ამ ომმა ცხადჰყო ოსმალეთის შეიარაღებული ძალების, მათ შორის, ბაღდადის საფაშოს ჯარების, ყოველმხრივი ჩამორჩენილობა და მისი მოწინააღმდეგის — ირანის ევროპულად შედგენილი, გაწვრთნილი და შეიარაღებული რეგულარული არმიის აშკარა უპირატესობა. ამიტომ ერაყის გამგებლებმაც ირანის შაჰის მსგავსად, თავისი ჯარის ახლებურად გარდაქმნა განიზრახა და ამ საქმეში აქტიურად ჩაება ევროპელი სამხედრო სპეციალისტები[113]. ჯერ კიდევ 1824 წელს, შან ირანიდან ბაღდადს მიიწვია ნაპოლეონის ყოფილი ოფიცერი დეეო და მას 10 000-კაციანი ქვეითი ჯარის გაწვრთნა მიანდო[114]. ცხენოსანი ნაწილის შედგენა და გაწვრთნა ოსტ-ინდოეთის კომპანიის ახალმა რეზიდენტმა ბაღდადში, ინგლისელმა პოლკოვნიკმა ტეილორმა ითავა[115], ხოლო საარტილერიო საქმეს, არტილერისტთა ნაწილების ჩამოყალიბება-მომზადებას და არსენალის მოწყობას ხელმძღვანელობდნენ ფრანგი სპეციალისტები[116], რომლებსაც საერთო მეთვალყურეობას უწევდა რუსეთის ტყვეობიდან დაბრუნებული, იქაურ არტილერიას გაცნობილი თურქი ოფიცერი ალი უსტა[117]. მათი დახმარებით ბაღდადის ფაშამ მოკლე ხანში შექმნა საუცხოოდ გაწვრთნილი, ახლებურად ჩაცმული და შეიარაღებული 30 ათასი კაცისაგან შემდგარი რეგუ-

---

[112] ნ. ფ ე რ ც ე ლ ა ძ ე, ალ-ახრასის დივანის ანალიზი (ნაშრომი გამოუქვეყნებელია, ინახება თსუ-ის ბიბლიოთეკაში).

[113] A u c h e r - E ' l o y, დასახ. ნაშრომი, გვ. 326; S. H. L o n g r i g g, დასახ. ნაშრომი, გვ. 254; Новая история стран зарубежной Азии и Африки, Ленинград, 1959, стр. 240.

[114] C l. H u a r t, დასახ. ნაშრომი, გვ. 175; Enziklopaedie des Islam, Leipzig, 1912, Bd. III, გვ. 968.

[115] J. B. F r a s e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 261; А. А д а м о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 420.

[116] V. F o n t a n i e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 129. ამიტომ ცდება ლეციკი, რომელიც ამბობს, რომ „თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით ეგი (დაუდი) იყენებდა არა ფრანგ, არამედ ინგლისელ ინსტრუქტორებს“-ო (В. Б. Л у ц к и й, დასახ. ნაშრომი, ვ. 65).

[117] ﺃﺳﺘﺎ — ოსტატი, ასე უწოდებდნენ ალი აღას, როგორც საარტილერიო საქმის მცოდნეს.

ლარული არმია, რომელშიც ხუთი თუ ექვსი ათასი არტილერისტი იყო, ხოლო დანარჩენი კი ცხენოსანი და ქვეითი[118].

ახალი არმიისა და მასში გაერთიანებული ქვეითი, ცხენოსანი და საარტილერიო ნაწილების თანამედროვე სამხედრო წესით გაწვრთნა-შეიარაღებასთან ერთად ერაყის გამგებელი უურადღებით ეკიდებოდა „ქართული გვარდიის“ გაძლიერებასაც. ეს რაზმი დღიდან მისი ჩამოყალიბებისა (1703—1705 წწ.) ყოველთვის იყო ბაღდადის ფაშათა საიმედო საყრდენი ძალა. ამიტომ მის გაზრდა-გაძლიერებას და სამხედრო სრულყოფას ცდილობდა ერაყის ყველა გამგებელი: ჰასანი, აჰმედი, სულეიმან აბუ ლაილი, სულეიმან ბუიუქი, ჰაფიზ ალი და სულეიმან ქუჩუქი, მაგრამ ყველაზე მრავალრიცხოვანი და სრულყოფილი იგი დაუდ ფაშას დროს გახდა. ეს უკანასკნელი ისე როგორც მისი წინამორბედი ქულემენი ფაშები, იძენდა საქართველოდან ბასრა-ბაღდადში თუ ერაყის სხვა ქალაქების ტყვეთა ბაზარზე გასაყიდად მიყვანილ თანამემამულეებს, აძლევდა მათ საჭირო სწავლა-განათლებას და თავს უყრიდა სასახლის მცველ საშხედრო რაზმში. ძნელია ზუსტად იმის დადგენა თუ რამდენი კაცისაგან შედგებოდა დაუდ ფაშას რჩეული რაზმი. სულეიმან ბეგის ცნობით, ამ რაზმში 1800 კაცი ყოფილა[119]. ბ. ფრეზერი ზოგჯერ 800-ს ამბობს, ზოგჯერ 1000-ს[120], ხოლო ს. ლონგრიგი კი 3000-ს: „მამლუქთა სამი ლეგიონი, — წერს იგი — ფაშას ვაჟიშვილების სახელების მიხედვით იწოდებოდა და თითოეულში ათასი კაცი ირიცხებოდა“[121]. ბ. ფრეზერის გადმოცემით, „ეს ქართველები ჩინებულად ჩაცმულ-შეიარაღებულნი, ძლიერ ვაჟკაცური შესახედაობისა იყვნენ და საუცხოოდ მორთულ-მოკაზმულ, დიდებულ არაბულ ბედაურებზე ისხდნენ“[122]. „ისინი მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო მხედრები იყვნენ“, — დასძენს მაშინ ბაღდადში მყოფი ფრანგი კონსული ვ. ფონტანიე[123].

ერთი სიტყვით, სამხედრო ხასიათის ღონისძიებათა გატარების შედეგად დაუდმა ჩამოაყალიბა და 1828 წლისათვის უკვე სრულ მზადყოფნაში ჰყავდა „მრისხანე ძალა“, რეგულარული არმია, შემდ-

---

118 J. B. Fraser, დასახ. ნაშრომი, გვ. 257.

119 S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 251; ვ. ბეი-მამიკონიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 734.

120 J. B. Fraser, დასახ. ნაშრომი, გვ. 245.

121 S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, 251.

122 J. B. Fraser, დასახ. ნაშრომი, გვ. 225.

123 V. Fontanier, დასახ. ნაშრომი, გვ. 323.

გარი ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნილი 30 ათასი ჯარისკაცისაგან, და ირეგულარული ჯარი, რომელიც თავის რიგებში აერთიანებდა 25 ათას ცხენოსანსა და ქვეითს. გარდა ამისა, ბაღდადის ფაშა საჭიროების შემთხვევაში თოფქვეშ დააყენებდა აგრეთვე არაბ ტომთა დაახლოებით 50-ათასიან ლაშქარს[124]. ასე რომ, ბაღდადის ფაშას შეეძლო ბრძოლაში გამოეყვანა 100 ათასამდე კაცი და თავისუფლად „შედაეებოდა რომელსაც გნებავთ არმიას, რომლის გაგზავნასაც პორტა განიზრახავდა მის გადასაყენებლად. ამიტომ მან, თავის ძალებში სავსებით დარწმუნებულმა, იწყო ფიქრი თურქეთიდან მთლიანად გამოყოფაზე"[125]. ამისათვის მოხერხებულად გამოიყენა ოსმალეთის რთული საშინაო და საგარეო ვითარება.

* * *

XIX ს-ის 20-იან წლებში ოსმალეთის იმპერია მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ჯერ კიდევ XVI ს-ში დაწყებული, სამხედროლენური სისტემის კრიზისი გრძელდებოდა და რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ძლიერდებოდა. ეს გარემოება აუარესებდა ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობას. მოიშალა ქვეყნის ეკონომიური საფუძველი, გამწვავდა სოციალური ბრძოლა, დაეცა სოფლის მეურნეობა, მკვეთრად გაუარესდა მშრომელი მასების მდგომარეობა, შემცირდა სახელმწიფო შემოსავალი, გაიხრწნა და დაიშალა ჯარის ნაწილები, დაიწყო სახელმწიფო მიწების, როგორც ქვეყნის მთელი სამხედრო-ფეოდალური იერარქიის ძირითადი მატერიალური ბაზის, დატაცება-განიავება, მნიშვნელოვნად დასუსტდა ცენტრალური ხელისუფლება, წარმოიშვა ფენა მსხვილი ფეოდალებისა, რომლებიც უზარმაზარ საკარგავებს ფლობდნენ[126].

მსხვილი საფეოდალოების წარმოქმნასთან ერთად ოსმალეთში ფეხი მოიკიდა ცენტრალური ხელისუფლებისაგან ცალკეულ ფეოდალთა განდგომის ტენდენციამ, რამაც ბიძგი მისცა ოსმალთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაძლიერებას.

---

[124] J. R. Welsted, დასახ. ნაშრომი, გვ. 251; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 421.

[125] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 421; J. B. Fraser, დასახ. ნაშრომი, გვ. 233—234.

[126] А. Д. Новичев, История Турции, Л., 1963, стр. 209—225; А. Ф. Миллер, Мустафа паша Байрактар, М.-Л., 1947, стр. 29—69; ვ. დონაძე, საზღვარგარეთული ქვეყნების ახალი ისტორია, თბ., 1963, ნაწ. I, გვ. 298—320 და შემდეგ.

ოსმალეთის საშინაო ვითარებასთან ერთად უარესდებოდა მისი საგარეო მდგომარეობაც. დასუსტებულ ქვეყანას აღარ შეეძლო ეწარმოებინა დაპყრობითი ომები, რომელთა გარეშე მას გაძლება არ შეეძლო, რადგან ხმლით იყო შექმნილი და ხმლითვე უნდა ეარსება[127].

ოსმალეთის საშინაო და საგარეო ჯართულებებს თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ ევროპის სახელმწიფოები, რომლებსაც იგი მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ ცენტრად მიაჩნდათ აღმოსავლეთში მათი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობისათვის. ისინი ცდილობდნენ ფეხის მოკიდებას ამ ქვეყანაში, აქტიურად გამოდიოდნენ მის წინააღმდეგ საბრძოლველად და ბრძოლაში საყრდენ ძალად იყენებდნენ თვით ოსმალეთის იმპერიის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებს. ამიტომ ოსმალეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ხალხთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და რელიგიური სხვაობის ნიადაგზე წარმოქმნილი ანტაგონიზმი საერთაშორისო პრობლემად იქცა, საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხთა ორბიტაში მოექცა. ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ აღმდგარი ყოველი დიდი ფეოდალის უკან რომელიმე უცხო სახელმწიფო იდგა და ოსმალეთს ან სხვა რომელსამე სახელმწიფოს უპირისპირდებოდა[128].

ქვეყნის მძიმე მდგომარეობით დაუძლურებულმა ხელისუფლებამ იმ მიზნით, რომ უკურნებელი სენით შეპყრობილი იმპერია განეკურნა და მისი ძველი დიდება როგორმე აღედგინა, XVIII—XIX სს. მიჯნაზე რეფორმების გატარება სცადა, მაგრამ ამ ღონისძიებამ მარცხი განიცადა. მისი მესვეურები სულთანი სელიმ III (1789—1807) და მუსტაფა ფაშა ბაირაქტარი მას თან გადაჰყვნენ, ხოლო ქვეყნის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო სეპარატისტულმა მოძრაობამ, რომელმაც თითქმის მთელი იმპერია მოიცვა და ქვეყნის საშინაო ვითარებასთან ერთად მისი საგარეო მდგომარეობაც გააუარესა.

იმპერიის შემადგენლობაში მყოფი სხვადასხვა ქვეყნების ხალხები შეუპოვარი და ხანგრძლივი ბრძოლებით, მართალია, ნელა, მაგრამ მაინც აღწევდნენ დამოუკიდებლობას. ეგვიპტის გამგებელმა მუჰამედ ალიმ, რომელმაც მოკლე დროში (1805—1810 წწ.)

---

[127] А. Ф. Миллер, Мустафа паша Байракт ар, М,-Л., 1947, стр. 31

[128] ო. გიგინეიშვილი, საქართველო ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში... (თსუ შრომები, თბ., 1952, ტ. 73, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, გვ. 217).

შექმნა საფრანგეთის არმიის ტიპის ახალი ჯარი, 1811 წელს სულთნის დავალებით გადალახა მეწამული ზღვა, დაამარცხა ვაჰაბიტები და 1818 წელს დაიპყრო არაბეთის ნახევარკუნძულის მნიშვნელოვანი ნაწილი მისი წმინდა ადგილებითურთ (მექა-მედინით)[129]. 1819—1822 წლებში მან შეიერთა ნუბიის ნაწილი, ზემო ეგვიპტე. აღმოსავლეთ სუდანი[130], შექმნა ვეებერთელა სამფლობელო ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიის ხარჯზე და 1828 წლიდან თითქმის მთლიანად გამოვიდა სულთნის მორჩილებიდან.

არაბეთის ნახევარკუნძულზე — ნეჯდში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას არ სწყვეტდნენ ვაჰაბიტები. მართალია, ისინი 1818 წელს დამარცხდნენ ეგვიპტელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ფარ-ხმალს მაინც არ ჰყრიდნენ და როგორც კი მარჯვე მომენტს იპოვნიდნენ, თავიანთი ტერიტორიიდან ერეკებოდნენ დამპყრობლებს, როგორც ეგვიპტელებს, ისე ოსმალებს. 1824 წელს ისინი სასტიკად გაუსწორდნენ ეგვიპტელებს[131], ხოლო შემდეგ წელს ოსმალებს. წაართვეს არაბეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთი ნაწილი — ალ-ჰასა და ომანი[132].

ცუდად ჰქონდათ საქმე ოსმალებს იმპერიის ევროპულ ნაწილშიც — ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და საბერძნეთში. მოლდავეთსა და ვალახეთში ანტიოსმალურ ბრძოლას წლების განმავლობაში სათავეში ედგა თავადი ალექსანდრე იპსილანტი[133], რომელიც თურქებისაგან მოითხოვდა 1812 წელს ბუქარესტში რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას — მოლდავია-ვალახეთის გათავისუფლებას, იქიდან ოსმალეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას[134].

---

[129] Е. Беляев, Мусульманское сектанство, «Ислам», сборник статей, М., 1931, стр. 75—76; А. Крымский, История мусульманства, М., 1912, ч. III, стр. 4; J. G. Burckhardt, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 346, 350, 392; L. A. Bluntl, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 256—261.

[130] Д. Г. Розен, История Турции от победы реформы в 1826 г. до парижского трактата в 1856 г., СПб., 1872, стр. 146.

[131] В. Б. Луцкий, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

[132] Е. Юнг, Державы накануне арабского восстания, «Аравия и европейские державы» (сборник), М., 1924, стр. 32; А. Крымский, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

[133] Коллас, История Турции, СПб., 1882, стр. 84; А. Д. Новичев, დასახ. ნაშრომი, გვ. 109—112.

[134] Дипломатический словарь, М., 1948 (Бухарестский М. Д. 1812, Ясский М. Д. 1792 г., Кючук-Кайнарджинский М. Д., 1774 г., статья 16).

ანტიოსმალურ აჯანყებას მოეცვა ალბანეთიც. იქ აჯანყებას ხელმძღვანელობდა მსხვილი ფეოდალი, იანინოს გამგებელი ალი ფაშა თეფელენელი (თეფელენი ქალაქია ალბანეთში, სადაც დაიბადა ალი 1744 წელს), რომელმაც თავის სახელოს (იანინოს) შეუერთა სამხრეთ ალბანეთი, უმეტესი ნაწილი კონტინენტური საბერძნეთისა და მაკედონია, უარი თქვა სულთნის მორჩილებაზე, ალბანეთი ოსმალეთს ჩამოაშორა და 1820—1822 წლებში გმირულად იცავდა მის დამოუკიდებლობას[135].

მსგავსი მდგომარეობა იყო ბულგარეთში, იქაც ასეთივე ხასითის აჯანყება მზადდებოდა[136], მაგრამ ოსმალთა ბატონობის საქმე ყველაზე უნუგეშოდ მაინც საბერძნეთსა და სერბიაში გამოიყურებოდა. როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნის მოსახლეობა თავგამოდებით იბრძოდა თავისუფლებისათვის.

სერბიაში ეს ბრძოლა 1801 წელს დაიწყო ყარა გიორგის მეთაურობით და ბევრი უსიამოვნება მიაყენა სულთნის ხელისუფლებას იქ. 1804 წელს ჩუპრთან გამართულ ბრძოლაში სერბებმა სერიოზული დამარცხება აგებეს სულთნის ჯარებს, გააძევეს თურქი მოხელეები სერბიიდან და 9 წლის მანძილზე თავიანთ ბედს თვითონ განაგებდნენ. 1809 წელს მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა. ოსმალები კვლავ გამოჩნდნენ სერბიაში, მაგრამ დიდხანს ვერ იბოგინეს. 1810—1811 წლებში აჯანყებულმა სერბებმა რუსების აქტიური დახმარებით ისეთ წარმატებებს მიაღწიეს, რომ 1812 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ბუქარესტში საზავო ხელშეკრულების დადებისას სულთნის ხელისუფლება იძულებული გახდა ეცნო სერბიის ავტონომია, მისი ვასალური დამოკიდებულება.

მართალია, 1813 წელს, როცა რუსეთი ნაპოლეონთან ომით იყო დაკავებული, ოსმალებმა უარი თქვეს ბუქარესტის საზავო შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და გააუქმეს სერბიის ავტონომია[137], მაგრამ სერბიის ხალხის დამორჩილება მაინც ვერ მოახერხეს. 1815 წ. სერბია კვლავ საყოველთაო აჯანყებამ მო-

---

[135] А. Д. Новичев, დასახ. ნაშრომი, გვ. 113—121; Г. А. Арш, Албания и Епир в конце XVIII — начале XIX в., М., 1963, стр. 259—261.

ალი ფაშა იანინელი (ალი ფაშა თეფელენი) ალბანთა ეროვნულ გმირადაა გამოცხადებული (Кристо Фрашери, История Албании, краткий обзор, Тирана, 1964, стр. 102).

[136] История Болгарии, М., 1954, т. I, стр. 245—246.

[137] С. С. Татищев, Внешная политика императора Николая I, СПб., 1887, стр. 311.

ოცვა. აჯანყებულნი, ამჯერად მილოშ ობრენოვიჩის წინამძღოლობით, ზედიზედ ამარცხებენ ოსმალთა ჯარებს და რუსეთის აქტიური დახმარებით[138] 1826 წელს მათ საბოლოოდ გამოსტაცეს სულთანს ხელიდან „საშინაო ავტონომია“ საკუთარი ადგილობრივი მმართველობის უფლებით[139].

სერბიისა და მოლდავეთ-ვალახეთის ხალხთა ანტიოსმალურმა ბრძოლამ მძლავრი ბიძგი მისცა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება-გაღრმავებას საბერძნეთში. „სულთნის სატრაპებისა და ფაშებისაგან“ განაწამები თავისუფალი ვაჭრობის მოსურნე მესამე კლასის ანუ საქალაქო-საავაჭრო ბურჟუაზიის თაოსნობით 1821 წელს მორეიაში დაწყებული აჯანყება[140] მალე მთელი ეგეოსის კუნძულებს, აგრეთვე კონტინენტალურ საბერძნეთსაც მოედო[141] და საყოველთაო-სახალხო გამათავისუფლებელი ომის ხასიათი მიიღო.

1822 წლის დასაწყისში ქ. ეპიდარეში მოიწვიეს ბერძენთა ეროვნული კრება, რომელმაც შეიმუშავა საბერძნეთის დემოკრატიული კონსტიტუცია და აირჩია დროებითი მთავრობა მავროკორდატოს მეთაურობით. მარტში მავროკორდატოს კაბინეტმა გამოაცხადა საზღვაო ბლოკადა, რითაც უცხო ქვეყნების ყველა გემს აეკრძალა ეპირის, პელოპონესის, თესალიის, ევბეისა და სალონიკის ნავსადგომებში შესვლა. ხოლო აპრილში მანვე გამოაქვეყნა დეკლარაცია საბერძნეთის დამოუკიდებლობის შესახებ და თხოვნით მიმართა ევროპის სახელმწიფოებს ეცნოთ იგი[142].

---

138 Д. Г. Розен, История Турции, СПб., 1872, ч. I, стр. 33—34.

139 Т. Юзефович, Договоры России с Востоком, СПб., 1869, стр. 63—64.

140 აჯანყების მიზეზი გახდა ოსმალების მიერ ბერძენ ვაჭართა ყოველმხრივი დისკრიმინაცია, ის, რომ არაფრით არ იყო დაცული „ბურჟუაზიული მოხმარების ძირითადი პირობა — ვაჭრის პიროვნებისა და მისი საკუთრების უშიშროების უზრუნველყოფა“ (К. Маркс, Ф. Энгельс, Соч. т. XVI, ч. II, гл. 22), ჩვეულებრივ ამ აჯანყებას მიიჩნევენ „აღმოსავლეთის კრიზისის“ დასაწყისად, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. „აღმოსავლეთის კრიზისი“ გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე ეს აჯანყება. მისი დაწყება უშუალოდ დაკავშირებულია ოსმალეთის იმპერიის რღვევის პროცესთან და ამის გამო აღმოსავლეთში გაბატონებისათვის ევროპის მთავარ სახელმწიფო ა შორის წარმოქმნილ კონფლიქტთან.

141 Е. Феоктистов, Борьба Греции за независимость, СПб., 1863, стр. 66; Новая история стран зарубежного Востока, 1952. т. I, стр. 308.

142 О. Шпаро, Внешняя политика Каннинга и греческий вопрос (1822—1827), «Вопросы истории», декабрь, 1947, № 12, стр. 43.

სულთნის ხელისუფლების ცდა, საკუთარი ძალებით დასაწყისშივე ჩაეხშო აჯანყება, მარცხით დამთავრდა. ბერძენთა სამართლიან ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის მხარს უჭერდნენ ევროპის დიდი სახელმწიფოები, კერძოდ, რუსეთი, ინგლისი და საფრანგეთი, რომელთა შეერთებულმა საზღვაო ესკადრამ, გაძლიერებულმა ხმელთაშუა ზღვაში მყოფი რუსეთის საზღვაო ნაწილების ერთი ქვეითი დივიზიით, ადმირალ ლორდ კოდრინგტონის საერთო სარდლობით კურსი აიღო საბერძნეთის ნაპირებისაკენ და 20 ოქტომბერს ნავარინთან, სულ რაღაც სამნახევარი საათის განმავლობაში, მთლიანად მოსპო ოსმალეთის ფლოტი[143].

მორიგი სერიოზული მარცხი, ამჯერად უკვე ხმელეთზე, ოსმალეთმა განიცადა 1828—1829 წლებში რუსეთის წინააღმდეგ ომის დროს. 1829 წლის 14 სექტემბერს სულთანი მაჰმუდ II იძულებული გახდა ხელი მოეწერა მისთვის სამარცხვინო ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმად მოლდავია-ვალახეთს რჩებოდათ თავიანთი პრივილეგიები და შეღავათები, ხოლო სერბიას — აკერმანის 1827 წ. ხელშეკრულებით დადგენილი ყველა უფლება; საბერძნეთმა საბოლოოდ დაიღწია თავი ოსმალთა მუქარას და 1830 წელს მიიღო სრული დამოუკიდებლობა (შეიქმნა საბერძნეთის სამეფო)[144]; რუსეთის ქვეშევრდომებს, ისე როგორც სხვა ქვეყნებისას, მიეცათ პრივილეგიები და თავისუფალი ვაჭრობის უფლება ოსმალეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე (ხმელეთზე და ზღვაშიც); სრუტეები ოსმალეთთან მეგობრულად განწყობილ ყველა სახელმწიფოთა სავაჭრო გემების თავისუფალი მიმოსვლის ზონად გამოცხადდა; ოსმალეთმა დაკარგა შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთ სანაპირო ყუბანიდან წმ. ნიკოლოზის ნავსადგომამდე და ცნო რუსეთის უფლება გურია-სამეგრელო-იმერეთ-ქართლზე, ასევე ახალციხე-ახალქალაქზე (ე. ი. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ძირითად ტერიტორიაზე) და თურქმანჩაის ხელშეკ-

---

[143] Г. Палеолог и М. Сивинис, Исторический очерк народной войны за независимость Греции и восстановления королевства при вмешательстве великих держав России, Англии и Франции, СПб., 1867, т. I, стр. 34—46.

[144] ამასთან დაკავშირებით კ. მარქსი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ საბერძნეთის ბედი გადაწყვიტეს „არა ალი ფაშას შეთქმულებამ და აჯანყებამ იანინოსთან, არა ნავარინის ბრძოლამ და საფრანგეთის არმიამ მორეაში, ანდა ლონდონის კონფერენციამ და ოქმმა, არაფერ დიბიჩმა, როგორც რუსეთის არმიით ბალკანეთიდან მარიცის ხეობაში შეიჭრა“ (К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. IX, стр. 394).

რულებით (1828 წელს) ირანიდან შემოერთებულ ერევან-ნახიჩევანის სახანოებზე, ანუ აღმოსავლეთ სომხეთზე[145]. გარდა ამისა, ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, ოსმალეთს რუსეთისათვის უნდა გადაეხადა 11,5 მლნ ჩერვონეცი[146], რაც ყველაზე მძიმე ვალდებულებას წარმოადგენდა სულთნის ხელისუფლებისათვის. „სულთანს რომ ფული ჰქონოდა, — აღნიშნავდა მაჰმუდ II-ის მინისტრი — ის არ დამარცხდებოდა. — ახლა ჩვენ განადგურებული ვართ, ჩვენი ხაზინა ცარიელია, ქვეყანა დაუძლურებულია ისე, როგორც არასდროს და საშინელი გადასახადი ზედ გვაწვევს".[147]

* * *

ოსმალეთის იმპერიის საერთო კრიზისის გაღრმავებითა და სულთნის ხელისუფლების დასუსტებით ისარგებლა ერაყის გამგებელმა და ისიც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საერთო ფერხულში ჩაება. მან სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედება და თავისი მიზნის განხორციელება იმით დაიწყო, რომ 1828 წლის შემოდგომაზე, ცენტრალური ხელისუფლებისათვის კრიტიკულ მომენტში, — როცა კავკასიის ფრონტზე მოქმედმა რუსეთის ჯარმა უკან მოიტოვა სომხეთის ზეგანი და ანატოლიის შიდა რაიონებზე იერიშის მისატანად ემზადებოდა, — უარი თქვა კავკასიის ფრონტზე თავისი სამხედრო ნაწილების გაგზავნასა და საერთოდ რუსეთ-ოსმალეთის ამ ომში მონაწილეობაზე[148].

დაუდის ასეთი საქციელი, სულთანს არ მოსწონდა და სხვა დროს ამას არც აპატიებდა, რაგრამ ამისათვის ახლა არ ეცალა და ფაშას ურჩობაშიც ჯერ არ იყო საბოლოოდ დარწმუნებული. ბაღდადის გამგებლის ამგვარი მოქმედების მიზეზს ის ირანის მხრიდან ერაყზე მოსალოდნელი თავდასხმის მოახლოებაში ხედავდა. მართლაც, დაუდის მდგომარეობა მაშინ სულთნისაზე უკეთესი როდი

---

[145] Полное собрание законов Российской империи, II, т. VI, 1829, № 3128, стр. 622

[146] Т. Юзефович, Договоры России с Востоком, СПб., 1869, стр. 71—84; Д. Г. Розен, История Турции, 1872, ч. I, стр. 118—120; М. А. Перенц, Адрианопольский мирный договор, 1829, г. (Дипломатический словарь, М., 1948, т. I).

[147] Д. Г. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

[148] Б. И. Шелковников, Война и район VI-го турецкого корпусного округа (Багдадский, Мосульский и Басорский вилайеты), Отчет о командировке в Месопотамию в 1902—1903 гг. Тифлис, т. I, I—III, стр. 88; C I. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

იყო. როგორც ირკვეოდა, კავკასიის ფრონტზე მოქმედი რუსეთის არმია შეტევის განვითარებას ძირითადად დასავლეთისაკენ შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ გეგმავდა. მაგრამ არმიისათვის მტკიცე ზურგის, სურსათ-სანოვაგის საიმედო ბაზის შექმნის[149], სტრატეგიული ნედლეულის (ტყვია-სპილენძის) საბადოების ხელში ჩაგდების მიზნით, ფრონტის სარდლობას განზრახული ჰქონდა აგრეთვე ქურთისტანის დაკავება[150] და ერაყის გამგებელთან კავშირის დამყარება[151], რაც ერთნაირად აღელვებდა როგორც ოსმალეთს, ისე ირანისა და ინგლისის ხელისუფალთ.

ინგლისის ელჩი ირანში ჯონ მაკდონალდი თეირანიდან საიმშობლოში გაგზავნილ წერილში პირდაპირ აღნიშნავდა: არზრუმის აღების შემდეგ პასკევიჩი უშუალოდ ინდოეთზე გალაშქრებას აპირებსო[152]. მაკდონალდს მალე თანამოაზრეები გაუჩნდა. პოლკოვნიკი ჯორჯ ევანს დე ლასი, ჰერცოგ ველინგტონის უახლოესი მეგობარი და მრჩეველი, რომელმაც 1828 წელს გამოქვეყნებულ წიგნში — „რუსეთის ზრახვები" — ჩამოაყალიბა თავისი ქვეყნის ბურჟუაზიული საზოგადოების შეხედულება რუსეთის მიმართ და შეიმუშავა ინდოეთის ხსნის ვრცელი გეგმა. ეს გეგმა ინგლისის გავლენიან წრეებს მოუწოდებდა, დაუყოვნებლივ შედგომოდნენ ისეთი ანტირუსული კოალიციის შექმნას, რომლის ხელმძღვანელი იქნებოდა ინგლისი, ხოლო წევრები ოსმალეთი, ირანი, საფრანგეთი, ავსტრია, პრუსია და შვეიცა. ევანსის აზრით, ამ კოალიციის მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო რუსეთის დასუსტება, რისთვისაც საჭირო იქნებოდა მისი საზღვაო სანაპიროების ბლოკირება, კრონშტადტის, ოდესისა და სევასტოპოლის დანგრევა და თავდასხმა ხმელეთზე სუსტ რაიონებში. ერთ-ერთ ასეთ სუსტ რაიონად ევანსს

---

[149] Депеша Грибоедова к гр. Нессельроде от 23-го окт. 1828 г. (АКАК, т. VII, стр. 654, № 629).

[150] Всеподданнейший рапорт гр. Паскевича от 21-го окт. 1828 г. (АКАК, т. VII, стр. 77).

[151] ამის შესახებ 1828 წლის შემოდგომაზე ვიაფი პასკევიჩი იმპერატორ ნიკოლოზ I-ს მოახსენებდა: „ვეცდები გადმოვბირო ქურთები, რისთვისაც უკვე რამდენადმე დავუკავშირდი კიდეც... შეიძლება დავუკავშირდეთ ტრაპეზუნდისა და ბაღდადის საფაშოებსაც, თუკი ეს მისაღები იქნება ამ ქვეყნებისათვის პოლიტიკური მოსაზრებით" (Всеподданнейший рапорт гр. Паскевича от 21-го октября 1828 года, АКАК, т. VII, стр. 171).

[152] А. В. Фадеев, Россия и Кавказ впервой трети XIX в., стр. 226—227.

მიაჩნდა ამიერკავკასია, სადაც შეიჭრებოდნენ ირანიდან ირან-ინდოეთ-ინგლისის ჯარების მონაწილეობით[153].

ევანსის ამ გეგმის აგრესიული არსი საფუძვლად დაედო ინგლისის მთავრობის საგარეო პოლიტიკას რუსეთის მიმართ მახლობელ და შუა აღმოსავლეთში 1828—1829 წლებში. პრემიერ-მინისტრ ველინგტონის დავალებით ჯონ მაკდონალდი და მისი მრავალრიცხოვანი ჯგუფი აგენტებისა გამალებულ მუშაობას ეწეოდნენ ირანში ევანსის გეგმის მიხედვით. ისინი სისტემატურად ურჩევდნენ ფათჰ ალი შაჰსა და მის მემკვიდრეს, თავრიზის გამგებელს აბას მირზას, გამოეყენებინათ ხელსაყრელი მომენტი და ვიდრე რუსეთი ოსმალეთთან ომით იყო დაკავებული, უარი ეთქვათ თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე; გამოეცხადებინათ ომი ჩრდილოეთელი მეზობლისათვის და ინგლის-ინდოეთის ჯარების დახმარებით შედგომოდნენ ამიერკავკასიის მიტაცებას[154]. ცხადია, ირან-რუსეთის ომის განახლებით ინგლისის მთავრობას, პირველ ყოვლისა, სურდა ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში მოქმედი რუსი ჯარების შესუსტება და ამით თურქებისათვის კონტრშეტევაზე გადასვლის საშუალების მიცემა. სწორედ ამას ჩასჩიჩინებდნენ თურქ ფაშებს ირანიდან ანატოლიაში შეპარული ინგლისელი აგენტები.

თუ ინგლისის დიპლომატიური წარმომადგენლები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ იმისათვის, რომ ირანი რუსეთის წინააღმდეგ გამოეყენებინათ, პასკევიჩი და გრიბოედოვი ინგლისელთა ასეთი მოქმედების საპასუხოდ ცდილობდნენ შაჰის ყურადღება ერაყისაკენ მიეპყროთ და ოსმალეთთან წაეჩხუბებინათ, ე. ი. რუსეთის მოკავშირედ გაეხადათ. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რუსეთის სრულუფლებიანი ელჩის ა. გრიბოედოვის აქტიური საქმიანობა. თვენახევარი იჯდა იგი თავრიზში და მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების სრული გათვალისწინებით უფლისწულ აბას მირზას გულდასმით განუმარტავდა, რომ თანამედროვე პირობებში რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება, რასაც ინგლისელები დაჟინებით ურჩევდნენ შაჰს, ირანს კარგს არაფერს მოუტანდა. ხოლო თუ შაჰი უკუაგდებდა ანტირუსულ პოლიტიკას, გონივრულად გამოიყენებდა რუსეთთან ბრძოლებით გამოწვეულ ოსმალე-

---

[153] А. В. Фадеев, დასახ. ნაშრომი, გვ. 228; G. Evans de Lacy, The designs of Russia, London, 1828, pp. 169—177.

[154] АКАК, т. VII, стр. 702.

თის მძიმე მდგომარეობას და მოისურვებდა მისთვის ომის გამოცხადებას, ასეთ შემთხვევაში ირანი მოგებული დარჩებოდა. იგი თავისუფლად შეიერთებდა თავის ყოფილ ტერიტორიასა და შიიტი მუსლიმების სალოცავების ადგილსამყოფელ ქვეყანას — ერაყს. ერაყიდან ის დაუკავშირდებოდა ნეჯდში ოსმალთა წინააღმდეგ მოქმედ ეაჰაბიტებს და მათი დახმარებით დაეუფლებოდა ჰიჯაზს — ყველა ქვეყნის მაჰმადიანთა წმინდა ქალაქების — მექა-მედინის მხარეს. ირანის მხრით უბრალო სამხედრო დემონსტრაციაც კი იძულებულს გახდიდა სულთანს თავისი შეიარაღებული ძალების გარკვეული ნაწილი აღმოსავლეთში დაესაქმებინა[155], რაც საგრძნობლად დააჩქარებდა რუსეთის ჯარების წინსვლას, როგორც კავკასიის, ისე ბალკანეთის ფრონტებზე. იმპერატორს ასეთი დახმარებისათვის შეეძლო შემცირება ან გადავადება იმ გადასახდელი თანხისა[156], რომელიც ირანს უნდა მიეცა რუსეთისათვის თურქმანჩაის საზავო შეთანხმებით, თუმცა ფინანსების უქონლობის გამო, ძალზე უჭირდა[157].

გრიბოედოვის ამგვარმა რჩევამ და კავკასიის ფრონტზე სულთნის ჯარების სრულმა წარუმატებლობამ გონს მოიყვანეს ირანის ხელისუფალნი. ფათჰ ალი შაჰმა და აბას მირზამ, — დარწმუნებულ-

---

155 ამასთან დაკავშირებით პასკევიჩი გრიბოედოვს პირდაპირ სწერდა: „მხედველობიდან არ გამოგრჩეთ არაფერი, რაც რუსეთს მოუტანს სარგებლობასა და დიდებას... არ იქნებოდა ურიგო, თუ აბას მირზა შეძლებს თენდაც დემონსტრაციას ბაღდადზე და თვითონ შეაკავებს იქაურ საფაშოს ჯარებს, რათა არ მისცეს საშუალება სეკურსთა გაგზავნისა ჩვენი რაზმების წინააღმდეგ“ (Отношение гр. Паскевича к с. с. Грибоедову от 5-го декабря 1828 года, № 84. АКАК, т. VII, стр. 163).

156 თუ ჩვენი დამოკიდებულება ინგლისთან უიმედოა, მაშინ გთხოვთ ნებართვას მისი იმპერატორობითი უმაღლესობისას მასზედ, რომ, თუ აბას მირზა თურქეთის წინააღმდეგ მოქმედებას დაიწყებს შეეპირდეთ მას: „a) ბაღდადის საფაშოს, ანდა ეანისა და მუშის გადაცემას სპარსეთის სარგებლობაში... c) ორი კურერის გადახდის განვადებას ორი ან სამი წლით“ (К гр. Нессельроде от 15-го декабря 1828 года, № 90, «АКАК», т. VII, стр. 666).

157 ირანის ფინანსური მდგომარეობა იმდენად უნუგეშო იყო, რომ „აბას მირზამ ბრძანა გადაედნოთ ზოდებად ოქროს უშესანიშნავესი კანდელაბრი და ჰარამხანის სხვა ნივთები, რომელთა შესაქმნელად გაწეული შრომა იმდენივე ღირდა, რამდენიც თვითონ ლითონი“ (Александр Сергеевич Грибоедов, Деятельность его как дипломата, «Русская старина», СПб., 1874, т. XII, стр. 755; М. С. И в а н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 145). იცოდა რა შაჰის ასეთი უმწეო ფინანსური მდგომარეობა, იმპერატორი დაჟინებით მოითხოვდა კონტრიბუციის გადახდას, რათა ამით იძულებული გაეხადა ირანის მთავრობა მიეღო გრიბოედოვის წინადადება.

ებმა იმაში, რომ კავკასიის მიწაწყალს ისინი ვეღარ დაიბრუნებდნენ. — უარი თქვეს ჯ. მაკდონალდის წინადადებაზე და რუსეთის წინააღმდეგ ომს ამ უკანასკნელთან სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობა ამჯობინეს[158]. ეს იყო ინგლისის მთავრობის ანტირუსული პოლიტიკის სერიოზული მარცხი ახლო აღმოსავლეთში და რუსეთის დიპლომატიის უდავოდ მნიშვნელოვანი გამარჯვება. მისი მნიშვნელობა რუსეთისათვის მარტო იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ თავიდან აიშორა ომის საფრთხე ირანის მხრიდან, არამედ იმაშიც, რომ ირანის სახით მან მოკავშირე შეიძინა და უშუალოდ ოსმალეთს დაუპირისპირდა. აბას მირზა უკვე თანახმა იყო ოსმალეთთან ომის დაწყებაზე და იმ საბაბით, რომ სულთნის ხელისუფლება უხეშად არღვევდა ირანთან დადებულ ხელშეკრულებათა პირობებს (რაც შიიტების დისკრიმინაციაში გამოიხატებოდა), რუსეთის მთავრობასთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ერაყის ტერიტორიაზე თავდასხმის სამზადისს შეუდგა.

ირანის მზადებამ ომისათვის თავისებური გამოხმაურება პოვა ერაყში. ფაშას პოლიტიკით უკმაყოფილო ადგილობრივი მოსახლეობის ჯგუფი (ჩანს, ირანელთა ჩარევით) ცდილობდა შეთქმულება მოეწყო დაუდ ფაშას ხელისუფლების დასამხობად და ერაყის ირანთან შესაერთებლად[159]. ასე რომ, 1828 წლის ბოლოსა და 1829 წლის დასაწყისში, ერაყი აშკარად იმყოფებოდა როგორც საგარეო, ისე საშინაო საშიშროების წინაშე. გარედან მას ირანი ემუქრებოდა, შიგნიდან კი — აჯანყება. ასეთ ვითარებაში დაუდ ფაშას თავისი შეიარაღებული ძალები საკუთარი ხელისუფლებისა და საფაშოს დასა-

---

[158] Депеша Грибоедова к гр. Нессельроде, от 23-го октября 1828 года («АКАК» т. VII, стр. 654, № 629); Отношение гр. Паскевича к с. с. Грибоедову, от 5-го декабря 1828 года № 84, («АКАК», т. VII, стр. 163); Отношение к г. Несельроде, от 15-го декабря 1828 года, № 90, («АКАК», т. VII, стр. 666, № 643); Отношение гр. Нессельроде к с. с. Грибоедову, от 18-го декабря 1828 года[9] («АКАК», т. VII, стр. 663).

[159] „სპარსეთის ტახტის მემკვიდრე... მზადაა გახსნას თურქეთის წინააღმდეგ უსიამოვნო მოქმედება, რომლის წარმატება უკვე მომზადებულია მისი კავშირით ქერბელის, მუნთაფიქის შეიხებთან და არაბთა სხვა უფროსებთან; აგრეთვე ბაღდადისმცხოვრებთა მნიშვნელოვან რიცხვთან, რომლებიც მზად არიან ჩაბარონ აბას მირზას ეს ქალაქი მთელი სამფლობელოთი“ (Отношение гр. Паскевича к с. с. Грибоедову от 5-го декабрия 1828 года, № 84, «АКАК», т. VII, стр. 163; Грибоедов к гр. Нессельроде от 20-го октября 1828 года; Депеша Грибоедова к гр. Несельроде, от 23-го октября 1828 года, «АКАК», т. VII, стр. 654).

ცავად სჭირდებოდა და, ბუნებრივია, რომ იგი კავკასიის ფრონტზე ჯარის გაგზავნას ანდა, საერთოდ, რუსეთ-ოსმალეთის მიმდინარე ომში აქტიური მონაწილეობის მიღებას ვერ შეძლებდა. ამიტომ სულთანი მაჰმუდ II ბაღდადის ვალის ამგვარ საქციელში საეჭვოს ჯერ ვერაფერს ხედავდა, მის უარს ობიექტური მიზეზებით ხსნიდა და გადამჭრელი ღონისძიებების მიღებაზეც თავს იკავებდა. ასე გაგრძელდა 1829 წლის ბოლომდე, სანამ რუსეთ-ოსმალეთის ომი დამთავრდებოდა. შემდეგ მახლობელ და შუა აღმოსავლეთში ვითარება ისეთნაირად წარიმართა, რომ დაუდის ანტიოსმალური მოქმედება უკვე აშკარა გახდა და დამოკიდებულებაც მის მიმართ მკვეთრად შეიცვალა.

1829 წელს კარგი არაფერი მოუტანია ოსმალეთისათვის. მან სრული მარცხი განიცადა რუსეთთან ომში, ხელი მოაწერა მისთვის დამამცირებელ ადრიანოპოლის ხელშეკრულებას და რუსეთის სასარგებლოდ იკისრა დიდძალი კონტრიბუციის გადახდა, რაც მძიმე ტვირთად დააწვა იმპერიის მოსახლეობას, გააჩანაგა ის და კიდევ უფრო დაასუსტა სახელმწიფო.

ეს წელი მეტად არახელსაყრელი გამოდგა აგრეთვე ირანისათვისაც. მკვეთრად გაუარესდა მისი საშინაო მდგომარეობა. ქვეყანა საერთო მღელვარებამ მოიცვა. ინგლისელთა პროვოკაციული მოქმედების შედეგად ხორასნის[160], ქერმანისა და იეზდის ხანები შაჰის პოლიტიკის წინააღმდეგ წამოიშალნენ. მათ მხარს უჭერდნენ თეირანელი მსხვილი ფეოდალებიც. რომლებიც უაჯართა ბატონობის დასამხობად უკვე შეთქმულებას ამზადებდნენ.

სულ სხვანაირი იყო 1829 წელი ერაყის და მისი გამგებლისათვის. ირანის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესება ხელსაყრელი აღმოჩნდა დაუდ ფაშასათვის. ქვეყნის შიგნით მიმდინარე აჯანყებების ჩასაქრობად დასაქმებულ აბას მირზას და მის ჯარს ერაყის დასაპყრობად აღარ ეცალათ და მოიხსნა ის საფრთხე, აღ-

---

160 ირანის აღმოსავლეთ ნაწილში, განსაკუთრებით, ხორასანში, აჯანყებით ინგლისელებს სურდათ თვითონ გაბატონებულიყვნენ და გადაექციათ ეს ადგილი შუა აზიის რუსულ სამფლობელოებზე თავდასასხმელ პლაცდარმად; არ დაეშვათ შაჰის ხელისუფლების გავრცელება ჰერათზე, იმ ადგილზე, რომელიც ჩამკეტი პუნქტი იყო ჩრდილო-დასავლეთიდან ინდოეთისაკენ მიმავალ გზაზე და ძლიერი სახელმწიფოების ხელში შეიძლებოდა გამხდარიყო „საკომანდო პუნქტად როგორც ირანისა და თურქესტანის მიმართ, ისე სპარსეთისა და იმიერდარიის მიწების მიმართაც (К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. М., 1933, т. XI, стр. 134).

მოსავლეთიდან რომ ემუქრებოდა. ამან ლახვარი ჩასცა იმ ოპოზიციას, რომელსაც გარედან დახმარების იმედით ფაშას ხელისუფლების დამხობა და ერაყში ირანელთა გაბატონება გადაეწყვიტა. გარედან დახმარებით იმედგაცრუებული შეთქმულთა ჯგუფის საქმიანობა დასაწყისშივე იქნა ლიკვიდირებული. დაუდმა ერაყში სიწყნარე აღადგინა.

თავი მეხუთე

დაუდ-ფაშას სეპარატისტული ტენდენციის გამოაშკარავება და სულთნის ღონისძიება მის დასასჯელად

1829 წელს, შემოდგომაზე, როცა რუსეთ-ოსმალეთის ომი უკვე დასრულებული იყო, ბაღდადში სულთნის ოფიციალური ქაღალდი მოვიდა. ფაშას მოაგონებდნენ, რომ დაუყოვნებლივ გადაეხადა სულთნისათვის მისაცემი რამდენიმე წლის გადასახადი. წერილში იმედი იყო გამოთქმული, რომ ვინაიდან საფაშოში უკვე ნორმალური მდგომარეობა სუფევდა, ადგილი აღარ ექნებოდა ვალის დროზე გადაუხდელობას. მაგრამ დაუდი, რომელიც მაშინ ეკონომიური და სამხედრო თვალსაზრისით მუჰამედ ალი ეგვიპტელის შემდეგ ყველაზე ძლიერად გრძნობდა თავს და, როგორც ამბის მომსწრე ჯ. ფრეზერი აღნიშნავს, შეეძლო აბუჩად აეგდო ყოველი შეიარაღებული ძალა, რომელსაც მის წინააღმდეგ გაგზავნიდა სულთანი[1], თავის ძველ პოლიტიკას არ ღალატობდა. იგი კვლავ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზას ადგა და, რაკი ახლა იმპერია უღონოდ ეგულებოდა, აღარ დააყოვნა, თავისი ადრინდელი ოცნება სინამდვილედ ექცია. მან ერაყი ოსმალეთისაგან თავისუფალი „ბედნიერი ბაბილონიის“ სამეფოდ[2] გამოაცხადა, ხოლო თავისი თავი ამ სამეფოს დამოუკიდებელ „ხელმწიფედ“[3]. 1830 წელს დაუდმა სულთან

[1] J. B. Fraser, დასახ. ნაშრომი, გვ. 234.

[2] ასე მოიხსენიებდა ერაყს დაუდ ფაშა ჯერ კიდევ 1821 წელს თაეის დედისთვის გაგზავნილ წერილში.

[3] 1830 წელს ბაღდადში მყოფი ფრანგი მოგზაური ოშე ლუა ამის გამო ამბობს, დაუდს „თავი მეფედ მოჰქონდაო“ და უცხოელების მიღებისას მართლაც ისე იქცეოდა როგორც ხელმწიფეს შეშვენისო (Aucher Eloy, დასახ. ნაშრომი, გვ. 326).

მაჰმუდ II-ს აუწყა, რომ ამიერიდან კატეგორიულ უარს ამბობდა როგორც ვალის გადახდაზე[4], ისე მის ხელქვეითობაზე საერთოდ[5].

ბაღდადის ფაშას განდგომის ამბავი სტამბოლში მხოლოდ 1830 წლის ბოლოს შეიტყვეს და ამ ფაქტს სულთნის დივანში სათანადო კვალიფიკაცია მისცეს. დაუდი ურჩად გამოაცხადეს, თანამდებობიდანაც გადააყენეს და ბაღდადში დავთარდარი სადიკ ეფენდი მიავლინეს[6].

დივანის ეს გადაწყვეტილება ბაღდადის ფაშამ თავისი აგენტების მეშვეობით სტამბოლიდან სადიკ ეფენდის გამოსვლამდე შეიტყო. მაგრამ მან ისე დაიჭირა თავი, თითქოს არაფერი იცოდა და საპატიო სტუმარს ღირსეული შეხვედრა მოუწყო. სულთნის საგანგებო ემისარს ბაღდადიდან 40 საათის სავალ მანძილზე, თავისი მაღალი მოხელე, მასრუფ მუჰამედი შეახვედრა. თან ოთხცხენშებმული ძვირფასი ეტლი გაუგზავნა და საჩუქრებიც მიართვა. სადიკ ეფენდიმ დიპლომატიური მოუქნელობის გამო თუ იმიტომ, რომ მასზე დაკისრებული მისია მოითხოვდა ასეთ მოქცევას, არაფერს ანგარიში არ გაუწია. ფაშას სტუმართმოყვარეობას მადლობის მაგიერ, თავაზიანობის ნორმების უხეში დარღვევით უპასუხა. ჯერ იყო და მასრუფ მუჰამედი შეურაცხყო (გულცივად მიიღო, არ შესთავაზა მის გვერდით დამჯდარიყო და მთელი შეხვედრის განმავლობაში ფეხზე ამყოფა). ესეც არ იკმარა და პორტას მოხელეთათვის ბაღდადში შესვლისა და ფაშასთან გამოცხადების დადგენილი წესებიც აღარ შეასრულა.

სულთნისაგან მოვლენილ მოხელეს, პატარასა თუ დიდს, ქა-

---

[4] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 422; Новая история стран зарубежного Востока, Л. 1959, стр. 240.

[5] Д. Г. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

[6] იქვე. რუსი მკვლევრები ამ ამბავს რამდენადმე სხვანაირად გადმოსცემენ. დ. როზენის აზრით, სადიკ ეფენდი ბაღდადში იმისათვის უნდა გაეგზავნათ, „რომ ეიძულებინა იქაური ნაცვალი, დაუდ ფაშა, გადეხადა ნარჩენი გადასახადი" (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 152). დაახლოებით ამასვე იმეორებენ ნ. მურავიოვი (იხ. მისი Турция и Египет, М., 1869, т. I, стр. 42). და ა. ადამოვი (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 422). მაგრამ ევროპელ და არაბ ისტორიკოსთა ნაშრომებიდან ირკვევა, რომ სადიკ ეფენდის გადასახადის აკრეფა კი არ ევალებოდა, არამედ ერაყის პროვინციის რეორგანიზაცია (C l. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 176) და ამ მიზნის მისაღწევად დაუდის გადაყენება, მისი თავიდან მოშორება (العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 304, 305).

ლაქში შესვლამდე ღამე უნდა გაეთია ბაღდადიდან ნახევარი საათის საკალით დაცილებულ ალ-აზამიეს ციხესიმაგრეში. ამის შემდეგ, მას შეეძლო შესულიყო ქალაქში და წარსდგომოდა ფაშას, რომელიც თავის მხრივ ვალდებული იყო წინასწარ შეერჩია მისთვის სათანადო რეზიდენცია.

ეს წესი ჰასან ფაშას დროს იქნა შემოღებული[7] და მისი დარღვევა არავის უცდია. მხოლოდ სადიკ ეფენდიმ ისურვა საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე დამკვიდრებული ამ ტრადიციის დარღვევა და ალ-აზამიეში მისვლისთანავე პირდაპირ ქალაქში შესვლა მოითხოვა.

დავთარდარის უცნაურმა მოქცევამ ყველა გააკვირვა, მაგრამ მაინც უარი არ უთხრეს და ბაღდადისაკენ გაუძღვნენ.

ქალაქში ამ დროს მის შესახვედრად საზეიმო სამზადისი მიმდინარეობდა. იმამ აზამის კარიდან (რომლითაც უცხოელებს ღებულობდნენ ბაღდადში) ფაშას სასახლემდე, ქუჩის ორსავე მხარეს, რეგულარული ჯარის ქვეითი ათასეული საპატიო ყარაულში იდგა, ხოლო თვით სასახლეში დაუდი მაღალი პორტას წარმომადგენელს ელოდებოდა. მაგრამ სადიკ ეფენდი გასცდა თუ არა ქალაქში შესასვლელ ალაყაფის კარს, მაშინვე მისთვის განკუთვნილი ბინისაკენ გაემართა. ფაშასთან შეხვედრა მან მეორე დღისათვის გადადო[8].

ეს იყო პარასკევს. მეორე დღეს, შაბათს, როცა სადიკ ეფენდიმ ვიზიტი გაუკეთა ფაშას, ყველაფერი ისეთნაირად იყო მოწყობილი, როგორც პირველ დღეს. არაფერი იყო დავიწყებული, რაც მიღების არსებულ წესებს შეეხებოდა, ოღონდ დაუდმა ფეხზე წამოდგომა და სულთნის საგანგებო ემისრის მისალმება დააგვიანა, რითაც სტუმრის თავხედური მოქმედების გამო თავისი გულისწყრომა გამოხატა.

სადიკ ეფენდი მაშინვე მიხვდა რაშიც იყო საქმე და, მდგომარეობა რომ მეტისმეტად არ გართულებულიყო, სიტყვა აღარ დასცდენია იმის შესახებ, თუ რა მიზანს ისახავდა ბაღდადში მისი მოსვლა. აღარც ფაშას უკითხავს მისთვის ეს და, ამრიგად, პირველი შეხვედრა ჩვეულებრივი მისალმებით დამთავრდა.

მორიგი შეხვედრა, მეორე დღეს, კვირას იყო დანიშნული სადიკ ეფენდის ბინაზე, მაგრამ, ვინაიდან მან პირველი შეხვედრის დროს თავისი მიზანი დამალა, ეს იმას ნიშნავდა, რომ კეთილი ზრახვებით

---

[7] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 304.

[8] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 176—177.

არ უნდა ყოფილიყო მოსული. ამიტომ დაუდმა თავი შეიკავა საპასუხო ვიზიტისაგან და შეხვედრა აღარ შემდგარა.

მესამე დღეს, მას შემდეგ, რაც მეორე შეხვედრა ჩაიშალა, სადიკ ეფენდი იძულებული იყო კვლავ სწვეოდა ფაშას სასახლეში. მივიდა თუ არა, მაშინვე აცნობა, გადაყენებული ხარო, და ისიც დასძინა, რომ მოსული იყო იმპერიის სახელით და მტკიცედ მოითხოვდა საფაშო ხელისუფლების სათავეში დაშვებას[9].

დაუდმა ყურადღებით მოუსმინა სულთნის წარმომადგენელს და ბოლოს, ხანმოკლე დუმილის შემდეგ, მიუგო, ოსმალეთის იმპერიას აღარ ვეკუთვნი და ჩემი „სამეფოს" (მამლაქათუნ) ხელყოფის უფლებას არავის მივცემო.

ფაშას ამგვარი პასუხი სადიკ ეფენდის ინტერესებს არ შეესაბამებოდა. ამიტომ მან საუბარი გაუბა, რათა აზრი შეეცვლევინებინა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ დაუდი ძალაუფლების დატოვებას ნებით არ აპირებდა, ხოლო ძალა მის გადასაყენებლად არ შესწევდა, დატოვა სასახლე და თავის რეზიდენციაში დაბრუნდა. იქ იხმო მან სულეიმან აღა ამირახორი (ტომით ქართველი), უამბო იმ ინცინდენტის შესახებ, რომელიც სასახლეში მოუვიდა და უთხრა: თუ ფაშას მოკლავ, ბაღდადის საფაშო შენი იქნებაო[10].

სულეიმანი დაუდის მიერ იყო აღზრდილი და დაწინაურებული. ის მეტად კეთილი ადამიანი იყო. თავისი მამაცური მოქმედებით არაერთხელ დაუმტკიცებია აღმზრდელისათვის ერთგულება და ახლაც შორს იყო იმ აზრისაგან, რომ ეღალატნა. მას სადიკ ეფენდის სიტყვები არ მოეწონა. მიუხედავად ამისა, უკმაყოფილებას არ იმჩნევდა და დავთარდარს თავს ისე აჩვენებდა, თითქოს მარტო მისი წინადადების შესრულებაზე ფიქრობდა. დამშვიდობებისას სადიკი საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, თითქოს ის ამხანაგებთან სათათბიროდ და ფაშას დაღუპვის გეგმის შესამუშავებლად მიდიოდა. სინამდვილეში კი იგი დაუდთან მიიჩქაროდა და მხსვლისთანავე უამბო, რაც სულთნის საგანგებო ემისრისაგან მოისმინა[11].

დაუდს ჯერ ამირახორთან საუბარი არ ჰქონდა დამთავრებული, რომ უკვე მეორე მაღალი მოხელე, საიდ აბდ არ-რაზაკი ეახლა და ხელის ცახცახით სადიკ ეფენდის მიერ მისთვის (აბდ არ-რაზაკისათ-

---

[9] العزاوي, დასახ. ნაშრომი, გვ. 304.

[10] იქვე, გვ. 304. 305.

[11] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 177—178.

ვის) გაგზავნილი წერილი მიართვა. სულთნის დავთარდარი აცნობებდა დაუდის მოხსნას, სასიკვდილო ფირმანის გამოცემას და ითხოვდა მისგან დახმარებას, ე. ი. ფაშას მკვლელობაში მონაწილეობის მიღებას[12].

ამ გარემოებამ დაუდი სერიოზულად დააფიქრა. როგორც ალაზავი ამბობს, ის „ფიქრების ზღვაში ჩაიძირა"[13]. მისთვის აშკარა გახდა სადიკ ეფენდის ძირგამომთხრელი საქმიანობა და გადაწყვიტა მის წინააღმდეგ ზომების მიღება. დაუდ ფაშამ იხმო სულეიმან აღა, მუჰამედ მასრუფი, ბაღდადის ზარაფთა ამქრის მეთაური (წარმოშობით ებრაელი) ისჰაკი და სთხოვა, ერჩიათ, როგორ აეცდინა თავიდან კარს მომდგარი საშიშროება.

სულეიმან აღას აზრით, ხსნის ერთადერთი საშუალება სადიკ ეფენდის ფიზიკური განადგურება შეიძლება ყოფილიყო. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს მუჰამუდ მასრუფმა და ისჰაკ ზარაფმა. მუჰამუდ მასრუფს სადიკ ეფენდისადმი შურისძიების ბოლმა ახრჩობდა მისგან მიყენებული შეურაცხყოფის გამო და ფაშას ეუბნებოდა: „მეფეო! მე მაინც მკვდარი ვარ, ამიტომ იმას მაინც მოვკლავ, ვინც ჩემი დაღუპვის პირველ მიზეზს წარმოადგენს და შემდეგ კი ხალისით შეგწირავთ თქვენ ჩემს საკუთარ თავსო"[14]. დაუდ ფაშა თავიდან წინააღმდეგი იყო დავთარდარის სიკვდილით დასჯისა და მრჩევლებს მოუწოდებდა, შეეცვალათ მოსაზრება, მაგრამ, როცა უპასუხეს, რომ სხვა მოსაზრება არ ჰქონდათ, ისიც დაეთანხმა[15].

ამრიგად, გადაწყდა, რომ სადიკ ეფენდი უნდა მოეკლათ. შემუშავდა გეგმა, რომლის მიხედვით 1830 წ. 29 ოქტომბერს, დილაადრიან, რეგულარული ჯარის ორი მეთაური, რომლებსაც ვითომ რაღაც სერიოზული დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი და მკაცრ სასჯელს ელოდნენ, სადიკ ეფენდის ეწვია და თავშესაფარი სთხოვა. სადიკმა ფართოდ გაუღო კარი და ის იყო მფარველობა აღუთქვა, რომ ამ დროს გამოქცეულთა დასაპატიმრებლად გამოცხადდნენ შედარებით უფრო მაღალი რანგის მეთაურები. ისინი იცნობდნენ სადიკ ეფენდის პირად თვისებებს, და ელოდნენ, რომ გადაუარბებუ-

---

[12] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 305.
[13] იქვე.
[14] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.
[15] იქვე.

ლი სიამაყის გამო უარს იტყოდა თავშეფარებულთა წასაყვანად მოსულთა მოთხოვნის შესრულებაზე. ამით მათ საბაბი მიეცემოდათ შეჭრილიყვნენ მის რეზიდენციაში, გამოეყენებინათ ძალა. დაეწყოთ ჩხრეკა-ძიება, მოთმინებიდან გამოეყვანათ სულთნის მოხელე და მოეკლათ იგი ამ აურზაურის დროს.

როგორც ვხედავთ, სადიკ ეფენდის მოკვლის გეგმა საკმაოდ ორიგინალურად იყო ჩაფიქრებული. მასში მკვლელობის გამართლების ერთგვარი შესაძლებლობა ჩანდა. თუ ყოველივე ისე მოხდებოდა. როგორც გათვალისწინებული იყო. მაშინ შეთქმულების მონაწილეებს შეეძლოთ სულთნისათვის ეცნობებინათ, რომ მისი წარმომადგენლის მკვლელობა მოხდა სრულიად შემთხვევით, დაზარალებულის მიზეზით და არა წინასწარი განზრახვით.

მაგრამ შეთქმულთა მოლოდინი არ გამართლდა. მათი მოთხოვნა, თავშეფარებულთა დაბრუნებას რომ შეეხებოდა, სადიკ ეფენდიმ უყოყმანოდ დააკმაყოფილა და ამით ყველაფერი ჩაშალა. შეთქმულნი იძულებულნი გახდნენ ყველაფერი თავიდან დაეწყოთ და თავდასხმის ახალი გეგმა შეემუშავებინათ. სულთნის დივანის ბაღდადელი წარმომადგენელი მუჰამედ ამინ აზ-ზანდ ალ-ბაღდადი გადმოგვცემს, რომ იმავე საღამოს სადიკ ეფენდის ბინას, სადაც ამ დროს სადიკთან ერთად ოთახში შეთქმულების მეთაურები სულეიმან აღა ამირახორი და მუჰამედ მასრუფი (სულთნის წარმომადგენელს თავის ერთგულ ადამიანებად რომ მიაჩნდა) იყვნენ, გარს შემოერტყა რაზმი რეგულარული არმიის მეომრებისა. მათგან ორნი. რაჰადან აღა ჩოკდარი (ფაშას სასახლის ზედამხედველი, უფროსი) და სულეიმან აღას ერთ-ერთი მსახური ხალედ ეფენდი, თანახმად ინსტრუქციისა. შეიჭრნენ სახლში, კარებზე დააყენეს თავიანთი გუშაგები, მივიდნენ სადიკთან და აუწყეს, რისთვისაც იყვნენ მისული[16]. შეშინებული სადიკი დიდხანს ესაუბრა მათ და, როცა დარწმუნდა, რომ ნამდვილად მის მოსაკლავად იყვნენ მისული, იძულებული გახდა ეღიარებინა თავისი შეცდომა და შეწყალება ითხოვა. იგი პირობას იძლეოდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა, რასაც მოისურვებდნენ, ოღონდ მისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ და ფაშასთან ერთხელ შეხვედრის საშუალება მაინც მიეცათ,

---

[16] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 306; S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 263; Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 179—180.

რათა თავის მდგომარეობა მოეხსენებინა[17]. მაგრამ ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა, ხალედ ეფენდიმ ხმალი იშიშვლა და სადიკ ეფენდი იქვე განგმირა[18].

გადაცმული დაუდ ფაშა თავის მსახურთა ჯგუფის თანხლებით ამ დროს იმამ აზამის ჭიშკართან იდგა და როცა მოახსენეს, რომ თავდასხმა სრული წარმატებით დაგვირგვინდა, მაშინვე შემთხვევის ადგილისაკენ გაემართა. იგი პირდაპირ იმ ოთახში შევიდა, სადაც მსხვერპლი ეგულებოდა და, როდესაც დარწმუნდა, სადიკი ნამდვილად ცოცხალი აღარ იყო, ბრძანა სასწრაფოდ დაეკრძალათ იქვე, იმავე შენობის წინ[19].

სადიკ ეფენდის დაღუპვა და მისი მისიის ჩაშლა ოსმალეთის იმპერიის ცენტრალური მთავრობის პოლიტიკის მორიგი მარცხი იყო. ერაყის ადგილობრივი მმართველობის აპარატში ცვლილებების შეტანით, დაუდ ფაშას გადაყენებით, რაც სადიკს ჰქონდა დაკისრებული, სულთან მაჰმუდ II-ს ფაქტიურად ქართველ მამლუქთა ბატონობის დამხობა სურდა. ამიტომ ცხადია, სადიკის მკვლელობის ამბავი მშვიდად არ ჩაივლიდა და ბაღდადის ფაშაც მზად იყო პასუხის გასაცემად. მაგრამ მას სურდა დაძაბულობა როგორმე შეენელებინა და გადაწყვიტა, სულთნისათვის საქმე ისეთნაირად წარედგინა, თითქოს სადიკ ეფენდი ავადმყოფობამ შეიწირა. ამისათვის, შეთქმულების ყველა მონაწილე გააფრთხილა, ღრმა საიდუმლოდ შეენახათ ის, რაც მოხდა და ეთქვათ, სულთნის საგანგებო მოხელე ავად არისო. ამასთან, სადიკის ავადმყოფობა რომ საეჭვო არავისთვის ყოფილიყო, დაუდმა საქმეში უცხოელები ჩარია. იტა-

---

[17] ასე გადმოგვცემს ამ ამბავს თურქული წყარო, საიდანაც ვრცელი ადგილი მოაქვს ალ-აზავის (დასახ. ნაშრომი, გვ. 306). ასეთნაირადვე მოგვითხრობენ მის შესახებ ოშელუა (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 327 და შემდეგ), ჯ. ფრეზერი (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 260). კლ. უარი (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 180) და ს. ლონგრიგი (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 264). მაგრამ იმ დროს ბასრაში მყოფი ინგლისელი ჟურნალისტის ჯ. სტოქუელერის გადმოცემით, სადიკ ეფენდის არც დანაშაული უღიარებია და არც პატრუბა უთხოვია. მისი აზრით, ეს დაუდ ფაშას უნდა მოეგონებინა იმ მიზნით, რომ ტეილორი (ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის რეზიდენტი ბაღდადში) დაერწმუნებინა სადიკ ეფენდის აგრესიულ მოქმედებაში და თავის სამართლიანობაში (J. H. Stoqueler, Fifteen month's piligrimage through untrudden parts of Khuzistan and Persia, London, 1832, p. 51).

[18] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 306.

[19] იქვე. გვ. 305.

ლიელ ექიმს ანტონაკის დავალება მიეცა, ყოველდღე ეელო რეზიდენტის ბინაზე, თითქოს ავადმყოფს მკურნალობდა[20]; ინგლისის ოსტ-ინდოეთის რეზიდენტს ბაღდადში პოლკოვნიკ ტეილორს სთხოვა ბრიტანეთის ელჩისათვის სტამბოლში შეეტყობინებინა, რომ მას მოლაპარაკება გაემართა სულთანთან ფაშას ინტერესების დასაცავად[21]. ასეთივე მითითება მისცა მან აგრეთვე თავის წარმომადგენელს ოსმალეთის სულთნის კარზე ალი ნაჯიბ ბეგს[22]. ბოლოს, როდესაც ყოველივე ამას მორჩა, სტამბოლს აცნობა: დავთარდარი შავმა ჭირმა იმსხვერპლაო[23].

დაუდის თანამოსაქმენი, ვინც საქმის ნამდვილ ვითარებას იცნობდნენ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ფაშას სიტყვებს სტამბოლში ჭეშმარიტებად მიიჩნევდნენ და შეთქმულების მონაწილენი დაუსჯელი გადარჩებოდნენ. ასე ეგონა ალი ნაჯიბ ბეგსაც. ფაშასათვის გაგზავნილ დაშიფრულ წერილში იგი იტყობინებოდა, რომ სტამბოლმა შეიწყალა ფაშა, დატოვა თანამდებობაზე და ამიტომ საჭიროა შეწყვიტოს ჯარების გადაადგილება, თავი დაანებოს თავდაცვითი ხასიათის ღონისძიებების გატარებას და იმის ნაცვლად სულთანს გამოუგზავნოს საჩუქრად რამდენიმე არაბული ბედაური[24].

ამ წერილმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ბაღდადის საფაშო ხელისუფლებაზე, რომ ფაშასაც და მის თანამზრახველებსაც თავი უკვე სამშვიდობოს ეგონათ გასული, მაგრამ იმედი დაემსხვრათ. როგორც შემდეგ ცნობილი გახდა, მაჰმუდ II თავისას არ იშლიდა და ბაღდადზე ლაშქრობას აპირებდა[25].

---

[20] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 305; Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

[21] Aucher E'loy, დასახ. ნაშრომი, გვ. 327; العزّاوى, გვ. 308.

[22] العزّاوى, გვ. 307.

[23] S. H. Longrigg, დასახ ნაშრომი, გვ. 264.

[24] العزّاوى, გვ. 307, Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

[25] ეს აშკარად ჩანდა სადიკ ეფენდისათვის გაგზავნილ სულთნის ოფიციალურ მიწერილობაში, რომელიც შიკრიკმა ბაღდადში ჩაიტანა სადიკის სიკვდილის შემდეგ. ქალაქში შესვლისთანავე შიკრიკი დააპატიმრეს და დილეგში ჩასვეს, ხოლო ქალაქლები ჩამოართვეს და ფაშას მიუტანეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ცნობამ სადიკ ეფენდის დაღუპვისა და მისი მისიის მარცხის შესახებ, ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების სერიოზული შეშფოთება გამოიწვია[26]. სულთანი მაჰმუდ II და მისი დივანის შემადგენლობა ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, რომ გამდგარი ბაღდადის ფაშას დამორჩილება ან თავიდან მოშორება მხოლოდ შეიარაღებული პრძოლით შეიძლებოდა. ამიტომ კვადაწყდა დაუყოვნებლივ გაეგზავნათ დამსჯელი ექსპედი-

---

[26] ამ საკმეში, სხვათა შორის, მეტად დიდი, მაგრამ არაკეთილშობილური როლი შეასრულა ჩვენს მიერ უკვე მოხსენებულმა უსტა ალიმ. იგი დაიბადა სტამბოლში. თქიდან გადავიდა სირიაში და სამსახური დაიწყო აკრაში. რუსეთ-ოსმალეთის ერთ-ერთი ომის დროს ის ტყვედ ჩავარდა, რუსეთში დაჰყო რამდენიმე წელი და გაეცნო საარტილერიო საქმეს. ტყვეობიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, დაქორწინდა სტამბოლში მდიდრის ასულზე, რომელიც ჯერ გაიტაცა, მერე მოიტოვა და 1824 წელს ბაღდადს წავიდა საცხოვრებლად. ბაღდადს ყოფილი, როგორც საარტილერიო საქმის კარგი მცოდნე ოსტატი. ანუ „უსტა", ფაშამ ჯერ ევროპიდან მიწვეულ სამხედრო სპეციალისტთა ზედამხედველად დანიშნა, ხოლო შემდეგ ბასრას კაბედან ფაშას თანამდებობაზე გადაიყვანა, მაგრამ აქ დიდხანს არ დარჩენილა. ქალაქის მეთასალიმთან (მუთასალიმად კი დაუდ ფაშას ღვიძლი ძმა, დმიტრი იყო) უთანხმოების გამო იგი ტოვებს ბასრას და მიდის ბუშირს, ბუშირიდან ალი უსტა თეირანში ჩავიდა და დაუდ ფაშას წერილობით აცნობა, რომ თუ მუთასალიმს არ ვადააყენებდა და მას კაბედან ფაშობას არ დაუბრუნებდა, სულთანთან დაასმენდა. დაუდი მოერიდა საქმის გართულებას და ალის თხოვნა დააკმაყოფილა. იგი თანამდებობაზე დაუბრუნა, ხოლო თავისი ძმა მუთასალიმის პოსტიდან გაათავისუფლა.

ბასრაში დაბრუნების შემდეგ ალი უსტამ დაიწყო მოსახლეობის შეიწროება. ფაშას სისტემატურად მოსდიოდა ცნობები კაბედან ფაშას აღირახსნილი თვითნებობის შესახებ. იგი მოსახლეობისაგან კრეფდა უზომო გადასახადს, სულს ხდიდა მათ და ნაძარცეს თვითონ ითვისებდა. შეიტყო თუ არა ამის შესახებ ფაშამ, ალი უსტას შეუთვალა, ნაძარცები საფაშო ხაზინაში შეეტანა. ამ ნიადაგზე დაიწყო უთანხმოება ფაშასა და კაბედან ფაშას შორის. ალი უსტამ უარი თქვა დაუდის ბრძანების შესრულებაზე. მთელი თავისი სიმდიდრე გემებზე დატვირთა, დატოვა ბასრა და მასკატს გაემგზავრა. აქ მან გემები მასკატის იმამს მიჰყიდა და თავისი სიმდიდრით (ოქრო-ვერცხლით) ჯერ მექაში ჩავიდა, შემდეგ კაიროში ეგვიპტის გამგებელს მუჰამედ ალის ეწვია, მაგრამ კინაღამ თავი წაიგო მასთან შეკამათების გამო და ბოლოს იძულებული გახდა ეგვიპტიდანაც გაპარულიყო. 1830 წელს იგი სტამბოლს მივიდა და ცოტა ხნის შემდეგ სულთანი მაჰმუდ II ინახულა. მასთან ვიზიტად ყოფნისას უსტა ალიმ მეტად მუქ ფერებში დახატა ეგვიპტისა და ერაყის გამგებლები. დაუდის შესახებ მოახსენა, რომ ის დიუი ხანია აღარ ცნობს სულთნის ხელისუფლებას, ქვეყანას განაგებს სრულიად დამოუკიდებლად და ამიტომ საჭიროა მის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიების გატარება. რაშიც თავის სამსახურსაც სთავაზობდა (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. V. Fontanier, დასახ. ნაშრომი, გვ. 129—135).

ცია ერაყში ამ მხარის კვლავ შემოსამტკიცებლად და დაუდ ფაშას ძალაუფლების დასამხობად.

ეს მისია სულ პირველად იუსუფ ფაშა რუმელიელისათვის უნდოდათ დაეკისრებინათ[27], მაგრამ მას ერაყსა და მის მეზობელ პროვინციებში არ იცნობდნენ და საჭირო ლაშქრის შეგროვება არ შეეძლო, ხოლო შორიდან ასეთი ძალების გადაყვანა ცენტრალურ ხელისუფლებას ძვირი უჯდებოდა. ამის გამო სულთანმა შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და არჩევანი საბოლოოდ ერაყის მოსაზღვრე ალეპოს საფაშოს გაძგებელ მუჰამედ ალი რიზა ფაშაზე შეაჩერა.

1830 წლის გვიან შემოდგომაზე, ალი რიზამ მიიღო ბრძანება, რომელმაც აუწყა, რომ იგი დანიშნულია ბაღდადის საფაშოს გამგებლად, ავრეთვე ალეპო-დიარბაქრ-არზრუმის საფაშოთა გაერთიანებული ლაშქრის სარდლად და დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ლაშქრობას აჯანყებული დაუდის დასამორჩილებლად[28]. ალი რიზა, რომელიც ოცნებობდა ამ თანამდებობის ხელში ჩაგდებას[29], და ამ მიზნით დაუდის დაბეზღებასაც არ თაკილობდა, კმაყოფილებით შეუგება სულთნის ბრძანებას და სალაშქრო მზადებაც მაშინვე დაიწყო. დაახლოებით ორთვიანი მზადების შემდეგ, 1831 წლის 23 მარტს[30] ის ალეპოს შეიარაღებული ძალებით, რეგულარული ჯარის 3 ასეულით, სიფაჰთა 2 ათასეულით, 10 000-იანი დაქირავებული ლაშქრით და 9 ქვემეხით, რომელთაგან 7 საველე იყო, ხოლო 2 — საალყო[31], ბაღდადისაკენ დაიძრა, მაგრამ პორტას დაყენებულმა მოხელემ მშვენივრად იცოდა, რომ მარტო ვერ გაუმკლავდებოდა ერაყის ძლიერ გამგებელს. ამიტომ ქ. მოსულს იქით აღარ წასულა[32], რადგან უნდოდა დახმარება მიეღო იქაური ფაშას ჰაჯი კასიმ

---

[27] S H Longrigg, დასახ ნაშრომი, გვ 264.

[28] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, ე. 309.

[29] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 423.

[30] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 309; ს. ლონგრიგი ალეპოდან ბაღდადისაკენ ალი რიზას გამგზავრების თარიღად 1831 წ. თებერვალს ასახელებს (S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 265).

[31] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 183; J. B. Fraser, დასახ. ნაშრომი, გვ. 261.

[32] მოსულში მისი შეჩერების მიზეზი ისიც იყო, რომ ერაყში იმ დროს შავი ჭირის ეპიდემიამ იფეთქა, რაზეც უფრო ვრცლად საუბარი გვექნება ქვემოთ.

უმარისაგან და თავის მხარეზე გადაეყვანა აგრეთვე სუფუკიც, ბაღ-დადის ჩრდილოეთით მომთაბარე შამარ ჯერბას ძლიერი ტომის შეიხი[33].

ალი რიზა არ შემცდარა ვარაუდში. დაუდის დაუძინებელმა მტერმა ჰაჯი კასიმმა ფართოდ გაუღო კარი მას და პირველი მოწო-დებისთანავე ჩაბარა შეიარაღებული ძალები. მან ისიც მოახერხა, რომ გადაიბირა შეიხი სუფუკი ლაშქრიანად, რისთვისაც სათანადო ჯილდოც მიიღო. ალი რიზამ ის მოადგილედ დაინიშნა და 6000 ქისა ფულადაც ასესხა. ფულითა და სხვა მრავალი დაპირებით ალი რი-ზამ შემოიკრიბა აგრეთვე სხვებიც. კერძოდ, მასთან გამოცხადდა უგაილების ტომის შეიხი სულეიმან აშ-შამარი (რომელმაც სტამ-ბოლიდან ქ. მოსულს ჩამოსულ ალი უსტასთან ერთად ბაღდადის ახალი გამგებლის მეგზურობა იკისრა), სალიჰ ჩელები, ქურთი დი-დებულები, აგრეთვე დაუდის ბანაკიდან გამოქცეული სალიჰ აღა და რუსთემ აღა, რომელთა აქტიური მოქმედებით მან კავშირი დაამყარა ერაყის სხვადასხვა ადგილების, კერძოდ, ბაღდადის თავკაცების ერთ მთლიან სამხედრო ბანაკად გადაექცია.

ასეთი ღონისძიებებით ალი რიზამ მნიშვნელოვნად გაიუმჯო-ბესა პოზიცია. მიუხედავად ამისა, მან ჯერ მაინც ვერ გადაწყვიტა ბაღდადზე პირდაპირი იერიშის დაწყება. იგი დარწმუნებული იყო, რომ მისი შეიარაღებული რაზმები, როგორც საომარი აღჭურვილო-ბით, ისე რიცხობრივადაც საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ დაუდი-სას, რომელსაც ამ დროისათვის თავისი საგამგებლო ქვეყანა უკვე ერთ მთლიან სამხედრო ბანაკად გადაექცია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაუდი ადრიდანვე შეუდგა თავ-დაცვისათვის სამზადისს. მან სადიკ ეფენდის მოკვლისთანავე შეი-მუშავა სამოქმედო გეგმა[35], რომლის მიხედვით ახორციელებდა ჯა-რების მობილიზაციას და მათ გადაყვანას საფაშოს ჩრდილოეთ საზ-ღვართან. 1830 წ. შემოდგომაზე, მუნთაფიქებისაგან შემდგარი დი-დი რაზმი ამირახორის მეთაურობით მარდინისაკენ გაგზავნა, ხოლო არაბ ბედუინთა მეორე დიდი რაზმი მუნთაფიქების ტომის შეიხ

---

[33] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 423; J. B. Fraser, დასახ. ნაშ-რომი, გვ. 261.

[34] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

[35] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 307.

აჯილ სადუნის წინამძღოლობით დირიდან ურფაში გადაიყვანა[36]; საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა, აგრეთვე, შაჰრიზურის ქურთების ლაშქარიც.

1830 წლის ბოლოს, როცა სტამბოლიდან მიღებულ წერილში კაფი ქაჰია ნაჯიბ ბეგი ერაყის გამგებელს არწმუნებდა, კონფლიქტს მშვიდობიანი გზით მოვაგვარებ და საჭირო აღარ არის ჯარების გადაადგილებაო, — დაუდმა შეწყვიტა სამხედრო რაზმების გაგზავნა ჩრდილოეთისაკენ, მაგრამ მხოლოდ დროებით. ორი თვის შემდეგ, 1831 წლის 21 თებერვალს[37], როცა დაუდმა შეიტყო, რომ სულთანმა მაჰმუდ II-მ იგი შეაჩვენა, თანამდებობიდან გადააყენა და მის დასასჯელად ალეპოს, დიარბაქრისა და არზრუმის გაერთიანებული ლაშქრით ალი რიზა ბაღდადისაკენ დაძრა, კვლავ განაახლა მობილიზაცია და საომრად განალაგა თავისი შეიარაღებული ძალები. 30000-იანი ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნილ-შეიარაღებული არმია ბაღდადგარეთ გაიყვანა და იმამ აზამის კარებთან, ე. წ. „საამო ველზე“ დააბანაკა; რეგულარული ქვეითი არმიის ერთი ათასეული და 1500 მხედრისაგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი თავის მსახურთა უფროსის, იუსუფის მეთაურობით ქირქუქს გაგზავნა გარნიზონის გასაძლიერებლად. ხოლო რეგულარული არმიის 8 ათასეული ბაღდადში დაიტოვა და საფაშო საქმეებს განაგებდა. ასე რომ, 1831 წლის აპრილისათვის დაუდი სრულ მზადყოფნაში იყო ომისათვის და ეჭვი არავის ეპარებოდა მის გამარჯვებაში. მაგრამ ამ დროს ერაყს ზედიზედ თავს დაატყდა მთელი რიგი უბედურებანი, რომლებმაც მთლიანად შეცვალეს ვითარება.

1830 წლის სექტემბერში ირანში მძვინვარე შავი ჭირი თავრიზიდან ქირქუქში გავრცელდა, ხოლო 1831 წლის აპრილში, როცა ქ. მოსულში დაბანაკებული ალი რიზა ფაშა ერაყზე თავდასასხმელად ემზადებოდა, ჭირი ბაღდადში გავრცელდა და იქიდან მთელ საფაშოს მოედო. როგორც სხვა დროს, ამჯერადაც ამ სნეულების სწრაფად გავრცელებას ხელი შეუწყვეს ვაჭრებმა და მოგზაურებმა. ამით აიხსნება, რომ ბაღდადში შავმა ჭირმა პირველად ებრაელთა კვარტალში იჩინა თავი.

ამბის მომსწრე იტალიელი ექიმის ანტონაკის ცნობით, რომე-

---

[36] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 307; C l. H u a r t, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

[37] S. H. L o n g r i g g, დასახ. ნაშრომი, გვ. 265.

ლიც ირან-ოსმალეთს შორის საზღვრის დამდგენი კომიისის წევრმა ე. ჩირიკოვმა 1849 წელს ბასრაში ჩაიწერა, ის (ანტონაკი) ორ ინგლისელ ექიმთან ერთად მაშინვე ებრაელთა უბანს სწვევია და უნახავს. რომ ეპიდემია ქალაქის მთელ აღმოსავლეთ ნაწილს მოსდებოდა. ექიმებმა სახლების შემოწმება იწყეს და უკვე 500-მდე ავადმყოფი დათვალეს. ავადმყოფების უმრავლესობა ყელის ტკივილს უჩიოდა. ამიტომ ინგლისელი ექიმები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეს უბრალო ანთება უნდა ყოფილიყო. ანტონაკი კი ირწმუნებოდა, რომ გავრცელებული ეპიდემია შავი ჭირი იყო, რაც მეორე დღესვე ერაყის გამგებელს მოახსენა. მაგრამ ამ უკანასკნელმაც, ისე როგორც ინგლისელმა ექიმებმა, განაცხადა: „ჟამი ყელს არ ეხება... ეს რომ ჟამი იყოს, ყარყატები არ მოფრინდებოდნენ, ისინი კი აქ არიან: არც ტურები იჩხავლებდნენ, მაგრამ ისინიც ჩხავიან"[38]. რაც დრო გადიოდა, ავადმყოფობა სულ უფრო ძლიერდებოდა, ვრცელდებოდა და მსხვერპლთა რაოდენობაც დღითიდღე მატულობდა. თუ 4 აპრილიდან დაწყებული ქალაქში ყოველდღე 50—100 კაცი კვდებოდა. 11 აპრილს 1200 კაცი გარდაიცვალა, 16-იდან 21 აპრილამდე — 2000[39], ხოლო 27 აპრილიდან ყოველდღე 1500—3000 კაცამდე იღუპებოდა[40]. ქალაქში სიცოცხლე შეწყდა. სახლები და ქუჩები დახოცილთა გვამებით აივსო. ბოლოს ჭირმა სასახლესაც მიაღწია და 26 აპრილს ფაშას შეეყარა. ჩირიკოვი ასე გადმოგვცემს ექიმ ანტონაკის ნაამბობს: „ის უკვე უხმობენ ექიმს ჭირით შეპყრობილ დაუდ ფაშასთან. ექიმს თავზარი დაეცა, როცა ქუჩაში გავიდა. ცოცხალი არსება არსად იყო, ყველგან მხოლოდ დახოცილები ეყარნენ. გახრწნილ გვამებს მშიერი ძაღლები დასტრიალებდნენ თავს და ნაკუწ-ნაკუწ გლეჯდნენ. სასახლეც დაცარიელებულიყო. ფაშას ხუთ ჰარამხანაში, სადაც ოც-ოცი მოსამსახურე შავკანიანი მხევალი იყო, არც ერთი ქალი ცოცხალი აღარ გადარჩენილა. აღარავინ იყო ფაშას მომვლელი. მოვიდა მისი მეჯინიბე (საისი) და მოახსენა, რომ მრავალრიცხოვანი მსახურებიდან მარტოკა ის დარჩენილიყო და აღარ იცოდა რა ექნა ცხენებისათვის. მართლაც, სულ მალე შეიძლებოდა დაგენახათ, როგორ დაჰქროდნენ ჯგუფებად ოცი-ოცდაათი ცხენი ქუჩებში და ქალაქგარეთ. ფაშა იწვა მარტო, ბნელ ოთახში. მისი სასახლის დიდი ნაწილი ავსებული იყო... გვამებით, მაგ-

---

[38] Путевой журнал Е. И. Чирикова. СПб., 1875, стр. 8.

[39] J. B. Fraser, დასახ. ნაშრომი, გვ. 239.

[40] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 266.

რამ აღარაფინ იყო, რომ ბინი ფანჯრიდან ადიდებულ და ჩქარ ტიგროსში გადაეყარა. ექიმმა ქრისტიანულ კვარტალში იპოვა ერთი მოხუცი ქალი, რომელმაც თანხმობა განაცხადა ავადმყოფი გამგებლის მოელა-პატრონობაზე... ჯერ კიდევ გუშინ დიდებული სატრაპი, ახლა იწვა როგორც გლახა, შიშველ ფიცარზე, ბნელ საკუჭნაოში, სრულიად მარტო"[41].

ასეთი იყო მდგომარეობა ბაღდადში და სხვა ქალაქებსა და სოფლებში, როცა ერაყს თავს დაატყდა ახალი უბედურება. აპრილის შუა რიცხვებიდან უჩვეულო წყალდიდობა დაიწყო. ადიდებულმა მდინარეებმა ნაპირები გადალახეს და დიდძალი ფართობი დატბორეს. დათესილი ყანები წაილეკა, სოფლები და ქალაქები დაინგრა, მოსახლეობა განადგურდა. განსაკუთრებით დაზარალდა ბაღდადი, ჰილე, ბასრა და მათ ახლომდებარე რაიონები. 21 აპრილს მდინარე ტიგროსმა ბაღდადის ზემოთ ჯებირი გაარღვია და ქალაქში შევარდა. 26 აპრილს, სწორედ, მაშინ როცა დაუდი ავადმყოფობამ საწოლს მიაკრა, წყალმა უკვე დაანგრია ქალაქის ჩრდილოეთი გალავანი და სასახლის ნაწილი[42]. პირველ 5 საათში მან 200 სახლი წალეკა, 34 საათში — 7000[43], ხოლო წყალდიდობისაგან სულ ქალაქის სამი მეოთხედი დაინგრა[44].

28 აპრილიდან წყალდიდობამ თანდათან იკლო, მაგრამ დატბორილ ადგილებში, ორმოებსა და სარდაფებში ჩამდგარი წყალი დიდხანს არ დამშრალა: ჩალპა, ამყრალდა და წარმოიშვა ციებ-ცხელება, რომლის სახით ერაყს კიდევ ერთი საშინელება ეწვია. ის, ვინც ჟამსა და წყალდიდობას გადაურჩა, ახლა ამ სნეულებამ შეიპყრო და მისი მსხვერპლი გახდა[45]. თუმცა მოსახლეობას ახლა მარტო ეს როდი ანადგურებდა. წყალდიდობასა და ხანგრძლივ ეპიდემიებს მოჰყვა მოუსავლიანობა, ამას კი შიმშილობა. ყოველივე ამან ქვე-

---

[41] Путевой журнал Е. И. Чирикова, стр. 9—10.

[42] ფრეზერის გადმოცემით, ამ გარემოებას დაედ ფაშა ერთობ ჩაეფიქრებია. მას აღარ სცოდნია სად წასულიყო, რომ უშიშრად მოესვენა. სასახლეს თურმე ყოველ წუთში დანგრევა მოელოდა. ამიტომ მას ქალაქიდან გასვლა მოუნდომებია და ინგლისელი მისიონერის ა. ეროვესის ერთ-ერთი მსახურისათვის უთხოვია ტეილორთან წასულიყო, რათა ამ უკანასკნელს მისთვის ნავი გაეგზავნა, მაგრამ მენავეთა რაზმიდან ერთი კაცის გარდა ყველა დახოცილი ყოფილა და ფაშას წასვლა ვეღარ მოუხერხებია (J. B. Fraser, დასახ. ნაშრომი, გვ. 245).

[43] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 266.

[44] Б. И. Шелковников, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

[45] J. R. Wellsted. დასახ. ნაშრომი, გვ. 294.

ყანა დასცა. გააუკაცრიელა და გააუდაბურა. მაშინდელი არასრული სტატისტიკური ცნობებით, 1830 წლამდე ქ. ბაღდადში დაახლოებით 150.000 კაცი ცხოვრობდა, შემდეგ კი 20.000 კაციღა დარჩა; ბასრაში ადრე 80 000 მცხოვრები იყო, ხოლო ჟამიანობის შემდეგ, 1849 წელსაც იქ 6000 კაცზე მეტი აღარ ცხოვრობდა. კიდევ უფრო დაზარალდა ძველი ბაბილონის ნანგრევებზე აღმოცენებული ქალაქი ჰილე. მისი 10 000 მცხოვრებიდან ჟამს, წყალდიდობას, ციებ-ცხელებას და შიმშილს მხოლოდ რამდენიმე კაცი გადაურჩა. წყალდიდობისაგან მარტო ბაღდადში დაიანგრა 15 000 სახლი.

სერიოზული ზარალი განიცადა საფაშოს შეიარაღებულმა ძალებმაც. ბაღდადში მყოფი რეგულარული არმიის 8 ათასეულიდან არც ერთი კაცი აღარ გადარჩენილა. 7 ათასიან ფაშას ლეგიონიდან 5 000 დაიღუპა; ქალაქ ჰილეში დაბანაკებული ათასეული დაიშალა. პოლკოვნიკ ტეილორის მიერ ინგლისურ ყაიდაზე შედგენილ და გაწვრთნილ ცხენოსანთა ათასეულიდან ცოცხალი მხოლოდ ერთი კაცი გადარჩა. ასეთივე ბედი ეწია 1000 ქართველისაგან შემდგარ დაუდის რჩეულ რაზმს — „გვარდიას", სადაც 4 კაცის გარდა ყველა ჭირმა იმსხვერპლა. უარესი ამბები მოდიოდა ერაყის სხვა მხარეებიდან: ქირქუქიდან, ხანიკინიდან, შაჰრიზურიდან და სხვ., სადაც სოფლებსა და დასახლებული პუნქტების მოსახლეობა მთლიანად ამოწყდა[46]. ასეთ პირობებში, მიწასთან გასწორებულ ქვეყანას მტრის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეეძლო. მიუხედავად ამისა, დაუდ ფაშა ქედს არ იხრიდა და კელავაც ცდილობდა მოწინააღმდეგის შეკავებას. მან ხელი მიჰყო აღდგენითი ხასიათის სამუშაოთა განხორციელებას, შეუდგა უდაბნოებიდან ბედუინების გადმოყვანას და დასახლებას სოფლად და ქალაქად[47], რათა ამით რეალური პირობები

---

[46] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 428.

1831 წელს ერაყში მომხდარი სტიქიური უბედურებებისა და მათი შედეგების შესახებ ვრცელ ცნობებს იძლევიან ავრეთვე მაშინ ბაღდადში მყოფნი: ჯ. ვ ე ლ ს ტ ი დ ე (დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 280), ინგლისელი მისიონერი ა. გ რ ო ვ ე ს ი (Journal of a Residence in Bagdad, London. 1832), ჟურნალისტი ჯ. ს ტ ო ქ უ ე ლ ე რ ი (Fifteen months' piligrimage trough untrudden parts of Khuzistan and Persia, 1832, p. 57) და ფრანგი ბოტანიკოსი ო შ ე - ლ უ ა (დასახ. ნაშრომი, გვ. 328); ჰ ო რ ა ც ი ო ს ა უ დ გ ა ტ ი (Narrative of a tour through Armenia, Koordistan, Persia and Mesopotamia, II, p. 189) და ა ბ ა ს ა ლ - ა ზ ა ვ ი, რომელიც გვაუწყებს, რომ ირანის მხრიდან მოსულმა ჭირმა, სულ მოკლე დროში ბაღდადს რომ მოედო, ყოველ 100 მცხოვრებიდან მოკლა 95 და გაანადგურა მთელი არმია (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 307).

[47] Путевой журнал Е. И. Чирикова, стр. 10.

მოემზადებინა ქვეყნის განაშენიანების, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების, ვაჭრობა-ხელოსნობის აღორძინებისა და, რაც მთავარია, არმიის შექმნისათვის, მაგრამ ამ ღონისძიებათა გატარება მტერმა აღარ დააცალა.

ამბოხებული ბაღდადის ფაშას დასათრგუნავად იმაზე ხელსაყრელი მომენტი, როგორიც 1831 წლის გაზაფხული იყო, ალი რიზას არასდროს დაუდგებოდა. ამიტომ მანაც აღარ დააყოვნა საომარი მოქმედების დაწყება და, შეწყდა თუ არა შავი ჭირი, მაშინვე შეტევაზე გადავიდა. თავისი მოადგილე ალჰაჯ კასიმ ფაშა უმარი, სანდო პირთა რაზმების თანხლებით, ქ. მოსულიდან უდაბნოს გზით სამხრეთისაკენ გაგზავნა, რათა მოულოდნელად თავს დასხმოდა ერაყის დედაქალაქს, დაუფლებოდა მას და დაეტყვევებინა მისი გამგებელი. ამასთან, იმაზეც იზრუნა, რომ დაუდისთვის გაქცევის შესაძლებლობა არ მიეცა. ცენტრალური მთავრობის ნებართვით, მან ირანს მიავლინა თავისი საგანგებო წარმომადგენელი ჰაჯი აჰმედ ეფენდი[48], რომელსაც ალ-აზავის ცნობით, დავალებული ჰქონდა შაჰისათვის მოეხსენებინა დაუდ ფაშას საქციელისა და მის წინააღმდეგ სულთნის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ და ეთხოვა: არ მიეცათ მისთვის თავშესაფარი, თუ იგი ამ მხარეში გაქცევას დააპირებდა[49].

ალი რიზას ბრძანებით კასიმ ფაშა უმარი 1831 წლის ივნისის თვის დამდეგს სამხრეთისაკენ დაიძრა. მის წინააღმდეგ ჩრდილოე-

---

[48] Отношение гр. Нессельроде к ген. адют. Панкратьеву от 27-го августа 1831 года, № 1850 (АКАК, т. VII, стр. 740).

[49] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 307. ასეთსავე ცნობას ეხედებით ლონგრიგთანაც (დასახ. ნაშრომი, გვ. 268). დოკუმენტები კი ცხადყოფენ, რომ სულთანი შაჰს სამხედრო დახმარებასაც სთხოვდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია „გრაფ ნესელროდეს 1831 წლის 27 აგვისტოს წერილი გენერალ-ადიუტანტ პანკრატიევისადმი“, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია: „თანახმად ცნობებისა, რომელთა უტყუარობაში ეჭვის მიტანა შეუძლებელია, სპარსეთში საომარი სამზადისი გამოწვეულია სულთნის თხოვნით, რომლითაც მიმართა შაჰს, რათა დაიყოლიოს ფი და გაგზავნოს თავისი ჯარი აჯანყებული ფაშას წინააღმდეგ საბრძოლველად ! ბაღდადში. ასეთი იყო მიზანი, როგორც ამბობენ, ოსმალეთის წარმომადგენლის ჰაჯი აჰმედ ეფენდისა. მის ასეთ ნაბიჯს კეთილგანწყობილად შეხედნენ და ფიქრობენ, რომ სპარსეთის არმიის რაზმმა შემდეგარმა 1000 ქვეითის, 1000 მხედრისა და 2 ზარბაზნისაგან მიიღო ბრძანება შეუერთდეს ალეპოს ფაშას მიერ თავმოყრილ ძალებს ამბოხებული ბაღდადის ფაშას დასამორჩილებლად“. (Отношение гр. Нессельроде к ген. Панкратьеву от 27-го августа 1831 года, № 1850 (АКАК, т. VII, стр. 740).

თისაკენ გაგზავნილმა ბაღდადის ერთმა მეჯა შეიარაღებულმა რაზმებმა, რომელთაც სათავეში ამირახორი მეჰამედ ეფენდი და მუჰამედ ფაშა ბაბანი ედგნენ, მტრის ჯარების შეჩერება ვერ შესძლეს. კასიმ ფაშამ ისინი ორგზის (ქ. ბაჰროუზთან და დატცილთან) დაამარცხა და უკუაქცია.

შემდეგ კასიმი პირდაპირ ბაღდადისაკენ გაემართა და 5—6 საათის სავალზე, ციხე-ქალაქ ქაზიმიასთან დაბანაკდა. სანამ საფაშოს დედაქალაქზე იერიშს მიიტანდა, მან ბაღდადის კადის, ტაჰირ ას-სირუზს დაუდ ფაშას გადაყენების ბრძანება გაუგზავნა და აცნობა: პირობა მიეცა მამლუქთა დიდკაცობისათვის, რომ ხელუხლებლად დატოვებდნენ მათ მმართველობას და იქნებოდნენ მისი პატიოსანსცემელნი[50]. ასეთი მოქმედებით კასიმს თავისი მოსვლის მიზეზის გამჟღავნება სურდა, და დაუდის ბანაკში განხეთქილების გამოწვევასა და მოსახლეობის გავლენიანი ფენების გადაბირებას ისახავდა მიზნად, რასაც თითქმის მიაღწია კიდეც. ქალაქის მოსახლეობის ზედაფენის ერთმა ნაწილმა, დარწმუნებულმა იმაში, რომ სტიქიისაგან განადგურებული ერაყის გამგებელს ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლა უკვე აღარ ძალუძდა, კასიმის დაპირებები სინამდვილედ მიიღო და დაუდს ზურგი შეაქცია. დიდკაცთა ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა დაუდთან სამსახურს კასიმ ფაშას მხარეზე გადასვლა ამჯობინეს და სიტყვა მისცეს, რომ ისე მოიქცეოდნენ, როგორც ის უკარნახებდა[51].

ამრიგად, იმ დროს, როცა ქ. ბაღდადის კარიბჭესთან მიმდგარი კასიმ ფაშა გადამწყვეტი იერიშისათვის ძალებს იკრებდა, ქალაქში მისი მომხრე ჯგუფი შეიქმნა და კადი ტაჰირის ხელმძღვანელობით შიგნიდან გადატრიალებას ამზადებდა. ამ ჯგუფის ამოცანა იყო დაუდ ფაშას გადაყენება, დატყვევება და საფაშოს ხელისუფლების სათავეში კასიმ ფაშას დასმა, რაც გარკვევით ჩანს ტაჰირის მიმართვაში ჯგუფის წევრებისადმი: „...უკეთუ ახალი გამგებლის მოადგილე ქალაქში მაშინვე შესვლას ვერ შესძლებს, იგი თქვენ ამბოხებულებად ჩაგთვლით; ამიტომ ვიდრე ასეთ უსინდისობას დაგწამებდეთ, უმჯობესია დაუდ ფაშა სასახლეში გამოამწყვდიოთ, საიმედო დაცვის ქვეშ იყოლიოთ. თვითონ კი კასიმის შესახვედრად გასწიოთ

---

[50] العزاوي, დასახ. ნაშრომი, გვ. 311.

[51] იქვე.

და ის ხელისუფლების სათავეში დასვათ; ამით თქვენ დაუმტკიცებთ თქვენს ერთგულებას ოსმალეთის იმპერიის მთავრობას და იგი შეგიწყალებთ"[52]. აქ, როგორც ვხედავთ, მოცემულია არა მარტო ჯგუფის ამოცანა, არამედ ამ ამოცანის განხორციელების გზა და ხერხებიც.

მართალია, დაუდი სიკვდილს გადარჩა, მაგრამ ნაავადმყოფარი ჯერ მაინც სუსტად გრძნობდა თავს, სიარული და საფაშოს საქმეების მოელა წინანდებურად აღარ შეეძლო. სამ დღეში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა მისაღებ დარბაზში ქვეყნის მდგომარეობის გასაგებად და სათანადო განკარგულებების გასაცემად. მასთან სათათბიროდ მისული მოხელეები სხდომის დამთავრებისთანავე ტოვებდნენ სასახლეს იმის შიშით, რომ ჟამი არ შეყოროდათ. სასახლეს სულ 5 თუ 10 მონა-მსახური იცავდა და მათაც უფლება ჰქონდათ, ღამით ყარაულობის შემდეგ, თავიანთ ბინებში დაბრუნებულიყვნენ. ასე რომ, ფაშა და მისი რეზიდენცია ფაქტიურად უმეთვალყურეოდ იყო მიტოვებული, რაც კარგად იცოდნენ ,ასან უმარის მოკავშირე ჯგუფის წევრებმა და მოხერხებულადაც გამოიყენეს თავიანთი მიზნის მისაღწევად. ერთხელ, მზის ჩასვლამდე ერთი საათით ადრე[53] (სხვა ცნობით, ზუსტად 11 საათზე)[54], ბაღდადის მოქალაქეთაგან შემდგარი ორასკაციანი რაზმი თავს დაესხა სასახლეს აშ-შეიხის უბნიდან, ცეცხლი წაუკიდეს მას და მაშინვე უკუიქცნენ. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს იყო ნიშანი კასიმისადმი დამორჩილებისა და ამ უკანასკნელის შეტევაზე გადასვლის, რაც სულ მალე დაიწყო კიდეც.

ასეთ ვითარებაში სასახლეში ფაშას დარჩენა და იქიდან ხელმძღვანელობა უკვე აღარ შეიძლებოდა. იგი მიხვდა, რომ თუ ადგილსამყოფელს დროზე არ გამოიცვლიდა, მის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე მოელოდა. ამიტომ დაუდმა დაუყოვნებლივ დატოვა სასახლე და მსახურის, ეთიოპიელი ფირუზის[55] თანხლებით, თავისი ყოფილი მოხელის მუჰამედ აღა ყარა ბიბერის[56] ქვრივის ჰაბი-

---

[52] Cl. Huart. დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

[53] იქვე, გვ. 186.

[54] العزاوى დასახ. ნაშრომი, გვ. 313.

[55] იქვე.

[56] ყარა ბიბერ — „შავი წიწაკა", ასეთი მეტსახელი ჰქონდა შერქმეული მუჰამედ აღას სიავის გამო.

ბე ხანუმის ბინაზე გადაბარგდა. მაგრამ აქ დიდხანს ყოფნა აღარ დააცალეს. მეორე დღეს, ქალაქის თავკაცებმა, დიდებულებმა და ულემებმა თავაზიანობის წესების დაცვით ის თანამემამულის, სალიჰ ბეგის[57] ბინაზე გადაიყვანეს[58] და სახლის პატრონს საგანგებო ხელწერილი ჩამოართვეს, რომ ტყვე ფაშა ალი რიზასათვის მიეყვანა, როცა ის ბაღდადში მოვიდოდა[59]. თვითონ კი კასიმს მაშინვე ქალაქგარეთ ეახლნენ, კარი გაუღეს, სასახლემდე მიაცილეს და საფაშოს გამგებლად დასვეს.

ამრიგად, კასიმ ფაშა უმარმა და მის მხარეზე გადასულმა ქალაქის მოსახლეობის გავლენიანმა ჯგუფმა დასახულ მიზანს მიაღწიეს. კასიმმა ბაღდადელ დიდებულთა მხარდაჭერით და მოქმედებით დაუდის ადგილი დაიჭირა, ხოლო ბაღდადელებმა თავიდან აიცილეს ომი, გადაარჩინეს საკუთარი ქონება და მოიმადლიერეს სულთანი.

* * *

მას შემდეგ, რაც კასიმ ფაშამ ბაღდადში შესვლა მოახერხა და ციხესიმაგრეს დაეუფლა, ბრძოლის ბედი მის სასარგებლოდ უკვე გადაწყვეტილი იყო. როგორც ქალაქს, ისე საფაშოს გარკვეულ ნაწილს ამიერიდან მისი რაზმები დაეპატრონენ და გამარჯვებას ზეიმობდნენ. ასეთ პირობებში ვერავინ იფიქრებდა, რომ სალიჰ ბეგის ბინაში ჩაკეტილი ტყვე დაუდი შეძლებდა ძალაუფლების დაბრუნებას.

---

[57]სალიჰ ბეგი იყო სულეიმან ფაშა ბუიუქის ერთ-ერთი ვაჟიშვილი და დაუდის მეურ სიყვდილით დასჯილი საიდ ფაშას ძმა.

[58] J. B. Fraser, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 261; ალ-აზზავი, გვ. 313 და სხვანი.

[59] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 186. მათი ამგვარი გადაწყვეტილების მიზანი ალ-აზავის აზრით, ის იყო, რომ დაუდს ალისათვის „ოდნავი წინააღმდეგობის გაწევისა და შეურაცხყოფის მიყენების შესაძლებლობაც კი წართმეოდა და დანებებოდა, რათა ალის მისთვის ეპატიებინა“ (العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 313). როგორც ვხედავთ, ბაღდადის თავკაცებს, როცა ფაშა შინაპატიმრობაში აყყავდათ, ის მოსაზრება ამოძრავებდათ, რომ ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა შეეწყვიტათ და ამ ბრძოლის მოთავე დაუდიც გადაერჩინათ.

იოლი გამარჯვებებით გათამამებულ კასიმ ფაშა უმარს თავი უძლეველად მიაჩნდა და რაკი ბაღდადის ვალის თანამდებობა დაიკავა, მის დათმობას აღარ აპირებდა[60]. იგი უკვე ალი რიზას წინააღმდეგ ომს გეგმავდა, ლაშქარს აგროვებდა და თან მისთვის საშიში ძალისაგან ქალაქის გაწმენდას შეუდგა, რომ ძალაუფლება განემტკიცებინა. ასეთ საშიშ ძალად მას მამლუქები, მათი თანამზრახველები და ერაყის ყოფილი გამგებელი დაუდი მიაჩნდა[61], ვინაიდან მათი ავტორიტეტი და გავლენა მასებში ამ დამარცხების შემდეგაც უფრო დიდი იყო, ვიდრე ახალი გამგებლისა. კასიმმა გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, გაენადგურებინა ისინი და „დივანს" დაუდის მოყვანა მოსთხოვა. მაგრამ დივანის წევრებმა (მათ შორის იმათაც, ვინც ფაშას პურ-მარილით შეეგება, ქალაქის გასაღები ჩააბარა და ხელისუფლების სათავეში დასვა) შეიტყვეს თუ არა ტახტის მაძიებლის ამ განზრახვის შესახებ, კატეგორიული უარი თქვეს ბრძანების შესრულებაზე[62]. მათი უმრავლესობა ან დაუდ ფაშას ყოფილი მოხელეები იყვნენ, ან თვით მამლუქები და მალე მიხვდნენ, რა შეცდომაც ჩაიდინეს. მათი ეს ერთსულოვანი უარი იყო პირველი, თანაც სერიოზული პროტესტი, რომლითაც დაიწყო ახალი შემობრუნების ეტაპი კასიმ ფაშა უმარსა და დაუდ ფაშას შორის ბრძოლაში. კასიმ ფაშას პოლიტიკით უკმაყოფილო ქალაქის თავკაცების უმეტესობამ მორჩილ მოსახლეობასთან ერთად კვლავ დაუდის მხარეზე იწყო გადასვლა, რამაც მკვეთრად შეცვალა ძალთა თანაფარდობა. შეიქმნა პერსპექტივა ჯერ ქალაქიდან, ხოლო შემდეგ მთელი საფაშოდან კასიმ ფაშას გაძევებისა და მამლუქთა მმართველობის აღდგენისა. ამას ახლა აშკარად გრძნობდნენ არა მარტო დაუდი და მისი მომხრეები, არამედ მოწინააღმდეგენიც. ამიტომ მოსალოდნელი საშიშროების თავიდან ასაცილებლად კასიმ ფაშამ გადაწყვიტა დაესწრო ბაღდადის საფაშოს გამგებლისათვის და აჯანყების დაწყებამდე მოეკლა. იგი ღამით მოულოდნელად გავიდა სასახლიდან, ჩაჯდა ნავში და მდ. ტიგროსით გაემართა იმ შენობისაკენ, სადაც დაუდი ეგულებოდა. სალიჰ ბეგმა, რომლის ბინაზეც დაუდი იმყოფებოდა, ღამით მოულოდნელად კარზე მიმდ-

---

[60] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 166.

[61] იქვე, გვ. 187; العزاوي, დასახ. ნაშრომი, გვ. 313.

[62] იქვე.

გარ კასიმს პირდაპირ კი არ უთხრა უარი. არამედ დაუწყო მტკიცება, რომ მისი ბრძანების შესრულება, ე. ი. დაუდის გადაცემა, დღისით აჯობებდა: „თუ ეს კაცი თქვენივის ჯერ არ ჩამიბარებია, — აწუმუნებდა იგი ფაშას, — იმიტომ, რომ ვიცი მოკვლა გსურთ. ამბობენ, მას ბევრი სიმდიდრე აქვს; მე რომ ახლა დაგითმოთ, დაიწყებენ ლაპარაკს, თითქოს მისი ქონება ჩვენ გავინაწილეთ, და ანგარიშს მოგვთხოვენ, რაც მრავალ უსიამოვნებას მოგვაყენებს. რაკი თქვენ დაჟინებული გაქვთ, ხვალამდე მაინც დაიცადეთ, რომ ეს სიმდიდრე გადმოგცეთ დღისით, დივანისა და მოლების თანდასწრებით ისე, როგორც მე ჩამაბარეს; მე კი დამიბრუნონ ის აქტი, რომელზეც ხელი მოვაწერე და პასუხისმგებელი ვარ"[63].

ეს სიტყვები ისე დამაჯერებლად იყო თქმული, რომ სალიჰ ბეგის გულწრფელობაში კასიმ ფაშას ეჭვიც არ შეპარვია. განსაკუთრებით ის მოეწონა, რომ სალიჰი დაუდ ფაშასა და მთელი მისი სიმდიდრის გადაცემას დივანის წევრებისა და მოლების თანდასწრებით აპირებდა, ე. ი. იმათი თანდასწრებით, რომელთა თავიდან მოშორება კასიმს, ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ისევე უნდოდა, როგორც ყველა მამლუქისა. ამიტომ მიიღო სალიჰ ბეგის თხოვნა და სასახლეში დაბრუნდა, რათა ყველაფერი ისე მოეწყო, რომ დაუდ ფაშას გადაცემის ცერემონიალის დროს ყველა იქ მყოფი დიდებული ადგილზე გაეჭლიტა. მაგრამ როცა შინ დაბრუნებული კასიმი სხვისი განადგურების გეგმას აწყობდა და დამსჯელი რაზმების გადაადგილებას ახდენდა, სალიჰ ბეგის ბინაზე თავმოყრილმა დაუდის მომხრეებმა მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. მეორე დღეს, დაუდისა და მისი სიმდიდრის გადაცემის დროს, ის უნდა მოეკლათ.

ამრიგად, 1831 წლის 12 ივნისს, ღამით, ერთდროულად შემუშავებულ იქნა ორი დაჯგუფების ორი გეგმა, რომელთა განსახორციელებლად თითოეული მათგანი მოუთმენლად ელოდა გათენებას.

დილით, 13 ივნისს, როგორც ეს დათქმული ჰქონდა სალიჰ ბეგთან, კასიმ ფაშამ დივანის შეკრება ბრძანა. რამდენიმე წევრი, ვინც კასიმ ფაშას განზრახვა ჯერ არ იცოდა, დაძახებისთანავე გამოცხადდა სასახლეში. დანარჩენები, ვისი დასწრების გარეშეც დაუდის გადაცემა ვერ შედგებოდა, განგებ იგვიანებდნენ. ისინი აჯან-

---

[63] Cl. Huart. დასახ. ნაშრომი, გვ. 187. იხ. აგრეთვე ალ-აზაკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 313.

ყებულთ ელოდნენ და ფაშასთან ბოლოდ მაშინ იწყეს სათითაოდ მისვლა, როცა უკვე დაუდის მომხრე მოსახლეობისაგან შემდგარმა ჯგუფებმა მოწინააღმდეგისათვის სრულიად შეუმჩნეველად, სასახლის გარშემორტყმა დაამთავრეს და იერიშზე გადასვლა დააპირეს[64].

დივანის წევრთა დროზე გამოუცხადებლობის გამო კასიმის გეგმა, მათ ერთბაშად განადგურებას რომ ისახავდა მიზნად, ჩაიფუშა. ამიტომ მან გადაწყვიტა, ვინც უკვე მოსული იყო, იმათ მაინც გასწორებოდა. მაგრამ ამ დროს აჯანყებულებმა სასახლეზე შეტევა დაიწყეს, კასიმი მათთან ბრძოლაში ჩაება და მისი ეს განზრახვაც განუხორციელებელი დარჩა.

მორიგი, უფრო სერიოზული წარუმატებლობა კასიმ ფაშამ აჯანყებულებთან ბრძოლაში განიცადა. მან ვერ შეძლო ერთი დარტყმით დაემარცხებინა მოწინააღმდეგე. ბრძოლამ ხანგრძლივი ხასიათი მიიღო. ეს კი აჯანყებულთათვის უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე კასიმისთვის. აჯანყებულებმა პირველი იერიშით სასახლის აღება ვერ შეძლეს, მაგრამ ალყა შემოარტყეს ციხე-ქალაქს, საიმედოდ ჩაკეტეს ყველა შესასვლელი გზა და მტერს მოუსპეს სურსათ-სანოვაგის, სამხედრო საჭურვლისა და მაშველი ძალების მიღების ყოველგვარი შესაძლებლობა.

ყოველივე ამან თავიდანვე გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. როგორც კი ციხესიმაგრეში ჩაკეტილ რაზმებს საკვები და საომარი მასალა შემოაკლდათ, იარაღი დაყარეს და მოწინააღმდეგის ბანაკს მიაშურეს. პირველი ბაღდადის დასავლეთ ნაწილში განლაგებული რვაასი უგაილელი და მათი უფროსი მოლა ჰუსეინი იყო. შემდეგ მათ სხვა რაზმებმაც მიბაძეს. ბოლოს ციხისთავიც ასე მოიქცა. მისი დანებების შემდეგ აჯანყებულნი ციხესიმაგრეში შევიდნენ და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ სასახლეს დაეუფლნენ.

აჯანყებულთა მიერ სასახლის დაკავებით კასიმ ფაშას გამგებლობის ხანა დასრულდა. 1831 წ. 15 ივნისს კასიმი და მისი ლაშქრის მეომართა უმრავლესობა ბრძოლაში დაიღუპა[65], ხოლო იმათ, ვინც სიკვდილს და დატყვევებას გადაურჩა, სასახლე გაძარცვეს და

---

[64] S. H. Longrigg. დასახ. ნაშრომი, გვ. 267; العزاوى, დასახ. ნაშრომი გვ. 314.

[65] Н. Н. Муравьев. დასახ. ნაშრომი გვ. 43; العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 316.

ცეცხლი წაუკიდეს. შემდეგ მათ ისარგებლეს იმით, რომ აჯანყებულებს ციხესიმაგრიდან გასასვლელი იმამ აზამის კარი უმეთვალყურეოდ ჰქონდათ მიტოვებული და სულეიმან ალ-ღანამისა და ჰაჯი ბაქირ აღას წინამძღოლობით გაქცევით უშველეს თავს.

კასიმ ფაშა უმარის და მისი შეიარაღებული ძალების სრული განადგურება აჯანყებულთა სერიოზული წარმატება იყო. ამით მათ თავიდან აიცილეს ფიზიკური მოსპობის საფრთხე, დაპყრობას გადაარჩინეს არაბული ერაყი და ამასთანავე მნიშვნელოვნად გაზარდეს თაეიანთი რიგები. ადგილობრივი მოსახლეობის ყველა რჯულისა და სოციალური კატეგორიის წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი გამაჰმადიანებული ქრისტიანები, რომლებსაც აქამდე თავიანთი გამგების გამარჯვების იმედი არ ჰქონდათ და ნეიტრალური პოზიცია ეკავათ, კასიმ ფაშას დამარცხების შემდეგ ამბოხებულებს მიემხრნენ და საჯაროდ იფიცებოდნენ, რომ მათთან ერთად თავდადებით იბრძოლებდნენ დაუდ ფაშას ხელისუფლების დასაცავად[66].

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, საგრძნობლად აუმჯობესებდა დაუდისა და მის თანამოსაქმეთა მდგომარეობას, მაგრამ ძალაუფლების შესანარჩუნებლად სრულიადაც არ კმაროდა. ოსმალეთის სულთნის მიერ ბაღდადის საფაშოს დასაპატრონებლად ერაყს მივლენილ ალი რიზა ფაშას დასამარცხებლად აჯანყებულთ ძალა არ შესწევდათ, უამისოდ კი დაუდის ხელისუფლების განმტკიცებასა და ერაყის დაცვაზე ფიქრი ზედმეტი იყო. აჯანყებულთა მდგომარეობა კვლავ უიმედო რჩებოდა. ამას კარგად გრძნობდნენ აჯანყების მოთავენი და, რაკი მტრისაგან თავდაცვა საკუთარი ძალით აღარ შეეძლოთ, გარედან დახმარების იმედი კი არ ჰქონდათ, იძულებული ხდებოდნენ შეეცვალათ ტაქტიკა და დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოლაპარაკება სულთანთან.

ამ მიზნით, კასიმ ფაშას დამარცხებისთანავე, დაუდმა „ხალხის სახელით" შეადგინა სტამბოლს გასაგზავნი თხოვნის ქაღალდი, შემდგარი სამი ძირითადი ნაწილისაგან. შესავალში, რომელიც შეიცავდა ახსნა-განმარტებას იმისას, თუ როგორ მოხდა კასიმის მკვლელობა. ნათქვამი იყო: „...თავიანთი ხელმწიფის ნების მორჩილ ბაღდადის ადგილობრივ მოსახლეობას დაუდ ფაშა პატიმრობაში ჰყავს: კასიმ ფაშა ქალაქში შეეიდა მათი მიწვევით, მაგრამ გახდა

[66] Cl. Huart. დასახ. ნაშრომი. გვ. 191.

მსხვერპლი აღშფოთებისა, რამაც იფეთქა სულთნის ჯარების მიერ ჩადენილი ძალადობის გამო"[67]. მეორე ნაწილში ჩამოყალიბებული იყო ამბოხებულთა ძირითადი მოთხოვნები. კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ „ბაღდადის დროებითი გამგებლობა გადაეცა სალიჰ ბეგს და დაბეჯითებითი თხოვნაა, აღდგენილ იქნეს ძველი მმართველი, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, დამტკიცდეს მის ადგილზე უკვე არჩეული სალიჰი[68].

მესამე ნაწილში ჩამოთვლილი იყო ვალდებულებანი. რასაც კისრულობდნენ დაუდი და ბაღდადის მთელი საფაშოს მოსახლეობა. ისინი პირობას დებდნენ, რომ, თუ იმპერიის ცენტრალური მთავრობა მათ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. ერთბაშად გაუგზავნიდნენ 20 000 ბურსს ნაღდი ფულით; მთლიანად დაფარავდნენ იმ ხარჯებსაც, რაც ალი რიზა ფაშას სამხედრო ექსპედიციას დასჭირდა და, ამას გარდა, კონტრიბუციის სახით გადასახდელ 2 000 ბურსის ნაცვლად გადაიხდიდნენ 10 000 ბურსს. მაგრამ თხოვნის შემდგენელნი იქვე შენიშნავდნენ, რომ უკეთუ სულთანი უარს იტყოდა მათი მოთხოვნების შესრულებაზე, ეს ვალდებულებანი მექანიკურად დაკარგავდნენ ძალას და აჯანყებულნი მთელი შესაძლებლობით ეცდებოდნენ თავიანთი ინტერესების დაცვას[69].

როგორც ვხედავთ, ბაღდადის გამგებელი სერიოზულ დათმობაზე მიდიოდა. ამიერიდან მის ამოცანას იმპერიისაგან დამოუკიდებელი ერაყის ანუ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბედნიერი ბაბილოვანის" სამეფოს შექმნა აღარ შეადგენდა. მისი მიზანი იყო, როგორმე შეენარჩუნებინა ბაღდადის საფაშოს ერთიანობა და თავისი ან სხვა რომელიმე მამლუქის გამგებლობა, ე. ი. გადაერჩინა მისი დიდი წინამორბედი ქულემენი ფაშების მიერ მტკიცედ დამკვიდრებული მამლუქთა მმართველობა.

საკითხის ასვინაირად გადაწყვეტა ახლა მარტო დაუდის საზრუნავი როდი იყო. ამაზე ფიქრობდნენ აგრეთვე გამაჰმადიანებული ყველა ქრისტიანი და ქალაქის დანარჩენი მოსახლეობა. ისინი, ვინც კასიმ ფაშას ბოროტგანზრახვათა გამოაშკარავების შემდეგ საბო-

---

[67] Н. Н. Муравьев. დასახ. ნაშრომი, გვ. 43—44.

[68] იქვე, გვ. 44; Cl. Huart. დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

[69] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 317; Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 191. უარი სარგებლობს თაბით ეფენდის თხზულებით, თაბიჯიკი პირადად გაეცნო აღნიშნული თხოვნის ტექსტს სტამბოლში.

ლოდ დარწმუნდნენ. რომ სტამბოლიდან გამოგზავნილი ახალი ამბავთველის ხელში მათი მდგომარეობა უფრო გაუარესდებოდა, ვიდრე მამლუქი ფაშების დროს იყო. ამიტომ მათ მხარი დაუჭირეს დაუდის ინიციატივას, მიიღეს მის მიერ შემუშავებული თხოვნა და თავიანთი დასტურით ის სულთან მაჰმუდ II-ს გაუგზავნეს.

ამავე დროს ეს ამბავი ალი რიზასაც შეატყობინეს. საგანგებო შიკრიკის ხელით გაგზავნილი წერილით აცნობებდნენ კასიმის მარცხის მიზეზებს და სულთნისათვის გაგზავნილი თხოვნის შინაარსს. ამასთან სთხოვდნენ, რომ სტამბოლიდან პასუხის მიღებამდე, ხელი აეღო საომარი მოქმედების გაგრძელებაზე და ბაღდადის საფაშოს გამგებლობის განზრახვაზე, თორემ სულერთია, ქალაქში არ შეუშვებდნენ.

ალი ფაშასთან ეს წერილი მამლუქების წარმომადგენელს სუფიან ეფენდის მიჰქონდა. რაც შეეხება სულთანთან გაგზავნილ თხოვნას, მისი ერთი ცალი დამასკოს გზით მიჰქონდათ, ხოლო მეორე ცალი ინგლისის გენერალურმა კონსულმა პოლკოვნიკმა ტეილორმა თეირანში გაგზავნა, რათა იქიდან სტამბოლის საელჩოში გადაეგზავნათ და სულთნისათვის ჩაებარებინათ.

ამ დოკუმენტზე დიდ იმედს ამყარებდნენ დაუდ ფაშა და მისი მომხრენი. მათი ღრმა რწმენით, ფინანსური კატასტროფის წინაშე მდგომი სულთანი უარს არ იტყოდა თხოვნაში ჩამოყალიბებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. რაკი სრულ მორჩილებას ვუცხადებთ, — ამბობდნენ ისინი, — იმედია შეგვიწყალებენ და მარტო ალი რიზას გულისათვის მთავრობა მთელი ქვეყნის განადგურებას არ მოისურვებსო[70]. მაგრამ სტამბოლში ასე როდი ფიქრობდნენ. მაჰმუდ II-ს დიდი ხანია ქულემენების ბატონობის დამხობა სურდა და უკან დახევას აღარ აპირებდა[71]. მან მათი მოსპობა ბრძანა და ალი რიზასაც აცნობა, რაც შეიძლება დაეჩქარებინა ეს საქმე.

* * *

როგორც კი ქ. მოსულში მყოფმა ალი რიზამ შეიტყო, რომ მის შთადგილეს, კასიმს ბაღდადი უომრად დანებდა, მაშინვე კარვები

---

[70] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

[71] ეს იდეა მაჰმუდ II-მ მემკვიდრეობით მიიღო სელიმ III-ისაგან. პირველად მან განიზრახა მამლუქთა სრული განადგურება და კავკასიიდან ტყვეების ყიდვის აღკვეთა, რაღგან, როგორც მას, ისე მისი დიუანის წევრებს ეგონათ, რომ ოსმალეთის დაუძლურების ერთადერთი მიზეზი ქართველი მამლუქების ბატონობა იყო.

ამალა და თვითონაც ამ ქალაქისაკენ გასწია. მაგრამ ის იყო მდინარე დიდი ზაბის სანაპირომდე მიაღწია და გადასასვლელად ემზადებოდა, რომ სუფიან ეფენდი ეწვია და დაუდის წერილი გადასცა. ამ წერილით, აგრეთვე მამლუქთა წარმომადგენლის ნაამბობით, პირველად გაიგო კასიმ ფაშას დამარცხება-დაღუპვის ამბავი და ისიც, რომ ამბოხებულ დაუდს უკვე სულთნისათვის თხოვნის ქაღალდით მიემართა და პასუხის მიღებამდე ძალაუფლების დათმობას არ აპირებდა.

დაუდ ფაშას წერილის შინაარსმა ალი რიზა სერიოზულად ჩაფიქრა და იოლი გამარჯვების იმედი საბოლოოდ გაუნელა. იგი დარწმუნდა, რომ კასიმ ფაშას დამარცხების გამო ბაღდადი ხელახლა ასაღები იყო და სათანადო მომზადების გარეშე წინსვლა უკვე აღარ შეიძლებოდა. ხოლო, თუ მაჰმუდ II დაუდის თხოვნას დააკმაყოფილებდა, რაც გამორიცხული არ ჩანდა, მაშინ ალი რიზა ბაღდადის ფაშად გახდომის შესაძლებლობას კარგავდა. ამიტომ ალიმ გადაწყვიტა სასწრაფოდ შეეკრიბა ახალი ლაშქარი და დაეკავებინა ერაყი მანამდე, სანამ დაუდ ფაშას თხოვნის პასუხად სტამბოლიდან ახალ განკარგულებას მიიღებდა.

ასეთი განხრახვით, ალიმ სწრაფად გადაიყვანა ჯარი მდ. ზაბზე, დაიკავა ქ. ირბილი, გაიმრავლა იქ ლაშქარი და ამის შემდეგ, პირდაპირ ბაღდადს მიაშურა[72].

სტიქიისა და ეპიდემიისაგან გაუკაცრიელებულ ქვეყანაში მტრისათვის ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევა აღარავის შეეძლო. ამიტომ ლაშქრობა იმდენად შეუფერხებლად მიმდინარეობდა, რომ რამდენიმე დღის შენდეგ ალი რიზა უკვე არაბული ერაყის ტერიტორიაზე გამოჩნდა და მისი მიწა-წყლის დაპყრობას შეუდგა. 7 ივლისს, ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ, ალიმ იმამ აზამის ციხესიმაგრე აიღო[73]. მერე ბაღდადს მიადგა და იერიშის მისატანად 15 000-იანი ჯარი აზამიეს ველზე განალაგა[74].

როგორც უკვე ითქვა, ბაღდადში ამ დროს ყველა დარწმუნებული იყო, რომ სტამბოლის სულთნისგან პასუხის მიღებამდე ალი რიზა საომარი მოქმედების გაგრძელებაზე თავს შეიკავებდა. ამდე-

---

[72] ბ. შელკოვნიკოვის ცნობით, ალი რიზას მისაშველებლად აქ მოსული შამარ ჯარბას ტომის პელადი სუფუკი (Б. П. Шелковников, დასახ. ნაშრომი, გვ. III, გვ. 88).

[73] Н. Н. Муравьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

[74] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 319.

ნად. მისი ლაშქრობა მოულოდნელი იყო. მიუხედავად ამისა, მტრის მოახლოება ქალაქში დროზე შეიტყვეს და შეძლებისდაგვარად თავდაცვისათვის მოემზადნენ. მცველმა რაზმებმა მოწინააღმდეგეს ქალაქში შესასვლელი კარები ჩაურაზეს, დაუდმა კი სასწრაფოდ ქვეყნის გამოჩენილი პირნი და ჯარის მეთაურები მოიწვია და მათთან ერთად ალი რიზას წინააღმდეგ სამოქმედო გეგმა შეიმუშავა.

დაუდმა და მისმა მომხრეებმა გადაწყვიტეს ბრძოლა გაემართათ ალი რიზასათვის და შეთანხმდნენ, რომ „არ მიატოვებდნენ ერთმანეთს, არ დაიწყებდნენ ცალ-ცალკე მოლაპარაკებას ალი ფაშასთან და არც ერთი მათგანი არ შეუთანხმდებოდა მას". ასეთი რწმენით შეუდგნენ საომარ მზადებას. ჰამდი ბეგ ბაბანის ცნობით, როცა ალი ფაშამ ომის დაწყება გაბედა, დაუდს ჰყავდა დაახლოებით 800 ჯარისკაცისა და მეთაურისაგან შემდგარი „ნიზამის" ქვეითი რაზმი, რომელიც სალიჰ ბეგს ებარა, 600—700-კაციანი მსახურთა ცხენოსანი ლაშქარი და 500 უგაილელთა ქვეითი რაზმი[75], სულ 2 ათასამდე ჯარისკაცი და მეთაური. მეტი ჯარი არ ჰყავდაო, დასძენს ავტორი[76]. მაგრამ, შესაძლოა, ეს შემცირებული რიცხვია და ნამდვილად ბაღდადის ფაშას მეტი რაოდენობის ლაშქარი გააჩნდა. ამას გვაფიქრებინებს კლ. უარის ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ იმ დროს დაუდს მარტო ბაღდადში თავმოყრილი ჰყავდა 500 კაცისაგან შემდგარი „ნიზამის" (ახალი რეგულარული არმიის) რაზმი, 1500-კაციანი რეზერვი, ქვეითების რაზმი, რომელიც მთლიანად შედგებოდა ბაღდადის გარეუბნის მცხოვრებთაგან. უგაილის რაზმი და არტილერია. სულ დაახლოებით 3000, თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ იმ 4—5 ათასს კაცს, რომლებიც მას საფაშოს სამხრეთ რაიონებიდან უნდა მოსვლოდა[77].

ფაშას ბრძანებით, ეს რაზმები წყალდიდობისაგან დანგრეული ქალაქის დასავლეთ ნაწილში განალაგეს. უგაილის რაზმი, ხაზინადარ სულეიმან აღას მეთაურობით, ქაზიმიეს კარს დარაჯობდა; „ნიზამისა", რომელსაც მუჰამედ აღა წინამძღოლობდა, ქარიმის კარს იცავდა; მსახურთა ცხენოსანი ჯარი მოლა ჰუსეინის განკარგულებაში იყო და ციხესიმაგრეში იდგა, ხოლო რჩეულ მამლუქთა ქვეგანაყოფი ბორცვებთან ჩაასაფრეს. იქვე დააყენეს რამდენიმე ქვე-

---

[75] مرآة الزوراء ، ص — ٤٥

[76] იქვე.

[77] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 192, 196.

მეხი და ამით ქალაქის ყველაზე სუსტი ადგილი, საიდანაც მტერი შემოსვლას დააპირებდა, თითქმის საომედოდ იყო დაკეტილი. ოღონდ, ახლა საჭირო იყო ისეთი კაცის მონახვა, ვინც სათავეში ჩაუდგებოდა ამ შეიარაღებულ ძალებს და უნარიანად უხელმძღვანელებდა მათ. ასეთ კაცად, ჩვეულებრივ, ფაშა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯვადმყოფობის შემდეგ დაუდი თავს სუსტად გრძნობდა. ის ცხადია თავს ვერ გაართმევდა ალი რიზას ლაშქრობის გამო საფაშოში შექმნილ რთულ ამბებს. დივანთან წინასწარი შეთანხმებით, შეიარაღებული ძალების სარდლობა მან თავის ნათესავს, ბაღდადში იმ დროს ყველაზე ავტორიტეტულ ალ-ჰაჯ სალიჰ ბეგს გადაუოცა და თანაშემწედაც ის დანიშნა[78].

სალიჰ ბეგი ახალი თანამდებობის მიღებისთანავე ქვეყნის თავდაცვას სათავეში ჩაუდგა და მინდობილი საქმის შესრულებას მონდომებით შეუდგა. მას მიზნად ჰქონდა, რაც შეიძლება მალე გადაეკვრა პირველი რიგის გადაუდებელი ამოცანა და მცირე მსხვერპლის გაღებით მტერზე გამარჯვება მოეპოვებინა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო სათანადო ჭკუა-გონება და გამბედაობაც, რაც მას სამწუხაროდ არ აღმოაჩნდა. სამხედრო ხელოვნებაში გაუწაფავი სალიჰ ბეგი ომის ტაქტიკაში ჯეროვნად ვერ ერკვეოდა. მოვლენების განვითარების არსს ღრმად ვერ სწვდებოდა, სწორ დასკვნებს ვერ აკეთებდა. ამის გამო ის ოავიდანვე მცდარ გზას დაადგა. ლაშქრის შეკრებისა და მოწინააღმდეგეზე იერიშის მიტანის ნაცვლად, სალიჰ ბეგმა თავდაცვითი ვარიანტი აირჩია, რითაც მისდა უნებლიეთ მტერს ხელი შეუწყო და გააძლიერა. საქმე ისაა, რომ იმ დროს გზები, რომლებითაც ქალაქის გარნიზონსა და მოსახლეობას სურსათ-სანოვაგის, სამხედრო მასალისა და მაშველი ძალების მიღება შეეძლო, ალი რიზას ხელში იყო. აღმოსავლეთის კარის მისადგომებთან უკვე სადუნ აღას რაზმი იდგა, ჰილეს კართან კი — სულეიმან ღანამისა[79]. ასე რომ, ბაღდადისაკენ მიმავალი გზები შეკრული

[78] ნ. მურაველი დაუდ ფაშას ამ გადაწყვეტილებას იმითაც ხსნის, რომ ამბოხებულის გავლენა „ხალხზე უკვე თანდათან ეცემოდა“ და წინასწარ ხედავდა „თავის აუცილებელ დაღუპვას“ (Н. Н. Муравьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 44). ამასთან, მისი აზრით, ეს გადაწყვეტილება ფაშას უნდა მიეღო არა 1831 წლის იელისში, არამედ უფრო ადრე, როცა ქალაქს კასიმ ფაშა მოადგა (იქვე), მაგრამ არც ერთი არაბული წყარო სალიჰ ბეგს ამ დროს მოადგილედ არ ასახელებს. ამ თანამდებობაზე ის პირველად მხოლოდ ალი რიზას მოსვლის დროიდანაა მოხსენიებული (იხ. مرآة الزوراء — ص ، ٤٥).

[79] العزاوي, დასახ. ნაშრომი, გვ. 320.

აღმოჩნდა. ქალაქის კავშირი გარე სამყაროსთან დაირღვა. ასეთ ვითარებაში ალისათვის გადამწყვეტი იყო დროის ფაქტორი, რათა ქალაქში არსებული სურსათ-სანოვაგის და საომარი მასალის მარაგი ამოწურულიყო. ჯარის ნაწილებსა და მოსახლეობაში შიმშილი დაწყებულიყო. უპირველად და უფარულად დარჩენილ მეციხოვნეთა რაზმებს უარი ეთქვათ ბრძოლის გაგრძელებაზე და დანებებულიყვნენ. ამიტომ ისიც ერთ ადგილას იდგა და ხელსაყრელი მომენტის დადგომამდე შეტევის დაწყებას არ აპირებდა.

ასე იდგნენ მოწინააღმდეგეთა რაზმები ერთმანეთის პირისპირ და თვალთ ზომავდნენ ერთურთს. მაგრამ ბოლოს მყუდროება მეციხოვნეთა მხრიდან სწორედ იმის გამო დაირღვა, რომ დაიწყო შიმშილობა და შემდეგ—მღელვარებაც. მოსახლეობის ფართო ფენები, რომლებიც სხვაზე ღარიბად ცხოვრობდნენ, ყველაზე მეტად გრძნობდნენ მოსალოდნელი უბედურების მოახლოებას და სურდათ, რომ ხელისუფლება საქმის კურსში ჩაეყენებინათ. მათი წარმომადგენლები სალიჰ ბეგის ხშირი სტუმრები გახდნენ, მოახსენებდნენ ბაღდადში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ და რჩევას აძლევდნენ მას. დაუყოვნებლივ დაეწყოთ შეტევა, რათა გაერღვიათ ალყა და მოსახერხებელი გამხდარიყო ქალაქში სანოვაგის შეტანა[80].

ხანგრძლივი კამათის შემდეგ, სალიჰ ბეგი თვითონაც დარწმუნდა, რომ რჩევა-დარიგების უყურადღებოდ დატოვება ალი რიზა ფაშას გამარჯვების დაჩქარებას უდრიდა და შეტევის თადარიგს შეუდგა. 2500-იანი რაზმი, რომელშიც 1500 ქართველი[81] იყო, მოლა ჰუსეინს ჩააბარა და სულეიმან ღანამის მიერ დაკავებული ჰილეს კარის მისადგომების განთავისუფლება უბრძანა. მეორე ასეთი რაზმი ჰასან აღას მეთაურობით საიდ ფაშას ბაღში განლაგებული მოწინააღმდეგის ქვემეხების მოსასპობად დაიძრა, ხოლო ბაზიერთუხუცესის ეკეს. იბრაჰიმ აღას რჩეული ცხენოსანთა ასეულით იმამ აზამის გზაზე დაყენებული ქვემეხების მოშლა დაავალა.

მეციხოვნეთა შეტევაზე გადასვლა მოლა ჰუსეინის რაზმის იერიშით დაიწყო და პირველ ხანებში წარმატებით მიმდინარეობდა. ალი ფაშას სარდალი სულეიმან ღანამი ამბოხებულთა უეცარ

---

[80] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 320.

[81] იქვე, გვ. 321.

თავდასხმას არ მოელოდა, თავდამსხმელთა შეკავება ვეღარ შეძლო, დამარცხდა და დიდად დაზარალებული უკუიქცა[82].

სულეიმან ღანამზე მოპოვებული იოლი გამარჯვებით გათამამებული მოლა ჰუსეინი, ჰილეს კარის მისადგომთა გათავისუფლების შემდეგ, სოფელ იმამ მუსასთან დაბანაკებულ აბუ ბაქრ აღას რაზმის დასალაშქრავად გაემართა. მას განზრახული ჰქონდა, რომ მტერზე თავდასხმა აქაც ღამით, მოულოდნელად მოეწყო. მაგრამ წყალდიდობის დროიდან იქ გაჩენილი ჭაობების გადალახვა სიბნელეში ვერ მოასწრო. დღისით კი მოწინააღმდეგის ქვემეხების გაუვალი ცეცხლის რკალში მოექცა და იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

სამაგიეროდ, წარმატებით მიმდინარეობდა ჰასან აღას რაზმის შეტევა. მიუხედავად მტრის რაზმების გააფთრებული წინააღმდეგობისა, მან ამ დროისათვის უკვე მოახერხა მოწინააღმდეგის დაცვის გარღვევა, ხელთ იგდო ზარბაზნები და ტიგროსის მარჯვენა სანაპირო მთლიანად გაათავისუფლა. ასე რომ, იქმნებოდა კარგი შესაძლებლობა მტრის საბოლოოდ განსადევნად, თუკი იმამ აზამის გზის მიმართულებით მოქმედი იბრაჰიმ აღას შეტევაც ასეთივე წარმატებით განვითარდებოდა. მაგრამ იბრაჰიმი, თავისი უვიცობის, ჯიუტობის და ზედმეტი თავმოყვარეობის გამო, ამ გადამწყვეტ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა. კონტრშეტევაზე გადმოსულმა ალი რიზამ სწრაფად დაიბრუნა მეციხოვნე რაზმების მიერ გათავისუფლებული ტერიტორია, ბაღდადი კვლავ ალყაში მოაქცია და საფაშოს სამხრეთ რაიონების თანდათანობით დაპყრობა-შემომტკიცებას შეუდგა, რის გამოც გარემოცვაში მყოფთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. 1831 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებისათვის ქალაქში უკიდურესი გაჭირვების გამო იმატა უკმაყოფილებამ მოსახლეობასა და ჯარში, გახშირდა დეზერტირობის შემთხვევები. რიგით ჯარისკაცებთან ერთად მოწინააღმდეგის ბანაკს მეთაურებმაც მიაშურეს; იქმნებოდა ჯარის დეზორგანიზაციის აშკარა საშიშროება. ასეთი რთული ვითარება, როცა დრო აჯანყებულთა საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, საფაშოს ხელისუფლებისაგან მოითხოვდა დაუყოვნებლივ და ზუსტ მოქმედებას, მაგრამ მთავრობა ამ დროს იმდენად დაბნეული იყო, რომ ამის უნარი აღარ ჰქონდა. იმ დროს,

---

[82] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 321.

როცა ალი რიზა სამხრეთ რაიონებს იპყრობდა, სალიჰ ბეგის დივანში გაუთავებელი მსჯელობა მიმდინარეობდა იმის შესახებ, თუ რა ექნათ. ნაპოლეონის ყოფილი ოფიცრის, დაუდ ფაშას მიერ სამხედრო ინსპექტორად ბაღდადში მიწვეულ დევოს რჩევით, დამარცხების თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება მხოლოდ შეტევა შეიძლებოდა ყოფილიყო: „აღარ არის იმედი იმისა, — ამბობდა იგი დივანის სხდომაზე, — რომ საიდანმე დახმარება მივიღოთ. შიმშილობა გრძელდება და მატულობს მაშინ, როცა ალი რიზას ძალები ყოველდღე იზრდება. ამიტომ ბოლო უნდა მოეღოს ამას გადამწყვეტი ბრძოლით“[83]. მისი აზრით, დანიშნულ დროს მეციხოვნეთა ერთ რაზმს, დაახლოებით 400—500 კაცის შემადგენლობით შეტევა უნდა დაეწყო საიდ ფაშას ბაღისაკენ. იმავე დროს მეორე რაზმი გამოჩნდებოდა იმამ აზამის კართან, ხოლო 1—2 საათის შემდეგ იმამ მუსას კართან ასეთსავე გამოსვლას მოაწყობდნენ დანარჩენი რაზმებიც. ამის დანახვაზე მტერი, რომელსაც თავისი ძალები თითქმის ორი საათის სავალ მანძილზე უწესრიგოდ ჰყავდა გაფანტული, უსათუოდ იფიქრებდა, რომ აჯანყებულნი ამ მიმართულებით აპირებდნენ შეტევას და ჯარებსაც იქ მოუყრიდნენ თავს. მაშინ კი დევო ერთი ქვეითი ბატალიონით, 800-მდე მხედრითა და 4 ქვემეხით თეთრი კარიდან გამოვიდოდა, გათენებისას, მეზარბაზნეების მხარდაჭერით, უეცრად თავს წაადგებოდა სალიჰიეში დაბანაკებულ ალი რიზა ფაშას და ერთი დაკვრით ვაანადგურებდა.

დევოს სიტყვა სალიჰ ბეგის მოადგილე დარვიშ აღას მეტს ყველას მოეწონა. ის დიდხანს არაფერს ამბობდა იმის შიშით, რომ მისთვის საერთო აზრის წინააღმდეგ გალაშქრება არ დაებრალებინათ. ბოლოს, როდესაც სალიჰ ბეგმა მას დუმილის მიზეზი ჰკითხა, დარვიშ აღამ იქ დამსწრეთ მოახსენა, რომ ეს გეგმა მთლიანად ეწინააღმდეგებოდა ამას წინათ სტამბოლს სულთნის სახელზე გაგზავნილ თხოვნაში აღნიშნულ პირობებს და ამდენად მისი მიღება მიზანშეუწონელი იყო. ამბოხებულებმა, — განაცხადა მან, — თავიანთ თხოვნის ქაღალდში პორტას ერთგულება-მორჩილება აღუთქვეს და ამასთან აცნობეს, რომ სანამ მისგან პასუხს არ მიიღებდნენ, ქალაქში ახალ გუბერნატორს ფეხს არ შეადგმევინებდნენ. მაგრამ, თუ ჩვენ ახლა ქალაქგარეთ გავალთ და სულთნის ამ ერთ-ერთ მთავარ მოხელეს გავანადგურებთ, რასაც დევო გვთავაზობს, მაშინ

[83] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

ჯერ ერთი, ამას აღარ ერქმევა თავდაცვა და, მეორეც, ასეთ შემთხ-ვევაში ჩვენ მარტონი დავრჩებით და ვინ იცის, რას არ დაგვიპი-რებენ სპარსნი, რომლებიც აგერ ზედ ცხვირზე გვასხედან. ამიტომ „ნუ კიქნებით ისედაც უკვე ნანგრევებად ქცეული ქალაქის სრული დაქცევის მიზეზი. დაველოდოთ ჩვენი მიმართვის პასუხს და ბატონ დევოს წინადადება ბოლოსათვის მოვიტოვოთ“[84].

მართლაც ირკვევა, რომ იმხანად ირან-ოსმალეთს შორის დაძა-ბული მდგომარეობა ყოფილა. ირანს განზრახული ჰქონდა შეჭრი-ლიყო თურქეთის სამფლობელოში მაშინვე, როგორც კი რუსეთი თავის ჯარს გაიყვანდა ოსმალეთის აზიური ნაწილიდან[85]. იმ დროს არზრუმში მყოფ პანკრატიევის ცნობით კი, ქერმანშაჰის რაიონში დაბანაკებული ირანის ჯარები უფლისწულ ალი ხანის მეთაურობით 1830 წლის ივნისში უკვე გამზადებული ყოფილან ბაღდადის საფაშოზე იერიშის მისატანად და მის დასაპყრობად. პანკრატიევისავე ცნობით, მოსალოდნელი თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით, დაუდ ფაშას 1500 ქისა გაუგზავნია ალი ხანისათვის, მაგრამ მას უარი უთქვამს ბაღდადის ფაშას წინადადებაზე და შაჰის განკარგუ-ლებას ელოდა, რომ შეტევა დაეწყო[86]. როგორც რუსეთის გენერა-ლური კონსულის მოვალეობის შემსრულებელი ნ. ბეზაკი მაშინ' თავრიზიდან იტყობინებოდა, ალი ხანს ერაყზე თავდასასხმელად გამ-ზადებული ჰყოლია 5 ბატალიონი, 20 ქვემეხი და 2000 კაციანი რაზ-მი ცხენოსნებისა, სულ 6000 კაცი[87].

მაშასადამე, იმ დროს, როცა ერაყში სულთნის მიერ გაგზავნი-ლი ალი რიზას ლაშქარი ბაღდადს ჩრდილოეთიდან მოადგა, აღმო-სავლეთიდან მის დასაპყრობად ირანელები ემზადებოდნენ.

ასეთ ვითარებაში დარეიშ აღას სიტყვამ, რომელიც ამბოხე-ბულთ აშკარა დამარცხებას უქადდა, იმდენად დიდი შთაბეჭდილე-ბა მოახდინა თათბირის მონაწილეებზე, რომ მის წინააღმდეგ კრინ-ტიც არავის დაუძრავს, ისე დაიშალნენ.

---

[84] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

[85] Рапорт ген. лейт. Панкратьева... ген. фельдмаршалу и кавалеру графу Паскевичу Эриванскому, №63, мая 21 дня, 1830 года (ЦГИАГ, Ф. 11, д. 46-а, л. 1).

[86] Известия ген. лейт. Панкратьева из Ерзингана, июня 11 дня, 1830 года (ЦГИАГ, Ф. 11, д. 46—а, лл. 5—6).

[87] Исполняющий должность ген. консула в Тебризе его сиятельству... ген. фельдмаршалу... графу Ивану Феодоровичу Паскевичу № 262, декабря 24 дня, 1830 года (ЦИАГ, Ф. 11 д. 50, л. 10).

ამრიგად, თათბირმა დაასრულა მუშაობა. გონების ძალა ვერას გახდა უგუნურებისა და ფანატიზმის წინააღმდეგ. სამხედრო საბჭომ თავს მოახვია აჯანყებულთ თავდაცვისა და ლოდინის ტაქტიკა და ამით საუკეთესო სამსახური გაუწია მოწინააღმდეგეს.

ალი ფაშამ ოსტატურად გამოიყენა აჯანყებულთა სარდლობის ეს სერიოზული შეცდომა. თავისი ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი სალიჰ ჩელები ზადეს მეთაურობით სამხრეთ ერაყში გადაისროლა და ბაღდადის ვარნიზონის მისაშველებლად ბასრიდან წამოსული მუთასალიმ აზიზ აღას 5-ათასიანი ლაშქარი გზაში გაანადგურა, რის შემდეგ თითქმის უომრად დანებდა ჯერ ჰილე, ხოლო შემდეგ არაბული ერაყის დანარჩენი რაიონები. სექტემბრის პირველ რიცხვებში სალიჰ ჩელები შევიდა ბასრაში და ამ ქალაქის დაკავებით საფაშოს მთელი ტერიტორიის დაპყრობა დაასრულა.

ამ გამარჯვებას უდაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დამპყრობლებისათვის, თუმცა ფინანსური და საერთოდ ეკონომიური თვალსაზრისით ალი რიზასათვის მაინცდამაინც ბევრი არაფერი მიუცია. დაქცეულ ქვეყანაში მან ვერც ფული მოაგროვა და ვერც საკმაო რაოდენობის სურსათი. ის მარაგი კი, რაც ალეპოდან წამოეღო, უკვე შემოელია, რის გამოც ლაშქარში უკმაყოფილება დაიწყო. უგასამრჯელოდ დარჩენილ და ხანგრძლივი ომებით მოქანცულ მეომრებს მობეზრდათ ამგვარი ყოფა და გადაწყვიტეს. რომ, თუ მათი მდგომარეობა მომავალშიც უნუგეშო იქნებოდა. უარი ეთქვათ ბრძოლაში მონაწილეობაზე, გაეძარცვათ მთავარსარდლის კარავი და შინ დაბრუნებულიყვნენ[86].

ამგვარად, ალი ფაშას იმ გადამწყვეტ მომენტში, როცა თითქმის მთელი ერაყის მიწა-წყალი ხელთ ეპყრა და მხოლოდ ბაღდადის დაკავება უკლდა, უარმიოდ დარჩენის აშკარა საფრთხე დაემუქრა. ამასთან მოსალოდნელი იყო, რომ, თუ საომარი მოქმედება შემოდგომაზე არ გათავდებოდა, ეს საფრთხე კიდევ უფრო გაიზრდებოდა, რადგან მეომრებს სხვა გაჭირვებასთან ერთად ზამთარში სიცივეც შეაწუხებდა. ამ ვითარების შესაბამისად ალი ფაშას ცვლილებების შეტანა მოუხდა თავის ადრინდელ გეგმაში. ამბოხებულ ჯარისკაცებს ბაღდადის სიმდიდრეს შეჰპირდა და ამით დააშოშმინა, ხოლო ომი რომ სწრაფად დაესრულებინა, საალყო ბრძოლიდან, რასაც აქამდე მიმართავდა ხოლმე, შეტევაზე გადასვლის სამზადისს შეუდგა. მაგრამ საქმე ისე მოეწყო, რომ შეტევა აღარ დასჭირვებია.

---

[86] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

იმ მომენტში, როცა ალი ჯარებს უყრიდა თავს და მტრის ზურგში ძირგამომთხრელი საქმიანობის გასაჩაღებლად ქალაქში თავის მსტოვრებს გზავნიდა, სტამბოლიდან მაცნე მოვიდა და სასიხარულო ამბავი მოიტანა. სულთან მაჰმუდ II-ს უარი ეთქვა დაუდ ფაშას მიერ ამბოხებულთა სახელით გაგზავნილ თხოვნაში აღნიშნული პირობების მიღებაზე და ალი რიზას უბრძანებდა, ეს ქაღალდი მათთვის დაებრუნებინა, ხოლო თვითონ ისე მოქცეულიყო, როგორც საჭიროდ მიაჩნდა[89].

ამ ამბავს არ შეიძლებოდა არ შეერყია ამბოხებულთა რწმენა, არ შეესუსტებინა ბრძოლისუნარიანობა და არ მიეყვანა ისინი სრულ სასოწარკვეთილებამდე. ამიტომ ალი ფაშამ აღარ დააყოვნა. ეს ამბავი მაშინვე სალიჰ ბეგს შეატყობინა და წინადადება მისცა, რომ სულთნის ბრძანების გასაცნობად და მოლაპარაკების გასამართავად ერთმანეთს შეხვედროდნენ.

ამბოხებულთა მეთაურმა მიიღო ალის წინადადება და მოლა ჰუსეინი ერთი ოფიცრის თანხლებით ალი ფაშას წარმომადგენელთან შესახვედრად გაგზავნა. შეხვედრა მოეწყო ქალაქგარეთ. სალიჰ ბეგის დელეგაცია გულთბილად მიიღო ალი რიზას ხაზინადარმა, ჰამდი ბეგმა, რომელმაც თავისი უფროსის სახელით მათ მოკლე სიტყვით მიმართა: „ფაშა მიესალმება ჰაჯი სალიჰ ბეგს, მოგესალმებათ თქვენ და ბაღდადის მთელ მოსახლეობას. თუ თქვენ მას აქამდე არ ღებულობდით ქალაქში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ელოდებოდით მაღალი პორტას პასუხს. ახლა კი ეს პასუხი მოსულია. იმპერიის მბრძანებელი არ აკმაყოფილებს თქვენს თხოვნას და გიბრუნებთ მას ისეთი სახით, როგორც გაგზავნეთ. ამავე დროს, ჩემმა უფროსმა მიიღო ბრძანება ბაღდადის დაკავებისა და ალბათ, სულ მალე მომცემს საკმაო რაოდენობის ჯარს. ქვემეხებსა და სხვას ამ ბრძანების შესასრულებლად. ასე რომ, ამიერიდან თქვენი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევას შეიძლება ყველა მოქალაქისათვის საბალალო შედეგი მოჰყვეს და პირიქით, თუ თქვენ მას ქალაქს ჩაბარებთ წინასწარ, თუნდაც ერთი საათით ადრე მაინც, თავიდან აიცდენთ იმ აუტანელ ტანჯვას, რაც დიდი ხანია გაწუხებთ და მომავალში კიდევ უფრო გაგაწამებთ. დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ არ გვაქვს სხვა მიზანი, თუ არა თქვენთვის სიკეთის გაკეთება“[90]. ეს თქვა და

---

[89] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 199.

[90] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 325; Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 199.

ამბოხებულთა დელეგაციას გადასცა სტამბოლიდან დაბრუნებული მათი თხოვნის ქაღალდი, რომელზეც უარის ნიშნად სულთანს არაფერი დაეწერა.

ქალაქში დაბრუნებისას დელეგაციის წევრებმა ეს ქაღალდი თან წაიღეს და სალიჰ ბეგს გადასცეს. ამასთან, ისიც მოახსენეს, რაც ჰამდი ბეგისაგან მოისმინეს. ამ ქაღალდის დანახვამ სალიჰ ბეგს თავზარი დასცა დელეგაციის წევრებს უბრძანა, ეს ამბავი არავისთვის გაემხილათ[91]. თვითონ კი აღარ იცოდარა ექნა და საგონებელში ჩაეარდნილი ღრმა ფიქრებში ჩაიძირა[92]. მაგრამ ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან ალი რიზას ამ დროს საიდუმლო მიმოწერა ჰქონდა ქალაქში თავის მომხრეებთან, შეთქმულებას რომ ამზადებდნენ სალიჰ ბეგის წინააღმდეგ, და ატყობინებდა მათ, რომ სასწრაფოდ გაევრცელებინათ ეს ცნობა მოსახლეობაში. ასე რომ, სალიჰ ბეგისა და მისი დელეგაციის წევრების დუმილი ამ ამბის გავრცელებას ხელს ვეღარ შეუშლიდა და ის მეორე დღეს მთელ ქალაქს მოედო.

სტამბოლიდან მიღებულმა უარმა ყველა შეაკრთო. ამბოხებულებს საბოლოოდ წაერთვათ იმედი. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აჯანყებას ჩამოსცილდა და მოწინააღმდეგის ბანაკში გადავიდა, რის შედეგადაც საგრძნობლად გაძლიერდა ალი ფაშას მომხრე საიდ ეფენდის ჯგუფი, რომელმაც სრული კონტროლი დააწესა აშ-შაიხის უბანზე[93] და დაუპირისპირდა სალიჰ ბეგის ჯგუფს. ასეთი ვითარება ქალაქში იმის აშკარა მომასწავებელი იყო, რომ ციხე შიგნიდან ტყდებოდა და ქულემენთა ხელისუფლების გადარჩენა აღარ შეიძლებოდა. ამიტომ სალიჰ ბეგმა უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე და ქალაქი მტერს ჩააბარა. ალი რიზას წარმოშადგენლებთან წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე ბაღდადის გავლენიან პირთა ერთმა ჯგუფმა ქალაქის აღმოსავლეთის კართან მდგომი მცველი რაზმები მოხსნა და 1831 წლის 14 სექტემბერს[94], მზის ჩასვლიდან ორი საათის შემდეგ, „თიმარჯების ლაშქარი ამ

---

[91] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 325.

[92] C l. H u a r t, იქვე, გვ. 200.

[93] მაშინდელი ბაღდადი ცხრა ასეთ უბნად (მაჰალად) ყოფოდა (Путевой журнал Е. П. Чирикова, стр. 2).

[94] S. H. L o n g r i g g, დასახ. ნაშრომი, გვ. 272—273. ნ. მურაველოვი 15 სექტემბერს ასახელებს (Н. Н. М у р а в ь е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 44).

კარით" ქალაქში შეეიდა[95] და 16 სექტემბერს მას მთლიანად დაეუფლა[96]. აჯანყება საბოლოოდ დამარცხდა, მისი მოთავე დაუდი შეიპყრეს და ცოლშვილთან ერთად 24 სექტემბერს სტამბოლს გაგზავნეს.

თავისი ხასიათით ეს აჯანყება ტიპურ ფეოდალურ აჯანყებას წარმოადგენდა. მისი ინიციატორი და იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელი იყო ბაღდადის საფაშოს გამგებელი, ავანგარდი — საფაშოს სამხედრო, საერო და სასულიერო ფეოდალები, ხოლო ძირითადი ძალა, რომლითაც ფაშა ცდილობდა თავისი საქმის გაკეთებას, რეგულარული ჯარი, ცალკეულ ტომთა დაქირავებული ლაშქარი, ფელაჰები და ხელოსნები.

აჯანყების მიზანი, როგორც უკვე ვთქვით, იყო ოსმალეთის იმპერიისაგან გამოყოფა და ცალკე სუვერენული სახელმწიფოს, ე. წ. „ბედნიერი ბაბილონეთის" შექმნა, რისთვისაც მთელი ძალით ის მიმართული იყო ოსმალეთის ცენტრალური მთავრობის წინააღმდეგ. ამიტომ გარდა ფეოდალურისა, ამ აჯანყებას ანტიოსმალური და სეპარატისტული ხასიათიც ჰქონდა.

აჯანყება მომზადებულიც კარგად იყო და დაწყებითაც მეტად მოხერხებულ მომენტში დაიწყო. რუსეთ-ინგლის-საფრანგეთის მიერ ამ დროისათვის უკვე დამარცხებულსა და დასუსტებულ ოსმალეთს, რომელსაც თავისი იმპერიის შიგნით (რუმელიაში, ანატოლიაში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, ეგვიპტესა და საბერძნეთში) გაჩაღებული უსასრულო ბრძოლები კიდევ უფრო აუძლურებდნენ, ომის თავი აღარ ჰქონდა. „კონსტანტინოპოლში დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ ყოველგვარი ცდა იმპერიის ადრინდელი ძლიერების აღსადგენად ამაო იქნებოდა"[97]. ამიტომ ერაყში დაწყებული აჯანყების წარმატება ეჭვს აღარ იწვევდა. დაუდ ფაშას განარჯება სავსებით უზრუნველყოფილი იყო[98]. მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდა

---

[95] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 326. მაგრამ ირკვევა, რომ არც სხეა გზა ყოფილა დაკეტილი ამ დროს. ჯ. უარის ცნობით, ალი რიზას ჯარები ბაღდადში შესულან „შავი კარით" (C l. H u a r t, დასახ. ნაშრომი, გვ. 273). ხოლო ჯ. ფრეზერის ცნობიდან იმასაც ვგებულობთ, რომ ერთი ვაჭრის, ვინმე ჰაჯი ჰალილის მოლაპარაკებით მტრის ჯარები ქალაქში სამხრეთიდანაც შეუშვიათ (J. B. F r a s e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 262).

[96] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 327.

[97] Д. Г. Р о з е н, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

[98] А. А д а м о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 423; J. B. F r a s e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 234.

და იგი მაინც დამარცხდა, ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა იმ სტიქიურმა და სხვა უბედურებებმა, რაც თავს დაატყდა ერაყს 1831 წელს ჟამიანობის, წყალდიდობის, ციებ-ცხელებისა და შიმშილობის სახით. სწორედ ამ უბედურებებმა განაპირობეს მამლუქთა ძალაუფლების დაცემა[99]. მათ შეარყიეს აჯანყებულთა განწყობილება და აიძულეს ისინი გადაესინჯათ თავიანთი პოლიტიკური კურსი, დასდგომოდნენ ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან შერიგების გზას და ამისდა კვალად, შესაბამისი ცვლილებები შეეტანათ საბრძოლო ტაქტიკაში. ამასთან დაკავშირებით, ამბოხების ხელმძღვანელ ბირთვში დაიწყო გათიშვა, რამაც მნიშვნელოვნად გაუადვილა მოქმედება მტერს და კიდევ უფრო დააჩქარა აჯანყებულთა სრული დამარცხება. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ 1830—1831 წწ. აჯანყების წარუმატებლობა ერაყში გამოწვეული იყო როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზებით.

1830 — 1831 წწ. აჯანყება ფეოდალური ხასიათისა იყო და, ამიტომ პოლიტიკური თუ ეკონომიური წყობის თვალსაზრისით ქვეყანას ახალს ვერაფერს მისცემდა. გამარჯვების შემთხვევაშიც კი, ერაყში არსებული ფეოდალური წყობილება მისთვის დამახასიათებელი ტლანქი ექსპლოატაციით, ოსმალეთის უღლის გადაგდების შემდეგაც ძალაში უნდა დარჩენილიყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს აჯანყება თავისი მიზანდასახულობით მაინც პროგრესული იყო, ვინაიდან, ჯერ ერთი, იგი მიმართული იყო ყველაზე რეაქციული და დესპოტური ძალის — ოსმალეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ; მეორე, ის საბოლოო ამოცანად ისახავდა ერაყის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გაფორმებას, ხოლო ეს ქვეყნის ეროვნული, კულტურული, პოლიტიკურ-ეკონომიური თვითმყოფადობის აღდგენა-შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების გარანტიას იძლეოდა; მესამე, თუ აჯანყება დასახულ მიზანს მიაღწევდა, ამით ერაყის ხალხს მოაცილებდა ყველაზე დიდ მტანჯველს — სულთანს, რომლისგანაც გათავისუფლებას არ შეიძლება დადებითად არ ემოქმედა მოსახლეობის მწარმოებელ ფენებზეც.

1830—1831 წწ. აჯანყება ერაყის ისტორიაში მოასწავებდა ახალი პერიოდის დასაწყისს, როცა „ოსმალობა" იმდენად მძიმე გახდა, რომ იმპერიაში შემავალი ქვეყნების მოსახლეობის გაბატონებული

---

[99] العزاوي, დასახ. ნაშრომი, გვ. 317; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 423.

ფენისათვისაც კი აუტანელი იყო. ამის გამო, ამ უკანასკნელის თაოსნობით დაიწყო აშკარა შეიარაღებული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

თავი მეექვსე

დაუდის ცხოვრება-მოღვაწეობის უკანასკნელი წლები

კლ. უარის აზრით, ბაღდადიდან წაყვანილი ტყვე დაუდი სტამბოლს უნდა მიეყვანათ[1]. ე. ჩირიკოვი აღნიშნავს, რომ ის მექაში[2] გაგზავნეს, ხოლო ამბის მომსწრე ნ. მურავიოვის ცნობიდან ირკვევა, რომ დაუდი არც სტამბოლში მიუყვანიათ და არც მექაში. გზად მყოფი ტყვე ფაშა დიარბაქრიდან პირდაპირ ბურსას გაუგზავნიათ საპატიო გადასახლებაში და იქ მისთვის სათანადო პენსიაც დაუნიშნავთ[3].

1832 წლის ოქტომბერში, როცა ეგვიპტელებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს ოსმალთა ლაშქარზე კონიაში, სულთანმა მაჰმუდ II-მ დაუდი ბურსიდან გაიწვია და მუჰამედ ალის წინააღმდეგ გაგზავნა[4]. ბრძოლაში მისი მოქმედების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ჩანს, თავი არ შეურცხვენია. ამის დამადასტურებელი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ 1834 წელს დაუდი ბოსნიის გამგებლად დანიშნეს[5].

ბოსნიაში დაუდმა 2 წელი დაჰყო. 1838—1839 წლებში იგი სტამბოლშია, ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდო-

---

[1] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 203.

[2] „შავი ჭირის შემდეგ დაუდ ფაშა პორტამ გადააყენა და გაგზავნა მექაში" (Путевой журнал Е. И. Чирикова, стр. 11).

[3] „სულთანმა შეიწყალა ამბოხებული და ნება მისცა თავისი ოჯახით დასახლებულიყო ბურსაში, სადაც იგი გაგზავნეს დიარბაქრიდან სპეციალური ბოქაულის ზედამხედველობის ქვეშ. შემდეგ, 1832 წელს, მას სახელმწიფო ხაზინიდან დაუნიშნეს საკმაო სარჩო" (Турция и Египет, Из записок Муравьева Карсского, М., 1869, т. I, стр. 45).

[4] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 274.

[5] მეჰმედ სურეია, დასახ. ნაშრომი, გვ. 236; ოშე-ლუა ბოსნიის ნაცვლად „Sadra»-ს საფაშოს ახსენებს. (Relations de voyages en Orient de 1830 à 1838 par Aucher E'loy, Paris, 1843, p. 329).

მარის თანამდებობაზე. იქიდან ის 1839 წ. გადაჰყავთ ანკარის ვილაეთის გამგებლად. 1841 წ. თავს ანებებს საერო სამსახურს და 1845 წ.[6]. სულთან აბდ ალ-მაჯიდს (1839—1861 წწ.) სთხოვს ნებართვას მუსლიმთა წმინდა ქალაქებში წასასვლელად, რათა იქ დაასრულოს თავისი სიცოცხლე. სულთანმა დაუდს თხოვნა შეუსრულა, 1846 წელს შეიხ ულ-ჰარამის[7] თანამდებობაზე დანიშნა და ქ. მედინაში გაგზავნა[8].

მიუხედავად ხანდაზმულობისა დაუდი, რომელიც უკვე 70 წელს გადაცილებული იყო, მედინაში ენერგიულად მოღვაწეობდა. წინასწარმეტყველის აკლდამის ზედამხედველობასთან ერთად იგი დიდად ზრუნავდა ქალაქის კეთილმოწყობაზეც. მედინის ერთ-ერთ გარეუბანში, აინზერგას წყაროს ახლოს, მან გააშენა მშვენიერი ბაღი. რომელსაც შემდეგ „დაუდიე“ ეწოდა[9]. ეს იყო მისი უკანასკნელი საქმიანობა. 1851 წელს[10] დაუდი გარდაიცვალა და დასაფლავებულია იქვე, მართლმორწმუნე ხალიფა ოსმანის საფლავის პირდაპირ. იგი შექებული ჰყავს არაბ პოეტს აბდ ალ-ღაფფარ ალ-ახრასს[11] ლექსში, რომელშიც კმაყოფილების გრძნობით იგონებს იმ

---

[6] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 274. მეჰმედ სურეიას ცნობით, დაუდი ანკარის ვალის თანამდებობიდან გაუთავისუფლებიათ (1256) 1841 წელს (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 326).

[7] ასე იწოდებოდა მუჰამედ წინასწარმეტყველის აკლდამის ზედამხედველი.

[8] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 203. ამგვარად, მცდარია დ. ქორიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დაუდი „1833 წლიდან თურქეთის სახელმწიფოს თავმჯდომარედ ინიშნება და სიკვდილამდე (1851 წელი) იქ მოღვაწეობს“ (იხ. დ. ქ ო რ ი ძ ე, ქართველი დედა და ბაღდადის ხელმწიფე, გაზ. „სამშობლო“, თბ., 1969 წ. 10 ოქტომბერი, № 5 (226), გვ. 6).

[9] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 203; مطالع السعود، ص — ٣

[10] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი გვ. 274; Cl. Huart, Daud Pasha, Enzic'opaedie des Islam, Leipzig, 1912, გვ. 968; محمد ثريا, დასახ. ნაშრომი, გვ. 326. სპეციალურ ლიტერატურაში ზოგჯერ დაუდის გარდაცვალების თარიღად ასახელებენ 1850 წელს (იხ. А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 425; Новая история стран зарубежной Азии и Африки, Ленинград, 1959, стр. 240; T. M. Lucklama a Nigeholt, Voyage en Russie, en Caucase, en Perse ets. Paris. 1874, t. III, p. 14). ზოგჯერ კი 1830 წელსაც (იხ. P. K. Hitti, დასახ. ნაშრომი, გვ. 738), რაც აშკარა გაუგებრობაა. ლუკლამა ნიკოლტი და ა. ადამოვი იმასაც აღნიშნავენ, რომ დაუდი დაკრძალულია ქ. მექაში, სადაც ის თითქოს პილიგრიმობის დროს უნდა გარდაცვლილიყო.

[11] აბუ ალ-ღაფფარ ბენ ალ-ეაჰიდ ბენ ეაბ ალ-ახრას ალ-მავსილი დაიბადა 1805 (1220 ჰიჯრით) წელს ქ. მოსულში. სწავლობდა ბაღდადში ალ-ულუსისთან, იყო მენჯი (არაბ. „ახრას“), დაჯილდოებული შესანიშნავი პოეტური ნიჭით,

დიდ ზრუნვას, რასაც მისდამი იჩენდა დაუდი, რომელმაც ის ინდოეთშიც კი გაგზავნა სამკურნალოდ.

გარდაცვალების წინ დაუდმა თავის მედინელ თანამოსაქმეებს ანდერძი დაუტოვა, სიკვდილის შემდეგ მისთვის ძვირფასი ძეგლი არ აეგოთ. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ის თავისი დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე იყო და მართლმორწმუნე ხალიფების გვერდით განისვენებს[12], საფლავს ძვირფასი ნაგებობის ნაცვლად, როგორიც დიდ პიროვნებას შეეფერება, უბრალო რკინის ღობე აქვს შემოვლებული. სამაგიეროდ, დაუდმა ძვირფასი ძეგლი დაიდგა თავისი ენერგიული და მრავალფეროვანი მოღვაწეობით. ის იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, მოქნილი ჭკუა-გონებისა და უაღრესად კეთილშობილური გარეგნული აღნაგობის ადამიანი, ფრიად განსწავლულ-გაწაფული არაბულ-სპარსულ-თურქულ ენებსა და ფილოსოფიაში, კანონმდებელი, აღმაშენებელ-განმანათლებელი, მბეჭდავი, გამომცემელი და დამოუკიდებლობისათვის აქტიური მებრძოლი პიროვნება. მან ბაღდადის საფაშოში გატარებული სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, სავაჭრო, კულტურული და სამხედრო ხასიათის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებებით ერაყი აღმავლობის გზაზე დააყენა იმ დროს, როცა მთელი ისლამის სამყაროდაცემის გზაზე იდგა. მხოლოდ ასეთ პიროვნებაზე შეიძლება ეთქვა თანამედროვეს, რომ „ის იყო დიდი ადამიანი, სწავლულთა მეთაური მებრძოლი პიროვნება. მან ბაღდადის საფაშოში გატარებული ბული იდეალებით. შესანიშნავად იცოდა სამი ენა, პოეზია და პროზა. მშვიდობის დროს იყო მხიარული და მეევრმეტყველი, ხოლო ბრძოლაში უმამაცესი. სიკეთესა და თავმდაბლობაში ბადალი არ

რამაც ის ცნობილ პოეტად აქცია არაბულ სამყაროში. ალ-ახრასი გარდაიცვალა ქ. ბასრაში 1874 (1291 ჰიჯრით) წლის 29 ივნვარს. მისი ლექსების კრებული „ატ-ტარაზ ალ-ანფას ფი შ'არ ალ'ა-ხრას" („ალ-ახრასის პოეზიის ძვირფასი ნიმუშები") დაიბეჭდა სტამბოლში 1886—7, ამმედ იზზეტ ალ-ფარუკის ინიციატივით.

[12] დაუდისადმი ასეთი პატივისცემა, სხვათა შორის, იმითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ იგი თვითონ ატარებდა ხალიფას ტიტულს. ჩვენს ხელთ არსებული ცნობების თანახმად, ბაღდადის ფაშა, რომელიც 10 წელს მართავდა საფაშოს (დაუდმა კი 15 წელს დაპყო ამ თანამდებობაზე) როგორც წესი, ღებულობდა ხალიფას საპატიო წოდებას და თავისი მდგომარეობით ეგვიპტისა და დამასკოს ფაშების შემდეგ იდგა (V. Fontanier, დასახ. ნაშრომი, ნაწ. I, გვ. 322). ეს ტიტული მათ ამიტომ ეძლეოდა, რომ იმყოფებოდნენ იმ ქალაქში, სადაც ოდესღაც ძველი არაბი პანტიფიკები (ლათ. Pantifices — უმაღლესი სასულიერო პირნი ძველ რომში), ე. ი. მუსლიმური სამყაროს ამქვეყნიური თეოკრატი მბრძანებლები ისხდნენ (Ruesseau, დასახ. ნაშრომი, გვ. 21—22).

ჰყავდა"[13]. ამ შეფასებას იზიარებენ თანამედროვე არაბი მეცნიერები ალ-აზავი[14], იზ ად-დინ იუსუფი[15], მუჰამედ ბასირი[16] და სხვები.

ასეთი იყო დაუდის პიროვნება, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის სფერო. მაგრამ მასზედ სრული წარმოდგენა არ გვექნება თუ არ შევეხებით მისი საქმიანობის კიდევ ერთ მხარეს — სამშობლოსთან დამოკიდებულების საკითხს.

* * *

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაუდი პატარაობიდანვე დააშორეს საქართველოს მიწა-წყალს და ისე გარდაიცვალა შორეულ მედინაში, რომ სამშობლოში დაბრუნება არ ღირსებია. მიუხედავად ამისა, ირკვევა, რომ თავისი ქვეყნის სიყვარულის ნაპერწკალი მის გულში არასოდეს ჩამქრალა. სამშობლოდან გატაცებული დაუდი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ყოველივე იმას, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა, სწყინდა მისი ცუდი და ხარობდა, როცა კარგ ამბავს გაიგებდა. თუ რაოდენ აინტერესებდა მას საქართველოს ამბები, კარგად ჩანს მისი თანამედროვე რ. კ ე რ პ ო რ ტ ე რ ი ს ცნობიდან, სადაც ნათქვამია: „როცა დაუდმა შეიტყო, რომ მე საქართველოში მოგზაურობისას მის დედაქალაქზე გავიარე, მისი გული ეროვნულმა გრძნობებმა შეიპყრო, მან რამდენიმეჯერ გამომკითხა ქვეყნის თანამედროვე მდგომარეობა... და ერთობ კმაყოფილი დარჩა, როცა ავუწერე ის სიმშვიდე და აყვავება, რაც საქართველომ რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის შედეგად მიიღო"[17].

კაცს რომ სამშობლო უყვარდეს, გასაკვირი არაფერია, მაგრამ დაუდს საქართველოს მდგომარეობა და მისი ბედ-იღბალი სხვა მხრივაც აინტერესებდა. მისთვის, ისე როგორც, მისი წინამორბედი მამლუქი ფაშებისათვის, საქართველო იყო ის ქვეყანა, საიდანაც ერთგული სამხედრო რაზმებისათვის (ქართული გვარდიისათვის) სისტემატურად ღებულობდა საიმედო შევსებას ტყვეთა სახით.

როგორც აღვნიშნეთ, ერაყში მამლუქთა რეჟიმის დამყარების პირველსავე დღიდან ქართველების შემენისა და ბაღდადში მათი მიყვანის ორგანიზაცია პირველხარისხოვანი სახელმწიფოებრივი

---

[13] العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 330.

[14] იქვე.

[15] عزالدين يوسف, დასახ. ნაშრომი.

[16] محمد البصير, დასახ. ნაშრომი, გვ. 10 და შმდ.

[17] R. K e r P o r t e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 249.

ᲫᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ საქმედ ითვლებოდა. მსგავსად ეგვიპტის მამლუქი სულთნებისა და ბეგებისა, ბაღდადის ქულემენი ფაშები ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებას ძირითადად ტუვეებით მოვაკრეთა მეშვეობით ახერხებდნენ. ხოლო ეს უკანასკნელნი თავის მხრივ დაკავშირებული იყვნენ სხვადასხვა ჯურის იმ მარბიელებთან, რომლებიც ყოველნაირად გაწამებულ საქართველოს ტერიტორიაზე დაძრწოდნენ. ამ ავაზაკების წყალობით ყოველწლიურად ათასობით ბავშვი, მამაკაცი და ქალი ეთხოვებოდა სამშობლოს. მათ მიერეკებოდნენ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ, სადაც ქართველი ტუვე ყველაზე ძვირად ფასობდა. არსად, ეგვიპტის გარდა, ქართველი ტუვეები ისე მრავლად არ მიჰყავდათ და ისე ძვირად არ ჰყიდდნენ, როგორც ერაყში[18].

დაუდის ყურადღებას საქართველო იმიტომაც იპყრობდა, რომ აქ ჰყავდა მშობლები, ძმები, დები და ნათესავები. მახლობელ თუ შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში სავაკროდ წასული ქართველი სოვ-

---

18 ბეი მამიკონიანის აზრით, ეს იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ ისინი „მებრძოლი ხალხის შვილები.., მოკნილი გონებით დაჯილდოებულნი და... ფიზიკური ღირსებებით განთქმულნი იყვნენ“ (გ. ბ ე ი-მ ა მ ი კ ო ნ ი ა ნ ი, ქართველ მამელუკთა მბრძანებლობა ერაყში XVIII და XIX საუკუნეებში, „საქ. სსრ მეც. აკად. „მოამბე“, თბილისი, 1944, ტ. V, № 7, გვ. 736). ნამდვილად ამის მთავარი მიზეზი უნდა ვეძიოთ არა იმდენად მათ ბრძოლისუნარიანობასა და ფიზიკურ აგებულებაში (თუმცა ამის გაუთვალისწინებლობაც შეცდომა იქნებოდა), რამდენადაც იმდროინდელ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობაში და იმ რეჟიმის თავისებურებაში, რაც თან ახლდა ქართველ მამლუქთა მბრძანებლობას როგორც ეგვიპტეში, ისევე ერაყში. საქმე ის არის, რომ ძალაუფლების სათავეში მოქცეული მამლუქი სულთნები, ბეგები თუ ფაშები ყოველ ღონეს ხმარობდნენ თავიანთი ხელისუფლების განმტკიცებისათვის. საერთო ლაშქრის გარდა მათ ჰყავდათ ცალკე სამხედრო რაზმები, თავიანთ თანამემამულეთაგან შედგენილი „პირადი გვარდია“. თანამემამულეებისაგან იმიტომ, რომ ასეთი რაზმები მათთვის ყველაზე საიმედო დასაყრდენი ძალა იყო. რაც უფრო მეტი იყო ამ რაზმების მებრძოლთა რიცხვი, მით უფრო უშიშრად გრძნობდა თავს ეს თუ ის ქართველი გამგებელი. სწორედ ამიტომ გახდა ტუვეთა შეძენა პირველხარისხოვან სახელმწიფოებრივ საქმედ ეგვიპტესა და ერაყში, ამიტომ იზრდებოდა მოთხოვნა ქართველ ტუვეზე. ამის შესაბამისად დიდდებოდა მათი ფასიც, რაზეც, სხვათა შორის, დიდი გავლენა მოახდინა, აგრეთვე, სოლომონ I-ისა და ერეკლე II-ის ღონისძიებებმა საქართველოში ტუვის სყიდვის აკრძალვის თაობაზე. თუ ეს არა, მაშინ რითიღა უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მაგ., გერმანელები რომლებიც თავიანთი მებრძოლი სულით, მოკნილობითა და ჭკუა-გონებით სხვებს ოდნავადაც არ ჩამოუვარდებოდნენ, — როგორც კ. ფ. ე ო ლ ნ ე ი ამბობს. ოსმალეთში ყველაზე ნაკლებად ფასობდნენ და იშვიათადაც თუ იყიდდნენ ხოლმე. (იხ. К. Ф. В о л ь н е и, Путешествие в Сирию и Египет, СПб., 1791. т. I, стр. 171).

დაგრები, როცა კი ერაყზე გაიელიდნენ, უსათუოდ ბაღდადში შეჩერდებოდნენ ხოლმე და დაუდს ეწვეოდნენ. ასეთებს შორის დაუდის ყველაზე ხშირი სტუმრები იყვნენ ზუბალაშვილები, განსაკუთრებით ანდრია ზუბალაშვილი, რომლის მეშვეობით მან შეიტყო თბილისში საცხოვრებლად გადმოსული თავისი მშობლების ზუსტი მისამართი და წერილობითი ურთიერთობა დაამყარა მათთან. მანვე გაუწია მეგზურობა დაუდის ძმებს, შიოსა და დიმიტრის, 1818 წელს, როცა ძმის ფაშად გახდომის ამბავი შეიტყვეს და მის სანახავად ბაღდადს გაემგზავრნენ.

დაუდმა დიდი პატივით მიიღო ბაღდადს ჩასული ძმები და სთხოვა კიდევაც, რომ სამუდამოდ დარჩენილიყვნენ მასთან. უმცროსმა ძმამ თანხმობა განაცხადა ერაყში დარჩენაზე, დაჰგმო რჯული და მაჰმადიანობა მიიღო, ხოლო დიმიტრის მაგიერ აჰმედი[19] დაირქვა[20]. პირველ ხანებში მან ვაჭრობას მიჰყო ხელი, მაგრამ ამის ნიჭი არ აღმოაჩნდა, მალე გაღატაკდა და ამ საქმეს თავი დაანება. 1824 წელს ის დაუდს თავის მოადგილედ, ბაღდადის საფაშოს შეიარაღებული ძალების სარდლად დაუნიშნავს[21]. მაგრამ ეტყობა, აქაც ვერ ივარგა და გადაუყენებიათ. შემდეგ მას ვხედავთ ბასრის

---

[19] العزاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 286; S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 247. ვ. ფონტანიე დიმიტრის მუსლიმანურ სახელად ჰუსეინს ასახელებს (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 326).

ალაზავისა და ლონგრიგის მონაცემები არაბულ და თურქულ პირველწყაროებს ემყარება, ამდენად მათი სისწორე ეჭვს არ იწვევს. მაგრამ ფონტანიეს ცნობაც არ უნდა იყოს სინამდვილეს მოკლებული, რადგან ის დაუდ ფაშას დროს ბაღდადში მოღვაწეობდა და თანადამხდურია აღწერილი ამბებისა. იმიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ დიმიტრის მაჰმადის რჯულზე მოქცევის შემდეგ აჰმედიც ერქვა და ჰუსეინიც, ოღონდ სხვადასხვა დროს. ამ დასკვნამდე მივყავართ ფონტანიეს თხზულების იმ ადგილს, სადაც წერია „... ჰუსეინ ფაშა, ასეთი იყო მისი სახელი მას შემდეგ, რაც მირმირანის ჩინი უყიდეს“ (გვ. 326). თუ ეს ცნობა სწორია და ჰუსეინი დაუდის ძმას მირმირანად გახდომის შემდეგ დაერქვა, მირმირანად კი გახდა არა საქართველოდან ბაღდადს ჩასვლისთანავე, არამედ უფრო გვიან (დაახლოებით 1822—23 წლებში) მაშინ ცხადია, რომ მანამდე მას სხვა მაჰმადიანური სახელი, კერძოდ, აჰმედი უნდა რქმეოდა.

[20] ამდენად არ დასტურდება გ. ლეონიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დაუდი და დიმიტრი ერთი და იგივე პირია (იხ. მისი, დაუდ ფაშა, ჟურნალი „დროშა“, თბილისი, 1954, №3). ანდა თითქოს დიმიტრი 1780 წ. გაუტაცნიათ საქართველოდან, (იხ. მისი «Ценный памятник исторического прошлого». Упараго. Мамелюк. Тб., 1959 г. გვ. 7. იხ. აგრეთვე შ. კ ურ დ ღ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ.., 1959, გვ. 83).

[21] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 247.

ძუთასალიმად[22]. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ დიმიტრი ლოთი, უქნარა და უუნარო ადამიანი იყო და ბევრი უსიამოვნება შეამთხვია თავის ძმას დაუდს[23].

რაც შეეხება შიოს, ძმებს შორის ყველაზე უფროსს, მან უარი თქვა ბაღდადში დარჩენაზე და დაუდმა ის დიდძალი საჩუქრებითა და პატივით გამოისტუმრა სამშობლოში[24]. ამავე დროს დაუდმა დაიწყო იმაზე ზრუნვა, თუ როგორ გაეთავისუფლებინა მთელი მისი ოჯახი ყმობიდან. ამ საკითხზე, როგორც ირკვევა, მას მიმოწერა ჰქონია საქართველოს მთავარმართებელ გენერალ ა. ერმოლოვთან. ინგლისელი მოგზაური და მკვლევარი რ. კერ პორტერი 1818 წელს აღნიშნავდა: „როცა დაუდს ვუამბე თბილისში ყოფნისა და საქართველოს საერთო მდგომარეობის შესახებ, მითხრა, რომ მისი მამა, დედა და ძმები თბილისში იმყოფებიან, თანაც მკითხა, თუ ის საქართველოს რუს გამგებელს მისწერდა მფარველობა გაეწია ამ ბრწყინვალე პიროვნების (დაუდის — ბ. ს.) ოჯახისათვის, როგორ ვფიქრობდი მე, შეუსრულებდა თუ არა (ერმოლოვი — ბ. ს.) ამას? მე, მივუგე — უეჭველად... დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ უარს არ იტყოდა ფაშას ოჯახისადმი ყურადღებაზე და ძალიან მოხარულიც იქნებოდა, თუ წერილს მიიღებდა ამ გამოჩენილი პიროვნებისაგან. ყოველ მიმოწერას ამ ორ დიდ გამგებელს შორის თან ახლდა საჩუქრები. მისი უდიდებულესობა მე მავალებდა, რომ რუსი გენერლისათვის გასაგზავნად შემერჩია ყველაზე ძვირფასი შალის ქსოვილი, ამასთანავე, რადგან ვიცოდი, რომ ამ მიმოწერას სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა, თავს უფლებას ვაძლევდი და ვურჩევდი

---

[22] V. Fontanier, დასახ. ნაშრომი, გვ. 327.

[23] ვ. ფონტანიეს გადმოცემით, ის ყოფილა უგუნური და ლოთი ადამიანი. დაუდ ფაშას მისთვის აუშენებია სახლი, მიუჩენია სამსახურიც, მაგრამ ჰუსეინ ფაშას გაუფლანგავს ქონება და ფულის სათხოვნელად ისევ ძმას მისდგომია კარზე. დაუდს ის უარით გაუსტუმრებია. თანაც უთქვამს: თუ შენ ჩემი ძმა ხარ, ფულის შოვნა უნდა შეგეძლოსო. დაუდის ეს სიტყვები ჰუსეინს სწყენია, წასულა და დამთვრალა, შემდეგ გზაში დაუჭერია ერთი მდიდარი ებრაელი, ჩამოუკიდია ფეხებით, გაუროზგავს, გაუძარცვავს, დაუთვრია და ისე გაუშვია. მას თურმე სასაცილოდ მიაჩნდა, რომ გემის წყალქვეშა ნაწილი სპილენძით იყო დაფარული და ბასრის მუთასალიმად ყოფნისას ბრძანება გაუცია, ყველა გემისათვის სპილენძის ფურცლები მოეძოთო, რათა გაეყიდა. მაგრამ დაუდს ეს დროზე შეუტყვია და თანამდებობიდან დაუთხოვია (იხ. V. Fontanier, დასახ. ნაშრომი, გვ. 326—327). 1831 წელს, როცა დაუდის ხელისუფლება ბაღდადში დაემხო და ის ბურსას გადაასახლეს, დიმიტრი სტამბოლში დაბინავებულა.

[24] V. Fontanier, დასახ. ნაშრომი, გვ. 326—327.

შიერთმია ხმალი. ეს საჩუქრები და ფაშას წერილი მისი ნდობით აღჭურვილი მსახურის ხელით რამდენიმე დღის შემდეგ გაიგზავნა საქართველოში"[25].

ამგვარი მიმოწერის შედეგად დაუდ ფაშას დედა (მამა ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო), ძმა, დები და მათი ოჯახის სხვა წევრები გათავისუფლებულ იქნენ ორბელიანთა ყმობიდან. ამ ფაქტს ადასტურებს ლუარსაბ, ქაიხოსრო, დავით, ასპან, კონსტანტინე, იაკობ და სამარაღდან ორბელიან-ყაფლანიშვილების მიერ 1820 წლის 10 ნოემბერს გაცემული და თბილისის სამაზრო სასამართლოსაგან იმავე წლის 13 ნოემბერს დამტკიცებული „გიორგი ბოჩოლაშვილის ოჯახის ყმობიდან გათავისუფლების სიგელი", რომელიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაშია დაცული[26].

აღნიშნული სიგელის პირი[27] და მასთან ერთად მარიამის (დაუდის დედის) წერილი, 1821 წლის ზაფხულში გაეგზავნა დაუდ ფაშას, რომელსაც მისი ძმა შიო სიხარულით ატყობინებდა: „ესა, მე რომ მამეცა სასამართლოსაგან დამტკიცებული წერილის პირი არისო"[28]. წერილი და სიგელის პირი ბაღდადში უნდა წაეღო და დაუდისათვის გადაეცა ანდრია ზუბალაშვილს, რაც თვით დაუდის შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: „დედავ მარიამ! თქვენი მოწერილი წიგნები... ზუბალაანთ კაცის ხელით გამოგზავნილი... მომაბარენ სრულადაო"[29].

დაუდ ფაშამ კმაყოფილებით მიიღო ცნობა საქართველოში მყოფი თავისიანების ყმობიდან განთავისუფლების შესახებ და მიღებულ საბუთზე თავის მდივანს ასეთი შინაარსის წარწერა გააკეთებინა: „ესე სახსრის წერილი სასამართლოში დამტკიცებული წიგნის პირი მე მომივიდა, ...ვიყაბულე... და ჩემი ბეჭედი დავაჯდინე"[30]. შემდეგ კი დედისა და „ბატონი მთავარმართებლის სახელზე წიგ-

---

[25] R. Ker Porter, დასახ. ნაშრომი, გვ. 249—250.

[26] საბ. № 19580 — ხ.

[27] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, საბ. № 19582 — ხ, „გაზეთების წიგნი ბოჩოლაანთ გიორგის შეილებისადმი", გვ. II, მინაწერი მე-4.

[28] ი ქ ვ ე.

[29] იქვე, საბ. № 19577—ხ, „ბედნიერი ბაბილოვანის ხელმწიფის დაუდ ფაშას წერილი დედისადმი".

[30] იქვე.

ნები“ დაწერა და სიგელის პირთან ერთად საქართველოში გამოატანა იუსუფ აღას, რომლის ნამდვილი გვარი იოსეფოვი (იოსეფაშვილი) არის, ხოლო სახელი პეტრე.

პეტრე ახალციხეში დაბადებულა, იცოდა ქართული წერა-კითხვა და მოღვაწეობდა ერაყში. იუსუფ აღამ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია დაუდს ბაღდადის საფაშო ხელისუფლების აღებისას, საიდ ფაშას წინააღმდეგ ბრძოლის დროს. მას ინგლისის ოსტ-ინდოეთის ბაღდადელ რეზიდენტთან ჯემს რიჩთან მიჰქონდა დაუდის ფირმანები და ოფიციალური ცნობები[31]. ერთგული სამსახურისათვის დაუდმა ფაშად გახდომის შემდეგ იუსუფ აღა თავის ქათიბად[32], ანუ მდივნად დანიშნა. ამ თანამდებობაზე ყოფნისას თავისი მბრძანებლის სპეციალური დავალებით არაერთხელ უმოგზაურია მეზობელ ქვეყნებში დიპლომატიურ საქმეთა მოსაგვარებლად. საქართველოში ჩამოსვლის მიზანიც ამჯერად სწორედ ის იყო, რომ მთავარმართებლისათვის გადაეცა ბაღდადის ფაშას „წიგნი“ და ანდრია ზუბალაშვილის დახმარებით მასთან მოლაპარაკებაც გაემართა დაუდის დედისათვის აზნაურობის ბოძების თაობაზე. ამასთანავე, მას დავალებული ჰქონდა, ნებართვა აეღო ერომოლოვისაგან და საქართველოდან გაბრუნებისას თან წაეყვანა „ბაღდადის ხელმწიფის“ დედა მარიამი, თუკი ის შვილის სანახავად შორეულ ბაღდადში მგზავრობაზე თანხმობას განაცხადებდა.

ზუსტი თარიღი იუსუფ აღას თბილისში მოსვლისა ჩვენ არ ვიცით. ის აქ უნდა ყოფილიყო დაახლოებით 1821 წლის შემოდგომაზე. უფრო ადრე თბილისში ვერ იქნებოდა, რადგან დაუდ ფაშას წერილი, რომელიც მან მარიამს ჩამოუტანა, დაწერილია 15 აგვისტოს (2 მარიამობისთვეს), ხოლო თუ ვიგულისხმებთ, რომ ის წერილის დაწერის შემდეგ დიდხანს აღარ გაჩერდებოდა ბაღდადში და გზაშიც ალბათ სამ თვეზე მეტი არ დააგვიანდებოდა, მაშინ ადგილზე უნდა მისულიყო 1821 წ. დამლეეს.

თბილისში ჩამოსულ იუსუფ აღას საუბარი ჰქონია როგორც მთავარმართებელ ერმოლოვთან, ასევე დაუდის დედა მარიამთან. როგორც ირკვევა, მოლაპარაკება ბაღდადის ფაშას წარმომადგენლისათვის სასურველი შედეგით ვერ დამთავრებულა. მარიამისათვის

---

[31] Cl. J. Rich, დასახ. ნაშრომი, გვ.. 49.

[32] ქათიბად ანუ პირად მდივნად ყველაზე ახლობელს და სანდო ადამიანს ირჩევდნენ ხოლმე.

აზნაურობა არ მიუციათ და არც ბაღდადში მისი წაყვანა მოხერხებულა. მისთვის რომ აზნაურობა არ უბოძებიათ, ეს ჩანს თბილისელი მოქალაქის ვინმე ა. ე. მკერვალის მიერ შიოსათვის 1827 წელს მიცემული ნასყიდობის წიგნიდან, რომელშიც აღნიშნულია: „1827 წელს თბილისელმა მოქალაქემ ა. ე. მკერვალმა მიყიდა თავის საკუთარი სახლი თბილისელ სახელმწიფო გლეხს, შიო გიორგის შვილ მანველოვს ოთხას ოთხმოც ვერცხლის მანეთად“[33]. 1821 წელს რომ მარიამისათვის აზნაურობა მიენიჭებინათ, მაშინ მის ვაჟს შიოს, 1827 წელს სახელმწიფო გლეხად აღარ ნოიხსენიებდნენ.

რაც შეეხება იმას, მიიღო თუ არა ნებართვა იუსუფმა მარიამის ბაღდადში წაყვანაზე, ამაზე გარკვეულ პასუხს იძლევა მოლაპარაკების მონაწილე, ა. ერმოლოვის მდივანი (1821—1825 წწ.) საგარეო საქმეთა ნაწილში ა. ს. გრიბოედოვი, რომელიც 1824 წელს წერდა: „დაუდ ფაშამ სამი წლის წინათ, თავისი რწმუნებული მოავლინა საქართველოში, რათა ნება მისცემოდა დედამისს წასულიყო მასთან ბაღდადში. მაგრამ მან... სასტიკი უარი თქვა მუსლიმურ ქვეყანაში მოგზაურობაზე და მართლმადიდებლურ სამშობლოში ყოფნა ამჯობინა იმ ფუფუნებით ცხოვრებას, რაც ბაღდადში მოელოდა“[34]. აქედან გასაგები ხდება, რომ დაუდის დედის წაყვანა ბაღდადში იუსუფ აღას ვერ მოუხერხებია, რადგან მარიამს უარი უთქვამს წასვლაზე. გაწბილებული იუსუფ აღა მოლაპარაკების შემდეგ ბაღდადს დაბრუნდა.

მიუხედავად იმისა, რომ დაუდის მეცადინეობით მისმა დედამ და ნათესავებმა თავი დაიხსნეს ორბელიანთა ყმობისაგან, ეტყობა, ის მაინც წუხს, რადგან მეტის გაკეთება ჯერჯერობით ვერ შეძლო და ისინი ამის შემდეგაც წოდებრივად მდაბიონი, უუფლებონი, ხოლო ქონებრივად უმწეონი დარჩნენ. ამის გამო დასტირის იგი დედის ბედს, რომელსაც შვილი, შობილი მშობელთა დასახმარებლად, უცხოეთში გადაეკარგა და მისგან უნუგეშოდ დარჩა. მაგრამ იგი ასევე უჩივის თავის საკუთარ ბედსაც, რომელმაც, მართალია ხელმწიფის ტოლი კი გახადა, მაგრამ სამაგიეროდ, სხვის სამსახურში ჩააყენა

---

[33] საბუთი ინახება ივ. ბროჟელისეულ არქივში, ლ. კანდელაკის ბინაზე (ქ. თბილისი, არსენას ქ. № 11).

[34] Необыкновенныя похождения и путешествия русского крестьянина Дементия Ивановича Цикулина, Журн. «Северный архив». СПб., 1825, ч. XV, № 9, გვ. 47, შენიშვნა მე-6; აგრეთვე, А. С. Грибоедов, Полное собрание сочинений, Петроград, 1917, т. III, стр. 112.

და თავის ქვეყანას, მშობლებსა და თავისიანებს ველარ გამოადგა. ეს გულისტკივილი შესანიშნავად აქვს გადმოცემული დაუდ ფაშას თავის წერილში, სადაც დედას სევდით სწერს: „კაცი ქვეყანაზე მოვა და ვენახს გააშენებს, რომ ნაყოფი მიიღოს. თქვენ ვენახი გაგიშენებიათ და ნაყოფი არ მიგიღიათ“[35]. დაუდი ისე განიცდის დედის ასეთ ხვედრს, თითქოს თვითონ მიუძღოდეს ამაში ბრალი და, ამიტომ მოწიწებით სთხოვს მიუტევოს ცოდვა, არ დაივიწყოს დაკარგული შვილი: „გთხოვთ თქვენი მოწყალე გულისაგან, რომ ლოცვით ნუ დამივიწყებთ... ჩემთვის ილოცეთ, მოწყალე დედაო!“[36]

საინტერესოა, ვისი ხელითაა დაწერილი ეს წერილი, თვითონ „ბაღდადის ხელმწიფის“ დაუდ ფაშასი თუ სხვა პიროვნების? ეს საკითხი, ჩვენი აზრით, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არ შეიძლება მასზე არ შევჩერდეთ. ის და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებსაც ქვემოთ შეეხებით, განსაკუთრებით აინტერესებთ ერაყის ქართველი მამლუქების ანუ ქულემენების ისტორიაზე მომუშავე მკვლევართ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მას სხვა საკითხების გადაჭრის საქმეში. მაგალითად, გ. ბეი-მამიკონიანის აზრით, „ჯერ კიდევ საკითხავია, მოხერხდება თუ არა ოდესმე იმის დამტკიცება, რომ ეს წერილი ბაღდადის „ხელმწიფეს“ საკუთარი ხელით დაუწერია, მაგრამ თუ ეს დამტკიცდა, ჩვენ საგრძნობლად მივუახლოვდებით მეორე, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას: შენარჩუნებული იყო თუ არა მამლუქთა წრეში ქართული წერითი მეტყველების ჩვევები? ხოლო ამ საკითხის გადაწყვეტის სიზუსტე თავის მხრივ დამოკიდებული იქნება კიდევ ერთი საკითხის პასუხზე: ეცოდინებოდა თუ არა წერა-კითხვა ბაღდადში ჩაყვანილ 12—13 წლის გლეხის ბიჭს, დაუდს? გვაძლევს თუ არა ამის დაშვების შესაძლებლობის საფუძველს იმდროინდელ საქართველოში სახალხო განათლების მდგომარეობა“?[37].

---

[35] „ბედნიერი ბაბილოვანის ხელმწიფის დაუდ ფაშას წერილი დედისადმი“; საქ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერების განყოფილება საბ. № 19577; ბ. სილაგაძე, ქართველი მამლუქები ერაყში (წიგნში დ. ჯანელიძე, ბ. სილაგაძე, ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში, თბ., 1967, გვ. 351, 362); ბ. სილაგაძე, ერაყ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თსუ, შრომები, თბ., 1960, ტ. 90 (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია), გვ. 213.

[36] იქვე.

[37] გ. ბეი-მამიკონიანი, ქართველ მამლუკთა მბრძანებლობა ერაყში XVIII და XIX საუკუნეებში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბ., 1944, ტ. V, № 7, გვ. 736.

როგორც ვხედავთ, აქ სულ ცოტა 4 საკითხი მაინცაა დასმული.

1. დაუდის ხელითაა თუ არა დაწერილი მისი წერილი დედისადმი; 2. იყო თუ არა ერაყში ქართული სკოლა, სადაც მამლუქებს შეასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას; 3. ეცოდინებოდა თუ არა წერა-კითხვა საქართველოდან ბაღდადში წაყვანილ ყმა გლეხის შვილს, პატარა დავითს და 4. იძლევა თუ არა ამის დაშვების შესაძლებლობას XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს სახალხო განათლების დონე?

იმ დროს საქართველო მწვავე კრიზისს განიცდიდა. ასეული წლების მანძილზე გარეშე მტრების გაუთავებელი გამანადგურებელი თავდასხმებითა და არანაკლებ მწვავე შინაური აშლილობით ნაიარევ ქვეყანას აღარ ეცალა იმისათვის, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცია სწავლა-განათლებისათვის და გატოლებოდა ევროპის სახელმწიფოებს, სადაც საქმე ამ მხრივ გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა. ცნობილია, რომ XVIII ს-ის მეორე ნახევარში საქართველოში მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო სკოლა-სემინარია არსებობდა თბილისში 1755 წლიდან, ხოლო თელავში 1758 წლიდან[38]. მათ გვერდით, მართალია, მოქმედებდნენ ეკლესიებთან და სასულიერო პირთა ოჯახებში მანამდეც არსებული, ე. წ. კერძო სასწავლებლები, სადაც საღვთო სჯულის ზეპირობის გარდა მოსწავლეებს დედაენასაც ასწავლიდნენ, მაგრამ აღნიშნულ სასწავლებელთა რიცხვი მეტად მცირე იყო და თანაც იქ სწავლა გლეხის შვილებს ყოველთვის მაინც არ შეეძლოთ. ამიტომ საფიქრებელია, რომ ორბელიანების ყმის შვილს — 6 წლის დავითს, შესაძლებელია ქართული წერა-კითხვა ჯერ არ სცოდნოდა. ასეთი ვარაუდის ერთგვარ საფუძველს ისიც იძლევა, რომ გიორგის ოჯახის დანარჩენმა წევრებმაც, მათ შორის უფროსმა ვაჟმა შიომ, წერა არ იცოდნენ. ნონია შადინოვი იმის შესახებ ხომ პირდაპირ ამბობს გაზეთების წიგნის მეორე გვერდზე, საკუთარი ხელით მინაწერში: „რადგანაც შიომ წერა არ იცოდა, შიოს სიტყვით ვწერო“[39]. რა თქმა უნდა, მარტო

---

[38] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973, ტ. IV, გვ. 778.

[39] საქ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, საბ. № 19582, მინაწერი მარჯვნივ, ზემოდან 1; ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, ქართველი მამლუქები ერაყში (წიგნში დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში, თბ., 1967, გვ. 348).

ის გარემოება, რომ XVIII საუკუნეში ჩვენში სკოლები ცოტა იყო და სწავლება შეზღუდული (ანდა ის ფაქტი, რომ დაუდის ძმამ შიომ წერა არ იცოდა), არ კმარა არგუმენტად, საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტად. იმის დასადგენად, იცოდა თუ არა დაუდმა ქართული წერა-კითხვა საჭიროა უფრო დამაჯერებელი საბუთი. ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი უტყუარი საბუთია ბაღდადში გაგზავნილი — „გიორგი ბოჩოლაშვილის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელის“ პირის პირველ გვერდზე გაკეთებული მინაწერი: „ესე სახსრის წერილი, სასამართლოში დამტკიცებული წიგნის პირი, მე მოგიტანია და მეც ვიყაბულე და მეც ჩემი ბეჭედი დავაჯინე, რადგან მე წერვა არ ვიცოდი, ჩვენს მაგივრად ჩემს ქათიბს ჰეტრეს დავაწერიე ჩემი სიტყვებით“[40]. აქედან ჩანს, რომ დაუდს საქართველოში ყოფნისას ქართული წერა-კითხვა ჯერ არ სცოდნია და ბაღდადში მისვლის შემდეგაც არ მისცემია ამის შესაძლებლობა. ამას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს მეორე საკითხის გასარკვევად: იყო თუ არა ბაღდადში ქართული სკოლა?

როგორც ჩანს, ამ საკითხის დაყენებისას გ. ბეი-მამიკონიანს გაუთვალისწინებელი დარჩა დაუდ ფაშას კარნახით გაკეთებული მინაწერის შინაარსი. ამ შემთხვევაში ის ალბათ ხელმძღვანელობდა მარტო იმ ცნობებით, რომ XVIII ს-ის 50-იან წლებში ერაყის ხელისუფლების სათავეში მოქცეულმა ქართველმა სულეიმან ფაშა „აბუ ლაილმა“ (1749—1762) ბაღდადში შექმნა საკმაოდ რთული საგანმანათლებლო ორგანიზაცია, სადაც სხვადასხვა სპეციალობის მასწავლებელთა ხელმძღვანელობით სისტემატურ წვრთნას გადიოდა დაახლოებით 200-მდე ქართველი ბავშვი ჯომარდობაში, ცურვაში და სწავლობდა წერა-კითხვას. რომ ამ სკოლაგათავებული ქართველებიდან სულეიმანი ადგენდა სამხედრო რაზმებს და გარდა ამისა, ფართოდ იყენებდა მათ სხვა სამუშაოზე კანცელარიის მდივნებად, გადასახადების ამკრეფლებად, ქალაქის უფროსებად და სხვ.[41] თუმცა ამ ცნობებიდან ჩანს, რომ რაკი სკოლადამთავრებულნი იგზავნებოდნენ სამხედრო და სამოქალაქო უწყებებში, ხოლო ყველაფერი ეს ხდებოდა ოსმალეთის იმპერიაში შემავალ არაბულ

---

[40] საქ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, საბ. № 19582; ბ. სილაგაძე, ქართველი მამლუქები ერაყში (წიგნში დ. ჯანელიძე, ბ. სილაგაძე, ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში. თბ, 1967, გვ. 349).

[41] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

ქვეყანაში — ერაყში, სადაც ადგილობრივ საერთო-სალაპარაკო არაბულის გვერდით გაბატონებული სახელმწიფო ენა თურქული იყო. — ცხადია, დასახელებულ სასწავლებელში თუ სასწავლებლებში (ეს ჯერ დადგენილი არ არის) მოწაფეებს შეასწავლიდნენ სწორედ ამ ენებს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აღნიშნულ ხანაში (1749—1831 წწ.) ერაყს განაგებდნენ ქართველი მამლუქები, ანუ ქულემენები და სასწავლებელიც ძირითადად საქართველოდან ბავშვობისას ტყვედ წაყვანილი ჰაბუკებით კომპლექტდებოდა, ბუნებრივი იქნებოდა ისიც დაგვეშვა, რომ აბუ ლაილის დაარსებულ სასწავლებლებში, სხვა საგნებთან ერთად ქართულიც შეიძლებოდა ესწავლებინათ.

მართლაც, თუ დამტკიცდებოდა, რომ საქართველოდან წაყვანილმა დაუდმა წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ წერილი მაინც მისი ხელით დაწერილი აღმოჩნდებოდა, მაშინ მას ქართული წერა შეეძლო ქალაქ ბაღდადში ესწავლა საგანგებო სასწავლებელში. უეჭველად, ასეთნაირად ესახებოდა, ალბათ, ეს საკითხი გ. ბეი-მამიკონიანს 1944 წელს, როცა წერდა: „თუ მოხერხდა... ოდესმე იმის დამტკიცება, რომ ეს წერილი (საუბარია დაუდ ფაშას წერილზე — ბ. ს.) ბაღდადის ხელმწიფეს საკუთარი ხელით დაუწერია“, მაშინ „ჩვენ საგრძნობლად მივუახლოვდებით მეორე, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას: შენარჩუნებული იყო თუ არა მამლუქთა წრეში ქართული წერითი მეტყველების ჩვეები“, ე. ი. იყო თუ არა იქ ქართულის სწავლება? ამავე საკითხთან დაკავშირებით გ. ლეონიძემ 1954 წელს ივარაუდა, რომ „ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქ. ბაღდადში, ანუ ძველ ბაბილონში[42] ჰქონიათ ქართული სკოლა ორასი ქართველი ბავშვისათვის“[43]. მაგრამ ირკვევა ხულ საწინააღმდეგო რამ.

1821 წელს, 47 წელს მიღწეული დაუდი, როგორც ზემოთ დავინახეთ, თვითონ გვეუბნება „...წერვა არ ვიცოდიო“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბაღდადში მამლუქებს არც ქართული სკოლა ჰქონიათ და არც ქართული წერა-კითხვა ისწავლებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია, რომ დაუდს, რომელიც მოწაფეობის წლებში შესანიშნავად დაეუფლა მანამდე მისთვის სრულიად

---

[42] ბაღდადი ძველი ბაბილონი არ არის. ბაღდადი მდ. ტიგროსზე მდებარეობს, ხოლო ბაბილონი კი მდ. ევფრატის ნაპირზე იყო გაშენებული.

[43] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე. დაუდ-ფაშა, ჟურნალი „დროშა“, თბ., 1954, № 3, გვ. 19—20.

უცნობ არაბულს, თურქულსა და სპარსულს, არ ესწავლა თავისი მშობლიური ქართული ენა იმდენად მაინც, რომ ხელის მოწერა შეძლებოდა.

დასასრულ, გვინდა შევეხოთ საკითხს, ვისი ხელით უნდა იყოს დაწერილი „ბედნიერი ბაბილოვანის ხელმწიფის დაუდ ფაშას წერილი დედისადმი". ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა არ ხერხდება. მაგრამ „გიორგი ბოჩოლაშვილის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელის" პირის პირველ გვერდზე გაკეთებულ წარწერაზე, მეორე გვერდზე, მარცხნივ, ზემოდან მეორე მინაწერსა და თვით დაუდის ქართულ წერილზე პალეოგრაფიული დაკვირვება გვარწმუნებს, რომ წერილის დამწერი ბაღდადის ფაშას ქათიბი, ახალციხელი იუსუფ აღა (პეტრე იოსეფოვი) უნდა იყოს.

მამლუქების განადგურება

როგორც უკვე ითქვა, სულთნის ფირმანი, რომლის მიხედვითაც ბაღდადის საფაშოს დასაკავებლად გამოგზავნილი ალი რიზა მოქმედებდა, ამბოხებული დაუდის დასჯასთან ერთად ქულეენების მთლიანად განადგურებასაც ითვალისწინებდა, რადგან იმპერიის ცენტრალური მთავრობა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სანამ ისინი იარსებებდნენ, ერაყში მუდამ ანტიოსმალური გადატრიალების საფრთხე იქნებოდა. ასეთი საფრთხე კი განსაკუთრებით არ მოსწონდა ერაყის ახალ გამგებელს, ვინაიდან, მამლუქთა აჯანყების შემთხვევაში მას მოუხდებოდა მთავარი დარტყმის გადატანა. მამლუქთა გავლენა და ავტორიტეტი ჯერაც ისე დიდი იყო, რომ ალი რიზას ძალაუფლების განმტკიცება ისედაც გაუჭირდებოდა. ამიტომ დაუდ ფაშას სტამბოლს გამგზავრების შემდეგ ალი რიზა ქულემენების ფიზიკურ მოსპობას შეუდგა.

საშუალება, რომლითაც ალი ფაშამ დასახული მიზნის მიღწევა გადაწყვიტა, მარტივი მაგრამ მეტად ვერაგული იყო. 1831 წლის 30 სექტემბერს[44] ბაღდადის საფაშოს გამგებლად მისი დანიშვნის

[44] თარიღი ემყარება ამბის მომსწრე მუჰამედ ამინ აზ-ზანდისა და ას-საიდ ნუ'მან ად-დინ ალ-ალვასის ჩვენებას (იხ. العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 329). კლ. უარის, ს. ჰ. ლონგრიგის და ალ-აზავის აზრით, ალი რიზამ აღნიშნული ღონისძიების განხორციელება ბაღდადში შესვლის მესამე დღეს დაიწყო (იხ. Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 203; العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 329; S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 275), ხოლო როგორც ალვასი

ბრძანების გაცნობის საბაბით სასახლეში მიიწვია ქალაქის გაელენიანი პირები. მათ შორის მამლუქებიც. მათ თავმოყრამდე კი შეკრების ადგილას, არნაუტთა (ალბანთა) რაზმები ჩაასაფრა"[45].

დანიშნულ დროს ყველანი სასახლეში შეიკრიბნენ და ფირმანის წაკითხვის მოლოდინში ყავას შეექცეოდნენ. ცერემონიალის დაწყების დრო რომ მოახლოვდა, ცბიერმა ალი რიზამ შეკრებილთ თვალი გადაავლო და როცა დარწმუნდა, რომ ყველა მოწვეული დარბაზში იმყოფებოდა, „ნამაზის" მომიზეზებით დარბაზიდან გავიდა. ეს იყო ნიშანი სისხლისღვრის დაწყებისა და არნაუტთა რაზმებიც ნყისვე ამოქმედდნენ. ისინი ეკვეთნენ დარბაზში მომწყვდეულ მამლუქებს, შეიპყრეს და თავები დააყრევინეს[46]. ამით დაიწყო მამლუქთა დევნა-განადგურება არა მარტო საფაშოს დედაქალაქში, არამედ მის გარეთაც, მთელ ერაყში. შეპყრობილ მამლუქებს დამსჯელი რაზმები ან ადგილზევე უსწორდებოდნენ, ანდა პატარ-პატარა ჯგუფებად, 10—12 კაცის რაოდენობით, სტამბოლს გზავნიდნენ. ამ ხოცვა-ჟლეტას მხოლოდ ერთეულები[47] გადაურჩნენ და მოელოდნენ. რომ მათი ბატონობის დრო ისევ დადგებოდა, მაგრამ საამისო პირობები აღარ არსებობდა. მამლუქობამ თავისი დრო მოჭამა და „მბრუნავი მზე საბრალო ქულემენების ბედნიერებისა", დაუდ ფაშას ხელისუფლების დამხობით რომ გადაიხარა, რამდენიმე დღეში საბუდამოდ ჩაესვენა.

მამლუქთა თითქმის ასწლიანი ბატონობის ხანა ერაყში დასრულდა. ერაყი კვლავ „მაღალი პორტას" უშუალო მმართველობის ქვეშ მოექცა.

ამბობს, ალი რიზა ბაღდადში შევიდა 1247 წ. 17 რაბი უ ლ-უხრას (العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 327), ე. ი. 1831 წ. 25 სექტემბერს.

[45] J. B. Fraser, დასახ. ნაშრომი, გვ. 265; العزّاوى, დასახ. ნაშრომი, გვ. 328; S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 275.

[46] დაღუპულთა შორის იყვნენ ის მამლუქებიც, რომლებმაც დაუდს ზურგი შექცევა, ალი რიზას ბანაკში გაიქცნენ და მას ბაღდადისაკენ მოუძღვებოდნენ.

[47] სულ 10—15 კაცი. ესენი შემდეგ შეწყალებულ იქნენ, ცხოვრობდნენ მშვიდად და დამსახურების მიხედვით დახმარებასაც ღებულობდნენ.

პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

აბას ალ-აზავი, იხ. ალ-აზავი.
აბასელთა სახალიფო 34.
აბას მირზა, ფათჰ ალი შაჰის მემკვიდრე 260, 261, 263, 265, 282 — 285.
აბდი ფაშა 142.
აბდ ალ-აზიზი 164, 168—170, 191, 250.
აბდ ალ-აზიზ ბეგ აშ-შაავი 170—172.
აბდ ალ-აზიზ სულეიმან წყარო 3.
აბდ ალ-ყადარი 244.
აბდ ალ-ყადირ გილანი 270.
აბდ ალ-მაჯიდი, სულთანი 324.
აბდალაჰ აღა თუთუნაჯი 229—231, 244.
აბდალაჰი, აბდ არ-რაჰმან ბაბანის შვილი 234.
აბდალაჰი, ბაღდადის ფაშა 142.
აბდალაჰი, მაჰმუდ ფაშა ბაბანის უმცროსი ძმა 247, 248, 250.
აბდ ალ-სინამი 180.
აბდ ალ-ფათაჰი 248.
აბდ ალ-ღაფფარ ალ-ახრასი, არაბი პოეტი 272, 324, 325.
აბდ ალ-ჯალილ ტაჰირი 11.
აბდ არ-რაჰმანი 138, 193-196, 207, 208, 220, 222, 224.
აბდ არ-რაჰმან ალ-ჯაბართი 113.
აბდ არ-რაჰმან ვაფიეი 77, 84.
აბდ არ-რაჰმან ფაშა ბაბანი 192, 193. 220, 224, 227, 229, 230, 231, 234.
აბდულა, სუ'უდის ვაჟი 191.
აბდულ ვაჰაბი 122.
აბდულაჰ 224.
აბუ იუსუფ იაკუბი 79, 80, 82.
აბუ სუ'უდი 65.
აბუ ხანიფა 176.
აბუშეჰრი 261.
ადამოვი ა. 4, 11, 23, 26, 30, 72, 77, 115, 117, 121, 136—138, 163, 165, 172, 198, 247, 257, 269, 287, 324.
ადანა 117—119, 249.
ადილა ხათუნი, აჰმედ ფაშას ქალიშვილი, სულეიმან ფაშა აბუ ლაილას მეუღლე 115, 128—130.
ადრიანოპოლი 279, 285.
ავალიანი ა. 13, 19, 31, 32, 34, 38, 86.
ავალიშვილი გ. 113.
ავნი ომერ ეფენდი 45, 64, 66.
ავსტრია 100—102, 281
აველანეთი 204.
აზამიეს ველი 311.
აზერბაიჯანი 102, 211.
აზ-ზავრა 272.
აზია 6, 203.
აზიზ აღა 318.
აზრა, ბაღდადელი ებრაელი 235.
აიდინის ლიკა 81.
'აინი 'ალი 9, 69.
'აინზერგა, წყარო 324.
აინ-საიდი 210.
აირლენდი ფ. 33, 39.
აიშა, ადილა ხათუნის და 129.
აკერმანი 279.
აკრა 294.
ალ-აზამიე 288.
ალ-აზავი 3, 122, 123, 164, 167, 169, 172, 196, 206, 243, 245. 290, 292, 300, 301, 304, 306, 309, 326, 328, 338.
ალანეთი 111.
ალასანია გ. 69.

ალ-ახრასი იხ. აბდ ალ-ღაფფარ ალ-ახრასი
ალბანეთი 135, 187, 277.
ალეპო 119, 141, 161, 190, 192, 238, 249, 271, 295, 297, 301, 318.
ალექსანდრე I, რუსეთის იმპერატორი 210, 223, 230.
ალექსანდრია 202.
ალთუნ კეპრი 192.
ალ-თურფი 164.
ალი აღა 272.
ალი აღა იხ. ესტა აღა.
ალი აღა, აბუ ლაილის ყოფილი ქაპია 127.
ალი აღა||ესტა ალი აღა 272, 294.
ალი აღა ქაპია 149
ალი აღა ჰისკეს ქალაქის თავი 120.
ალი აღა იხ. ჰაფიზ ალი ფაშა.
ალი ჩაუში, 8.
ალეირი, 135
ალი მუჰამედ ხანი 143
ალი ნაჯიბ ბეგი 293
ალი რიზა 301, 304, 305, 309, 310 312—321, 336—338
ალი ფაშა იხ. ჰაფიზ ალი ფაშა
ალი ფაშა||ა-ი ფ-შა ბანინოელი 277
ალი ხანი 317
ალ-ესმანი 325.
ალ-ქირმალი 243.
ალ-ჯალილი 222.
ალ-ჰალვანი იხ. ამინ ბენ ჰასან ალ-ჰალვან ალ-მადინი.
ალ-ჰასა 163—169, 174, 208, 251, 252.
ალჰაჯ აჰმედ ბეგი 237.
ალჰაჯ აჰმედ ფაშა 117, 118.
ალჰაჯ კასიმ ფაშა უმარი 301.
ალჰაჯ სალიპ ბეგი 313.
ამასია 253.
ამადია 30.
ამბერგერი 260, 265.
ამიერკავკასია 200, 204, 210, 212, 217—219, 256, 257, 263.
ამინ ბენ ჰასან ალ-ჰალვან ალ-მადინი 148, 164, 242, 243.
ამინ საიდი 98, 99.
ამინი (ხალიფა) 232:
ამირ გუნე ხან ავშარი 133.
ანა 169, 171, 173, 208, 210.
ანა, დაუდ ფაშას ძმის, შიოს ქალიშვილი 242.
ანასთას მარი ალ-ქირმალი 3, 242.
ანატოლია 25, 46, 186, 201, 282, 321.
ანდალუზია 271.
ანკარა 324.
ანტონაკი 293, 297, 298.
არაბეთი 190, 191.
არაბეთის ნახევარკუნძული 29, 73, 121, 122, 125, 131, 186, 189, 251, 276, 321.
არაბთა სახალიფო 33, 78, 80, 83.
არაქსი 217, 253.
არბანი 224.
არბილი 30.
არდალანი 102.
არდაშირ ბენ ანანი 169
არვანდის სანჯაკი 52.
არზრუმი 48, 93, 135, 200, 205, 251, 261, 263, 265, 295, 297, 317, ა-ის საფაშო 260, 261. ა-ის საბეგლარბეგო 46.
არრა (შეიხი) 259
არფაჩაი 217.
არშაგოგი კ. 195.
არქეშის ციხე 261.
არჯე სოფ. 156.
ას-საიდ ნუ'მან ად-დინ ალ-ალვასი 337.
აფრიკა 6, 135.
აფხაზეთი 110, 111, 188.
აღან მულა 191.
აყსარაის ციხე 261.
აშ-შამი (სირია) 169.
აშ-შეიხი 303, 320.
აშ-შიბაკი 164.
ახალქალაქი 279.
ახალციხე 184, 279, 331.
აჯილი 21.
აჯ�სადუნი 297.
აკმად ას-საეფი 3.
აკმედ ქესრიელი 118.

ალმედი, ჰასან ფაშა ალბანელის ვაჟი 18, 105.
ალმედ აღა 182, 183.
ალმედ ბეგი, დაუდ ფაშას ძმა 265.
ალმედ ბეგი, სულეიმან ფაშა ქუჩუქის ძიძიშვილი 200, 207, 238, 239.
ალმედ ბეგი შა'ბი 224.
ალმედ ფაშა 115, 117—119, 126, 177, 183,223, 224; ა-დ ფაშა ალბანელი 127; ა-დ ფაშა, ერაყის გამგებელი 273; ა-დ ფაშა, ჰასანის ვაჟი 104, 118, 123, 130.
ალმედ ეფენდი 208, 222, 301.
ალმედ ვასიფი, იხ. ვასიფი
ალმედ იზზეტ ალ-ფარუკი 325.
ალმედი იხ. დიმიტრი
ალმედ III, სულთანი 10, 102.
ალმედი, სულეიმან ფაშა ბეიუქის ქალაქია 152, 158—161.
ალმედი, შეიხ სოვეინის ძმა 153.
ალმედ ჭელებეთი, იხ. ჭელებეთი.

ჩაბანის სანჯაკი 250
ბაბა ხანი, იხ. ფათჰ ალი ხანი
ბაბილონი 300; ძველი ბ-ი 300, 335; ბედნიერი ბაბილოანი 309, 321; ბაბილოანი 330, 333.
ბაგრატიონი ვ. 112.
ბადრათის რაიონი 178.
ბაზიანი 261, 266.
ბათუმი 196.
ბაიაზეთი 217, 261.
ბაირონი 71.
ბაკერი 253.
ბალკანეთი 101, 202, 217, 248, 260, 261, 276, 279, 283: ბ-ის ნახევარკუნძული, 25, 187; ბ-ის ქვეყნები 62.
ბარბარე, დაუდ ფაშას ძმის შიოს ცოლი 242.
ბარკანი ო. ლ. 77.
ბასრა 6, 10, 18, 23, 26, 30, 43, 44, 48, 55, 72, 84, 94, 96, 102—104, 113, 117—120, 122, 123, 127, 133—135, 137—140, 142—148, 151—156, 161, 163, 169, 171—174, 178, 181, 195, 200, 204. 213. 216, 223, 227, 232, 236—238, 239, 245, 252, 254, 256, 257, 266, 269. 273, 292, 294, 298—300, 318. 325, 328, 329.
ბაქარ ბაგრატიონი 10.
ბაქრაძე დ. 31, 32, 34, 54.
ბაღდადი 5, 6, 10, 13, 14, 16—18, 26, 27, 30, 43, 44. 46, 48, 55, 63. 72, 73, 75, 76, 84, 85, 93, 97, 102—107, 113, 115—131, 134—142, 144—150, 152—169, 171—174, 176—180, 182, 183, 188—192, 194—198, 200, 203—210, 215—218, 220—223. 225—235, 236—257, 259, 261—274, 280—281, 283—287, 289—296, 289—296, 299—305, 308—321, 323—338.
ბაკრეინი, კუნძული 208.
ბაკროუზი 302.
ბეი-მამიკონიანი გ. 4, 242, 273, 327, 333, 335, 336.
ბელგრადი 101.
ბელენი მ. 48, 58, 68, 77.
ბენათ საიდი სულეიმან ბეიუქის შვილი 181.
ბენდერ აბასი 132.
ბენდერი 132, 214, 252.
ბენდერ-რიგი 132.
ზერძენიშვილი ნ. 109—112.
ბესარაბია 188.
ბითლისი 252, 261.
ბიუპრე მეირე
ბლანტი, ლედი ანა, ბაირონის შვილიშვილი 71.
ბოვენი ჰ. 77.
ბოზორგი, აბას მირზას ვაზირი 217.
ბომბეი 214, 223
ბოსნია 323; ბ-ის საბეგლარბეგო 46, 48.
ბოჩოლაშვილი გიორგი. დაუდ ფაშას მამა 142, 243, 330.
ბრიტანეთი 148, 182, 263. 293.
ბროძელი გ. 242.
ბროძელი ივ. 332.
ბუდას საბეგლარბეგო 46, 48.

ბუდბერგი 198.
ბულგარეთი 50, 277.
ბურკჰარდტი ჯ. 21, 161, 164, 168.
ბურსა 323, 329; ბ-ის ლიგა 81.
ბურჯანაძე შ. 109.
ბუქარესტი 230, 276, 277.
ბუტკოვი პ. 127, 128.
ბუშირი 134, 135, 140, 252, 294, ბი-ს ნავსადგური 218.

ვაბაშვილი ვ. 7, 10, 15, 31, 32, 34, 40, 41, 49, 55, 59, 60, 62, 67, 68, 77, 80, 90.
ვალიცია 225
ვამაზოვი მ. ა. 11.
ვარდანი ა. 204, 212, 213, 214, 217, 218.
ვარდანი კ. მ. 211.
ვიბი ჰ. 77.
ვიგინეიშვილი ო. 57, 142, 144, 275.
ვირდილანი 195.
ვორგიჯანიძე ფარსადან 108.
ვორდლევსკი ვლ. 60.
ვორიჯელი, იხ. კოჩი ბეი ვორიჯელი.
ვოქბილკინი მ. 77.
ვრიბოედოვი ა. 282, 283, 332.
ვროვესი ა. 199, 300.
ვუდოვიჩი ი. 198, 205, 206, 216, 217.
ვურია 279.
ვურჯისტანი 65—67, 82, 108.

დაუდ აღა. იხ. დაუდ ფაშა.
დაუდ ეფენდი იხ. დაუდ ფაშა.
დაუდ ფაშა||დაუდ აღა||დაუდ ეფენდი 18, 30, 181, 200, 233, 235—237, 239—251, 254—259, 262, 264—273, 280, 284—290, 292, 294—313, 316, 317, 321—325, 328—337.
დაუდიე 267.
დაუსონი ე. 39.
დამასკო 79, 94, 141, 161,190, 192, 310, 325.
დანციგი ბ. 32.
დარ ას-სალამი 270.
დარა'ია 168, 170, 171.
დარვიშ აღა 316, 317.
დარდანელი 223.
დატილი 302.
დაღესტანი 110, 217.
დეევ 272, 316, 317.
დელი აბასი 178.
დენი 58.
დიადინი 261.
დიალა (მდ.) 149, 228
დიარბაკრი 117, 119, 141, 188, 201, 223, 225, 253, 295, 297, 323, დ-ის საბეგლარბეგო 46.
დიბიჩი ი. ა. 279.
დიდი ბრიტანეთი 252, 253.
დივანიე 151.
დიმიტრი||აპმედი||ჰუსაინი, ბოჩოლა-ანთ გიორგის შვილი, დაუდ ფაშას ძმა 200, 242, 265, 294, 328, 329.
დირი 297.
დირნა 224.
დონაძე ვ. 31, 274.
დუვაიჯი მდ. 72.
დუველი ვ. 23.
დუმბაძე მ. 112.
დუნაი მდ. 225.

ებერდინი, ლორდი 253.
ეგეოსის კუნძ. 278.
ეგვიპტე 113, 114, 122, 135, 162, 180, 184, 186, 187, 190, 202, 203, 205, 208, 251—253, 275, 276, 294, 321, 325, 327, 333.
ედერი რ. 219, 225.
ევანსი დე ლასი 281, 282.
ევროპა 6, 100, 102, 104, 158, 162, 176, 184, 194, 203, 268, 272, 275, 278, 279, 294, 334.
ევფრატი 5, 10, 72, 120, 131, 140, 150, 151, 153, 154, 156, 169, 171, 173. 204, 208, 209, 213, 231, 256, 258, 267, 336.
ეთიოპია 303
ენგელსი ფ. 160.
ენიკოლოფოვი ე. 241.
ეპიდარე ქ. 278.

ერაყი 3—8, 10 11, 13, 15—20, 22—31, 33, 37, 38, 40, 42—44, 49, 50, 53, 59, 63, 70—78, 81, 83—85, 87, 88, 92—97, 99, 100, 102—105, 107, 114, 115, 117—120, 122—127, 129—138, 141—142, 146—149, 151—154, 156—160, 163, 165, 166, 168—175, 178—182, 188—195, 197, 198, 200, 203—210, 215—217, 220—229, 232, 234, 241, 242, 245, 246, 249—259, 261—264, 266—269, 271—273, 281—287, 294—297, 299—302, 305, 307, 308, 309. 311, 317, 318, 321, 322, 325—328, 331, 333, 334, 336, 338.
ერაყი აჯემი 5.
ერეკანი 217, 218, 280
ერეკლე II 180, 327.
ერფურტი 223, 225.
ერმოლოვი ალექსი პეტრეს ძე 256, 260, 263, 265, 329, 331, 332.
ესპანეთი 218.
ესქიმოსული 178
ეჩმიაძინი 217.
ეპირი 187, 278.

ვალახეთი 202, 223, 276, 278, 279.
ეანი 141, 250, 261, 283.
ვასიფი 114, 115, 126, 127.
ვახუშტი იხ. ბაგრატიონი ვ.
ვენა 101.
ვენეცია 100, 101.
ველერსი ეაკ 32, 34.
ველინგტონი ა. 281, 282.
ველსტიდი ჯ. 21, 300.
ვიდინია 187.
ვიდრა 248.
ვილოკი ჰენრი 260.
ვოლნეი კ. ფ. 327.
ვრედე 217.

ზაბი (მდ) 311, მცირე ზ-ი 72, 152.
ზანგაბადი 237.
ზაქი ხან ზენდი 144, 145.
ზუბაირი 153, 173, 191.
ზუბალაშვილი ანდრია 328, 330, 331.

თაბით ეფენდი 27, 309.
თაერიზი 218, 253, 257, 265, 282. 297.
თათარჯიკ აბდალაჰ ეფენდი 185, 186.
თამიშვარის საბეგლარბეგო 46, 48.
თბილისი 109, 205, 241, 242, 243, 253, 265, 328, 331, 332, 334.
თეირანი 193, 196, 199, 211—214, 218—220, 281, 285, 294, 310.
თელაეი 334.
თესალია, ნაესადგ. 278.
თეფელენი 277.
თოფრაკ ყალა 261.
თურქეთი 25, 31, 32, 35, 50, 57, 100—102, 111, 135, 137, 140, 142, 143, 145, 184, 186, 192, 201, 230, 250, 260, 274, 283, 317, 324.
თურქესტანი 285.
თურქმენჩაი ს. 279, 282, 283

იაʼკუბ ებრაელი სოვდაგარი 159.
იაʼკუბ სარჭისის 3, 242.
იანინო 277, 279.
ია̇ს 185.
იაჰია აღა ხაზინადარი 245
იბრაჰიმ აღა 314, 315,
იბრაჰიმ ბეგი ბასრის მუთასალიმი 153.
იბრაჰიმ ბეგი (ი. სინჯიკაშვილი) 187.
იბრაჰიმ მუთეფერიკა 270
იბრაჰიმი, ბაბანის ტომის ბელადი 180.
იბრაჰიმ ფაშა 123, 251, 252.
იბრაჰიმოვი გ. 77, 85.
იეზდი ჭ. 285.
იეანოვი მ. 134.
ʼიზ ად-დინ იუსუფი 271, 326.
იმამ აზამი 288, 292, 297, 308, 314 — — 316.
იმამ მუსა (სოფ.) 315, 316.
იმიერ დარინი 285.
იმერეთი 109, 110, 112, 113, 279.
ინაიეთულაჰ აღა 247.
ინალჩიკი ჰ. 52, 77.

ინგლისი 132—135, 137, 139, 144, 146, 148, 152, 182, 186, 195, 196, 200, 202—204, 210, 211, 213—216, 218, 219, 222, 223, 252—257, 260, 263, 267, 279, 281—285, 310, 321.
ინდოეთი 104, 169, 203—205, 208, 210, 212, 213, 215, 219, 253, 256, 257, 281, 282, 285, 325.
იოანე ბატონიშვილი 113.
იოსებ. იხ. ჰაფიზ ალი ფაშა
იოსეფოვი (იოსეფაშვილი) პეტრე, იხ. იუსუფ აღა.
იოსეფოვი პეტრე ქათიბი, იხ. იუსუფ აღა.
იპსილანტი ალექსანდრე 276.
ირანი 5, 6, 11, 73, 78, 79, 93, 102, 104, 111—114, 116, 117, 125, 126, 129—135, 138—142, 144—146, 151, 156, 157, 158, 165, 172—174, 176, 179, 189, 192—196, 200, 203, 201, 205, 208, 210—216, 218—220, 230—232, 234, 237, 245—255, 258—267, 272, 280—285, 297, 298, 300, 301, 317, ი-ს აზერბაიჯანი 260, 265.
ირბილი ქ. 311.
ისა (არხი) 267.
ისა ბეგ მარდინელი 156.
ისაკ ებრაელი 290
ისმაილ ბეგი 214.
ისმაილ ხანი 125.
ისქანდერიე 178.
ისფაჰანი 214, 252
იტალინსკი ა. 184.
იუსუფი ქ. ბასრის მუთასალიმი 138.
იუსუფი 297.
იუსუფ აღა||იოსეფოვი (იოსეფაშვილი) პეტრე||იოსეფოვი პეტრე, ქათიბი 131, 132, 135.
იუსუფი არზრუმის ფაშა 200
იუსუფ ფაშა რემელიელი 295.
იუსუფ ფაშა იხ. ჰაჯი იუსუფ ზია ფაშა.
იხჩიევი დ. 77.

კავკასია 111, 113, 114, 123, 174, 186, 193, 198, 201, 202, 214, 216—218, 280, 281, 283—285, 310.
კაზიმიე (სოფ.) 121, 135.
კაირო ქ. 187, 294.
კაკაბაძე ს. 108.
კალკუტა ქ. 215.
კანდელაკი ლეონ 243, 332.
კორანსე ლ. 188, 206.
კარლოვიცი 100.
კარნაპი 137.
კარტრაიტი 253.
კარუნი (მდ) 131.
კასიმ ფაშა უმარი 295, 296, 301—308, 310, 311, 313.
კასპიის ზღვა 212.
კაკკაკიშვილი მ. 180.
კახეთი 109, 110, 113.
კერზონი გ. 131.
კერ-პორტერი რ. 253, 326, 329.
კიკვიძე ა. 184.
კინეირი ჯ. მ. 198, 227, 252, 253.
კნიპჰაუზენი 133.
კოდრინგტონი ადმირალი 279.
კოლკუპინი 252.
კონია 323.
კოტლოვი ლ. 32, 77.
კოჩი ბეი გორიჯელი 26, 46, 48, 69, 84, 85, 94, 95, 98.
კრონშტადტი 281.
კუეეიტი 134, 140.
კურდღელაშვილი შ. 328.

ლამბერტი არქანჯელო 108, 111, 112
ლამლუნი ქ. 130, 151; ლ-ის ჭაობი 72, 128.
ლატიფ ბეგ შაეფი ზადე 208
ლატუში მ. ჰ. 148.
ლენინი ვ. ი. 212.
ლეონიძე გ. 4, 241, 242, 328, 336.
ლესერფი ჯ. 11.
ლინდენი ვ. 35.
ლონგრიგი ს. ჰ. 3, 115, 116, 124, 136 139, 153, 164, 174, 206, 228, 235, 241—243, 247, 273, 292, 295, 301, 328, 337.

ლონდონი 253, 254, 279.
ლოუ კ. 136.
ლურისტანი 102, 125.
ლუცკი 3, 196, 257.

მაგაზანიკი დ. 61.
მადად ბეგი 188, 196, 197, 199.
მადრასი 253.
მაზაროვიჩი ს. 260.
მაკდონალდი ჯონ 281, 282, 284.
მაკედონია 277.
მაკინტოში ჯემს 253.
მალიქ ჰინდი (სოფ.) 180.
მალკოლმი ჯონ 131, 136, 213—215, 218.
მანსტი 152.
მანველაშვილი 243.
[მანველოვი (ბოჩოლაშვილი) ,გიორგი 332, 334, 337
მანველოვი (ბოჩოლაშვილი) შიო გიორგის ძე 332, 334, 335.
მანტრანი რ. 3.
მარაღა 253.
მარაში 45, 119, 204, 249.
მარდინი 99, 103, 104, 119, 138, 178, 201, 207, 223—225, 252, 296.
მარიამ, გიორგი ბოჩოლაშვილის ვეუღლე, დაუდ ფაშას დედა 242, 243, 330—332.
მარიეის ხეობა 279.
მარმარილოს ზღვა 202.
მარქსი კ. 45, 60, 105, 213, 279.
მასკატი 135, 139, 191, 208, 266, 294.
მასრუფ მუჰამედი 287.
მაჰმადი 137.
მაჰმუდ ბეგი 234.
მაჰმუდ II 68. 202, 230, 236, 238, 249. 250, 261, 263, 279, 280, 285, 287, 292—294. 297, 310, 311, 319, 323.
მაჰმუდ ფაშა ბაბანი 237, 239, 246, 247, 250, 255, 265.
მგალობლიშვილი მ. 109.
მედინა ქ. 72, 169, 171, 191, 192, 249, 258, 276. 283, 324, 326.
მენდელი 30, 178, 262, 264, 266.
მენდელჯინი 248
მენთეშაშვილი ა. 11, 33, 44.
მესოპოტამია 5, 134, 144, 146, 190, 236, 256, მ-ა (არ-რაფიდაინი) 271.
მეკა 72. 73, 122, 169, 171, 187, 191, 192, 249, 258, 294, 276, 283, 323, 324.
მეწამული ზღვა 161, 190, 203, 203, 276.
მეშჰედ-ალი 173.
მეკებ ალი ხანი 250.
მეკმედ აღა. ქეთხუდა 248
მეკმედ ემინ რეუფი 261.
მეკმედ II ფათიჰი (სულთანი) 66.
მეკმედ სურეია 115, 122, 138, 148, 174, 198, 206, 228, 241, 323, 324.
მეკმედ ხოზრეე ფაშა 186.
მილერი ა. 32, 40. 61, 77.
მინტო 215.
მირზა მუჰამედ ბაკირ ათ-თაფლისი (თბილისელი) 270.
მირზა რიზა 211.
მირზა შაფი 194, 214, 217—219.
მირ მოხანი 132—136
მისრი 180
მკერვალი ა. ე. 332.
მოლდავია 202, 219, 223, 276, 279.
მოსული 6, 7, 10, 13, 30, 44, 59, 63. 72, 79, 81, 83, 85, 88—90, 102, 119, 141, 190, 208, 222—224, 227, 249, 252, 253, 268, 295—297, 301, 310.
მორდტმანი ი. 60, 61.
მორეია 187, 278, 279.
მოხაჩი 101.
მტკვარი 217.
მუბარიზი 166, 167.
მუთაფჩიეეა ვ. 50. 54, 59. 86.
მურად I, სულთანი 25, 105, 106.
მურავიოვი ნ. 241, 287, 313, 323.
მუსა აღა, ქაჰია 245.
მესაიბი 178, 246.
მუსტაფა აბაზა 199
მუსტაფა არაბი 243.
მუსტაფა აფხაზი 196.
მუსტაფა აღა, ჰასან ფაშას ქაჰია 103.

მუსტაფა ფაშა ბაირაქტარი 202, 275.
მუსტაფა ბეგი 120, 154—156.
მუსტაფა II 102.
მუსტაფა IV 202.
მუსტაფა ფაშა ისფანაქჩი 141, 142.
მუსტაფა კაფუდან ფაშა 123.
მუსტაფა ქურთი 156.
მუსტაფა ჰიჯაზი 153.
მუში 261.
მუხრანი 112.
მუჰამად დაჰი ეფენდი 142.
მუჰამად იბნ რაშიდი 21.
მუჰამედ ალი მირზა 193, 220, 246—248, 261, 262.
მუჰამედ ალა 266.
მუჰამედ ალა (დაუდ ფაშას სარდალი) 246, 248, 312.
მუჰამედ ალა ქაჰია 246, 262.
მუჰამედ ალა ქედხუდა 245.
მუჰამედ ალა ყარა, ბიბერი 303.
მუჰამედ ალ-ბასირი 271, 326.
მუჰამედ ალი, ეგვიპტის გამგებელი 187, 202, 251, 275, 286, 323.
მუჰამედ ალი რიზა 295—297.
მუჰამედ ალფი 187.
მუჰამედ ამინ აზ-ზანდი ალ-ბაღდადი 291, 337.
მუჰამედ ამინ ზაქი 237.
მუჰამედ აშ-შაუეი შამარის ტომის ბელადი 190.
მუჰამედ აჯემი 149.
მუჰამედ ბეგი, ქოის სანჯაკის გამგებელი 208, 222, 223.
მუჰამედ ბეგი შ'ბი (სულეიმან ფაშა ეუჩუქის სარდალი). 224.
მუჰამედ ბეი შაუეი 166.
მუჰამედ ეფენდი ბეგი, მარდინის ეოეეოდა 138.
მუჰამედ მასრეფი, ამირახორი 290, 291, 302.
მუჰამედ საიდი, დაეთარდარი 245.
მუჰამედ საიდ ბეგი 246.
მუჰამედ ფაშა ბაბანი, სულეიმანიეს გამგებელი 254, 265.
მუჰამედ ფაშა თირიაქი 119—121.
მუჰამედ ფაშა, მოსულის გამგებელი 227.
მუჰამედ ფაშა, სივაშის გამგებელი 120.
მუჰამედ ფაშა, ქოის სინჯაკის გამგებელი 192.
მუჰამედ ფაშა ჰილალი 190.
მუჰამედ შაუეი, უბეიდების ტომის შეიხი 166.
მუჰამედ წინასწარმეტყველი 324.
მუჰამედ ხალილ ოღლი 149.
მუჰამედ ჰუსეინი, მუჰამედ ალი ჰარზას ვაეი 262.
მუჰამედ ჰუსეინ ხანი 265.
მცირე აზია 35, 190, 252, 257, 263.

ნაბი ხანუმი, საიდ ფაშას დედა 233.
ნადირ ყული ხანი (|| ნადირ შაჰი) 115.
ნადირ შაჰი 110, 116, 117, 125, 126, 131, 134, 193.
ნავარი 206.
ნავარინი 279.
ნაპოლეონ ბონაპარტე 162, 184, 186, 194, 201, 203—205, 211, 212, 215, 218, 223, 225, 252, 272, 277, 315.
ნარინი 178.
ნასიფ აღა 181, 196, 199.
ნახჩევანი 217, 218, 280.
ნაჯიბ ბეგი 297.
ნაპრ ალ-ანტარი 154.
ნესელროდე კ. 256, 263, 301.
ხესვეტაეეი, გენერალი 193, 198.
ნეჯდი 29, 73, 121, 122, 161, 163, 168, 169, 171, 190, 251, 288.
ნეჯმი ზადე 270.
ნეჯეფი 71, 135, 171, 178, 234, 249, 258.
ნიბერი კ. 177.
ნიკეპოლტი ლ. 73, 324.
ნიკოლოზ I 281.
ნილოსი 203.
ნინო, დაუდ ფაშას ძმის შიოს ქალიშვილი 242.
ნოვიჩევი ა. 86.
ნუბია 276.

ნუ'მან ეფენდი 145.
ნუ'მან ფაშა 222

ობრენოვიჩი მილოშ 278.
ოდესა 281.
ოლივიე გ. 97, 144, 158—160, 175.
ომანი 135, 139.
ომანის სრუტე 208.
ომარ აღა 246.
ორბელიანები 242, 330, 332, 334.
ორბელიანოვი ლუარსაბ იოანეს ძე 243.
ორბელიანი პაპუნა 110—112.
ორბელიან-ყაფლანიშვილი ასპან 330.
ორბელიან-ყაფლანიშვილი დავით 330.
ორბელიან-ყაფლანიშვილი იაკობ 330.
ორბელიან-ყაფლანიშვილი კონსტანტინე 330.
ორბელიან-ყაფლანიშვილი ლუარსაბ 242, 330.
ორბელიან-ყაფლანიშვილი სამარა-ღდან 330.
ორბელიან-ყაფლანიშვილი ქაიხოსრო 330.
ორდუბადი 217.
ორმუზდის სრუტე 213.
ორხანი, ოსმან I-ის ვაჟი 105.
ოსმალეთი 3, 7, 11, 12, 17—18, 24, 31—34, 36—38, 40—44, 50, 51, 53, 55—59, 61, 62, 65—67, 69, 73, 76—78, 81, 84, 87, 93—96, 98, 100—106, 109, 112—117, 119, 122, 124—127, 129, 132, 135, 138, 140—142, 144—148, 151, 156, 158, 160—162, 173, 180, 182, 184, 186, 187—189, 192—195, 199, 201—203, 205—207, 212, 216, 217, 219, 220, 222, 223, 225, 230, 232, 235, 237, 238, 243, 246, 250, 252, 254, 258, 260, 261, 263—265, 267, 272, 274—277, 279—282, 284—286, 298, 301, 303, 308, 310, 317, 321, 323, 327, 335. ო-ის იმპერია 12, 19, 23, 30, 53, 85, 96, 102, 117, 172, 200, 201, 204, 205, 228, 264, 278.
ოსმან ბარდისი 187.
ოსმან I 105.
ოსმან ფაშა 103.
ოსმანი, ხალიფა 324.
ოშე ლუა 286, 292, 300, 323.
ორონტი 204.

პანკრატიევი 301, 317.
პარიზი 204.
პასკევიჩი ი. 281—283.
პასლი 214.
პელოპონესის ნავსადგური 278.
პეტერბურგი 205.
პეტრე იხ. იუსუფ აღა
პეტრუშევსკი ი. 32, 61, 134-
პიკოკი 253.
პოლონეთი 111.
პოტიომკინი 18.
პრუსია 204, 281.

ჟირარდინი, საფრანგეთის ელჩი სტამბოლში 24.
ჟობერი 211.

რაინეგსი იაკობ 112.
რამადან აღა ჩოკადარი 191.
რასულ-კეიმი 208.
რასულ პაკი ეფენდი ქირქეკი 177, 179, 237, 270.
რაქკა 119, 127.
რაჯიბი 118.
რაპიბ ფაშა 126, 127.
რეის ეფენდი 220.
რეფიკი ა. 61.
რუშჩუკი 202.
რიჩი კლ. 215, 252, 254—257, 331.
რეჩ პოსპოლიტა 100.
რიტერი კ. 5. 18, 231.
როზენი დ. 198, 287.
რომი 325.
რუმელია 98, 120, 186, 187, 201, 321; რ-ის საბეგლარბეგო 46, 48; რ-ის ეიალეთი 24.
რუმი 46, 167.
რუმიანცევი ნ. 205.

რუსეთი 3, 72, 100, 111, 135, 174, 180, 184, 193—195, 197, 200—205, 210 214, 216—220, 225, 230, 247, 250, 256, 257, 260, 261, 263—265, 272, 276—286, 294, 317, 321, 326.
რუსთემ აღა 237, 296.
რუსო 12, 15, 17, 193, 179.

ხაამო ველი 297.
ხაბარათიანო 112.
საბერძნეთი 25, 248, 276—279, 321.
სადეუ ხანი 132, 136, 137, 139, 140, 143—145.
სადიკ ბეგი, საიდ ფაშას ძმა 251.
სადიკ ეფენდი 287—294, 296.
სადუნ აღა 313.
სადუნი, შეიხი 267.
საიდ აბდ-არ რაზაკი 289
საიდ ად-დინ ფაშა 127.
საიდ ალ ბუეი 237.
საიდ ალი აღა, იანიჩარების უფროსი 245.
საიდი, იხ. საიდ ფაშა.
საიდ ეფენდი 320.
საიდ ფაშა 18, 181, 229, 231 —241, 244—246, 314, 316, 331.
საიფ ად-დავლა 271.
სალიმ ბეგი, სულეიმან ფაშა ბუიუქის ვაჟი 181, 304—306, 309, 312—314, 316, 319, 320.
სალიმ ათ-თამიმი, შეიხი 271.
სალიმ აღა 296.
სალიმიე 316.
სალომე, დაუდის ძმის შიოს ქალიშვილი 242.
სალონიკი, ნაესადგ. 278.
სამეგრელო 109—112, 279.
სამცხე 108.
სარაჯინის ბაზარი 178.
საუდგატი ჰორაციო 300
სუ'უდ იბნ ალ'აზიზი, ეაპაბიტების ამირი იხ. სუ'უდი.
სუ'უდი 167, 168, 171, 172, 173, 191, 208—210.
საფრანგეთი 24, 184, 186, 194, 201—205, 210—213, 216—219, 223, 225, 276, 279, 281.
,საქართველო 3, 26, 108, 110—112, 123, 135, 137, 138, 174, 180, 189, 195, 200, 204, 205, 211, 213, 218, 256, 270, 273, 279, 326—334, 336; აღ. საქ-ლო 211, 201, დას. საქ-ლო 109, 184, 201.
საციციანო 112.
სებასტიანი ლ. 202, 204, 207, 216, 225.
სენტ ჯორჯი 253.
სევადი 5.
სევასტოპოლი 281.
ფელიმ აღა, სულეიმან ფაშა ბუიუქის სიძე 181.
სელიმ III 98, 160, 161, 182, 183, 185—188, 190, 192—194, 201, 202, 204, 205, 275, 310.
სერბია 187, 201, 202, 263, 277—279.
სვანიძე მ. 7—10, 15, 19, 24, 34.
სივაში 119, 120, 249.
სიისტრი 252.
სილაგაძე ბ. 14, 242, 113, 333—335.
სიმონოვიჩი 195.
სინჯიკაშვილი იხ. იბრაჰიმ ბეგი.
სიპენკოვა ტ. 79.
სირია 6, 104, 114, 169, 184, 186, 203, 208, 294.
სისტოვი 185.
სიტა 267.
სიხარულიძე ე. 31, 33, 34, 37, 40, 77, 80, 82, 83.
სკუტარია 135.
სმირნა 253.
სმირნოვი ვ. 61, 62, 77.
სოვეინი, შეიხი 145, 146, 153—156, 163, 164, 167, 168.
სოკოლოვი ი. 77.
სოლომონ I 327.
სომხეთი 25, 211, 252, 280, ს-ის ზეგანი 5.
სომხითი 112.
სპარსეთი 211, 253, 283, 285, 301.

სპარსეთის ყურე 6, 104, 131—134, 144, 151, 161, 165, 169, 204, 208, 212—214, 215, 219, 256.
სტამბოლი 14, 24, 26, 44, 68, 99, 101—104 111, 117, 119, 120, 124, 130, 140—142, 146—148, 153, 160, 177, 178, 182—184, 186, 190, 192, 194, 199, 200—207, 216, 219—221, 225—227, 230, 232, 236, 238, 241, 245, 247, 250, 253, 255, 270, 271, 287, 293, 294, 296, 297, 309, 310, 316, 319—321, 323, 325, 329, 337, 338.
სტრანგფორდი 255.
სტროგანოვი გ. 247.
სტოქუელერი ჯ. 292.
სუდანი 276.
სუკ აშ-შეიხი 153.
სულეიმან ალ. ღანამი 308, 313—315.
სულეიმან აღა, ამირახორი 289, 291.
სულეიმან აღა, ქართველი 266.
სულეიმან აღა, ხაზინადარი 312.
სულეიმან აღა, იხ. სულეიმან ფაშა აბუ ლაილი.
სულეიმან აღა, იხ. სულეიმან ფაშა ბეიუქი.
სულეიმან აშ-შამარი 296.
სულეიმან აშ-შაუვი 151—153.
სულეიმან ბეგი 273.
სულეიმან ბეგი, ქაპია, იხ. სულეიმან ფაშა ქეჩუქი.
სულეიმან კანუნი, იხ. სულეიმან I.
სულეიმან III, იხ. სულეიმან ფაშა ქეჩუქი.
სულეიმან ნავარი 241, 257.
სულეიმან I, სულთანი 24, 46, 55, 56, 60, 63, 65, 66, 86, 88.
სულეიმან ფაშა აბუ ლაილი 18, 30, 114—128, 134, 138, 160—163, 149, 150, 177, 182, 197, 200, 335, 336.
სულეიმან ფაშა ბეიუქი 18, 30, 137—139, 143—147, 149—159, 165, 170—183, 189, 196, 199, 200, 222, 229—231, 243—245, 249, 252, 262, 273, 304.
სულეიმან ფაშა მიზრაკალი. იხ. სულეიმან ფაშა აბუ ლაილი.
სულეიმან ქა'ბი 132, 133—137, 144, 151, 153.
სულეიმან ფაშა, ქოის სანჯაკის მეთაესარიფი 237.
სულეიმან ფაშა ქეჩუქი 18, 196, 198—200, 203, 205—210, 215, 220—228, 238, 273.
სულეიმანი, ბასრი მეთასალიმი 139.
სულეიმანი, აბდ არ-რაპმანის ბიძაშვილი 208.
სულეიმანი ყარაჩოლანის ფაშა 128.
სულეიმანიე 29, 155, 156, 180, 192, 193, 207—209, 215, 221, 222, 234, 236, 237, 246—248, 254, 255, 265, 266.
სუფიან ეფენდი 310, 311.
სუფუკი 296.

ტაბი მდ. 131.
ტალეირანი 211.
ტატარჯიკ 'აბდ ალლაპ ეფენდი 98.
ტაპირ ას-სირუზი 224, 302.
ტეილორი 257, 272, 292, 293, 299, 300, 310.
ტელაფარი 190.
ტვერიტინოვა ა. 11, 19, 31, 34, 52, 53, 60—62, 77, 89, 90.
ტიგროსი 5, 72, 128, 131, 140, 152, 165, 213, 251, 256, 299, 305, 315, 336.
ტივაძე გ. 31.
ტილზიტი 204, 223, 225.
ტისა მდ. 101.
ტრაპიზონი 257, 281.

უარი კლ. 3, 115, 130, 136, 145, 175, 178, 189, 221, 228, 232, 292, 309, 312, 321, 323, 337.
უბაიში (მდ). 72, 152.
უბიჩინი ა. 87.
უზუნ ჩარშილი ი. 77.
უმარ ბეგი 237.
უმარიq||უმარ ფაშა 129—131, 135, 136, 140, 142, 149.

უოტსონი რ. 196.
ურუმის ქვეყანა 112.
ურფა 268, 297.
უსმან ფაშა ბაბანი 155.

ფადლალაჰი 245.
ფაზვანდ ოღლუ 187.
ფათჰ ალი შაჰი||ბაბა ხანი 173, 174, 193, 194, 211, 215, 230, 234, 249, 258, 259, 263, 264, 282, 283.
ფაქალინი მ. 61.
ფეიზულ აღა 227.
ფეკეტე ლ. 77.
ფელუჯი 267.
ფილიპოვიჩი ნ. 32, 58.
ფინეთი 210.
ფინკენშტეინი 204, 211, 218.
ფირუზ ეთიოპელი 303.
ფოთი ქ. 201.
ფონტანიე ვ. 273, 328, 329, 321.
ფუთურიძე გ. 17, 25, 26, 31, 32, 34, 37, 40, 41, 45, 46, 48, 55, 64, 66, 69, 77, 82, 85.
ფურცელაძე ნ. 272.

ქაზიმიე 302, 312.
ქართლი 108—110, 112, 279.
ქაშმირი 253.
ქაჰია-ბეგი 148, 210, 200, 205.
ქემალაბადი 214.
ქერბელა 71, 135, 172, 173, 178, 209, 210, 249, 258.
ქერიმ ხან ზენდი 125, 131—136, 140—145, 148, 193.
ქერმანი 285.
ქერმანშაჰი 193, 220, 230, 231, 234, 237, 246, 247, 255, 258, 259, 261, 262, 264, 265, 317.
ქეშმი 213.
ქირქუქი 30, 192, 234, 236—239, 247, 297, 300.
ქოი 30, 192, 194, 208, 222, 223, 237, 246, 247, 250.
ქორიძე დ. 324.
ქოფრულუ 58.
ქუთ ალ-ამარი 72.
ქუთი 178.
ქურთისტანი 19, 42, 103, 123. 128, 156, 157, 141, 180, 188—195, 197, 199, 207, 214, 220—222, 224, 230, 231, 234, 237, 247, 253, 254, 255, 263—265, 281.
ქურუკ კაინარჯი 142, 184.
ქურუქ სულეიმანი იხ. სულეიმან ფაშა ქურუქი.

ყარა გიორგი 187, 202, 277.
ყაკრ კეფი 267.
ყარადაღი 246.
ყარამანია 206; ყ-იის საბეგლარბეგო 46; ყ-იის საფაშო 102; ყ-იის ვილაიეთი 63, 78.
ყარაჩოლანი 128, 180, 192.
ყარსი 195; ყ-ის ციხე 261.
ყაფლანიშვილები იხ. ორბელიან-ყაფლანიშვილები.
ყიზლარი 217.
ყიზილ რობატი 248.
ყუბანი 279.

შაბანოეიჩი ჰაზიმ 60.
შადინოვი ნონია 334.
შავი ზღვა 111, 279, 281.
შამპანი 218.
შამს ად-დინ სამი 13
შარაშენიძე ზ. 131—133, 135—137, 141, 142, 144, 176.
შარდენი ჟან 109, 110, 112.
შატ ალ-არაბი (მდ.) 132, 134, 136, 137, 139, 140, 161, 173, 195, 204, 254—256.
შატ ალ-ხაი 72.
შაფლალ აღა შალალი 251.
შაქლან ფაშა 183.
შაჰ აბას I 172.
შაჰ თაჰმასპ II, 125.
შაჰრიზური 48, 72, 75, 148, 152, 153, 155—158, 192, 196, 207, 208, 230, 232, 239, 245, 248, 255, 264, 265, 297, 303; შ-ის ეიალეთი 6, 7, 10, 13,

30, 44, 102, 141; შ-ის საბეგლარ-
ბეგო 46; შ-ის საფაშო 55.
შაჰფულა ალ-ხალილი 234.
შეიხ მაზჭურ იბნ ჯანდილი 259.
შელკოვნიკოვი ბ. 311.
შენგელია ლ. 135.
შენგელია ნ. 77.
შვეცია 210, 281.
შიო, ბოჩოლაანთ გიორგის შვილი,
- დაუდ ფაშას უფროსი ძმა 242, 243,
328—330, 334.
შირაზი 143—146, 159.
შიფათი 210
შუამდინარეთი 5, 175.
შუშა 283.

ჩამინი 178.
ჩელები ევლია 68, 69.
ჩელები სალიჰ 296, 318.
ჩერქეზეთი 111.
ჩესნი რ. ა. 269, 270.
ჩირიკოვი ე. 269, 298, 323.
ჩუბინაშვილი დ. 13. 110.
ჩუპრო 277.

ცვეტერი ს. 172.
ცვეტკოვა ბ. 31.
ციციანოვი პ. 184.

წერეთელი გ. 59.
წმ. ნიკოლოზის ნაესადგური 279.

ჭყონია ალ. 108.

ხაზაკილი 235, 236.
ხალედ ეფენდი 226—229, 235, 236,
291, 292.
ხალედ ფაშა 192, 202, 222, 224.
ხალილ აღა 237.
ხალილ ფაშა, ბასრის გამგებელი 103.
ხალისი 150.
ხანიკინი ქ. 194, 195, 300.
ხარაქი (კუნძ.) 133, 134.
ხარკი (კუნძ.) 213, 215, 267.
ხატიჯე, სულეიმან ფაშა აბუ ლაილის
ასული 161, 181.
ხმელთაშუა ზღვა 6, 204, 279.
ხოზრევ ფაშა 187, 261.
ხორასანი 131, 193, 214, 285.
ხუვაისი ქ. 145, 146.
ხუზისტანი 102.
ხურშიდ ეფენდი 11 ,22, 23, 73, 75 —
77, 96, 97.

ჯაზირე 252
ჯალილი, ჰამიდ ას-სამირის ძმა 259.
ჯანელიძე დ. 113, 325, 333—335.
ჯარრაჰი 131.
ჯასიმ ბეგი 251.
ჯაფარ ყული-ხანი 194, 217.
ჯებელ სინჯარი 190.
ჯევდეთი ა. 158, 169, 178, 198, 200,
209, 224, 226, 228, 239, 247, 250.
ჯესანი 248.
ჯიდდა 122, 187, 190, 192, 208.
ჯიქია ს. 10, 24, 44, 60—63, 77, 180.
ჯიქეთი 111.
ჯონსი ჰ. 148, 161, 164, 165, 179, 213,
214, 218—220.
ჯორჯ ეევანს დე ლასი 281.
ჯურჯეეი ბ. 77.

ჰაბიბე ხანუმი 303.
ჰავრის ტბა 267.
ჰაინი 252.
ჰალაბა 48, ჰ-ის საბეგლარბეგო 46.
ჰალილ აღა 248.
ჰალისი 172.
ჰამად ალ-ჰამიდი, შეიხი 151.
ჰამად აღა 233, 246, ჰ-დ აღა, საიდის
მრჩეველი 241.
ჰამადანი 253.
ჰამდი ბეგი 319, 320.
ჰამდი ბეგ ბაბანი 312.
ჰამერი 60—62, 77, 86, 109, 114, 122.
ჰამიდ ას-სამირი 154, 156, 172, 228,
231, 259, 266.
ჰამიდი, ხაზაილის ტომის ბელადი 153.
ჰამუდი 130

ჰარიარი 30, 246, 247, 250.
ჰასა 200.
ჰასან 130.
ჰასან აღა 314, 315.
ჰასან ბეგი, ბაბანი 247.
ჰასან ბეგი, ყარადაღის მმართველი 246.
ჰასან იურიიუქ ფაშა 103, 104.
ჰასან ფაშა 144, 145, 147, 148.
ჰასან ფაშა ალბანელი 18, 27, 102, 103, 105, 107, 113, 115, 117, 123, 124, 137, 138, 177, 273, 288.
ჰაფიზ ალი აღა, იხ. ჰაფიზ ალი ფაშა.
ჰაფიზ ალი ფაშა 18, 30, 163—168, 172, 181—183, 191, 193, 195, 196, 199, 203, 207, 273; ჰ-ზ ალი ფაშა||ოსები 188, 189.
ჰაჯი სულეიმანი 138.
ჰაჯი აჰმედ ეფენდი 301.
ჰაჯი ბაქირ აღა 308.
ჰაჯი უსუფ ზია ფაშა 205, 206, 207.
ჰაჯი თაბითი 262, 266.
ჰაჯი ჰალილი 321.
ჰეიდი ვ. 118, 253.
ჰენინგერი ჯ. 11.
ჰერათი 285.
ჰილლე 30, 105, 118, 120, 146, 178, 191, 200, 266, 299, 313, 315, 318.
ჰინდი 72, ჰ-ის არხი 178,
ჰინდია 210, ჰინდიანა 131, 132.
ჰისკე 120.
ჰიტი ფ. 107, 114, 122, 210.
ჰიჯაზი 187, 190, 191, 192, 283.
ჰოეეიზი 258.
ჰოლანდია 133.
ჰერნი ჯ. 131.
ჰუსაინი წმ. 173.
ჰუსეინი იხ. დიმიტრი.
ჰუსეინ მირზა 125, 126.
ჰუსეინ ფაშა 329.
ჰუსეინ მოლა 307, 312, 314, 315, 319.
ჰუსეინ ხანი 265.
ჰუფუფი 166, 167.

Абд ар-Рахман ал Джабарти 251
Адамов А. 11, 13, 15, 16, 21, 23, 26, 29, 30, 40, 43, 70—72, 74, 78, 82, 93, 94, 102—107, 114, 115, 120—122, 124—126, 129, 130, 132—134, 136, 137, 141, 148, 150, 153, 156, 163, 164, 173, 171, 178, 179, 183, 188, 190—192, 194, 196, 198, 210, 229—231, 233, 236, 246, 247, 249, 256, 257, 259—263, 268—270, 272, 274, 287, 295, 296, 300, 321, 322, 324
Айру А. 37, 70
Александр I. 199, 211
Али-Заде А Д. 61
Али паша 198
Амин Саид 99
Арш Г. А. 277
Аршагов К. Р. 195

Баба-хан 198
Багдад 198, 248
Бакрадзе Д. 31, 52, 54, 68
Баранов Х. И. 11, 59, 113
Бартоломей Ф. Ф. 259
Беленицкий Л. М. 134
Беляев Е. 276
Босния 60
Бутков П. П. 127, 128, 135
Буюк-Даре 247

Валуйский А. Н. 31
Вандал А. 199, 211
Велерс Жак 31, 32, 37—40
Волков В. В. 70
Вольней К. Ф. 113, 327

Гардан К. 214, 216
Герцоговина 60
Гордонов Л. М. 203
Грибоедов А. С. 253, 281, 283, 284, 332
Гудович Н. В. 200, 205, 206, 214, 215, 217,
Гурджистанский вилайет 81

Данциг Б. М. 6, 19, 31, 32, 33, 36
Джафар-Кули-Хан 198, 215—217
Дубровин Н. Ф. 111, 184

Египет 203, 251, 323, 327
Еликолепов И. 241
Ерзинган 317
Ермолов А. П. 248, 257, 263

Ибрагимов Г. И. 86, 87
Иванов М. С. 116, 134, 258, 260, 261
Иоаннисян А. Р. 196, 204, 210—215, 218, 220, 230
Исави Ш. 112—114

Кавказ 263
Кальди-Надь Д. 94
Калькутта 213
Клот-Бей А. Б. 187, 203
Коллас 185, 276
Корсун Н. Г. 35, 36, 44
Котлов Л. Н. 31—33, 38, 40, 87
Крымский А. Е. 276
Кулагин Г. Д. 70

Левинтов Н. Г. 35
Линден В. 35
Листон 248
Луцкий В. Б. 100, 123, 196, 256, 257, 269, 276

Магазаник Д. А. 61
Мазарович К. С. 257
Малькольм Д. 213
Маркс К. 60, 76, 96, 106, 213, 256, 278, 279, 285
Мачарадзе Вл. 113
Ментешашвили А. М. 11, 21, 33 71, 91
Меншиков А. С. 259
Мехмед II 58
Миллер А. Ф. 12, 13, 17, 19, 31, 32, 41, 61, 76, 98, 113, 185, 186, 202, 205, 274, 275
Мирский Г. М. 43, 49
Мосул 83

Муравьев Н. И. 241, 307, 309, 311, 313, 320, 323
Мутафчиева В. П. 31, 51, 54, 58, 86
Мухаммед Али 251

Наполеон Бонапарт 199, 211, 213
Несветаев М. 195, 198
Нессельроде К. В. 263, 281, 283, 284, 301
Новичев А. Д. 17, 68, 78, 86, 94, 96, 101, 260, 274, 276, 277

Палеолог Г. 279
Панкратьев 301, 317
Паскевич И. Ф. 283, 284, 317
Перенц М. А. 280
Петрушевский И. П. 31, 32, 52, 61, 134
Пигулевская И. В. 134
Прозоровский 217

Ранке Л. 187
Розен Д. Г. 276, 278; 280, 287, 321
Россия 263
Румянцев Н. П. 200, 205, 206, 215—217

Сивинис М. 279
Сипенкова Т. М. 79
Сливицкий И. А. 109
Смирнов В. Д. 35, 60
Срезневский 6
Стенин И. А. 137
Строганов 217, 248
Строева Л. В. 134
Сулейман (Султан) 52, 55, 58, 65—67
Султаниэ 216

Татищев С. С. 277
Тверитинова А. С. 7, 8, 10, 26, 31, 34—36, 42, 45, 48, 52, 53, 60—62, 64—67, 69, 77, 78, 82, 84—86, 94, 96, 98
Турция 323

Уоршер Д. 43, 49

Фадеев А. В. 107, 263, 281, 282
Феоктистов Е. 187, 278
Филипович Н. 31, 32, 58
Фрашери К. 277

Халфин Н. А. 253, 255
Харфорд Джонс 213
Хлебников В. 33, 45
Хуршид-Эфенди 11, 19, 22, 23, 74, 77, 83, 92, 93, 95, 96, 97, 138, 169, 231, 267—270

Цагарели Ал. 109
Цветкова Б. 31, 59, 86
Цикулин Д. И. 332

Чирков Е. И. 93, 264, 298, 299, 300, 320, 323

Шарден 109
Шелковников Б. И. 85, 280, 299, 311
Шенгелия Н. Н. 81, 86
Шпаро О. 278
Шостакович С. В. 253

Энгельс Ф. 60, 76, 96, 106, 256, 278, 279, 285
Эрзерум 264

Юзефович Т. 278, 280
Юнг Е. 276

Якубовский А. Ю. 134

Abd al-Jalil Tahîri 11
Adair R. 220
Ainsworth W. F. 132, 267
Aitchison C. U. 223, 257
Arvanid 42
Auche: — E'loy 267, 268, 269, 272, 286, 293

Barkan Omer Lûtfi 42, 52, 58, 64, 66
Belin M. 8—10. 22. 24, 25, 28, 31, 46—48, 54, 58, 68, 78
Burckhardt J. L. 21, 161, 163, 164, 169, 173, 195, 276
Blunt Lady Anna 21, 71, 251, 276
Bowen H. 7, 8, 10, 13, 15, 62, 68
Bridges H. J. 143, 145—148, 162, 164—166, 176, 180, 218, 219
Buckingham J. S. 137, 232

Celebi Evliya 58, 60
Chesney K. A. 204, 269
Corancez L. A. 188, 191, 199, 209
Curzon G. N. 131

Daud Pasha 324
Dawson E. 39
Deny J. 58
D'Ohs·on M. 17
Du Velay A. 23

Eton W. 98
Evans de Lacy, 282

Fekete L. 94
Fontanier V. 253, 256, 268, 269, 272, 273, 294, 325, 329
Franklin W. 153
Fraser J. B. 272—274, 286, 295, 296, 298, 299, 304, 321, 338

Gibb H. A. 7, 8, 10, 13, 15, 62, 68, 90

Hamdy—Bey 28
Hammer J. 8, 10, 26, 86, 115, 119, 122, 130, 270
Heninger Josef 11
Heude W. 118, 253
Hitti P. K. 107, 122, 324
Howel T. 154
Huart Cl. 14, 27, 28, 30, 118—122, 124,126, 127, 130, 136, 141, 145 — —149, 175, 177, 178, 181, 188, 189, 197—199, 221, 228, 233, 235—238, 241, 261, 267, 268, 270—272, 280, 287—291, 293, 296, 297, 303—306, 308—310, 312,316—321, 323, 324, 337, 338

Бурнев Б. 6, 58

Inalcik H. 42. 52
Ireland P. W. 33, 39, 82
Irwin Eyles 137
Istanbul 42

Kaye I. W. 219
Kinneir J. M. 151, 198, 227, 228, 253
Keppel G. 262
Ker Porter R. 243, 256. 326. 330
Koci Bey 34. 55
Köprülü M. F. 58

Launau Marie 28
Levis G. I. 202
Longrigg S. H. 13. 15, 16, 19, 29, 106, 107, 113—121, 123, 124. 126. 136—139, 147—153, 156. 157, 164. 168, 169, 174, 177, 178, 181, 183, 188, 196, 206, 228, 231. 232. 235, 237, 239—243, 247, 255, 262. 270, 272. 273, 291, 293, 295, 297—299, 307. 320, 323, 324, 328. 335, 337, 338
Low Ch. R. 133, 134, 135. 136, 139
Lucklama a Nijeholt T. M. 324

Malcolm J. 125, 136, 143, 162
Mordtmann J. H. 60

Niebuhr C. 104. 123, 126. 128, 141
Nolde E. 21

Olivier G. A. 17, 97, 143. 145. 247, 148, 158—160, 175—177
Oppenheim M. 71

Pakalin M. Z. 61
Porter R. K. ob. Ker Porter R.

Reinaud 6
Refik A. 61
Ritter K. 5, 18, 151, 180, 231, 259
Rich Cl. J. 137, 192, 200, 221, 222. 233, 248, 249, 255. 259, 331
Rouire Dr. 203
Rousea 12. 14 15, 17, 157, 161, 172, 176, 179, 188. 189, 192. 193, 197, 325

Sa'anovic Hazim 60. 62
Sami S. 13
Sachau E. 71
Stoqueler J. H. 292
Subhi Wihida 114
Schvarz P. 78

Ubiçini A. 87.

Von Sax C. B. 231, 236

Watson R. G. 193, 196, 261, 262
Welsted J. R. 21. 244, 246, 274. 299

Zenker J. T. 12
Zwemer L. 172

ابو يوسف يعقوب 34
جودت ob. احمد جودت

العزّاوى 107, 116. 121—123, 137, 164. 167—170, 172, 173, 177—179. 182. 183, 188, 196, 197, 206. 231. 235, 236, 238. 239, 269, 270. 287—293, 295—297, 301—305, 307, 309, 311, 313—315, 319—322, 326, 328, 337, 338
امين الحلوانى 171, 237
جودت 158, 162, 169, 173, 178, 181—183. 188, 196, 198—200, 205, 206, 222. 224, 226, 228, 229. 231, 232. 234. 237—239, 262
رسول حاوى 188

العزّاوى ← عبّاس العزّاوى
عبدالعزيز سليمان نوار 117، 129 204
207، 231، 233 - 239
عزالدّين يوسف 271، 326
محمد البصير 271، 326
محمد ثريا 115، 116، 122، 137، 138،
147، 148، 173، 181، 198، 206 324
واصف 126، 130.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

ნაწილი პირველი

ერაყის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა მამლუქთა მმართველობის წინ და მათი მმართველობის დროს 5
თავი პირველი. ადმინისტრაციული წყობა და მართვა-გამგებლობა . . 5
თავი მეორე. აგრარული ურთიერთობანი 30
თავი მესამე. სოციალური სტრუქტურა 50
თავი მეოთხე. გადასახადები და საგადასახადო სისტემა 77

ნაწილი მეორე

ერაყის პირველი მამლუქი გამგებლები და ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა მათ დროს (1749—1802 წწ.) 100
თავი პირველი. ერაყის გაერთიანება XVIII ს-ის დასაწყისში და მამლუქთა გამოჩენა სამხედრო პოლიტიკურ ასპარეზზე 100
თავი მეორე. მამლუქთა გაძლიერება 127
თავი მესამე. სულეიმან ფაშა ბეიექი 150

ნაწილი მესამე

ერაყის მმართველი ქულემენების ქართული დინასტიის წარმომადგენლები და მათი პოლიტიკური კურსი (1802—1931 წწ.) 181
თავი პირველი. ჰაფიზ ‘ალი ფაშა 181
თავი მეორე. სულეიმან ფაშა ქეჩიექი 198
თავი მესამე. იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების ცდა ერაყში მამლუქთა ძალაუფლების დასამხობად 229
თავი მეოთხე. ქულემენების ქართული დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი დაუდ ფაშა და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა . . . 241
თავი მეხუთე. დაუდ ფაშას სეპარატისტული ტენდენციის გამოაშკარავება და სულთნის ღონისძიება მის დასასჯელად 286
თავი მეექვსე. დაუდის ცხოვრება-მოღვაწეობის უკანასკნელი წლები 323
მამლუქების ჯანადგურება 337
საძიებელი 339

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

•

ИБ 435

რედაქტორი რ. კიკნაძე

გამომცემლობის რედაქტორი ლ. სიხარულიძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
მხატვარი ვ. ხმალაძე
კორექტორი ბ. თოფურია

გადაეცა წარმოებას 5.4.1977; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.4.1978;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 22,5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 20.45;
უე 01048; ტირაჟი 4 500; შეკვეთა № 1336;

ფასი 2 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Вениамин Георгиевич Силагадзе

ИРАК В ПЕРИОД ПРАВЛЕНИЯ МАМЛЮКОВ

(на грузинском языке)

შემჩნეული შეცდომების გასწორება

გვ.	სტრიქონი ზევ.	სტრიქონი ქვ.	არის	უნდა იყოს	ვისი მიზეზით
3	5		ვ. დიეან ეფენდი	3. დივან ეფენდი	სტამბის
23		3	finenciere	financière	კორექტ.
58	7		რესპი. ჩიფთი	რესპი ჩიფთი	კორექტ.
60		12	Lugoslavensim	Jugoslavensim	სტამბის
71		4	von	Vom	აეტ.
77	8		ვაკიფი	ვაფიკი	აეტ.
109		18	დასდეეს	დასდეეს	კორექტ.
110	1		დასდეეს	დასდეეს	კორექტ.
125		3	Peria	Persia	სტამბის
145		8	ოსმალბში	ოსმალეთში	კორექტ.
187	20		თეფდენელი	თეფელენელი	აეტ.
204		17	ტილ ზიტის	ტილზიტის	რედაქტ.
254	9		ფაქტორების	ფაქტორიების	რედაქტ.
267		14	არტერიელი	არტეზიელი	რედაქტ.
268		8	Anclier-E´lcy	Aucher-E´loy	კორექტ.
290	14, 15		მეპამუდ	მუჰამედ	კორექტ.
296	16		ერთ მთლიან სამხედრო ბანაკად გადაქცია.	ერთ ნაწილთან [34] და მათგან ჟაშას მოწინააღმდეგე ჯგუფი შეადგინა	კორექტ.
325		18	რი მებრძოლი პიროვნება. მან ბაღდადის საფაშოში გატარებელი	რი. რომელიც გამოირჩეოდა თავის თანამედროვეთაგან განსაკუთრე-	კორექტ.

ბ. სილაგაძე